ვარლამ ხუროძე

კრიტიკული წერილები

რედაქტორი პროფ. ვ. რამიშვილი

გამომცემლობა „განათლება“
თბილისი — 1986

83. 3 Ep 7
ბ 945

ვარლამ ხუროძის წინამდებარე კრებულში განხილულია ქართველ მწერალთა შემოქმედება და მათი სწავლება სკოლაში. ამას გარდა იგი თავის კრიტიკულ ნაწერებში ეხება ლიტერატურის თეორიის, სტილისა და ჟანრის საკითხებსაც.

შეადგინა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო
ალექსანდრე სიგუამ

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ე ბ ი: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ნ. ჭ ო ლ ო კ ა ვ ა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ნ. რ უ ხ ა ძ ე.

70202—041
X ———— ბრძ. № 3/47 85
M—602—(08)—85

© გამომცემლობა „განათლება“, 1986

წინასიტყვაობა

მწერლობა, ლიტერატურული მოღვაწეობა ხალხის, სამშობლოს სამსახურია. სამშობლო კი ძალიან ფართო ცნებაა. ამიტომ მწერალს ნიჭთან ერთად უნდა ჰქონდეს სათანადო განათლება, მომზადება, შრომისმოყვარეობა და მამულის სიყვარული. სხვანაირად ვერ შექმნის ვერავითარ ღირსეულ მხატვრულ ნაწარმოებს. რამდენადაც ვითარდება საზოგადოებრივი ცხოვრება, ტექნიკა და მეცნიერება, იმდენად წინ მიდის მხატვრული ლიტერატურა, ფილოსოფიური აზროვნება. ამიტომ დღეს არ კმარა გქონდეს ინფორმაციული ხასიათის ცოდნა ამა თუ იმ საგნისა და მოვლენის შესახებ. თუ ღრმად არა ხარ განსწავლული, ეს შენს შემოქმედებას, შენს ნაწერს დაეშჩნევა და, როგორც ილია ამბობდა, იგი მსუბუქი, უღლეური გამოვა.

ვარლამ ხუროძეს, რომლის ლიტერატურული ფსევდონიმია ვარლამ მალაქიაშვილი, არც ნიჭი აკლდა, არც შრომისმოყვარეობა და არც მამულის სიყვარული. ამიტომ გახდა ის ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

ვარლამ ადამის ძე ხუროძე დაიბადა 1883 წლის 14 ოქტომბერს სოფ. მათხოჯში (წულუკიძის რაიონი), ღარიბი გლეხის ოჯახში. წერა-კითხვა დედამ შეასწავლა. შემდეგ სწავლობდა იმავე სოფლის სამონასტრო სკოლაში და ხონის ორკლასიან სასწავლებელში. 1901 წელს იგი ჩაირიცხა ხონის საოსტატო სემინარიაში (მაშინ ხონში იყო გადმოტანილი ქუთაისის სამასწავლებლო-საოსტატო სემინარია); 1904 წელს, ხონის საოსტატო სემინარიის დამთავრების შემდეგ, ვ. ხუროძე დაინიშნა მასწავლებლად სოფელ მერევში (ჭიათურის რაიონი), ერთი წლის შემდეგ კი გადავიდა ლანჩხუთში. 1907 წელს რევოლუციური მოღვაწეობისათვის ის მასწავლებლობიდან დაითხოვეს, მაგრამ მაინც მუშაობს სოფ. შუქურეთის (ჭიათურის რაიონი) შავი ქვის სამრეწველო სკოლაში. ჭიათურაში მასწავლებლად ყოფნის დროს ვ. ხუროძე ახლოს გაეცნო იქაური მუშათა კლასის მძიმე მდგომარეობას, რომლის შესახებაც ის ათავსებდა წერილებსა და ფელეტონებს მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში.

1910 წელს ვ. ხუროძე უმაღლესი განათლების მისაღებად მიემგზავრება მოსკოვს და იქ შედის შანიაესკის უნივერსიტეტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1913 წელს.

სტუდენტობის წლებში ის არალეგალურად განაგრძობს აქტიურ რევოლუციურ მოღვაწეობას და იბრძვის კალმით თუ პრაქტიკული საქმიანობით მუშათა კლასის ინტერესების დასაცავად.

1913 წელს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ვ. ხუროძე ქუთაისში ცხოვრობს და ეწევა რევოლუციურ მოღვაწეობას. 1913 წლის დამლევს ვ. ხუროძე მეფის მთავრობამ დააპატიმრა და 7 წლით გადაასახლა ქ. ასტრახანში, მაგრამ 1914 წელს გადასახლებიდან გამოიქცა და ქუთაისში არალეგალურად ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

1914 წლის შემოდგომაზე ის კვლავ დააპატიმრეს და გადაასახლეს ასტრახანში, სადაც დაჰყო 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე.

გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ვ. ხუროძე მუშაობს ხონის საოსტატო სემინარიაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

ლიტერატურული მოღვაწეობა ვარლამ ხუროძემ სკოლის ასაკიდან დაიწყო; ის ჯერ კიდევ ჭაბუკი იყო, როდესაც შეუდგა ფოლკლორული მასალების შეგროვებას, ამ მასალებს ის ათავსებდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. ხალხური შემოქმედების მასალებზე მუშაობამ გამოავლინა მომავალი მწერლის ნიჭი. მისი პირველი ორიგინალური მოთხრობა „დედის მსხვერპლი“ გამოქვეყნდა 1904 წელს გაზეთ „ცნობის ფურცლის“ სურათებიან დამატებაში. ამის შემდეგ კი ხუროძეს ფართოდ გაუღეს რედაქციის კარები და ისიც დიდი სიყვარულით წერდა მოთხრობებს, რომანებს, ფელეტონებს, კრიტიკულ-თეორიულ წერილებს ლიტერატურისა და პედაგოგიკის შესახებ.

ვარლამ ხუროძეს აქვს რამდენიმე მხატვრულად ძლიერი ნაწარმოები, რომლებმაც სახელი მოუხვეჭეს მწერალს. ეს არის ორი რომანი „შოთა ბროლიძე“ და „სამნი“, „შოთა ბროლიძე“ ეხება მუშათა კლასის დიდ ბრძოლას 1905-1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ. რომანში შოთასა და თამროს სიყვარულის ფონზე გაშლილია მომავალი ბრძოლების სურათი — „მთელი ქვეყანა რომ ჩემი წინააღმდეგი იყოს, ყველას ეძულდე და ყველა მდევნიდეს, შენ მაინც ჩემი მომხრე უნდა იყო, ჩემი აზრები და გრძნობები უნდა გწამდეს... შეიძლება, არც დედამ თანამიგრძნოს, არც მამამ, არც ძმამ, მაგრამ შენ კი ჩემთან უნდა იქნე. სხვაფრივ შეუძლებელია“. შოთა ბროლიძე ემზადება დიდი ბრძოლებისათვის და ამ ბრძოლებისაკენ მოუწოდებს მის შეყვარებულ თამროსაც.

პირველად ეს რომანი გამოქვეყნდა 1911 წ. 3.600 ტირაჟით. რომანის მთელი ტირაჟი რამდენიმე დღეში გაიყიდა. საცენზურო კომიტეტმა რომანი აკრძალა, როგორც მაშინდელი ხელისუფლები-

სათვის მიუღებელი ნაწარმოები. მეორე რომანი „სამნიც“ რევოლუციურ თემაზეა დაწერილი და ეხება 1917 წლის თებერვლის წინ პეტროგრადის მუშების აჯანყებას. რომანის მოქმედ პირს შალვა ღრუბლიანს ციხეში მოუსწრებს თებერვლის რეეოლუცია, მაგრამ მას ჯერ კიდევ არ სჯერა რევოლუციის გამარჯვებისა. ბოლოს ის დაიჯერებს ამ ამბავს და ამბობს: „დიახ... კუზმას მიერ მოტანილი ამბები შეუძლებელს არას შეიცავენ, ცეცხლის ასაბრიალებელი მასალა ბლომად იყო დაგროვილი.

გამანადგურებელი ომი, ხალხის საერთო უკმაყოფილება, უუფლებობა, დამონავება, ბიუროკრატიის აღვირახსნილი თვითნებობა... დიახ, ყოველივე ამას თავისი უნდა ექნა; ეს ცხოვრების კანონია“.

1910 წელს ვ. ხუროძემ გამოაქვეყნა მოთხრობა „სოფლის სურათები“. ამ მოთხრობის წაკითხვისას წარმოგიდგებათ იმერეთის გლეხობის ცხოვრების გულშემზარავი სურათები: შიმშილი, სიღატაკე, ლუკმა პურისათვის ხეტიალი, დედების გოდება, ბავშვების ქვითინი, ავტორს სჯერა, რომ დრო შეიცვლება, ყველას დაავიწყდება შავი წარსული და „ხვალ მეტად, უფრო მეტად ისიამოვნებ, ჩემო საყვარელო ადამიანო, გაიხარე, გაიხარე,—თითქო ეუბნება ადამიანსო და სიცოცხლის ძარღვის ცემას მატებს, ფრინველს აჩიკჩიკებს, მცენარეთ ლურჯ კაბას უშლის, წალკოტს თექას უზურმუხტებს... ხარობს დედამიწა, ხარობს ადამიანი! ბედნიერების აკვანი ირწევა, ახალი სიცოცხლე დუღს და გადადუღს. ახალი ძალა ფრთას შლის, როგორც ბუნებაში, ისე ადამიანში... ბედნიერების ტახტია ბუნება! ღვთაებრივი ძალით და ძლიერებით აღჭურვილი ადამიანიც მედიდურად ჯდება ამ ტახტზე, ფლობს ქვეყანას, მშრომელი მაჯა შლის გამარჯვების ალამს“.

ვარლამ ხუროძის მხატვრულ შემოქმედებას აქ მოკლედ იმიტომ შევეხეთ, რომ იგი ადრე წავიდა შემოქმედებითი მოღვაწეობის ასპარეზიდან და მინდა მკითხველმა გაიგოს და იცოდეს მისი მხატვრული შემოქმედების ზოგიერთი ეპიზოდი. და, მეორეც, მწერალი თავის კრიტიკული აზროვნებით დგას იმ მოწინავე პოზიციებზე, როგორც მისი რომანის გმირები შოთა ბროლიძე და შალვა ღრუბლიანი. მაგრამ, სანამ ვარლამ ხუროძის კრიტიკულ ნააზრევს შევეხებოდეთ, მინდა ერთი ეპიზოდი გავიხსენო მისი ცხოვრებიდან.

1931 წელს პედაგოგიურ პრაქტიკას გავდიოდი თბილისის სამრეწველო-ეკონომიკურ ტექნიკუმში, რომელიც მდებარეობდა კეცხოველის ქუჩაზე, საჯარო ბიბლიოთეკის პირდაპირ. ამ სასწავლებელში ვარლამ ხუროძეს რამდენიმე საათი ჰქონდა ქართულ ლიტერატურაში. მოგეხსენებათ, იმ წლებში, განსაკუთრებით უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში იმართებოდა მოხსენებები, რომლებიც ძირითადად მიმართული იყო ქართველი კლასიკოსების წინააღ-

მდეგ, განსაკუთრებით კი ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ. და აი, ერთ დღეს სამრეწველო-ეკონომიკურ ტექნიკუმში გაიმართა მასწავლებელ-მოსწავლეთა გაერთიანებული კრება, სადაც მომხსენებელმა გააკრიტიკა შოთა რუსთაველი, ილია ჭავჭავაძე და ქართული ენისა და ლიტერატურის ზოგიერთი მასწავლებელი, რომლებიც მარქსისტულად არ ასწავლიდნენ ქართულ ლიტერატურას და ილია ჭავჭავაძეს, ლატიფუნდისტს აცხადებენ რევოლუციონერად, ბატონყმობის მოწინააღმდეგე მებრძოლ პოეტად, განსაკუთრებით გააკრიტიკეს ვარლამ ხუროძე და მოითხოვეს გამოსულიყო კრების წინაშე და თავისი შეცდომები ეღიარებინა. და აი, ის დინჯად ადის ტრიბუნაზე და კრების წინაშე მტკიცედ და დამაჯერებლად აცხადებს, მე ჩემს კრიტიკულ წერილებში არავითარი შეცდომა არა მაქვს დაშვებულიო, და მომხსენებელს თავაზიანად უთხრა: ჯერ კარგად შეისწავლეთ მარქსიზმ-ლენინიზმი და მერე ილაპარაკეთ ჩემს შეცდომებზეო. ამ სიტყვის შემდეგ ტრიბუნიდან ჩამოვიდა და კრება დატოვა.

ვარლამ ხუროძეს მომხსენებელი ედავებოდა „ქართული ლიტერატურის თემატიურად განხილვაში", ილია ჭავჭავაძის შემოქმედების არასწორ შეფასებასა და გაგებაში. მაგრამ ავტორი მართებულად არჩევდა დიდი პოეტისა და მოაზროვნის შემოქმედებას, რასაც ჩვენ ქვემოთ დავინახავთ.

ჩვენს წინაშეა ვარლამ ხუროძის კრიტიკული წერილების კრებული. პირველ ორ წერილში („ვეფხისტყაოსანი", როგორც მებრძოლი წიგნი" და „ვეფხისტყაოსნის" ეთიკა და სოციალური იდეალები"). ავტორი ღრმა ცოდნითა და დაკვირვებით გადმოგვცემს, თუ რა დაგვიხატა, რა შინაარსი ჩააქსოვა რუსთაველმა თავის გენიალურ ქმნილებაში. ვინ არიან ტარიელი, ავთანდილი, ნესტანი, შერმადინი და ასმათი. თითქოს ყველაფერი წაკითხული გვაქვს რუსთველოლოგების ნაწერებში, მაგრამ ვ. ხუროძე საყურადღებო აზრს გამოთქვამს ამ გენიალურ ქმნილებაზე.

ვარლამ ხუროძე ილია ჭავჭავაძის შემოქმედების განხილვის დროს სწორ პოზიციაზე იდგა, როგორც ეროვნული, ისე ბატონყმობის საკითხის გარჩევის დროს. ავტორის სამი წერილი, სადაც მას განხილული აქვს ილია ჭავჭავაძის შემოქმედება, ჩვენ გადმოგვეცემდეთ „ქართული ლიტერატურის თემატიურად განხილვიდან" და როგორც შენიშვნებში გვაქვს აღნიშნული, წერილები ერთმანეთისაგან გამოვყავით სამი ეარსკვლავით, რადგან ავტორს თავის წიგნში წერილები სხვადასხვა ადგილას ჰქონდა მოთავსებული. პირველ წერილში კრიტიკოსი ეხება ილიას ეროვნულ შეხედულებებს და წერს: „ილია ჭავჭავაძე ეროვნული გოდების უდიდესი გამომხატველია. თავისი დიდი ნიჭი, ღრმა ჭკუა და მძლავრი შემოქმედება მან სამშობლოს დაცვის იდეას ანაცვალა. მთელი თავისი სიცოცხლე ემსახურა იგი

შობელ ქვეყანას, რომელსაც „აჩრდილში“ მოხუცის პირით ეუბნება: „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა“. ჰეშმარიტად, მარად საქართველოსთან იყო ილია, ყოველ წუთს „მისი ბედით, თუ უბედობით ეწოდა გული“ და თავისი სისხლიც მოწამებრივად დაანთხია წიწამურის მიდამოებში“. ილიამ კარგად იცოდა საქართველოს ისტორია, მისი მძიმე წარსული, თავდასხმები, შემოსევები, უთანასწორო ბრძოლები, ერის კვნესა და გოდება, მაგრამ, როგორც სამართლიანად წერს კრიტიკოსი, „დიდი ხნის ტანჯვისა და გონებრივი ანალიზის შემდეგ ამ დასკვნამდე მივიდა:

მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა ბივსცეთ მომავალი ხალხს...

მართალია, „აწმყო არ გვწყალობს“, მაგრამ „მომავალი ჩვენია“.

ახლა შევეხოთ, თუ რას წერდა კრიტიკოსი ბატონყმობასთან მწერლის დამოკიდებულების შესახებ. „თათქარიძე — ისეთ არსებად გადაუქცევია ბატონყმობას, რომ მართლა საკითხავია: კაცია იგი თუ არა, ადამიანია, თუ პირუტყვი, ფიზიკურად ის ვეებერთელა ზორცი და ქონია, „ცით მონაბერი სული“ ამ ღირსეულ სამკაულს ერთნაირად ჩაეკლა და არაფერი ადამიანისა მასში არ არის. ზანტი, მოდუნებული, გამოყეყეჩებული, უტვინო, ცრუმორწმუნე, უვიცი, ღორმუცელა, შურიანი, — აი რას წარმოადგენს თათქარიძე, რომელიც ყმების ნაოფლარით ცხოვრობს, თვითონ არას ჰქმნის ცხოვრებისათვის, სხვის მიერ შექმნილს კი თავისი უსარგებლო სიცოცხლის განსაგრძობად ანადგურებს“. ბოლოს კრიტიკოსი დაასკვნის:

ა) თავადობა ერთიანად დაავადებული და გახრწნილი წოდებაა. იგი ერის ხორცმეტია. ეს წოდება ერთიანად ანტისოციალურია და უკან მიდის.

ბ) გლეხობა ჯანსაღი, ცხოვრების ღირებულებათა შემქმნელი, ერის დედაბოძი და მაცოცხლებელია. იგი უაღრესად სოციალური და პროგრესულია.

გ) ამ ორ წოდებათა შორის შეუბრალებელი ბრძოლაა, არსად დანდობა, არსად გატანა.

დ) ამ ბრძოლის დამწყები და გამამძაფრებელი მხოლოდ დაავადებული წოდებაა — თავადობა, რომელიც ერთიანად ჩაფლულია წოდებრივ ეგოიზმში და ქვეყანას დაღუპვისაკენ მიაქანებს. მისი ყოფაქცევა ერის დამღუპველია.

ასე აქვს წარმოდგენილი ილიას ქართველი ერის მდგომარეობა, როგორც ბატონყმობის დროს, ისე მისი გადავარდნის შემდეგ".

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ასეთი გარჩევისათვის, როგორც აღვნიშნეთ, ვარლამ ხუროძეს თავს ესხმოდნენ და ავიწროებდნენ, არა მარტო სკოლებში, არამედ მწერალთა კავშირშიაც. მე კარგად მახსოვს, ჯერ, როგორც მის მოწაფეს და შემდეგ კი მის მეგობარს, რომ მას მწერალთა კავშირში დისკუსიის დროს ერთმა ჭკუათხელმა კრიტიკოსმა შინაგანი ემიგრანტი უწოდა. ამ სიტყვებზე ვარლამს რეაგირება არ მოუხდენია და უხმოდ გასცილდა მას. კრიტიკოსი თავის აზროვნებაში, თავისი მსჯელობის სისწორეში ღრმად დარწმუნებული სტოიკურად ხვდებოდა ასეთ გამოხდომებს და არავის წინაშე ქედს არ იხრიდა.

ილიას შესახებ აქ ცოტა გამიგრძელდა საუბარი, მაგრამ მკითხველს მინდა გავახსენო აკაკის სიტყვები ილიას ცხედართან წარმოთქმული: „როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილიც შენი გახდა მიზეზად ხალხის ამოძრაებისა და, აჰა, საქართველოს ყოველი კუთხიდან თავმოყრილნი გეხვევიან გარს!.. და ვინ იცის, ეგება სიკვდილით მაინც განამტკიცო ის, რასაც შენი სიცოცხლე შესწირე: ერთობას, თანასწორობას, ძმობასა და სიყვარულს".

აკაკის, ლირიკა, აკაკის პოეზია მთელი ქართველი ხალხის სიმღერა იყო. არც ერთი ქართველი პოეტი ხალხთან, თავის ერთან ისე ახლოს არ ყოფილა, როგორც აკაკი წერეთელი. „ამიტომ იყო, — წერს ვარლამ ხუროძე, — რომ მთელი საქართველო, განურჩეველად წოდებისა და მიმართულებისა, სულგანაბული უსმენდა ნახევარი საუკუნის განმავლობაში ამ დიდებული მგოსნის ღაღადს.

ამიტომ არის აკაკი წერეთელი დღესაც ჩვენი დიდება და ეროვნული სიამაყის მწვერვალი.

და ასე იქნება მანამ, სანამ ამ ქვეყნად არსებობს საქართველო და მშვენიერება. ამ ორი ცნების შედეგება ჩვენ გვაძლევს აკაკის ხატებას".

ავტორი დიდი ცოდნითა და ღრმა დაკვირვებით განიხილავს ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის, გიორგი წერეთლის, იროდიონ ევდოშვილისა და სხვა ქართველი მწერლების შემოქმედებას, მათ დამოკიდებულებას, როგორც სოციალური, ისე ეროვნული პრობლემებისადმი.

ვარლამ ხუროძეს ლიტერატურის დანიშნულება, ლიტერატურის საგანი ფართოდ ესმის, ფართოდ გაეგება, რომ მწერალი არ არის ცხოვრების მარტო უარყოფითი მხარეების მშრალი აღმწერი, ლიტერატურა ასრულებს საზოგადოების ცხოვრების გარდამქმნელის როლს. კრიტიკოსი თავის ნაშრომში „წერილები ლიტერატურის შესახებ" მკაფიოდ და გარკვეეით წერს: „ხელოვნება არა მარტო

ცხოვრების სინამდვილის სარკეა, არამედ უდიდესი იარაღია ცხოვრების უკეთესმართობასთან საბრძოლველად. ცხოვრების უარყოფითი მხარეების დახატვა და იმავე დროს აქვე განახლების ნაპერწკლების აღმოჩენა, ზიზღი ბნელეთს, სალამი განთიადს, წყევლა და კრულვა მას, ვინც იდეალს შეურაცხყოფს, თავდადებითი ბრძოლა იდეალური ქვეყნის გასამეფებლად. აი, უდიდესი საგანი და დანიშნულება ხელოვნებისა".

მას კარგად ჰქონდა შეგნებული და შეცნობილი, რომ „პოეზია და საზოგადოდ ხელოვნება უდიდესი აგიტატორია, — ამაზე ძლიერ გულის განმგმირავ და მთელი სულიერი ცხოვრების ამაფორიაქებელ სიტყვას ვერც ერთ ტრიბუნიდან ვერ გაიგონებთ, — ხელოვნება უდიდესი რევოლუციონერია!" — დაასკვნის ავტორი.

გალაკტიონ ტაბიძის სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლის პირველ დღიდანვე ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ბევრი წერილი დაიბეჭდა პოეტის შემოქმედების შესახებ, მაგრამ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება იმ დროს ისე ფართოდ, ისე ღრმად არავის განუხილავს, როგორც ვარლამ ხუროძეს.

1919 წელს კრიტიკოსმა დაწერა წერილი „გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება", რომელიც ერთი წლის შემდეგ, 1920 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „ცისარტყელაში" (№ 2). ავტორს წერილში მთელი თავისი სიყვარული, მთელი თავისი განცდა ჩაუქსოვია. მე აქ არ ვეხები მარტო გალაკტიონ ტაბიძისადმი კრიტიკოსის დამოკიდებულებას, არამედ, საერთოდ, ხელოვნებისადმი მის დამოკიდებულებას. კრიტიკოსი იგივე მწერალია და ვარლამ ხუროძე აქ გამოჩნდა, აქ მოგვეელინა, როგორც მწერალი, მხატვარი და კრიტიკოსი: „ტაბიძის პოეტური ნიჭი, — წერს ავტორი, — იმდენად ძლიერი და მომჯადოებელია, რომ ყველას დაიმორჩილებს, თქვენ შეგიძლიათ არ გაიზიაროთ ტაბიძის მსოფლმხედველობა, მაგრამ იმას კი ვერ უარყოფთ, რომ მისი ლექსების კითხვის დროს სწორედ იმ გრძნობას განიცდით, რასაც თვითონ პოეტი განიცდიდა, სწორედ ისე უყურებთ მაშინ ამქვეყნიურ ცხოვრებას, როგორც მგოსანი... მუსიკისა და რითმის მხრივ ტაბიძის პოეზია უმაღლეს წერტილზე ასულად უნდა ჩაითვალოს. ამ მხრივ ტაბიძე პირდაპირ აკაკია". შემდეგ კრიტიკოსი წერს: „ტაბიძეს უთუოდ მოელის დიდი პოეტის გვირგვინი". ავტორი გალაკტიონ ტაბიძის პოეზიით ისეა გატაცებული, რომ მეჭაში მიმავალი მლოცველივით ხელები აღუპყრია და ბიბლიის სიტყვებით მკითხველს ეხვეწება:

„თქვენ გთხოვთ საკურთხეველიდან აღსაელის კარებში ბარძიმით ხელში მორწმუნეთა საზიარებლათ გამოსული მღვდელი, რომელიც მოწიწებით ამბობს: „შიშითა ღვთისითა და სარწმუნოებითა მოვედით". ასეთნაირად მეხატება თავის ნაწერებში მგოსანი, რო-

შელიც ღაღადებს: კრძალვითა ხელოვნებისათა და სიყვარულით მოხვედიო, და ეაი იმას, ვინც ბინძური გულით მიეგებება მას, ვინც შეურაცხყოფს პოეზიის წმინდათაწმინდას". ასე წერდა ვარლამ ხუროძე ამ 75 წლის წინათ და დღეს, ცოცხალი რომ იყოს, როგორ გაუხარდებოდა, რომ მისი აზრები, მისი სტრიქონები პოეტის მიმართ გამართლდა. გალაკტიონი იმ დიდ მწერალთა რიგებშია, რომელსაც ერის ლიტერატურის ისტორიაში სიკვდილი არ უწერია.

ვრცელი და მრავალფეროვანია ვარლამ ხუროძის კრიტიკული აზროვნების დიაპაზონი. ის არ კმაყოფილდება ამა თუ იმ მწერლის მარტო კრიტიკული განხილვით, იგი აგრეთვე თავის ნაწერებში ეხება ლიტერატურის თეორიის, სტილისა და ენერის საკითხებს.

ვარლამ ხუროძის კრიტიკული წერილები ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა იმუშაოს მკვლევარმა, კრიტიკოსმა მწერლის ტექსტზე, რომ მკითხველს ნათლად დაანახოს მწერლის მხატვრული აზროვნების სიღრმე, ნიჭი, საგნის სწორად განშვრეტისა და გაგების უნარი.

წინამდებარე კრებულში დაბეჭდილი ვარლამ ხუროძის რჩეული კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები მკითხველს ნათელ წარმოდგენას მისცემს ავტორის კრიტიკული აზროვნების ნიჭზე, საერთო ერუდიციაზე, იმ დიდ სიყვარულზე, ინტერესსა და სათუთ დამოკიდებულებაზე, რასაც კრიტიკოსი იჩენდა ქართული ლიტერატურისადმი.

„ვეფხისტყაოსანი“ როგორც მებრძოლი წიგნი

„მე იგი ვარ, ვინ სოფელსა
არ ამოეკრეფ კიტრად ბერად;
ვის სიკვდილი მოყვრისათვის
თამაშად და მიჩანს მღერად;
... ვინ დამბადა, შეძლებაცა
მანვე მომცა ძლეად მტერთად“.

ამ სიტყვებს ავთანდილი ამბობს. ეს არ არის უშინაარსო ქადილი: ბრწყინვალე რაინდის ყოველი სიტყვა საქმით არის გამართლებული. შოთა რუსთაველი, როგორც მგოსანი, უპირველეს ყოვლისა მებრძოლი შემოქმედია, ავთანდილი მისი იდეებისათვის თავდადებული რაინდია. „ვეფხისტყაოსანში“ დანთებულ კოცონს ავთანდილი აჩაღებს. ამ კოცონის ალია, საუკუნეთა მანძილზე რომ ანათებს და თავისკენ იზიდავს ყველას, ვისაც რაიმე მაღალი იდეისთვის უძგერს გული, ვისაც შეუძლია იგრძნოს საკაცობრიო იდეის სიდიადე და ვის არსებაშიც იმდენად ძლიერად სცემს სოციალური გრძნობის ანკარა წყარო, რომ კაცობრიობის დაჩაგრული ნაწილის გაბედნიერებისათვის იბრძოლოს, „მოყვრისათვის სიკვდილი“ „თამაშად“ და „მღერად“ მიიჩნიოს.

რუსთაველის ორეული, ავთანდილი, მაღალი ეთიკისა და სოციალური გრძნობების მატარებელი პიროვნებაა, რომელსაც სწამს, რომ ადამიანთა ურთიერთობაში „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“; იგი გმობს „კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა“. ეს მაღალი და ყოველი ადამიანის პიროვნების დამამშვენებელი გრძნობა უკარნახებს მას თავი დასდოს უბედურებაში ჩაეარდნილი ტარიელისთვის, ხელი აიღოს პირად ბედნიერებაზე და დაუშრეტელი ენერგიით ეძებოს ნესტან-დარეჯანი, რომელიც უდიდესი უსამართლობის მსხვერპლია.

ავთანდილი ყოველდღიურ ცხოვრებაშიც მაღალი ზნეობის ადამინია: შერმადინი, დაბალი ფენის ადამიანი, მან თავისი პიროვნების თანაბრად იცნო და გაზარდა „ვითა ძმა და ვითა შვილი“. ამ უბრალო ყმაში, მონაში, მან იმდენი ადამიანური თვისება ჰპოვა, რომ დროებით სამეფოც კი ჩააბარა, თავისთავს გაუთანასწორა. ყმა და მეფე— პრინციპულად ორივე თანაბარი არსებაა, — აი რუსთაველ-ავთანდილის შეხედულება იმ ეპოქაში, როდესაც ოფიციალური აზროვნება

ადამიანებად მხოლოდ მეფე — დიდებულებს სთვლიდა. ავთანდილი არ თაკილობს აგრეთვე ვაჭრებთან გაამხანაგებას, ვაჭრის ტანსაცმლისა და სახელის ტარებას. ამავე დროს ბოგანოთა და გლახაკთა შებრალება მისი ზნეობის ძირითადი დასაყრდენია.

ტარიელიც უმწიკვლო რაინდია, რომელმაც თავი გასწირა სატრფოს გულისათვის, „მისთვის დასთმოს ყველა კაი, მისთვის ველად გამოვარდეს". მონა ქალი ასმათი მის თვალში ისეთივე ადამიანია, როგორც ავთანდილისათვის ყმა შერმადინი. ასმათის პიროვნება მანაც მეფობის ღირსად სცნო, მისი ნამოქმედარი საზოგადოდ ადამიანის ყოველგვარ ნამოქმედარზე მაღლა დააყენა:

„რაცა შენ ჰქმენ, არ უქმნია
არ გამზრდელსა, არცა ზრდილსა". —

ეუბნება მას ტარიელი.

„თუცა ქალია, ხელმწიფედ,
მართ ღმრთისა დანაბადია,

... ღვაკი ლომისა სწორია,
ძუ იყოს, თუნდა ხვადია".—

ასე უთხრეს ვაზირებმა როსტევან მეფეს თინათინის გამეფების შესახებ. მათ თანასწორად აღიარეს მამაკაცი და დედაკაცი. ამ ეაზირთა შორის, ალბათ, ავთანდილიც იყო, რომელმაც მონა მამაკაცი და მეფე ერთმანეთისაგან არ განასხვავა, მაშასადამე, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის გვერდით, მან პატრონისა და ყმის თანასწორი ადამიანობაც აღიარა. ყველა ამათ მხარს უმშვენებს აგრეთვე ტარიელი, რომელიც ასმათის პიროვნებას ეგზომ მაღლა აყენებს.

ფრიდონიც შეუბღალავი რაინდია, რომლის ეთიკა არაფერში არ ჩამოუვარდება ტარიელისა და ავთანდილისას.

რუსთაველის მეფე-დიდებულთა მორალი და ჰუმანიზმი უაღრესად კეთილშობილური ხასიათისაა, პირადი ყველგან გზას უთმობს საზოგადოებრივს:

„მეფეთა შიგან სიუხვე,
ვით ედემს ალვა, რგულია...
... რასაცა გასცემ, შენია;
რას არა, დაკარგულია!...

უხვად გავსცემდეთ, ვავსებდეთ,
სიძუნწე უმეცრულია..." —

ასეთია მათი სამოქმედო ლოზუნგები, დევიზები წარწერილი მათს დროშებზე.

ეს იდეები კლასობრივ საზოგადოებაში წარმოშობილი იდეებია, მაგრამ მათი ნიშანდობლივი თვისება შორდება კლასობრივ გან-

საზღვრულობას, შოთას გენიას არ შეუძლია ვიწრო წრეში მომწყვდევა, არ შეიძლება მისი იდეების კლასის საზღვრებში ლოკალიზება.

გაბატონებულად ითელება უკვდავი პოემის დედააზრის ასეთი განმარტება: შოთა აქებს და ადიდებს იდეალურ სიყვარულს ქალისადმი, მეგობრობას, ძმობას, მოყვრისთვის თავდადებას, შოთა სიტყვის გენიალური ოსტატია... მაგრამ... ზემონათქვამი მაინც ვერ ახსნის სავსებით შოთა რუსთაველის მნიშვნელობას, ვერ ახსნის იმ როლს, რომელიც „ვეფხისტყაოსანმა" წარსულში შეასრულა და დღესაც ასრულებს ჩვენს ცხოვრებაში.

მარქსი და ენგელსი ამბობენ, გაბატონებული კლასის იდეები მოცემულ დროში მთელი ეპოქის გაბატონებულ იდეებს წარმოადგენენო. მაშასადამე, ავთანდილისა და სხვა პერსონაჟების მიერ გამომჟღავნებული კლასობრივი მორალი და იდეები მთელი ერის, ე. ი. ყველა ფენისთვის მისაღებ მორალად და იდეებად არის პრესაში განსახიერებული.

პოეტმა მშვენივრად იცის, რომ საზოგადოება კლასებად არის დაყოფილი და ამ კლასთა შორის სიძულვილი არსებობს; იცის, რომ მონები პატრონების წინააღმდეგ ხშირად ხმალს მიმართავენ...

ამიტომ უნდა შეიქმნეს რაღაც ჰარმონიული საზოგადოება, სადაც ყველანი ბედნიერნი იქნებიან.

ასეთი საზოგადოების დაარსებაზე ოცნებობდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-5 საუკუნეში მცხოვრები საბერძნეთის ფილოსოფოსი პლატონი, ამაზე ოცნებობდნენ ძველი „ქრისტიანი კომუნისტები". „ქრისტეს ასწლოვანი" მეფობის, ანუ ამქვეყნიური სამოთხის, განხორციელებაზე ფიქრობდნენ ე. წ. ხილიასტური მოძღვრების მიმდევარნი. ყოველივე ეს უტოპია იყო, ხშირად რეაქციულიც, მარქსის შეფასებით, მაგ., პლატონის „კომუნიზმი" ეგვიპტური კასტურ-მონური საზოგადოების „ათინური იდეალიზაცია იყო", მაგრამ თავისი სუბიექტური მიზნებით უსათუოდ რევოლუციური, ვინაიდან არ კმაყოფილდებოდა იმით, რაც იყო და უკეთეს მერმისს ეძებდა „დაკარგულ სამოთხეზე", პირველყოფილ კომუნიზმზე ოცნებისათვის არასოდეს არ დაუნებებიათ თავი კაცობრიობის საუკეთესო შვილებს, რომელთა შორის შოთა რუსთაველსაც ბრწყინვალე ადგილი უჭირავს.

შოთას გმირები რომ სიყვარულისა და მეგობრობისთვის იბრძვიან, ამის უარყოფა ვის შეუძლია? რუსთაველი ხომ გენიალური მხატვარია, მაგრამ არც სიყვარული, არც მეგობრობა და, მით უმეტეს, არც დიდებული სტილი შოთასათვის მიზანს არ შეადგენს, ყოველივე ეს არის საშუალება დიდი იდეისთვის, რომელიც შარავან-

დედის გვირგვინს ადგამს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს და მთელ მის შემოქმედებას.

ნესტან-დარეჯანი გამოხსნილია, ტარიელს და მის სატრფოს „მიხვდა მათი საწადელი“, ბოროტება დაითრგუნა, ფარსადანებისა და დავარების ავად ნამოქმედარი გასწორდა, ავთანდილიც გაბედნიერდა თინათინთან შეყრით, ბედნიერია ასმათ, ბედნიერია შერმადინ, მაგრამ საქმე ამით როდი მთავრდება. აქ რომ წერტილი დასმულიყო, „ვეფხისტყაოსანი“ ბევრს დაჰკარგავდა, მისი მნიშვნელობა არ იქნებოდა ასე ძლიერი და ჯადოსნური, მის იდეურ შინაარსს არ ექნებოდა სისრულე და შარავანდედით მოსილი ლოგიკური დასასრული. პოემის ბოლოში შოთა გვამცნობს, რომ

„მათ სამთავე ხელმწიფეთა
ერთმანერთი არა სძულდეს,
ერთმანერთსა ნახვიდიან,
საწადელნი გაუსრულდეს,
ბრძანებისა შემცილენი
მათთა ხრმალთა და-ვე-წყულდეს,
მოიმატნეს სამეფონი,
გახელმწიფდეს, გამორჯმულდეს“.

მაშასადამე, ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი უძლიერესი სამეფოების მპყრობელნი არიან... და ეს სიძლიერე მათ გამოიყენეს თავიანთი სამეფოების გასაბედნიერებლად:

„ყოელთა სწორად წყალობასა,
ვითა თოელსა მოათოვდეს,
ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს
და გლახაკნი არ ითხოვდეს,
ავთა მქმნელნი დააშინნეს,
კრაკნი ცხვართა ვერ უწოვდეს,
შიგან მათთა საბრძანისთა
თხა და მგელი ერთად სძოვდეს“.

პროზაულად რომ ვთქვა, ამ ძლიერ და ბედნიერ მეფეთა მიერ გაცემულ მოწყალებას ქვრივ-ობლები და ბოგანონი გაუმდიდრებია, ავის მქმნელნი და ხალხის ცხოვრების ხელისშემშლელნი დაუთრგუნავს, მდიდარი და ღარიბი ქონებრივად შეურიგებია, უკვე არ არის მათ შორის ბრძოლა, თხა და მგელი ერთად სძოვენ; ერთი სიტყვით, შექმნილია ჰარმონიული საზოგადოება, სადაც ყველა კმაყოფილია და არავინ ბედს არ ემდურის.

როდესაც როსტევანი და „ვეფხისტყაოსნის“ სხვა მეფეები სიუხვეს იჩენდნენ მოწყალების გაცემით, ეს თითქოს პატარა მასშტაბის ქველმოქმედება იყო, ხოლო, როდესაც რუსთაველის სათაყვანო გმირებმა გაიმარჯვეს და სამეფო ტახტებზედაც დამკვიდრდნენ, მათი ქველმოქმედება მთელ სამ სამეფოზე გავრცელდა: სიყვარულისა და

მეგობრობისათვის მებრძოლებმა გამარჯვების შემდეგ ჰარმონიის, სიყვარულისა და მუდმივი მეგობრობის სამეფოები შეჰქმნეს.

ჩვენ ვიცით, რომ არაფერი ამის მსგავსი სინამდვილეში არ მოხდებოდა, მაგრამ ის კი ცხადია, რომ შოთას სურდა ასე მომხდარიყო, ვინაიდან ეს იყო მისი სოციალური იდეალი. ეს დიდი მოაზროვნე, რომელიც თავის ეპოქაში ყველაზე დიდად გრძნობდა სოციალურ უსამართლობას და კლასობრივი საზოგადოების წინააღმდეგობებს, ვერ კმაყოფილდებოდა არსებული ვითარებით და ოცნებობდა იმ დროის დადგომაზე, როდესაც ხალხის საუკეთესო ადამიანები, მაღალი ზნეობისა და აზრების მატარებელი პიროვნებები ჩაიგდებენ ხელში მეფობას და გააბედნიერებენ მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა. ეს იყო შოთას საოცნებო საგანი და მისი საყვარელი გმირებიც ამ იდეალებისთვის იბრძვიან...

და სწორედ ამ მაღალმა და საბრძოლო იდეამ გახადა „ვეფხისტყაოსანი" ქართველი ხალხის უსაყვარლეს ნაწარმოებად. „ვეფხისტყაოსნის" იდეა მუდამ საბრძოლო იდეა იყო და, როგორც ასეთი, ყოველთვის იტაცებდა უკეთესი მერმისისთვის მებრძოლებს, იმათ, ვინც არ იყო არსებულით კმაყოფილი და ვინც მუდამ იბრძოდა ნესტან-დარეჯანის გამოსახსნელად — დასახული იდეის მისაღწევად. „ვეფხისტყაოსანი" უპირველეს ყოვლისა ბრძოლის სულით გაჟღენთილი წიგნია: ის იბრძვის ქალთა თანასწორობისათვის, ის გვიჩვენებს იდეალურ დამოკიდებულებას ყმასა და ბატონს შორის, როდესაც ხორცს ისხამს ყოველგვარი მდგომარეობის ადამიანთა თანასწორობის იდეა, ის აქებს და ადიდებს ავთანდილის მუდამ მაძიებელ სულს და, ბოლოს, გვაჩვენებს იმ ფეერიულ სამეფოს, რომელიც შეადგენს შოთას იდეალს, — სამეფოს ჰარმონიულს და ყველასათვის ბედნიერად საცხოვრებელს.

ეს ბედნიერებით აღსავსე ჰარმონიული საზოგადოება ამქვეყნიური მოვლენაა, არაფერი საერთო არა აქვს მას ორტოდოქსალური ქრისტიანობის „იმქვეყნიურ ბედნიერებასთან", სამოთხესთან.

ამ დასკვნის გაკეთებით რუსთაველი საბოლოოდ გამოეთიშა საშუალო საუკუნეების ქრისტიანულ სქოლასტიკას. მისი საყვარელი გმირების საბრძოლო იდეალები თავიდან ბოლომდე მატერიალური ხასიათისაა, ამქვეყნიურ იდეალებს ემსახურება: არსად რელიგიური მიზნები, არსად სარწმუნოებისთვის ბრძოლა. ქრისტიანული რელიგიის თვალსაზრისით, საქაო ცხოვრება „საიქაო ცხოვრებისათვის" მოსამზადებელი საშუალებაა. შოთამ კი შეაბრუნა ეს იდეალი: ღმერთი და მისდამი რწმენა ამქვეყნად ჰარმონიული საზოგადოების დასამყარებლად გამოიყენა, რელიგიის მიხედვით ადამიანი საშუალებაა, შოთას რწმენით კი ადამიანი მიზანია... ასე დაშორდა რუსთაველის იდეოლოგია ქრისტიანულ მოძღვრებას. ყოველგვარ ეჭვს გა-

რეშეა ისიც, რომ ბოროტი ძალა — ფარსადანების და დავ[illegible]ის მომხრენიც — შოთას იდეების მდევნელი იქნებოდნენ.

...და ამიტომაც იდევნებოდა „ვეფხისტყაოსანი“ ბნელეთ[illegible] მოციქულთა მხრივ... მაგრამ შოთას ბრწყინვალე იდეალები ვერ[illegible]ფერმა ვერ დაჩრდილა.

„ვეფხისტყაოსნის“ ეთიკა და სოციალური იდეალები

„ვეფხისტყაოსანი“ ძველი საქართველოს უნივერსალური ენციკლოპედიაა. იგი შექმნილია ერთი პიროვნების მიერ, მაგრამ ამ პიროვნების მხატვრული ნიჭის სიღრმე და განჭვრეტის უნარი განუსაზღვრელია.

შევეცადოთ ამ ენციკლოპედიიდან ამოვიკითხოთ მისი ავტორის აზრი იმის შესახებ, თუ როგორი ურთიერთობა უნდა იყოს ადამიანთა შორის და რაგვარად უნდა იყოს მოწყობილი მისი მომავალი საზოგადოებრივი ცხოვრება.

როსტევან მეფემ ასეთი დარიგება მისცა ტახტზე აყვანის დღეს თავის ქალს — თინათინს:

„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან
მზე სწორად მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა
შენმცა ნუ მოგეწყინების“.

ასე ესმოდა შოთას მეფობა და მეფის როლი. მისი წინამორბედნიც — იოანე შავთელი, ჩახრუხაძე და სხვები ამ თვალსაზრისზე იდგნენ.

ძლიერი ჰუმანურ-საზოგადოებრივი გრძნობა ახასიათებთ დიდებულებსაც — ავთანდილს და ტარიელს. განსაკუთრებით გამოირჩევა თავისი მაღალი და კაცთმოყვარული გრძნობა-აზრებით ავთანდილი, რომლის ცალკეული აზრები და ანდერძი ზნეობის ნამდვილ კოდექსს წარმოადგენს.

ზნეობის კანონები, ეთიკა, კოლექტივთან ან პიროვნებასთან ურთიერთობაში მოითხოვება. ამ დროს, ავთანდილის აზრით, სიცრუე, ღალატი და პირადი კეთილდღეობის წინ წამოყენება „თავია ყოვლისა უბედობისა“, ადამიანთა გამთიშველი და საზოგადოებრიობის დამრღვეველი.

ავთანდილმა იცის თავისი ადამიანური მოვალეობა არა მარტო ნებაყოფლობითს სფეროში — ძმადნაფიცულისა და მეგობრის მიმართ, არამედ სახელმწიფო ორგანიზაციის წარმომადგენლის წინაშეც. იგი თავისი ზნეობით და მოქმედებით სახელმწიფოებრივი იდეის, ე. ი. უმაღლესი საზოგადოებრივი ორგანიზაციის, ერთგული

ის ნამდვილი სახელმწიფოებრივი ეპოქის ადამიანია, მასამალიც კი არ არის თემური დროის ადამიანის თვისებებისა, კეთ ერობის ცნებიდან მის არსებაში არაფერი არ დარჩენილა. ამიტომ ' ის, რომ იგი ასეთ აზრს გამოთქვამს:

ჰხამს მეფეთა ერთგულება,
ყოფა გემართებს ყმასა — ყმურად".

ავთანდილის ეთიკა კლასობრივია, ეს ურყევი მოელენაა კლასობრივ საზოგადოებაში. ავთანდილი მარტო ისეთ მორალს როდი ქადაგებს, რომელიც მეფეებს და დიდებულებს უნდა ახასიათებდეს, იგი საყოფაქცევო კანონს, სამოქმედო ეთიკურ პრინციპებს აძლევს აგრეთვე კლასობრივად მოწინააღმდეგე ფენებსაც — ყმებს და მონებს:

„ეით მოიხმაროს მონამან
პატრონსა ზედა ხრმალია".

საიდან გამომდინარეობს და რას ეყრდნობა რუსთაველის ეთიკა? ემპირიული ხასიათისაა იგი და ადამიანთა შორის არსებულ ურთიერთობიდან გამომდინარეობს თუ ზებუნებრივია?

„უხვსა ჰმორჩილობს ყოველი,
იგიცა, ვინ ორგულია...
რასაცა გასცემ შენია,
რას არა — დაკარგულია",

აშკარაა, რომ რუსთაველის ეთიკური კანონი — „რასაცა გასცემ შენია, რას არა — დაკარგულია" განსაზღვრულ ურთიერთობაშია წარმოქმნილი, მიწიერია და არა ზეციური, ადამიანთა ურთიერთობის ნიადაგზეა აღმოცენებული და არა ღვთის მიერ შთაგონებულ „უმაღლეს ზნეობრივ მცნებას" წარმოადგენს.

მაგრამ „ვეფხისტყაოსანში" არის ისეთი ადგილებიც, სადაც აშკარად ჩანს აპრიორიც, წინასწარგანსაზღვრულობა, ბუნებრივი ძალის მოქმედებაც. მიჯნურობა მეუფისაგან მონიჭებული თვისებაა და მისი წესებიც, — ე. ი. მიჯნურის ეთიკა და რეგულირებაც — ღვთის მიერ არის დაწესებული:

„ღმერთო, ღმერთო, გეაჯები,
რომელი ჰფლობ ქვეყნად ზესა,
შენ დაბადე მიჯნურობა,
შენ აწესებ მისსა წესსა". —

ამბობს ავთანდილი. სიცრუვე და ღალატი, რაც ძირს უთხრის კაცთა შორის კეთილი ურთიერთობის განმტკიცებას, იმავე დროს ღვთის გმობაც არის:

„ყოელი ცრუ და მოღალატე
ღმერთსა გმობს და ეგრე ცრუობს“.

გამოდის, რომ კაცთა შორის არსებული ერთგულობა და პირიანობა ღვთის მიერ დაწესებული მცნებებია.

ავთანდილი გაიპარა ტარიელის მისაშველებლად. გაპარვაც ღვთის საწყენი საქმეა, მისი მცნების დარღვევაა: „გამოპარვით წამოსვლითა“ ღვთისგან „კარგს არას მოველი“. — ამბობს იგი. ღვთაება, „ვეფხისტყაოსნის“ გაგებით, ყოველგვარი ავისა და კარგის წყაროა. ავთანდილი ასე ლოცულობს:

„ზოგჯერ მამცემო პატიჟთა,
ზოგჯერ კეთილთა მზათაო,
უცნაურო და უთქმელო,
უფალო უფლებათაო“.

აშკარაა, რომ ადამიანთა ყოფაქცევის ხელმძღვანელი და ზნეობრივი წესების მომცემი, ამ სიტყვების მიხედვით, ღვთაებრივი ძალაა.

ამნაირად, „ვეფხისტყაოსნის“ ეთიკა, ერთი მხრით, ემპირიულ მოვლენებს ეყრდნობა, მეორე მხრივ — ზეემპირიულს, ერთი აზრით, ადამიანთა მიერია, მეორეთი — ღვთისმიერი.

„ვეფხისტყაოსანი“ ფეოდალური ქრისტიანული საქართველოს ეთიკის წიგნია, რაინდულ-ქრისტიანული ზნეობის კოდექსია. მაგრამ შოთას ქრისტიანიზმი არ არის ორტოდოქსალური.

ფილოსოფიის ისტორიაში ცნობილია, რომ ანტიურმა ბერძნებმა მაშინ მოჰკიდეს ხელი ეთიკის საკითხების დამუშავებას, როცა მათი ცხოვრება გართულდა და მრავალფეროვანი გახდა. ეს მოხდა ირანელებზე გამარჯვების შემდეგ (მე-5 ს. ქრ. წინ).

ამ მომენტიდან საბერძნეთში სრულიად ახალი და მრავალწახნაგოვანი ცხოვრება წარმოიშვა: ადამიანთა შორის ურთიერთობა ძალზე ძნელი მოსაგვარებელი შეიქნა, აზროვნება ერთიანად პრაქტიკულ საკითხებზე გადავიდა, სოციალური მოვლენების გამოსარკვევად მოიმართა; ძველად გაბატონებული ნატურ-ფილოსოფია იჩრდილება და პირველ რიგში ადამიანისა და მისი ცხოვრების შესწავლა დგება. ამ ეპოქაში მცხოვრებმა სოკრატემ (469—339 ქრ. წინ.) სთქვა, რომ ხეები კი არ შესძენენ მას ცოდნას, არამედ ადამიანები, რომელნიც ქალაქში ცხოვრობენ.

„ვეფხისტყაოსნის“ კლასობრივი ეთიკა უაღრესად განვითარებული და გართულებული ცხოვრების პროდუქტია. იგი აჯამებს იმ დიად ისტორიულ წარსულს, რომელიც ძველ საქართველოს ჰქონია, ამასთან წარმოდგენას გვაძლევს იმ სოციალურ ფუნქციაზე, რომელსაც ეს უკვდავი პოემა ასრულებდა თავის ეპოქაში.

აშკარაა ისიც, რომ ეს ეთიკა არ არის კლასობრივად შეზღუდული და შემოფარგლული. მარქსისა და ენგელსის აზრით, გაბატონებული კლასის იდეები მოცემულ დროში მთელი ეპოქის გაბატონებულ იდეებს წარმოადგენენ, მაშასადამე, შოთას აზრები არის მთელ ხალხში გაბატონებული იდეებიც.

რუსთაველს არ შეუძლია მოთავსდეს კლასობრივად შეზღუდულ და წოდებრივად ლოკალიზებულ აზრთა მიმდინარეობაში. მისი მძლეთამძლე არსება მთელ ქვეყანას უნდა გადაჰყურებდეს. ამიტომ არის, რომ რუსთაველი საერთო საკაცობრიო აზრებს გამოსთქვამს, ისეთ აზრებს, რომლებითაც ყოველი კლასის, მდგომარეობისა და ერის ადამიანს შეუძლია იხელმძღვანელოს.

ამავე დროს რუსთაველი ხედავს კლასობრივი საზოგადოების ტკივილებს, კლასობრივ ჩაგვრაზე აღმოცენებულ სიძულვილს და კაცთა გათიშვას, მტრობას, ამას ვერ ურიგდება მისი ფართო შეგნება, მისი გენია და, როგორც კაცთმოყვარული გრძნობებით დატვირთული არსება, ის შეტრფის წოდებათა მშვიდობიან დამოკიდებულებას:

„სჯობს ყოველთა მოყვარულთა
პატრონ-ყმანი მოყვარულნი“, —

ამბობს იგი.

რუსთაველი პრაქტიკაშიც გვიჩვენებს ერთმანეთის მოყვარულ პატრონ-ყმებს, ესენი არიან ავთანდილი და შერმადინი, ტარიელი და ასმათი.

შერმადინისა და ასმათის პიროვნებებში ავთანდილი და ტარიელი უპირველეს ყოვლისა, ადამიანურ ღირსებას ხედავენ, მათ პიროვნებებს ისე აფასებენ, რომ სამეფოებსაც კი ანდობენ სამართვაგამგეოდ. ეს იმას ნიშნავს, რომ პატრონი და მონა მათ ადამიანებად მიაჩნიათ, ერთნაირად გონიერ და ღირსეულ არსებებად სთვლიან ისინი.

კლასობრივი ეგოიზმი და შეზღუდულობა,შოთას რწმენით, უნდა გადალახოს სიყვარულმა, ადამიანის ადამიანისადმი ერთგულებამ და, საზოგადოდ, კაცობრიულმა გრძნობებმა, სოციალობამ.

რუსთაველს თავისებური კონცეფცია აქვს: უნდა სიყვარულის მეშვეობით უწამლოს სოციალურ უბედურებას, ეთიკის გზით ცდილობს იგი კლასობრივი ბრძოლის შენელებას. „ვეფხისტყაოსანი“ თავიდან ბოლომდე ამ შემარიგებლობითი გრძნობებით არის გაჟღენთილი. კლასობრივად გაყოფილ საზოგადოებაში შოთას ყოველთვის ერთგვარი შემათანხმებელი და ჰუმანიური მორალი შეაქვს. იგი ხედავს, რომ ადამიანთა ცხოვრება მოუწესრიგებელია, ადამიანი ვერა გრძნობს თავს ბედნიერად:

„ანღა ეცან, საქმე სოფლისა
ზღაპარია და ჩმახია“.

მაგრამ შოთას ისიც სწამს, რომ:

„ჟირსა შიგან გამაგრება
ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა“.

ამიტომ მისი პოემაც ბრძოლის სულით გაჟღენთილი ქმნილებაა: ბოროტებას ებრძვის სიკეთე, ადამიანთა გამაბედნიერებელი უდიადესი გრძნობა — სიყვარული.

დამარცხდა ფარსადანისაგან მომდინარე ბოროტება, ბედნიერების ემბლემა — ნესტანი — გამოხსნილია. სიყვარულმა ყველგან გაიმარჯვა: შეერთდნენ თინათინიცა და ავთანდილიც...

და კიდეც ჩადგა ორი სახელმწიფო ახალ კალაპოტში. ამათ შეემატა მესამე სამეფოს — ფრიდონის სამეფოს ბედნიერება. გამარჯვებულმა სიყვარულმა და მეგობრობამ სამი სახელმწიფოს ცხოვრება ერთიანად გარდაქმნა და გააბედნიერა:

მათ სამთაევ ხელმწიფეთა
ერთმანერთი არა სძულდეს,
ერთმანერთსა ნახვიდიან,
საწადელნი გაუსრულდეს,
ბრძანებისა შემცილენი
მათთა ხრმალთა და-ვე-წყულდეს,
მოიმატნეს სამეფონი,
გახელმწიფდეს, გამორჩულდეს“.

სამი სამეფოს სახელმწიფოებრივად და პოლიტიკურად განმტკიცებამ მათი საშინაო ცხოვრების გარდაქმნა და სასურველი მოწესრიგება მოახდინა:

„ყოველთა სწორად წყალობასა,
ვითა თოვლსა მოათოვდეს,
ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს
და გლახაკნი არ ითხოვდეს,
ავთა მქმნელნი დაშინნეს,
კრავნი ცხვართა ვერ უწოვდეს,
შიგან მათთა საბრძანისთა
თხა და მგელი ერთად სძოვდეს“.

„ვეფხისტყაოსნის“ ეს ადგილი ასრულებს და აგვირგვინებს იმ ეთიკას, რომელიც მთელი პოემის შინაარსისათვისაა დამახასიათებელი.

გადაჭრით შეგვიძლია იმის თქმა, რომ სინამდვილეში ასეთნაირი გარდაქმნა მაშინ არ მოხდებოდა, მაგრამ ის კი ცხადზე უცხადესია, რომ შოთა რუსთაველს უნდოდა ასე მომხდარიყო, ვინაიდან ასეთნაირად გაბედნიერებული სახელმწიფოები შეადგენდნენ მის

იდეალს. ჩვენი დროის ტერმინებით, რომ გამოეთქვათ, შოთას სწადდა სოციალური ჰარმონიის შექმნა, შექმნა ერთნაირად კმაყოფილ ადამიანთაგან შემდგარი სახელმწიფო ორგანიზმისა, სადაც არ არის კლასობრივი ბრძოლა და ყველა ერთნაირად კმაყოფილია.

ამიტომ სრულიად ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ შოთა რუსთაველი, როგორც თავისი დროის უდიდესი პროგრესიულად და ჰუმანისტურად მოაზროვნე, თავის საყვარელ გმირებს მიაწერს ყველაფერ კარგს და ყოველგვარი დიდებული საქმის შესრულებას.

რუსთაველის იდეალური სახელმწიფო ამქვეყნიურია და მას სრულებით არ გადაჰკრავს რელიგიურ-მისტიკური ხასიათი. გამოდის, რომ ადამიანთა არსებობის მიზანი ამქვეყნიური ცხოვრების მოწყობაა და არა იმქვეყნიური იდეალი, არა სულის ცხონებაზე ფიქრი, რასაც ასე თავგამოდებით ქადაგებდა ქრისტიანული საზოგადოება. მართალია, რუსთაველის მსოფლმხედველობა, როგორც დავინახეთ, ქრისტიანულ დუალიზმზეა დამყარებული — კომპრომისულად ცდილობს სულისა და მატერიის, იდეალისტურისა და მატერიალისტურის შეთავსებას, მაგრამ მთელი პოემის სივრცეზე მატერიალისტური საწყისი ჭარბობს.

სასულიერო წოდების მხრით „ვეფხისტყაოსნის“ დევნის მთავარი მოტივი აქ უნდა ვეძებოთ და არა სხვა რამეში.

რუსთაველმა მრავალი თაობა აღზარდა ამ ბედნიერ საზოგადოებისთვის მებრძოლთა ჰანგებზე და სწორედ ამიტომ არის, რომ მთელი ხალხი აღტაცებით იგონებს მას.

შოთა რუსთაველის საკაცობრიო ბედნიერებისთვის მომართული ჩანგის ჟღერა მხოლოდ სოციალიზმის მშენებელმა ეპოქამ შეაფასა შესაფერისად. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი, როგორც უმაღლესი კაცობრიული ეთიკის მქადაგებელი და კაცთა შორის ბედნიერების დასამყარებლად მღაღადებელი მგოსანი, დიდების გვირგვინით დგას მსოფლიოს მოწინავე მოაზროვნეთა და მებრძოლთა პირველ რიგებში.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

(1817—1845)

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებასაც ის ატმოსფერო ჰკვებავდა, რომელშიაც აღიზარდნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი. მოაზროვნე ადამიანისათვის საშინელი უდროობისა და მარტოობის დრო იყო ეს ხანა, როდესაც ქართული ეროვნული გემი ნელ-ნელა და შეუმჩნევლად იძირებოდა.

„ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმის სიამოვნება რა არის ამ საძაგელს

ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენც იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ. — არ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე მამძულებია ამდენის მარტოობით, შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში!" — ასე შესანიშნავად და მოკრძალად ახასიათებდა ბარათაშვილი თავის დროს და საკუთარ სულიერ განწყობილებას.

ამ უსაგნობამ და ობლობამ ტრაგიკულ განმარტოებამდე მიიყვანა ბარათაშვილი, რომლის ძლიერმა სულმა ღრმად ჩაიყურყუმელავა თავისავე „მე"-ში. ზეზეული და მსუბუქად მოაზროვნე ადამიანი უსათუოდ შეეწყობოდა ამ უდროობის ხანას, ის არ ეტყოდა თავის თავს, „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოსო". მაგრამ ბარათაშვილის აქტიური არსება მოწამლულმა გარემომ სულ სხვა გზაზე შეაყენა და მისმა მდიდარმა სულიერმა სალარომ უდიდესი პროტესტი და ბრძოლა გამოუცხადა შემმუსვრელ გარეშე პირობებს. ამიტომაც მისი შემოქმედების დედაძარღვი სულ სხვა სიერცეში იქნა გადატანილი: მისი ნიჭის ხომალდი ფილოსოფიური საკითხების ზღვაში გაცურდა საკმაოდ მძლავრი ხელით.

ამის შესახებ ჩვენ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. აქ კი ნ. ბარათაშვილის შემოქმედების ეროვნულ მოტივებს შევეხებით.

ნ. ბარათაშვილმა ეროვნულ საკითხს „ბედი ქართლისა" და ორი ლექსი — „საფლავი მეფის ირაკლისა" და „მწირი და სუმბული" უძღვნა. ამ თხზულებებში ბარათაშვილი უმთავრესად იმ საკითხს არკვევს, თუ რამდენად აუცილებელი იყო რუსეთთან საქართველოს შეერთება.

პოეტს სწამს, რომ სუმბული უცხო მხარეში ვერ იხეირებს:

„მწირო, ხომ ხედავ, მოეჰკლებივარ ჩემს სამშობლოს გულს,
ჩემთ სწორთა ყვავილთ, მშვენიერს ცას და ჩემსა ბულბულს".

ამიტომაც, დასძენს იგი:

„მაგრამ ამას ეწუხ, რომ უჟამოდ მეღების ბოლო!"

ამავე აზრს გამოსთქვამს იგი „ბედი ქართლისაში", სადაც სოფიო ამბობს:

„უცხოობაში რაა სიამე,
სადაცა ვერ ვის იკარებს სული
და არს უთვისო, დაობლებული?
რა ხელ-პყრის პატივს ნაზი ბულბული,
გალიაშია დატყვევებული...
ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება,
თუ მოაკლდება თავისუფლება?..."

ეჭვს გარეშეა, რომ მგოსანი სოფიოს აზრებს თანაგრძნობით ეპყრობა:

„ეროი, დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა ტაბილისახსოვარნო!
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
სულიცა თქვენი გამოეყოლოდათ?“

ასე შენატრის ამ სიმპათიურ მანდილოსანს მგოსანი, მაგრამ ისიც ცხადია, რომ პოეტი ფატალურად იხრის ქედს ერეკლეს წინაშე და ამბობს:

„დიდი ხანია გულს ირაკლისა
გარდუწყვეტია ბედი-ქართლისა!“

ალბათ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ სოლომონ მსაჯულის აზრებშიც ერთგვარი წინააღმდეგობაა და ბოლოს აქაც ასეთივე დასკვნაა გაკეთებული.

„მაგრამ შენ, მეფევ, ეინ მოგცა ნება
სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება.
მისდევდე შენსა გულისკვეთებას
და უთრგუნვიდე თავისუფლებას?
შენ ერმან მოგცა პირველ ღირსება,
რათა დაუცვა ყოფა-ცხოვრება,
და რად ეიწყებ, რომე მარადის
ერსა ეკუთვნის გულის თქმა მეფის“.

ამ სიტყვებიდან პირველად გამოდის, რომ მეფე მართავს „წყალობითა ხალხისათა“, ამიტომ მხოლოდ ხალხის მიერ გამოთქმული სურვილი უნდა აასრულოს მან. მაგრამ ქვევით მოყვანილი სიტყვები კი აშკარად ჰყოფენ, რომ მეფე ეგების „წყალობითა ღვთისათაც“ კი მოქმედებს:

„მაგრამ ეინ იცის! იგი იქნება
უკეთ ფიქრობდეს, რაც გვეეპირება,
ბეერჯერ ღვთიურსა ზრუნეასა მეფის
გონება ყმათა ვერა მიხედების!“

ასე ფიქრობს სოლომონი. აშკარაა, რომ პოეტიცა და სოლომონიც ერთნაირად აზროვნობენ. ე. ი. რუსეთთან საქართველოს შეერთებას აუცილებელ აქტად აღიარებენ. თუმც ეს გარემოება სრულებით იმას არ მოასწავებს, რომ ბარათაშვილი საქართველოს ბედს სამუდამოდ გადაჭრილად სთვლიდეს და მისი მდგომარეობა არ აღონებდეს. ფაქტის აღიარება სრულებითაც არ ნიშნავს მის სამუდამოდ დადასტურებას. შეიძლება კაცმა ფაქტი ცხოვრების ერთ საფეხურზე პროგრესიულ მოვლენად აღიაროს და იმავე დროს ამ გამოსავალ წერტილიდან ამავე ფაქტის საწინააღმდეგო ბრძოლა დაიწყოს.

„ბედი ქართლისა“-ში გამოთქმულმა იდეამ გაგრძელება ჰპოვა ლექსში: „საფლავი მეფის ირაკლისა“.

„მოვიდრეკ მუხლთა შენს საფლავს წინ, გმირო მხცოვანო,
თაყვანსცემ შენსა ნაანდერძებს წინასწარად თქმულს!...
აჰა აღსრულდა ხელმწიფური აწ აზრი შენი...
ეამ-ვითარებით გადაჰხეწილთ შენთ შეილთ მი და მო
მოაქვთ მამულში განთლება და ხმა საამო...
სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,
მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი...
აწ მიხედა ქართლი შენსა ქველსა ანდერძნამაგსა...“ და სხვ.

დიახ, ამ სიტყვებით დაადასტურა ნ. ბარათაშვილმა ირაკლის ღვაწლი რუსეთთან საქართველოს შეერთების საკითხში.

თუ ბარათაშვილის შემოქმედების დედაძარღვს მივწვდებით, იგი ისეთი პოეტია, რომელიც თავგანწირულად ებრძვის შავ ბედს:

„ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი!..
თუ აქამომდე არ ემონა მას,
არც აწ ემონოს შენი მხედარი!“ — ამბობს იგი.

აქაც ფაქტი აღიარებულია, მაგრამ მის წინააღმდეგ ბრძოლის წყურვილიც აშკარაა. იმავე „ბედი ქართლისაში“ კრწანისის ველზე დახოცილ გმირთა მიმართ პოეტი ამბობს:

„მაგრამ, ჰოდ, გმირნო, ნუ შეშფოთდებით,
თქვენ სახსოვარი გაქვთ თვით განგებით:
რაც ერთხელ ცხოვლად სულს დაჩნდების,
საშვილიშვილოდ გარდაეცემის;
ქართლი თქვენს ღვაწლსაც ვერ დაიდუმებს,
აღა მაჰმად-ხანს ვიდრე ახსენებს...“

ამ გმირებმა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას შესწირეს თავი, ამ იდეას კი ნ. ბარათაშვილი „ცხოვლად სულზე დაჩენილად“ სთვლის და საშვილიშვილოდ აღიარებს. რატომ? იმიტომ, რომ უცხოობაში არ შეიძლება იხეიროს სუმბულმა, მის თავისუფლად გადასაფურჩქნად აუცილებლივ საჭიროა მშობლიური მიწა-წყალი.

მართალია, ბარათაშვილმა კანონიერად და მიზანშეწონილად სცნო რუსეთთან საქართველოს შეერთება, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ აწმყო მასაც გულს უშხამავდა და მოსვენებას არ აძლევდა. ყოველად შეუძლებელი იყო არ ეგრძნო მის სათუთ არსებას ის უბედურება, რომელიც ირგვლივ მძვინვარებდა. მისი დაეჭვებული სულის დამახასიათებელ ლირიკულ განცდად უნდა ჩაითვალოს პოემიდან „ბედი ქართლისა“ შემდეგი სტრიქონები:

„სახელმწიფოსა სჯულის ერთობა
არარას არგებს, ოდეს თვისება
ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს.
ვინ იცის, მაშინ როგორ მოუხდეს
რუსეთის ძალი ქართლს აწინდელი:
ვით შეითვისოს რუსმა ქართველი,
ვით შეიწყნაროს რუსთ მეფობამა,
რაც მოისურვოს ქართველობამა?
მაშინ, მეფეო, რავდენთ კაცთ მართალთ
მოუკლან გულნი ტანჯვათ იდუმალთ?“

ეჭვი არ არის, რომ ბარათაშვილსაც ეს იდუმალი ტანჯვა უწამლავდა არსებობას, მასაც ისე ეთუთქებოდა საქართველოს აწმყოთი გული, როგორც მის თანამედროვე მოწინავე საზოგადოებას და შეგნებულ პირებს „საშვილიშვილოდ“ და „ცხოვლად სულზე დაჩნეული“ იდეა და მისი ხორცშესხმა ბარათაშვილისათვისაც უდიდეს იდეალს შეადგენდა.

* * *

ბატონყმობის ხუნდებში ჩაჭედილი ფართო მასა, მომკვდარი საზოგადოებრიობა და სამხედრო დეზების წკრიალი პირადი ბედნიერების საძიებლად, — აი რა ახასიათებდა ნ. ბარათაშვილის დროს. ყოველივე ამას დაერთო. თვითონ მგოსნის პირადი უბედურებანი: სიღარიბის გამო უნივერსიტეტში ვერ მიდის, დაკოჭლებული საყვარელ სამხედრო სამსახურში ვერ შევიდა, საზოგადოებრივ უბედურებას პირადიც ემატება და ჩვენი მგოსანიც იძულებულია გულმოკლული ჩაიკეტოს თავის სულის სიღრმეში და იქ ეძიოს მიუღწეველ სურვილთა დაკმაყოფილება.

აი რა ტრაგიზმით აღსავსე წერილს სწერს იგი 1842 წელში თავის დას: „ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმის სიამოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც შენც იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ. — არ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე მამძულებია ამდენის მარტოობით, შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ საესე და ვრცელს სოფელში! ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ენახე უგულო, ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია, ვისიც გუნება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არცა თუ განსჯა ჰქონდა; ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ, ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა,

თურმე ყოფილან ნიშანნი ცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკო თავი?".

შესანიშნავი დახასიათებაა. მკედარი საზოგადოებრივი ცხოვრება სწორეთ ასეთის სახის არის და მგრძნობიარე ადამიანს ჭეშმარიტად არ შეუძლია ამგვარ გარემოში დასაყრდნობის მონახვა. ნ. ბარათაშვილის აზრით, წუთისოფელი სავსე და ვრცელია. მართალია, ბევრი უბედურებაა „ამ საძაგელს ქვეყანაში", მაგრამ ადამიანებში მაინც რომ არ მოტყუებულიყო, კიდეე შეიძლებოდა სულის თქმა და განსასვენებელის მონახვა. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ადამიანში ადამიანური არაფერია და მგოსნის კეთილშობილური ბუნებაც თავისივე „მე"-ში იკეტება და პირადი არსებობის მიზანს არკვევს. ზერელედ მოაზროვნე ადამიანი შეიძლება ერთიანად შეიწიროს, გაანადგუროს და გააუფერულოს ასეთმა მდგომარეობამ, მაგრამ ბარათაშვილის მებრძოლ სულს ეერაფერს აკლებს. ის ვერ დააკმაყოფილა მისმა წრემ, მაგრამ დალუპვისაგან მისმა მედგარმა ბუნებრივმა ნიჭმა დაიცვა.

პირველი საკითხი, რომელიც სრულიად ბუნებრივად უნდა დაბადებოდა ასეთნაირად განწირულ და განმარტოებულ პოეტს, უსათუოდ ეს უნდა ყოფილიყო: ვინ ვარ მე? საიდან მოველ და სად მივდივარ? რა არის ჩემი დანიშნულება? ქედი უნდა მოვიხარო სინამდვილის წინაშე და წავშალო, ჩემი ინდივიდუალობა, თუ რაიმე სარგებლობა უნდა მოვუტანო ქვეყანას და ამიტომ სიცოცხლე უნდა შეეინარჩუნო?

ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირას" პოეტი ცდილობს, გამოარკვიოს ადამიანის ხასიათის რაობა და იმ დასკვნამდე მიდის, რომ

„მაინც რა არის ჩვენი ყოფა — წუთისოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი".

რატომ არის ადამიანის ბუნება აღუვსებელი საწყაული? იმიტომ რომ

„ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს,
და, რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?"

ნატვრით ადამიანი ბევრს რასმე ინატრებს და ესეც რომ აუსრულდეს, მაინც მისი არსება დაუკმაყოფილებელია, „გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი". არათუ პატარა ადამიანები, არამედ ქვეყანათა მპყრობელი მეფეებიც კი არ ცხოვრობენ მოსვენებით, სულ ერთია — კეთილია ის, თუ ბოროტი; კეთილი მეფე მუდამ იმის ცდაშია, რომ თავისი სამეფო კიდეე უფრო გააბედნიეროს და ბოროტიც იმას ფიქრობს: როდის იქნება ის სამეფოცა ჩვენი იყოსო და სხვის ჩაულაპვაზე ოცნებობს.

„მაგრამ თუ ერთხელ უნდა სოფელს ბოლო მოეღოს,
მაშინ ვილამ სთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?“

ეს აზრი რომ სხვანაირად ვთქვათ, აი რა გამოვა: თუ ადამიანის სიცოცხლე ბოლოს მაინც სიკვდილით თავდება, თუ ამ საშინელ ბოლოსაგან „ყოველი გასწორდეს, სუსტი და ძალგულოვანი“, მაშინ რა საჭიროა ესოდენი წვალება და ჭაპანწყვეტა? რად ვცდილობთ „აღუვსებელი საწყაულის“ ავსებას და ვიმწარებთ წუთისოფელს?

კითხვა ნათლად არის დასმული, მაგრამ პასუხის გაცემა სხვადასხვანაირად შეიძლება. თუ წუთისოფლის წვალებიდან მაინც არაფერი გამოდის, — მაშინ უნდა უარვყოთ იგი და გავშორდეთ მას,— ერთი პასუხი ასეთი იქნება. არა უარის ყოფა, არამედ მისი მიღება, ბოროტებაზე თვალის დახუჭვა და პირად სიტკბოებაზე ფიქრი, — არის მეორე პასუხი:

„სანამ ცოცხალვარ, ვახარებ
ჩემს ვარდსა, ჩემსა იასა“.

შეიძლება ასეთნაირი პასუხიც იქნეს გაცემული: მივიღოთ აქაურობა, როგორც ფაქტი და ვეცადოთ მისი უარყოფითი მხარეების გაუმჯობესებას. მოკლედ რომ ვსთქვათ, პასუხი შეიძლება ორნაირი ხასიათისა იყოს: პიროვნული თვალსაზრისიდან გამომდინარე და საზოგადოებრივ მოსაზრებაზე დამყარებული.

პოეტისათვის აშკარაა, რომ ცალკე პიროვნება, თუ მარტო პირადი ინტერესების თვალსაზრისიდან გამოდის, უსათუოდ პესიმისტურ დასკვნამდე უნდა მივიდეს, უარყოფითად უნდა დააფასოს ამქვეყნიური ცხოვრება და თავისი არსებობაც ანტისოციალურად უნდა გაათავოს: ან თავი მოიკლას, ანდა პირადი სიტკბოების ძიებას ემსახუროს.

მართალია, ნ. ბარათაშვილი, პირადად, უარყო მაშინდელმა ჩვენმა ცხოვრებამ, მაგრამ თვითონ ბარათაშვილის პიროვნებაში იმდენი გამძლეობის ძალა აღმოჩნდა, რომ ის არ დაემონა წუთიერ გავლენას, ღრმად განჭვრიტა ადამიანის ცხოვრების დანიშნულება და ინდივიდის თვალსაზრისიდან საზოგადოებრივზე გადავიდა. დიდი რამ არის პიროვნება და მისი ინტერესი, მაგრამ ბოლომდე მის თვალსაზრისზე გაჩერება არ შეიძლება, ინდივიდი სოციალური არსებაა და მისი ინტერესის გამორკვევის დროს ამ მომენტის უგულებელყოფა ყოვლად შეუძლებელია.

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკედარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“.

გარდა პირადი ჩვენი ინტერესებისა, ჩვენ იძულებული ვართ საზოგადოებრივსაც ანგარიში გავუწიოთ.

„მაგრამ, რადგანაც კაცნი გექვიან — შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა“.

ყველა დროის ღრმა და საღი მოაზროვნენი სწორედ ასე სწყვეტდნენ ამ ურთულეს საკითხს და, პირდაპირ გასაკვირველია, თუ საიდან აღმოაჩნდა თავის დროზე ყველასაგან უმნიშვნელოდ მიჩნეულ ნ. ბარათაშვილს ამდენი შინაგანი მორალური ძალა! ირგვლივ უაზრობა და ფუქსავატობაა, საზოგადოებრივი უიმედობაა, პირად ცხოვრებაში კი ინარჩუნებს სულიერ სიმხნეევს, მაღალ რწმენას.

ადამიანის ბუნება რომ „აღუვსებელი საწყაული“ იყო, ეს საკუთარი განცდით იცოდა ნიკოლოზ ბარათაშვილმა. მთაწმინდის ბუნება ლამაზია და წარმტაცი, დამატკბობელია მისი მაცდურობა და მომხიბლავია ცის ხატება, მაგრამ მგოსნის სულისათვის ეს როდია საკმაო და არც ისვენებს იგი.

„აწცა რა თვალნი ლაჟვარდს გიხილვენ,
მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფვიან“. —

მიმართავს იგი ზეცას.

„მე, შენსა მჭვრეტელს, მაკიწყდების საწუთროება,
გულის-თქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს,
ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამაოება...“

ასეთია მგოსნის სულის აღმაფრენა, მაგრამ, ვაი, რომ მალე ფრთები ეკვეცება მას და მიზანს ვერ აღწევს: მისი ფიქრნი ცამდე ვერ მიაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან, მისი გულის თქმანიც „ვერ სცნობენ განგებას ციურს“. აქაურ ამაოებისაგან თავდასაღწევად მგოსანი ზენართ სამყოფს ეძიებს, უნდა შეიცნოს ბუნების საიდუმლოებანი, ყოველივე იცოდეს, უკვდავად იქცეს, მაგრამ ყოველივე ეს ადამიანისათვის მიუღწეველია და ბარათაშვილის სულსაც სევდა ეუფლება. მარად ჟამს მაძიებელი სულის მიერ მისწრაფებათა მიუღწეელობა, — აი ბარათაშვილის სევდის მთავარი მიზეზი.

II

ნ. ბარათაშვილის ყოველი ლექსის კითხვის დროს ჩვენს წინაშე დგას შუბლშეკრული და ჩაფიქრებული მგოსანი, რომელიც წუთისოფელში ყოველ ნაბიჯზე უსამართლობას, იდეალთა მიუღწევლობას და კაცთა სიავეს ხედავს. ხრის წამი, როდესაც უსაზღვროებაც კი იპყრობს მას. ეს გრძნობა უკიდურესობამდეა მისული „სულო ბოროტოში“. იყო დრო, როდესაც პოეტს ღრმად სწამდა ამქვეყნიური სიკეთე და ჰქონდა „ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება“, მაგრამ

ბადის ხანი და მის ნაცვლად მგოსნის არსებას სული ბოროტი და-
ეუფლა „გონების და სიცოცხლის აღმაშფოთრად“.

„ამას უქადდი ჩემს ცხოერებას, ყმაწვილკაცობას?
თითქოს მაძლევდი ამა სოფლად თავისუფლებას!
ტანჯვათა შორის სიამეთა დამისახავდი
და თვით ჯოჯოხეთს სამოთხედ გარდამიქცევდი!“

ასეთი გულის წყრომით მიმართავს მას მგოსანი, რომელიც კვნესის:

„რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი უსაგნოდ მარტო,
ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახერალი“.

ამავე მოტივზეა უმთავრესად აგებული ცნობილი ლექსი „მერა-
ნი“. გარეშე პირობებით მოშხამული მგოსანი, რომელმაც მთელი თა-
ვისი საშინელებით განიცადა სულიერი ობლობის საშინელება („სუ-
ლი ობოლი“) გიჟურად მინდობია ზღაპრულ მერანს.

„გაჰკვეთე ჭარი, გაავე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი,
გასწი, გაკურცხლე და შემიმოკლე მოუთმენელსა საკალნი დღენი“.—

შეჰღაღადებს მას თავგანწირული მხედარი“, რომელსაც თით-
ქოს ერთნაირად დაჰკარგვია ადამიანებისადმი რწმენა და „მხოლოდ
ვარსკვლავთა თანამავალთა“ ამცნობს გულის საიდუმლოებას.
გამწარებული პოეტი არ ინაღვლებს, თუ არ დაიმარხება „წინაპართ
საფლავებ შორის“, თუ არ დაიტირებს სატრფო გულისა და მოაკლ-
დება სწორთა და მეგობართა, ყოველსავე დაჰკარგავს მგოსანი, ყვე-
ლაფერზე უარს იტყვის, — მას დამტირებელნიც აღმოუჩნდებიან:

„სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა ოხერსა დამეცემიან ციურნი ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად მიეალალებენ სვავნი მყიეარნი!“

დიახ, მიზანტროპიით შეპყრობილი მგოსანი უტყვთა შორის
იშოვის ჭირისუფალთ და ამიტომ, დეე, მოწყდეს სამშობლოსაც, —
ოღონდ მერანი კი მიქროდეს, რათა

„კვნესა გულისა, ტრფობის ნაშთი, მივცე ზღვის ღელვას,
და შენს მშვენიერს აღტაცებულს, გიჟურსა ლტოლვას!“

ამას ეტრფის პოეტი და ამიტომ სურს, რომ გასწიოს მერანმა და
„შეუმოკლოს მოუთმენელსა საკალნი დღენი“.

მაგრამ ამ სასოწარკვეთილების ჟამსაც მის არსებაში მხსნელ,
ფეიერვერკად გაიელვებს სოციალური გრძნობა და ისიც მსწრაფლ
ივიწყებს თავის „მეს“, როგორც ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირად“,
აქაც საზოგადოებრივ თვალსაზრისზე დგება და იმედმოცემული ამ-
ბობს:

„ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება,
და გზა უვალი შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება;
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ქუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს“.

ნ. ბარათაშვილის აზრით, პიროვნების ხსნა ისევ საზოგადოებრიობაშია, ცალკე ინდივიდი მუდამ უნდა გრძნობდეს თავისთავს მთლიანი კოლექტივის ნაწილად, მონაწილეობას უნდა იღებდეს საერთო ბედნიერების შექმნაში; უნდა სწამდეს, რომ „ცუდად არ ჩაივლის“ მისი „განწირული სულისკვეთება“ და მის შემდეგ სხვათათვის იოლად საველელი გზა მაინც დარჩება თელილი.

ნ. ბარათაშვილის შემდეგ მალე ერთი საუკუნე გაივლის, დიდ მანძილზე დავშორდით ჩვენ მას, მაგრამ ჩვენი დიდებული მგოსნის ნააზრევი ისე ღრმაა, რომ დღესაც, სულ სხვა ეპოქაში და სხვა პირობებში, ყოველი ჩვენგანი ქედს მოიხრის მისი აზრების წინაშე. ჩვენი დროის ისტორიის ხელისუფალი და მომავალი ცხოვრების მედგრად გადამფურცლავი — მშრომელი მასა — ამავე კოლექტივისტურ თვალსაზრისზე დგას და პიროვნების ხსნას ისიც ბარათაშვილივით კოლექტივის სულსა და გულში ჩაქსოვაში ხედავს: მას სწამს პიროვნება და მისი ინტერესები, მაგრამ არც საზოგადოებას გაურბის იგი, — ქვეყნიერების გარდამქნელად სწორედ ეს ფაქტი მიაჩნია მას. პროლეტარიატის მსოფლმხედველობა ძირიანად უარყოფს ცალკე ინდივიდის ანარქისტულ გარეწრობას, — ობიექტიური პირობები ქმნიან ამგვარ მის შეგნებას, — და მის მისწრაფებას სოციალურ პირობებს უთანახმებს.

ნ. ბარათაშვილი, როგორც ამ თვალსაზრისზე მდგომი მგოსანი, პროლეტარული აზროვნების წინამორბედია, ამისი უარისყოფა არავის არ შეუძლია. მაგრამ მარტო ამით არ თავდება ამ დიდებული მგოსნის წინასწარმეტყველური განცდა და აზროვნება. ბარათაშვილი ამავე დროს თავგანწირული მებრძოლი და რევოლუციონერის სულით დაჯილდოებული შემოქმედია.

ბევრის აზრით ბარათაშვილი ამ ცხოვრებას უარყოფითად უყურებს, პესიმისტია და ფატალურად ემონება ადამიანის გარდუვალ ბედს, რომელიც ჯერ კიდევ განვითარების პირველ ხანიდან დასტრიალებს მას.

III

რას ნიშნავს სიტყვა პესიმისტი? ეს არის წუთისოფლის უარყოფითად შეფასება და, საერთოდ, მისი უარყოფა. აზრთა და გრძნობათა ასეთი განწყობილება ძველისძველია. ცნობილი სარწმუნოება — ბუდიზმი — მსოფლიოს პესიმისტურ გაგებაზეა დამყარე-

ბული. ახალი დროის მოაზროვნეებმა, — შოპენჰაუერმა და ჰარტ-მანმა დროის შესაფერი დასაბუთება მისცეს ასეთ შეხედულებას. ბუდას მოძღვრებით ადამიანის არსება ტანჯვაა, რისი მიზეზიც უაზრო და უმიზნო ნდომაა — აღუსებელობა, ამ ტანჯვისაგან ჯერ ბუდას ზნეობრივ დარიგებათა ასრულება გვიხსნის და მერე სრული გაქრობა. არსებითად ასეთნაირადვე აზროვნებენ ახალი დროის პესიმისტურად განწყობილი ფილოსოფოსებიც.

რა არის ამ მოძღვრებასა და ბარათაშვილს შორის საერთო?

ჩვენი მგოსანი რომ გარე სამყაროს უარყოფითად ახასიათებს, ეს აზრი უდაოდ უნდა ჩაითვალოს. „ჯერ იმის სიამოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს“, — სწერს იგი თავის დას. ადამიანი გარეგნულად არის დიდებული და თვალის წარმტაცი, თორემ ზოგი უგულოა, ზოგიც განუსჯელი და გაუტანელი, ზოგიც ცბიერი და „წვეთნი საშინელის საწამლავისა“. პოეტი ისეა ამ ცხოვრებაზე გულაყრილი, რომ ბუნების მეტს არავის არ ენდობა და არ ენათესავება. „მერანში“ მან უარყო ტოლ-ამხანაგი, ნათესავები და მშობლები, უარყო გულის სატრფოც კი და მათ ნაცვლად „სვავნი მყივარნი“ გაიხადა ჭირისუფლად, ქარიშხალს დაუნათესავდა და „ეარსკვლავნი თანამავალნი“ იწამა. იგი გულამოსკვნილი დასტირის თავის სულიერ ობლობას და მხოლოდ მთაწმინდის ბუნებაში და მტკვრის დუდუნში ეძებს სევდიანი ფიქრთაგან გართობას.

ბუდასავით ბარათაშვილიც იმ აზრის არის, რომ ადმიანის მუდმივი ბორგვა და მოუსვენრობა მისივე მისწრაფებიდან — აღუვსებელ საწყაულიდან — გამომდინარეობს.

„მე, შენსა მჭვრეტელს, მავიწყდების საწუთროება,
გულის-თქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს“,—

მიმართავს პოეტი მთაწმინდის მაღლობიდან ზეცას.

„მაგრამ ვერ სცნობენ გლახ მომაკედავნი განგებას ციურს“.

მგოსნის ნდომანი და ფიქრნი ზეცამდე „ვერ მიაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან“.

პირადივე უძლურების შეგნება უსაზღვრო სევდას იწვევს ბარათაშვილის არსებაში. ადამიანის მისწრაფებათა მიუღწევლობავე ათქმევინებს მას:

„მაგრამ თუ ერთხელ უნდა სოფელს ბოლო მოეღოს,
მაშინ ვიღამ სთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს“.

ადამიანის ამქვეყნიური ბედი მკაცრი და დაუნდობელია, ის მუდამ მრისხანებს და ავის მეტს არას უქადის ადამიანს, ყოველივე ამით მოშხამული მგოსანი მერანის ფრთებით სადღაც გადაკარგვასაც კი ლამობს, მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, ბარათაშვილი

მაინც არ მიდის ბუდიზმის მაგვარ პირადი გაქრობის დასკვნამდე და სრულებით არ მიილტვის სიკვდილის წიაღში საუკუნო განსვენებისკენ. არა, ბარათაშვილი თავიდან ბოლომდე ცხოვრების უარყოფით მხარეებთან მებრძოლი მგოსანია და არსად მკაცრი ხვედრის წინაშე ქედს არ იხრის. მან იცის, რომ წუთისოფელში ბევრი რამ არის ცუდი, მაგრამ სრულებითაც არ უდგება საკითხს მეტაფიზიკურად და ყველგან და ყოველ პირობებში ერთსა და იმავეს არ იმეორებს. ბარათაშვილმა მშვენივრად იცის ცხოვრების დიალექტიკა და იმ დროსაც კი, როდესაც მის სულსა და გულს სევდით გაჟონავს მთაწმინდის სულის შემხუთავი დარდი, როდესაც გგონია, რომ სასოწარკვეთილი პოეტი უიმედოდ დაემხობა პირქვე, აი ამ დროსაც კი მას სწამს, რომ ამ საშინელ ცხოვრებას მიმზიდველი მომენტიც აქვს:

„მწუხრი გულისა—სევდა გულისა—ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,
რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს!"

ეს დასკვნა სრულიად ეწინააღმდეგება პესიმისტურ მსოფლგაგებას, თუ მსოფლშეგრძნებას: წინა დებულება, მართალია, მსოფლიოს უარმყოფელია, მაგრამ დასკვნაში იგი ისევ არის მიღებული, თუნდაც ერთის, მაგრამ მაინც მიმზიდველის და დამხსნელის — დილამზიანი — მომენტისათვის.

ბარათაშვილის გული უკვე შეეთვისა ბედის ვარსკვლავის მოღრუბვლას, „შეეჩვია გული სევდათა კრთოლვას", მაგრამ იგი სრულებითაც ხელს არ იღებს ბრძოლაზე:

„ნუ გგონია ბედსა მით დამიმწარებ,
რომ უეცრად ბუქით ნისლს მოიფარებ",—

მიმართავს იგი ბედის ვარსკვლავს.

არის წამი, როდესაც პოეტი „ქკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალია", მაგრამ ბედის — ბოროტი სულის — მონად მაინც არ აცხადებს თავს. „განვედი ჩემგან" და ისე დამტოვეო, — ეუბნება მას. მას სრულებით არ უნდა დასამარება და ასე მიმართავს ბედის ვარსკვლავს:

„მოციმციმდი, მოდი, გამომეფარე,
შენგან ბნელი გული გამომიდარე,
კვლავ ციური ცეცხლი გარმოისარე,
ნაბერწკალნი ეშხისა მომაყარე".

ჩვენ ზევით განვიხილეთ ბარათაშვილის ორი შესანიშნავი ლექსი: „მერანი" და „ფიქრნი მტკვრის პირას". როგორც ვნახეთ, ორივე ეს ლექსი თავის დასკვნებში სრულებითაც არ არის პესიმისტური და პოეტი თავის წმინდა მოვალეობად თვლის ამქვეყნიურ ცხოვრებასთან ბრძოლას მისდა გარდასაქმნელად.

„მიგრამ, რადგანაც კაცნი გვქვიან, შეილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
ოყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნეოს“.

ეს აზრი საესებით ეწინააღმდეგება პესიმიზმის ჩვეულებრივ გაგებას და, სასტიკად ცდებიან ისინი, ვინც ბარათაშვილის მებრძოლ სულ უიმედობის ლეჩაქში ჰხვევენ.

„ცუდად ხომ შაინც არა ჩაიკლის ეს განწირულის სულის კვეთება,
და გზა უკალი შენგან თელილი, მერანო ჩემო, შაინც დარჩება,
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს...“

აშკარაა, რომ არც ეს აზრია ბუდიზმისებური დასკვნის მატარებელი და უკეთილშობილესის გრძნობით გაჟღენთილ სოციალურ ორგანიზმში გათქვეფას ამქვეყნიური ცხოვრების დედააზრად აღიარებს.

ცხოვრების მკაცრი ანალიზი, მისი აეისა და კარგის გადმოშლა და ამ უკანასკნელისათვის თავგანწირული ბრძოლა, — აი რა ახასიათებს ბარათაშვილის შემოქმედებას. და სწორედ ამიტომ ვუწოდეთ ჩვენ მას რევოლუციონერი და თანამედროვე პროლეტარული იდეების წინამორბედი, რომლის მუდამ მაძიებელი, მებრძოლი სულის ძიუღებელობა არც ერთ რევოლუციონერს არ შეუძლია. რევოლუციონერობა უპირველეს ყოვლისა ისაა, რომ იგი ჯერ აღნუსხავს ცხოვრების უარყოფით მხარეებს და მერმე თავგანწირულად იბრძვის მათ შესაცვლელად, გარდასაქმნელად.

ბარათაშვილიც ასეთი ტიპის მგოსანია.

ამას წინეთ ერთმა კალმოსანმა დაწერა: ბარათაშვილი კლასიკური მწერალია, თავად-აზნაურულ დეკადანსს გამოხატავს და ამიტომ პროლეტარიატისთვის იგი მიუღებელიაო. ამაზე ხეპრული აზრი ჯერ არავის უთქვამს ამ დიდი მგოსნის შესახებ. ყოველი მწერალი, რასაკვირველია, რომ განსაზღვრულ კონკრეტულ პირობებში ჰქმნის თავის თხზულებებს, მაგრამ განა შეიძლება იმისი თქმა, რომ თვითეულ საზოგადოებრივ ჯგუფს მარტო თავისი პირადი ინტერესები აქვს, მისი ფოქმედება მხოლოდ და მხოლოდ ეგოისტურია და საერთო საკაცობრიო მომენტს არ შეიცავსო? ყოველ კლასს თავის ნაგრძნობ-ნააზრევში, გარდა პირადად მისთვის სასარგებლო მომენტისა, ობიექტური ანა ყველისთვის საპირო რაღაცაც აქვს. საკაცობრიო კულტურის სალაროში მასაც შეაქვს ყოველი ადამიანისთვის სასარგებლო რაღაც წვლილი, რომელიც მარტო მის საკუთრებას არ შეადგენს. ბარათაშვილის შემოქმედების ანალიზმა ჩვენ აშკარად დაგვარწმუნა ამაში. აქ მე უნდა შევნიშნო ისიც, რომ ბარათაშვილის დროს ჩვენი თავად-

აზნაურობა დეკადანსს სრულებით არ განიცდიდა და დიდი უვიცობაც არის ბარათაშვილის შემოქმედების ამგვარი შეფასება.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ბარათაშვილის მსოფლმხედველობაზე გავლენა ჰქონდა საერთოდ იმ უიმედო სულიერ განწყობილებას, რომელსაც „მსოფლიო გოდება" ეწოდება და რომელიც საფრანგეთის რევოლუციის დამარცხების ნიადაგზე წარმოიშვა ევროპაში. ამ რევოლუციისაგან მთელი ქვეყნიერების გარდაქმნას გამოელოდნენ, მაგრამ რევოლუციამ ეს იმედი მაშინვე ვერ გაამართლა, ქვეყნიერების განახლების საქმე არც ისე იოლი შეიქნა, როგორც გულუბრყვილოდ განწყობილთ ეგონათ და ამ ნიადაგზე დროებით ერთგვარი უიმედობაც კი გამეფდა მთელ ევროპაში. ამ ნიადაგზე აღმოცენებულ უიმედობის ლეჩაქში გახვეულ ლიტერატურას „მსოფლიო გოდების" გამომხატველს უწოდებენ. მსოფლიო გოდების ევროპაში გამოსთქვამდნენ შატობრიანი, ბაირონი, გიოტე, ნოვალისი, ლეოპარდი და სხვ. რუსეთში უმთავრესად ლერმონტოვი, ჩვენში კი ბარათაშვილი.

ამ ლიტერატურული მიმართულების თვისება იყო ადამიანის უძლურებისა და არარაობის გამო წუხილი და გოდება, ამქვეყნიური ცხოვრების წარმავლობა და უაზრობა, უკეთესი მერმისისაკენ სასოწარკვეთილ ლტოლვა და სხვ.

ამ მიმართულებას გამოხატავდენ ისეთი გენიალური ნიჭის პატრონი მგოსნები, როგორიც იყვნენ ბაირონი და გიოტე. მათ მხარს უმშვენებდა დიდი ნიჭის მქონე მგოსანთა მთელი რიგი. ამ მიმართულებამ მოიარა მთელი ევროპა და ყველა ერის გულში ჰპოვა გამოძახილი. მაშინდელი სოციალური პირობები ისეთი იყო, რომ მთელი მსოფლიო ახალი ეპოქის მიჯნაზე იდგა: ფეოდალურ ევროპას ადგილი უნდა დაეთმო ბურჟუაზიისათვის. არ შეიძლებოდა, რომ ამ უდიდეს პროცესს უმტკივნეულოდ ჩაევლო და მთელი მაშინდელი კაცობრიობა არ აეფორიაქებია როგორც ეკონომიკურად, ისე ფსიქოლოგიურად.

ამ მოძრაობას, როგორც ესთქვით, გავლენა ჰქონდა ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაზედაც.

ლავრენტი არდაზიანი

ბიოგრაფია და ლიტერატურული მოღვაწეობა

სამოციანი წლები ღირსშესანიშნავი ხანაა აღორძინების გზაზე შემდგარ საქართველოს ისტორიაში, ქართველი ხალხი დამშვიდებული გულით შეუდგა ახალი ცხოვრების ჭაპანის წევას. ახალმა ვითა-

რებამ ჩვენში შემოიტანა ისეთი რამ, რაც არც სპარსეთის თარეშს მოჰყოლია ჩვენში და არც ოსმალეთისას. თანდათან მომწიფდა ფსიქოლოგიური ნიადაგი იმისათვის, რომ საქართველოს საუკეთესო შვილს ილია ჭავჭავაძეს ეთქვა:

„მას ნეღარ ესტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ესდიოთ ეხლა სხვა ვარსკელავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ეშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს!"

თვითმპყრობელურმა იმპერიალიზმმა, რომელმაც კავკასიის ქედის გადმოღმა გადმოსვლით თავის მოსისხლე მტრებს, სპარსეთსა და ოსმალეთს, გემრიელი ლუკმა გამოსტაცა პირიდან როგორც კავკასიის სიმდიდრეთა, ისე ორივე ზღვის — კასპიისა და შავის — ნაპირებზე დამკვიდრებით, — საქართველოში თავის დამკვიდრების პროცესში 60-იან წლებამდე შემდეგი ცვლილებები გამოიწვია: 1) მოისპო დაქსაქსულობა და ერთ პოლიტიკურ ხელისუფლებას დაუმორჩილა დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო, 2) მასვე შემოუერთდა რუსული ხმლის საშუალებით მუსლიმანური საქართველოც, ახალციხის მხარე, ბათუმი და აჭარა, 3) შემოიჭრა რუსულ-ევროპიული სავაჭრო კაპიტალი, რასაც მოჰყვა ადგილობრივი ძალების ამოძრავება, 4) გაძლიერდა ევროპის კულტურის დენა, რაც ჯერ კიდევ ადრე დაიწყო ოსმალეთის გზით კათოლიკე მისიონერების საშუალებით. ამ პატივცემულ გვამებს დიდი ხანია გვეგზავნიდა ოსმალეთი, რომელსაც ჩვენი დენაციონალიზაცია ამოძრავებდა: თუ ქრისტიან ქართველებს გაამაჰმადიანებდა, ხომ კარგი, თუ არა და კათოლიკობაზე გადასვლას უადვილებდა, რადგან ქართველი ერი ორივე შემთხვევაში უძლურდებოდა. როგორც ვიცით, ამ ვერაგმა პოლიტიკამ რამდენიმედ მაინც მიზანს მიაღწია: აჭარა-შავშეთ-ერუშეთი გამაჰმადიანდა და ახალციხის მხარე კიდევ „გაფრანგდა", და ბოლოს, 5) საქართველოც მოჰყვა იმ რეფორმაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა 60-იან წლებში, ეს არის ბატონყმობის გადავარდნა.

ყოველივე ეს კი მოხდა ქართველი სამეფოების მოსპობისა და ქართველი ხალხის მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვის ნიადაგზე. ვამეორებ, ყოველივე ეს თანდათან დასანახი შეიქნა და სამოციანი წლებისათვის — შეიძლება ცოტათი უფრო ადრეც — ერთგვარი მშვიდობიანობა და ნდობა მყარდება ხალხსა და მთავრობას შორის. ქართველმა ხალხმა, ასე ვთქვათ, მიიღო რუსული თვითმპყრობელობა, როგორც ფაქტიურად, ისე იურიდიულად, აღიარა ყოველის მხრივ ფაქტი, მაგრამ სრულებითაც არ უწამებია მისი გარდუვალო-

ბა და მყისვე შეუდგა თავის ეროვნული „მე“-ს ძიებას. ეს იყო ახალი ჰორიზონტი, რომელიც გამოჩნდა სამოციან წლებში, როდესაც საქართველო ეკონომიკურად და ფიზიკურად მოღონიერდა მუდმივი ომებისა და რბევის შემდეგ.

II

ამ პროცესებმა გამოხატულება ჰპოვეს ჩვენს ღარიბ, მაგრამ ფრიად იდეური და სოციალური მოტივებით ამოძრავებულ ლიტერატურაში.

ეროვნულ დამოუკიდებლობას მოჰირისუფლედ გამოუჩდნენ ისეთი დიდი მგოსნები, როგორიც იყვნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვ.

ბატონყმობა აგვისახეს გიორგი ერისთავმა, დანიელ ჭონქაძემ, ილია ჭავჭავაძემ, აკაკიმ და სხვ. ამავე მწერლებმა დაჰგმეს იგი და ხელი შეუწყვეს ამ საშინელი ინსტიტუტის მოსპობას.

საქართველოს გაევროპიელების გზაზე შედგომა და მის წიაღში ახალ სოციალურ ფენათა შთასახვა დაგვისურათა გიორგი ერისთავმა. მისი სატირული ლექსები: „დედა და ქალი“ და „ფიქრი ყმაწვილი ქალისა“ ევროპული განათლების შემოშუქებას გვიჩვენებს: „ჩვენი ბიჭი საქუა ლიბერიით მოირთო“ — „გოსტინაში“ სანთელი მოსკოვისა აინთო“, მისსავე კომედიებში, ერთი მხრივ, მექრთამე მოხელეებთან გვაქვს საქმე, მეორე მხრივ, ძველი თავადების — ანდუყაფარების გვერდით, ახალი ინტელიგენციის მერცხლები — ივანნები ჩანან და, მესამე მხრივ, კი საეკერო-საჩარჩო კაპიტალის უგვან შვილებსაც ვხედავთ; ესენი არიან კარაპეტები და მიკირტუმები.

ამ სახელოვან მწერალთა გვერდით დგას ლაურენტი არდაზიანიც, რომელმაც ერისთავის კარაპეტების ახლო გაშალა თავის სამხატვრო ტილო და შესანიშნავი სურათიც დაგვიხატა ზედ. ამ დაუვიწყარი სურათის სახელია სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი.

გავიცნოთ ამ სურათის ავტორის ვინაობა.

ლაურენტი არდაზიანი სასულიერო წოდებას ეკუთვნოდა, დაიბადა ტფილისში 1818 წელს. განათლება მიიღო სასულიერო სემინარიაში. სწავლის დასრულების შემდეგ მსახურებდა სახაზინო პალატაში და თანაც ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას. როდესაც გ. ერისთავის „ცისკარის“ გამოცემას 1857 წლიდან ივანე კერესელიძე შეუდგა, არდაზიანიც ამ ორგანოს მუდმივ და ნაყოფიერ თანამშრომლად გადაიქცა გ. რჩეულიშვილის, ა. ერისთავის, ალ. ორბელიანის, დ. ყიფიანის, ალ. საკანელისა და მიხ. თუმანიშვილის

გვერდით. „ცისკარში" 1861 წ. (№№ 1, 2) მან მოათავსა შექსპირის „ჰამლეტის" თარგმანი. 1863 წელს ამავე ჟურნალის მთელ რიგ ნომრებში დაბეჭდილია პოლემარიდან ლ. არდაზიანის მიერ ნათარგმნი პოლიტიკური ეკონომიის ხასიათის ნაშრომი: „ყოველივე მოიპოვება შრომითა".

გარდა თარგმანებისა, „ცისკარში" მან დაბეჭდა ორი თავისი ორიგინალური რომანი: „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი" (1861 წ). და „მორჩილი".

არდაზიანი პოლემიკას ეწეოდა ავრეთვე ბერძენოვთან, რომელმაც სასტიკად გააკრიტიკა „ცისკარი" რუსულ გაზეთ „კავკაზში". არდაზიანი სხვათა შორის თავის საპასუხო წერილში სწერს: „ჩვენ, ქართველებს, მამებისაგან არა გვისწავლია რა, სხვას არა უსწავლებია რა ჩვენთვის; წიგნები არ დაგერჩენია, რომ გვესწავლა, სითგანღა უნდა ვიცოდეთ წიგნი, წერა!... ხედავთ, როგორ ხალხი განსწავლულა თავის თავად". „ეს კრიტიკა, ანუ განხილვა, ჩვენ გვეჩვენა სასტიკად, უსაფუძვლოდ, უდროოდ, იმიტომ რომ ახლად მოსწავლე ხალხს პირველში მომატებული ვერ მოეთხოვება". ამ სიტყვებში ბევრი სიმართლეა ჩამარხული, თუმცა ამით ჩვენ სრულებით არ ვამართლებთ არდაზიანს ბერძენოვთან პოლემიკაში: ბერძენოვმა უსათუოდ დიდი სარგებლობა მოუტანა „ცისკარს" თავისი შენიშვნებით: არდაზიანმა ბერძენოვს ისიც უსაყვედურა — რისთვის ქართულად არ წერო. ბერძენოვს რომ ქართულადაც კარგად შესძლებია წერა, ეს იქიდან ჩანს, რომ არდაზიანს მან პასუხი „ცისკარში" გასცა.

გარდა დაბეჭდილისა, არდაზიანს აქვს დაუბეჭდავი ხელნაწერებიც: — ერთში აღწერილია საქართველოს ისტორიიდან მე-18 საუკუნის ამბები და მეორე არის თარგმანი — „ცხოვრება ქრისტესი", რენანისა.

როგორც ჩვენი დიდი მგოსანი აკაკი წერეთელი ამბობს თავის მოგონებაში[1], არდაზიანის „კრიტიკული სტატიები გ. ბარათაშვილის სახელით გამოდიოდა. სალაყბოში, რომელსაც ვაბო სულხანიშვილი წერდა, ბევრი ერია მისი ოხუნჯობაც"[2].

არდაზიანი გარდაიცვალა ფილტვების ანთებით 1870 წელს, დასაფლავებულია ტფილისში, ვერაზე, ნიკოლოზის სასაფლაოზე, სადაც ეკლესიის კარების წინ მიწის სწორად დასულ მარმარილოზე არის შემდეგი წარწერა: „ლავრენტი არდაზიანი.

ამ ბიოგრაფიიდან ჩვენ თვალწინ იხატება ფრიად ენერგიული, გონება განვითარებული, უანგარო და ნიჭიერი პიროვნება, რომელ-

---

[1] აკაკი, რჩეული ნაწ., ტ. I, გვ. 85, სახელგამი, 1925.

[2] ჩვენ ბევრი ვეძებეთ, მაგრამ გ. ბარათაშვილის მიერ დასტამბული „ცისკარში" ვერაფერი ვნახეთ.

საც მთელის თავის არსებით უყვარს თავისი სამშობლო, უყვარს მშობლიური ლიტერატურა, ისტორია და გატაცებით ემსახურება ალორძინების გზაზე შემდგარ თავის ქვეყანას.

აკაკი დასახელებულ მოგონებებში ასე ახასიათებს არდაზიანს: „ის იყო სადღაც ჩინოვნიკად. ჩუმი კაცი იყო და სათნო. მის ქართველობას საზღვარი არ ჰქონდა. ერთი შეხედვით არაფრად მოგეწონებოდა, მაგრამ შესანიშნავი მწერალი იყო". ჩვენთვის ყველაზე უფრო საინტერესოა არდაზიანი, როგორც ორიგინალურ, ქართულ ნიადაგზე აღმოცენებულ ნაწარმოებთა შემქმნელი, ამიტომ ჩვენ აქ განვიხილავთ ორ მის რომანს: „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილსა" და „ბორჩილს". არდაზიანის სახელი უკვდავჰყო მისმა ერთმა რომანმა — „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილმა", რომელსაც, ისტორიულ დამსახურებასთან ერთად, დიდი ლიტერატურული ღირებულებაც აქვს. რომანის მთავარ მომქმედ პირს წარმოადგენს მილიონერი სოლომონ მეჯღანუაშვილი, რომელსაც შთამომავლობით ერთი კაპეიკიც არ მიუღია და მთელი თავისი ქონება ვაჭრობის უნარითა და მოხერხებით შეუძენია. ცხოვრებაში გამოსვლის დროს მას გახვრეტილი გროშიც კი არ ებადა, თითქმის ყოველის მხრივ უმწეო იყო და საკუთარის ძალ-ღონით, სხვის დაუხმარებლად შეუდგა ცხოვრების ჭაპანის წევას. მთელი თავისი ცხოერება მეჯღანუაშვილმა ბრძოლასა და მოძრაობაში გაატარა, ყოველ წუთს ძარღვებდაჭიმული დგას სინამდვილის ასპარეზზე და კაპეიკს კაპეიკზე აწყებს. „ქვეყანაზე არა არის რა საკვირველი, გარდა ერთისა: ეს არის თვითმდგომარე ხასიათი, ვინც სცნობს თავის ღირსებასა და დაიცავს პატიოსნებასა". ასე უთხრა კნეინა რაინდაძისამ მეჯღანუაშვილის დედას — გაიანეს. ეს სიტყვები თითონ არდაზიანის აზრსაც გამოხატავენ: თვითმდგომარე, ანუ დღევანდელის ტერმინით რომ ვსთქვათ, დამოუკიდებელი ხასიათი, მისი აზრით, დიდი განძია ადამიანისათვის და მისი რომანის გმირიც ,ეშმარიტად დამოუკიდებელი ხასიათისაა: შარინდელ ფეოდალურ წრეში, სადაც გაბატონებული იყო ლუარსაბ თათქარიძისებური მუცელზე გდება, იგი არავის არ ჰგავს და ყველასაგან გამოირჩევა. არდაზიანის ტერმინი „თვითმდგომარე" იმავე დროს სიმტკიცესაც ნიშნავს. დააკვირდით სოლომონს — ხასიათის დამოუკიდებლობასთან ერთად მას ახასიათებს ნებისყოფის სრული სიმაგრეც: მან თავიდანვე შესძლო საკუთარი თავის მოელა და ხიფათისაგან გადარჩენა, მოიგონეთ პირველი მისი მარცხი — გარყვნილი ადამიანების ქსელში რომ გაება: გარდა ამისა, შემდეგ ყოველთვის მტკიცედ მიიწევს დასახულ მიზნისაკენ, შინაგანი რწმენით მოქმედებს და გამარჯვებაც მის მხარეზეა.

ის ეკონომიკური ურთიერთობა, რომელშიაც სოლომონმა თავი ამოჰყო, მუდმივ შრომას, სიფხიზლეს, მოძრაობას და გონების სიმახ-

ვილეს მოითხოვს. ჩვენი სოლომონიც განხორციელებული მოქმედება და ენერგიაა. ის ინსტინქტურად გრძნობს, რომ მას ოდნავი დასვენებაც კი დაღუპვისაკენ გააქანებს, თათქარიძისეული ძილი და უდარდელობა მას არ გამოადგება და ამიტომაც განუწყვეტლივ ხელჩართულ ბრძოლაშია: ხან ბაზარში დალალობს, ხან ქართლის სოფლებში ჩარჩობს და ხანაც კახეთსა და ბორჩალოს მიეკრება თავისი მეეახშეობით. სოლომონი არაფერს არ თაკილობს — არც წვრილ საქმეს და არც მსხვილს: ვარიებსაც ყიდულობს ორიოდე გროშის მოგების მიზნით, მეეახშეობს, ღვინოს იძენს ბითუმად და სხვ. მის ოჯახშიც შრომის სრული ატმოსფერა მეფობს: ცოლი და შვილები მეწვრილმანეობენ. სოლომონი ძალზე მომჭირნეც არის; მას სწამს, რომ ნაშოვარს შენახვაცა და მოელაც უნდა: თავს იწვალებს შიმშილით, ასეთსავე მდგომარეობაში ჰყავს ცოლ-შვილი, არ იცვამს, არ იხურავს.

ამავე დროს მისი მოღვაწეობა მოფიქრებული და გეგმიანია, მას არ შეუძლია უკომპასოდ ხეტიალი და ყოველ ნაბიჯს მკაცრად მოფიქრების შემდეგ დგამს. სარქისბეგაშვილი სწორეთ ასეთის მოფიქრებით დასაჯა, მეეახშეობის ქსელიც ამ გზით აქვს დაგებული; იქ კი, სადაც აჩქარდა და გონების მაგიერ გრძნობა ამუშავა, კიდეც დამარცხდა: მაგ., ცოლის შერთვაში. მეჯღანუაშვილი მარცხდება მაშინაც, როცა თავის სფეროს თავს ანებებს, ცოლისა, ქალის დაკინებას აყვება და რაინდაძის თავის სიძედ გახდომა უნდა.

დასახული მიზნის მიღწევის საქმეში იგი ყოველგვარ ხერხს მიმართავს: ტყუილს, თვალთმაქცობას, გაიძვერობას. „მთელი ჩემი მოქმედება ტყუილზე იყო დაფუძნებულიო", — ამბობს იგი.

ამავე დროს სოლომონი პატრიარქალურის გულჩვილობითაც არის შეპყრობილი: დედისადმი სიყვარული ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი და მის შეურაცხმყოფელს — სარქისბეგაშვილს — საშინელ სიღარიბეში ჩააგდებს, მაგრამ მის ქალებს კი იბრალებს და სამხითვო ფულებსაც მისცემს.

აი, ასეთი ადამიანი აღმოაჩინა მაშინდელ ქართულ სინამდვილეში არდაზიანის დაკვირვებულმა ნიჭმა. მეჯღანუაშვილი ბატონყმურ ფონზე მოქმედებს, მის ირგვლივ თათქარიძეების სამეფოა: ნატურალური მეურნეობა, ხოდაბუნები, ფეოდალთა კოშკები, უსაქმობა, თათქარიძული ბუზების თვლა, უნებისყოფობა და აღვირახსნილობა, სხვისი მონაგარის ფლანგვა, უსაზღვრო ხელგაშლილობა, სმა-ჭამა მეტად შესარგი", უგეგმობა, უყაირათობა, უეცობა, ცრუმორწმუნეობა. სოლომონი კი ყოველივე ამის მოწინააღმდეგე თვისებათა მატარებელია: შვილს ასწავლა და სამსახურში ჰყავს, ცრუმორწმუნეობას გაურბის. ერთი სიტყვით, ჩვენს წინ დგას განსაკუთრებული ტიპის ადამიანი, რომელიც წარმოუშვია განსაკუთრე-

ბულ მეურნეობას, რაც არაფრით არ ჰგავს ფეოდალურ კარჩაკეტილობასა და უმოძრაობას. თათქარიძეებს მთელი წლობით შეეძლოთ თავიანთ მამულებში მუცელზე გდება, მათთვის საჭირო არ იყო მიმოსვლა. მეჯღანუაშვილის ეკონომიური ნიადაგი კი ისეთია, რომ მუდამ მოქმედებაში უნდა იყოს: კახეთი, ქართლი, ბორჩალო, ტფილისი. ამიტომ მისი ხასიათიც მოძრავი და მომქმედია, გონება მკვირცხლი და კომბინაციურის უნარით დაჯილდოებული. მისი არსებობა მუდმივ ცვალებადობაშია, საჭიროების მიხედვით მოქმედებს: სანამდის საჭიროდ მიაჩნდა, სიღარიბეში იკლავდა თავს, დიდი თანხის დაგროვების შემდეგ კი ძველი ცხოვრება უკუაგდო და სულ ახალს შეუდგა. თათქარიძე კი ვერაფერ ამის მაგვარს ვერ ჩაიდენს: მან თელეთამდის ძლივს იმოგზაურა და ახალი ცხოვრების სიო — ბატონყმობის გადაეარდნის ამბავი — თავზარს სცემს. მისი აზროვნება ერთიანად კონსერვატიულია. ჭეშმარიტად „მდგომარეობამ განსაზღვრა“ თათქარიძისა და მეჯღახუაშვილის შეგნება და ხასიათი.

როგორც სოციალური წრის შვილი, მეჯღანუაშვილი ჩვენი ახალგაზრდა ბურჟუაზიის წარმომადგენელია; სწორეთ ამ გარემოებამ გახადა იგი საინტერესო ტიპად და ახალი სიოს შემომტანად. მართალია, მან თავისი კლასის კიბეზე მხოლოდ პირველი საფეხური აიარა — ჩარჩობით და მეეახშეობით კაპიტალი დააგროვა, მაგრამ მაინც ახალი ეკონომიური ცხოვრების მოციქულია, რადგან დაგროვილი კაპიტალის თვისება ისეთია, რომ თავისი განვითარების მეორე საფეხურზე სამრეწველო ხასიათს ღებულობს. ეს საფეხური არდაზიანის დროს ჩვენს სინამდვილეში არ ჩანდა, ამიტომაც სოლომონის დიდი თანხა, რომელიც ფაბრიკა-ქარხნების გაბსნას უნდა მოხმარებოდა, უსარგებლოდ გაიფანტა სოლომონის ცხოვრების მეორე ხანაში, ამაში სოლომონს სრულებით არ უძევს ბრალი, ეს მისი თანამედროობის დანაშაულია. მართალია, მეჯღანუაშვილს ჰყავდა გიორგი ერისთავის ძუნწის სახით ერთგვარი წინაპარი, რომელმაც მშვენიერად იცოდა კაპიტალის ძალა და აღმშენებლობითი უნარი — რკინიგზების გაყვანა, თეატრის აგება — კულტურული მშენებლობა, უფლებების მოპოვება და სხვ., დიახ, სოლომონს უკვე გაეგონა კაპიტალის მძლეთამძლეობის ამბავი, მაგრამ ის მაინც ობიექტური პირობების მსხვერპლია, კაპიტალის დაგროვების მეტი ვერაფერი მოახერხა.

მეჯღანუაშვილი არ არის მაშინდელი დროის ერთეული ტიპი, როგორც რომანიდან ჩანს, სხვა ვაჭრებიც ბლომად მოქმედებდნენ მის გვერდით, ისინიც გასამდიდრებლად სოლომონის გზით მოდიოდნენ: მეეახშეობაა, ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლოატაცია, დიდი ვაჭრებისთვის თუ ქარხნებისთვის მოსკოვში საქონ-

ლის გამოტყეილება და ზერე გაკოტრებულად თავის გამოცხადება და სხვ.. აი მათი გამდიდრების საშუალებანი. ნედლი მასალის გადამუშავება, ქარხნები თუ ფაბრიკები მათ ვერ მოუწყვიათ, კულტურულ ეროვნულ ძალად ჯერ კიდევ ვერ გადაქცეულან, თუმცა ამ მხრივ ერთგვარი განთიადი უკვე ჩანს: სწავლობენ, თეატრებში დადიან და სხვა.

ზედმეტი არ იქნება, თუ აქ მეჯღანუაშვილების წარმოშობას ციფრობრივ მასალაზე დავამყარებთ და უფრო თვალსაჩინოდ დავასაბუთებთ ჩვენში აღებმიცემობის განვითარებას რუსეთთან კავშირის შემდეგ.

ამ დროს საქართველოში წმინდა წყლის ნატურალური მეურნეობა არსებობდა: როგორც მემამულე, ისე ყმა თითქმის ყოველგვარ მოთხოვნილებას საკუთარ ეზო-გარემოში იკმაყოფილებდა. ტანისამოსს შინ იქსოვდნენ, პურს თვითონვე იწვედნენ და მარტო რკინისა და მარილისათვის თუ წავიდოდნენ სადმე. ქალაქებში არსებობდა ხელოსნობა, რომელიც თავს იკვებავდა მემამულეთა იშვიათი შეკვეთებით და საყველ-პურო აღებმიცემობით. ფრანგი მოგზაური გამბა, რომელიც საქართველოში იყო გასული საუკუნის პირველ მეოთხედში, ასე აღწერს იმერეთის ვაჭრობას: „იმერეთის მცხოვრებნი ყიდვა-გაყიდვას ეწევიან მხოლოდ თავიანთი ნაწარმოების (ხორბლის, ბამბის, სანთლის, თაფლისა და სხვ.) სხვა საგანზე გაცვლით, რისთვისაც ისინი მიდიან ბაზარზე ოთხშაბათობით და პარასკევობით“.

საჭირო საქონელი საქართველოში შემოდიოდა ევროპიდან და აზიიდან 1821 წლამდე, როგორც ფ. მახარაძის ცნობებიდან ჩანს, წლიურად საშუალოდ შემოჰქონდათ 809, 315 მ. საქონელი: 1822—1832 წწ. სულ ამიერკავკასიაში შემოსულა 1.700 ათასი მანეთის საქონელი: 1832—50 წლებში კი სულ 58.212.794 მან, წლიურად სამნახევარ მილიონამდე. 1864 წელში შეტანილა 7.476 ათასი მანეთის, ხოლო 1870 წ. — 11.740 ათასი მანეთის საქონელი. თანდათან იზრდება აგრეთვე ნედლი მასალის გატანაც: თუ 1821 წ. საერთოდ წლიურად გაქონდათ 166.767 მ. საქონელი, 1870 წელს უკვე თითქმის ოთხი მილიონისა გააქვთ. შემოქონდათ შაქარი, სალებავი, შალეულობა, მანუფაქტურა, თამბაქო, პური და სხვ. გაჰქონდათ: ნედლი აბრეშუმი, დაუმზადებელი ტყავი, ნავთი, ბამბა, პირუტყვი, ხეტყე, ხიზილალა და სხვ.

ამ ცნობებიდან აშკარაა, რომ ჩვენში, მართლაც. ახალი ეკონომიკური მოვლენა წარმოშობილა და ფეოდალიზმის წიაღში სულ სხვა ქონებრივი ურთიერთობა შექმნილა. ძველ ეკონომიკას თავისი შესაფერი ტიპები ჰყავდა: გ. ერისთავის ანდუყაფარებითა და ილიას თათქარიძეებით, ახალმაც თავის შესაფერი ადამიანები მოგვცა კარაპეტებისა და მეჯღანუაშვილების სახით.

IV

ახლა გადავიდეთ არდაზიანის რომანის მეორე პერსონაჟზე — თავად რაინდაძეზე, რომელიც მეჯღანუაშვილისათვის დაუპირდაპირებია ავტორს. რამდენადაც სოლომონი ცოცხალი და ხორცშესხმული ტიპია, იმდენად რაინდაძე სქემას გავს და მკვდარი არსებაა. მაგრამ ჩვენი ავტორი მაინც ცდილობს მის გაცოცხლებას და რომანის ბოლოში ერთგვარად კიდეც გაამარჯვებინებს სოლომონზე: ქალაქიდან სოფლად დააბრუნა და იქაური იდილიით ატკბობს მასა და მის ცოლს. სოფლური ცხოვრებით გატაცება და ქალაქური კულტურის უარყოფა ნათლად ჩანს რომანის ბოლოში მოყვანილ რაინდაძის წერილიდან. ფულით გაყოყოჩებულ სოლომონს ეგონა, რომ თავის ქალისათვის რაინდაძისაგან სიყვარულსაც იყიდდა, მაგრამ მკაცრად მოტყუედა, რაინდაძე კი უანგარო სიყვარულის რაინდია და ცოლიც სიყვარულით შეირთო. ამ მხრივაც ის ავტორის ნება-სურვილით სოლომონს ზნეობრივი სიმაღლის მაგალითს უჩვენებს.

რისთვის დაუპირდაპირა არდაზიანმა ასეთნაირად თავადი — ფეოდალური ცხოვრების სიმბოლო — ახალი ცხოვრების წარმომადგენელს — მეჯღანუაშვილს? ეგების სრულებით არ მიაჩნია მას სოლომონი ჩვენი ცხოვრების განმაახლებელ ძალად, რომელსაც ასპარეზი უნდა დაუცალონ თავადებმა რაინდაძეების სახით? სულო ცოდვილო, მე ამ კითხვას დადებითი პასუხი უნდა გავსცე: არდაზიანი ამ დიდ საკითხში უსათუოდ კონსერვატიულ ნიადაგზე დგას და მას სრულიად შესაძლებლად მიაჩნია რაინდაძეების გვერდით მეჯღანუაშვილების საქმიანობა. დააკვირდით ჩვენს სოლომონს: იგი ძალაუფლებისაკენ მაინცა და მაინც არ მიისწრაფის, მის საქმიანობას უსათუოდ აკლია ერისთავის კარაპეტა ძუნწის პროგრამული გაქანება და ფართო ჰორიზონტი. ამ გლახაკს ერისთავმა პირდაპირ მასხარად ააგდებინა თავადი არჩილი თავისი პურ-ღვინოთი და თავადურის ხელგაშლილობით, მამაპაპის ხმალზე ფიცითა და სხვ. არდაზიანის სოლომონი კი რაინდაძეს მოწიწებით ეპყრობა და ქედს იხრის მისი ზნეობრივ-გონებრივი სიმაღლის წინაშე. მართალია, ქონებრივად ცოტა არ იყოს ძირი კი გამოუთხარა, მაგრამ ეს.... ისე... ანგარიშების ძალით, სხვაფრივ კი რაინდაძე და მისი ეკონომიური ბაზა სოლომონისათვის სრულიად მისაღებია. თავადების ოჯახები სოლომონისთანა კინტოებისათვის ზრდილობის მისაღები ერთგვარი სკოლებიც კი არის. სოლომონი ამბობს: „დედაჩემმა ისწავლა ზრდილობა და ენა ერთი აზნაურის სახლში"; თითონ მეჯღანუაშვილსაც კნეინა ასწავლიდა წერა-კითხვას, აკითხებდა „ვეფხის ტყაოსანს", აჩვევდა ზრდილობას, ზნეობასა და სიტყვა-პასუხს.

ბოლოს ჩვენი რაინდაძეც ხომ რაინდულად — ტკბება ბატონყ-

მობის კლანჭებში დაძაბუნებულ სოფელში, სადაც მისი ჩასვლით და ტექნიკური გაუმჯობესებით „ყმას შეუმსუბუქდა ერთი ნახევრით სამსახური და მადლობელი არის“, მან მიიღო გამგეობა ყმისა და მამულისა“, გლეხებს ამუშავებს „გულმონდომით, სიტკბოებით, ერთგულად“. შემოსავალიც გაუდიდდა, დღე საქმეს აკეთებს, „სალამოს ხან ფეხით, ხან ფაეტონით“ სეირნობს ცოლთან ერთად. „ღამე ვსჭერეტთ ცის საკვირველებას, შევხარით, გვიკვირს და ვადიდებთ ღმერთსა (ოღონდაც! — ვ. ხ.), სტუმარი არ გვაკლია, შეველეცევით იარალაშსაო“ და სხვ. „ყოველივე ჩემს თვალწინ კეთდება“, რასაკვირველია, ყბედის მიერ... აი, რა შინაარსის წერილი მოიწერა ლუარსაბის ღირსეულმა მეზობელმა, რომლის მოქმედებას ჩვენი ავტორიც ტაშს უკრავს.

და ეს იმ დროს, როდესაც დანიელ ჭონქაძემ ისე სასტიკად გალაშქრა ბატონყმობის წინააღმდეგ, ილიამაც სასტიკი მხატვრული განაჩენი გამოუტანა ამ რეჟიმს „კაცია — ადამიანში“ და მთელი მოწინავე რუსეთი კიდევ იერიშს იერიშზე აწარმოებდა ამ ინსტიტუტის დასამხობად! აშკარაა, რომ არდაზიანი ბატონყმობასთან მშვიდობიან დამოკიდებულებაშია და მეჯღანუაშვილების როლი მას ბოლომდე არა აქვს შეგნებული.

არდაზიანი ძალიან მოხერხებული კალმის პატრონი იყო, მოიგონეთ, რა მოხდენილად სწკეპლაეს იგი მთავრობის წვრილფეხა აგენტების მექრთამეობასა და ბოროტმოქმედებას, მაგრამ არსად თავადებსა და მათ ყოფაცხოვრებას ცუდად არ იხსენიებს, პირიქით, როგორც ვნახეთ, მოწიწებითაც კი ეპყრობა მათ. მართალია, რომანში არის მაღალი საზოგადოების ერთგვარი გაკიცხვა მოდებით, ფლანგვითა და ფუქსავატობით გატაცებისათვის (ვორონცოვის ეპოქა), მაგრამ ეს უბრალო გაკენწელაა.

არდაზიანი განათლებული კაცი იყო და ისტორია იცოდა, ისიც იცოდა, რომ სხვა ქვეყნებში მეჯღანუაშვილების კლასმა კრომველები და რობესპიერები წარმოშვა, მეფეებსაც თავები მოჭეეთა: დიახ, ეს ყველაფერი იცოდა მან და, ალბათ იმიტომ ათქმევინა რაინდაძეს შემდეგი სიტყვები: „ფრანცია მცირე ჟამს გადაუდგა ქრისტეს სახარებასა და ჩავარდა სიბნელში, რომლის გამო მოხდა საშინელი არეულობა და როდესაც ამის შემდგომ ფრანცია ცხადად მოვიდა სახარებასა, ისევ განათლდა“. ერთი სიტყვით, საფრანგეთი დალუპა რევოლუციამ. გაანათლა რეაქციამ. ასე სჯიან არდაზიანი და მისი რაინდაძე.

ეჭვი არ არის, რომ ჩვენი ავტორი ძალიან ლოიალური პიროვნება ყოფილა და კონსერვატორული აზრების პატრონი.

იგი, როგორც განათლებული ადამიანი, უსათუოდ იცნობდა 60-იანი წლების აზროვნების ღერძს რუსეთში, მაგრამ, როგორც ეტყო-

ბა, თითონ იგი არ იდგა მოწინავე მებრძოლთა რიგებში და სრულად ეწყობოდა იმ გაბატონებულ აზროვნებას, რომელიც მაშინ ჩვენში იყო. ცნობილია, რომ ჩვენი თავადაზნაურობა წინააღმდეგი იყო ბატონყმობის მოსპობისა. „არ შეგვიძლია არც მუშაობა, არც გუთანზე დაჯდომა, არც ვენახისა და ბოსტნის ბარვა და თოხნა, არც საქონლისა და ცხვრის დევნა... ხოლო გლეხი შობილია ამგვარის მდაბიო ცხოვრებისათვის“, ასე ღაღადებდა საქართველოს 240 მებატონე 1863 წელს. არდაზიანიც, ეტყობა, ამათი აზრისა ყოფილა.

არდაზიანის კონსერვატორობას ჩვენ მისი მეორე რომანის „მორჩილის“ გარჩევიდანაც საკმაო სიცხადით დავინახავთ, აქ კი შევეხებით „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილს“ მხატვრულის თვალსაზრისით.

როგორც ხელოვნური ნაწარმოები, იგი მრავალი ღირსების მატარებელია: რომანის არქიტექტურა ფრიად ორიგინალური და თავისებურია, გრაციოზული მანერით, მე-19 საუკუნის ლიტერატურაში განსაკუთრებული, ენა მხატვრული, მსუბუქი და სადა; ხანდახან ბარბარიზმებსაც ვხვდებით. სცენები გამოქანდაკებულია, არსად ზედმეტი ხაზი, არსად ზედმეტი სიტყვა და გამეორება. მართალია, ზოგან ყალბი მომენტები არის, მაგრამ სხვა სისრულეთა გამო ვერც კი ამჩნევთ მათ. მეათე თავში აღწერილი ვარიების გლეხისაგან ყიდვის სურათი პირდაპირ კლასიკურია.

გარდა ამისა, მკითხველს პირდაპირ ხიბლავს ის იუმორისტული მანერა, რომელსაც არდაზიანი იყენებს. „ძახვილგონებიანი ხუმრობა სიამოვნებაა, თუ ითქმის განვითარებულის გემოვნებით“,— ამბობს იგი ერთ ადგილას. ეგ თქმა ერთიანად ახასიათებს არდაზიანს. რომელიც, მართლაც გემოვნებით ხუმრობს და არსად ვულგარობაში არ ვარდება.

ყველა ამ თვისებათა გამო არდაზიანის რომანი დიდად გამოირჩეოდა თავის თანამედროვეთა შორის.

V

ახლა შევეხოთ არდაზიანის მეორე რომანს (რომელიც მოთავსებულია 1863 წლის ჟურნ. „ცისკრის“ №№ 4, 5 და 6). რომანის სახელია „მორჩილი“, შედგება ოთხი ნაწილისაგან. როგორც ჩანს, არდაზიანს მიზნად დაუსახავს სიყვარულისა და ცოლ-ქმართა დამოუკიდებლობის შესახებ თავის სიტყვის თქმა და ჩვენი მაღალი წრეების წარმომადგენლების ზოგიერთ ზნე-ჩვეულებათა და შეხედულებათა ასახვა.

რომანის ცენტრალური მოქმედი პირია თავადის ქალი ალექსანდრა, რომელსაც უყვარს სამხედრო პირი — მიხაკო. სატრფო სამა-

გიერო გრძნობით უპასუხებს ქალს და საქმეც საკეთილოდ დასრულდებოდა, რომ ლამაზ ალექსანდრას არ აკვიატებოდა გაქნილი მოხელე, ფრანტი და უზნეო ადამიანი — თეიმურაზი, რომელიც მოხერხებულად აუბამს თვალს ალექსანდრას მშობლებს, სარგებლობს მიხაკოს ომში გაწვევით და ეს არის უნდა დაგვირგვინდეს ალექსანდრაზე, მაგრამ დედ-მამის სრულ მორჩილს ალექსანდრას, რომელიც ვერ ბედავს მიხაკოსადმი სიყვარულის გამომჟღავნებას და, რომელიც მზადაა, მშობლების სურვილის თანახმად გაჰყვეს არასაყვარელ კაცს — თეიმურაზს, უცებ ბედი წაღმა დაუტრიალდება: მსახური ქალის, მარიკოს დახმარებით და, აგრეთვე ორი კეთილი ადამიანის ხელშეწყობით მოხერხებულად გამოაშკარავდება თეიმურაზის კაიკაცობა, მიხაკოს ყურამდეც მიაღწევს საცოლოს განსაცდელის ამბავი და თეიმურაზზე გასაყოლად დამორჩილებული ალექსანდრა ისევ მშობლებისავე სურვილით და თანხმობით მიხაკოს გაჰყვება ცოლად. სანტიმენტალური რომანების მსგავსად ბოროტება მხოლოდ დროებით პარპაშობს — საბოლოოდ კი სათნოება იმარჯვებს.

რომანში განვითარებულია მეორე ინტრიგაც: ალექსანდრას მსახური ქალი, მარიკო, ეტრფის მიხაკოს მსახურს, როსტომს, ეს ორი ადამიანი თავიანთ ბედს ბატონების შეუღლებას უკავშირებდნენ, ხელს უწყობენ მათ დაახლოებაში და უბედურებათა თავიდან აცდენის საქმეში. ალექსანდრას და მიხაკოს გაბედნიერებით მათი სიყვარულიც სასურველად გვირგვინდება.

რომანის დიდი ნაწილი ცოცხლად ვითარდება და მკითხველიც საკმაო ინტერესით კითხულობს მას: ადგილ-ადგილ უნდა ითქვას, რომ სიუჟეტი ძალზე დახლართვით ავტორს თითქოს თხრობის ძაფი ეკარგება და ცოტა არ იყოს ინტერესიც იჩრდილება. სცენები ცოცხლად ტარდება, თუმც ხშირია მელოდრამატიზმი და მხატვრულად ყალბი ადგილები. ენა მკაფიო, მკვირცხლი, ძალზე უბრალო და მხატვრული; დიალოგი მშვენიერი, მოძრაობით და დრამატიზმითაც სავსე...

მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, რომანი მაინც სუსტი ნაწარმოებია.

რომანის მთავარი ნაკლი ისაა, რომ ქართული ყოფა-ცხოვრების ნიშან-წყალიც კი არ არის შიგ და მთელი ნაწარმოები უცხო ენიდან ნათარგმნს ჰგავს. რამდენიმე პერსონაჟის ქართული სახელებით მონათლა საქმეს სრულიად ვერ შველის და კითხვის პროცესში აშკარად გრძნობთ მხატვრულ სიყალბეს. ასეთსავე შთაბეჭდილებას სტოვებენ მომქმედი პირებიც: მიხაკო უსულგულო სქემაა, ალექსანდრა ყველგან ავტორის გეგმაზე მოქმედებს და მორჩილების თვისებას მანეკენად გადაუქცევია. მსახური ქალი, მარიკო, ნამდვილი პარიზელი ქალია და არაფერი ქართული მასში არ არის. შე-

დარებით ცოცხალი ტიპებია თეიმურაზი და განსაკუთრებით მისი მსახური — გოჩუნა.

საკვირველია, მწერალი, რომელმაც ასეთი დაკვირვების ნიჭი გამოიჩინა პირველ რომანში — „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილში", — ამ ნაწარმოებში ასეთ სიყალბეში ვარდება და ის ადგილობრივობის სურნელება, რომლითაც გაჟღენთილია ადრინდელი ნაწარმოები, მეორეში ერთიანად გამქრალა და განიაეებულა. „მეჯღანუაშვილის" ავტორისაგან აქ მხოლოდ სადა ენა და მკვირცხლად თხრობის უნარი დარჩენილა.

რომან „მორჩილის" დავიწყებას ხელს შეუწყობდა, ალბათ, მეორე გარემოებაც: მისი იდეური სისუსტე, რაც გამოიხატება მონური გრძნობების გამართლებაში. ჩვენ განგებ გვინდა ცოტათი შევჩერდეთ ამ გარემოებაზე — ეს იმ მოსაზრებით, რომ გამოვარკვიოთ თითონ ჩვენი ავტორის — არდაზიანის მსოფლმხედველობა და შეხედულებანი. ვფიქრობთ, რომ მწერლის ღარიბ ბიოგრაფიაში ამით საკმაო წვლილი იქნება შეტანილი.

არდაზიანი 60-იანი წლების მოღვაწე იყო და ეჭვს გარეშეა, რომ საკმაოდ ეცოდინებოდა ამდროინდელი მოწინავე რუსეთის აზროვნება, — აკი რუსეთიდან მობერილმა სიომ გამოაფშვნეტია თვალები მაშინდელ საქართველოს ინტელიგენციას და მათ შორის არდაზიანსაც, კალმისათვის მოაკიდებინა ხელი! ჯერ „მეჯღანუაშვილის" შექმნით უნათესავდება იგი რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის ძიებას მომქმედი ბურჟუას ტიპის ძებნაში, — მოვიგონოთ გოგოლის კოსტანჟოგლო და გონჩაროვის შტოლცი. მეორე მხრივ, არდაზიანს ეპოქის კაცად ჰქმნის ის ფაქტიც, რომ მან საჭიროდ დაინახა ქართულად გადმოეღო პოლიტიკური ეკონომიის ხასიათის ნაწარმოები: „ყოველივე მოიპოვება შრომითა". რაც უნდა არქიბურჟუაზიული ბანალობის ბქადაგებელი იყოს ამ საკითხში ჩვენი თანამემამულის მიერ ყურადღების ღირსად ცნობილი პოლემარი, ის ფაქტი მაინც აშკარაა, რომ არდაზიანი თანამედროვეობას უწევდა ანგარიშს და, სხვა მოაზროვნეებთან ერთად, თავისი სიტყვის თქმაც განუზრახავს. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მებრძოლთა რიგში იგი არ მდგარა.

სიყვარულის თავისუფლება და ცოლქმრული ურთიერთობის საკითხიც საკმაო ყურადღებას იპყრობდა მაშინდელ საზოგადოებაში და არდაზიანიც სრულიად სამართლიანად დაუინტერესებია ამ საკითხებს. ვნახოთ რას ქადაგებს იგი ამ საჭირბოროტო საკითხებზე.

— შენმა მზემ, მარიამ, — მუსაიფობენ მორჩილი ქალის ალექსანდრას მშობლები, — სჯობს ისევ მამა-პაპის კვალზე ვიაროთ. ჩვენ ვიფიქროთ, ჩვენ ავირჩიოთ და ვინც ღმერთმა გვარგუნოს, იმას შევრთოთ ალექსანდრა. ჩვენ ერთმანეთი რომ სიყვარულით არ შე-

ვირთეთ, ვითომ რა ცუდი მოგვივიდა! ღვთის მადლით, სიყვარულით, სიტკბოებით შეებერდით, ერთმანეთისაგან ერთი მწარე სიტყვა არ გაგვიგონია. ჩვენ ეხედავთ მრავალ მაგალითს ევროპაში და სხვაგან— ვინც გაგიჟებულ სიყვარულით ერთმანეთს ირთავენ, იმათ უფრო კეთილი ბოლო არა აქვთ: მესამე დღესვე ერთმანეთი სძაგთ, ასე რომ, ერთი აღმა მიდის და მეორე დაღმა, ერთმანეთი რომ არ დაინახონ. ჩვენ, ქართველებს, სიყვარული წყნარ-წყნარ გვეღვიძება, ძარღვებში გვიჯდება, თანდათან გეიცხოველდება და საუკუნოდ გვიყვარს ერთმანეთი... ახალი მეცნიერები კი, თუმც ნამდვილი მეცნიერები არ არიან, ამიტომ რომ მეცნიერებას გადამხტარან და მეცნიერება, რომლითაც თავი მოაქვთ,უკან დარჩენიათ, მასხარად გვიგდებენ, რომ ჩვენ უგრძნობლად ვირთავთ ერთმანეთს. უკაცრავად, ეგებ იმათი გრძნობიერი სიყვარული ერთბაშად დაემჯობინოს ჩვენს უგრძნობ სიყვარულსა. დიახ, ხომ არ ნებავსთ! ჩვენი ჩვეულება, გარწმუნებ, სჯობია ახალ მოვლენილ ჩვეულებას“.

ეს გრძელი ამონაწერი ერთი იმ მოსაზრებით მოვიყვანეთ, რომ მკითხველს გაეცნო არდაზიანის ენა — რომ იცოდეთ ენამოტეხილი და ბრგვილი კალმები ჰქონდათ არდაზიანის თანამოკალმეებს და საზოგადოთ კერესელიძის „ცისკრელებს“, რასაკვირველია, აკაკის გარდა! მეორე მოსაზრებაც ის იყო, რომ გაგვეცნო ჩვენი ავტორის სრულიად მამაპაპური კონსერვატიული აზროვნება, რომელიც ახალ მეცნიერებასაც კი იწუნებს.

ეს აზრები რომ ჭეშმარიტად არდაზიანის არის, იქედანაც ჩანს, რომ ამის საწინააღმდეგოს რომანში ვერ ნახავთ, დასადასტურებელს — კი.

— მაშ ქმარი არ გინდა? — ეკითხება მამა ალექსანდრას.

— სრულიად არ მეშურება.

— ხომ გინდა ქმარი?

— ღმერთზე არის დამოკიდებული.

— საქმარო რომ დაგირჩეს?

— მოგახსენებთ, ღმერთზე არის დამოკიდებული.

— ღმერთმა რო ინებოს?

— ღმერთმა რომ ინებოს და თქვენცა, სრული მორჩილი გახლავარ.

— მაინც, შენი კუჭისა, ალექსანდრაჯან, შენი სურვილი როგორი არის: გინდა ქმარის შერთვა თუ არა?

— არა მსურს, მაგრამ თუ ღმერთი მამივლენს, ვისურვებ და შევირთამ.

აი იდეალური შვილი, რომელიც თავის სიყვარულს გულში იკლავს და მზადაა გაჰყვეს მშობლების მიერ ამორჩეულ საზიზღარ თე-

ინურაზს. თავისუფალი სიყვარული და გულისუფლება აქ სრულიად უარყოფილია.

არდაზიანი ყოველთვის ტაშს უკრავს ალექსანდრას ასეთი მორჩილებისა და კარგი „ყოფაქცევისათვის".

ახლა გავიცნოთ არდაზიან-ალექსანდრას — რადიკალური აზრები ცოლ-ქმართა დამოკიდებულების შესახებ:

— საზოგადოდ მოგახსენებთ: ცოლი, ჩემის აზრით, უნდა სრულიად დაემორჩილოს ქმარსა, — უთხრა თეიმურაზმა ალექსანდრას.

— ჩემის აზრითაც, ქმარიც უნდა დაემორჩილოს ცოლსა, როგორც ცოლი ქმარსა, ამიტომ რომ თანასწორნი არიან. თუ ასე არ იქნება, ესე იგი, ან ქმარი დაიჩემებს მომეტებულ უფლებასა ცოლზე, ან ცოლი ქმარზე, მაშინ უთანხმოება და უბედურება დაიბადება მათ შორის.

— სჯულით მხოლოდ ცოლი უნდა დამორჩილდეს ქმარსა, მაშასადამე, ქმარი უფალია ცოლისა.

— დამორჩილება ცოლისა შედგება მხოლოდ იმაში, რომ ცოლმა სული და გული გაუსწოროს ქმარსა, ქმარს კი ნაბრძანები აქვს იოტის ოდენათ არა აწყენიოს რა, ე. ი. იმანაც სული და გული უნდა გაუსწოროს ცოლსა, ანუ მოკლეთ, ერთმანეთი უნდა უყვარდეთ და სხვ.

ერთი სიტყვით, ამ საკითხშიც სრული კონსერვატიზმის ქადაგებაა. ალექსანდრას ვითომდა რადიკალური აზრი ცოლ-ქმართა თანასწორობის შესახებ სამღვთო წერილის ახსნა-განმარტებით თავდება: თუ სჯული უბრძანებს ქალს მორჩილებას, ქმარსაც ნაბრძანები აქვს (ვისგან? რასაკვირველია, ღვთისაგან), არა აწყენინოს ცოლს. ერთის სიტყვით, ცოლ-ქმარნი არიან „ერთ სულ და ერთ ხორც".

რომანის ამ ადგილს სხვათა შორის კლერიკალური ელფერიც გადაპკრავს. აკაკის მოგონებიდან ისიც ჩანს, რომ არდაზიანი ამ მხრივაც მაგრად მდგარა ძველ ტრადიციებზე. „ერთხელ მე, ის (არდაზიანი) და ან. ფურცელაძე დავდიოდით ერთად, — ამბობს აკაკი, — ათ საათზე გამოვეთხოვეთ ერთმანეთს, მაგრამ ლავრენტიმ მოინდომა ჩემი გაცილება სადგომამდის. გზაში, ხმა არ ამოუღია და სახლის კარებამდის რომ მიმიყვანა, მითხრა: „დიდი პატივისცემა მაქვს ახალგაზრდა ანტონის ნიჭის, მაგრამ წეღან რასაც ლაპარაკობდა, ის კი ორ დამიჯდა გუნებაში. აბა რა სათქმელია: ქვეყანა შემთხვევითმა მანქანებმა გააჩინაო? მაშინ იმას არა ეუთხარი რა და ახლა შენ უნდა გითხრა, უნდა გამოგიტყდე, რომ მიტომაც წამოგყევი. როგორც მკვიდრ შვილს, გთხოვთ, შენ არ აჰყვე მაგისთანებს, მოერიდე. პოეტს თუ რწმუნება არაფრისა აქვს, რა შვილი იქნება? შენც ორი რამ უნდა გახსოვდეს: ღმერთი და საქართველო!"

ერთი სიტყვით, აშკარაა, რომ არდაზიანი ერთიანად კონსერვა-

ტიული აზროვნების ადამიანი ყოფილა და მაგრად უდგას ფეხი მამაპაპეულ ნიადაგზე; რომ აგრე არ იყოს, მეჯღანუაშვილის დაკვირვებული და სინამდვილის მცოდნე ავტორი არც ბატონყმობას აუვლიდა გვერდს და არც პირველი რომანის შემდეგ, რომელშიაც უსათუოდ საჭირბოროტო მოვლენა იყო დასურათხატებული, ისეთ უწყინარ თემას არ შეეხებოდა, როგორიც მან აგრე სუსტად დაამუშავა „მორჩილში".

საზოგადოდ ცნობილი ფაქტია, რომ 60-იანი წლების ჩვენი მოღვაწეები სულ ცოტას გამოკლებით (ან. ფურცელაძე) კონსერვატორები იყვნენ და არდაზიანიც მათი აზრის ყოფილა. ერთ რამეში მაინც ისინი უსათუოდ რადიკალურად და ოპოზიციონურად აზროვნებდნენ და წერდნენ. ეს კი ეროვნული საკითხია, ამ მხრივ ყველანი გულდათუთქულნი იყვნენ.

ეტყობა, არდაზიანის გულიც ამ ტკივილით ყოფილა გამსჭვალული. რაინდაძე არდაზიანის კარნახით ლაპარაკობს: „მოხარული ვარ, რომ ევროპის განათლება გადმოვიდა საქართველოში, რომ ყველა ელტვის განათლებასა. ამასთან უფრო მოხარული ვარ, რომ ჩვენი ძველი დებულება და ჩვეულება, მაგალითები, ქართველი ქალის ჩაცმა-დახურვა მცირედ ვისმე გადუგდია. ამ მცირედის გარდა სხვანი ამტკიცებენ, რომ იმათ აქვთ მამა-პაპის თვითმდგომარე ხასიათი, აქვთ ამპარტავნება, დაიცვან თავიანთი საკუთარი ჩაცმა-დახურვა, რომ ქვეყანამ ყოველთვის გვიყუროს და იცოდეს: „ჩვენც ერთხელ ვიყავით და კიდევაც ვართ!"

ამ სიტყვებში უსათუოდ ქართველი პატრიოტის გულისწუხილი გაისმის. არდაზიანი ბერძენოვთან პოლემიკის დროსაც უსათუოდ პატრიოტულ ნიადაგზე იდგა და ქართული ლიტერატურის გასაძლიერებლად მოითხოვდა ბერძენოვისაგან, რომ ქართულად ეწერა. ერთი მხრივ, მეჯღანუაშვილის ხელოვნურად დასურათხატება და, მეორე მხრივ, საქართველოს ბედის ღრმა გრძნობა, უსათუოდ დაუვიწყარად ქმნის არდაზიანის მოღვაწეობას.

იოსებ დავითაშვილი

იოსებ დავითაშვილი დიდად საინტერესო მოვლენაა როგორც ჩვენს ლიტერატურაში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მის მიერ ნაფიქრი და ნაგრძნობი მკაფიოდ ახასიათებს ქართული ცხოვრების ერთ ფრიად მნიშვნელოვან საფეხურს.

ის პოეტური მარგალიტები, რომლებიც წრფელის გრძნობითა და ნათელი აზრით დააპნია მშრომელი ხალხის გულის სიღრმიდან ამონაგლეჯმა პრიმიტივმა, ერთიათად საინტერესოდ უნდა ჩაითვა-

ლოს იმ გარემოების გამო, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს უბრალო მუშის, ყოფილი ყმის თვალსაზრისთან, რომელიც მთელ მაშინდელ ცხოვრებას თავისებურად, მუშისათვის დამახასიათებლად უდგება.

დავითაშვილის აზრები და გრძნობები იმავე დროს ჩვენი მუშათა მოძრაობის გარიჟრაჟს გვიხასიათებენ. მისი ნაზარევი აშკარად ატარებს ახლად ჩასახული მოვლენის ნიშანდობლივ თვისებებს.

ყმა-მგოსნის შემოქმედებამ ამასთანავე მტკიცე საფუძველი ჩაუყარა მთელ ლიტერატურულ მიმართულებას, რომელმაც იროდიონ ევდოშვილის მეთაურობით მე-19 საუკუნეში ასახა ქართველი მუშისა და გლეხის ყოფაცხოვრება და იდეალები.

ბოლოს, დავითაშვილი უაღრესად საინტერესო მოვლენაა, როგორც ხალხური უბრალოების მაგალითი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მთა-ბორცვებიდან თავისებურად ეხმაურებოდა დასავლეთის კლასიკურ უბრალოებას, გრძნობისა და აზრის სიმარტივის მფლობელს — დიდ აკაკის.

დავითაშვილის პოეტური შემოქმედება ჯერ სათანადოდ არ ყოფილა დაფასებული. ჩვენი მიზანია ამ ხარვეზის ამოვსების საქმეში მცირედი წვლილის შეტანა. მაგრამ ჯერ დავახასიათოთ ის გარემო, რომელშიც ჩვენი პოეტის ნიჭმა გაშალა ფრთები.

იოსებ დავითაშვილის პირველი ლექსი 1877 წლით არის დათარიღებული: საშინელ მატერიალურ პირობებში მცხოვრებ პოეტს მალე მოესწრაფა სიცოცხლის დღენი — მისმა ქნარმა უკანასკნელად 1887 წლის გაზაფხულზე ამოიტირა. სულ ათიოდე წელიწადი გაგრძელდა მგოსნის ლიტერატურული მოღვაწეობა, რომელშიც ისე აისახა მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება, როგორც ერთ წვეთ წყალში. ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში — 37 წლის ასაკში გარდაცვლილ მგოსანს ერთი წუთიც კი არ ჰქონია ისეთი, რომ ქვეყნის ჭირ-ვარამზე არ ეფიქრა და, რომ კიდევ დასცლოდა, ეჭვი არ არის, მეტ კვალს დატოვებდა ქართული საზოგადოებრიობის ასპარეზზე, კვალს ორიგინალურს და, რაც მთავარია, მუშის ხელით გავლებულს. მაგრამ ამ მცირე ხნის განმავლობაშიც მან საკმაო თავისებურობა გამოჩინა და მისი მოწამებრივი სახეც მიმზიდველად მოიყურება წარსულის ხვეულებიდან.

გასული საუკუნის 80-იანი წლები დიდად მნიშვნელოვანი ხანაა ქართველი ერის სოციალურ ცხოვრებაში. ამ წერტილში ჩვენი სინამდვილის მრავალი ხაზი შეუერთდა ერთიმეორეს, რის ნიადაგზე აზროვნებაც საკმაოდ გამძაფრდა და ჩამოყალიბდა.

საზოგადოებრივი ცხოვრების თითოეულ საფეხურს ერთი მთავარი მოვლენა ახასიათებს. ეს მოვლენა მთელი ეპოქის ღერძია, დანარჩენი საკითხები კი ამ ღერძის ტრიალში აღიძვრიან.

ოთხმოციანი წლებისათვის ქართული ცხოვრების მამოძრავე-

ბელ საკითხად ბატონყმური მეურნეობის ფაქტიური დარღვევა და მშრომელი მაჯის — გლეხობის — ფეოდალურ უღლიდან თავის დაღწევის პროცესი უნდა ჩაითვალოს. მართალია, ბატონყმობა 1864 წელს გადავარდა, მაგრამ ეს აქტი კარგა ხნის განმაელობაში ქაღალდზე მომხდარი ამბავი იყო და სინამდვილეში გარდასვლა ნელ-ნელა ხდებოდა. ის არ ყოფილა რევოლუციონერის ბრძოლითა და ყიჟინით მონაპოვარი, არა, იგი ზევიდან იყო ნაწყალობევი და, როგორც ასეთი, აუჩქარებლივ მიეონავდა ქვევითკენ.

ყოველივე ეს ჩვენი ეკონომიური ცხოვრების ჩამორჩენით აიხსნება. მართალია, რუსეთიდან თუ ევროპიდან ჩვენში შემოჭრილი სავაჭრო კაპიტალი უკვე სამოც წელიწადზე მეტს მოქმედებდა, მაგრამ მისი გავლენა ჩვენს ცხოვრებაზე ძლიერ ნაკლებად ჩანს და ფეოდალური ყოფა-ცხოვრება 70-იან წლებშიც კი თითქმის ხელუხლებელი იყო. ამიტომ ქალაქური ცხოვრებაც ნაკლებადაა განვითარებული. ჩვენი ქვეყნის მცხოვრებთა უმრავლესობა ჯერ კიდევ სოფლად ცხოვრობდა და ნატურალურ მეურნეობას ეწეოდა მემამულის მიწაწყალზე. გლეხმა არ იცოდა, რა იყო ქარხანა და ფაბრიკა, თვალითაც კი არ ენახა რკინიგზა და ძალიან ნაკლებად იცნობდა საქონლის მეურნეობას: რაც სჭირდებოდა, თითქმის ყველაფერს შინ აკეთებდა და ბაზარზე გასვლა მისთვის საჭირო არ იყო.

1864 წლის აქტმა მას, მართალია, უსაზღვრო აღტაცება მოჰგვარა, მთელის არსებით იგრძნო მისი განმანადგურებელი მონობის ჯაჭვების დაგლეჯა, მაგრამ, მეორე მხრივ, უდიდესი გაურკვეველობის გრძნობაც შექმნა: სად უნდა წასულიყო განთავისუფლებული გლეხი — ისევ სოფლად განეგრძო მუშაობა თუ ქალაქისათვის მიეშურებინა?

ეს განთავისუფლებაც რაღაც საეჭვო და გაურკვეველი იყო: მან მიიღო პირადი თავისუფლება, ხოლო ეკონომიურად ჯერ ისევ მემამულისაგან იყო დამოკიდებული, როგორც დროებით ვალდებული.

ეს გარემოებაც საკმაოდ აძლიერებდა მერყეობასა და გაუგებრობას. მაგრამ გადის დრო და ჩვენი გლეხობაც თანდათან ერკვევა; ნელ-ნელა გრძნობს ფეხქვეშ დასაყრდნობ ნიადაგს, ჰქმნის საკუთარ მეურნეობას და თანაც შეუმჩნეველად ებმება ანალი, ქალაქური ცხოვრების პროცესში, ირღვევა ფეოდალური კარმიდამო და მის ადგილს ახალი კულტურის ცენტრი — ქალაქი იქერს.

და ჩვენმა გლეხობამაც თანდათან იბრუნა პირი ახალი ლამპრისაკენ. ქალაქისაკენ მოხედვას მისკენ სვლაც მოჰყვა და სოფლებიდანაც ბაწარაღებით მოაშურა გლეხობამ ქალაქს.

ამ ნაკადულს ჩამოყვა იოსებ დავითაშვილიც — ნაყმევი ბიჭი, უკიდურეს სიღარიბეში გაზრდილი, მშრომელი ხალხის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი.

რა დაინახა ქალაქში მან, განთავისუფლებულმა ყმამ და რა გავლენა მოახდინა მის სულსა და გულზე ნანახმა?

ჩვენ ვიცით, რას ამბობდნენ და როგორ მოქმედებდნენ ბატონყმობის მძვინვარების დროს არსენა ოძელაშვილები და ბლაჟიაშვილები; ვიკითხოთ, რა თქვა მათმა ღვიძლმა ძმამ ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ახალი ცხოვრების მიჯნაზე.

2.

შაგრამ სანამ პირდაპირ დავითაშვილის ნათქვამს გავარჩევდეთ, ჩვენ ჯერ კიდევ სხვა საკითხებზე უნდა შევჩერდეთ; რა მდგომარეობაში იყო ამ დროს მეორე საზოგადოებრივი კლასი — წარსული ცხოვრების მესაკე — თავადაზნაურობა?

თავადაზნაურობის ნაწილი სრული გადაგვარების გზაზე შედგა. ტუვილა კი არ თქვა 1863 წელს თავადმა ციციანოვმა: „არ შეგვიძლია არც მუშაობა, არც გუთანზე დაჯდომა, არც ვენახისა და ბოსტნის ბარვა და თოხნა, არც საქონლისა და ცხერის დევნა... ხოლო გლეხი შობილია ამგვარის მდაბიო ცხოვრებისათვისაო“. ეს სიტყვები უკლებლივ ასრულდა თავადაზნაურობის ერთ ნაწილზე, რომელმაც მოგეცა მკლავაძეები, უქმაძეები და ძმანი მათნი. მეორე ნაწილი კი შეუმჩნეველად ჩაება ახალი ცხოვრების ფერხულში, დაადგა შრომის გზას და შეურიგდა შექმნილ პირობებს.

ეს პროცესი აშკარად გამოსჩვივის დ. კლდიაშვილის მოთხრობებში, თუმცა ოთხმოციან წლებში ამ მოვლენის დანახვა არც ისე იოლი იყო. იმ ხანებში საერთოდ ამ წოდებაში დიდი არევ-დარევა, გაურკვეველობა იყო და მისი წარმომადგენლები მომავალსაც უიმედოდ შეჰყურებდნენ. ამ ნიადაგზე წარმოიშვა და გაღრმავდა ბრწყინვალე წოდების ფუქსავატი ცხოვრება, ქონების ფლანგვა და ბანკებში დაგირავება და სხვ.

მოკლეთ, ძველი მიდიოდა და ახალი ძალა ეუფლებოდა ჩვენს ყოფაცხოვრებას. ვინ უნდა ყოფილიყო ეს ახალი? ბურჟუაზია და მის ურთიერთობაში აღმოცენებული პროლეტარიატი.

ეს მომენტი იყო იმ ორი კლასის განთიადი და ამიტომ მათი მოქმედება ჯერ კიდევ არ ყოფილა შესამჩნევი. განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ჩვენი ბურჟუაზიის სისუსტე, ბატონყმობის გადავარდნა მისი სახელით მოხდა, ფეოდალიზმის შემდეგ მისი ბატონობა უნდა დამყარებულიყო და ის კი არსად ჩანდა. ერთი სიტყვით, ახალ ცხოვრებას მეთაური არ აღმოაჩნდა და ბელადობა ისევ ძველს დარჩა, რომელსაც საზოგადო საქმეებისათვის არც უნარი ჰქონდა და არც მოცალეობა.

ამ ქაოსში სხვადასხვა მიზეზთა გამო ეროვნული ბურჟუაზიის

განვითარება კუს ნაბიჯით მიდიოდა წინ, სამაგიეროდ მუშათა კლასმა იწყო ჩქარი მოქმედება და ორიოდე ათეული წლის განმავლობაში ეროვნული ცხოვრების მეთაურობა ბურჟუაზიის მაგიერ მის სულში გადავიდა.

აი, ამ პროცესის ამსახველად გვევლინება ჩვენი სახალხო მგოსანი — დავითაშვილი, რომელმაც ჩვენს ლიტერატურაში თან შემოიტანა ახალი კლასის რწმენა, იმედი და თვალსაზრისი.

80-იანი წლები სოციალური ფენების აჩქარებული გადაჯგუფების ხანაა, ამ წლებში განსაკუთრებით გამწვავდა ეროვნული საკითხი, 60-იანი წლების შემდეგ აღებული რეაქციონური პოლიტიკის ხაზი განსაკუთრებით საგრძნობი იყო განაპირა ქვეყნებში. დაუნდობლად იდევნებოდა ყოველივე ეროვნული: თვითმპყრობელური ბიუროკრატია სპობდა ენას, ისტორიულ ნაშთებს, ეროვნულ კულტურას. ამას ყველა წოდება გრძნობდა და ამნაირად სოციალური საკითხების გართულებასთან ერთად ეროვნული დევნაც უდიდეს ტკივილებს იწვევდა.

აი, ჩვენი სინამდვილის გრანდიოზული სურათი, რომელსაც თვალი გაუსწორა ჩაგრულთა ფენებიდან გამოსულმა მგოსანმა.

გარდა ობიექტური სურათისა. მას ერთგვარი იდეოლოგიური ატმოსფეროც დახვდა. მგოსანს ამ გარემოებისათვისაც უნდა გაეწია ანგარიში და ყოველივე თავისი თვალსაზრისით შეეფასებინა.

ამ დროს გამოდის მუშა მგოსანი, რომელსაც ხან ჩუქურთმის საპრელი იარაღი ეჭირა ხელში და ხანაც — ბასრი კალამი. ეჭვი არ არის, რომ დავითაშვილი საკმაოდ განიცდიდა თავისი დროის მწერალთა როგორც ტექნიკურ, ისე იდეურ გაელენას. ის ბევრში ენათესავებოდა მათ, მაგრამ ისიც ეჭვს გარეშეა, რომ მან სავსებით გამოიჩინა თავისი ინდივიდუალობა და ჩვენს ლიტერატურაში ისეთი ნაკვალევი დატოვა, რომელსაც ვერავითარ შემთხვევაში სხვისაში ვერ აურევთ.

რა საკითხებს დასტრიალებდნენ თავს იმდროინდელი ჩვენი მწერლები და მგოსნები?

მთავარი მათი საზრუნავი სოციალურ თანასწორობასთან ერთად საქართველოს ეროვნული მდგომარეობა იყო და მთელი ყურადღებაც აქეთკენ იყო მიქცეული.

„დიდის ღმერთის საკურთხეველის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოძმედ ვიყო
ჭმუნვასა და სიხარულში:

ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,

მის ბედით და უბედობით
დამედაგოს შტაცეი გულ“. —

ასე ღაღადებდა ილია ჭავჭავაძე და ბანს ძძლეედნენ სხვებიც.

დიდი პრობლემა იყო ბატონყმობის გადაეარდნის შემდეგ შექმნილი საზოგადოებრივი ურთიერთობანი. ზრუნვა გლეხობის შესახებ, მაგრამ მთავარი ყურადღება მაინც თავადაზნაურობის ბედისკენაა მოქცეული. გლეხობა ისედაც ჯანსაღი წოდებაა, მისი მომავალი ნათელი და გარკვეულია, ამიტომ გლეხთა საკითხის გადაწყვეტა ერთობ იოლი საქმეა. საბრალოა თავადობა, რომელიც არც ახალი ცხოვრებისათვის ეარგა და ეროვნულის თვალსაზრისითაც მისი ჩამოქვეითება დამღუპველი იქნებაო. ასე მსჯელობდნენ „მამები“, რომელიც ზრუნავდნენ თავადაზნაურობის გადასარჩენად. ისინი სხვა ქვეყნების მაგალითებიდან ასკვნიდნენ, რომ ჩვენშიც შესაძლებელი იყო კლასთა ბრძოლის იდეის გაღვიეება, ეს გარემოება შიშის ზარს სცემდა მათ: ისედაც პატარა ქართველები ერთმანეთს თუ დაეერიეთ, ამით გარეშე მტერი — თვითმპყრობელობა — გაიმარჯვებსო.

თუ რა გაელენას ახდენდა დავითაშვილის შემოქმედებაზე ყოველივე ეს, ამას ქვევით დავინახავთ, ახლა კი ვალაპარაკოთ თითონ მგოსანი, რომლის ლექსები ჩვენ დავაჯგუფეთ ოთხი ძირითადი თემის გარშემო. პირველ თემას დავარქვით: „მუშისა და გლეხის ყოფა-ცხოვრება და მათი მისწრაფებანი“. ეს თემა, ჩვენი აზრით, ძირითადია, ვინაიდან ჩვენი პოეტი სწორეთ ამ თვალსაზრისით უდგება სინამდვილეს და მუდამ მუშისა და გლეხის ბედი აინტერესებს. მეორე თემაც, რომელსაც ჩვენ „საერთო საგანმანათლებლო და ეროვნული მოტივები“ დავარქვით, მდაბიო ხალხისა და დემოკრატიის თვალსაზრისითაა გაშუქებული. მესამე თემად „სატრფიალო ლექსები“ დავსახეთ, ხოლო მეოთხედ — საბაეშვო.

მუშისა და გლეხის ყოფა-ცხოვრება და მათი მისწრაფებანი

ყოფილი ყმა იოსებ დავითაშვილი იმდენად გონებაფხიზელი ვამოდგა, რომ ქალაქში ჩამოსელისთანავე გაერკვა ცხოვრების სირთულეში. იგი სრულიად უსწავლელი იყო, სკოლის კარებიც კი არ ენახა, წერა-კითხვა ძლივს იცოდა: „ქვაბის მურის მონალესით“ მოუმზადეს უმწეო ყმას მელანი და დაფაც „ხარისბეჭის ჰქონდა“. დიახ, ცოდნა მას არ მიუღია, მაგრამ სამაგიეროდ მისი სკოლა და გამწვრთნელი თვით სინამდვილე შეიქნა. ამ სინამდვილეზე დაკვირვებით შეძენილმა ცოდნამ მალე გაუწალდა მას გზა და ცხოვრების ამოცანაც შეაგნებინა.

„მუშა ვარ და კიდეც ვიცი,
მუშის ბედი თუ რა არის“,—ამბობს პოეტი.

იგი ამ სიტყვებით სრულ ჭეშმარიტებას ღაღადებდა. თვითონ იყო მუშა, თვითონ ატარებდა მშრომელის სასტიკ უღელს და იმასაც საკუთარის თვალით ხედავდა, რომ მისი მოძმენიც მასთან ერთად იტანჯებოდნენ.

„ის უღელში გაბმულა
ქედმოდრეკით, როგორც ხარი,
მუდამ რეცხავს ოფლის ღვარი“—

გვეუბნება პოეტი; მან იცის,. რომ

„მუშის ოფლითა ირწყვება
მინდორი, მთა და ქედია“.

ქალაქის მუშას გვერდს უმშვენებს მისი ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი სოფლად გლეხი.

„მთელი ერის მარჩენალი
გლეხკაცია, მიწის მუშა“ —

ქვენესის დავითაშვილის ქნარი, რომელსაც არც ერთი ყალბი ბგერა არ ალმოხდენია.

„წლითი წლამდე გლეხი შრომობს,
წაუხრია მისთვის ქედი“.

მან არ იცის, რა არის მოსვენება და კეთილდღეობა:

„სახლი აქვთ მიწასთან სწორი,
შიგა ჩხის მკვარი, შეშაო,
წვებიან ბევრჯერ ჭილობზედ,
სხვა არ უგიათ ქვეშაო.
საბნის მაგივრად ზედ ჰხურავთ
მზედრის ნაქონი ფარაჯა,
ასე სცხოვრობენ, მერწმუნეთ,
თუ ვინმემ დაუდარაჯა“.

როგორც ქალაქის მუშა, ისე სოფლელი მშრომელი დღე და ღამ ოფლს ღვრიან, წელებზე ფეხს იდგამენ, მაგრამ მათი ცხოვრება მაინც ვერ გაუმჯობესებულა და ეს იმიტომ, რომ

„ის შრომობს, სხვები ძღებიან,
დაკარგული აქვს ბედია,
ჩასცქერებია მიწასა,
მაღლა ვერ აუხედია“.

ქვეყნის მასაზრდოებელს განუყრელად თანა სდევს განუზომელი სისაწყლე და დაბეჩავება:

„წყეული იყავ, სისაწყლევ,
სულ ამოვარდი ძირითა;
ჩვენთვის გაძვირდა ნუგეში,
სიმღერის ნაცვლად ესტირითა". —

კვნესის მუშათა პირით დავითაშვილი.

პოეტის ყოველი სიტყვა გულწრფელია, რადგან მან საკუთარ თავზე განიცადა სოციალური უკუღმართობა. ბატონყმობის დროს სხვისი ყმა იყო და მის ბედს ბატონი განაგებდა. არც „გლეხობის განთავისუფლებამ" მოუტანა მას რაიმე დიდი სიკეთე. ძირითადი უსამართლობა — მშრომელის ტანჯვა და მისი არად მიჩნევა, მაინც ხელუხლებელი დარჩა, უსამართლობა მაინც არ აღმოფხვრილა:

„მე გულსა მწვავს ეს სოფელი,
ორად არის გაყოფილი:
ბედით ჩაგრულს ულვთოდ სტანჯავს
თავის ბედით კმაყოფილი.
ზოგი ხარობს და ზოგი კი
ბნელს მარხია, როგორც ჭური"...

აი, რა სწამლავს პოეტის სულსა და გულს, აი, რა არ ასვენებს მას. მშრომელი და მისი მარჯვენა დავითაშვილისათვის უწმიდესი რომ არის. იგი დამღერს:

„იკურთხოს თქვენი მარჯვენა,
ვინც კვერსა სცემდეთ ზინდანსა,
ვინც შრომით არჩენს ცოლ-შვილსა,
პურსა სჭამს შრომით წმინდასა.
სახელი, პატივდიდება,
მათ ოფლსა სხვისთვის დაღვრილსა!
სიმართლე, გამარჯვებანი
მაგ თქვენსა ნაწალმართეესა".

მაგრამ ყველანი აგრე როდი აფასებენ მშრომელს, მუშას ჰყავს „წუნიები" და გლეხსაც —

„დასცინიან უგრძნობარნი,
დაზრდილები მის შრომითა".

ამით გულდასერილი პოეტი ამბობს:

„სამღერალიც მეტირება,
დახე ჩემ შაე ბედისწერას:
უშრომლათა უქმი ძღება..."

მაგრამ მარტო ამით როდი კმაყოფილდება უქმი და უშრომელი; მას მრავალად ჩაუბღუჯავს სუსტი მოძმე და სულთამხუთავად დასდგომია:

„შეგიყრიეარ სუსტი მძლავრსა,
ვით შეიპყრობს კატას ლომი“,—

ეუბნება თავის მტარვალს მუშა.

დავითაშვილის დროს ჩვენმა სინამდვილემ არ იცოდა პროლეტარიატის შეკავშირება და საერთო ძალით ბრძოლა. ქალაქის თითო-ოროლა მუშა წვრილ-წვრილ სახელოსნოებში იყო გაბნეული და მისი ბრძოლაც დაქსაქსულად მიმდინარეობდა, რის გამო სუსტი და შეუმჩნეველი იყო. დიდი ქარხანა, ან რაიმე ფართო წარმოება მაშინ არ იყო და პროლეტარულ ძალასაც არ შეეძლო ერთად შეჯგუფება და ახლის შეგნებით გამოსვლა. არ იყო არც ობიექტური და არც სუბიექტური მომენტი. ამიტომაც მარტო მყოფი ყველას წინაშე ქედს იხრის და წელშია გაწყვეტილი, ბრძოლა მას არ შეუძლია და იძულებულია ბოლმა გულშივე ჩაიკლას:

„ვით გავბედო, გაგიცხადო
მე უძლურმა მძლავრსა ომი“.

— ეუბნება იგი ძლიერს და ხელგაწვდილი შებრალებას ემუდარება:

„ნეც კაცი ვარ, შემიბრალე,
ალარ მიდგა მკლავში ღონე“.

ჩვენი პოეტი ხედავს ამ სურათს, მას გულს უკლავს აგრე დამცირებული მუშა, რომელსაც ვერ შეუგნია თავისი მდგომარეობა და ღირსება და, ერთი მხრივ, რომ მტარვალის მიმართ ზიზღით ამბობს:

„მუშა ვარ და მუშის მკლავი
ვიცი და მრწამს ნაკურთხია
და ვინც მუშას კაცად არ სცნობს,
სად ჭირთხია, საფურთხია“.

მეორე მხრივ, მუშებს ჩასჩიჩინებს:

„ეწყალოდ შრომობთ დღე მუდამ,
ოფლი ჩამოგდით პირსაო,
მაგრამ რა არი, — ეგ შრომა
ნაყოფი ხდება სხვისაო“.

თუ გსურთ, თავი დააღწიოთ უსაზღვრო ექსპლოატაციისა და თქვენი ნაშრომის პატრონი თქვენვე იქნეთ, შექმენით საკუთარი ამხანაგობანი, რისი საშუალებით თქვენს ნაშრომს თქვენვე გაასაღებთ და თქვენი ხსნაც მხოლოდ ამაშია.

„თუ რომ ეცდებით, გამართამთ,
მხოლოდ დაგიხსნის ისაო,
თუ არ გამართაეთ, იცოდეთ,
უფრო ჩასცვივით ჭირსაო“.

პოეტმა იცის, რომ ასეთი საქმეების მოსაწყობად საჭიროა მუშის შეგნება, სწავლა და განვითარება. ვერც ქალაქის მუშა და ვერც გლეხი ისე თავს ვერ ააღწევს თავის მძიმე პირობებს, თუ საკუთარი მდგომარეობის შეგნებით არ შეიარაღებულა. ამიტომ არის, რომ დავითაშვილი თითქმის ყოველ ლექსში სწავლა-განათლებაზე ლაპარაკობს და წიგნისაკენ უთითებს; გულუბრყვილოდ უჩვენებს ამერიკისა და იაპონიის მაგალითებზე და ასე ცდილობს, დაინტერესოს ჩვენი მუშები.

„მე კარგსა რასმე აგირჩევ,
მიღება შენზე ჰკიდია.
სწავლაა ბნელის ფარანი,
სწავლა ცხოვრების ხიდია.

ეცადე, სწავლა მიიღო,
იგი ცხოვრების ხიდია,
მაშინ გეშველოს, ძირს დასდო,
ეხლა რომ ტვირთი გკიდია“. —

ასე არწმუნებს მუშებს იოსებ დავითაშვილი.

„მებრალები, მუშავ, საწყალო,
ტვირთი რომ გაწვეს დიდია;
ეცადე, უქმი დატვირთო,
იქმარე, რაც რომ ზიდია“. —

ურჩევს მგოსანი თავისიანებს.

დავითაშვილი ჩვენი მუშათა მოძრაობის პირველი მერცხალია. მართალია, იგი ცხოვრების უმდაბლეს საფეხურზე იდგა, მაგრამ მისი შეგნება მოწინავე მოაზროვნეთა გვერდით იკაფავდა გზას; იგი გაცნობილი იყო სოციალიზმის იდეას და აქედან გამოელოდა მუშებისა და გლეხების დახსნას. მუშათა ამხანაგობების შექმნის აზრით და შულცე-დელიჩის იდეებით რომ იყო გაერთიანებული, ეს, როგორც მისი ბიოგრაფიიდან ვიცით, უტყუარი ფაქტია. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ უკანასკნელი ლექსის ბოლო სიტყვები: „ეცადე უქმი, დატვირთო“ შრომის სუფევას — სოციალიზმს უნდა გულისხმობდეს, როდესაც ყოველი ადამიანი შრომაში იქნება ჩაბმული.

იმ წერილიდან, რომელიც ჩვენს მგოსანს მიუწერია სოფრომ მგალობლიშვილისათვის და, რომელიც ჩვენს გამოცემაშია მოთავსებული. აშკარად ჩანს, რომ დავითაშვილი ამ ხალხოსანი მწერლის ახ-

ლო მეგობარი ყოფილა. ცნობილია, რომ მგალობლიშვილი ერთი იმათგანი იყო, ვინც 80-იან წლებში საქართველოში ერთგულად ავრცელებდა ნაროდნიკული სოციალიზმის მოძღვრებას! ეჭვი არ არის, რომ მუშა-მგოსანს მგალობლიშვილის მოღვაწეობის ეს მხარეც ეცოდინებოდა.

გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს ამის შესახებ ერთი საყურადღებო მოწმობაც. გასული წლის ზაფხულში ჩვენ სპეციალურად მიემართეთ ძველ მუშას — მიხა ჩოდრიშვილს, გაეზიარებინა ჩვენთვის თავისი მოგონებანი დავითაშვილის შესახებ; მანაც რაუდენ კალაძის თანდასწრებით, სხვათა შორის, მიამბო, რომ 75-77 წლებში თბილისში არსებობდა მუშათა ფარული წრე, რომელშიაც შედიოდნენ გოლა ჩიტაძე, ისიდორე რამიშვილი, მოსეშვილი და სხვ. მათ შორის იყო იოსებ დავითაშვილიც, რომელიც გატაცებული იყო სოციალიზმის იდეითო. ეს მოწმობა ნათელჰყოფს ფილიპე მახარაძის მოგონებების შემდეგ ადგილს: ჩვენ არ ვიცით, იღებდა თუ არა დავითაშვილი ამ წრეში მონაწილეობასო. ეჭვი არ არის, რომ ამ წრეში დავითაშვილიც ყოფილა, მით უმეტეს, საფიქრალია, რომ იგი დიდი მეგობარი იყო ზ. ჭიჭინაძის, რომელიც მაშინდელ სოციალისტებს მუშებთან აახლოვებდა.

დავითაშვილი, მართალია, იცნობდა სოციალიზმის მოძღვრებას, მაგრამ ეს სოციალიზმი უტოპიური ხასიათის იყო და მუშათა კლასის ხსნას მეთაურებისა და კეთილი გულის ადამიანებისაგან გამოელოდა. მართალია, ჩვენი პოეტი ხშირად მოუწოდებს მუშებს თვითმოქმედებისა და საკუთარი ორგანიზაციების შექმნისაკენ, მაგრამ იგი მაინც დიდ იმედებს ამყარებდა ადამიანების გულკეთილობაზე:

„მაგრამ ეინ გეიხსნის ტანჯულებს
და ეინ გაგეიხსნას გონება,
რომ არეინ ცდილობს დაამხოს
საწყალი მუშის მონება“.

ასე მიმართავს მგოსანი ერთ ლექსში პოეტებს და განაგრძობს:

„რასაც თქვენ გეირჩეეთ, იმას ეიქმთ,
ასრულდეს თქვენი ნებაო,
ჩვენც თან მიეყვებით ჩანჩალით,
ეინც კი წინ წაგვიძღვებაო“.

დავითაშვილის პოეზიას კიდევ ორი მომენტი ახასიათებს: ერთი არის რელიგიური გრძნობა და მეორე კლასთა ბრძოლის შეგნების მხრივ მერყეობა, სოციალური ჰარმონიისკენ მისწრაფება.

მუშა მგოსანი ძალიან ხშირად იგონებს ღმერთს და მისი დახმა-

რებით ცდილობს თავისი წყლულების დაამებას. მის მიერ დახატული მუშა ნათლად გრძნობს თავის საშინელ მდგომარეობას, მაგრამ—

„შრომობს მუშა, თანც ღიღინებს,
აგონდება მაცხოვარი...
აგონდება და მხნეედება,
პირჯვრის წერით შრომას აგრძობს,
და ვინც უშრომლადა ჰყლაპავს,
იმათ მტრობას მაინც არ გრძნობს.

მუშა რომ ვარ, მისთვის ვიცი
მუშის გულის პასუხები;
ღმერთმა მუშებს გაუმარჯოს,
ექმ მყლაპელებს აო ვეხები".

ამ ლექსში ორივე მოტივია: როგორც რელიგიური, ისე შემარიგებელი. ასეთი ლექსები კი ბლომად მოეპოვება პოეტს. ღვთის ხსენება და მასზე რაიმე იმედების დამყარება დღევანდელ მუშას საასაცილოდაც არ ეყოფა, მაგრამ მუშათა მოძრაობის გარიჟრაჟზე ეს ასე არ იყო.

რაც შეეხება კლასთა შორის შემარიგებელ ტონს, ესეც ერთობ დამახასიათებელი მოვლენაა ახლად ჩასახულ მუშათა მოძრაობისათვის. ამ დროის მუშა, ერთი მხრივ, გრძნობს თავის უმწეო მდგომარეობას, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ან უტოპიური სოციალიზმის გავლენის ქვეშაა და კეთილი ადამიანების გულჩვილობა სჯერა, ანდა ანარქიზმის ბრეყვალებში ვარდება:

„გეამრავლოს ყველა მუშებო
გიორგი, თუნდა ილია,
რომ დაეუნაყოთ ჩვენს მტრებსა
ძვალი გეხვდეს, თუნდა რბილია".

ასეთი არის იოსებ დავითაშვილის მიერ დასურათებული მუშა და გლეხი და მათი სულისკვეთება. მართალია, არც ერთ მათგანს მომავალი თავისი ბედი ნათლად არა აქვს გათვალისწინებული, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ ორივე ეს ძალა აშკარად გრძნობს ახალი ცხოვრების განთიადს და სწამს, რომ მომავალ ვითარებაში მას უსათუოდ მოუხდება აქტიური როლის თამაში; აღტაცებულია მონობის ერთი ჯაჭვის — ბატონყმობის დამხობით და ახალი ენერგიით იწყებს მშრომელი ხალხის მეთაურობის საქმეს, იძენს სწავლა-აღზრდას, ამხანაგობებისა და კავშირების შექმნით საკუთარ ფეხზე აპირებს დადგომას და გაშლილი გულით გაიძახის:

„გასწი, წადი, შენ, წყვდიადო,
მზეე, ამოდი, გამობრწყინდი,

გაანათე ყოველ მხარეს,
სიბნელეს ნუ შეუშინდი!...
შეგვახვედრე კელავაც მარჯვეთ,
გვითხარ: გმირო, თუ შეშინდი!"
მომავალო გაზაფხულო,
მოდი მალე, ნუ შეშინდი!

ამ სიტყვებში ჩამარხულია ახალი სოციალური კლასის რწმენა და იმედიანობა. მას ღრმად სწამს უკეთესი მერმისი და ოპტიმისტურად მღერის:

„დრო მოვა, წავა, გაიელის
ეს დრო, ვით ციცი ზამთარი",—

ასეთნაირად დაახასიათა მუშათა წრეებიდანვე გამოსულმა მგოსანმა ჩვენი მუშათა მოძრაობის ფეხის ადგმის ხანა. მის შემოქმედებაში მოცემულია სურათები, რომლებიც ახალჩასახულ პროლეტარულ მოძრაობას ახასიათებს.

ჩვენი პოეტის გრძნობიერი არსება გულის სიღრმემდე გრძნობს არსებული უკეთესობის ლოდისებურ დაწოლას და სულ იმაზე ოცნებობს, თუ როდის ეღირსება შვებით ამოსუნთქვა:

„და ოცი წლიდან ათი გამხდარა,
დროსა ბედნიერს გულით მოველი,
რომ ყველამ ძმურად, ხელმაცურად
სწავლა მივიღოთ გულის ნათელი",

და ასე დაასკვნის:

„და ჩემმა გულმა, აწ დაჩაგრულმა,
მაშინ თქვას: დადგა ახალი წელი,
როცა რო ბნელსა, ამ საძაგელსა,
ნათელმა სძლიოს, განათლდეს ველი".

ნახეთ, როგორი გულწრფელობით გოდებს დავითაშვილი მუშა ხალხის ბედზე:

„ვიტანჯები, მუდამ მიშფოთავს გული,
მოძმეს ვხედავ — რათ არის დაჩაგრული?
უწუხვარ, ეშფოთავ, იქნებოს შივით პური".
ვის მიმართოს, ან სადა აქვს სიდგური?
ამას ეფიქრობ, თავზე მეხვევა ბური,
გონება მაქვს ამისთვის დაკარგული;
ვერვინა გრძნობს, რომ გაიცნოს ეს გული,
ჩემ გულძგერას ვინმემ დაუგდოს ყური...

ასე მართალი ხმით მხოლოდ ჭეშმარიტად დატანჯულს შეეძლო ეყღერა.

„ეჰ გაეჩუმდე, «ასევ ასტირდ» გულ»,
მშრომელისათვის დამწვარ», დადაგულ».—

ამოიგმინებს მუშა-პოეტი.

დავითაშვილს იმედი აქვს, რომ გაიმარჯვებს მუშათა კლასის რევოლუციონური მოძრაობა.

„ერთი მერცხლის შემოფრენას,
თან მიყვება მეორეც...
გაგვათბობს და გაგვინათებს
გაზაფხულის მზისა სხივი,
მოგვშორდება ბნელ-უკუნ»
ეს დრო ცუდი, ეს დრო ცივი.

აი, რისთვის არის ჩვენთვის ძვირფასი დავითაშვილი და მისი პოეტური შემოქმედება.

საერთო საგანმანათლებლო და ეროვნული მოტივები

იოსებ დავითაშვილი უბრალო მეჩუქურთმის სახელოსნოდან მთელ ქართულ ცხოვრებას ათვალიერებდა და თავისებურად ასახავდა.

როგორც უკვე ვნახეთ, დავითაშვილი არ ყოფილა მუშისა და გლეხის ყოფა-ცხოვრების მარტო ფოტოგრაფიულად ამსახველი; არა, მას თავისებური მხატვრული აზროვნებაც ჰქონდა და მომავლის პერსპექტივებიც თავისებურად ეხატებოდა. იგი მუშისა და გლეხის ბედს საერთო ეროვნული ცხოვრების პროცესში იხილავდა, მას ყოველწამს თვალწინ ედგა ის დამოკიდებულება, რომელიც არსებობდა ერის მშრომელ ნაწილსა და დანარჩენ საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის.

დავითაშვილის დროს დიდი გონებრივი მოძრაობა იყო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოჩენილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები ამ დროს დევგმირულად იდგნენ ბრძოლის ველზე და თითოეული მათგანი საკუთარ სიტყვას ამბობდა ჩვენი ეროვნული ცხოვრების მოსაწესრიგებლად. სოციალურ საკითხებში რაც უნდა კონსერვატორობა ყოფილიყო, — ასეთი მოძრაობა საქართველოში რევოლუციონურ ატმოსფეროს ჰქმნიდა.

დიახ, ასეთი იყო საერთო აზროვნების ელფერი. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ქართველი ერის დამხსნელად ჯერ კიდევ ძველი ძალა — თავადაზნაურობა — იყო აღიარებული. მართალია, არც ერის

ქვედა ფენები ყოფილა უარყოფილი, მაგრამ სამეთაუროდ მას მაინც არავინ სახავდა. უკეთეს შემთხვევაში იქითკენ მოუწოდებდნენ, რომ მაღალ წოდებასთან ერთად შრომა და „ჩატეხილი ხიდი“ გაემართლებინა.

ეროვნული ცხოვრების მეთაური და გზის მაჩვენებელი უსათუოდ თავადაზნაურობა უნდა ყოფილიყო, მის ყოფაქცევაზე მთელი ერის ბედი იყო დამოკიდებული. ამ წოდების აწმყო არც ისე მიმზიდველი იყო. ის კი არა, იგი დაღუპვისაკენაც კი მიექანებოდა თათქარიძეების წინამძღოლობით.

სულ სხვა თვალსაზრისზე იდგა იოსებ დავითაშვილი, რომელსაც, მართალია, ბრწყინვალე წოდება რევოლუციონურად არ უარყვია, მაგრამ გლეხობისა და მუშების წინ წამოყენებით, მან ქართველი ერის მხსნელად მუშა და გლეხი დასახა.

აქვე უნდა ითქვას, რომ გლეხურ-დემოკრატიული იდეები იმ ხანაში მარტო დავითაშვილის თემას არ შეადგენდა, მას უსათუოდ ჰყავდნენ წინამორბედნიც და თანამედროვენიც — ჯერ ჭონქაძისა, მერე კი ხალხოსნური ჯგუფის წარმომადგენელთა სახით (რ. ერისთავი, ს. მგალობლიშვილი, ნ. ლომოური, ა. ფურცელაძე და ეკ. გაბაშვილი). ეს მწერლები უსათუოდ დიდ გავლენას ახდენდნენ მუშა მგოსანზე. დავითაშვილი ბოლომდის უცვლელად იდგა თავის პოზიციაზე და საკუთარ სისხლში ამონაწები კალმით უტყუარად გვამცნევდა თავის მოძმეთა ტანჯვა-ვაებას.

როგორ უდგებოდა იგი ქართულ ეროვნულ ცხოვრებას? სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მან თქვა:

„სამშობლოს სიყვარულმა
ამიმღელვარა გული,
განმამხნევ-განმიმტკიცა
სული დაობლებული.
კაცი არსად მოვკალი;
არსად რა მოვიპარე;
რაც რომ შრომით მოვიგე,
მით მოძმეც გავახარე.
მათი გადანარჩენი
სწავლაზე მოვიხმარე;
გარყვნილი კაცის ქცევა
ახლოს არ მივიკარე.
სადაც ცუდ საქმეს შევხვდი,
აქედან და გავიპარე;
დავჯექ, წიგნი ვიკითხე,
მით გული გავიხარე.
გაზეთი და წიგნები
მუდამ ჯიბით ვატარე
და იმათ შემაყვარეს
ჩემი სამშობლო მხარე...

ეწ კი დაეალ ნალელითა:
აღარ მინათებს მთვარე,
წუვდიადით მოცულია
ეს ჩემი არემარე.
მაგრამ ვით შენ, არ ეშინობ,
ვიცი — გამოვა მთვარე,
და კვალად განათლდება
ეს ჩემი ბნელი მხარე.
ამ ნატვრამ თუ მიმტყუნა,
სიცოცხლე დამრჩეს მწარე,
არ დაგნანდე, მშობელო,
გასკდი, მიწავ, დამფარე!"

ამ უბრალოებით ალსავსე ლექსში, რომელიც ჩვენ განგებ ვთლიანად მოვიყვანეთ, დავითაშვილის აზროვნების ყოველი მხარეა მოცემული, ან შაბლონურად რომ ვსთქვათ, მთელი პროგრამაა დახატული.

პოეტს უყვარს თავისი ქვეყანა სრულიად ბუნებრივი სიყვარულით, ის ერთი წუთითაც კი არ ფიქრობს იმაზე, რომ სხვა ერები დაჩაგროს ან შეიძულოს, მის პატრიოტიზმში შოვინიზმის ნატამალიც კი არ არის. აიღეთ გულუბრყვილო ბავშვი, რომელსაც მთელი თავის არსებით უყვარს თავისი დედა, მაგრამ ამავე დროს მან ისიც იცის, რომ სხვა ბავშვსაც „თავისი დედა უყვარს", რომლისადმი სიყვარული სრულიად ბუნებრივად მიაჩნია. მას არა თუ არ სძულს სხვა ბავშვის დედა, არამედ უმანკო არსებას წმინდა გულით შეებრალებოდა ის ბავშვი, რომელსაც დედა არ ჰყავს და ობოლია.

ასეთი არის დავითაშვილის სიყვარული სამშობლოსადმი. მას მთელის არსებით უყვარს თავისი სამშობლო; დეე, სხვა ერის შვილსაც ეს გრძნობა უნათებდეს გზას, იოსებისათვის ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენაა. „მეც ვიცოცხლო და იმანაც, ორივენი დავეტევით ამ ქვეყნად" — აი მისი უზადო პატრიოტიზმის დედააზრი.

ეს წმინდა მუშური შეხედულობაა, რომელშიც აშკარად გამოსჭვივის უდიდესი ინტერნაციონალიზმი.

მუშებისათვის სამშობლო არსებობს უპირველეს ყოვლისა, როგორც ისეთი ადგილი, სადაც მას ადამიანურ პირობებში შეუძლია არსებობა და განვითარება. მეორე მხრივ სამშობლო მისთვის კულტურული მოვლენაა, სადაც იგი მისთვის გასაგებ პირობებში მშობლიურ ენაზე იძენს მეცნიერულ ცოდნას, ითვისებს კულტურას და თავისუფლად შლის თავის შემოქმედებას ცხოვრების მოსაწესრიგებლად. ამისათვისაა, რომ იგი მუდამ წიგნის კითხვისა და სწავლის საკითხებზე ღაღადებს. ესაა მისი განუშორებელი იდეა:

„ეეცადოთ, მარჯვეთ ეიხმაროთ
ქალალდი, მელან-კალამი,

მჩაგვრელთა მხარი ეუქცეოთ,
ჩაგრულთა მიეცეთ სალამი.
სწავლისა, განათლებისა,
ავმართოთ დროშა-ალამი;
მამულის მორთვას შეეუდგეთ,
განვაგდოთ გულის ვარამი".

ახსნას საჭიროებს ის ფაქტი, რომ დავითაშვილი თავის ლექსებში აგრე ხშირად ახსენებს სამშობლოს და სწუხს მისი მდგომარეობის გამო. რამ დაისრა მუშის გული აგრე განუკურნებლად?

თვითმპყრობელი მთავრობის ძალადობა იმდენად ძლიერი იყო, რომ ერის ყველა ნაწილი გრძნობდა მის სიტლანქეს. ამ გრძნობის გარეშე არც დავითაშვილს შეეძლო დამდგარიყო: იგი უაღრესად სოციალური არსება იყო და ქვეყნის ჭირვარამი მასაც უნდა ეგრძნო.

„სამშობლო, ჩემო ლამაზო,
ზურმუხტო ანუ ალმასო,
ვიდრე შენს ზურგზე დავდიავ,
გთხოვ, მწარე რამე არ მასო.
მშვენიერი გაქვს ბუნება,
სხეებიც ამბობენ ამასო,
მაგ შენმა დაღონებამა
გული დარდებით აღავსო".

დავითაშვილი საფლავის კარამდე ცხოვრების გერად დარჩა; მას ისეთნაირად ენატრებოდა ლუკმა პური, როგორც ბატონის ხელში ყოფნის დროს. მისი შემოქმედებაც არ შეუფასებია საზოგადოებას სათანადოდ. ი. დავითაშვილის ქნარის ყღერა მხოლოდ საინტერესოდ მიაჩნდათ. საყურადღებოა, რომ აკაკი წერეთელი ეკიდებოდა მას ინტერესით და შეძლებისდაგვარად გზას უკაფავდა, მაგრამ პოეტმა მაინც თავი ვერ დააღწია უკიდურეს სიღარიბეს.

ალსანიშნაეია, რომ ი. დავითაშვილი არ კმაყოფილდება მარტო ლექსების წერით და ცდილობს თავისი ბეჭდვითი ორგანოც კი გაიჩინოს. მაგ., გამოსცა ხელნაწერი გაზეთი „ყვირილა", მის არქივში ჩვენ აღმოვაჩინეთ მეორე მისი გაზეთი „შიკრიკი", რომლის ფასი, როგორც პოეტის ხელით არის აღნიშნული, „ძმობა და სიყვარულია..."

პოეტმა სამშობლოს სიყვარულში ინტერნაციონალური გრძნობა ჩადო და თანაც მშრომელთა განათლების პროპაგანდას ეწეოდა:

სატრფიალო და საგავშვო ლექსები

დავითაშვილმა რამდენიმე ლექსი სიყვარულის გრძნობას მიუძღვნა. თუმცა, მართალი რომ ვთქვათ, მის პირობებში მყოფი ადა-

მიანისათვის, ეს გრძნობა ფუფუნება იყო. აბა, სად სასიყვარულო ჰანგები და სად ლუკმა პურისათვის დაუსრულებელი წანწალი.

მაგრამ ბუნება თავის სისრულეს ითხოვდა და დავითაშვილმაც რამდენიმე სატრფიალო ლექსი დაგვიტოვა. ამ ლექსებში თავიდან ბოლომდე ხორციელი სიყვარულის გრძნობაა.

„ლამაზო, შენი ტკბილი ხმა
მდაგავს, როს მესმის ყურითა,
და მუდამ მათრობს ეშხითა,
ვით ღვინით ატენურითა“.

გალობს მგოსანი, როდესაც ასე ენატრება „ნინას თეთრ მკერდში ჩაკონება“ და შიშს გვრიან „გიშრის თვალები“...

უნდა ითქვას, რომ ამ თემაზე დაწერილ ლექსებში ჩვენს პოეტს არაფერი ორიგინალობა არ გამოუჩენია. სამაგიეროდ, მან თვალსაჩინო კვალი დასტოვა საბავშვო ლიტერატურაში. ვინ არ იცის მისი პოეზიის მარგალიტი:

„იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო,
იკურთხოს იმის მარჯვენა,
ვინც გთესა, მოგიყვანაო“.

საბავშვო ქმნილებას უნდა ახასიათებდეს თემის სიმარტივე, ენის დახვეწილობა და მხატვრული სისადავე. სამივე ეს თვისება დამახასიათებელია ი. დავითაშვილის ლექსებისათვის. ხალხური თვალსაზრისი და ასეთივე გამოთქმის საშუალებანი ი. დავითაშვილის ლექსებს საბავშვო პოეზიის კუთვნილებად აქცევენ. ბუნების აღწერანი, იდილიური სურათები გლეხთა ცხოვრებიდან და სხვ. შესანიშნავი ხელოვნებით აქვს დავითაშვილს გადმოცემული. მას მთელი არსებით უყვარდა ბავშვები და ერთხელ განზრახულიც კი ჰქონდა პატარა წიგნაკი „ლალა“ (ძიძა) გამოეცა მათთვის.

თავისი სანუკვარი იდეის — სწავლის საჭიროების ქადაგების ასპარეზად მას ბუნებრივად ბავშვებიც უნდა მიეჩნია და ამიტომ ურჩევს მათ:

„ეცადე, წიგნი ისწავლო,
გირჩევ გულითა ლალაო,
რომ წიგნის ცოდნით გაიცნო
ქვეყნის ხარჯი და ღალაო“.

მეორე ადგილას:

„შრომისა შვილო, გლეხო პატარა,
ისწავლე წიგნი, ეცადე ჩქარა.
შემდეგ წიგნისა — თოხნა და ბარვა,
არა სხვასავით ხვეპა და პარვა“.

დავითაშვილი თავისი მომხიბლავი უბრალოებითა და ხალხური, სადა კილოთი ბუნებრივ პედაგოგად გვეელინება. მისი ლექსების ფორმა ისე მსუბუქია და შინაარსით ნათელი, რომ ბევრი მათგანი საყმაწვილოდ გამოდგება. მაგრამ ჩვენ მაინც უფრო მარტივები და სპეციალურად ბავშვებისათვის დაწერილი გამოვყავით. ქართულ საბავშვო ლიტერატურას რამდენიმე საყვარელი ავტორი ჰყავს, იოსებ დავითაშვილსაც მათ შორის უსათუოდ საპატიო ადგილი უჭირავს.

ასეთი არის დავითაშვილის შემოქმედების საერთო სახე.

რა გავლენა ჰქონდა მის შემოქმედებაზე თანადროულ მოღვაწეებსა და გაბატონებულ აზროვნებას?

აკაკი წერეთელი დავითაშვილს პირდაპირ უწოდებს ოსტატსა და აღმზრდელს. მართლაც, აკაკის ლექსის სიმსუბუქემ უდიდესი გამოძახილი ჰპოვა, დიდი მგოსნის ჩანგის ჟღერამ ქართველი გლეხის არსებაში მუსიკალური ჰანგები ააჟღერა. ამბობენ: აკაკი იმერული კილოკავის სიმარტივის მატარებელია, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ენის ბუნება ილიამ გადმოგვცაო. თუ ადამიანში პოეტური ცეცხლი ანთია, ის თურმე, ერთნაირი მუსიკალობითა და სიმარტივით გამოსთქვამს თავის აზრსა და გრძნობას, სულ ერთია ქართველია თუ იმერელი. ილიას ენის სიმდიდრე, უპირველეს ყოველისა, მის ინდივიდუალურ პოეტურ თვისებებს მიეწერება.

აზრების მხრივაც დიდ გავლენას ახდენდა აკაკი ჩვენს მუშა პოეტზე, ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან თავისი დროის მოღვაწეებთან შედარებით, აკაკი ყველაზე უფრო დემოკრატიული იყო და მისი გლეხური ლექსები ფართოდ იყო გავრცელებული ხალხში. სამშობლოს სიყვარულის გრძნობაც დიდ გამოხმაურებას ჰპოვებდა დავითაშვილში, რომელიც სრულებით არ იყო აკაკის ბრმა მიმდევარი და თავის საკუთარ ფიზიონომიას ატარებს, როგორც ეს ზევით ვნახეთ.

აკაკის გარდა, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული ი. დავითაშვილი განიცდიდა ხალხოსნების გავლენასაც, მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ იგი გლეხისა და მუშის ჩაგრულ ცხოვრებას უშუალოდ, ობიექტურად, თავისებურად გვიხატავდა.

დასასრულ, ასეთ კითხვებზე ვუპასუხოთ: რას წარმოადგენს ი. დავითაშვილის პოეზია — უბრალო ხალხური შაირებია, თუ რაიმე ხელოვნურ ღირებულებას შეიცავს? ღირს თუ არა იმად, რომ სერიოზულმა კრიტიკამ ყურადღება მიაქციოს მას და თავის ყურადღების საგნად გახადოს?

ყოველი შემომქმედი საინტერესოა იმდენად, თუ რა თქვა მან, როგორ თქვა და როდის?

ჩვენ უკვე გავეცანით ი. დავითაშვილის შემოქმედებას და დავ-

რწმუნდით, რომ მის მიერ წარმოთქმული აზრები მისი დროის მოწინავე იდეებია და თანაც ცხოვრების ახალ, სხვისაგან ხელუხლებელ მხარეს გვიშლიან თვალწინ. ლევ ტოლსტოი ამბობდა: მე მწერალს მხოლოდ მაშინ ვიცნობ მწერლად თუ იგი ცხოვრების ახალ კუნძულს მაჩვენებს და თანაც გულწრფელიაო. ვერავინ ვერ იტყვის, რომ ი. დავითაშვილი ამ მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებსო, პირიქით, ის უაღრესად გულწრფელი შემოქმედია და მისი თვალსაზრისიც ორიგინალურია.

მაგრამ მარტო ეგ როდია საკმარისი. საქმე ისაა, თუ როგორი ხელოვნურობით გადმოგვცემს იგი თავის აზრებს. შეიძლება ადამიანს მრავლად მოეპოვებოდეს ცხოვრებისათვის სასარგებლო აზრები, მაგრამ მათი გამოთქმა კი არ შეეძლოს ხელოვნურად და არ ჰქონდეს მხატვრულად თქმის ნიჭი.

ი. დავითაშვილს პოეტური ნიჭი აქვს, ამას ყოველი მისი ლექსის წაკითხვიდან იგრძნობთ. ცოცხალი და მკაფიო სურათი, სიტყვის უაღრესი ეკონომია და აზრის იშვიათი სიმარტივე, — აი მისი ლექსების მთავარი ღირსება — არსად რიტორიკა, არსად სიყალბე და ძალდატანება. მას კარგად ეხერხება ყოფა-ცხოვრების სურათის ერთი კალმის მოსმით დახატვა. ისე სულიერი განცდების უკანასკნელის ნიმუშად მოვიყვანთ ერთ პატარა, ჯერ დაუბეჭდავ ლექსს:

„მიბნელდება ეარსკვლავები და მთვარე,
ძარღვი სუსტობს, სიკვდილი მელის მწარე,
თქვენ იცოცხლეთ, ძმებო, თქვენ გაიხარეთ,
მე დამმარხეთ, გულს მიწა დამაყარეთ,
თქვენი მოძმე მოკვდე, უბედურია,
მიწად ვიქცე მიწად მოღებულია...
სული მხდება, ვეღარ დამიჭერია,
ისიც უშნო ჰკრთება პირისფერია".

რამდენი წრფელი გრძნობა და სიმარტივეა ამ ლექსში ჩაქსოვილი, თანაც როგორი ხალხური მიდგომაა მოახლოებული სიკვდილის საშინელებისადმი.

დავითაშვილი ინსტინქტურად გრძნობდა, რომ ჭეშმარიტი ხელოვანი ხალხის სულსა და გულს უნდა ეხებოდეს, მისი გრძნობა და ფიქრი ხალხისაზე უნდა იყოს გადაჯაჭვული; ამ გრძნობით გაჟღენთილი იგი შემოქმედების ფორმითაც ხალხს უახლოვდება და თავის თავს ყველგან მესტვირეს — ამ ხალხის ჭირ-ვარამზე, სევდით მომღერალს ადარებს. მისი ლექსების ფორმა ისე უბრალო და ყველასათვის გასაგებია, რომ სწორეთ სტვირზე დასამღერია, რომელთა ჰანგი ყველას მოხიბლავს.

ამიტომ არის, რომ ქართული პოეზიის უბრალოების ქურუმი დავით გურამიშვილი და აკაკიც ასე ძლიერ უყვარს მას. ი. და-

ვითაშვილის პოეზიის ისტორიული მნიშვნელობაც ყოველგვარ ეჭვს გარეშეა: იგი ჩვენი პირველი პროლეტარული პოეტია, რომელმაც მუშათა მოძრაობის განთიადზე აალერა თავისი ქნარი და ჩვენს გულშიც პირველად აათამაშა საერთო სოლიდარობისა და კოლექტიურად გამოსვლის გრძნობა. მისი სიკვდილის გამო ტფილისის ასმა მუშამ „ივერიის" საშუალებით თავისი წუხილი გამოთქვა; ასე მოიმოქმედეს თელავისა და გორის მუშებმაც.

ეს ფაქტი ისტორიული მნიშვნელობისაა. საქართველოს მუშათა კლასს და მის მეისტორიეს ამ მოვლენის დავიწყება არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია. ჯერ კიდევ შეუკავშირებელმა და პატარ-პატარა სახელოსნოებში გამომწყვდეულმა ქართველმა მუშებმა თავი დახარეს იმ ხელოვნის წინაშე, რომელმაც მომავალი ბრძოლების სიმღერები ჩააწვეთა ყურში. ისინი მოწინავე მებრძოლებს რაზმავდნენ. რა ლამაზი და წარმტაცი ფაქტია: მუშა პოეტის ქნარის ეღერა რაზმავს ქვეყნიერების გარდამქმნელთა მოწინავე რაზმებს! ჭეშმარიტად ნათელია პოეზიის გავლენა!

დასასრულ, ერთი გარემოება კიდევ უნდა აღინიშნოს. დავითაშვილისებური მოტივები უკვე პირველი რევოლუციის გარიჟრაჟზე დაეუფლა ჩვენს ლიტერატურას და დღესაც გვესმის პროლეტარული პოეტების ქნარით.

„ჩვენ ყველანი გოგოლის შინელიდან გამოვძვერითო", — ამბობდა ერთ დროს რუსეთის მწერალთა ერთი ჯგუფი. ასეთივე სიტყვები შეუძლიათ თქვან ჩვენში იმ პოეტებმა, რომელნიც მუშათა ბედს და იდეალებს გამოჰხატავენ. დავითაშვილის უგულებელყოფა არც ერთ მათგანს არ შეუძლია.

ხოლო იმ ძეგლს კი, რომელსაც ქართული მუშათა კლასი უსათუოდ დაუდგამს თავის საყვარელ პოეტს, უსათუოდ უნდა წაეწეროს: „საქართველოს პირველი პროლეტარული მგოსანი".

ილია ჭავჭავაძე

(1837—1907)

ილია ჭავჭავაძე ეროვნული გოდების უდიდესი გამომხატველია. თავისი დიდი ნიჭი, ღრმა ჭკუა და მძლავრი შემოქმედება მან სამშობლოს დაცვის იდეას მოახმარა. მთელ. თავისი სიცოცხლე ემსახურა იგი მშობელ ქვეყანას, რომელსაც „აჩრდილის" მოხუცის პირით ეუბნება: „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა". ჭეშმარიტად, მარად საქართველოსთან იყო ილია, ყოველ წუთს „მის ბედით თუ უბედობით ეწოდა გული" და თავისი სისხლიც მოწამებრივად დაანთხია წიწამურის მიდამოებში.

მან სტუდენტობიდანვე სრულიად გარკვეული და ნათელი გზა აირჩია. იმ დროში, ჩვენს პირობებში, ეს პირდაპირ გმირობა იყო. რუსეთში სწავლაშეძენილი 24 წლის ახალგაზრდა, სამშობლოში ბრუნდება, სამსახურს ხელს არ ჰკიდებს და თავისუფალი პროფესიით იწყებს მოღვაწეობას: ჟურნალისტობს, მწერლობს, უკიდურეს შემთხვევაში გლეხებსა და თავად-აზნაურებს შორის მომრიგებელი შუამავლის როლს კისრულობს; მერე ისევ მწერლობას უბრუნდება და მთელ თავის ენერგიას მას ანდომებს. და ეს ყოველივე იმ დროს, როდესაც არც ერთ ამ საქმეს ჩვენში წინაპარი არ ჰყოლია და ტრადიცია არ ჰქონია, როდესაც მაღალი წოდების საუკეთესო წარმომადგენელნი მხოლოდ სამსახურში დაწინაურებაზე ოცნებობდნენ, კაცის ღირსებას „ჩინებით ზომავდნენ" და პირადი კეთილდღეობის მეტი არაფერი ახსოვდათ.

„ჩვენი ქვეყანა,
მკედარი თქვენგანა,
თქვენებრ ჩინებზედ არ გაგვიცელია,..
თქვენგან ჩაგრული,
დაბრმავებული
ერი ჯვრებზედ არ გაგვიყიდია.
კაცს მხნეობა,
კაცის ზნეობა
თქვენებრ ჩინებით არ გვიზომია".—

—სამართლიანად ესვრის მახვილ ისარივით ილია თავის ერის ბრწყინვალე წარმომადგენლებს, რომლებიც მარჯვენა ხელით რომ რუსეთის იმპერატორის მიერ ნაბოძებ ჩინ-ორდენებს იბნევდნენ მკერდებზე და მხრებზე, მარცხენათი პატრიოტულ ლექსებსა სწერდნენ. ილიას თანამებრძოლთა სიტყვა და საქმე ერთი იყო.

„ღმერთი არმობის,
ღმერთი ყალბობის
არ ურწმენია ჩვენსა თაობას",—

ამბობს ილია, რომლის თანამებრძოლნი არც ისე მრავალრიცხოვანნი იყვნენ, მაგრამ, სამაგიეროდ, უკვდავი რწმენით იყვნენ გატაცებულნი.

დადგა ის დრო, როდესაც სამოციანი წლების განმაახლებელი გრიგალის მეოხებით საქართველოს ჰორიზონტზედაც განახლების ვარსკვლავი აკიაფდა. უკვე გათავდა ის ხანა, როდესაც ამბობდნენ: „აცა, გადაიყაროს" ნისლმაო.

ილიას ბედმა გაუღიმა, რომ ასეთ მომენტში მოუხდა ასპარეზზე გამოსვლა. ილია იმითაც ბედნიერი იყო, რომ ამ დროს ერთადერთი თავდასაცავი იარაღი საქართველოსთვის უკვე კალამი შეიქნა და არა ხმალი.

„ხრმალი იმოდენს ვერას იქმს
მრისხანე და ძლიერიო,
რასაც იქმს მშვიდობიანი
კალმის პატარა წვერიო“, — ამბობს ილია.

ჩვენს ცხოვრებაში სამოციანი წლებიდან იზრდება მწერლობის საზოგადოებრივი მნიშვნელობა. მანამდე კი მისი გავლენა სუსტი იყო, არც ალექსანდრე ჭავჭავაძე და არც ნიკოლოზ ბარათაშვილი თავიანთი ლექსების დაბეჭდვას არ მოსწრებიან. მათი ლექსები ხელნაწერად ვრცელდებოდა. ასეთსავე ბედს განიცდიდა დიდი ხნის განმავლობაში გრიგოლ ორბელიანი. ვახტანგ ორბელიანმა კი 1857 წ. „ცისკრის“, იანვრის ნომერში დაბეჭდა პირველი ლექსი „ბულბული“.

II

რა ,მდგომარეობაში ხედავს თავის სამშობლოს 1859 წელს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსასვლელად გამზადებული ილია?

„არსაიდამ ხმა, არსით ძახილი,
მშობელი შობილს არრას შეტყოდა,
ზოგჯერ კი ტანჯვით ამოძახილი
ქართველის ძილშია კვნესა ისმოდა“,—ამბობს იგი „ელეგიაში“.

პოემა „აჩრდილიდან“:

„აგერა მცხეთაც —. სავანე გმირთა,
დიდი აკლდამა დიდის ცხოვრების,

. .

სად იმა წყაროს წყლით გაშანილი
ქართველის ტკივილი დაუჭიდებოდა.
აწ ალარა სჩქეფს წყარო ცხოველი,
ხე ცხოვრებისაც იგი დამჭკნარა
და იგი დედა-ქალაქი ვრცელი
აწ სამიკიტნო დაბად გამხდარა.
ნგრეულან მისნი დიდნი პალატნი,
დიდი ცხოვრება მის დაცემულა,
დღეს ამ ცხოვრების წმინდა ალაგნი
პირუტყვთა ქელეით შეგინებულა...“

რა სურათს წარმოადგენს ჩვენი დედაქალაქი — თბილისი?

„ერთ გზით შეპხედავ და იქ ცხოვრება
მართლა ცხოვრებად მოგეჩვენება:
ლხინობენ კიდეც, კიდეც პხარობენ,
ჰფიქრობენ, ჰგრძნობენ და ჰმოქმედობენ,
მაგრამ მით ცრემლსა, ღიმილს თუ გრძნობას
ფრჩხილის ოდენიც არა აქვს აზრი“.

მისი შვილები ერთიანად გადაგვარებულნი არიან:

„რისთვის მამანი იღვწოდენ უწინ,
დღეს შვილთ არ უღირთ არც ერთ ფლურადა“.

ხოლო ამ შვილთა არსებობა კი

„ფუჭია ოგი მისი ცხოერება,
უფერულია და ცარიელი,
არც სიცოცხლეა, არც გემოვნება,
არცა საგანი გულწარმტაცველი“.

„აქ არვის — დიდსა თუ პატარასა,—
ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული“.

ამიტომ ამბობს ილია:

„ჩვენისთანა ბედნიერი
კიდევ არის სადმე ერი?“.

„ქვემძრომელი“, „უნჯი“, „მუნჯი“, „თვალაბმული“, „თავაკრული“, „ყველა ყრუი“, „ყველა ცრუი“, „ფლიდი“, „გზა მრუდენი“.

„მტრის არ მცნობი,
მოყვრის მგმობი,
გარეთ მხდალი, შინ ძლიერი,
არრის მქონე,
არრის მცოდნე
უზრუნველი და მშიერი“.

საშინელი სანახაობაა, რომელმაც სამუდამოდ დაასევდიანა დიდი მგოსნის მგრძნობიარე სული და გული.

სწორედ ამ სევდის გამო ათქმევინა პოეტმა „აჩრდილში“ მყინვარზე გადმომდგარ სიმბოლურ მოხუცს:

„მაგრამ, ქართველნო, სად არის გმირი,
რომელსაც ვეძებ, რომლისთვისაც ვტირი?
იგი აღარ გყავთ... მის მოედანი
ჯაგით აღვსილა, ეერანად ქმნილა,
გმირის დამბადი დიდი საგანი
თქვენში სპობილა და წაწყმედილა,
ვადასდგომიხართ თქვენ ქართველობას,
დაგინგრეეიათ დიდი მამული“.

ილიაც გულამოსკვნილი კვნესის:

„მაგრამ მამულო, ჩემი ტანჯვა სწორედ ის არი,
ის არის მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზე, ამდენ ხალხში კაცი არ არი,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გავუზიარო“.

III

როდესაც 1861 წ. რუსეთში სწავლამიღებული ჩვენი დიდი მგოსანი სამშობლოში ბრუნდებოდა, ასეთი კითხვები უტრიალებდა თავში: „როგორ შეეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე? რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას და რას მეტყვის იგი მე?“ ზევით მოყვანილი სურათით სამშობლომ თავისი პასუხი უთხრა მისგან გულდათუთქულ შვილს, შვილიც დიდი ხნის ტანჯვისა და გონებრივი ანალიზის შემდეგ ამ დასკვნამდე მივიდა:

„მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...“

მართალია, „აწმყო არ გვწყალობს“, მაგრამ „მომავალი ჩვენია“, რადგან დღევანდელი საქართველო ღრმა და ძლიერი კულტურის ნაყოფია, ქართველი ხალხის ეროვნულ ორგანიზმში მძლავრად სცემს უდიდესი სასიცოცხლო ნაკადული.

„მაგრამ ვაჟკაცნი, შვილები შენნი
გულდაგულ მტრებსა წინ უდგებოდენ.
იყო დრო, როს შენს ძახილზედ, ხმაზედ
მამულის დროშა გაიშლებოდა
და ჰაბეკთ რაზმი შენს მიწეეაზედ
მტრის დასახვედრად მოგროვდებოდა“.

ძველ საქართველოში თავდადებულნი იყვნენ არა მარტო საზოგადოდ ვაჟკაცები, ე. ი. უბრალო მცხოვრებნი, არამედ მათ ჰყავდათ ღირსეული და თავდადებული წინამძღოლნი და ორგანიზატორნი — დიმიტრი მეფეები.

„მახსოვს ფარნავაზ პაროვანი,
გულ მტკიცეული შვილი ქვეყნისა“...

რომელმაც გმირულად განდევნა საქართველოს დამმონებელნი მაკედონელები. ეს უცხო ძალა საქართველოს დაღუპვას უქადდა:

„ერის იმედის, სასოების, ნიკის მმუსერელი,
თვით ერის ენას — მაგ ერის განძს — იგი სდევნიდა.
სძაგდა ყოველი, რაშიც იყო ერის ღირსება,
რაშიაც ერი თვისთა ნიკთა იყო მსახველი,
რაშიაც იყო მის დიდება, პატიოსნება.
რისთვისაც დაშვრა, მამა-პაპის გული და ხელი“...

ძველი საქართველოს წეს-წყობილებაში, მგოსნის რწმენით, ჩამარხული იყო თანამედროვე ეპოქის მამოძრავებელი იდეა — რეს-

პუბლიკური მართვა-გამგეობის საფუძველი. აი რას ამბობს ილია მთიულის პირით „მგზავრის წერილებში“: „იქაიდ (სამების მონასტერში. — ვ. ხ.) არნ სენაკ, სად სამართალი ბჭეთაგან იბჭოდის. რაიც მძიმა საქმე ხევჩი ავარდის, მუნ იბჭობიდნენ... როდეს ასტყდის ერობაჩი დიდ-დეეა, დიდ-საქმე, დიდ-არჩევანი, ერობას აქაიდ გამართვის, აირჩივინ ბჭედა ბრძენ-ბერ-კაცნი, პიეტრობით სახელდებულნი, დასხმინ მათ იმ სენაკჩი საბჭობად... ქვრიე-ობოლთ ვიფარეედით, შინ მიწრიელს, გარედ მავნეს დავულაგმნდით... ერთ-ურთს ლაღ მტერთან ჩავეფარვიდნით, დაცემულ ვიურვებდნით“...

ერთი სიტყვით, ძველ საქართველოს ჰქონია დემოკრატიული მართვა-გამგეობის საფუძვლები, სოდნია თვითმმართველობის პრინციპი, არჩევნები, კოლექტიური ცხოვრების ორგანიზაცია და სხვ. შეუძლებელია ასეთი ერის დასამარება, ის უნდა აყვავდეს და გასაქანი მიეცეს...

ახალ გზაზე შემდგარი საქართველო, რომელიც ახალ ვარსკვლავს მისდევს, ისეთ შვილს უნდა ზრდიდეს, რომელიც

„ძველს ერთობას დაკარგულს,
ჩვენსა წამხდარ გმირობას
და მამულს დაობლებულს“—
მსხვერპლად დააკვდეს.

„უკვდავი არის შვილი
მამულისთვის მომკვდარი!
მამულს მიგცა ზეცამ
და, თუ ზედ დააკვდები,—
ნუგეშ — იცეს დედამ,
რომ კაცი კაცად ჰკვდები“.

ამიტომ ილია სევდიანი გულით ეუბნება უცხოეთში მოჯირითე იანიჩარს:

„ესთქვი თუ, ვისთვის შენ კისკასობ, ვისთვის იჩენ სიმარდესა?
შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველს ოსმალეთსა?“

უნდა ვიფიქროთ, რომ მგოსანს აქაც რუსეთის თვითმპყრობელობის სამსახურში მყოფი თავისი დროის ქართველი სამხედრო პირები ჰყავს სახეში.

წარსული ჩვენი დიდებულია, მაშასადამე, ჩვენი ერის სასიცოცხლო ნერვი მაგარ ნიადაგზეა აღმოცენებული.

„ჩემო კარგო ქეეყანაე, რაზედ მოგიწყენია!..
აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია,
თუმცა ძველნი დაგვშორდნენ, ახალნი ხომ შენია,..
მათ, ახალთ აღგიდგინონ შენ დიდების დღენია“, —

ასეთია ილიას აზრი და შეურყეველი რწმენა საქართველოს მომავლის შესახებ.

საქართველოს „დიდების დღეთა“ აღდგენის აზრი მუდამ თან სდევდა ილიას და იმავე აზრით განიგმირა მისი შუბლი. ჯერ კიდევ 24 წლის მგოსანი ეუბნება თავის ქვეყანას:

„შენს ძარღვის ცემას მე ყურს ეუგდებ სულგანაბული,
ღამე თენდება ეგრედ ჩემი და დღე ღამდება.
დაკინებითა ფიქრი ფიქრზე მოდის, გროვდება,
გრძნობა გრძნობაზე შეუპოვრად იძვრის ჩემს გულში,
და მე არ ეჩივი, — მიხარიან, რომ ეგრედ შერება
ჩემი ცხოვრება შენსა ფიქრში, შენს სიყვარულში“.

გარდა ლირიკული ლექსებისა და პოემებისა („მეფე დიმიტრი თავდადებული“, „დედა და შვილი“), ილია ჭავჭავაძემ ეროვნულ საკითხს უძღვნა თავისი შესანიშნავი ნაწარმოები „მგზავრის წერილები“. ნაციონალური იდეის გამომსახველად აქ გამოყვანილია მთიული, რომელიც შავი საღებავებით აფერადებს საქართველოს აწმყოს, მისტირის წარსულს, რომლის საფუძველი დემოკრატიული თვითმმართველობა, თემი იყო და დღეისათვის სამოქმედოდ აყენებს ასეთ ლოზუნგს: „ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნესო“, ე. ი. საქართველო თავის თავს თვითონვე უნდა უელიდესო. ილიაც ამ იდეას ეტრფოდა: „მიგიხვდი, ჩემო მოხეევ, რა ნესტარითა ხარ ნაჩხელეტი“, — ეუბნება იგი მას.

საქართველოს განთავისუფლების აზრი ილია ჭავჭავაძისათვის მთელი ცხოვრების მანათობელი ვარსკვლავი იყო და მუდამ ჟამს ამ იდეის გარშემო ფიქრობდა.

გავიხსენოთ გრიგოლ ორბელიანის სიტყვები:

„გმირნო, მამულის მადიდნო,
თქვენა ხართ ჩვენი დიდება!
თქვენთა სახელთა ამაყად
წარმოსთქვამს შთამომავლობა!
თქვენთა საქმეთა მოთხრობით
მოხუცს ცრემლ-მოედინება,
მხნეობით აღტაცებული
ჭაბუკი ხმალსა მიჰსწვდება.

აი ეს აზრი ი. ჭავჭავაძემ უფრო გაარკვია და გვითხრა: ჭაბუკი ხმალს იმიტომ მისწვდება, რომ „ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნესო“.

ამაზე უფრო გარკვეულად ქართული ეროვნული საკითხის დაყენება მაშინდელ პირობებში ყოველად შეუძლებელი იყო.

• • •

ილია ჭავჭავაძემ ბატონყმობა დაგვისურათა „კაცია-ადამიანში“, „გლახის ნაამბობში“ და რამდენადმე პიესაში: „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენებში“. ერთი ეპიური სურათი მოგვცა აგრეთვე პოემა „აჩრდილში“.

ილია მკაცრად მოფიქრებული მსოფლმხედველობის მწერალი იყო. თავის მხატვრული ინტუიციაც მან ამ მსოფლმხედველობის ჩარჩოებში მოამწყვდია. ჩვენ უკვე ვნახეთ, თუ როგორ გაიაზრა მან ქართველი ერის ბედი.

სოციალური საკითხიც ილიამ პიროვნულს დაუმორჩილა. „უნდა გავტყდეთ და აღვიაროთ, — წერს ილია ჭავჭავაძე (1882 წლის „ივერიის № 2), — რომ სოციალურის და ეკონომიურის კითხვების შემუშავების ტოლად არ მოდიოდა, პირველის კითხვების განვითარებასთან და თვალსაჩინოდ უკან რჩებოდა. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ეროვნული მდგომარეობა უფრო საშიში იყო, ვიდრე ეკონომიური; ეროვნული მხარე ჩვენის არსებობისა უფრო ძლიერ გვტკიოდა, გვაღონებდა, ვიდრე სოციალური“. ამ სიტყვებს ჩვენ ვერაფერს დავსძენთ, აქ უტყუარი ჭეშმარიტებაა ნათქვამი.

ვინ უნდა მიაკუთვნოს ქართველებს მისი თავი? რომელმა შინაგანმა ძალამ უნდა დაიხსნას იგი რუსეთის თვითმპყრობელობისაგან?

როგორც მაღალი, ისე დაბალი წოდების გაერთიანებამ — ერთი ხელში ისტორიულმა ხმალმა და მეორეში ფაქტიურმა გუთანმა, ამ განუყრელმა ორპიროვანმა იანუსმა, რომლის გარეშე ქართველი ერის ხსნა არ არის, რომელი წოდება უნდა იყოს მეთაური — ეს არის მთავარი საკითხი. მხოლოდ ეს კი აშკარაა, რომ ქართველი ერის ბედი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი ყოფაქცევა ექნება ამ ახალ პირობებში ერის ისტორიულ წინამძღვარს, თავადაზნაურობას და სამღვდელოებას.

ქართველ ერს უდიდესი სოციალური ტკივილი — ბატონყმობა აწუხებს. ამ სატკივრის მოშუშებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება მის სვე-ბედზე, ტკივილის მორჩენაში მთავარი და გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს თავადაზნაურობამ და არა გლეხობამ. თავი და ბოლო იმაშია, თუ რა ყოფაქცევის აღმოჩნდება თავადაზნაურობა, რომელიც დღესდღეობით ვერავითარ შემთხვევაში ვერ დგას შესაფერ და ღირსეულ დონეზე.

ასეთია ილიას მოსაზრება საერთოდ და კერძოდ ბატონყმობის საკითხში.

გავხსნათ ეს ფორმულა.

„ოთარაანთ ქვრივში“ ვკითხულობთ: ჩვენ შუა (თავადებსა და

ბლეხებს შუა) ხიდია ჩატეხილი: ისინი იქით ნაპირას დაპრჩნენ, ჩვენ აქეთ. შორი-შორსა ვართ და თვალი ერთმანეთისათვის ვეღარ მიგვიწვდენია „...ორი სხვადასხვა ქვეყანაა. იმათს ჭირსა და ლხინს ცალკე ღობე ავლია, ჩვენსას ცალკე. გული გულს ვეღარ მიგვიკარებია, ვეღარ მოგვიხვედრებია... ის მადლი, რაც ენას და ხელს უნდა ასაქმებდეს, მართლა რომ აღარ არის. ან აჩრის და დამუნჯებულია, დაყრუებულია, თითქო იმათაც და ჩვენც მოგვკვდომოდეს, თუ მთლად არა, ერთი ნახევარი მაინც. ამ ცალთვალა და ცალყურა ნახევრით-ღა ვცხოვრობთ და ვკითხულობთ ერთმანეთს".

ერი შუა გაპობილა, ერთი ნაწილი გაღმაა, მეორე გამოღმა. ეს ნაწილებიც დაავადებულია და ერთმანეთს ვერ მიჰკარებიან. მაგრამ გლეხობა თავადაზნაურობასთან შედარებით მაინც უფრო ჯანსაღია, ბრწყინვალე წოდება კი უკურნებელი სენით არის შეპყრობილი. ამავე მოთხრობის გმირი არჩილი ამბობს: „ჩვენ (თავადაზნაურობა) რაცა ვართ, გაკეთბულნი ვართ, ისინი კი — შექმნილნი. ჩვენ დაბლანდულნი ვართ, ისინი კი გვირისტით შეკერილნი, იმ გვირისტით, რომელიც მარტო ბუნებამ იცის... ისინი ჩაკირულნი არიან, ჩვენ — დონდლონი... იქა (გლეხობაში) ჰდუღს ძარღვებში მოარული სისხლი, იქა სცემს თვითონ სიცოცხლს ძარღვიცა".

ვნახოთ, სადამდე მიდის ბრწყინვალე წოდების დაავადება ბატონყმურ ფონზე.

პოემა „აჩრდილი" (დაწერილია 1859 წ., გამოქვეყნებული — 1872 წ.).

„აგერ უფალი და მისი მონა!
თრთოლით სასწორზედ ხარჯს უწონს ძნელსა.
და, რა დასწორდა სასწორზედ წონა,
უფალი პინას ზედ ადგამს ფეხსა
და მით მის ხარჯსა ერთსა-ორად ჰხდის...
მონამ მწუხარედ გულს გაიღიმა,
უმწეობითა თავის ხარჯსა ჰზრდის
და საწყლის თვალთგან ცრემლმა იწვიმა.
მაგრამ ქვა არის ბატონის გული:
ვერ დაარბილებს მას შებრალება".

ის ულმობელია, ჩირად არ მიაჩნია გლეხის შრომა და მშიერს სტოვებს მას.

„ვინა შრომობდა და ვინა ჰძღება,
ღმერთო! სად არის აქ სამართალი?!,—

გულის წყრომით აღმოხდება მგოსანს. ბატონი ამასაც არ სჯერდება:

„შენში კაცისას გრძნობას არ ხედვენ,
დედას ძუძუდგან შვილსა აკგლეჯენ,
ვინ იცის, სიდამ სად გაკყიდიან...
თუ ღმერთმა მისცა შენსა ასულსა
სილამაზე და მშვენიერება;
მონავ ჩაგრულო, ვითამ შენს გულსა,
„სასიხარულოდ ეგე ექნება?!
ქალს წაგართმეენ, ქალს გაკყიდიან,
ნამუსს მოუკლენ შეუბრალებლად...
მას, რაც გიყვარდა, ნახავ დაცემულს,
ნამუსწართმეულს და შეგინებულს!..
პირს უკუ-იქცევ და შეძრწუნდები,
ცრემლს მოინდომებ და არ გექნება,
წყეელით, ვაებით მას განშორდები“...

ყოველივე ამის ჩამდენი და მოქმედი არის ბატონი, რომლის გული ქვისაა. პოემა „ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“ (დაწერილია 1860 წ.). ზაქროს მამა შრომისმოყვარე და ჭკვიანი ყმა იყო. ზაქრო ამბობს:

„მე მამა მყვანდა მხნე კაცი, მარჯვე,
დაუღლელი და ბეჯითი, გამრჯე;
თუმცა ხელმარტო ის ცოდვილობდა,
ჩვენ კაცებშია ბევრი არ სჯობდა.
ომ დალოცვილსა ვერვინ ასწრებდა
ვერც ხვნას, ვერც თესვას და ვერცა მკასა,
ღმერთიცა მართლა უხვად სწყალობდა
და წყალობითა უვსებდა სახლსა“...

როცა გაუჭირდა და ოჯახის მოვლა ვერ შესძლო, ბატონს შვილი გამოსთხოვა, მაგრამ:

„მხეცი რამ იყო ბატონი ჩვენი,
ერთი აჯამი, გულქვა, რეგვენი,
იმას კაცებრი გული არ ჰქონდა,
რომ მამაჩემი შებრალებოდა.
რა გავაგრძელო, თავადიშვილი
კარგი რა არის, ავი რა იყოს?!“

ასე ახასიათებს ზაქრო თავის ბატონს, რომელიც იმდენად უგუნურია, რომ ზაქროს მამის ჭკვიანური დასაბუთება ვერ შეუგნია — თუ ოჯახი დამიქცია, რით უნდა გემსახუროო და საკუთარი ჭკუისა და მოსაზრების დაპირისპირების მაგივრ, როზგებსა და ძალმომრეობას მიჰმართავს. მამის გაროზგვას ვერ მოითმენს ზაქრო და ბატონს ჰკლავს. კვდება ზაქროს მამაც, თვითონ ზაქრო მშვიდობიან ცხოვრებას სტოვებს და ყაჩაღად გარბის. ასეთი არის ბატონის

გულქვაობისა და სირეგვნის შედეგი. ღუპავს სხვას და იღუპება თვითონაც.

„კაცია, ადამიანი?!“ (დაწ. 1863 წ.).

მოთხრობის ცენტრალური ფიგურა — ლუარსაბ თათქარიძე — ისეთ არსებად გადაუქცევია ბატონყმობას, რომ მართლაც საკითხავია: კაცია იგი, თუ არა, ადამიანია თუ პირუტყვი? ფიზიკურად ის ვეებერთელა ხორცი და ქონია, „ცით მონაბერი სული“ ამ „ღირსეულ სამკაულს“ ერთიანად ჩაეკლა და არაფერი ადამიანური თვისება მასში არ არის. ზანტი, მოდუნებული, გამოყეყეჩებული, უტეინო, ცრუმორწმუნე, უვიცი, ღორმუცელა, შურიანი, — აი რას წარმოადგენს თათქარიძე, რომელიც ყმების ნაოფლარით ცხოვრობს, თვითონ არას ჰქმნის ცხოვრებისათვის, სხვის მიერ შექმნილს კი თავისი უსარგებლო სიცოცხლის განსაგრძობად ანადგურებს.

ასეთსავე არსებას წარმოადგენს მისი ღირსეული მეუღლე — დარეჯანიც. მათი საზრუნავი და საგონებელია ამ წუთისოფელში მარტო სმა-ჭამაზე ფიქრი და ყმების დაწიოკება. ამ ყოვლად უქმ და პირუტყვულ არსებებს ყმების აკლების და შევიწროების უნარი უმაღლესად განვითარებიათ და უდიდეს სიტკბოებასაც კი პოულობენ ამაში. მხოლოდ ეს ხელობა აცოცხლებს და ახალისებს მათ ცხოვრებას.

უნდა ითქვას, რომ მიზნისათვის ბრწყინვალედ მიუღწევიათ: მათი გოგოები — ლამაზისეულები — მათსავე პირუტყვულ მდგომარეობაში არიან, მოზარდი თაობა — პატარა ბიჭები — ძაღლების ცხოვრებას შენატრიან, ირგვლივ უეიცობა, სიბნელე და სიდუხჭირეა. საშინელ ჭაობში ჭყუმპალაობენ ბრწყინვალე წოდების წარმომადგენელნი და იქაე ახრჩობენ თავიანთ ყმებსაც. ადამიანის ცხოველად ქცევა, გამოყეყეჩება, მოშლა და მოდუნება ამაზე შორს ვერ წავა.

ასე საშინელია ბატონყმობა, ასე დაუნდობლად გააშუქა იგი ილია ჭავჭავაძემ.

„გლახის ნაამბობი“ (დაწ. 1862 წ.).

ამ მოთხრობაში დაპირისპირებულია ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე წოდების წარმომადგენლები: ყმა — გაბრო და ბატონი — დათიკო. ბატონთან ძმასავით შეზრდილმა გაბრომ ყველაფერი მას უძღვნა: თავისი შრომა, ერთგულება, სინიდისი და მთელი თავისი ახალგაზრდობა. ბავშობიდანვე მოკიდებული ჭაბუკობამდე გვერდით ედგა და თავისი პიროვნება მას დაუმონა და ანაცვალა. გაბროზე ერთგული და მოსიყვარულე არსება დათიკოს მეორე არ ჰყოლია. მაგრამ რით გადაუხადა მან ამ სამსახურისთვის? მთელი სიცოცხლის განმავლობაში ერთადერთი მისი თხოვნა-მუდარა, რომ მისი საცოლე — თამრო ნამუსაუხდელი დაეთმო მისთვის, — არ

შეასრულა, უბრალო ადამიანური და კაცურკაცური გრძნობა არ გამოიჩინა და ღვიძლ ძმასავით თანშეზრდილს ტლანქად შეუგინა უნაზესი გრძნობა.

დათიკო ხორცშესხმული ეგოისტია: მთელი ქვეყნის ცენტრში თავისი თავი წარმოუდგენია და სისხლსა და ხორცში აქვს გამჯდარი ის აზრი, რომ ყველა მას უნდა ემსახუროს და ყველა მას უნდა ემონოს. გარეშეთა შრომა, ნამუსი და სიცოცხლეც მას უნდა შეეწიროს. ის ყველასგან აქეთ მოითხოვს, ყველას ართმევს, თვითონ კი არავის არაფერს არ მისცემს არც აზრით, არც გრძნობით, ის უაღრესად ანტისოციალური ტიპია. და, როდესაც მის წინაშე აღიმართა გლეხთა წრიდან გამოსული თავიდან ფეხებამდე სოციალური გრძნობების მატარებელი ადამიანი, გაბრო, რომელიც ისე მდიდარი ბუნების პატრონია, რომ არაფერს არ იშურებს გარეშეთათვის. აი, ასეთ არსებას დაუნდობლად უკრავს ცხოვრების გზას გაპირუტყვებული დათიკო და დაღუპვისკენ მიაქანებს.

ბატონი ღუპავს არა მარტო იმას, ვინც წინ გადაეღობა მას, არამედ იმასაც, ვინც მისი პირუტყვული ჟინი უნდა დაუკმაყოფილოს — თამროს. ღუპავს თამროს მამას — პეპიასაც და ბოლოს თვითონაც იღუპება ამ ბრძოლაში. მართალია, ბოლოს, ძალიან დაგვიანებით, სინიდისმა მასშიც გაიღვიძა და გაბრო ტყვეობიდან გაათავისუფლა, მაგრამ უკვე გვიან იყო: გაბროს კაცობა მაინც დაღუპული იყო, მისმა ნათესმა სიკეთემ ნაყოფი ვერ აღმოაცენა დროზე, „რა ჰქნას კარგმა მონარდემა, დროზე შაში თუ არ მოვა“? მისმა კეთილმა თესლმა ნიადაგი ვერ იპოვა ბატონის ქვა გულში. „გამწირველი ჩანს, შემწირავი არ არის“, — ვამბობთ თვითონ ილიას სიტყვებით.

ასეთია ილია ჭავჭავაძის მიერ შექმნილი კიდევ ერთი საბრალმდებლო სურათი.

„სცენები გლეხთა განთავისუფლების დროიდან“ (დაწ. 1865 წ.).

აქ გამოყვანილია ერთი ცოცხალი ტიპი — გლეხობიდან — გლახა ჭრიაშვილი, რომლის ჭკუა-გონება და აზროვნება ისე გამოუყეყეჩებია ბატონყმობას, რომ უბრალო აზრის გამოთქმაც კი არ შეუძლია და მუდამ ერთსა და იმასვე ამბობს გრძლად და დაუსრულებლად. ჭრიაშვილის ცოცხალი სახე — ტიპია გრძლად, უთავბოლოდ და უტვინოდ მოლაპარაკე ადამიანისა.

„ოთარაანთ ქვრივი“ (დაწ. 1887 წ.).

ეს მოთხრობა ბატონყმობას პირდაპირ არ ახასიათებს, მაგრამ მაინც ამ ურთიერთობის ნაყოფია. ამიტომ, თუმცა ქვევითაც გვექნება მის შესახებ ლაპარაკი, მაგრამ აქაც უნდა შეეეხოთ.

ამ მოთხრობაშიც ილიას მძლავრი შემოქმედება ორი წოდების წარმომადგენლებს უპირდაპირებს ერთმანეთს: ერთი მხრივ, დგას ოთარაანთ ქვრივის მონუმენტალური ქანდაკება, რომლის კვარცხლბეკზე ზის მისი ვაჟი — გიორგი, მეორე მხრივ, ეხედავთ თავად არჩილსა და მის დას კესოს. ამ ორ ხატებათა შორის „ხიდი ჩატეხილია“, ისინი გალმა-გამოლმა დგანან და ერთმანეთს ისე გაჰყურებენ, არც ერთს ერთმანეთის არ ესმის. „ორი სხვადასხვა ქვეყანაა, იმათს ჭირსა და ლხინს ცალკე ღობე ავლია“.

რა მოეჩვენა ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის სახით ჩვენს ბატონებს არჩილსა და კესოს? მშრომელი ადამიანები, ახალ-ახალ ღირებულებათა შემქმნელნი, დაწურული ჭკუა და პატიოსნება, მოფიქრებული და გეგმიანი ცხოვრების მატარებელი არსებები, პრინციპის და შეუდრეკელი ნებისყოფის მქონენი, გულკეთილნი, მოვალეობისა და სიტყვის აღმასრულებელნი, მომჭირნენი, უაღრესად სოციალური ბუნების მატარებელი ქმნილებანი.

რით უპასუხეს ამ პატიოსან და ალალმართალ ადამიანებს არჩილმა და მისმა დამ? შეიწირეს თუ არა მათი მადლი? გამოიცვნეს თუ არა ამოცანა?

ვერა, ვერ გამოიცნეს, რადგან მათი თვალი წოდებრიობამ დაბრმავა, მათი გული ბატონურმა მდგომარეობამ გააქვავა. არჩილი და კესო ვითომ ახალი დროის ადამიანებია, ყურთმაჯებიანი კაბის მაგიერ ალბათ ერთს სერთუკი აცვია და მეორეს კიდევ ხაბარდიანი კაბა, მაგრამ არსებითად ისინი იგივე თათქარიძეები და დათიკოებია. როგორც ისინი, ვერც ესენი მიწვდებიან გლეხის სულსა და გულს. მათი დაახლოება სინამდვილეში ვერ მოხერხებულა, ისინი ერთმანეთის მოწინააღმდეგე ბანაკში დარჩენილან ბატონყმობის გადავარდნის შემდეგაც.

დასკვნა:

ა) თავადობა ერთიანად დაავადებული და გახრწნილი წოდებაა. იგი ერის ხორცმეტია. ეს წოდება ერთიანად ანტისოციალურია და უკან მიდის.

ბ) გლეხობა ჯანსაღი, ცხოვრების ღირებულებათა შემქმნელი, ერის დედაბოძი და მაცოცხლებელია. იგი უაღრესად სოციალური და პროგრესულია.

გ) ამ ორ წოდებათა შორის შეუბრალებელი ბრძოლაა, არსად დანდობა, არსად გატანა.

დ) ამ ბრძოლის დამწყები და გამამძაფრებელი მხოლოდ და მხოლოდ დაავადებული წოდებაა — თავადობა, რომელიც ერთიანად ჩაფლულია წოდებრივ ეგოიზმში და ქვეყანას დაღუპვისკენ მიაქანებს. მისი ყოფაქცევა ერის დამღუპველია.

ასე აქვს წარმოდგენილი ილიას ქართველი ერის მდგომარე-

ობა, როგორც ბატონყმობის დროს, ისე მისი გადავარდნის შემდეგ.

ილია საესებით მოგვაგონებს რუსეთის მწერლებს ტურგენევსა და სხვებს, რომელნიც სწორედ ასეთნაირად უდგებოდნენ საკითხს. მათ უნდოდათ ბატონყმობიდან ამოღებული შემაძრწუნებელი სურათებით მემამულეების გული მოელბოთ და უკანასკნელნი დაეთანხმებიათ ნებით და საკუთარი სურვილით გაეთავისუფლებიათ გლეხები. ილიაც ამ მწერლების კვალს მიჰყვება: თავადობას აჩვენა მისი მახინჯი სახე, თვალწინ დაუყენა ნამდვილი ადამიანის ტიპი — ოთარაანთ ქვრივების და გაბროს სახით და ეუბნება: ამას დაემსგავსე, თორემ შენც დაიღუპები და სამშობლოსაც დაჰღუპავო.

ჩვენი მგოსნის აზრით, ამ წოდებას დაიხსნის მისი კაცურკაცობა, ნამუსი, სინიდისი, ცრემლი და შინაგანი მორალური გარდაქმნა. დათიკოებს დროზე უნდა მოუვიდესთ სინიდისი, კესო შეგნების ცრემლით უნდა გაიბანოს და ჩვენმა „შენანიებულმა თავადმა" — არჩილმა — კიდევ ნაკლები დეკლარატიული სიტყვები უნდა ხარჯოს და ახალი ცხოვრების მოწყობაში თვითონვე უნდა ჩაერიოს. აი, მაშინ დამყარდება სოციალური ჰარმონია, წოდებათა შორის ბრძოლა მოისპობა და ნახავთ, რომ „ერთგან სძოვდეს ცხვარი და მგელი".

„მაშინ უქმ სიტყვად არ იქნებიან
ძმობა, ერთობა, თავისუფლება,
ეკლის გვირგვინით აღარ იქნიან
კაცთმოყვარება და სათნოება".

აი ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა მოკლედ და სხარტულად.

აქვე უნდა შეენიშნოთ ორი რამ: ერთი, ილიას მოქმედების ტაქტიკა ბატონყმობის მოსპობის საქმეში და მეორე — მის მიერ აღიარებული ქონებრივი უთანასწორობის დარჩენის აუცილებლობა — კერძო საკუთრების პრინციპის დაცვა.

ჩვენი მწერლის მოქმედების ტაქტიკა საესებით გამომდინარეობს მისი მრწამსიდან თავადაზნაურების შინაგანი გარდაქმნისა და განკაცების შესახებ. ილიამ ამ წოდების აღზრდა გამოაცხადა აუცილებელ საჭიროებად. ამ აღზრდას კი დრო უნდა, მომზადება, ნელნელი და თანდათანობითი ცვალებადობა. ერთი დაკვრით არაფერი არ გამოვა. მოვიგონოთ მოძღვრისა და გაბროს საუბარი „გლეხის ნაამბობში" მიმინოს შესახებ. ავთანდილისა და შერმადინის ამბავის წაკითხვის შემდეგ გაბრო ამბობს:

„აი, ბატონ-ყმობა თუ იყოს — ამისთანა.

— მოგწონს? — ჰკითხა მღვდელმა.

— აბა რა?

— მართალი ხარ! — მიბრძანა იმან ნაღვლიანად, — უარესს ეგა სჯობია...

— იმას კი არა შეედრება-რა,როცა ცა ქუდად გაქვს და დედამიწა ქალამნადა...

— ერთი ეს მითხარი: ხელში ნაპატიები მიმინო უფრო კარგია, თუ ის მიმინო, რომელსაც გაჩენის დღიდგან კაცის ხელი არ მოჰხვედრია?

— რასაკვირველია, ის, რომელსაც ხელი არ მოჰხვედრია.

— რადა? ის ხომ უფრო გაპატიებულია?

— ვაი იმ პატივს!.. ხან ფრთას აუკვრენ — არ გაფრინდესო... თვალებს კი ყოველთვის აუბმენ ხოლმე...

— შე დალოცვილო! ისე მკითხავ, თითქო არ იცოდეო. მწყერს აკერინებენ და თითონ კი სეირს უყურებენ...

— მიმინოს იმას გამოაწიწკნინებენ, რაც კაცის საქმელად არ ვარგა...

— თუ მიმინომ შემოდგომამდინ გაუძლო შონადირესა და არ მოკვდა, თავის ნებაზე გაუშვებენ ხოლმე.

— დახე. ყველას დრო სდომებია!

— მაშ უდროოდ როგორ იქნება?"

ემოწმება მღვდლის პირით ი. ჭავჭავაძე. ამ ადგილიდან აშკარაა ილიას აზრი: კარგი იქნებოდა, რომ ბატონყმობა სულაც არ ყოფილიყო, მაგრამ რაკი არსებობს, ერთი დაკვრით იგი არ მოისპობა, ყველაფერს დრო უნდა, ე. ი. აუცილებელია ნელი. ევოლუციური გზა და ისტორიული საფეხურების მოლოდინი, ვითარცა წელიწადის დროების დადგომის მოლოდინი და აუცილებლობა. ასეთია ილიას ევოლუციაზე აგებული ტაქტიკა.

მეორე საკითხია ქონებრივი უთანასწორობის აღიარება[1]. ეს პრინციპი ჩვენი მწერლისათვის უდავოა. კერძო საკუთრება სამართლიანად თუ უსამართლოდ. ჩვენდა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ. ჯერ კიდევ დიდხანს იქნება პატივში. „კერძო საკუთრება ჯერ კიდევ ქვაკუთხედად უძევს არამც თუ მთელს სახელმწიფოს და საზოგადოებრივ წყობას რუსეთისას, არამედ მთელი ცხოვრებით დაწინაურებულ ქვეყნებისას მთელ დედამიწის ზურგზე"[2]. ასე წერდა ილია პირველი რევოლუციის — 1905 წლ. — ქარიშხალის დროს, ამ წმენითვე გამოვიდა იგი სამწერლო ასპარეზზე 60-იან წლებში. ამავე პრინციპს უდებდა იგი გლეხთა განთავისუფლების საქმესაც: ბატონი მას მიაჩნდა კერძო მესაკუთრედ და მისი მიწაც ხელუხლებელი უნდა ყოფილიყო, გლეხს უნდა მიეღო პირადი და უფლებ-

---

[1] იხ. ამ საკითხზე არ. ჯორჯაძის თხზ., ტ. II, გვ. 111—132.

[2] „ნუთუ", 1905 წლის ფ. გოგიჩაიშვილის „იუერიის" № 68 დამატება.

რივი თავისუფლება. ამ აზრს იცავდა, როგორც ზეგით ვნახეთ, მთელ თავადობასთან ერთად დიმიტრი ყიფიანი და ამავე აზრს იზიარებს ილია ჭავჭავაძეც. ამას ადასტურებს „აჩრდილის“ სიტყვები:

„მაშინ, მაშვრალო, შენც განკაცდები,
წართმეულთ ნიკოთა კელავ მოიპოვებ,
ხხვან ძირს არ დასწევ, თვით ამაღლდები,
არც ვის ემონვი და არც იმონებ“.

ქონებრივ უთანასწორობას ილია საერთოდ ნაციონალური მოსაზრებითაც იცავდა. აი რას ეკითხულობთ იმავე „ნუთუ“-ში: „დღევანდელ მოძრაობას თავი იქით უნდა უბრუნოს კაცმა, საითკენაც ჯერ არს, და არა იქით, რომ ერთმანეთს მივესიოთ და ციხესიმაგრე ჩვენი ჩვენვე შიგნიდან გავტეხოთ. ამას თხოულობს არამცთუ სიკეთე და ბედნიერება ჩვენის ქვეყნისა საერთოდ, არამედ გლეხკაცობისაც, საკუთრივ“. კლასთა ბრძოლა და მისი გამწვავება ციხის შიგნიდან გატეხას და საქართველოს დაღუპვას ნიშნავს.

ამ მოსაზრებას უდებდა ილია ჭავჭავაძე საფუძვლად მთელ თავის სამწერლო მოღვაწეობას. ერთი მხრივ, ფიუდგომლად აღნიშნავდა იგი სინამდვილეს — წოდებათა დაუნდობელ ბრძოლას, თავადობის დაცემას და მის ადგილას გლეხობის წამოწევას, მეორე მხრივ კი ამ ბრძოლის შენელებას ცდილობდა იგი. „ნუთუში“ ვკითხულობთ: „დიდი მოვალეობა პრესისა, მისი ღვაწლი, გლეხისა და თავად-აზნაურის, ან მდიდრისა და ღარიბის ერთმანეთზე მისევა კი არ არის, შუა კაცობაა, შუა ჩადგომაა მათ შორის, მშვიდობიანობის ჩამოგდებაა, მოსარიგელის მორიგებაა, შესარიგებელის შერიგებაა იმისდა მიხედვით,—ვის რა ზნეობრივი და მოქალაქეობრივი, ან ერობრივი სამართალი მიუძღვის ერთმანეთის წინაშე. ამას ითხოვს ადამიანობა, კაცური კაცობა და ერთობ იგი ჭეშმარიტი სიყვარული ადამიანისა, რომელიც, როგორც მზე, ყველას ერთად ანათებს, ყველას ერთად ათბობს და ყველას გამოუკლებლივ აწვდის ძალსა ცხოველმყოფლობისას, სიცოცხლის დაბადებისას, სიცოცხლის ზრდისა.

მართალია, გლეხკაცი და ღარიბი უფრო მეტად საზრუნველია, უფრო მეტად გაჭირვებული, ვიდრე თავადი, აზნაური, მღვდელი თუ ვაჭარი, მაგრამ განა აქედან ის გამოდის, რომ ყველა ესენი ადამიანები არ არიან? განა ცოდვაა, რომ ამათთვისაც ვიზრუნოთ და თავი შეეიტკიოთ?“ ყველა წოდების და მდგომარეობის ადამიანის ერთნაირად დაცვა, — ასე ესმოდა თვითონ ილიას თავისი ლიტერატურული შემოქმედება, ასეთ მიზანს უსახავდა პირადად თავის თავს. ხოლო სულ სხვა საქმეა ის, თუ ჩვენ, სხვა ეპოქაში მცხოვრებ მის შთამომავალს, როგორ გვესმის ეს საკითხები და რა შინაარსს

ვდებთ ილიას მიერ გადმოშლილ სურათებში. დიდი მწერლის შემოქმედებაში წითელი ძაფივით არის გატარებული ის დედააზრი, რომ თავადობის უგვანობის და შეუბრალებლობის გამო ერთი მეორეზე მისეული წოდებები უნდა შერიგებულ იქნენ თავადების განკაცებაგარდაქმნის გზით და ქონებრივი უთანასწორობის დატოვებით, მერე კი ამგვარად შერიგებულთა მოძრაობა უნდა მიმართული იქნეს საქართველოს განთავისუფლების მიზნით რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ასეთია მგოსნის აზრი, რომლის მეორე ნაწილი — ქონებრივ უთანასწორობაზე დამყარებული წოდებათა მორიგება — სრულიად უტოპიური გამოდგა, საქართველო დაიხსნა და გადაარჩინა არა წოდებათა შორის ბრძოლის მოდუნების და შერიგების იდეამ, არამედ კლასთა ბრძოლის ლოღიკური დასკვნისკენ მიმართვამ.

ამას აშკარად ამტკიცებს მეოცე საუკუნის ჩვენი რევოლუციები და კლასთა ბრძოლით „შრომის სუფევის“ (ილია სიტყვებია) — სოციალიზმის მიჯნაზე — ქართველი ერის დადგომა.

• • •

ილია მრავალმხრივი ნიჭის მქონე მწერალი იყო. მის კალამს ერთნაირად ემორჩილებოდა როგორც მხატვრული სურათების შექმნა, ისე პუბლიცისტური წერილების წერა. არ ყოფილა ჩვენი ერის ცხოვრებაში ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც ილია ჭავჭავაძე არ შეხებოდა. მის დროს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება, ლიტერატურა და, საზოგადოდ, კულტურული ასპარეზი ხელუხლებელ ნიადაგს წარმოადგენდა და ილიას, როგოც თავის ქვეყნის ერთ-ერთი უდიდეს გულშემატკივარს, ღრმად მოაზროვნე და ნიჭიერ პიროვნებას, რასაკვირველია, არ შეეძლო, სადაც საჭიროდ დაინახავდა, არ გამოჩენილიყო და თავისი სიტყვა არ ეთქვა. ჩვენ აქ ვეხებით მას, როგორც ხელოვანს და მისი მოღვაწეობის სხვა მხარეები ჩვენს წიგნში ვერ შეეა[1].

ილ. ჭავჭავაძე განვიხილეთ ჩვენ, როგორც: ა) ეროვნული გოდების მატარებელი მგოსანი, ბ) როგორც ბატონყმობის დამასურათხატებელი და გ) როგორც გლეხთა და ყოფილ ბატონების ურთიერთობის გამაშუქებელი ბატონყმობის შემდეგ.

მაგრამ ილიას აქვს ისეთი ხასიათის ნაწარმოებიც, რომელიც შეეხება არა მარტო ჩვენს. ცხოვრებას, არამედ ხელს ჰხვევს სხვა ეროვნებათაც, ნიკ. ბარათაშვილის მსგავსად, იგი ეხება ისეთ სა-

---

[1] ავტორს აქ მზადველობაში აქვს „ქართული ლიტერატურის თემატიურად განხილვა“, სადაც ეს წერილი დაბეჭდა. — ა. ს.

კითხს. რომელიც ყველა ერის შვილისათვის საინტერესოა და საარსებო საგანს შეადგენს. ამ საკითხის ასე თუ ისე გადაჭრა ყველა ადამიანს ერთნაირად ეხება, ვინაიდან იგი ადამიანის საერთო ბუნებიდან გამომდინარეობს.

ჩვენ სახეში გვაქვს ჭავჭავაძის ცნობილი პოემა „განდეგილი" და მისი დედააზრი. ამ პოემით მისმა მხატერულმა შემოქმედებამ და მოაზროვნე შუბლმა სხვა ერთა ყურადღებაც მიიპყრო. ილია უკვე საქვეყნო პრობლემას ეხება.

„განდეგილში" დაპირისპირებულია ორი ერთმანეთის მოპირდაპირე ადამიანი — არც ერთი მათგანი ერთმანეთს არა ჰგავს — არც გარეგნულად, არც მსოფლშეგრძნებით და არც მსოფლმხედველობით.

პირველად თვალწინ დაგვიდგება განდეგილის ასეთი ხატება:

„სახე გამხდარი, კეშტი და მწყრალი
სიწმინდის მადლით დაჰშვენებოდა,
და მაღალს შუბლსა, ნაოჭად შეკრულს,
შარავანდედი გადაჰფენოდა,
მისთა მცხრალ თვალთა ღრმა მეტყველება
ესოდენ იყო წყნარი და ტკბილი,
თითქო მათ შიგან ჩასახებულა
თვით სათნოება, კდემით მოსილი,
თითქო ნელისა სიხარულითა
სამოთხის ღია კარს შეჰხარიან
და სულთან ერთად უფლისა მიმართ
სასოებითა მიისწრაფიან.
ლოცვით და მარხვით ხორც-უძლურ-ქმნილი
ჰგვანდა წმინდანსა იგი წამებულს,
მრავალგზით ტანჯულს და ტანჯვათ ზედა
ძლე�d-მოსილსა და განდიდებულს".

პოეტის სიტყვით მწირი

„არ იყო ხნიერ, მაგრამ ვით წმინდანს
სულის სიმაღლე ზედ დასჩნეოდა,
ზედ ეტყობოდა, რომ სული მისი
სულ სხვა მსოფლიოს შეჰხიზნებოდა".

ტანჯული და წამებული ხორცი, ცად მიპყრობილი თვალები, სასოებით გულხელდაკრეფილი წმინდანი, — აი, ვინ დგას ჩვენს წინაშე.

„განუდევნია გულიდამ ყველა:
მსოფლიო ზრახვა, ფიქრი, წადილი,
რათა წარუდგეს უფლისა მსჯავრსა
სულით გაწმენდილ და განბანილი.

ღღე-და-ღამ ლოცვით, გოლგოთით, გვემით
ხორცი სულისთვის უწამებია,
და ვით ჭურჭელი იგი წყმედილი —
ცრემლით ურეცხავს, უსოელებია...
განყენებული წუთისოფლისგან,
აქ სული მისი აღყვავებულა,
და ხორციელი გულისთქმა ყველა
დამარხულა და განსვენებულა“.

ასეთია განდეგილის წარსული და აწმყო, მისი წამებაც „ღმერთს შეუწირავს“.

„და სასწაული ნიშნად მადლისა
მღაღადებელზედ მოვლენია“.

სარკმლიდან შემოსული შუქი მწირის ლოცვანს „უფლის ბრძანებით ზედ შეირჩენდა“.

ამ სურათს აი, რა ხატება დაუპირდაპირა პოეტმა:

„თვით შური, მტრობა ვერ უპოვიდა
ქალს მშვენიერსა ვერაფერს ნაკლსა.
მის თვალთა ელვით, ღაწვთა შუქფენით,
გულ-მკერდის რხევით ვინ არ ათრთოლდეს!...
დახე მის ტუჩთა!.. თითქო თვით ტრფობას
თვის ნაზი კოცნა ზედ დარჩენოდეს.

არაერთ იყო... ხოლო ცეცხლა-პირს
ქალს დაღალულსა მისძინებოდა,
და ცეცხლის შუქი მის ტურფა სახეს,
ვით საყვარელსა, ზედ დაჰხაროდა.
საოცარ იყო მიძინებული
იგი სიტურფე, იგი მშვენება!..
თითქო მის შექმნას ერთად ცდილანო
თვით სიყვარული და ნეტარება!
თითქო თვით მადლსა შეენებისასა
თვისი საუნჯე აქ დაებნევია
და ეშხსა, ვითა იადონს ვარდზედ,
სული მის ღაწვზე დაულევია“.

ერთი სიტყვით, ჩვენს წინაშე სიცოცხლით მფეთქავი ხორციელებაა, ამქვეყნიური ცხოვრებით გალაღებული არსება, რომელიც პირგაღიმებული წარუდგა ბერის წამებულ სხეულს, ჩამომხმარ სახეს და ცად მიმართულ მიბნედილ თვალებს. იბრძვის ორი საწყისი: ამქვეყნიური და ზეციური, ხორცი და სული, წარმართობა და ქრისტიანობა.

მშვენიერი ასული მსოფლიოსაც თავისებურად გრძნობს, მას

ჰხიბლავს სილამაზე, მისი ცქერით გატაცებული ცხვარსაც კი ღუპავს.

„ლამაზი იყო ამ დღის სალამო,
რა-რიგ ეშვენოდა მზე დამავალი!
შეეხედე თუ არ იმ მზეს, იმ ცასა,
გავშტერდი, ვეღარ მოვსხლიტე თვალი".

ამ ქვეყნიურობის ემბლემას მიწიერ გრძნობებთან ერთად აზრიც მიწიერი აქვს. მასში ყოველმხრივად შეკუმშულა ეს ქვეყანა: ხორცით, გრძნობით და ბოლოს, აზრით. როდესაც შენი სენაკი შორით დამინახავსო — ეუბნება ბერს, — მაშინ

„მომგონებია მამის ნათქვამი, —
იქ, ყინულებში კაცი სცხოვრობსო,
სულისთვის ხორცი გაუწირნია,
უწუთისოფლოდ მარტოკა ძლებსო.
გამკვირვებია მე ეს ამბავი!..
მითქვამს: იქ ყოფნა რას არგებს სულსა?
განა სწყინს ღმერთს, რომ კაცი შეჰხარის
ქვეყანას, ღვთითვე დაბადებულსა?
ვფიქრობდი: ნეტა მაშ რისთვის მორთო
ესე ლამაზად წუთის-სოფელი?
განა მისთვის, რომ ადამიანმა
შეაჩვენოს და აიღოს ხელი?
ყველაფერს უნდა გამოვეთხოვო,
ჩემს ტოლს და სწორსა, ლხინს და სიხარულს?!
ღმერთო, ნუ მიწყენ... ვერ ვიზამ მაგას!
ადრე და მალე ვერ მოვიკლავ გულს!"..

ასე მსჯელობს მწყემსი ქალი, რომლის ყოველი სიტყვა მისი სხეულის ფეთქვაა. ამ ენით მისი წარმტაცი სხეული მეტყველებს. ის ერთიანად ბუნებრივი არსებაა, არაფერში თავისთავს ძალას არ ატანს. ამბობს იმას, რასაც გრძნობს. აზროვნებს ისე, როგორც ამას მისი სხეული უკარნახებს. რით უნდა დაუპირისპირდეს ყოველივე ამას განდეგილი, რომელსაც საშინელი ბრძოლა გაუწევია თავისთავზე, უწამებია სხეული, უნებივრებია სული და ნებისყოფის მუხრუჭებით ებრძვის ბუნების საღ მოთხოვნილებებს?

განდეგილს ეგონა, რომ მან უკვე სამშვიდობოს გასცურა და თავისი თავი ერთიანად გარდაქმნა, „თავი ახლად იშვა" და რაღაც ახალი ტიპის ადამიანს წარმოადგენს, რომელიც ერთის „ბუნებისგან" შედგება, მაგრამ სასტიკად მოტყუვდა იგი: სინამდვილის საწინააღმდეგო ტენდენციაზე აგებული მისი იდეალი პირველ განცდისთანავე დამარცხდა.

ბუნებრიობის უარისყოფა და ცხოვრებისგან განდგომა ადამი-

ანს ღუკაეს, — აი, ამ პოემის დედააზრი. ბუნებრიობაზე დაყრდნობა და მასთან შეთანხმებული იდეალები, ესაა პიროვნების არსებობის დანიშნულება.

მაშ, უნდა ვიწამოთ ხორცის ნებივრობა და სულიერი ცხოვრების დახშვა? ამით ხომ პირდაპირ ცხოველად გადაქცევის ქადაგებამდე მივალთ — გვეტყვიან ჩვენ. ამ შენიშვნაში არის ერთგვარი სიმართლე.

მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ ერთი რამ: განდეგილის მისწრაფება სრულიად ეგოისტურია, მას სხვისთვის არაფერი არ უნდა, სხეულს იმიტომ სტანჯავს, რომ იქ საკუთარი სული იცხონოს.

ილიას „განდეგილის“ დედააზრის გაგების დროს ისიც უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჩვენმა დიდმა მწერალმა თავის პოემაში სასტიკად დაგმო ეგოისტური ასკეტიზმი. ამქვეყნიური ცხოვრების მიღება და მის გასაუმჯობესებლად საჭირო ბრძოლა, აი. რა თქვა ილია ჭავჭავაძემ თავის „განდეგილში“.

ილია ჭავჭავაძე
როგორც ლიტერატურული კრიტიკოსი

I

ილია ჭავჭავაძის აზროვნება მომწიფდა და გაიფურჩქნა გასული საუკუნის 60-იანი წლების რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის ზეგავლენით. მან განიცადა იმ დროის „აზრთა მფლობელების“ — ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის უდიდესი ზემოქმედება. ეს ორი უდიდესი მოაზროვნე 40-იანი წლების მანათობელი ვარსკვლავის — ბესარიონ ბელინსკის საქმის გამგრძობი იყო. ილია ჭავჭავაძისათვისაც ბელინსკი უდიდეს ავტორიტეტს წარმოადგენდა. პირველი თავისი წერილი „ორიოდე სიტყვა „შეშლილის“ თარგმანზედა“ ჭავჭავაძემ 1860 წელს ამ დიდი კრიტიკოსის აზრების გავლენით დაწერა. მეორე წელს დაწერილი „პასუხი“ ბელინსკის ცნობილი ეპიგრაფით დაიწყო. ცნობილია, რომ ილიას მიერ დაარსებული „საქართველოს მოამბე“ ბელინსკის აზრების თავგამოდებული გამავრცელებელი იყო. ამას ამტკიცებს, სხვათა შორის, სპ. ჩიტორელიძის... წერილი „სფირდონისა და თადეოზის ბაასი“, რომელიც მოთავსებული იყო დასახელებული ჟურნალის 1863 წლის მე-7 და მე-8 ნომრებში.

მეცნიერება, ილიას აზრით, კაცობრიობის უდიდესი მონაპოვარია. იგი ქვეყნის გარდამქმნელი და წინ წამწევი საშუალებაა.

„მეცნიერებას და ხელოვნებას, — წერდა ილია „საქ. მოამბის“ 1-ლ ნომერში (1863 წ.), — ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების

გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა". ეს აზრი ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი ი. ჭავჭავაძეს და მთელი თავისი მოღვაწეობა მან ამ გზით გაშალა, ამას შეალია თავისი მაღალი ნიჭი.

„მეცნიერება და ხელოვნება, — განაგრძობს ილია, — არ არიან მოგონილნი კაცის ჭკვის და გამოხატულობის არც ვარჯიშობისაგან და არც ვარჯიშობისათვის... იგინი იბადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის... იგინი წინ მიდიან ცხოვრების ვითარების გამო და მერე თავის რიგზედ თვით წინ მიჰყავთ ცხოვრება... რაც მათგან არის მოყვანილი ცნობაში და დამტკიცებული, ის გადადის ხალხში და იგი სცვლის ხალხის მდგომარეობასა და ცხოვრებასა"[1].

ამნაირად, ილიას ღრმად სწამს მეცნიერებისა და ხელოვნების უაღრესად პროგრესული როლი ცხოვრების გარდაქმნაში.

ილია, რასაკვირველია, არ აიგივებს მეცნიერებასა და ხელოვნებას, მან ნშვენივრად იცის ამ უკანასკნელის სპეციფიკა. „მეცნიერება და ხელოვნება — ეს ორნივ ერთსა და იგივეს მსახურებენ: აზრის მოძრაობას; ერთსა და იგივეს გამოსთქვამენ: ხალხის აზრსა, და თუ რაშიმე განირჩევიან, მხოლოდ იმაში, რომ სხვადასხვა გზით და სხვადასხვანაირად მოქმედებენ და გამოსთქვამენ", — ვკითხულობთ არაერთხელ ციტირებულ წერილში. უკანასკნელ სიტყვებში ილია ხელოვნების სპეციფიკას გულისხმობს. რაში მდგომარეობს იგი? ი. ჭავჭავაძე ამ საკითხებზედაც სავსებით გარკვეულ პასუხს იძლევა: „ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრისა: მუსიკა, მხატვრობა, პოეზია —ესენი სულ სახეში გამოსთქვამენ იდეას, მხოლოდ იმით განიყოფებიან, რომ თავის იდეის გამოსათქმელად სხვადასხვა მასალას ხმარობენ, როგორც მუსიკა — ხმასა, მხატვრობა — ხაზსა, პოეზია — სიტყვასა", — ვკითხულობთ წერილში „პასუხი". ამ სტრიქონებში, საიდანაც ბელინსკის აზრთა გამოხმაურება ისმის, ჭავჭავაძემ საერთოდ ხელოვნების და კერძოდ მხატვრული ლიტერატურის სპეციფიკაზედაც სრულიად გარკვეულად მიგვითითა.

ილიას აზრით, ცხოვრება ცვალებადი და უაღრესად რთული მოვლენაა. „ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალებზედ ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფერისა — წესი, ჩვეულება, აზრი, გრძნობა, ენა, რომელიც მაგათი გამომეტყველია, ყოველიფერი იცვლება მის ძლიერ გავლენისაგან", — ასე იწყებს ჭავჭავაძე „საქართველოს მოამბიდან" სა-

---

[1] ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, სახელმწიფო გამომცემლობა, 1953, ტ. III, გვ. 71.

ზოგადოებასთან ბაასს. რისი საშუალებით უნდა აიხსნას ეს რთული და მუდმივად ცვალებადი მოვლენა, ე. ი. ცხოვრება და მისი მაშოძრავებელი მიზეზები? ილია ასეთ პასუხს იძლევა იმავე წერილში: „მეცნიერება და ხელოვნება, რომელნიც დღე-მუდამ ზედ დასტრიალებენ ცხოვრებასა, რომ ყოველი ცვლილება მისი ცნობიერად გადმოიღონ, რომ ყოველი ყვავილი მისი მოკრიფონ, შეიტყონ, რისთვის არიან იგინი და რანი არიან, — მეცნიერება და ხელოვნება სხვადასხვა გზით იკისრებენ ახალის ვითარების ახსნასა, ცნობაში მოყვანასა".

ამავე წერილის მეორე ადგილას ავტორი უფრო მკაფიოდ გამოთქვამს ამავე აზრს: „ჩვენ მეცნიერებას და ხელოვნებას მოვსთხოვთ არსებითსა პურსა ცხოვრებაში გამომცხვარსა და მშიერთათვის მოსახმარესა დ გამოსადეგსა. მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ჭეშმარიტებაებით ცხოვრების ახსნა და გაგება: მან უნდა მოგვცეს პირდაპირი პასუხი ყოველ საჭირო კითხვაზედა. რაც კი პირდაპირ მოედგმება ცხოვრების ვითარებასა, რაც კი გადმოიღება ცხოვრებისათვის—ის იქნება უფრო საჭირო ჩვენის ჟურნალისათვის. სხვა რაღაც წარტოლვილ ცნობაებში გაბმა და ტრიალი ჩვენთვის სრულიად უფასო იქნება და გამოუსადეგი. ეგ იმან ინდომოს, ვინც სიტკბოებას ხედავს უქმი ჭკვის ვარჯიშობაში და ფრენაში. ხელოვნებასაც იმას მოვსთხოვთ, რომ სარკესავით ცხოვრება გარდმოიცეს, რათა ჩვენი თავი მის მომხიბლავის კალმით ცხოვლად იყოს წარმომდგარი ჩვენ წინა, რათა სიცუდეც და სიკეთეც ჩვენი დავინახოთ"[1].

სრულიად ნათლად და გარკვეულად გვიდგება თვალწინ რეალურად მოაზროვნე ადამიანი, რომლის მთელი გულისყური სინამდვილის შესწავლისკენ არის მიპყრობილი, ი. ჭავჭავაძე მტკიცედ დგას თავისი ეპოქის მოწინავე აზროვნების პოზიციებზე და თავგამოდებით ეხმაურება თავის დროის აქტუალურ საკითხებს.

პოზიტიური მსოფლმხედველობა ამ ეპოქაში საბრძოლო საგანს წარმოადგენდა. თუ ეს აზრი რუსეთის შესახებ ერთხელ ითქმის, საქართველოს თაობაზე ორჯერ და სამჯერ უნდა იქნას განმეორებული. როგორც სოციალური ვითარების, ისე აზროვნების განვითარების მხრით 60-იანი წლების რუსეთი დიდად უსწრებდა წინ ამავე დროის საქართველოს. ორმოციან წლებში. რუსეთის აზროვნებამ, რომელიც უმეტესად ფილოსოფიური საკითხების გაშუქებით ხასიათდებოდა, დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. სლავიანოფილებისა და დასავლეთელების იდეურმა ბრძოლამ უაღრესად გაამძაფრა აზროვნება. ჩვენში კი ამ დროს, ილიას სიტყვებით რომ ვილაპარაკოთ,

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრ., ტ. III, გვ. 68.

„თვითეული ცალკე კაცი და მთელი საზოგადოება საერთოდ თავბრუდასხმულსავით გარინდებული იყო და საქვეყნოდ არც ხალისი, არც ღონე არ გამოუჩენია — არც უკან მიხედვისათვის, არც წინ დანახვისათვის, თითქო დიდი ნისლი მოხვეოვიათ და ელიან, აცა გადიყაროსო, ან თავზარი დასცემიათ და გამოურკვეველ ელდას შეუკრავსო“.

იმ დროს, როცა 60-იან წლებში რუსეთის მოწინავე აზროვნება 40-იანი წლების ფილოსოფიური საკითხებიდან პრაქტიკულზე გადავიდა, როცა ბელინსკის მიერ გენიალურად გაკაფულ გზაზე დობროლიუბოვი და ჩერნიშევსკი გამოჩნდნენ, ჩვენში ჯერ კიდევ სქოლასტიკურ-რელიგიური აზროვნება ბატონობდა, როგორც განსვენებული ს.ხუნდაძე ამბობს.

მართალია, რეალისტურ აზროვნებას ჩვენს ლიტერატურაში რამდენიმე წარმომადგენელი უკვე ჰყავდა, — გ. ერისთავმა და ზ. ანტონოვმა (არდაზიანი და ჭონქაძე უფრო 60-იანი წლების მწერლები არიან) დიდი საქმე გააკეთეს, — მაგრამ ძველებური აზროვნების ბჭეები ჯერ კიდევ მტკიცედ იდგა. რელიგიურ-სქოლასტიკური აზროვნების გვერდით სუსტად მომდინარე რეალისტურ ნაკადს მძლავრი დამცველი უნდოდა როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სფეროში. ილია ჭავჭავაძის დიდმა ნიჭმა და ცოდნამ ორივე ეს საქმე გააკეთა: კრიტიკული წერილების საშუალებით რეალისტური აზროვნების საჭიროების თეორიული დასაბუთება მოახდინა, ხოლო „კაცია-ადამიანის“ და „კაკო ყაჩაღის“ შექმნით ერთი ათად გააძლიერა ამავე მიმართულების „რუსხმული“, — ეხმარობთ მისსავე ტერმინს.

ძირითადი მოთხოვნა, რომელსაც ი. ჭავჭავაძე საერთოდ ხელოვნებას და კერძოდ ლიტერატურას უყენებს, არის სინამდვილის ასახვა შესწავლისა და ანალიზის მიზნით. ლიტერატურა მეცნიერის თვალით უნდა სწავლობდეს და არკვევდეს ცხოვრებას, ცნობაში უნდა მოიყვანოს ყოველი მისი მოვლენა, რათა „ისევ ცხოვრებასავე“ გადმოსცეს ეს ცოდნა „ახალი ცხოვრების გამოსაკვანძავად“. ილია მთელის არსებით ებრძვის იმ მიმართულებას, რომელიც ხელოვნებას თვითმიზნობისკენ მოუწოდებს, მისი დევიზია „ხელოვნება ცხოვრებისათვის“, მისდა შესასწავლად, მისდა გარდასაქმნელად. დაე „ზოგიერთმა უნაყოფო პოეტმა ხელოვნების სახელით უკუარიდოს პირი თავის ხალხის ცხოვრებასა, მეშვიდე ცას შეაჩეროს გაბეცებული თვალები და ბულბულსავით უაზრო სტვენა დაიწყოს და აღარ გაათავოს. ჩვენ იმათთან საერთო გზა ჯერ გვაქვს“,— დაასკვნის ჭავჭავაძე.

გასული საუკუნის სამოციან წლებში ეს აზრი საბრძოლო ლოზუნგს წარმოადგენდა და უაღრესად აქტუალური ხასიათისა იყო.

II

მეორე მოთხოვნა, რომელსაც ი. ჭავჭავაძე მხატვრულ ნაწარმოებს უყენებს, არის ენის საკითხი.

„პირველი ასეთი ნიშანი ერის ვინაობისა — ენაა და, აი, სწორედ პირველმან ამან აიდგა ფეხი ჩვენში, შემდეგ კარგა ხნის დუმილისა, — წერს ი. ჭავჭავაძე,—„ამასთან ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს აზრთა სვლას, ჩვენს ზრუნვას და ფიქრსა, მთელის ბუნებითად რთულის ცხოვრების ფართო მოედნიდამ — მცირე კუნჭული-ღა ჰქონდა დათმობილი ჟამთა ვითარებისაგან. მარტო ამ კუნჭულში-ღა გახდა შესაძლებელი ჩვენის ცხოვრებისათვის მოღვაწე კაცს თავი ეჩინა. ეგ იყო მწერლობა, რომელიც ჰზრდისა და ინახავს ენასა და რომელმაც ხელახლად ხმა ამოიღო ამ საუკუნის ოცდაათიან წლებში“[1].

მწერლობამ და პირველ რიგში მხატვრულმა ლიტერატურამ, ილიას აზრით, უნდა შეინახოს — ენა. ამიტომ იყო, რომ ილია სამწერლო ასპარეზზე გამოსელისთანავე ენის რეფორმის საკითხს შეეხო „თავისი მეხის სიტყვით“, როგორც მის მიერ მიწასთან გასწორებული კოზლოვის მთარგმნელი რევაზ ერისთავი ამბობს, ერისთავის წინააღმდეგ მიმართულ სტატიაში ჭავჭავაძე წერს: „სხვისა არ ვიცით და ჩვენ — კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“.

ილიამ იცის, რომ ენა ცხოვრების თანამგზავრია და მუდმივ ცვალებადობას განიცდის, „კაცის ენა,—ილიას აზრით, — კერძო პირსავით იზრდება და ვითარდება; ამ ზრდაში იცვლება, როგორც ჩვენ — კაცნი ზრდაში ვიცვლებით ხოლმე; ხშირად იქნება, რომ კანონები, ერთს დროს საჭირონი, სხვა დროს უვარგისნი არიან ხოლმე: იმიტომაც ახალი ენა ძველს ენას არა ჰგავს, როგორც ახალი კაცი არა ჰგავს ძველს კაცსა“.

ილია ჭავჭავაძე პიონერი იყო ქართული ენის განახლების საკითხებში. მართალია, როგორც პლატონ იოსელიანი ამბობს, ათითხუთმეტი წლით ადრე გიორგი ერისთავმა „დაბადა ენა ქართული ახლისა გვარისა მწერლობისათვის“. შემდეგ ეს გზა განაგრძეს ზ. ანტონოვმა, ლ. არდაზიანმა და დ. ჭონქაძემ. ილია ჭავჭავაძე კი დიდი რეფორმატორი იყო და უდიდესი თეორეტიკოსი, რომელმაც თავისი კრიტიკული და მხატვრული ნაწერებით საფუძველი დაუდო ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებას.

ნამდვილი ბრძოლა ამ საკითხის გარშემო მხოლოდ ჭავჭავაძის დროს გაიმართა: გ. ერისთავის, ზ. ანტონოვისა და სხვების ენას

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრ., ტ. III, გვ. 206.

თითქოს არავინ არ გაუნაწყენებია. ალბათ, უდღეურ მოვლენად მიიღეს დახავსებული „ცისკრის“ მესვეურებმა ამ მწერალთა ინიციატივა. ჭაობი მხოლოდ მაშინ შეშფოთდა, როცა ჭავჭავაძის „მეხი სიტყვა“ გაისმა, სიტყვა, — მართალი უნდა ითქვას, — მკაცრი და დაუნდობელი.

სარდიონ მესხიევი „ცისკრის“ გვერდებიდან (1861 წლის მე-6 ნომერში) ასეთი საბუთებით ებრძვის ილიას: „რასაკვირველია, კარგად იცით, რომ წერა არის სამგვარი: მაღალი, საშუალო და მდაბალი“. „სრულიად არ ვიცი, თქვენმა მზემ, — მოუჭრის ჭავჭავაძე, — შემიტყვია კი, რომ ძველს რიტორიკებში მაგ-რიგადა ჰყოფდნენ ენასა, რომელიცა ერთი უნდა იყოს ლიტერატურაში და არა სამგვარი... უწინ რომ ჰყოფდნენ მაგ-რიგად, იმ საფუძელითა ჰყოფდნენ, რომ არიანო ქვეყნად სამგვარნი საგანნი: მაღალი, საშუალო და მდაბალი, რომელთ გამოსახატავად უნდა იყოს კიდეცო სამგვარი ენაო; მაღალ საგნისთვის — მაღალი, საშუალო საგნისთვის — საშუალო და მდაბლისთვის — მდაბალი. აბა ეხლა ერთი მიბრძანეთ, არიან ქვეყნიერებაზედ ეგ სამგვარი საგანნი? განა ყოველი საგანი თავის კვალობაზედ არ არის მაღალი, მაღალ ღვთაებრიობის სიბრძნის გამომთქმელი? პოლიპი, რომელიც ძლივს აჩენს თავის სულიერობას, ისე ცხადად მოგვითხრობს ღვთის ძლიერებას, როგორც მზე, ქვეყნის მაცხოვრებელი მნათობი. მაშასადამე, ყოველი საგანი [ღირსია] ერთნაირად გამოთქმისა“[1].

ეს არის საკითხის წმინდა რეალური თვალსაზრისით დასმა: რეალისტურ ლიტერატურას ენაც ასეთი უნდა ჰქონდეს. რეალიზმი თავის დროზე ლიტერატურის პოპულარობას და გადემოკრატებას მოითხოვდა, მაშასადამე, ლიტერატურის ენაც მდაბიო და ხალხური უნდა ყოფილიყო.

მესხიევი ჭავჭავაძის საყურადღებოდ წერდა: „სადაცა იხმარება ნაცვალსახელი „იგი“, ამ მაღალს სიტყვას ზმნისზედა შეეფერება „ოდეს“ და არა მდაბიო „როცა“.

ილია ამის პასუხად წერს: „ერთი მიბრძანეთ, სადაც „იგი“-ა, იქ რატომ „როცა“ არ ითქმის „ოდეს“ მაგივრად, როცა ეს ორივე სიტყვა ერთი მნიშვნელობისაა. განა ენაშიაც არის ღენერლობა და სალდათობა? თუ არის, მაშ მაშინ ღენერალ „იგი“-სთან ვერ გაჰბედავს დგომას სალდათი „როცა“. ამ აზრის დასასაბუთებლად ილია მეორე ადგილას გვეუბნება: „უკადრისი სიტყვები ქვეყანაზედ არ არიან. მხოლოდ აზრი იქნება უკადრისად გამოთქმული სიტყვებთაგან. უვარგისი სიტყვაც არ არის ქვეყანაზედ. თუ ხალხი ხმარობს, მაშასადამე, ვარგისიანია“.

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრ., ტ. III, გვ. 446.

ენის წარმოქმნაში ჭავჭავაძე პირველობას ხალხს უთმობს, მდა-ბალი ფენების შემოქმედებას. როგორც მრავალ სხვა საკითხში (მაგ., ადგილობრივი თვითმმართველობა, კანონმდებლობის სათავე, სწავ-ლა- აღზრდის მთავარი ობიექტი და სხვ.), ისე ენის საკითხში ჭავჭა-ვაძეს ძირითად დასაყრდენ ძალად მასა მიაჩნია. „ხალხია ენის კანო-ნის დამდები"-ო, ამბობს ილია.

ენის გამარტივებას და ხალხის მეტყველებამდე დაყვანას განსა-კუთრებული მიზანი ჰქონდა ჭავჭავაძის რწმენით. „საქართველოს მოამბის" სარედაქციო წერილში ვკითხულობთ: „რა წამს მიხვდნენ, რომ ლიტერატურა თუმცა უფრო ვრცლად მოქმედობს ბეჭდვის შემ-წეობითა, მაგრამ მაინც ხალხს მისი გაგება ეძნელება, მაშინვე გა-მოჩნდა საჭიროება იმგვარ ლიტერატურისა, რომელიც. როგორც ენით, ისე აზრის გამოთქმით უფრო ადვილად უნდა ასრულებდეს ზემოთქმულს შუამავლობასა მეცნიერებასა და ცხოვრებას შორის". ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ ენის გახალხურების მიზანი ხალხში მეცნიერული ცოდნის შეტანაა, მეცნიერებისა და ხელოვნე-ბის საშუალებით. „ლიტერატურის ენა დაუშორდა ხალხის ენასა". ამის გამო „შეატყეს, რომ თვით ეს ლიტერატურაც ისე სწრაფად არ ავრცელებს მეცნიერებასა ხალხშია". მას აღარ შეუძლია „მრა-ვალთათვის მისაწვდომი გახადოს ის, რაც დასაკუთრებული აქვს ცოტასა". მაშასადამე, — დაასკვნის ჭავჭავაძე, — ენის რეფორმაც აუცილებელია. „ახალი იდეები და აზრები" ახალ ენას მოითხოვენ, ახალი ღვინო ვერ მოთავსდება ძველ ტიკებში.

რეალისტური ლიტერატურის ძირითადი პრინციპებიდან გა-მომდინარეობს აგრეთვე ადგილობრიობის კოლორიტის დაცვა, მო-ცემული სინამდვილის საყოფაცხოვრებო და ეროვნული ნიშანდობ-ლიობის ასახვა. ჭავჭავაძე ამ პრინციპსაც გარკვეულად იცავს. კოზ-ლოვის „შეშლილის" შესახებ იგი წერს: „ბევრიც რომ წაიკითხოთ, მაინც ქართველი ვერ გაიცნობს ფრჩხილის ოდენასაც რუსის სოფ-ლის გოგოსა, იმიტომ რომ ეს შეშლილი გოგო, თუმცა კაზლოვი ამბობს რუსისაა, მაგრამ რუსის სარაფანიც არ აცვია ზედა; ეგ რა-ღაც ურუსო რუსია, კაზლოვის ფანტაზიის შვილი, და არა რუსის ცხოვრებისა". ლიტერატურული ტიპი ეროვნულ კონკრეტობაში და დამახასიათებელი ნიშნებით უნდა იყოს მოცემული, წინააღმდეგ შემთხვევაში განყენებულ და სქემატურ, ე. ი. არანამდვილ ადამიანს მივიღებთ, — ასეთია ამ ამონაწერის აზრი.

შოთა რუსთაველის შესახებ ილია ამბობს: „თქმა არ უნდა, რომ ერი, რომელსაც ეკუთვნის ამისთანა მწერალი, თავისის სამკა-ულით აკაზმინებს, თავის საფერავით აფერვინებს პოეტს ყო-ველს ხატს, ყოველს ნამოქმედარს შემოქმედებისას"

რეალისტური მიმართულება სრულებით არ მოითხოვს ყოველგვარი წერილმანის, ყველა საგნის და ყოველნაირი მოვლენის ერთნაირი შეუჩვეველობით და ფოტოგრაფის ობიექტურობით ასახვას. მისი საგანი არ შეიძლება იყოს ყოველდღიურად მიმტბორავი და ერთფეროვანი სინამდვილე. ნიჭიერმა ხელოვანმა, უპირველეს ყოვლისა, ერთგვარი შერჩევა უნდა მოახდინოს, უმნიშვნელო და ნაკლებად დამახასიათებელ მხედველობაში არ უნდა მიიღოს და მთელი თავისი ყურადღება ისეთ მოვლენასა და საგანზე შეაჩეროს, რომელიც მრავალ მოვლენასა და საგანს შორის მთავარ, წამყვან ძალას წარმოადგენს, მათ თვისებათა შეჯგუფებას იძლევა, ერთი სიტყვით, ტიპურია. ტიპის ამორჩევა და სინამდვილის მრავალფეროვნებაში ტიპურზე შეჩერება, საზოგადოდ ტიპური აზროვნება უდიდესი პლუსია მწერლისათვის. ეს ამტკიცებს მისი აზროვნებისა და მომზადების სიღრმე-სისრულეს, სინამდვილის და განვითარების ტენდენციის ცოდნას.

ილია ჭავჭავაძე, რომელმაც სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლისთანავე სწორედ ტიპური აზროვნების უდიდესი მაგალითები გამოამჟღავნა ლუარსაბ თათქარიძის, კაკო ყაჩაღის, დათიკოს და სხვების დახატვით, ასეთ აზრს გამოსთქვამს ამ საკითხის თაობაზე: „შემოქმედობის ძალის ღონიერობა ერთი და იგივე არ არის, როცა ერთი მთელს გადასწვდება ხოლმე და მეორე — კი — მარტო ნაწილსა. მწერალმა თუ სხვა ვინმე ხელოვანმა, რაც უნდა ზედმიწევნით და მშვენივრად გამოხატოს ერთი რომელიმე ცალკედ სახელწოდებული კაცი — ივანე, თუ პეტრე, ყოველთვის უპირატესობა უნდა დაუთმოს იმას, ვინც ზოგადი კაცის გამოხატვის შემძლებელია"[1]. ეს სიტყვები მსოფლიო მნიშვნელობის ტიპების — „ვეფხისტყაოსნის", გმირების შესახებ თქვა ილიამ, მაგრამ როგორც პრინციპული დებულება, ყოველგვარი ტიპურის თაობაზე ვრეცლდება. მისივე სიტყვით, „პორტრეტების მხატვარი, დიდად სახელგანთქმულიც და გამოჩენილი, ყოველთვის უმდაბლესია, უმდარესია მასზედ, ვინც ზოგადის კაცის, ტიპის შემოქმედია, თუნდაც ხელთსაქმობით, ტეხნიკით ამისი თანასწორი იყოს. ამიტომაც თითონ პორტრეტების წერას, ესე იგი ცალკე კაცის ხატვას, მხატვრობაში უკანასკნელი ადგილი უჭირავს და თითქმის ხელოვნებადაც არ არის ცნობილი, რადგანაც ეგ უფრო ოსტატობაა, ვიდრე ხელოვნება".

მწერლის ნიჭის სიძლიერეს და სიღრმეს ჭავჭავაძე სრულიად სამართლიანად ზომავს ტიპური მოვლენის შერჩევის უნარიანობით. რამდენადაც დიდ მწერალს (გულისხმობს რუსთაველს) კერძო პირების მხატვრად წარმოვიდგენთ, „იმდენად შემოქმედება მწერლისა

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., სრ. კრ., ტ. III, გვ. 174.

მაღლიდამ დაბლა ჩამოდის, იმდენად მწერალი ნიჭ-ნაკლებია და დაქ-ვეითებული".

ჭავჭავაძე უტილიტარული თვალსაზრისით უდგება საერთოდ ხელოვნებას და კერძოდ ლიტერატურას. უტილიტარიზმის იდეა მას არ ესმოდა ისე, როგორც პისარევმა და მისმა მიმდევრებმა გაიგეს. პისარევის აზრით, მწერლის ნიჭი, ენის ცოდნა და თხრობის მანერა სრულებით არ არის ყურადღების ღირსი, ეგ „ესთეტიკოსების საქმეა" და არა მოაზროვნე ადამიანისა, რომელიც პოეზიაში ფაქტიურ მასალას უნდა ეძებდეს, პრაქტიკულ ცხოვრებაში სასარგებლოს და გამოსადეგს. მართალია, ი. ჭავჭავაძის სიტყვები: „...ჩვენ სტატიაში ნუ ელოდებით ესთეტიკურ კრიტიკას: ვინ ჩვენ და ვინ ესთეტიკური კრიტიკა! ჩვენ უბრალო სიკვდილის შვილი ვართ, სად შეგვიძლიან", — ძალიან ჰგავს პისარევის აზრს, მაგრამ იგივეობის ნიშანი მათ შორის მაინც არ დაისმება: ილია მხატვრულ ნაწარმოებში აფასებს და ეძიებს არა მარტო შინაარსს და სასარგებლო ცოდნას, არამედ მისი გაფორმების საშუალებებსაც. ნიჭის სიძლიერე და თავისებურება მისთვის ერთი მთავარი საძიებელთაგანია მხატვრული ფაქტის შესწავლის დროს. გავიხსენოთ, რა სასტიკად მოექცა იგი კაზლოვს და მის უნიჭო მთარგმნელს ერისთავს, რა დღე დააყენა ბარ. ჯორჯაძეს, მესხიევს და სხვებს. ვიცით მისი აზრი აგრეთვე ენის შესახებ. ილიას მარტო „ცხოვრებაში გამომცხვარი" არსებითი პური არ უძებნია ხელოვნებაში, როგორც იგი ამბობს „საქ. მოამბის" პირველ ნომერში. მას ხელოვნურ ნაწარმოებში ერთნაირად სწამს შინაარსისა და ფორმის მთლიანობა და განუყოფელობა. ამაში გვარწმუნებს, სხვათა შორის, მისი შემდეგი სიტყვები; „ვეფხისტყაოსანი" თუ არის უკვდავი, არა მარტო თავის ფორმით, არამედ თავის შინაგანი ღირსებითაც".

III

ი. ჭავჭავაძეს რამდენიმე ფრიად მნიშვნელოვანი წერილი და შენიშვნა აქვს მიძღვნილი ქართული ლიტერატურისადმი.

ძველი, ფეოდალური ხანის ლიტერატურიდან ილია საფუძლიანად შეეხო მარტო „ვეფხისტყაოსანს", რომლის მსოფლიო მნიშვნელობა მან შესანიშნავად დაასაბუთა ჩვენი პოეზიის მნათობთან— აკაკისთან გამოკამათების დროს. სხვა ძველი მწერლებიდან იგი გაკერით ეხება გურამიშვილს და ჩახრუხაძეს. ხოლო მთელი ძველი ლიტერატურის შესახებ თავის კონსპექტში ილიას მოცემული აქვს რამდენიმე ფრიად საინტერესო დებულება, რომელიც ავტორს განზრახული ჰქონია წერილისთვის სარჩულად დაედო, პირველი სამი დებულება ასეთია: „1) ლირიკული მიმართულება ჩვენი პოეზიისა; 2)

მიზეზი ამისთანა მოელენისა — სისუსტე ტალანტებისა; 3) მოლექსეთა შორის მარტო რუსთაველის გენიამ შეიძლო შექმნა ეპოპეისა, თუმცა იმის პოემაშიც ურევია ბევრი ლირიკა; უნიჭობა ჩვენის მწერლებისა, რომელთაც უნდოდათ ზისი მსგავსი დაეწერათ, მაგრამ მაინც ლირიკაზე გადადიოდნენ".

როგორც ამ დებულებებიდან შეიძლება გაიგოს კაცმა, ილია აქ გულისხმობდა მარტო ინტიმურ გრძნობათა გამომხატველ ლირიკას და ამიტომ იყო, რომ ასე დაბლა აყენებდა მას, ძველი ქართველი მწერლების — თეიმურაზ პირველის, არჩილ მეფის, გურამიშვილისა და სხვათა ლირიკა უსათუოდ შეიცავს მძლავრ საზოგადოებრივ განცდებს და ამიტომ მათი მნიშვნელობის დამცირება და თანაც მათი ავტორების უნიჭოებად გამოცხადება არ იქნებოდა სამართლიანი.

ილია საყვედურს გამოსთქვამდა იმ ძველი ქართველი ლირიკოსებისადმი, რომლებიც თავის **„გულთა წვა-დაგვას, ჭირსა და ლხინს" უფრო უგალობდნენ, ვიდრე მოაზრე ცხოვრების აზრთა ხვლას და წარმატებას.**

უსათუოდ სწორი და ფრიად საყურადღებოა ამ კონსპექტის მეოთხე და მეხუთე მუხლები. ჩვენი ძველი ლიტერატურის ნიშანდობლივი თვისებები საკვანძოთ სწორ ფორმულებად აქვს ილიას მოცემული. ხაზი უნდა გაესვას იმ მომენტს, რომ ჭავჭავაძე ძველ ლიტერატურას შინაარსისა და ფორმის მხრივ უდგება. გავიცნოთ ეს დებულებები:

„4) იდეა ძველი პოეზიისა და ფორმა გამოთქმისა: ა) ჩივილი, წუთისოფლის მდურვა; კაცის ამაოება, აქაური ცხოვრების ამაოება და ნუგეშით თვალის შეჩერება ცაზე, სადაც მოელიან საუკუნო განსვენებას და მართლმსაჯულებას; ბ) სიყვარული უფრო პლატონიური, მუხთლობა სიყვარულისა და დაუდგრომლობა; თუ აქ არ შევხვდით ერთმანეთს — ცაში და-ძმანი ვიქნებითო; გ) ქალი ან ანგელოზია და უფრო ხშირად — დემონი, წამწყმედი კაცისა; დ) ბუნება წმინდა სანთელია იმათ ხელში, რასაც უნდა, იმას გამოსახავენ; ბუნება თუ არის მშვენიერი, — იმათ გრძნობის მიხედვით; ის, როგორც ობიექტი, არ არსებობს იმათთვის; 5) ფორმა გამოთქმისა: ფიგურალობა და ალეგორია სპარსულის ლიტერატურის გავლენის გამო".

საუბედუროდ, ჭავჭავაძეს ეს დებულებები გაუშლელი დარჩა, ამიტომ მხოლოდ მისი შეხედულებების ზოგად მხარეზე შეგვიძლია მსჯელობა ვიქონიოთ. სამაგიეროდ, „ვეფხისტყაოსნის" შესახებ ილიას აზრები საკმაო სისავსით და სრულის დამაჯერებლობით გვაქვს მოცემული.

დიდად საყურადღებოა ილიას წერილები მე-19 საუკუნის ლიტერატურის კორიფეების და საერთოდ მთელი ლიტერატურის მთა-

ვარი ხაზის შესახებ. ლიტერატურას, როგორც იდეოლოგიის ერთი სახის რაობას, ილიას აზრით, საზოგადოებრივი პირობები განსაზღვრავენ. ყველგან და ყოველთვის იგი ამ თვალსაზრისიდან გამოდის. მე-19 საუკუნის პირველი ჩვენი პოეტი ალ. ჭავჭავაძე და მისი შემოქმედება ასეთნაირ მიზეზობრივ კავშირში ჰყავს ილიას წარმოდგენილი. მეფის რუსეთის საქართველოში შემოვრის გამო, „რაკი საზოგადოებრივი ცხოვრება ჩვენს კაცს ხელიდამ გამოეცალა, რაკი კაცს ხელთ შერჩა მარტო თავის-თავიღა, სხვა რა ექნა, რომ უსაგნო გარემოსაგან ლტოლვილი თვალი თავის საკუთარს გულში არ ჩაეხედებინა და იქ არ მოეკლა წყურვილი გულთათქმისა და ჭკუაგონების ხედვისა“, — ამბობს ილია“. ...ამ ტკბილს მთქმელსაც საყოველთაო უნუგეშ-ყოფამ მაშინდელის დროისამ წარმოათქმევინა ერთგან თავისი სამძიმარი, საცა ისმის ეგრეთწოდებული „მოქალაქური გულისტკივილი“ იმის გამო, რასაც გულში იმალავდა მაშინდელი ცხოვრება:

„ძალი დავალს ღიმით ნაქცევთა ზედა,
სად სიმართლე მისგან შენარაზედა,
მის ყვავილთა ფერხით ჰლახავს გზაზედა;
რომელნი ჭკნებიან
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით“.

ეს ძალა, რომელიც ღიმით დადიოდა ნაქცევთა ზედა და ფეხით ჰლახავდა გზადა გზა სიმართლის ყვავილსა, რომელნიც სჭკნებოდნენ მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით, — ნათელი სურათია მაშინდელის ყოფა-ცხოვრებისა. პოეტი უჩიევის ამ ყოფას და უქადის, რომ დრო მოვა და სხვა იქნებაო, და ამბობს, გაფრთხილდითო:

„რომელნიც ამწარებთ ღარიბთ ცხოვრებას,
და ჰსთხოეთ ურცხვად, უსამართლოდ მონებას,
მოელოდეთ მათთან თანასწორებას:
არ მარადის იშვათ.
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით“.

ასე მარტივად და თანაც ასე ღრმად ვერც ერთმა კრიტიკოსმა ვერ გაიგო დიდხანს ალ. ჭავჭავაძის შემოქმედება. ამისი მიზეზი ის არის, რომ ილია ჭავჭავაძის დიდ კრიტიკულ ნიჭს გზას უნათებდა დიდი პოეტური ინტუიცია.

გრ. ორბელიანი, — ამბობს ილია, — გამგრძობია თ. ალ. ჭავჭავაძის პოეზიისა; და ამას გარდა, თითქმის ერთგვარი დენა მწერლობისა გაამრავალგვარა, წინ წასწია ჩვენი პოეზია როგორც შინაარსით, ისე ფორმითაც, რადგანაც ამან სრულად განდევნა სპარსული კილო და მითოლოგიურ სახელებით აჭრელება სიტყვი-

ერებისა, რომელშიაც ცოტა არ იყოს, წილი უდევს თ. ალ. ჭავჭავაძეს"[1].

ახალი ქართული ლიტერატურის განხილვის დროს ილიას მთავარ მიზანს შეადგენს გამოარკვიოს, „თუ რამოდენად იზრდებოდა, მატულობდა ჩვენი აზრი, რამოდენად შორსა და შორს სცემდა ჩვენი თვალთახედვის ისარი, რამოდენად დიდდებოდა ჩვენი მსოფლმხედველობა, და გუშინდელი რას სთესდა დღეისათვის და დღევანდელი დღე რას ითხოვს ხვალისთვის".

მხატვრულ ნაწარმოებისაგან ილია, უპირველეს ყოვლისა, აზრს და გონების ამამოძრავებელ შინაარსს მოითხოვდა. ამ ასპექტში გვაჩვენა მან ალ. ჭავჭავაძე და გრ. ორბელიანი. ასეთნაირადვე უდგება იგი ნ. ბარათაშვილს — „ამ უდროოდ დაკარგულს ჩვენს იმედს". ბარათაშვილი, ილიას სიტყვით „უფრო ძლიერი" არის ლირიკაში ალ. ჭავჭავაძესა და გრ. ორბელიანზედ", „მისნი გულისთქმანი, მისნი გრძნობანი, მისნი ჭირნი და მწუხარებანი საყოველთაო და საკაცობრიანი არიან". ამ სხვებთან შედარებით ძლიერმა პოეტმა „ჩვენს აზრს, ჩვენს გულთათქმას, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი განი და სიღრმე მისცა. კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამონაწილედ გაუხადა და კაცობრიულ წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა". ბარათაშვილი დიდი მწერალია, იმიტომ რომ იგი „სხვაზედ უფრო მეტად, სხვაზედ უფრო მკაფიოდ და თვალნათლად ატრიალებს ჩვენს აზრს და ცნობის წყურვილს იმ თვალგადაუწვდენელს სფეროში, საცა ზოგად-კაცობრიობის დაუსრულებელი საჭირბოროტო კითხვა-პასუხია რწმენისა და არრწმენისა, მყოფობისა და არმყოფობისა" და სხვ.

ბარათაშვილის პოეზიის შეფასება, რომელიც ჭავჭავაძემ მოგვცა ამ 45 წლის წინათ, დღესაც შეურყეველ დებულებად რჩება ქართულ კრიტიკულ ლიტერატურაში.

ი. ჭავჭავაძეს ფრიად საინტერესოდ ჰყავს შეფასებული აგრეთვე გ. ერისთავი, რაფ. ერისთავი, ვახტ. ორბელიანი, ი. დავითაშვილი და სხვები.

ილია ამყღავნებს ძველი და ახალი ქართული ლიტერატურის შესანიშნავ ცოდნას და კრიტიკულად შეფასების უნარს. მეტიც: იგი კარგად იცნობს რუსეთისა და ევროპის ლიტერატურასაც. ჩვენს დიდებულ მწერალს ყოველთვის მაღლა ეპირა სააზროვნო დროშა და ფეხდაფეხ მისდევდა რუსეთისა და ევროპის მოწინავე აზროვნებას. ახალი იდეა, პროგრესული აზრი, — აი რა იყო ილიას ლოზუნგი. მას, როგორც დიდ მხატვარს, უყვარდა ლამაზი სიტყვა, მხოლოდ როგორც საშუალება დიდი იდეების, ღრმა აზრის გამოსახატა-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრ., ტ. III, გვ. 210.

ვად. ამიტომ იყო იგი უდიდესი თაყვანისმცემელი ქართული სიტყვის გენიალური ოსტატის რუსთაველისა, რომლის შემოქმედებაც მას სიტყვისა და აზრის ჰარმონიულობის საუკეთესო მაგალითად მიაჩნია.

ი. ჭავჭავაძის შემოქმედების ზოგიერთ მხარეთა გაგებისათვის

ახლახან სახელგამმა გამოსცა ი. ჭავჭავაძის მხატვრული ნაწარმოებების ერთტომეული. ეს წიგნი დიდი კლასიკოსის დაბადების ასი წლისთავის აღსანიშნავად არის გამოცემული. დართული აქვს ამხ. შ. რადიანის კრიტიკული განხილვა. წერილში ადგილი აქვს ზოგიერთ სადაო მოსაზრებას. ჩვენც მათ შესახებ გვინდა მოვილაპარაკოთ.

ამხ. შ. რადიანი წერს: „ი. ჭავჭავაძეს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ჩვენს სინამდვილეში მოუხდა იმავე ამოცანების გადაწყვეტა, რაც უკვე დიდი ხნის წინათ რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ლიტერატურაში გადასწყვიტა ა. პუშკინმა". ეს აზრი არსებითად შემცდარია: პუშკინის დროის რუსეთსა და ილიას თანადროულ საქართველოს შორის იგივეობის ნიშნის დასმა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება... პირველი ევროპასა და აზიას ეხეთქება... მეორე კი საკუთარი თავის გადარჩენაზე ფიქრობს, არსებობას ძლიეს ინარჩუნებს.

ოთხმოციან წლებში ი. ჭავჭავაძე ამ სიტყვებით გამოსთქვამდა თავისი მოღვაწეობის დედააზრს: „ბრძოლის საგნად ის „სხვა რამე" უნდა ყოფილიყო... ის „სხვა რამე" იყო — ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ვითარებისაგან... მაგ ახალმა მიმართულებამ დაიპყრო მთელი ჩვენი ღარიბი ლიტერატურა... ყოველი ჭეშმარიტი ლიბერალი, ჩვენი კაცი, დღესაც მაგ მიმართულების მიმდევარი უნდა იყოს ჩვენში... სხვა საგანი ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს ახლანდელს საქართველოს შვილს. ყველამ, ვისაც რამ შეუძლიან, ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოუყაროს თავი და ერთად, ძმურად იმოქმედოს. ყოველივე საქმე, ყოველივე საგანი, რაც ჩვენი ცხოვრების მიმავლობაში თავისით თუ სხვისით აღმოჩნდება, სულ ყოველისფერი ჩვენის ვინაობის საქმეს უნდა შეეურჩიოთ, ქვეშ დავიყენოთ" (ტ. VI გვ. 127—128).

არაფერი ამის მაგვარი პუშკინს არ უთქვამს, არც იყო მისთვის საჭირო ასეთი აზრის გამოთქმა. თუ მაინც და მაინც საჭირო იყო ანალოგია, შეიძლებოდა ლიტერატურული სფეროთი დაკმაყოფილებულიყო და ისიც უფრო მეტი სიფრთხილით.

წერილის დასაწყისში გამოთქმულ აზრს ამბ. შ. რადიანი მეოთხე თავში თითქოს ეწინააღმდეგება: „ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაში, — წერს ის, — საზოგადოებრივ შეხედულებებში საერთოდ მთავარი იყო ეროვნული საკითხი... ამიტომაც არის, რომ სოციალური საკითხების გადაჭრას იგი ეროვნული გზით იძლევა". ამ სიტყვით შ. რადიანმა თავისი ხელით წაშალა პუშკინის მოღვაწეობასა და ჭავჭავაძეს შორის დასმული იგივეობის ნიშანი. თუ მთავარი ეროვნული საკითხია, მაშინ წერილის არქიტექტონიკაც ძირიანად უნდა შეიცვალოს და ილიას მხატვრული პროდუქცია ამ წერტილიდან უნდა იქნას განხილული.

ამბ. შ. რადიანის მართებული თქმით, ჭავჭავაძეს „ასულდგმულებდა" ეროვნული შეგნება, ასულდგმულებდა „როგორც პოეტს და საზოგადო მოღვაწეს". „ამ პოზიციებიდან იგი ებრძოდა ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას და სხვადასხვა ჯურის შემავიწროებლებს, რომლებიც ცდილობდნენ ქართული ენის, ქართული სკოლის და საერთოდ ქართველი ხალხის ჩაწიხლვასა და დამცირებას". ერთის სიტყვით, ამ პერიოდში ი. ჭავჭავაძე მებრძოლ მწერლად ჰყავს კრიტიკოსს წარმოდგენილი.

„მაგრამ 80-იანი წლებიდან ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაში ხდება თვალსაჩინო გარდატეხა. მის მხატვრულ პრაქტიკაში, ბრძოლას, აქტივობის ადგილს იპერს სიმშვიდის, შემარიგებლობის ტენდენციები", — ასე წერს შ. რადიანი, რომლის აზრითაც ჭავჭავაძე უარყოფდა რა წარსულში „წოდებრივ დაყოფასა და წინააღმდეგობას, თანამედროვე ურთიერთობის გაგებაშიც ამავე გზას ადგა. კლასობრივი ბრძოლა მას ჩვენი ცხოვრების განვითარების შემაფერხებელ და დამღუპველ მოვლენად მიაჩნდა. იგი არ თანაუგრძნობდა ბრძოლის რევოლუციურ მეთოდებს. პირველი რევოლუციის პერიოდში, როდესაც... კლასი კლასის წინააღმდეგ ადგა და საქმეს იარაღი სწყვეტდა, ი. ჭავჭავაძე ისევ კლასთა ჰარმონიაზე, „ჩატეხილი ხიდის" გამართვაზე ფიქრობდა". ბოლოს, — დაასკვნის შ. რადიანი: — ბატონყმური ურთიერთობის მკაცრმა მხილებელმა პირველი პერიოდის მხატვრულ ნაწარმოებებში, უდიდესი გაუგებრობა და და ჩამორჩენილობა გამოიჩინა თავისი სამწერლო მოღვაწეობის მეორე პერიოდში"... და სხვ.

ეს დასკვნები შ. რადიანს დამყარებული აქვს „ოთარაანთ ქვრივის", ჩვენის აზრით, არამართებულად გაგებულს დედააზრზე. ეს ნაწარმოები კარგა ხნის განმავლობაში მეც ასევე მესმოდა, მაგრამ საკითხის შესწავლამ დამარწმუნა, რომ მწარედ ეცდებოდი. მაშინდელი ჩემი ნაწერები ახლა რომ წავიკითხე, ჩემი სიწითლე უსარკოდაც კი დავინახე.

„ოთარაანთ ქვრივში" ჭავჭავაძის დედააზრს შეადგენს ბურჟუა-

ზიული საზოგადოების ძირითად მომენტებში გაკრიტიკება. ეს ძირითადი მომენტებია საზოგადოების კლასეულად დაყოფა და კლასობრივი ბრძოლა. ეს ბრძოლა, ილიას აზრით ღუპავს და ანადგურებს საერთოდ ერს, წოდება წოდებას ვერ მიჰკარებია, ადამიანი — ადამიანს, ხიდჩატეხილობა ქვეყნის დამღუპველი მოვლენაა. ყველაფერი ეს ჭაეჭავაძემ მხატვრული სახეების საშუალებით გვიჩვენა, ეს სახეები მან განგვიმარტა არჩილის პირით. და, როდესაც ამ პერსონაჟმა კესოს დაუხატა ბურჟუაზიული ურთიერთობის საშინელება, კესომ „შეჰბღავლა უეცრად:

— „არჩილ, წინ რაღაა, წინ?

არჩილი ასე უპასუხებს:

— ეგ ცრემლიანი ცოდნა უკანა სწვავს და ჰბუგავს, წინა ჰნამავს და ამწვანებს“.

სხვანაირად რომ ვსთქვათ, აი რა გამოდის: ბურჟუაზიული საზოგადოების „ხიდჩატეხილობა“ უნდა დაიწვას და დაიბუგოს, ხოლო მის დანაწვავზე წამოწყებული ახალი ცხოვრება უნდა დაინამოს და ამწვანდეს, მოკვდეს ერთი და ადგეს მეორე, წავიდეს, რაც არის და მოვიდეს, რაც არ არის და რაც სასურველია, — აი, რა აზრი გაატარა ჭაეჭავაძემ „ოთარაანთ ქვრივში“.

სამოციან წლებში ი. ჭავჭავაძე, ებრძოდა რა ბატონყმობას, სიხარულით ეგებებოდა ბურჟუაზიულ საზოგადოებას. 90-იან წლებში მას უკვე არ აკმაყოფილებს ეს ვითარება, კრიტიკის ჭარცეცხლში ატარებს მას, აღიარებს ერის მომსპობად და მომავალში სულ სხვაგვარი ურთიერთობის დამყარებაზე ფიქრობს. როგორი იქნება ეს ვითარება: არავითარ შემთხვევაში არა იმისი მაგვარი, რაც არსებობდა, არამედ სულ სხვა შინაარსის და სხვა წყობის, როდესაც მოსპობილი იქნება „ხიდჩატეხილობა“, კლასობრივი სხვადასხვაობა.

ი. ჭავჭავაძე სამოციან წლებში წერდა: „ცხოვრება როგორც ყოველი მოზარდი, იზრდება, ჰყვავის, მოაქვს ნაყოფი და მერე ჭკნება — იმისათვის კი არა, რომ მოკვდეს და საუკუნოდ დაიმარხოს, არამედ იმისათვის, რომ თავისაგან მოყვანილს ნაყოფისავე თესლზედ ამოიყვანოს სხვა ახალი, ნედლი ცხოვრება, რომელიც ისევ ისე უნდა წავიდეს ცხოვრების გზაზედ, როგორც პირველი, თუ უკვდავება უნდა. ცხოვრებასაც აქვს თავისი შემოდგომა და გაზაფხული, როგორც ბუნებასა“.

ამ ჰეგელისებურ ნათქვამში ჩვენს წინაშე დარწმუნებული ეკოლუციონისტი დგას, რომელსაც არასოდეს არ უღალატნია თავისი თავისათვის.

1881 წ. ილიამ საზოგადოებრივი პროგრესის ასეთი ფორმულა მოგვცა:

„ყოველგან, საცა კი ისტორიის ღირსი ერი თვისითა სცხოვრობს, ორნაირი წყობაა აზრისა და ეგ ორნაირი წყობა აზრისა შეადგენს ცხოვრების მდინარებასა. ერთი ის წყობაა, რომელიც ცხოვრებას უკვე აღმოუჩენია, დაუდგენია და დღეს მოქმედებს, მეორე ის — რასაც დღევანდელი დღე თხოულობს და საჭიროებს. ამ ორთა წყობათა მოქმედება დაუძინარია და მუდამი, როცა ის, რასაც დღევანდელი დღე თხოულობს, ყველას თუ არა — ბევრს მაინც ძვალსა და რბილში დაუვლის, შესმენილი და გაგებული ექნება, — მაშინ ეგ მეორე წყობა იმარჯვებს და ყოველ საქმეთა სათავეში მოექცევა ხოლმე. ეხლა ეგ წყობა დაიჭერს პირველ ადგილს ცხოვრებაში. რასაკვირველია, მინამ ეს ასე მოხდება, ცხოვრება მაინც მოქმედებს და ახალს საჭიროებას აჩენს. ამიტომაც ახლად გამარჯვებულს წყობასაც სხვა, ახალი წყობა გამოუჩნდება ხოლმე მოპირდაპირედ. ესე მიდის კაცობრიობის ცხოვრება და ამნაირ სვლას დასასრული არა აქვს. თითონ კაცობრიობის ისტორიაც სხვა არა არის-რა, გარდა ამნაირად ფეხის გადანაცვლებისა“ (ტ. VI, გვ. 120).

60-იან წლებში ჩვენმა ცხოვრებამ ერთი ფეხი გადაინაცვლა წინ. გადის დრო და ბურჟუაზიულმა საფეხურმაც ფეხი უნდა გადაინაცვლოსო, გვეუბნება ჭავჭავაძე 1887 წელს, „ოთარაანთ ქვრივის“ დაწერის დროს. გადის კიდევ 13 წელიწადი და 1899 წლის 31 დეკემბერს ილია ასეთის სიტყვებით აჯამებს ძველს და გამოსთქვამს დამდეგი საუკუნის ამოცანებს:

„ვინ მოსთვლის ყოველს იმ სიკეთეს, რომელიც მეცხრამეტე საუკუნემ შესძინა კაცობრიობას. ერთი დიდი და სახელოვანი საქმე მეცხრამეტე საუკუნისა, სხვათა შორის, ის არის, რომ მაგარს საფუძველზე დააყენა და ფრთა გააშლევინა იმ კაცთ მოყვარულს მოძღვრებას, რომ ყოველი ადამიანი, რა წოდებათა კიბის საფეხურზედაც გინდ იდგეს, მაინც ადამიანია, და ვითარცა ადამიანი — ყველასთან თანასწორი, თანასწორად შესაწყნარებელი და გულ-შესატკივარი. მართალია, ამ მოძღვრების დასაბამი დიდის ხნისგან მოდის, მაგრამ ამ საუკუნემ ეს მოძღვრება განადიდა, გააძლიერა, გაფართოვა და, დაუდვა რა მეცნიერული საბუთი, ღარიბთა და უძლურთა სამწეო მოძღვრებად გადააქცია. ამ მეცხრამეტე საუკუნემ სოციალურის წყობილების იდეალად გამოსახა „გაუქმება ქონებისა და შემოსავლის მეტ-ნაკლებად განაწილებისა ~~ადამიანთა შორის~~, გაუქმება ყოველის კლასობრივის ბატონობისა და, შეძლებისამებრ, ყოველის კლასობრივის სხვადასხვაობისა, ფეხზე წამოყენება და ხელშეწყობა გამარჯელ და მშრომელ კლასებისა წარსამატებლად. ამ გზაზე წინა საუკუნეებს ერთად იმოდენი არა უქნიათ-რა, რაც ამ ერთმა მეცხრამეტე საუკუნემ ჰქმნა თავისდა პატივის მოსახსენებლად“...

ეს შესანიშნავი წერილი ასე თავდება:

„შეცნიერება, ადამიანის გონების წინსვლა, ზნეობის აღმატება, — ჯერ ბევრს სხვას კიდევ ძლევამოსილობით მოიქმედებს, მაგრამ ამ მეცხრამეტე საუკუნის ანდერძზე უალრესს და უდიდესს საგანს სხვას ვერას აღმოაჩენს და არ გაუთვალისწინებს კაცობრიობას დღეის ამას იქით“.

რასაკვირველია, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმის თქმა, რომ ეს აზრი ჩამორჩენილ ადამიანს ეკუთვნის. წაჯექ-უკუჯექობია ჭავჭავაძემ არ იცოდა: ის ყოველთვის წინ იხედებოდა. „წინ რაღაა, წინ?“ კესოს ეს სიტყვები ი. ჭავჭავაძის ყველა თხზულების ეპიგრაფად გამოდგება.

როგორ მიიღო ილია ჭავჭავაძემ 1905 წლის რევოლუცია? ამხ. შ. რადიანის აზრით, ისე გამოდის, თითქოს ილია რევოლუციას არ თანაუგრძნობდა, არსებითად არც ეს აზრია მართალი: 1-ლი რევოლუცია ჭავჭავაძემ მიიღო თავის შედეგების მხრით, მიიღო ისე, როგორც რევოლუციის გზაზე გადანაცვლებული ერთი ნაბიჯი, მიიღო იმ მხრით, რა მხრითაც მის თვალსაზრისს და სოციოლოგიურ კონცეფციას ამართლებდა. აი ამისი დამამტკიცებელი საბუთები: სახელმწიფო საბჭოში იგი მიემხრო ავტონომისტთა ჯგუფს („ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოს“). ამავე საბჭოს წევრთა მოკლე დახასიათებაში ვკითხულობთ: «По аграрному вопросу готов на отчуждение, если такое будет признано вопросом Государственной необходимости. Князь является сторонником широкого местного самоуправления, широкой местной законодательной власти».

აგრარული საკითხი რევოლუციის ღერძი იყო, მიწების ჩამორთმევისათვის მხარის დაჭერა რევოლუციის მიღებას ნიშნავდა. მაშინ რევოლუციონერები ამ ფორმულას უმატებდნენ: „იძულებითი და უფასოდ ჩამორთმევა“; ჭავჭავაძე, მართალია, ასე შორს არ მიდიოდა, მაგრამ ჩამორთმევის პრინციპული აღიარებით ძირითადად იგი რევოლუციის მხარეზე დადგა.

პირველი რევოლუციის დრო ხალხის მოძრაობის ერთ ფორმად კოლექტიური განცხადებების, ანუ პეტიციების წარდგენა ითვლებოდა. სახ. საბჭო უფრთხოდა ხალხის პირისპირ შეხვედრას და ამიტომ კრძალავდა განცხადებების მირთმევის უფლებას. ი. ჭავჭავაძემ მასხარად აიგდო ეს ზერელობა და მით რევოლუციური ხალხის მხარეზე დადგა.

აშკარაა, რომ ი. ჭავჭავაძემ პირველი რევოლუცია მიიღო თავისი შინაარსით, მაგრამ არ მიუღია თავისი მეთოდებით, კლასობრივი ბრძოლით. ეს ორი მომენტი გარკვეულად უნდა დავაცილოთ ერთმანეთს. ევოლუციონისტ ი. ჭავჭავაძეს არც წარსულში სწამდა და არც 1905 წელს უწამებია საზოგადოებრივი წინსვლის ძალდატანებითი

ფორმები. იგი მშვიდობიანი პროგრესის მომხრეა, ნაბიჯთა გადანაცვლების და არა რევოლუციური ნახტომისა. ამ აზრისა იყო თავიდან და ამ აზრისა დარჩა ბოლომდის.

ი. ჭავჭავაძე აღიზარდა ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის იდეებზე. განა შეიძლება იმისი თქმა, რომ ილიას მასწავლებლებისათვის ისე იყო გარკვეული ეს საკითხი, როგორც ახლა ჩვენ გვესმის? ჩერნიშევსკი, რომელსაც ლენინი გლეხური რევოლუციის იდეოლოგს უწოდებს, მხოლოდ მიუახლოვდა მარქსიზმს. ეს მოძღვრება რუსეთში 90-იან წლებში ვრცელდება, მანამდე კი უტოპიური სოციალიზმის დებულებებით იყო გაჟღენთილი რუსეთის მოწინავე აზროვნება. ილიას შემოქმედებაში ამ უტოპიზმის ელემენტებს ვხედავთ. „ოთარაანთ ქვრივი" ამ მოძღვრების პრინციპზეა აგებული...

ჩერნიშევსკის ნაწერებიდან კლასთა ბრძოლის სული ჰქრისო, — სთქვა ლენინმა. ეს სიტყვები უმეტნაკლოდ ითქმის ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწერების შესახებაც. მაგრამ საქმე ისაა, რომ ილიას კლასთა ბრძოლა არ მიაჩნია ცხოვრების მამოძრავებელ და გარდამქმნელ საშუალებად.

კლასიკოსის შეფასების დროს მის და მხოლოდ მის აზრებზე უნდა ვილაპარაკოთ და არასოდეს ისტორიული პერსპექტივა ხელიდან არ უნდა გაუშვათ.

აკაკი წერეთელი

(1840—1915)

I

აკაკი წერეთელზე ბედნიერი მწერალი საქართველოში მეორე არ ყოფილა. მას ყველაფერი ხელს უწყობდა: ნიჭი, მდგომარეობა, აღზრდა და, რაც ყველაზე საყურადღებოა, ეპოქა და მაშინდელი საქართველოს მდგომარეობა.

თავის დროზე თქმულ სიტყვას ცხოვრებაში უდიდესი და ხშირად გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს. რაც უნდა ღრმა და ჭეშმარიტი აზრი წარმოსთქვას ადამიანმა, თუ იმას საზოგადოებრივი ფსიქოლოგია ნოყიერ ნიადაგად არ ხვდება, ეს აზრი უცილებლივ თანამედროვეთა ყურს ასცდება და შესაფერ დრომდე მიეიწყებული იქნება. ლიტერატურისა და აზროვნების ისტორიას აუარებელი მაგალითი მოეპოვება იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ ერთ დროს, შეუმჩნეველი მწერალი და მოაზროვნე, მეორე საზოგადოებრივ პირობებში მზრუნველის ხელით აღუდგენიათ და დავიწყებიდან გამოუყვანიათ.

აკაკის წარმტაცი ქნარი სწორედ იმ დროს აღერდა მთელი თავისი მომხიბლაობით, როდესაც ქართველი ხალხი უკვე საბოლოოდ ჩადგა ახალ კალაპოტში, თვალი გაუსწორა შექმნილ ობიექტურ პირობებს და ერთგვარად კიდეც მოღონიერდა და სული მოითქვა. მე-18 საუკუნის ქარტეხილით ფიზიკურად განიავებული ერი გამძლავრდა და ფეხზე დადგა, მისი ნაციონალური სხეული გამთელდა, მის ეკონომიკურ ურთიერთობაშიც უდიდესი, ჯერ უნახავი ცვლილება მოხდა. ქართველი ერის უდიდესი უბედურება ის იყო, რომ ფეოდალური ეკონომიკა მისთვის ძთელი მისი ისტორიის მანძილზე დაუძლეველი იყო, მე-19 საუკუნეში კი კაპიტალიზმმა ერთიანად შეარყია ეს ბაზა და საქართველომაც ისტორიულ გზაზე მხსნელი ვარსკვლავი დაინახა, განახლების საფეხურზე შედგა ფეხი. ახალ ეკონომიკურ-საზოგადოებრივ ურთიერთობაში წარმოიშვა ახალი აზრი, ახალი გრძნობა. გამოირკვა, რომ საუკუნეთა მანძილზე დაგროვილი კულტურული ნალექი, რომელიც პოტენციალურად იმალებოდა ამ პატარა ერში, დროთა ბრუნვას სრულად ვერ მოესპო და ხელსაყრელ პირობებში კიდევ წამოეყო თავი ახალი ენერგიით: ეკონომიკურად მოღონიერებულ საქართველოს სულიერი ცხოვრებაც მოუნდა და, აი, სწორედ ამ დროს აწკრიალდა აკაკის მომხიბლავი ქნარი.

მას ერთგვარი ლიტერატურული ტრადიციაც დახვდა. ახალი ეპოქის მაჯისცემა უკვე გამორკვეული იყო. ალექსანდრე ჭავჭავაძემ, გრიგოლ ორბელიანმა, ნიკოლოზ ბარათაშვილმა, გიორგი ერისთავმა და „ცისკრის" ჯგუფმა აკაკის გამოსვლამდე გზის ერთგვარი გაწალდვა უსათუოდ მოახდინეს.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ჭეშმარიტად წინასწარმეტყველური ინტუიციით ამბობდა:

„ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის სული კვეთება,
და გზა უვალი შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება.
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს".

ეს გზაგაადვილებული მოძმე უპირველეს ყოვლისა აკაკი წერეთელი შეიქნა.

რასაკვირველია, აკაკიმაც ბევრი შავი სამუშაო შეასრულა თავისი პოეტური შემოქმედების დროს, ბევრჯერ უთელავს მასაც „გზა უვალი", ხშირად ყოველდღიურობაშიაც კი ჩაფლულა, მაგრამ იგი მაინც სხვაზე ბედნიერი იყო და მის სიმღერას უდიდესი გულისყურით ისმენდა მთელი ერი. არც ერთი მგოსანი აკაკივით პოპულარული არ ყოფილა ჩვენში. აკაკი, როგორც თავისი პიროვნებით, ისე შემოქმედებით, საქართველოს ჰომეროსია, რომელსაც ჩვენი

ქვეყნის ყოველი კუთხე თაყვანს სცემს და რომლის სიმღერა ყველას ესმოდა და ყველას ხიბლავდა.

გონს მოსულ საქართველოს წყლულთა დამაამებელი სიტყვა უნდოდა მოესმინა და ეს სიტყვა აკაკიმ თქვა. ერთ დროს შოთას, გურამიშვილისა და ბესიკის სიმთა ელერით აღტაცებულ ევერიას ხელახალი მოსულიერების დროს კვლავ მოუნდა ხელოვნებით დატკბობა და აკაკის მუზაც მას მომხიბლავ არსებად მოევლინა. საზოგადოებასა და მგოსანს შორის დამყარდა სრული ჰარმონია და აკაკიმაც მიიღო საქართველოს უგვირგვინო მეფის სახელწოდება.

მთელი საქართველო სულგანაბული უსმენდა მას, თაყვანს სცემდა, როგორც ხელოვანს, უჯეროდა, როგორც მასწავლებელს და მისი ქნარის ყოველი სიტყვა, თითოეული ბგერა ქართულ შეგნებას გემოვნებას უმაღლებდა.

სადაც არ უნდა ყოფილიყო იგი — ქართლში, კახეთში, იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში, რაჭაში — ყველგან სიყვარულით ეხვეოდა ხალხი. საკმარისი იყო სიტყვა „აკაკის“ თქმა, რომ ყოველი ქართველი ფეხზე დამდგარიყო და უსიტყვოდ მისჩერებოდა ამ ჭეშმარიტად ბიბლიურ ხატებას.

ის იქცა საქართველოს სინდისად, გრძნობად, აზრად, სილამაზედ და მშვენიერებად... ამიტომ იყო, რომ ყოველი ქართველი ადიდებდა მას და დღესაც ამიტომ არის, რომ ამ წმინდა სახელის გახსენება ზეციურ თრთოლვას იწვევს ჩვენს არსებაში...

რა თქვა აკაკიმ?

როგორ თქვა აკაკიმ?

II

აკაკის შემოქმედება სიტყვიერი ხელოვნების თითქმის ყოველ ფორმაშია გადმოშლილი: ლირიკაში, სატირაში, პოეზიაში, პროზაში და დრამაში. ყველაზე ძლიერი და ხელმიუწვდომელი იგი არის ლირიკულ შემოქმედებაში.

ლირიკა, როგორც ფრთის გასაშლელი ფორმა, ერთობ ვიწროა და შემოფარგლული. პატარა ნიჭისათვის ხშირად იგი სამარის კედლებად იქცევა. საჭიროა ღრმა და ფართო დამტეობის ნიჭი, რომ ეს ფორმა შესაფერად მოიხმაროს და დაიმორჩილოს.

ინგლისის გენიოსმა ბაირონმა ერთიანად დასძლია იგი და თავისი მძლავრი ნიჭის მეოხებით შექმნა ლირიკული პოემის ფორმა „ჩაილდ-ჰაროლდისა“ და „დონ ჟუანის“ სახით. პუშკინი „ევგენი ონეგინით“ სრულ გამარჯვებას ეწია.

აკაკიმ ლირიკა უმთავრესად წვრილ ლექსებში განავითარა. იგი რომ პატარა გაქანების შემოქმედი ყოფილიყო და ლირიკის საგნად

მხოლოდ თავისი საკუთარი გრძნობები გაეხადა, ვერავითარ შემთხვევაში ვერ — ავიდოდა დიდების იმ მწვერვალზე, რომელსაც მიაღწია. საკუთარი სულის ვიწრო ფარგალში ტრიალი თემათა რიცხვს ისე განუსაზღვრავდა, რომ შედარებით მალე ამოიწურებოდა და რამდენიმე წლის შემდეგ ან თავისივე ნათქვამი უნდა ემეორებია, ანდა უნდა დადუმებულიყო. მაგრამ აკაკის მძლავრმა ნიჭმა და ფართო სოციალური ათვისების უნარმა იგი ერთიანად დაიხსნა ასეთი კატასტროფისაგან.

აკაკის მდიდარი, ბუნებრივი ნიჭი, უპირველეს ყოვლისა, იმით ხასიათდება, რომ იგი უსაზღვროდ ფართო იყო და უაღრესად სოციალური. ის მართლაც „გარემოების საყვირად" იქცა, მას ხანდახან ისიც კი ჰქონია, რომ

ენაც მას ამბობს, რაც სმენას
სხვისაგან გაუგონია".

თითქოს შინაგანი საკუთარი განცდაც კი არ ჰქონდეს მას.

აკაკი ნაკლებად ხატავს საქართველოს თანამედროვე სურათს. მას სწამს, რომ სამშობლოს უბედურება ისე აშკარაა, რომ ყველა ხედავს მას. ამიტომ, რა საჭიროა ცივი პლასტიკური სურათები, ვისა სცალია ახლა ეპიური განცდისათვის? მომენტისათვის საჭიროა მხოლოდ გულისწყრომით აღსავსე ამოკვნესა და გმირული მოწოდება, აი, ვინ სჭირდება საქართველოს.

„ნესტან-დარეჯან ქაჯებს ჰყავს,
მოელის ტურფა გამომხსნელს",

რომელსაც უსათუოდ მებრძოლი პოეტის ქნარი უნდა ახალისებდეს.

დიდსულოვანმა პოეტმა იმდენად შებოჭა და დაიმორჩილა საკუთარი პიროვნება, რომ ყველაზე უწმინდესი და ინტიმური გრძნობის — ქალისადმი სიყვარულის — უფლებაც კი აღუკვეცა მას და სამარადისო სატრფოდ სამშობლოს მიწა-წყალი და მისი მკვიდრთა ბედი აღიარებინა. ამიტომ არის, რომ აკაკის ლირიკული ლექსების სატრფო ყოველთვის მრავალტანჯულ საქართველოს ხორცშეუსხმელი სიმბოლოა. მგოსნის მომხიბლავი ალეგორიული აზრი ქვასაც კი ესმოდა საქართველოში:

„საყვარლის საფლავს ვეძებდი,
ვერ ვნახე... დაკარგულიყო.
გულამოსკვნილი ვჩიოდი:
სადა ხარ, ჩემო სულიკო"...—

აი ასეთი კვნესის დროს ყოველმა ქართველმა იცოდა, თუ ვინ იყო აკაკის საყვარელი და ვინ ჩაუსვენა იგი საფლავში.

უბედურების შეგრძნობა ათასწილად უფრო გულწრფელი და ღრმაა, ვიდრე იმავე მოვლენის გონების თვალით მიწვდენა და აღიარება. რაიმე აზრის იმ ხიღრმემდე შეთვისება, როცა იგი გრძნობის სახით გულის თითოეულ სიმს დაეუფლება, ხშირად ერთიანად დაავადებს ხოლმე ადამიანს და უკურნებელ სენად მოედება მის სულსა და გულს. გრძნობად ქცეული აზრი სიკვდილივით ძლიერია.

ასე უკურნებლად იყო საქართველოს ბედით დაავადებული აკაკი წერეთელიც:

„აღარა აქვს ბოლო ამ ჩვენს სატანჯველს,
არეინ მაძლევს სანუგეშოდ ძმურად ხელს,
ჩემს შარბათში ნაღველს ვსვერეტ და ვარდში გველს,
მისთვის ვწყევლი და ვემდური ამ სოფელს"...

ჰეშმარიტად, იერემიასებური გოდებით შეპყრობილ ადამიანს უნდა აღმოხდენოდა ეს გულის გამგმირავი სიტყვები! მთელი არსების შემარყეველია ეს ამონაკვნესი:

„ჩემო თავო, ბედი არ გიწერია:
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიღერია;
ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია"...

რისთვის, რადა?

„რადგანც სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!..
მით ჯოჯოხეთს მარად გულით ვატარებ!"

დაუსრულებელი სატანჯველის მარად გულში მატარებელ მგოსანს ხანდახან სამშობლოს აწმყო ასეთ ცივ, სურათებშიც ეხატება:

„მთანი და კლდენი სისხლს უჩვენებენ,
ქვესკნელი საფლავს და ძვალთ გამხმართა,
რომელნიც ანდერძს მოგვაგონებენ
მსხვერპლად შეწირულთ ჩვენთ წინაპართა...
მაგრამ მდინარე აქაფებული
ქვე მოაქანებს ას წლოვან ხეთა,
მალ-მალ ტალღით სცემს განრისხებული
და ჰსურს გაგლეჯა კლდოვან კიდეთა,
რომ მსწრაფლ მორეცხოს მან სისხლი ძველი
მის კიდეებზე გადანთხეული,
მაგრამ კიდეთა შეუკრეს ხელი
და მის გამოა აღელვებული". („ამაო ძებნა").

თანამედროვე საქართველო, აკაკის აზრით, დაღუპვისკენ მიექანება, სამშობლო მიწა-წყალში დანთხეულ ძველ სისხლს დროთა ბრუნვის ულმობელი მდინარე გაქრობასა და მორეცხვას უქადის.

„საზარელ, უხმო ამა პასუხით
საბრალოს გულში სისხლი დუღდება...“

ეს საბრალო ჭაბუკი ჩვენი მგოსანია და სისხლის დუღილიც მისი ლირიკული წვა.

„არც მქონია, არც რამ მაქვს,
არც მექნება, მგონია,
მაგრამ ჩემზე მდიდარი
არც კი გამიგონია.
მე რომ მაქვს, ის სიმდიდრე
ღვთისგან მოცემულია:
სულია ის საუნჯე“... —

დამღერს მგოსანი, რომლის სულის დაუშრეტელი საუნჯე და გულის ულეველი სიმდიდრე მისი ქნარის თითოეულ ათრთოლებაში გამოისმის.

„ცრემლით ამევსო ქამანჩა,
კვნესით და ოხვრით სტვირიო,
აქამდე ძველ დროს მოვსთქვამდი,
ახლა ახალსაც ვსტირიო.
ღმერთო, რა ვნახე! რას ვხედავ!
რა დრო დაგვიდგა ესაო!
სიმტკუენე გულში იკინის,
სიმართლემ დაიკვნესაო.
მელა მექათმეთ დამდგარა,
მწყემსობას სჩემობს მგელიო,
ეშმაკი ეშმაკს პატიჟობს,
სასუფეველში გელიო.
დიდება შენდა, უფალო,
სხვა დროა... უცნაურიო...
გადაუბრუნდა ქვეყანას
თვალი, ენა და ყურიო.
ცრემლით ამევსო ქამანჩა,
კვნესით და ოხვრით სტვირიო,
აქამდი ძველებს მოვსთქვამდი,
ახლა ახლებსაც ვსტირიო“...

ასე მომხიბლავად და მსუბუქად გადმოგვცემს ჰაეროვანი მუზა მგოსნის უმძიმეს სატკივარს.

„ამევსო გული წვეთ-წვეთად
ნაღველითა და შხამითა,
ისე, ვით საუკუნენი
სხვადასხვა მრავალ წამითა.
მაშ რაღად მინდა სიცოცხლე
მე აწმყო გამწარებულსა,
თუ ვისაც ვეტრფი, ვინც მიყვარს,
ვხედავ მას აოხრებულსა“.

აწმყო გამწარებული და ცრემლებით ქამანჩაავსებული პოეტი კვნესის:

„აღმართ-აღმართ მიედიოდი მე ნელა,
სერზედ შეედექ, ჰმეენეის ალი მენელა,
მზემან სხივი მომაფინა მაშინა“...

და პოეტმაც სიცოცხლის ძალა იგრძნო, აწმყოთი გამწარებულმა მონატრებულ სიკვდილზე ფიქრი თავიდან მოიშორა და ფეხქვეშაც მაგარი ნიადაგი იგრძნო:

„ცის მახლობლად ფეხქვეშ ეიგრძენ მიწა მე“...

და სინამდვილესაც ალტაცებით შესძახა:

„...ცხოვრებაე, მეც ერთ კაცად მიწამე“.

მგოსანს, რომელსაც თავის სატრფო მუდამ გულში ჰყავს და წამწამზე ატარებს, ოდნავად მოსულიერების ჟამსაც თვალწინ უდგება იგი:

„და ვიფიქრე: „ჩემი სატრფო სად არი?
ნისლი ჰბერაეს, თუ დღე უდგას სადარი?“

მაგრამ პოეტს აქაც ეწამლება ბედნიერი წუთები:

„გადვიხედე, ვნახე, რომ სხვას ჰმონებდა“...

მტრის ალერსით მთვრალმა გული მოუკლა მის მგოსანს:

„„მივაძახე: „ჯინჭარში ნუ ვარდები,
ნუ გგონია იქ ია და ეარდები!
შეიბრალე თავი, შენი იცოდე!
მაგ შარბათში საწამლაეს ჰსვამ, იცოდე“.

მაგრამ

„არ მისმინა მწუხარებით დანაგულს
და დამასო საუკუნოდ დანა გულს!“

მგოსანი ასრულებს თავის უმშვენიერეს ქმნილებას:

„აღმართ-აღმართ მიედიოდი ნეტა რად,
თუ ამ სერზედ თავს ვერ ეგრძნობდი ნეტარად?
ჩემო თავო, ვეღარ გკურნვენ წამალით!
დაღმართ-დაღმართ დაუყეეი, წა მალით!
იქ ჩაბრძანდი, სად გელიან ლოდებით,
ბარით, ნიჩბით, კუბოთი და ლოდებით.
დაივიწყე ვინც გახსოვდა მარად, ის,
ხელდაკრეფით განისვენე მარადის“.

ჭეშმარიტად, საქართველოს არც ერთ მგოსანს ასე შემარყევლად არ გამოუთქვამს თავისი გულის ნადები.

III

მწვავე აწმყოს პოეტი ოცნებით აღწევს თავს:

„მიყვარს თარი, გულსაკლავად მკვნესარი,
მწუხარების უკუმყრელი ის არი...
მით ვივიწყებ ამ ქვეყნისა მე მცნებას,
შორს მიეყავარ მომხიბლავსა ოცნებას:
ქვეყნიერად ვხედავ... ვხედავ სამოთხეს,
ათასფერად შეხამებულს მის კუთხეს...
რა ხალხია? რა ხალხია აქ მდგმური?
ეს ქვეყანა ეგებ ჩვენი მხარეა?“...

ყოველ ფეხის გადადგმაზე მგოსანს სამშობლო ახსოვს. ოღონდ ის აყვავდეს, ბედნიერი შეიქნეს, და მგოსანი მზად არის სიკვდილის შემდეგ საუკუნო სატანჯველსაც კი მისცეს თავი.

„რომ აწ საერთოდ ქართველი ერი
ამაღლებული, აყვავებული,
ხანგრძლივი იყოს და ბედნიერი,
რომ საქართველომ ქვესკნელი დაგმოს,
მოიახლოოს ზეცა და ღმერთი“.

ოღონდ ეს ამისრულე და მაშინ ჩემს თავს საუკუნო სატანჯავად მოგცემო, — ეუბნება პოეტი ბელზებელს.

რამდენი გულწრფელობა და მომჯადოებელი გრძნობაა ამ სიმშვენიერით ალსავსე საგალობელში:

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო!..
„ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო...
და, რომ მოკვდები, გახსოვდეს,
ანდერძი დავიბარეო:
„დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ:
შენს მიწას მიმაბარეო!..
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!“

აკაკის ქნარი ყღერს:

„გულსა სწამს და ჭკუას სჯერა,
რომ ჯერ კიდევ არ გამქრალა
მომავალი ბედის წერა“.

დაქანცული საქართველო მხოლოდ ისევნებს:

„ბევრის ბრძოლით დაქანცულსა
ეპირვება მოსვენება“...

არც სამუდამოდ დაღუპულია იგი,

„არ მომკვდარა, მხოლოდ ძინავს“...

ამიტომ:

„ჩვენ წინაპართ თუ ჰქონიათ,
ჩვენცა გვქონდეს დიდსულობა.
დაე, მისთვის დავღარიბდეთ,
ზურგს მოვიდვათ საწყლის გუდა,
პატიოსანს ღარიბს რით სჯობს
გამდიდრებული იუდა“.

მართალია, იმას არაფერი უპირს,

„ვინც თვის ტომის ტყავისაგან
შეიკერა ქურქი თბილი“...

მაგრამ საშინელია მგოსნის წყეველა:

„კრულ იყოს მისი სახელი,
ვინც მთა გასცვალოს ბარზედა.
თვის ტომის დამწუნებელსა
ჭირი მიუვა კარზედა.
ნურავინ ისხამს სხვის ქურქსა
და ნუ სცვლის თავის ენასა,
თორემ ბოლო დროს მოიმკის
უსუსტარ ცრემლთა დენასა...
კრულია მისი სახელი,
ვინც დაგმობს დედა ენასა,
თვით ტომს ჰღალატობს და მითი
თვით ჰფიქრობს მაღლა ფრენასა“.

აკაკისათვის გზის გაკაფვა სრულებითაც იოლი არ ყოფილა. მართალია, გონს მოსული ერის ახლად ამოყრილი ყლორტები მას აღტაცებით უსმენდნენ, მაგრამ მგმობელი და მაძაგებელიც ბევრი ჰყავდა. ეროვნული თვითშეგნება ახლად ფეხადგმული გრძნობა იყო და აკაკისაც მრავალი მტერი და ორგული ჰყავდა.

მისი მსუბუქი და ხელოვნური ლექსი უმახვილესი ნესტარი იყო მტერთა გულის გასაგმირად, ამიტომ აშკარად ძვირად თუ ვისმე გაუბედავს ამ ულმობელ შუბისათვის მკერდი მიეშვირა, მაგრამ, სამაგიეროდ, აკაკის მტრები სოროებში სისინებდენ და იქიდან უპირებდენ მას დაშხამვას.

იყო წამები, როდესაც დიდი მგოსანი მწვავედ გრძნობდა ამ შხამის შხეფებს და, როგორც უალრესად მგრძნობიარე გულის პატრონი, სასოწარკვეთილებამდეც კი მიდიოდა.

„ეი, სამშობლოვ, სხვებისთვის დედავ,
ჩემთვის კი ავო დედინაცვალო",—

მიმართა ერთხელ აკაკიმ საქართველოს:

„სული და გული, ბუნების ნიკი,
სიკაბუკე და წამი ყოველი,
შენ შემოგწირე და რა მიეიღე
სამაგიერო მე სასყიდელი?
უსამართლობა, მტრობა და დევნა,
ცილის წამება გულის საკლავი
და საუკუნოდ განსასვენებლად
მოსწრაფებული შავი საფლავი".

გულმოწამლულმა დიდმა მგოსანმა ერთხელ ისიც კი წამოიძახა:

„ფურთხის ღირსი ხარ, შენ, საქართველო".

მაგრამ ყოველივე ეს უღრმესი სიყვარულის გვერდით დასადგურებული უღრმესი სიძულვილი იყო — გრძნობა სრულიად ბუნებრივი და სამართლიანი, — საერთოდ კი აკაკი მუდამ უსაზღვრო იმედით ცხოვრობდა და საქართველოს დამხსნელ გმირს თანამედროვეთა შორის ეძებდა.

„არა, აუკავდეს იმედი,
გულს ვერ გამიტეხს ჭაღარა,
გმირებს უძახის, უყოვის
ჩემი დაფი და ნაღარა.
ვუხმობ ფრიდონს და ავთანდილს:
მხარი მხარს მიესცეთ, ხელი ხელს,
ნესტან-დარეჯან ქაჯებს ჰყავს,
მოელის ტურფა გამომხსნელს".

არის წამი, როდესაც მგოსანი გაჰკივის:

„მეზარევ, ზარი აუშვი
ამირან გმირის კვნესითა!
ხმა გრძნობას შეუთანახმე
ძველ ჩვეულება, წესითა!
ირემიას გოდებით
რომ ვინუგეშო, მეც მინდა,
თუ სევდა გადამეყარა
და თვალზე ცრემლი მეწმინდა.
„ვაი" და „უი" წარსულსა,
„უი" და „ვაი" აწმყოსა,
„თუ მომავალმა იმედი
მალამოდ გულს არ აცხოსა...

მეც ცისარტყელად მესახვის
იმედი მომავალისა,
წყნარი, შეიდფერი, შეიდ ძალი,
ტკბილად ამხელი თვალისა".

მხსნელ ცისარტყელას ამოჰყვა ახალი დროის მოღვაწეთა მთელი ჯგუფი:

„შრომობენ მოციქულებრივ,
თავი არ მოაქვსთ დიდადა,
და კერძოს საზოგადოსთვის
აგებენ გზად და ხიდადა".

ამიტომ:

„მეყო მეც აწმყოს ყვედრება
იერემიას ენითა".

საქართველოს აღადგენენ მისი ახლად მოვლენილი შვილები:

„არ მომკვდარა საქართველო,
აყვავდება ერთხელ კიდე,
და გაისმის ძველებურად
იმისი ხმა კიდით-კიდე".

ეს სტრიქონები დაწერა მგოსანმა 1898 წელს „საქართველოს დღევანდელ სახეში", ამავე რწმენით იყო იგი აღფურვილი, როდესაც ჯერ კიდევ ჭაბუკი სამოციან წლებში წერდა:

„დიდებაო, ძველის-ძველო,
დღეს სნეულო საუკეველო
გულს ნუ იტეხ, წამოდექი,
ნეტარების მომლოდნელო,
მოგვასწარ, რომ ვიძახოდეთ:
ვაშა, ვაშა, საქართველო"[1].

VI

გარდა ლექსებისა, აკაკის აქვს პოემები („თორნიკე ერისთავი", „კიკოლას ნაამბობი", „სოლომონ მეფე", „ორი ქართველი"), ისტორიული პიესები („პატარა კახი", „ბაგრატ დიდი") და ამავე ხასიათის მოთხრობა „ბაში-აჩუკი".

ეროვნული გოდება უმაღლეს მწვერვალამდე აიყვანა აკაკის გენიამ, საუკუნეთა კულტურით დაყურსულმა ქართულმა შეგნებამ აკაკის ქნარით გულის განგმირავად ამოიგმინა, როდესაც თავისი

---

[1] ეს ტაეპი ამოღებულია აკაკის ძველად დაბეჭდილ ლექსიდან, რომელიც ალბომად აქვს შეკრული მოქ. სოს. მერკვილაძეს.

თავი დიდებულ ნანგრევთა შორის დასაღუპავად გამზადებული წარ-მოიდგინა.

ეროვნულ-ისტორიული რომანტიზმიც აკაკის საოცარმა ნიჭმა უმაღლეს ხარისხამდე აიყვანა. ამ მიმართულების ჩანასახს ჩვენ ჯერ კიდევ ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში ვხედავთ. გრიგოლ ორბელიანი უკვე გარკვეულ და ღრმა კალაპოტში აყენებს მას. მაგრამ ეს გზა უფრო მეტად გააზრებული იყო, ვიდრე პოეტურად ნაგრძნობი და სულსა და გულში შედუღებული. აკაკის ხელოვნებამ სწორედ ამ მხრივ გააცხოველა და ხორცშესხმულივით უკვდავჰყო ეს ნახევრად მშრალი მიმართულება.

თორნიკე ერისთავი, ბაგრატ დიდი, პატარა კახი, კიკოლა, ზურაბ წერეთელი, ნინო, ქეთევან, თამარი ქართული მუზის ისტორიული რომანტიკის უკვდავი სახეებია, რომელთა ღვაწლის გათვალისწინებით ყოველი ქართველი უნდა ამაყობდეს. მართალია, ეს სახეები ხშირად იდეალიზებულია, მაგრამ აკაკის პოეტური შემოქმედება იმდენად ღრმა იყო, რომ თითოეული მათგანი ცოცხალ არსებად რჩებიან მკითხველის წარმოდგენაში.

ამ გმირთა დასურათხატებით აკაკი გრიგოლ ორბელიანის მსგავსად ამბობს:

„გმირნო, მამულის მადიდნო,
თქვენა ხართ ჩვენი დიდება,
თქვენთა სახელთა ამაყად
წარმოთქვამს შთამომაელობა.
თქვენთა საქმეთა მოთხრობით
მოხუცს ცრემლ მოედინება,
მხნეობით აღტაცებული
ჰაბუკი ხმალსა მისწვდებაᲐ.

გარდა ცალკე ტიპებისა, ამ თხზულებაში შესანიშნავი ისტორიული მოვლენების გაშუქებაცაა, რითაც პოეტი ცდილობს თანამედროვეთა შორის გააღვივოს ეროვნული თვითშეგნება, თავისი ქვეყნის სიყვარული და ეროვნული სიამაყის გრძნობა.

ᲐᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ საამაყოა ყოველი ქართველისათვის ჩვენი ერის ისტორიის ის მომენტები, რომლებიც ამ პოემებშია დასურათებული. ნინო ქრისტიანობის მიღების ემბლემაა, თამარი — ქართველთა არსებობის ოქროს ხანისა და სხვა.

არიან მოაზროვნენი, რომელნიც ერთობ იოლად ხსნიან მწერლის შემოქმედების წარმოშობას. დრო იყო ისეთი, რომ სწორედ ამ და ამგვარი მიმართულების მწერალი უნდა წარმოშობილიყო, მომენტმა მას არგუნა ამა თუ იმ სიტყვის თქმაო და სხვ.

აკაკი წერეთელმა სრულიად აშკარა ჰყო ამ დებულების ზერელობა. აკაკის ხანაში სხვებიც მწერლობდნენ, მაგრამ აკაკისებურ

მწვერვალზე ვერავინ ვერ ავიდა. მისმა შემოქმედებამ ამ მხრივ ყველანი დაჩრდილა, თუმცა არც ერთი ეს მწერლები პატარა ნიჭისა არ ყოფილა.

რასაკვირველია, მწერალზე ყოველთვის გავლენას ახდენს მისი თანამედროვე ეპოქა, შემოქმედების წყაროც აქ არის, მაგრამ თავი და თავი მაინც ისაა, თუ რამდენად შეუძლია მას თავისი დროის უმნიშვნელოვანესი მოვლენების ყოველმხრივად და ღრმად ათვისების შესაძლებლობა, რა დამტკიცების არის მისი ნიჭი და რამდენად შესწევს მას აზრისა და გრძნობის მხატვრულად გამოთქმის უნარი.

აკაკი წერეთელი სწორედ ამ მხრივ იყო უხვად დაჯილდოებული: ის ღრმად ჩასწვდა თავისი დროის ქართველობის სანუკვარ იდეალებს, ეროვნული სულის თავისებურებას, გაითვალისწინა მომავლის პერსპექტივები და გამოთქმის საშუალებანიც მომაჯადოებელი უბრალოებიდან უმაღლეს ხელოვნებამდე აიყვანა.

ამიტომ იყო, რომ მთელი საქართველო, განურჩეველად წოდებისა და მიმართულებისა, სულგანაბული უსმენდა ნახევარი საუკუნის განმავლობაში ამ დიდებული მგოსნის ღაღადს.

ამიტომაც არის, რომ აკაკი წერეთელი დღესაც ჩვენი დიდება და ეროვნული სიამაყის მწვერვალია.

და ეს იქნება მანამ, სანამ ამქვეყნად არსებობს საქართველო და მშვენიერება... ამ ორი ცნების შედეგება ჩვენ გვაძლევს აკაკის ხატებას.

* * *

დიდმა მგოსანმა, როგორც უკვე ვნახეთ, თავისი ციური ნიჭი ერის კეთილდღეობას მოახმარა. აკაკის, როგორც დიდ პოეტს, არ შეეძლო არ დაენახა ბატონყმური უკულმართობა და არ დაეგმო იგი. ეი რას ათქმევინებს იგი ყმას:

„ხატად და მსგავსად ღვთისა ვინც ქმნილ არს,
ეშმარიტების მხილებაც უყვარს,
და ვისაცა სწყინს ეშმარიტება,
ჩანს, დაუკარგავს მას ღვთის ხატება...“

„ოხ, დარდების ამშლელო, ჩემის გულის ხაზი ხარ!..
თავდახრილი მიტომ ვარ, რომ კისერზე მაზიხარ.
დამტკბარს ვეროდეს გხედავ, ჩემთან მუდამ ბრაზი ხარ;
უჩემოდ გამრჯელი ხარ, თუ მე მხედავ, ნაზი ხარ.

რომ იცი, რაღად მკითხავ ასე რისთვის ვღონდები?
მისთვის, ჩემო ბატონო, რომ სულ შენ მაგონდები!
ბირუტყვივით მიმონებ, მფლობ და არ გეცოდები,
მაგრამ, ჩემო წამწყმედო, აქ, იქ შენ ვერ ცხონდები!..

ცხადად შენ მაგონდები, შენ ხარ ჩემი სიზმარი;
შენ მღვდელივით სუქდები, მე ოფლად ვარ დამდნარი,
მაგრამ შენ რას დამეძებ?! შენი ფიქრი ეს არი;
„ნეტავ ვინ გაასწორა, ერთადა მთა და ბარი?“

ამით ჩვენი კავშირის უფლებით ხარ შემცველი,
ძლიერმა სუსტი მნახე, დაჩაგვრა შეიძელი...
მაშ ახლა რაღად სწუხარ, ახალსა რომ მოელი?
რად არ მეტყვი: „ძმები ხართ, მოდი, მომხვეე ხელი“?

თორემ შენ ცხვირს მაჩვენებ, მე ჩამოგიყრი ყურებს.
მტერს ვინ უწინაღმდეგებს, რომელიც ჩვენ შეგვყურებს?
ერთმანეთის მტერს ვეღარც მამული გვიმსახურებს
და ახალს დროს დაგვასმენს, შვილის-შვილთ მოგვამდურებს.

მაგრამ, ვაი! ეს სიტყვა შენ როგორღაც გეშნარა.
მეუბნები: „შენ ვინ ხარ, ეისი ტიკი ტომარა“?
მაგრამ, ჩემო კეთილო, იფიქრე, ნუ სჯი ჩქარა
და მაშინ აღიარე — მართალს ვამბობ, თუ არა?!“

ეს ლექსი დაბეჭდა აკაკი წერეთელმა ბატონყმობის მძვინვარეების დროს 1863 წლის ჟურნალ „ცისკრის“ № 5-ში. იმ საერთო ენაჩავარდნილობისა და მთელი ჩვენი მწერლობის ცენზურული პირობების გამო დამუნჯების დროს, ამ ლექსის საშუალებით უაღრესად რევოლუციური სიტყვა თქვა, სიტყვა მკვეთრი, მკაფიო და ცეცხლოვანი.

„თავდახრილი მიტომ ვარ, რომ კისერზე მაზიხარ“...

„„პირუტყვივით მიმონებ, მფლობ და არ გეცოდები“...

„შენ მღვდელივით სუქდები, მე ოფლად ვარ დამდნარი“...

ეს სამი გამოკვეთილი ფრაზა სამი ყუმბარის გადაგდება იყო თოფისწამლის საწყობში — ბატონყმობის ჯაჭვებით შებოჭილ გლეხებში. ამ ლექსის დაბეჭდვამდე ქართულმა ლიტერატურამ 60-იან წლებში „კაცია-ადამიანითა“ და „სურამის ციხით“ გაჰკიცხა ბატონყმობა. ამ მხრივ ეს ლექსი დიდად საყურადღებოა.

დაუკვირდით ლექსის ეპიგრაფს, რამდენი პოლემიკური ენერგია ფეთქავს იქ. ეს რევოლუციური ცეცხლით აღტაცებული პოეტი ეკამათება ბატონყმობის დამცველთ, რომლებიც გლეხებს მუდამ გაბრაზებულნი შეჰყურებენ.

განთავისუფლების მომლოდინე გლეხი თავისი შეგნებითა და ჰუმანურობით თავადზე მაღლა დგას. აქ, ცოტა არ იყო, პოეტის მხრივ, გლეხის იდეალიზაციასთან გვაქვს საქმე და ორი მომენტის—

სოციალურისა და პოლიტიკურის ერთ მომენტში გადახლართვა ლექსს ამძიმებს, მაგრამ ბატონყმობის დამახასიათებელი და საწინააღმდეგო სიტყვები დასახულ მიზანს დაუბრკოლებლივ აღწევს.

უფრო რევოლუციური და ცეცხლის მომდებია აკაკის „მუშური“. ახლა მოვუსმინოთ აკაკის გლეხებს:

„სიმინდსა თოხნა დავუწყოთ,
ერთხმად დავძახოთ მუშური,
ეგებ მაშინ დაგვაეიწყდეს,
რომ გლეხნი ვართ უბედური.
მარტო ჩვენთვის არ ვმუშაობთ,
სხვისაც გვმართებს სამსახური...
ბატონი გვყავს, ვართ საწყალი,
უპატრონო, უბედური.
ყველა თავში გვიჩაჩქუნებს
გარეშე და შინაური,
ცხელსა მიწას უხვად ალბობს
ოფლი ჩვენგან მონაწური.
ჩვენი ჯაფით მონაყვანი
სხვაგან მიდის საზრდო-პური,
შინ ცოლ-შვილს სიპშილი გვიკლავს,
მაგრამ ვინ მიუგდოს ყური.
მათსა საზრდოს სხვა იტაცებს,
ტირის დედა მეძუძური,
სიმშილისგან რძე უშრება,
წივის შვილი უსუსური.
ღმერთს ბატონად მოუცია
ჩვენთვის ერთი აზნაური,
მისთვის სუყველა ჩვენა ვართ —
შებეგრეცა და მსახური“.

ცოცხალი და შემაძრწუნებელი სურათია. აქ რომ დანიელ ჭონქაძის მიერ დახატული გლეხები იყვნენ, ისინი რევოლუციურად დაიცავდნენ თავს ასეთი ბატონებისაგან, მაგრამ აკაკის ბატონკაცური ჰუმანიზმი საკითხის ასეთნაირად გამწვავებას გაურბის და ამ თვინიერ გლეხებს ასე ალაპარაკებს:

„გამკითხავი საღლა არის?
განვაგრძოთ, ძმაო, მუშური,
ჩვენი სევდის განამქარი,
ბანს გვეტყვიან ნაღელიანად
არე მარე, მთა და ბარი,
ნუთუ გულგრილად უყურებს
ჩვენს ტანჯვასა მაცხოვარი“?

ე. ი. სოციალურ დავას თვითონ კი არ უპირებენ გადაჭრას, არამედ ღმერთს ანდობენ.

აკაკი სასტიკი მოწინააღმდეგე იყო ბატონყმობის ინსტიტუტის და თავგამოდებითაც ებრძოდა მას. ყოველთვის, როდესაც ამის საშუალება მიეცემოდა, სასტიკად ილაშქრებდა მონობის წინააღმდეგ. ჟურნალ „ცისკრის“ თანამშრომლებიდან აკაკი და ანტონ ფურცელაძე ყველაზე უფრო რევოლუციურად იყვნენ ამ საკითხისადმი განწყობილნი.

აკაკი ლექსს „სიმღერა მკის დროს“, რომელიც დაბეჭდილია ბატონყმობის ხანაში (1863 წ., „ცისკრის“ № 7), ასეთი ბოლო აქვს:

„ეხვად მოვიდა წელს პური,
მაგრამ ბედს მაინც ეემდური,
რომ ამას სულ სხვა წამართმევს
და მე კი ოფლსა ტყვილა ეღერი“.

აკაკი, როგორც ვიცით, აღტაცებით შეხვდა ბატონყმობის გადავარდნას, მისი „იმერული ნანინა“ კლასიკური ნაწარმოებია.

„გაბუტულო გლეხის შვილო, შენ პაწაწინაო“ და სხვ.

აკაკი, ბატონყმობის ეპიურ სურათებსაც იძლევა „რუსეთუმეში“. იგი ასე ახასიათებს ძველ ბატონებს:

„ძველი კაცები რომ ადგებოდით,
დილას ხელს და პირს რომ დაიბანდით,
იმ წამს საუზმეს მივარდებოდით,
გამოძღებოდით, ისევ წვებოდით,
სადილობამდი არ ადგებოდით,
მანამდე ამა რა გაგანძრევდათ?
სადილად ისე გამოძღებოდით,
რომ თითქმის გული აგერეოდათ;
გამოძღებოდით რა უმოწყალოდ,
ისევ ლოგინზე გაგორდებოდით,
უსაძრაოდა, თითქმის უსულოდ,
სანამდი ვახშმად არ დასხდებოდით“.

პოეტს ბატონყმობის მშვენიერი სურათი აქვს დახატული თავის ცნობილ თავგადასავალში. ეს ეპიური სურათი აკაკისებური იუმორით არის შეზავებული.

ბატონყმობას შეეხო აგრეთვე ანტონ ფურცელაძე, რომელმაც დასწერა მოთხრობა „მართა“. თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ბატონყმობისადმი ფურცელაძემ გაბედულად გამოთქვა „სურამის ციხის“ შესახებ 1863 წლის „ცისკარში“ „ქერელ მექას“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილში.

ასე დაასურათა ქართულმა ლიტერატურამ ბატონყმობა. მართალია, რიცხობრივად ჩვენი ლიტერატურა ცოტაა, მაგრამ თვისებით იგი უსათუოდ თავის სიმაღლეზე დგას. არც ერთი ჩვენი მწერალი ამ რეჟიმს არ შერიგებია და ყველამ გვაჩვენა მისი უარყოფითი მხარეები: ქონებრივ-უფლებრივი უთანასწორობა, ამ ნიადაგზე აღმოცენებული დაუნდობელი ბრძოლა და, საერთოდ, ბატონყმური ინსტიტუტის ერის ცხოვრებაზე დამღუპველი გავლენა.

ვაჟა-ფშაველა

(1861—1915)

ვაჟა-ფშაველა დიდი მოელენაა ქართულ ლიტერატურაში. ამ მწერლის შემოქმედება შესანიშნავია როგორც თავისი ორიგინალობით, ისე სიღრმით და თემათა სირთულით.

ვაჟა-ფშაველას მუზა განსაკუთრებული იერით დგას ქართული ხელოვნების პანთეონში. აქვე არის ილიას შუბლშეკმუხვნილი „პოეტი", მეწამული ზღვის გასაპობად კვერთხი რომ აღუმართავს: „მეცა მნიშნავს და ერი მზრდის"... ღაღადებენ მისი მოკეთილი ბაგენი. მის გვერდით აკაკის მუზა კისკასობს: „არ მომკვდარას" ჰანგებით.. მათიაც აქ არის, ალ. ყაზბეგისა: ხელში კომბალი, ცხვრის ფარა, წყაროთა ჩქერი, ხევხუვებში ჩახუელება და სიყვარულით გარინდება. გრძნობათა თქეშის მოვარდნის მომენტი... რაფიელ ერისთავის ბერუებიც და სესიებიც აქ დგანან ჩაფიქრებულნი და გოდებით მოცულნი.

არც ერთ ამ მწერალთაგანს არა ჰგავს ვაჟა. ამ ბუმბერაზთა შორის დავაკაცდა მისი მუზა, ამ შემოქმედების გვერდით გაიფურჩქნა იგი, ამათი სისხლი სცემდა მის სხეულში, მაგრამ არც ერთ მათგანს კი არ დაემსგავსა. „თქვენი მიწოვავ მეც ძუძუ, ღალიან ბარაქიანი", — ეუბნება იგი სამშობლოს მთებს. ამავე ძუძუს სწოვდნენ ეს მწერლებიც, მაგრამ ვაჟას მუზა სულ სხვა სახის შეიქნა, სხვა ელფერს ატარებს.

ჩვენ წინ დგას იმედის საზიკაული, ვაჟას ორეული, რომელიც

„შაიბურება ნაღელითა,
როგორც მყინვარი ნისლითა".

შას სტანჯავს სამშობლო ქვეყნის უბედურება:

„სოფლისა, თემის ავ-კარგი
კელავ უტარებავ კისრითა".

იგი შეუდრკელად დგას და მოელის რაღაცას, როგორც „მთანი შაღალნი" და თანაც ვაჟასთან ერთად მეუფეს ეეედრება:

„გულს ნუ გამიტეხ ტანჯვაში,
მამყოფე შეუდრეკლადა,
ეფხიზლობდე, მუდამ მზად ეიყო
დაჩაგრულების მცველადა...

გულს დარდი გამიდიადე
იმ სანეტარო საგანზე,
დაწერე ფიქრი, ღრმა, მწვავე
ჩემის გონების საბანზე!..
გონებას ფიქრი სტანჯავდეს,
გულს ცეცხლი სწვავდეს ძლიერი.
მშიოდ-მწყუროდეს კეთილი,
ვერ გაეძღე, მოვკვდე მშიერი...
ნუ დამასვენებ ნერას დროს,
მამყოფე შეძრწუნებული,
მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ,
როცა ვარ შეწუხებული;
როცა გულს ცეცხლი მედება,
გონება მსჯელობს საღადა...“ და სხვ.

ეს ის ცეცხლია, რომელიც სწვავდა ილიას, აკაკის და ყაზბეგს. პირველი წვა იმავე ცეცხლში იგემა ვაჟა-ფშაველამ. მას აჩრდილივით დასდევენ ლელა, ლუხუმი, კეირია და გულს უშხამავს სანათას გლოვა:

„სანათაი ვარ მე, შვილო,
აფხუშოურის ქალია.
აქა ვარ გამოთხოვილი,
ბერიძე მყვანდა ქმარია.
შეიდი დაეზარდე ვაჟაცი
თითო ლომისა დარია,
შვიდნივ გამიწყდა ერთ დღესა,
მამაც იმათთან მკედარია“.

დიახ, ვაჟაც სამშობლო ქვეყნის უბედურებით არის გულგანგშირული, მაგრამ მისი დიდი ნიჭი ვერ ეტევა ამ შედარებით ვიწრო ფარგალში და მშობლიური ქვეყნის უბედობის ნიადაგზე მსოფლიო მნიშვნელობის საკითხებს წვდება.

მისი პოემები: „ალუდა ქეთელაური“, „გოგოთურ და აფშინა“, „სტუმარ-მასპინძელი“, „ბახტრიონი“ და „გველის მჭამელი“ — სრულიად განსაკუთრებული და შესანიშნავი მოვლენებია ქართულ ლიტერატურაში.

უფრო მეტად ჩვენ აქ ამ ქმნილებებს შევეხებით.

ყოველი მოვლენა მაშინ არის გასაგები, როდესაც მისი წარმომშობი პირობები ვიცით. ჩვენ ყველგან ამ მეთოდით ვხელმძღვანელობთ. გარეშე ამ გზისა ლიტერატურული მოვლენის ახსნა მხო-

ლოდ სიტყვების თამაშია და აღვირაწყვეტილი სუბიექტივიზმის ჯი-
რითი.

ეკა სალიტერატურო ასპარეზზე 1880 წელს გამოვიდა. პირველ-
წლებში იგი უბრალო თარგმნას ეწეოდა. 1884 წელს კი დაიბეჭდა
მისი მომხიბლავი მოთხრობა „შვილის ნუკრის ნაამბობი". 1886—
1887 წწ. გამოქვეყნდა „ალუდა ქეთელაური", „გოგოთურ და აფ-
შინა". 1893 წელს დაიბეჭდა „სტუმარ-მასპინძელი", 1901 წ. „გვე-
ლის მჭამელი"... გარდა ამისა სიკვდილის დღემდე განუწყვეტლივ
იბეჭდებოდა ბუნების სუნთქვით გაჟღენთილი და წრფელი ლირიზ-
მით აღსავსე მისი ლექსები და მოთხრობები.

ჩვენ ვხედავთ, რომ დიდი მგოსნის ქნარის ჟღერა ისეთ საზო-
გადოებრივ ატმოსფეროში გაიფურჩქნა, როდესაც ჩვენი სამშობლო
გარეგნულად სრულიად მშვიდ და უშფოთველ ცხოვრებას განიც-
დიდა. ოთხმოციანი წლების რეაქციის შავი ფრთები მეოცე საუ-
კუნის დასაწყისამდე გვეფარა თავზე, რეაქცია არ ყოფილა მარტო
პოლიტიკური, იგი საზოგადოებრივიც იყო და, ამნაირად, მთავრო-
ბა და საზოგადოების ზედა ფენები ერთი გზით მიდიოდნენ.

როგორც უკვე ვნახეთ, ჩვენი ერის აზროვნებაც „მესამე და-
სელების" გამოსელამდე საშინლად მოდუნებული და კონსერვა-
ტიული იყო. ი. ჭავჭავაძის „ივერია" პოლიტიკური და საზოგადო-
ებრივი სიბრძნის წყაროდ იყო მიჩნეული.

ეროვნული საკითხი ამ ხანებში დიდ კრიზისს განიცდიდა, აწმ-
ყოში სანუგეშო არა ჩანდა და მომავალიც ბუნდოვნად გამოიყუ-
რებოდა.

ყოველი იდეა მაშინ ცხოველმყოფლობს და შლის ფრთას,
როდესაც მას გამტარებლად ჰყავს ერის რომელიმე ნაწილი. ეროვ-
ნული იდეის მატარებლად ჩვენში თავიდანვე აღიარებული იყო ისევ
ის წოდება, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში მეთაურობდა
ჩვენს ცხოვრებას, ე. ი. თავადაზნაურობა. ეს რწმენა ძვალსა და
რბილში ჰქონდათ გამჯდარი სამოციანი წლების მესვეურებს. მაგ-
რამ როდესაც გამოირკვა, რომ ეს წოდება ეკონომიკურად და პოლი-
ტიკურად თანდათან პირქვე დაექანა, აშკარა შეიქნა, რომ ერის
მეთაურობას იგი ვერ გასწევდა. საჭირო იყო ახალი ეროვნული
ძალის ძებნა, მაგრამ ეს გზა არც ისე იოლი შეიქნა: თავადაზნაურუ-
ლი წრეებიდან გამოსული ჩვენი ინტელიგენცია სრულიად ბუნებ-
რივი მიზეზების გამო ვერას გზით ვერ გაშორდა მამაპაპურ ხოდა-
ბუნებსა და თათქარიძეების კარ-მიდამოს. ერის დაბალი ფენების
სულისკვეთება და მისწრაფება მათთვის არც ისე გასაგები და სა-
სიყვარულო იყო. ამ ფენებს ისინი ღებულობდენ იმდენად, რამდე-
ნადაც მათი ძალ-ღონის გამოყენება მოსახერხებელი და შესაძლე-
ბელი იქნებოდა მათი, — ინტელიგენციის იდეალებისთვის. აშკარა

ოყო, რომ ძველი თაობა მიდიოდა თავისი მისიის შესრულების შემდეგ, ახალ თაობას კი ჯერ კიდევ ვერ ეთქვა საკმაოდ გაბედული და ახალი სიტყვა.

ამ ხანაში გამოსულ მწერალთა მთელ რიგს ემჩნევა ორი თვისება: ეროვნული და ხალხსნური მიდრეკილება, „ტეტიათა მოტრფიალეების“ გავლენა. ვაჟას შემოქმედება ამ ორ პოლუსს შუაა მომწყვდეული. მას გულს უკლავს მშობელი ერის უბედურება, თანაც ერის დამხსნელად გლეხობა მიაჩნია. მას მთელი თავის პოეტური ცეცხლით უყვარს მშრომელი გლეხობა.

„გმირებს უყვარის, დაეძებს
ჩემი დაფი და ნალარაო“,—

ვალობდა მე-19 საუკუნის საქართველოს ჰომეროსი.

„გმირთა სამარეს, როგორც ხატს,
სამთხვეველად დაველირებიო“, —

ბანს აძლევს კაცა და ისიც აკაკივით გმირებს დაეძებს.

თანამედროვეთა გასამხნევებლად და „ხმალზე მისაწვდომად“ ვრ. ორბელიანიდან მოყოლებული ჩვენი ეროვნული გოდების ქურუმები მეფეებისა და დიდებულების იდეალურ სურათებს ქმნიდნენ. მართალია, ვაჟა-ფშაველა ძალიან ენათესაებოდა მწერალთა ამ წრეს შემოქმედების ერთ წერტილში, მაგრამ წარსულიდან გმირებს იგი უბრალო ხალხში ეძებდა და არა ერის ზედა ფენებში. ხალხსნური ატმოსფეროს გავლენა აქ უდავო და აშკარაა. იმედი საზიკაული, გოგოთური, ალუდა, კვირია, სანათა, ლელა, ლუხუმი, ჯოყოლა, ზვიადაური, მინდია — აი ეს სახეები, რომელნიც მთიულეთის სიპებიდან გამოქანდაკებულან. მუზარადი, ჩაჩქანი, ფარი და შუბი — აი მათი აუცილებელი სამკაული. ესენი არიან ჩვენი ერის ჯავარი და ზნეობრივი ძალის ყავარჯენნი, მათზეა დაყრდნობილი ვაჟას აზრიც და აქედან ამაღლებით ცდილობს იგი გადახედოს მთელ მსოფლიოს.

მისი პოემები საკაცობრიო თემებს გვიშლიან ადგილობრივ ისტორიულ ფონზე.

II

„ალუდა ქეთელაურის“ მთავარი პერსონაჟი ხევსურთა საყვარელი გმირია.

„ალუდა ქეთელაური
კაცია დავლათიანი,
საფიხვნოს თავში დაჯდების,
სიტყვა მაუდის გზიანი“.

ქისტებმა გაძარცვეს ხევსურთა სოფელი — წაასხეს საქონელი. ალუდა დაედევნება მათ გმირს — მუცალს და სძლევს მას. თემის

ჩვეულება იყო — დამარცხებულისთვის მკლავი უნდა მოეჭრათ და ხალხისთვის ეჩვენებინათ. ალუდამ არ შეურაცხყო ვაჟკაცი მუცალი, არ დაასახიჩრა იგი და ამნაირად თემის ჩვეულება არ შეასრულა. თემიც განურისხდება მას. მაგრამ ალუდა სრულებითაც არ იხრის ქედს და კიდევ გადადგამს თემის საწინააღმდეგო ნაბიჯს: მსხვერპლს სწირავს მუცალის სულის გამოსახსნელად, ხევის ბერი უარს ეუბნება „სამხვეწროს“ მიღებაზე, მაშინ ალუდა მესამედ სცოდავს თემს:

„გაჯავრდა ქეთელაური,
ფერი დაიდვა მგლისაო,
ხელი დაიკრა ფრანგულსა,
შუქი ამოხდა მზისაო.
უქნივა მოზვერს ქედზედა,
თავი მიგორავს ძირსაო“.

ამით ალუდას ბედი გადაწყდა, მან გარეშე ქვეყნის შვილი შეიბრალა და თავისიანების ადათ-ჩვეულებას წიხლი ჰკრა. მაშ,

„მოკვეთილ იყოს, სხვა ქვეყნის
ცა-ღრუბლის შენამზირები“.

ალუდა თემის მოღალატეა, ამიტომ

„ხამართალი ვქნათ, ვუმტვრიოთ
ალუდას სახლის დირენი,
ნუ დაინანებთ, ექმნენთ
ცოლ-შვილის ამატირენ!
წადით, უმტერიეთ შავ-ბნელსა
სახლისა, ციხის კარები,
ცეცხლი მიეცით საძნოვარს,
ცასა სწვდებოდეს ალები“.

ალუდა ძლიერი პიროვნებაა, მას სწამს თავისი სიმართლე და თუმცა ამბობს, რომ

„თავის მიწა-წყლის გაწირვა
ძნელი ყოფილა მეტადა...
მუხლებ არ მამდევს, გულშია
ბნელი ჩამიდგა სვეტადა“, —

მაინც ვაჟკაცურად სტოვებს მშობლიურ კარ-მიდამოს და ცოლ-შვილიანად გადაიხვეწება.

როგორც ვხედავთ, აქ სრულიად კონკრეტულ და საყოფაცხოვრებო მოვლენაში ჩაქსოვილია დიდი და გადაუჭრელი პრობლემა პიროვნებისა საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ალუდას პიროვნება თავისიანებთან შედარებით განვითარებულია; ის გამოჰყოფია ჯოგურ მდგომარეობას და მტკიცედ ადგას საკუთარ აზრს: იგი „კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნებაა“ და თავისი ინტე-

რესები აქვს. მეორე მხრივ — თემსაც თავისი ინტერესები ამოძრავებს და ამნაირად დაეჯახა ერთიმეორეს ორი სხვადასხვა თვალსაზრისი. ვინ უნდა დასთმოს?

თემმა ალუდა განდევნა, მაგრამ ამით საკითხი არ გადაჭრილა, ალუდა თავის გზას განაგრძობს და, სადაც დაბინავდება, იქაც იმავე ძლიერ პიროვნებად დარჩება.

მეორე პოემაში — „სტუმარ-მასპინძელი" — რომელიც იმავე თემაზეა დაწერილი, ეს საკითხი პიროვნების ფიზიკურად მოსპობით იჭრება. მაგრამ, როგორც ქვევით ვნახავთ, ზნეობრივი გამარჯვება მაინც პიროვნებას რჩება.

ჯოყოლამ შეცდომით სტუმრად თავისი თემის მტერი — ზვიადაური — მიიღო. თემი გაბრაზდება და ზვიადაურს მოკვლას უპირებს. ჯოყოლა ეყრდნობა თემის ადათს — სტუმართმოყვარეობას და მოითხოვს, რომ ზვიადაურს მის ოჯახში ხელი არ ახლონ. მაგრამ არაფერი გაუდის: თვითნება თემი ფეხქვეშ სთელავს თავისსავე წესს და ზვიადაურს თავიანთ სასაფლაოზე აწამებენ, ჯოყოლას კი ბოიკოტს უცხადებენ. როცა თემს გასაჭირის დღე დაუდგა, ჯოყოლა, რაკი მებრძოლებში არ გაირიეს, ცალკე იბრძვის და გმირულადაც კვდება, მაგრამ თვითნება თემი მას ნაკურთხ მიწაშიც კი არ მარხავს: ჩვენ რომ შერცხვენილი უკან გამოვრბოდით, მან მარტო რად გამოიჩინა გმირობაო.

„ეხლაც მასხარად აგვიგდო,
წინად ხომ ბევრჯელ აგვრია,
სოფლისა გადრა ინდომა
ჩვენ კი ტალახში გაგვრია",—ამბობს თემი.

თავი მოიკლა ჯოყოლას ცოლმა ალაზამაც, რომელმაც მტრის— ზვიადაურის — შეყვარებით ფარულად თემს შესცოდა. ამნაირად თემმა ორი ადამიანი იმსხვერპლა და გამარჯვებაც თითქმის მას დარჩა, მაგრამ ზნეობრივი უპირატესობა მაინც დაღუპულებისკენაა:

ხალხში ლეგენდა შეიქმნა:

„სასაფლაოდან წამოვა
აჩრდილი ფარხმალიანი,
გულზე უწყვია დაკრეფით
მკლავები სამკლავიანი,
მიეა და მიესალმება
თავის ძმობილსა მდუმარედ.
იქვე ალაზაც ამოდის
სახე მოწყენით, მწუხარედ".

მთელი თემი ქედს იხრის ამ სურათის წინაშე და ამნაირად თვითონვე გრძნობს თავის საქციელის უგუნურებას და მის მიერ დაღუპულ პიროვნებათა უპირატესობას.

ამ პოემაშიც მთიულეთის ყოფა-ცხოვრების საშუალებით დასმულია მსოფლიო მნიშვნელობის საკითხი — პიროვნებისა და კოლექტივის ურთიერთობის შესახებ და, როგორც ვხედავთ, პოეტი უპირატესობას პიროვნებას აძლევს, თუმც თემი და მისი ინტერესები ვაჟა-ფშაველასთვის წმიდათაწმიდას შეადგენს. ამ საკითხს ქვევითაც შევეხებით, აქ კი ვიტყვით, რომ ვაჟას პოემების იდეები ევროპის ლიტერატურისათვისაც თავსაზტვრევ საკითხებს შეადგენს. ეს საკითხი ქართულ ლიტერატურაშიც ყოფილა დასმული, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია არსებითად საზოგადოების და პიროვნების გარშემო ტრიალებს. როგორც ვიცით, ბარათაშვილი სინთეზის გზას ადგას: პიროვნება უნდა შეუთანხმდეს საზოგადოებას — „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს," — გვეუბნება მგოსანი. ვაჟა-ფშაველა კი შეთანხმებაზე კრინტსაც არ სძრავს და ერთიანად პიროვნების მხარეზეა.

ბარათაშვილიცა და ვაჟაც ერთნაირი უდროობის ხანაში ცხოვრობდნენ, ფართო საზოგადოებრივი ძალები ორივეს დროს შებოჭილი იყო და ყოველგვარი სკეპტიციზმის, თვითკრიტიკისა და ადამიანის პირად ძალთა გადაფასებისთვის ფართო ასპარეზი იშლებოდა. მართალია, საზოგადოებრივი უსამართლობისათვის არც ერთს ქედი არ მოუხრია, პირიქით, სასტიკად იბრძოდა ორივე, მაგრამ თითოეულმა მათგანმა მაინც თავისებური გადაწყვეტა მისცა თავსატეხ საკითხებს. ბარათაშვილი დიდი ტანჯვისა და განცდების შემდეგ ისევ საზოგადოების წევრობას არჩევს. მართალია, ბაირონის ჩაილდ-ჰაროლდივით ისიც გარბის თავისი მერანის საშუალებით, მაგრამ ქვეყნიერების წყევლა მაინც არ ისმის მის შემოქმედებაში. კოლექტივის უარისყოფა და პიროვნების განდიდება ბარათაშვილის აზროვნებას არ ეგუება.

ვაჟა-ფშაველა კი ერთიანად პიროვნების მხარეზეა, თუმცა იმავე დროს კოლექტივი და მისი სამსახურიც მისთვის წმიდათაწმიდას შეადგენს. ბარათაშვილისებურ სინთეზს პიროვნებასა და საზოგადოებას შორის ისიც აღიარებს. ამას ქვევით ვნახავთ, მაგრამ იგი ძლიერი და საკუთარი მოაზროვნე პიროვნების თაყვანისმცემელიც არის. რად ეტრფის იგი ძლიერ ადამიანს? იმიტომ რომ იგი მოსე წინასწარმეტყველივით წაუძღვეს ერს დასახსნელად.

ქვეყნის სიყვარული და სამსახური მთავარი სასიცოცხლო ინსტინქტია ვაჟისათვის:

„გულს ნუ გამიტეხ ტანჯვაში
მამყოფე შეუდრეკლადა;
ვეხიზლობდე, მუდამ შუად ვიყო
დაჩაგრულების მცველადა...
მაშრომე საკეთილოდა,

თუნდ არ მოვიმკო ნაყოფი,
შეილთ საგმოდ არ გამიხადო
ჩემი მუდმივი სამყოფი".

მგოსანი არათუ გაურბის საზოგადოებას და ბუნებას, არამედ თავის თავს მთელი ბუნების ნაწილად თვლის და ერთიანად ცხოვრობს ამ ქვეყნიერების ინტერესით, ყველაფრის გალმერთებისა და სიყვარულის გრძნობა — პანთეიზმი — ვაჟა-ფშაველასათვის პირდაპირ მთელი არსებობის საკითხია.

„საგმობიც ვიყო, ქედს არ ეხრი,
თავი მდიდარი მგონია,
ისეთი, თქვენმა ძმობამა,
ჯერ არვის გაუგონია.
მთლად მე მეკუთვნის ქვეყანა:
მთაში — მთა, ბარად — ბარია,
ზღვა და ხმელეთი ერთიან,
ცა-ვარსკვლავების ჯარია,
დილით მზე მანათობელი,
ღამის გუშაგი მთვარია.
მდიდართ სიმდიდრით ღიღინი,
ბეჩავთ ქვითინი მწარია,
ავდარი, ეინკლი, ცის ქცევა,
ცა მოწმენდილი, დარია,
დილით გაფურჩქნა ვარდისა,
მთელი იმისი გვარია;
ია ულრანს ტყეს მოსული,
თალხ — კაბა, ენა მტკბარია,
კლდის თავს გაშლილი პირიმზე, —
მთის სასახელო ქალია,
მარგალიტივით მდელოზე
ბრეყვიალა დილის ცვარია.
ზამთრის ზვავების ქეხილი,
ზაფხულის წვიმის ღვარია,
იქ ჯოჯოხეთი, სამოთხის
თუ დამიკეტეს კარია,
ხარს ვგევარ ნაიალაღარს,
რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ:
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,
მძინარეც ამას ვდუდუნებ".

ასე მომხიბლავად გამოსთქვამს ვაჟა თავის უდიადეს განცდას. ის კურთხევას უძღვნის ყოველივე ამქვეყნიურ სიკეთეს და პირადი გაქრობის ჟამიც კი უალრეს კანონიერ და ბუნებრივ მოვლენად მიაჩნია:

„„მფარავდეს შენი მარჯვენა,
კალთა სამოსლის შენისა,
სანამ არ მოვა დრო-ჟამი

სულ ბედის ამოქშენისა.
სული შენ, ღვთი—მიწასა,
აღარა ვგლოვობ ამასა:
თეზი — წყალს, ცასა — ვარსკელავი,
შვილი — დედას და მამასა".

დიახ, ასე უყურებს ვაჟა-ფშაველა ამქვეყნიურ ცხოვრებას და მასში მის მონაწილეობას. ის ნამდვილი მინდიაა — „გველის მჭამელი", — საზოგადოებრივი გრძნობებით, მთელი არსებით გაჟღენთილი და დაავადებული, მაგრამ, როგორც ვნახეთ, ჩვენი პოეტი პიროვნების განდგომასაც აღიარებს. არის მომენტი, როდესაც თემი და საზოგადო კოლექტივი ვაჟას უგუნურად და თვითნებად მიაჩნია: იგი სპობს ძლიერ პიროვნებას და თავისივე თავის დასაყრდნობს: როცა უნდა, თავის წესს დაიცავს, როცა უნდა, დაარღვევს, პიროვნების მოსაზრება და ინტერესი ბოლოთვის აოაფეოს წარმოადგენს და თავისი თავი უდიდეს კერპად მიაჩნია, რომელსაც ყველაფერი უნდა ეწირებოდეს.

III

როგორი უნდა იყოს ვაჟას აზრით პიროვნება?

ძლიერი, შეუდრეკელი და თავის თავთან, თავის შინაგან „მესთან" ზნეობრივად შეთანხმებული. მეორე მხრივ — გარემოსთანაც შეწყობილი. ამ აზრზეა აგებული მისი „გოგოთურ და აფშინა" და „გველის მჭამელი".

აფშინა განთქმული ყაჩაღი იყო მთიულეთში და სხვისი ძარცვით ირჩენდა თავს; ის საკუთარი ინტერესებით მცხოვრები პიროვნებაა და არავის არ დაინდობს. მას პოეტი უპირდაპირებს საქეეყნო საქმისთვის თავდადებულ გოგოთურს, რომელმაც აფშინა დაამარცხა და აიძულა ხელი აეღო ყაჩაღობაზე. აფშინამ, მართლაც უარყო ძველი გზა და თემის სამსახურში ისე შორს წავიდა, რომ ხეისბერადაც კი აირჩიეს.

მაგრამ თავისი რწმენით ის ისევ ყაჩაღია და შესტირის იმ დროს, როცა იგი თავის ნებაზე ცხოვრობდა და არავის ანგარიშს არ უწევდა:

„ამბობენ ქვითინი მოდის
ღამ-ღამ ბლოს თავით ყაცისა:
„ეჰ, მკვდარო ვაჟკაცობაო,
ცეცხლად დამარხვაე თავისა!"

გარეგნულად გამოცელილ აფშინას თავი ცოცხლად დამარხულად მიაჩნია და ამნაირად იგი უბედური არსებაა. მან ულალატა

თავის თავს, თავის ბუნებას, ვერ შესძლო ხიკვდილი თავის სანუკვარ რწმენისათვის და სამუდამოდაც გაუბედურდა.

ასეთია ვაჟა-ფშაველას აზრი პიროვნების შესახებ. ინდივიდს უნდა შეეძლოს თავისი რწმენისა და ხასიათის დაცვა, არ უნდა გატყდეს, თუნდაც მას ალუდა ქეთელაურის ბედი მოელოდეს.

ამავე იდეაზეა აგებული „გველის მჭამელიც", აქაც პიროვნებამ, მინდიამ, უღალატა თავის თავს, ცოლის დაკინებით დაარღვია ბუნებასთან კავშირი და ისიც გაუბედურდა. დაირღვა მისი სულის შინაგანი მთლიანობა, დაირღვა გარეშეებთან კავშირი და მინდიას დაღუპვაც აუცილებელი შეიქმნა. ის ვერ იცავს ბელებურად სამშობლოს და თავს იკლავს. ამნაირად თავისი ბუნების მოღალატე პიროვნებისათვის, ვაჟას აზრით, აუცილებელია დაღუპვა: ან ზნეობრივი — აფშინა, ანდა ფიზიკური — მინდია.

ვაჟას არსებაში ორი საწყისი იბრძვის: ძლიერი და მოწამეობრიობამდე მიღწეული საზოგადოებრივი გრძნობა და თანაც საკმაოდ ძლიერი ინდივიდუალიზმი. ის არ არის ანტისაზოგადოებრივი გრძნობით გაჟღენთილი არსება, რომელიც თანამედროვე ევროპის ნერვიულმა ქალაქმა წარმოშვა. არა, ვაჟა უძრაული სალი კლდეების შვილია და მისი ნერვებიც რკინისებურია, მერყეობა მან არ იცის, სამაგე დროს მისი აზრი მარტო მთიულეთზე არ არის მიჯაჭვული, ის სხვა ერების ცხოვრებასაც უკვირდება, თავის ეპოქის იდეებსაც იცნობს და თავისი სამშობლოს პრიმიტიული ცხოვრების პირობებში სიქვეყნო იდეებს გეიშლის თვალწინ.

ვაჟას პოემები უდიდეს მხატვრულ ემოციებს იწვევენ და აზროვნებასაც უაღრესი ინტენსივობით ამუშავებენ. მომჯადოებელი უბრალოება, კლასიკური სურათოვნება, ადგილობრიობის სურნელება და ყოველივე ამაში ოსტატურად ჩაქსოვილი დამაფიქრებელი და აზროვნების გამაალმასებელი აზრი — აი რა ახასიათებს ვაჟას პოემებს.

საერთოდ კი ვაჟას პოეზია და მის მიერ შექმნილი ქვეყანა რაღაც მომჯადოებელი სანახაობაა, რომლისათვის გული ვერ მოგიწყვეტია. თქვენს წინ დგას მთაში ამოკვეერილი საქართველო თავისი ბუნებრიობით, ყოფა-ცხოვრებით, წყაროთა შხუილით, ნისლით მობურვილი, ვაჟაც არის უკმეხი, გაუტეხელი, რკინისებური ნებისყოფიანი, წრფელი მისწრაფებით, გარკვეული გამოხედვით. ძარღვი, ჯავარი, რწმენა... და ყოველივე ეს მომხიბლავ სამოსელში გახვეული, ანკარა პოეტური გრძნობებით ნაკურები.

ჩვენი მგოსანი, ერთი მხრივ, უაღრესად ეროვნული მოვლენაა, მეორე მხრივ, კი მისი გმირული ხედვა მსოფლიო მნიშვნელობისაა. ვაჟას შემოქმედება ხიბლავს, ატყვევებს ყოველ ქართველს, მისი

გულის კუთვნილება ხდება. ამავე დროს იგი ეროვნული ჩარჩოებიდან გამოდის და საყოველთაო ინტერესის საგანი ხდება.

სკანდინავიის მთა-გორამ და ზღვით დასერილმა მიწა-წყალმა იბსენის გამოკვეთილი პიროვნება მისცა მსოფლიო ლიტერატურას, პიროვნება ძლიერი და უაღრესი შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე. თვით ძლიერი და შეუდრეკელი, მთელი თავისი სიცოცხლე ძალღონე-მოდუნებულ ბურჟუაზიულ ევროპაში, იგი ძლიერ და გაუტეხელ პიროვნებებს ეძებდა, რათა ამ გზით მიეგნო დაავადმყოფებული და ინდივიდუალობას მოკლებული ადამიანის განმაახლებელი ძალისათვის.

ჩვენმა ოღროჩოღრო მამაპაპურმა მთამაც მოგვცა ძლიერებით აღბეჭდილი შემოქმედი, რომელიც დაცემული სამშობლოს ფეხზე დასაყენებლად ხან რომ კოლექტივის ამოძრავებაში ხედავდა ხსნას, ხანაც ძლიერ პიროვნებას ეძიებდა. ეძიებდა იმ მხსნელ გმირს, რომელიც მსგავსად ხალხის წიაღიდან გამოსული ლუხუმისა, გლეხის ქალ ლალასა და მწყემს კვირიასა, მთელ ერს გაუძღვებოდა სიმბოლური ბახტრიონისკენ ეროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად. ამ ძიებაში მისი აზრი მრავალჯერ აშორდა მთიულეთის ორწოხებს და იალბუზის მწვერვალივით მოეკლინა მსოფლიო აზროვნებას.

საქართველოს შეუძლია ისე იამაყოს მთელი ქვეყნის წინაშე ეაჟა-ფშაველათი, როგორც იბსენით ამაყობს სკანდინავია. ამის უფლებას გვაძლევს ჩვენი მგოსნის პოეტური სიძლიერე, ადგილობრიობაზე აღმოცენებული სურნელება და ღრმა ფილოსოფიური აზრები.

ალექსანდრე ყაზბეგი

(1848—1893)

ალექსანდრე ყაზბეგმა უკვდავების სული ჩაპბერა ქართულ ეროვნულ გოდებას. მსგავსად აკაკი წერეთლისა, ამ დიდმა ნიჭმა უღრმესი გრძნობით აამეტყველა ქართველი ერის აღდგენის იდეა, ნააზრევი და ნაფიქრი გრძნობის ცეცხლად გარდაქმნა.

ყაზბეგის მთელი შემოქმედება ნამდვილი წვა და დუღილია: ყოველ სტრიქონში უწმინდესი გრძნობა ჰქუხს. ყოველი სურათი მძლავრ ემოციებს ჰბადებს. ყაზბეგის მთვარე მზეზე უფრო მცხუნვარეა, მისი წვიმა მთელს სხეულს ცხრილავს, მისი ნისლი მთელ არსებას ჰეონავს... ყაზბეგის სიყვარული სიკვდილზე ძლიერია, ამ გრძნობით გაელენთვა. საბედისწეროა: გავიწყებს თავს, არეული, სულ წინ, წინ... არაფრის წინაშე არ ჩერდები... რა არის შენთვის კლდე, ღრე, დაბრკოლება?... უარჰყოფ ყოველივე ტრადიციას, შემ-

ბოჭველ აზრს და დეკად ქცეული ზეცასაც კი ეჭიდები...

ასეთი გრძნობით არის ყოველი მისი ტიპი დაავადებული და ამავე გრძნობით აავადებს იგი მკითხველს.

ყაზბეგის სურათები ბედისწერასავით კვალდაკვალ დაგდევენ. ვინ მოაშორებს თვალებს ელისოს ტანჯულ სახეს, ელგუჯას ხატებას, ხევის ბერისა და ნუგზარის სურათს, მაყვალას, მოძღვარს, ციციას?... ყაზბეგის ჯადოსნურმა ნიჭმა ყველა ეს ტიპები განუყრელად დაუნათესავა თითოეული ჩვენთაგანის სულსა და გულს, გადააქცია ჩვენი შინაგანი არსების ღვიძლ ძალად, დაგვასნეულა მათი მისწრაფებითა და ბედით და უკურნებელი ჭრილობა შესძინა ყოველი ქართველის გულს.

სამშობლოს ბედით გულგანგმირულმა შემოქმედმა უნაზესი ლირიკული გრძნობით აამეტყველა თავისი თხზულებების უკვდავი გმირები, მომხიბლავი ხეივანი, რომელიც ერთიანად გიპყრობს და გაჯადოებს.

ქართულმა ისტორიულმა რომანტიკამ აქ ჰპოვა თავისი განვითარების უმაღლესი წერტილი, აკაკი პატრიოტული ლირიკის გვირგვინოსანია, ყაზბეგი ისტორიული რომანტიზმისა. ეს ორი მგლოვიარე ზარი გრძნეულად გუგუნებს ეროვნულ სამრეკლოზე და მთელ ხალხს აფხიზლებს.

რა იყო საქართველო წარსულში? რაზე იყო მისი ყოფა-ცხოვრება და მართვა-გამგეობა დაფუძნებული? როგორ მოსპო ყოველივე ეს თვითმპყრობელობამ? როგორ შეურაცხყვეს ერის უწმინდესი გრძნობები? — აი, რის დასასურათხატებლად გაშალა დიდმა შემოქმედმა თავისი სამხატვრო ტილო.

ყაზბეგის ტიპებისათვის სამოქმედო ასპარეზი თავისუფალ ცხოვრებას თანშეზრდილი მთიულეთია თავისი ამაყი შვილებითა და ათასფეროვანი ბუნებით, საქართველოს ეროვნულ ტრაგედიას აქ მთაში, ახადა ფარდა ყაზბეგის შემოქმედმა ხელმა.

„ელისო" წარმოადგენს ამ ტრაგედიის ერთგვარ წინათქმას. მართალია, ამ მომხიბლავი მოთხრობის გმირები ტომით ქართველები არ არიან — ჩეჩნებია, მაგრამ ეს ტანჯული ხალხი და ქართველები ბედმა ერთმანეთს გადაანასკვა და ნაპრალისაკენ დააქანა.

ქართველები, მართალია, არ ჩავარდნილან ჩეჩნების მდგომარეობაში, მაგრამ ფიზიკურად გადარჩენილნი, სულიერი გადაგვარებისა და გახრწნის საშიშროებას განიცდიდნენ. ამიტომ მათი ზნეობრივი ამაღლებისათვის ჯადოსნური ხელით ხატავს ჩვენს წარსულს, რომ ყველამ იგრძნოს, თუ რა დაუფასებელი განძი დაგვიკარგავს.

„ელისო" უნაზესი გრძნობით და დამატყვევებელი ფერადებით დაწერილი მოთხრობაა. აქ ყოველ ბგერაში გაისმის უაღრესი გულისწყრომა უხეში ,ძალის წინაშე, ხელოვნურ სურათებად არის

გადმოშლილი ყოველგვარი სამართლიანობისა, კაცთმოყვარული აზრისა და გრძნობის ფიზიკური ძალის მიერ შეუბრალებლად გასრესა. „სამართალი ხმლის წვერზეაო", — ამბობდნენ ბარბაროსები, ამასვე იმეორებს ვითომდა მოყვასთა მოსიყვარულე ქრისტიანულის დოლბანდით შებურვილი რუსული თვითმპყრობელობა.

„არა აღორძინებისათვის ძალთა, არა ნივთთვისა, არა განვრცელებისათვის საზღვართა", — ამბობდა 1801 წ. 12 სექტემბრის მანიფესტი, — „მივიღებთ ჩვენთვის ზედატვირთსა საქართველოს სამეფოსა მმართველობისას, მხოლოდ პატივი და კაცობრიობა სდებენ ჩვენზედა სამღრთოსა ვალსა, მსმენელმან ენებულთა ვედრებისა, განსადევნელად შეჭირვებათა მათთა" და სხვ.

ალექსანდრე პირველის ბიუროკრატიას ეს დოკუმენტი პირბადედ უნდოდა, სინამდვილეში კი საქართველოს სამეფოს მფარველობა სრულ მის მოსპობად გადაიქცევა, პატივი და კაცობრიული გრძნობა უმაგალითო ძალდატანებად და „ნაგაიკის" ზუზუნად მოევლინა ქვეყანას. ხოლო შეჭირვებათა განდევნის მაგიერ ახალი უბედურებანი დაგვატეხა თავს. ჩვენ ვიცით, რით უპასუხა ამ თვალთმაქცობას საქართველომ. ისიც ვიცით, რომ უძლიერესმა თვითმპყრობელობამ სისხლში ჩაახრჩო ყოველივე პროტესტი, მაგრამ „ჭრილობანი დაუეიწყარია..." და ყაზბეგის მგრძნობიარე არსებაშიც მძლავრად ამეტყველდა ეს გრძნობა. თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ სწორედ უკურნებლად განგმირულ სულს შეეძლო „ელისოს" შექმნა.

თავისებური ბედნიერებით ცხოვრობდნენ თავის ხევხუეებში ელგუჯები და მათიები, საკუთარ ბედნიერებას საკუთარი წვითა და დაგვით იშენებდნენ ისინი, მაგრამ მათ ცხოვრებაში შემოიჭრა გარეშე ძალა და მათი ცხოვრებაც სულ უკუღმა შეატრიალა. სამშობლოს დაცვის იდეა ინსტინქტურად ცოცხლობს თითოეულ მათგანში და პირადი ბედნიერების ძიების დროსაც კი თავს სდებენ მისთვის.

„მამის მკვლელში" ვკითხულობთ: „უნდა მოსულიყო სხვა ხალხი, შემოეტანა სხვა ჩვეულება, სხვა წესები, — ვინ იცის, როგორი გასაჭირია იქ მცხოვრებელთათვის,—გაბატონებულიყო სხვა გვარ-ტომის ხალხი და ჩეჩენში ჩამოვარდნილიყო უსამართლობა, ძალა, გაუპატიურება ქალთა და რძალთა... მერე სულ მუდამ სხვა კაცის ბრძანებულობის ქვეშ ყოფნა, იმის წინ ქედის დრეკა და სამსახური!.. მერე ეს სხვანი ვინ იყვნენ? — გიაურები!.. არა, ჩეჩნელები სიკვდილს ირჩევან იმათ ხელში ჩაცვევნას..."

და კიდეც იღუპებიან ეს ადამიანები, უმოწყალოდ იელიტებიან. მათი კვნესა არაევის ესმის, მათთვის სამართალი არ არსებობს, აქ მხოლოდ ძალმომრეობაა და საკითხს უხეში ძალის უპირატესობა სწყვეტს.

ამავე უხეში ძალის მძვინვარებას ვხედავთ „მოძღვარში“, „ციციაში“ და პატარა მოთხრობებში.

რა წაართვა მთას — ამ თავისუფლების ბუდეს — რუსეთიდან მოვარდნილმა ქარიშხალმა?

II

თვითმმართველობა — ხალხური სუვერენობის ძირითადი უჯრედი — თემი. ეს იყო დროთა ვითარებაში ხალხის ადათზე დამყარებული მინიატურული სახელმწიფო ფუნქციების მატარებელი ორგანიზაცია, რომელიც დარაჯად ადგა, ერთი მხრივ, ზნე-ჩვეულებას და შინაგან მთლიანობას და, მეორე მხრივ, პასუხს აძლევდა მომხდურს, თუ სტუმრად მოსულს. თემი — ეს ხალხის ზნეობრივად შემადგენელი ორგანო იყო, რომლის მოქმედების სიწმინდე, შეუმცდარობა და შეურყეველობა ძვალსა და რბილში ჰქონდა ხალხს გამჯდარი.

და აი, ეს უაღრესად ავტორიტეტიანი ორგანო ტლანქმა ძალამ უხეშად დასცა და გაანადგურა...

ახალმა ძალამ მთიულთა მთლიანობაც ლამის არის გასტეხოს და გაარღვიოს. მთიულთა შორის აღმოჩნდენ ანგარებიანი პირები გაგიები, გირგოლები...

ქვეყნის ორგულები ძველადაც ყოფილან. ამას მოწმობს რომანი „ხევისბერი გოჩა“; ძველმა საქართველომაც იცოდა ვნებისათვის ბრძოლა და პატივმოყვარეობისათვის სისხლის ღვრა; მასაც ჰყოლია სისხლის მსმელი ნუგზარ ერისთავები, მაგრამ მაშინ ერი მაინც ბედნიერი იყო, რადგან თემის ძალა და მმართველობა შეურყეველი იყო, ყოველი მთიული სარწმუნოებრივის შიშით იდრეკდა მუხლს ბჭეთა წინაშე. თავაწყვეტილი ნუგზარის გვერდით იღვწოდა ხალხისათვის თავდადებული ხევისბერი გოჩა, რომელიც ნამდვილი სიმბოლოა. დიახ, მაშინდელ მთას მაგრა ედგა ფეხი ეროვნულ ნიადაგზე და მით მისი წინსვლა და განვითარება სრულიად უზრუნველყოფილი იყო...

თემი, მისი მნიშვნელობა და ხალხის ზარი- მის შესახებ ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძემ გვამცნო თავისი მთიულის პირით („მგზავრის წერილები“), მაგრამ ალექსანდრე ყაზბეგმა შესანიშნავი ფერადებით დაგვისურათა იგი.

ყაზბეგი თავის მოთხრობებში („ხევისბერი გოჩა“, „მამის მკვლელი“, „მოძღვარი“ და სხვ.) დიდი ოსტატობით გვიხატავს თემის როგორც შინაგან, ისე გარეგნულ სახეს, გვაჩვენებს მის საქმიანობას და ამ ხალხის სუვერენობის საძირკველს — თემს. აი, რას სწერს ამის შესახებ ყაზბეგი:

„მე ვსწერდი მოთხრობებს მთის ცხოვრებიდან და ვცდილობდი დამეხატა ის წმინდა ჩვეულებანი, ადათები და წესები, რომელიც ხალხის გონიერებამ მიიღო და დაადგინა თავიანთ ერთობაში. ოდესმე ყოველად შეუძლებელია, რომ ჩვენი ცხოვრების პირობათ თავიანთი დასაწყისი ამ წარსულიდან არ მიიღონ. მე ვეცადე ამ წესებთან გამეცნო ხალხი, გამეგებინა რა გავლენა ჰქონდა ხალხზე და რამდენად შეიძლებოდა მათი ხელმძღვანელობით ურთიერთშორისი მორიგება, ცხოვრება და დამოკიდებულება. მიემართე მათ ხელის შემშლელ მიზეზებს და მათი აწმყო მდგომარეობის გამონახვა ვისურვე"[1]. მწერალს ღრმად სწამს, რომ თემის საშუალებით შეიძლება „ურთიერთშორისი მორიგება, ცხოვრება და დამოკიდებულება", რომ საქართველოს ბედი შეიცვლება და დადგება ჟამი, როდესაც წაქცეული სახელმწიფო აპარატი — თემი ისევ წელში გაიმართება.

ეგნატე ნინოშვილი

(დაბადებიდან 70 წლისთავის გამო)

ნინოშვილის მოღვაწეობა ფრიად ხანმოკლე იყო, სულ ხუთიოდე წელიწადი იშრომა მან სამწერლო ასპარეზზე; ულმობელმა სენმა სრულიად ახალგაზრდა გამოასალმა იგი წუთისოფელს. მაგრამ ამ მცირე დროის განმავლობაში იმდენის გაკეთება შესძლო, რამდენსაც ბევრი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ვერ ახერხებს.

ნინოშვილის ნიჭი მხატვრულ ლიტერატურის დარგში გაიფურჩქნა. მისმა გრძნობიერმა არსებამ ფართოდ აითვისა დროის ცხოვრების რთული სინამდვილე და მხატვრული სახეების საშუალებით ცოცხლად წარმოგვიდგინა მაშინდელი ცხოვრება, მისი განვითარების პერსპექტივები. ნინოშვილის მოღვაწეობის ხანა — გასული საუკუნის 90-იანი წლები — დიდი შეხლა-შემოხლისა და აზრთა ჭიდილის ხანაა, დიდი მოძრაობა ხდებოდა ცხოვრების სიღრმეში, აზროვნების სფეროშიც. რაგვარი იყო მაშინდელ „ნივთთა მიმდინარეობა" და რანაირ „აზრთა მიმდინარეობას" ქმნიდა ეს გარემოება? საკითხის განსამარტავად თვითონ ნინოშვილი დავიხმაროთ. მისი მოთხრობა „პალიასტომის ტბა" ასე იწყება: „გურიის დასავლეთის მხრის სოფლებისათვის ქ. ფოთს დიდი მნიშვნელობა აქვს: რაც რამ გასაყიდი აქვს ამ სოფლებს, ფოთში ჰყიდის, საყიდელია და — კიდევ იქ ყიდულობს. როცა ამ სოფლების გლეხს გადასახადისთვის მიადგებიან კარზე და ფული კი არა აქვს, მაშინ ფო-

[1] 1924 წლის ეურ. „კავკასიონი", № 1—2, განყოფ. V, გვ. 16.

თია მისი თავდები: „მაცა, ფოთს ჩევირბენ, ამოვიტან და მოგცემო“, — ეუბნება გლეხი „ზბორჩიკს“ ან ნაცვალს, დილიდამ საღამომდე მიდიან და მიდიან ფოთის გზაზე ქათმებით, ინდაურებით, იხვებით, ბატებით, ღომით, სიმინდით და, ვინ იცის, რით არა, დატვირთული გურულები. ხე-ტყე ხომ აუარებელი ჩააქვთ გურიიდან ფოთს...“

მოცემული სურათი უჩვეულო მოვლენა იყო ბატონყმობის დროინდელ საქართველოში: ბატონყმური მეურნეობის პროდუქტი ქალაქის ბაზრისკენ როდი მიდიოდა, თათქარიძეთა სტომაქი ადგილობრივ ინელებდა ყველაფერს. ასეთი მოძრაობაც უცხობი მოვლენა იყო იმ „ნეტარად მოსაგონ“ დროში: კარჩაკეტილ მეურნეობას მოძრაობა არ ეგუებოდა. ნინოშვილმა ნიჭიერად დაგვისურათა ქალაქისაკენ მიმართული მასობრივი ამოძრავება.

კაპიტალისტური ურთიერთობის დასაწყისი გასული საუკუნის პირველი ათეული წლებიდანვე შეგვიძლია ვიანგარიშოთ, მაგრამ ვორონცოვების ხელით გადმონერგილი მოვლენა ზეზეული იყო, უცხოეთიდან შემოჭრილ სტუმარს გამვლელის ნასიათი ჰქონდა, სხვაგან დამზადებული საქონელი შემოჰქონდა, ან და ნედლი მასალა გაჰქონდა; ნინოშვილის დროს კი, 90-იან წლებში, ეს მასობრივ მოვლენად გადაიქცა და უკვე აქამდე შორიდან მაყურებელი ხალხი ჩაება მისი განვითარების პროცესში.

აი, ამ უკანასკნელი მომენტის დასურათებასა და თვალსაჩინო მოცემაშია ნინოშვილის ორიგინალობა.

გ. ერისთავი, ზ. ანტონოვი, ლ. არდაზიანი, ვ. წერეთელი, დ. ჭონქაძე ნინოშვილზე ადრე გვისურათებდნენ ჩვენი ქვეყნის ჩარჩავჭრებს, მაგრამ მათი შემოქმედება ინდივიდუალურ სახეებს იძლეოდა: კარაპეტებს, მეჯღანუაშვილებს, ფულავებს... ეგნატე ნინოშვილმა კი მთლიანად ამოძრავებული სოფლის სურათი მოგვცა, ვიმეორებ, ეს ასხვავებს მას სხვა ქართველი მწერლებისაგან. მაგრამ ეს გამოსავალი წერტილიდან საერთო სურათია. ენახოთ, რანაირი ტიპები აგვისახა მან ამ ფონზე.

მოთხრობა „სიმონაში“ ვკითხულობთ: „ქალაქის მეზობლად ესახლა ერთი, მთელს სოფელში დიდად გავლენიანი და მდიდარი, მძლავრი კაცი, დავით დროიძე. დავითი მაღალი, რიხიანი შეხედულების კაცი იყო, კარგი მოლაპარაკე, ენა მეტყველი, თანაც ხუმარა. შთამომავლობით დროიძე გლეხი იყო, ერთი აზნაურის ნაკაცარი... ნიგვზის ხეებით მოვაჭრე ბერძენთან იდგა, ჯერ მოჯამაგირედ და მერე „პრიკაშჩიკად“. შემდეგ... დავითმა თვითონ დაიწყო ნიგვზის ხის ყიდვა-გაყიდვა. ამბობდნენ... ბერძნის ფულები დავითს შერჩა და იმით გამდიდრდაო... დავითს თავის საქმე კარგად მიჰყავდა... დავითმა დაანება

თავი ხის ვაჭრობას და სიმინდის ვაჭრობას მიჰყო ხელი. ამ ვაჭრობამაც კარგა ბლომად შესძინა ფული... დავით მობრუნდა სოფელში, შეისყიდა თავის მებატონისაგან „ნადელის“ მიწები, გაიკეთა კარგი ოდა... თუ რამ „საფოდრათო“ საქმე გამოჩნდებოდა, ხელიდან არ გაუშვებდა... ფულებს მეზობლობაში ასესხებდა, ცხოვრობდა... „პროცენტებით“... დავითის ოჯახს „აზნაურის ოჯახს“ ეძახოდნენ... მიწა-ადგილებს თანდათან იძენდა, ბოლო დროს კარგი მამულის პატრონი თავადისათვის შეეძლო ხელის გაწვდენა... დავით დროიძე თავის სოფელში პატარა მეფე იყო“.

ერთ დროს ყმა და „ნაკაცარი“, დღეს სოფლის მეფედ გადაქცეულა. რა მოხდა, რა ამბები დატრიალდა ჩვენს სინამდვილეში? სად გაქრა სოფლის ძველი მეფე, ვინ დაამკვიდრა მის ადგილას დავით დროიძე? ეს ხომ რევოლუციაა! როდის მოხდა იგი?

ეს გადატრიალება განსაკუთრებით გაძლიერდა ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ: ნატურალური მეურნეობის ნაყოფმა თავის ეკვივალენტი ფულში ჰპოვა, მისი ფულად ქცევა, ახალ მოვლენათა გამო, აუცილებელი შეიქნა და ცხოვრების სათავეშიც ის მოექცა, ვინც შემთხვევით, თუ სისტემატური შრომის გამო, ამ ლითონის ხელში დაჭერა სხვებზე ადრე მოასწრო. ერთი ასეთი ბედნიერი, ნინოშვილის აზრით, დავით დროიძე შეიქნა; ეს პატიეცემული გვამი ახალმა ტალღამ ნელ-ნელა ამოატივტივა სინამდვილის ზედაპირზე და ცხოვრების ბატონად აქცია. დღეს იგი თავადებს უტოლდება და მთავრობასაც თავის ნებაზე ამოქმედებს: ისე ატრიალებს მთელ სოფელს, როგორც მას მოეპრიანება, ძველი ბატონები ჩამოაყენა.

მარტო დავით დროიძე არაა ახალი დროის სანატრელი არსება, მის გარდა სხვებმაც მოიგდეს ხელში ფულის ქისები — ახალი სიმდიდრის საწყაული. „უცნაურ სენში“ ვკითხულობთ: „კოტე მამალაძე აგერ ათი წელი იყო, რაც ერთ მახლობელ ქალაქში, ვიღაც ერთ დიდ ვაჭართან იდგა „პრიკაშჩიკათ“ და შედარებით კაი ჯამაგირსაც იღებდა. კოტე გლეხკაცის შვილი იყო, სოფლის ერთკლასიან სასწავლებელში ნასწავლი. „პრიკაშჩიკობის“ დროს რუსული ლაპარაკი და სავაჭრო ანგარიში ისწავლა... „შვილი ვარ და სტავლული ვარო, კოტემამალაძემ უნდა თქვას“, ამბობდნენ ტევრეთელები... მოგეხსენებათ, თუ რა დიდ ბედნიერებად ჩათვლის სოფელი გლეხი სტუმრობას ისეთის მდიდრის, „სწავლულის“ და „შკვიანის“ ნათესავისას, როგორათაც სთელიდნენ ტევრეთში კოტე მამალაძეს. ერთის სიტყვით, ეს კოტე მამალაძეც სახარბიელო ტიპია სოფლის თვალში, ფულიანი კაცია, განათლებული. ძველი ანდაზა „აზნაურის სტუმრობაო“ ასე უნდა შეიცვალოს: „მამალაძის სტუმრობაო, არ გეგონოს ხუმრობაო“.

ქალაქების მალაზიები ავსილია ფაბრიკა-ქარხნებში დამზადებუ-

ლი საქონლით: ათასნაირი ქსოვილით, ჭურჭლეულით, ფუფუნების საგნებით. მთავრობის მოხელეებმა, როგორც ინტელიგენციის ერთმა ფენამ, კარგად იციან ეს გარემოება და მოსე მწერლის სახით მუდამ სწამს, რომ ხალხს ფულები ასწავანონ და მით თავისი მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილონ. უზრუნველ ცხოვრებას შეჩვეულ თავადაზნაურობას და საძღვდელოებასაც ძალიან მოსწონთ ქალაქებში დამზადებული საქონელი და ისინიც ფულებს ატყაკებენ გლეხებს... ერთის სიტყვით, თანდათან ბატონდება ფულის მეურნეობა და მისი წარმომადგენლები: დროიძეები და მამალაძეები.

ეს პროცესი წითელი ზოლივითაა გატარებული ნინოშვილის მოთხრობებში. „მოსე მწერალში" ვკითხულობთ: „ერთმა მედუქნემ, რომელიც სიმინდითაც ვაჭრობდა, მისცა სოფონას ხარებსა და ურემში ექვსი თუმანი". გოგია უიშვილი ნაცვალს ეუბნება: „— ქენი კაცობა, ამ კალანდის გასტუმრება მაცალე, მერე სადმე წავალ და გადეიხდი".

კაცია მუნჯაძე „განკარგულებაში" ამბობს: — საწშაბათს გამთენიეს მე და დათიამ გასაყიდი სიმინდი უნდა წავიღოთ ურმითო.

ფული და მისი შეძენის სურვილი, ქალაქი და მისკენ მისწრაფება, დროიძეები და მამალაძენი, — აი ის ძირითადი თემა, რომლის გარშემო შლის თავის სამხატვრო ტილოს ეგნატე ნინოშვილი. რისთვის დასჭირდა ნიჭიერ ბელეტრისტს ასეთ საკითხებზე ყურადღების გამახვილება?

იმიტომ, რომ ეს თემა ნინოშვილის დროს საბრძოლველი თემა იყო და აქტუალურად იდგა მაშინდელი ქართველი ინტელიგენციის წინაშე. იმდროინდელი ჩვენი ინტელიგენციის დიდი ნაწილი თავადაზნაურული წოდებიდან იყო გამოსული, კლასობრივი მომენტი იმდენად ძლიერი იყო მის არსებაში, რომ მთელი მისი ყურადღება თავიანთი წოდების ყოფა-ცხოვრების მოსაწესრიგებლად იყო მიმართული. თითქმის ყოველგვარ საკითხს ამ წოდების ინტერესების მიხედვით სწყვეტდნენ. რა უშველის თავადაზნაურობას,რა დაიხსნის მას გლეტაკებისაგან და სხვა, — აი ის თემები, რომელთა სხვადასხვაგვარ დამუშავებას ჰპოვებთ მაშინდელ პრესაში. საქალაქო მეურნეობის გაძლიერება სოფლის მეურნეობას უთხრიდა ძირს, სოფლად კი გაბატონებული ეკონომიური ძალა თავადაზნაურობა იყო, ამიტომ ინტელიგენციის ეს ნაწილი სოფლის მეურნეობის ქებადიდებაში იყო და აქეთკენ მოუწოდებდა ყველას. ილია ჭავჭავაძემ აი როგორი თეორია წამოაყენა: „ქვეყანა ეისია? ყოველივე ჩემიაო, — ამბობს ოქრო, ყოველივე ჩემიაო, — იძახის ხმალი... ამ ორს პატიოსან შეტოქეს დავიწყებიათ, რომ ქვეყანაზედ მაგათ გარდა არის ერთი კიდევ რაღაცა, რომელსაც თუ არ პირველი, უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს ქვეყნის განაწილებაში... ის ერთი რაღა-

ცა გუთანია... ქვეყანა იმისია, ვისაც ერთ ხელში ხმალი უჭირავს და მეორეში გუთანი... ჩვენ (ქართველებს) რომ დღეს მიწა გვაქვს, ადგილზე რომ ფეხმოკიდებული ვართ, სხვებსავით არსად ვიქსაქსებით, არ გადავცვივდით აქეთ-იქით, ჩვენ რომ ამდენს დაუძინებელს მტერს გავუძელით, ჩვენი ერი რომ დედამიწას შერჩა და დედამიწა კრსა, — ეგ იმიტომ, რომ ერთს ხელში ხმალი გვეჭირა და მეორეში გუთანი დასაბამიდანვე დღემდე, ესეც ვიქნებით შემდეგშიაც, თუ ეგ ორი უძლეველი ძალ-ღონე ერის სიმკვიდრისა ხელთ გვექნება".

ილია ჭავჭავაძესა და მის ჯგუფს ასეთი აზრები ჰქონდა, სინამდვილე კი ასე ვითარდებოდა: გურიის გლეხობა სოფლებიდან ქალაქებისაკენ გარბოდა ფულის საშოვნელად. ილიას მიერ პუბლიცისტიკაში გამოთქმულ აზრებს ნინოშვილი თავის მოთხრობებში ამძაფრებდა, რევოლუციურ იერს აძლევდა. იგი მებრძოლი მწერალი იყო და ამის გამო ეგნატე ნინოშვილის სახელი „მესამე დასის" ინტელიგენციისათვის ბრძოლის ემბლემად გადაიქცა.

ეგნატე ნინოშვილი არ ყოფილა ცალმხრივი და ვიწრო თვალთახედვის მწერალი, მისი ნიჭი ჩვენი ცხოვრების მრავალ კუნჭულს მიწვდა. „სიმონაში" ვკითხულობთ: „დავით დროიძემ ორი უმცროსი შვილი სკოლაში გაზარდა; ერთი მათგანი პოლიციაში იყო სეკრეტრათ. მეორე... იუნკერის სკოლაში ყავდა და იმედი ჰქონდა, რომ მალე აფიცრობას მიიღებდა".

ეჭვი არაა, რომ ეს ყმაწვილები თავიანთი კლასის იდეოლოგები იქნებიან და სხვადასხვაა თეორიებს შექმნიან თავისი მამის მოვლინების კანონიერების შესახებ და მის ეკონომიკურ ბაზას მარადიულობადაც კი გამოაცხადებენ.ამის უტყუარი ნიშნები მოთხრობაშიც არის, ტიტიკო ასე მეტყველებს: — „სიმდიდრე და ძალა იმითია კარგი, რომ ყველა შენს წადილებს აისრულებ, თუ ჩემი წადილები არ ამისრულდება... მაშინ რა ჯანდაბათ ვაქნევ სიმდიდრეს... ბურთი და მოედანი იმას რჩება, ვინც ძლიერია. სიმძლავრე ანუ ძალა ახლანდელ დროში ფულია. ეს ფული თქვენ საკმაოდ გაქვთ. აიღეთ და მოიხმარეთ, რას გეშინიათ!"

აი, ბურჟუაზიული ცხოვრების იდეოლოგიის ერთი ელემენტი, — მოითმინეთ ცოტა და დროიძის მეორე ვაჟიც — აი, ისა, პოლიციაში რომ ბრძანდება — მოსე მწერლად გადაიქცევა და თავისი წრის საუკეთესო იდეოლოგი იქნება. ესკიზში „სხვამ რაც უნდა სთქვას" ნინოშვილმა ერთი ჯურის ინტელიგენტი ასე მოხაზა: — „აი, ჩვენი გაბრიელას სტეფანე რომ არის, კაცი იმისთანა უნდა: სწავლაშიაც წყნარი და მშვიდი იყო და ცხოვრებაშიც ეგეთია. რაღაც რამდენიმე წელიწადია, რაც მღვდლათ ეკურთხა. მაგრამ მაინც კი ისე გახადა ი ღატაკი მამის დატოვებული ოჯახი, რომ მეფის სა-

სახლე გეგონება, წვიმაში რომ ბდინარეს წყალი ემატებოდეს, ისე ემატება მის ოჯახს ქონება... სტეფანე ფეხსაც კი არ გადადგამს საწყალი კაცის გულისათვის, მდიდარიაო, მე რაში მარგია მისი სიმდიდრე?".

ეს სულიერი მამაც, უეჭველია, ახალი ვითარების დამცველი და მადიდებელი იქნება, სახარებაც ხელს შეუწყობს „ამ წმინდა საქმეში" და ბურჟუაზიის მეცნიერებიც.

დროიძეები და მათი იდეური დამცველები, — ასეთია ახალი ვითარების ერთი სახე, მაგრამ მას აქვს მეორე სახეც, სახე აუცილებელი და მის საშოდან ბუნებრივად გამომდინარე: ესაა, ერთი მხრივ, ბურჟუაზიის ექსპლოატაციის საგანი — ღარიბი გლეხობა, რომელიც გაპროლეტარების გზაზე შემდგარა და, მეორე მხრივ, ქალაქებში თავმოყრილი მუშათა კლასი. ამ ელემენტების გარეშე ბურჟუაზიული წარმოება ვერ იარსებებს, ბურჟუაზიის სიმდიდრის წყარო — ზედმეტი ღირებულება — ამათი ოფლიდან შედგება.

ნინოშვილმა ამ მომავლის კლასის ზოგადი კონტურებიც მოგვცა; ყველა ეს სოფონეები, კაცია მუნჯაძეები და ივანეები დღეს თუ არა, ხვალ ქალაქში მუდმივ სამუშაოზე დარჩებიან — აკი მამალაძე ასე მოიქცა, თუმც სხვა ხაზით — და ქალაქის პროლეტარიატის რიგებს შეავსებენ. მათი ინტერესების იდეური დამცველების მამამთავრებიც აშკარად ჩანან ნინოშვილის მოთხრობებში — ესენი არიან „ჩვენი ქვეყნის რაინდების" მთავარი მოქმედი პირი — სპირიდონ მცირიშვილი და „სხვამ რაც უნდა თქვასში" გამოყვანილი პეტრე მღვდლის შვილი, რომელიც „უმაღლესი სასწავლებლის უკანასკნელ კურსზე იყო და მაისში თუ ივლისში უნდა დაბრუნებულიყო რუსეთიდან მამასთან სწავლადამთავრებული", მაგრამ მეფის მთავრობამ ციმბირისაკენ უკრა თაი. ქვემომოყვანილი სიტყვებიდან აშკარად ჩანს, თუ რა იქნებოდა ამის მიზეზი: — „სემინარიაში ყოფნის დროსაც ეტყობოდა იმას, რაც შვილი იყო: დიდი კაცი, უფროსი, წირვა-ლოცვა ფეხებზე ეკიდა: მის წინ რომ გუბერნატორს გაეელო ქუდს არ მოუხდიდა... ჩვენმა ბლაღოჩინმა ერთი უფროსი დაპატიჟა სადილად, სულ ამ მაზრის დიდკაცობა იქ იყო... იქაც არ მივიდა — რა მინდა, მე იქ რა ხელი მაქვსო... სემინარიიდან რომ შინ მოვიდოდა, შეკრებავდა სოფლის ბავშვებს და უფასოთ წერა-კითხვას ვასწავლიდიო, ამბობდა... ეყარა ერთი ურემი წიგნები წინ და ჰქონდა დღე და ღამე შიგ ცხვირი ჩაფლული... რა ეწერა ნეტა იმ წიგნებში? ბევრი რამ: ყველაფერი ახლანდელი ყოფა უნდა გამოიცვალოსო".

აი, ვინ იყო პეტრე მღვდლის შვილი, რომელიც სპ. მცირიშვილის ღვიძლ ძმად უნდა დავსახოთ. აკი სპირიდონიც მშრომელი

ხალხის ინტერესებისათვის იღვწოდა და მთელ თავის ძალღონეს ამ საქმეს სწირავდა.

ფულად გადასაქცევად ამოძრავებულ სოფლის მეურნეობის პროდუქტებსა და ფიზიკური ძალის გასაყიდად მიმართულ გაპროლეტარებულ ელემენტებს გარდა, ქრისტინეებიც მიდიან ქალაქისკენ სხეულით სავაჭროდ: იმავე ქალაქებიდან ავი სენიც შემოდის სოფლად; ყველაფერი ეს მშვენივრად იცოდა ნინოშვილმა და მხატვრულ სახეებში ასახა კიდეც.

რა მოუვიდა ამ საერთო ორომტრიალში ძველი ცხოვრების მესმესვეურებს — თავადაზნაურობას? წარძოების გარეშე ყოფნამ და საუკუნეობრივმა მუქთახორობამ ერთი მისი ნაწილი პარაზიტად აქცია. შრომა მას არც შეუძლია და არც უნდა, თანაც ანტისაზოგადოებრივი თვისებების მატარებელია, ხმლის ტრიალიც უყვარს და მუშტებზედაც იხედება. ეს მიდრეკილებაც წარსულმა უანდერძა მას. თავადაზნაურობის ამ ფენების წარმომადგენელი ტარიელ მკლავაძეა, რომელსაც არავითარი ღირებულების შექმნა არ შეუძლია და ქვეყნის ზედმეტ ბარგად ქცეულა.

თავადთა მეორე ნაწილი კი ფილოსოფიურის სიდინჯით გაჰყურებს მის გარშემო ამოძრავებულ ცხოვრებას და თავად მანუჩარ არწივაძის ბაგეებით („სოფლის გმირები") ასეთ ლექსს ღიღინებს:

„დროსა შევესწარ ისეთსა,
გულს ცეცხლი გამოეარესდა,
ალმასით სჭედენ ვირებსა,
აკრავენ ოქროს ნალებსა,
ბედაურ ცხენებს კურტან ქვეშ
სცვეთენ, ვინ შეიბრალებსა!"

ნინოშვილის სიტყვით, „თავადი მანუჩარი" ასე ხსნის ამ შაირის შინაარსს: ვირები გლეხკაცობაა, ალმასი — თავისუფლებაა. ბედაურები — თავადაზნაურობა" და სხვ.

საერთოდ კი ეს წოდება თავზარდაცემულია და არ იცის, რით დააღწიოს თავი მოულოდნელად მოვარდნილ ნიაღვარს; იგი გაოგნებული დგას და ვერ გარკვეულა შექმნილ ვითარებაში.

ამნაირად, ნინოშვილმა თავისი ცხოველი და ანალიტიკური ნიჭის წყალობით აშკარად დაუმტკიცა ძველ თაობას, რომ 90-იანი წლების ქართველი ხალხის ცხოვრება უკვე ის არ იყო, რასაც იგი 20-30 წლის წინათ წარმოადგენდა, მოხდა საზოგადოებრივ ძალთა ახალი დაჯგუფება და ძველ ეკონომიკურ ვითარებას ძირ-ფესვი გამოაცალა. ამიტომაც უკვე შეუძლებელია მამაპაპური თეორიებით ფონს გასვლა და საჭიროა დროის შესაფერი სააზროვნო გზების გამონახვა. თავის პუბლიცისტურ სტატიაში: „ძველი დავა ახალ ქერქში" ნინოშვილი წერს: „ახალგაზრდობა კრიტიკის თვალით უყუ-

რებს მამა-პაპათაგან შექმნილ ზნე-ჩვეულებას, თეორიებს, ერთი სიტყვით, ყოველივეს, რასაც კი ადამიანის ცხოვრებაში ასე თუ ისე მნიშვნელობა აქვს. რაც მისი შეხედულებით ცხოვრების წარმატებისათვის მეტი ბარგი, უხერხული და დამაბრკოლებელია, უარსყოფს, აგდებს. მის მაგიერ შემოაქვს ცხოვრებაში ახალი ელემენტები". ახალი თაობის პირველი წარმომადგენელი, რომელმც ასე გადააფასა ძველები, თვითონ ეგნატე ნინოშვილი იყო, ახალი ელემენტების ერთი შემომტანთაგანიც ის იყო. ის შეხედულება, რომელსაც ბურჟუაზიის მიღების შესახებ ჯერ კიდევ 70-იან წლებიდან ადგა გ. წერეთელი, შესანიშნავად დაასურათა ნინოშვილმა თავისი მხატვრული შემოქმედების საშუალებით.

მაგრამ ნინოშვილი სრულებითაც არ ყოფილა ბურჟუაზიის იდეოლოგი. „კაპიტალიზმი და მრეწველობა, — წერდა იგი, — ისეთი მდინარეა, რომ თუნდაც კიდეც მოინდომოთ მისი შეფერხება, ვერ შეაყენებთ და, უნდა მოგახსენოთ, არც სასურველია მისი შეყენება არა თუ საქართველოსთვის, არც ერთი ქვეყნისათვის"... მეორე ადგილას ამბობს; „იმას არც ჩვენი ნებართვა ეპირვება და არც ჩვენი ქება-დიდება. მოდის ჩვენთან დაუკითხავად" და თანვე დასძენს: „ინტელიგენციის და მწერლობის მოვალეობა ამ შემთხვევაში ის არის, ისე მოუმზადოს ნიადაგი სიმდიდრეს, რომ მუშას თავისი ნაშრომი რჩებოდეს, ქუჩაში ადამიანი შიმშილით არ კვდებოდეს და მდიდრის ძაღლს ამ დროს დღეში თუმანი არ ჰქონდეს. ამიტომ გვჭირია მივმართოთ იმავე ევროპას, საიდანაც მრეწველობა მოდის და გავიცნოთ — რანაირ სოციალურ-ეკონომიკურსა და პოლიტიკურ ცვლილებებს თვლიან იქ საჭიროთ „უმცროსნის" ყოფამდგომარეობის გაუმჯობესებისათვის".

ამ უკანასკნელ სიტყვებში მოცემულია მუშათა კლასის შეკავშირების და საკუთარი კლასიური ინტერესებისათვის დარაზმვის აუცილებლობა; ეს ცოტაა, ნინოშვილი რომ ამაზე შეჩერებულიყო, ეკონომიზმის ,ჭაობში ჩაეფლობოდა; მან იცის, რომ „ყველაფერი ახლანდელი ,ყოფა უნდა გამოიცვალოს („სხვამ რაც უნდა თქვას"), ესე იგი ბურჟუაზიული ეითარება უნდა მოისპოს და სოციალიზმი დამყარდეს. სოციალიზმის იდეა გზის მანათობელი ვარსკვლავია ეგნატე ნინოშვილისათვის. ბურჟუაზიული ურთიერთობა მან მხოლოდ ამ იდეის გასამარჯვებლად მიიღო, ვინაიდან ამ ეკონომიკურ ნიადაგზე ხდება პროლეტარიატის დარაზმვა და სოციალიზმისათვის აუცილებელი საწარმოო ძალთა განვითარება.

აი, ამისათვის არის ნინოშვილის სახელი უკვდავი და დაუვიწყარი. ადრე მის მიერ გაკაფული საზროვნო გზა დღეს ხორცშესხმის პროცესშია და ჩვენც ქედს ვიხრით უდროოდ დაღუპული ხელოვანისა და მოაზროვნის ხსოვნის წინაშე.

ირაოდიონ ევდოშვილი

(1878—1910)

ირაოდიონ ევდოშვილის სახელი და ლიტერატურული მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსეთის პირველი რევოლუციის წინა ხანასთან და თვით ამ დიად ისტორიულ მოვლენასთანაც. მგოსანი ახალგაზრდობიდანვე ჩადგა რევოლუციური ინტელიგენციის რიგებში და აღფრთოვანებით ეგებებოდა ჩვენი დემოკრატიის ამოძრავებას და გათვითცნობიერების გზაზე გამოსვლას.

პირველი რევოლუციის განთიადზე ჩვენი მგოსნის მრავალი ლექსი პირდაპირ სახალხოდ იყო გადაქცეული. მუშები, მოსწავლე ახალგაზრდობა, რევოლუციური ინტელიგენცია, — ყველა აღტაცებით იმეორებდა ევდოშვილის პროტესტით სავსე ლექსებს. თეატრებში, სკოლებში, ოჯახებში, ქუჩაში — ყოველგან შეგეძლოთ გაგეგონათ:

„მეგობრებო, წინ... წინ გასწით,
ნუ შედრკება თქვენი გული,
დე, მკერდს სისხლის დალი აჩნდეს
და შუბლს ოფლის ნაკადული!
წინ, წინ, მედგრად შევებრძოლოთ
ჩარხუკუღმართ ამ ჩვენს დროსა,
და ჩვენს რაზმს წინ წაუმძღვაროთ
სიმართლის და ძმობის დროშა“.

იმ დროს, როდესაც საზოგადოებრივი ატმოსფერო ბრძოლის ჟინით იყო გაჟღენთილი, ყოველი რადიკალური სიტყვა აღფრთოვანებას იწვევდა და ევდოშვილის ლექსებიც თოფისწამალივით ინთებოდა.

ჩვენი მგოსნის შემოქმედება შეგვიძლია გავყოთ ორ ნაწილად: ლირიკად და სოციალური სინამდვილის ამსახველად. ევდოშვილი უმთავრესად პროლეტარულად განწყობილი ლირიკოსია. იგი თვალს ადევნებს ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობას, ცდილობს შეიგნოს მისი შინაარსი, აშკარად დგება ჩაგრულთა მხარეზე და გულისწყრომით აღსავსე ლექსებს უძღვნის მშრომელი ხალხის მტერსა და ორგულს. უსამართლობით გულდასერილ პოეტს გაზაფხულის მშვენიერებაც კი არ უნდა მიიღოს.

„ალაჟ გაზაფხული, ალაჟ ია-ვარდი,
ალაჟ ბულბულთ სტვენა დაგვიტკბობს სმენას,
ალაჟ სიხარული, ცეკვა, ნავარდი
და ალაჟ ბუნება ეძღვნა ღხენას.
მაგრამ ვით ვეკრეტდე ვარდსა და იას,
ვით შევსტრფიალო მზიანსა დღესა,

ეით გამახაროს უტყვთა მეჯლისმა,
ოდეს გულს ჰგმირავს მეტყველთა კენესა“.

მებრძოლ პოეტს არასოდეს არ ავიწყდება „მეტყველთა კენესა“ და ჩაგრულთ ბედი. კეთილშობილურ პროტესტთან ერთად იგი უდიდესი სევდით არის დაავადებული.

„ნუ, ნუ იწვევ სულს აყვავებულ სამშობლო მხარეს,
სადაც ადგილი არ აქვს ურვას, არც სიმწუხარეს,
აბა რად მინდა ოცნებითა ერთ წუთს ვტკბებოდე
და მერე ისევ ცხარე ცრემლად დავიღვრებოდე“,—

ამბობს მოქალაქეობრივი გრძნობებით ამეტყველებული მგოსანი.

პირადი გრძნობა და საკუთარი თავი პოეტს თითქმის ერთიანად მიუვიწყებია და მხოლოდ საზოგადოებრივი გრძნობით ცხოვრობს. არ არის წამი, როდესაც ევდოშვილის არსება საზოგადო ინტერესებიდან გამოთიშულად გრძნობდეს თავს და პირად უბედურებას დასტიროდეს.

„მე არა ვსტირი ჩემს სიკაბუკეს,
არც გულის სატრფოს, არცა მყოლია,
მარტოკა გდება, მწარე ცხოვრება,
ეეპეობ ქუდ-ბედად თან დამყოლია,
მე ჩემს გარშემო მომესმის კენესა,
მაშვრალი ხალხი ტვირთ-ქვეშა გმინავს,
მათი ვაება, უსამართლობა,
ეითა ისარი, გულსა მიგმირავს“.

ამგვარი სიტყვები ერთიანად შეეფერებოდა მაშინდელი საზოგადოების სულიერ მდგომარეობას. მომწიფებული მოძრაობის სული და გული სწორედ „მაშვრალთა ხალხის ტვირთ ქვეშა გმინვა“ იყო, ამას აშკარად გრძნობდა და ხედავდა ყოველი პატიოსნად მოაზროვნე ადამიანი და ეინ იქნებოდა ისეთი, რომ „უსამართლობა, ვითა ისარი“ გულში არ ჩარჭობოდა!

ხშირად ევდოშვილის ლექსები საერთო ფრაზებითაა შეზავებული და რიტორიკულ დეკლარაციებს იძლევა, დღეს ჩვენთვის ეს აშკარაა და ნათლად ეხედავთ, რომ ნაკლებად ჩანს კონკრეტული მხატვრული სახე; მაგრამ იმ დროს, როდესაც ეს ლექსები იწერებოდა, თვითონ საზოგადოებაც ასეთსავე გაურკვეველ და ჩამოუყალიბებელ მდგომარეობას განიცდიდა. ყველა პროტესტანტობდა, ყველა იწუნებდა არსებულს, მაგრამ კონკრეტულად რაში უნდა გამოხატულიყო ახლის განხორციელება, არავინ არ იცოდა და ამიტომ ყველა საერთო ფრაზით იკმაყოფილებდა თავს. ოღონდ თვითმპყრობელობა დავამხოთ და მეორე დღესვე ისე მოვაწყობთ ჩვენს ცხოვრებას, როგორც ჩვენ გვინდაო, — ასეთი იყო მაშინდელი სუ-

ლიერი ეითარება, რომელსაც აგრე ეგუებოდა ევდოშვილის ქნარი. ევდოშვილს ღრმად სწამს, რომ მომავალი ჩაგრულებისა:

„მაგრამ მოვა დრო და სიტკბოებით
შენც გაგიღიმებს დღის განთიადი,
იგი იქნება დრო განახლების...
დროი ბრწყინვალე, დროი დიადი", —

ასე მიმართავს მგოსანი მაშერალთა სამეფოს. დიახ, მგოსანი შეურყეველი იმედით არის გაჟღენთილი, იგი გვეუბნება:

„ვიცი, რომ ბრძოლის შემდეგ
მზე გამოკრთება გზაზედა,
და თავის სხივსა უმანკოს
აათამაშებს ნამზედა".

მაგრამ იგი სრულებითაც არ არის ბავშვური ოპტიმიზმით შეპყრობილი და სინამდვილეს პირდაპირ შესცქერის თვალში:

„კიდეე იმედი... და კვლავ იმედი...
მხოლოდ იმედი — სხვა არაფერი...
ნე თუ იმედის მოლოდინშია,
უნდა დაეღლიო პირქუში დღენი,
მაგრამ ასე სჯობს! დეე, იმედმა
ბრძოლად იწვნიოს ნატკენი გული,
დეე, ცრემლებმა მორწყოს ყამირი,
მერე ადვილად გაიელის ხნული.
მე ამ იმედით აღფრთოვნებული
პირსწორედ ვუცქერ მძლავრთ უკმეხობას,
ვინც რომ სხვის ოფლით იკვებებიან,
საფრად ხმარობენ „ძმობა — ერთობას".
მე ამ იმედით აღფრთოვნებული
სიამით განვსვერეტ დიდებულ ხანას,
როს მაშერალთ გულით ამოხეთქილი
გმინვა „განთიადს" ამცნებს „ქვეყანას".

პოეტს ხშირად უიმედობაც კი იპყრობს —

„ოხ, მეგობარო, მომეცი ხელი,
დავეყრდნო ზედა ქანცმილეული.
მითხარი რამე, ნუგეში მაქვ,
თორემ ბედკრულსა მიტყდება გული".

ევდოშვილი ხანდახან სანტიმენტალობაში ვარდება და მისი სევდაც გადაჭარბებულად გეჩვენებათ, მაგრამ არის წამი, როდესაც მგოსნის სევდას შენც იზიარებ.

„ღამეა ყაეშნიანი...
თვალი ვერ ხედავს ვერასა,
ქარი კვნესს, ქარი სისინებს,
ქარი დასტირის ბნელასა...

ფიქრი... ფიქრი... და ფიქრები...
არ პშორდებიან გონებას,
გული სეედებმა წაიღეს,
სული მიეცა ღონებას".

II

ასე კენესის პოეტის ქნარი იმ დროს, როდესაც მშრომელმა საზოგადოებამ მშვენივრად იცოდა, თუ რას ნიშნავდა „კაეშნიანი ღამე", — ეს მაშინდელი რეჟიმი იყო, — და რის გარშემო ტრიალებდა მგოსნის „ფიქრი... ფიქრი... და ფიქრები". აი, ამ დროს არ შეიძლებოდა სრული თანაგრძნობა და ურთიერთგაგება არ დამყარებულიყო პოეტსა და საზოგადოების დაჩაგრულ ფენას შორის.

ეედოშვილი, როგორც ვთქვით, უმთავრესად ლირიკოსია, მაგრამ შიგადაშიგ პლასტიკურ სურათებსაც გვიხატავს. ამ სურათებში ჩანს საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც დაჩაგრულია, გაბატონებულთა უღელ ქვეშ გმინავს და რომელსაც მთელი თავისი არსებით უთანაგრძნობს მგოსანი. ჩვენ წინ იშლება ქუჩა-ქუჩა მოხეტიალე „მატანტალას" სურათი:

„დღეს როგორც გუშინ ქუჩა-ქუჩა კვლავ იარები,
ტანს ჩერები გფარავს, ფეხებს წყლული და იარები".

ასე მიმართავს პოეტი ცხოვრების „მეტ ბარგად" გადაქცეულს, რომელიც მაშინ სჭირდებოდა ამ სოფელს, „ოდეს ჭაბუკსა, სიცოცხლით სავსეს, ჯან-ღონე" ჰქონდა, „სჭიმავდა ძარღვებს", „ოფლსა ჰღვრიდა", და იგი კი სხვა კაცს მიჰქონდა". ერთ დროს მატანტალა ცხოვრებისათვის საჭირო არსება იყო და უზომოდაც ყვლეფდნენ მას. დღეს კი, „როცა გატყდა ჯანი, უსუსტა მკლავმა", უკვე არ გამოდგება საექსპლოატაციოდ და ნახმარ ჩვარივით სადღაც მიგდებულს „სადმე ქუჩაში ამოგივა ტანჯული სული", — ეუბნება პოეტი. მუშის პიროვნება თავისთავად არაფრად არ ფასობს, დაფასებულია მხოლოდ მისი „ძარღვების ჭიმვა" და, როცა მოკვდება, მის შესახებ ასე იტყვიან: „მოკვდა ჭიადა მატანტალა". ასეთნაირად ფასდება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მშრომელი და მისი სიცოცხლე.

ტანჯვასა და ვაგლახში მიმდინარეობს მუშის არსებობა დღიდან დაბადებისა. იგი ასეთის ნაღველით დამღერის:

„მე დავიბადე ძველ წნელის ქოხში,
ლერწამი იყო ჩემი აკვანი,
ზვიადამ ჩვარი ძლიესა მფარავდა,
სიცივით კრთოდა შიშველი კანი.
დედის ნანასა ქარი სისინით,

ქოხს შემოკრილი, ბანსა აძლევდა,
და ჩემი გული იმა ხმაზედა
გამოურკვეველ შიშითა კრთოდა".

ეს გამოურკვეველი შიში თან სდევს მას მთელ მის სიცოცხლეში და ბოლოს:

„შიშველს მიწაზე, დიდი ქარხნის ქვემო სარდაფში,
იწვა მუშაკი, ზედ ეხურა ჩოხის ნაგლეჯი,
თავი დაეყრდნო კონკის-ძველა ტოპრაკისათვის,
მხოლოდ ეს იყო მის სიმდიდრე, მისი ავეჯი".

თავი ანება თავის ცოლ-შვილს, ტოლ-ამხანაგებს, ვეღარ გაუძლო ცხოვრების ორომტრიალს და სადღაც ძაღლურად ჰხდება სული...

აგერ კიდევ უკუღმართი საზოგადოებრივი ცხოვრების მსხვერპლი („განკიცხული"), რომელიც ტორტმანით მოდის დუქნის წინ:

„ვინ იცის, ღამე სად ათია, რომელ სარდაფში,
ყელზე მიეგდო თავსახვევი გახუნებული
და ძველი კაბა ამოეცო ჭუჭყში და ლაფში,
სახეზე უჩანს უზნეობის შაი ლაქები".

შან დიდი ხანია დაკარგა უმანკოება, „დუხჭირ ცხოვრებამ გადულახა ყმაწვილი გული" და დღეს „სახლიდან გამოაგდო ლოთმა დედამა და ახლა ჰქვია ქუჩის გოგო და მაწანწალა". გულის მომკვლელი სურათია და პოეტიც სამართლიანად გოდებს.

აი კიდევ სიმბოლური სურათი: ბატონები ნელი ნაბიჯით, დინჯად დასეირნობენ:

„იმათ მახლობლად ფეხშიშველა ათი წლის ბიჭი
კალათით ხელში იდგა კრძალვით, ჰყიდდა იასა
და აგერ, მის წინ შედგა ერთი ცილინდროსანი".

რომელმაც ია აიღო და „პატრონს ფასად გადაუგდო ხუთ გროშიანი". ასეთია პლასტიკური სურათი, რომელიც შემდეგ აზრებს მოჰგვრის პოეტს:

„პატარა მუშავ, მომავალო ოფლისა მღვრელო!
შენც მიულოცე გაზაფხული ეით ბატონსა,
მაგრამ შენ ვიღა მოგილოცავს სხვაგვარ გაზაფხულს?
ვინ გაგაგონებს: „აიმართა სიმართლის დროშა?"

ევდოშვილს უყვარს ცხოვრების ფსკერზე მოქცეული გერების ჩვენება:

„სახენაცვმი, დაკაწრული, ჩაშავებული
იწვა ქუჩაზე პერანგისა მარტო ამარა,
მის გვერდზე ეგდო არაყისა უძირო ბოთლი,
მისი მტარეალი. მაინც იმან დაასამარა".

ასე აგვიწერს პოეტი კიდევ ერთს მაწანწალათაგანს, რომლის გვერდით

„იქავე ახლო ქალაქის ბრბო სცემდა ტაშიტუშს,
ლაზღანდარობდენ მშიერ კუპით კონკის ძველები“.

ესენიც წაქცეულის ძმები არიან და მისებრ ნაძირალებად გადაუქცევია ცხოვრება. ადამიანთა ამავე ჯგუფს ეკუთვნის გარყვნილი ბიუკელაც, რომელიც

„მიდის, მიგოგავს შიშველ ფეხებით,
ხან ილანძღება, ხან მუშტებს ჰკუმშავს,
გულს ახალუხი გაუღეღია,
კეფაზე ქუდი წამოუხურავს.
მიდის, მიგოგავს, თანაც ნელ-ნელა
უახლოვდება მეხილის დუქანს,
აცოცა ხელი და ოსტატურად,
ეითომ ეხუმრობო, ჩაუკრა ბუქნას“.

ეს არსება პატარაობიდანვე დაღუპვის გზაზე დგას და მისი ხსნა შეუძლებელია.

გარდა ცხოვრებისათვის უვარგის და მის მიერვე უსამართლოდ დაღუპულ არსებათა, ევდოშვილი წარმოებაში ჩაბმულ მუშებსაც გვიხატავს. ასეთია, მაგალითად, ასოთამწყობი, რომელიც კბილის ღრჭენით დამღერის:

„ჩვენ სულ ვაწყობთ ერთმანეთზე
პაწაწინა ლითონ-რკინას,
ზოგი აქეთ, ზოგი იქით,
ზოგიც კიდევ განაპირას.
მკვდრის სუდარას სახე გეიგავს,
თვალები კი მიმქრალ სანთელს,
ლომიც იყო, ვერ აიტან
ფეხზე დგომას, ძმაო, ამდენს“.

III

საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ ევდოშვილი გაცილებით უფრო ნაყოფიერი და ძლიერია ლირიკულ პროტესტებში, ვინემ სინამდვილის პლასტიკურად ასახვაში. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ მისი სურათები ლუმპენპროლეტარების პორტრეტებია და სამრეწველო პროლეტარიატის ცხოვრების მამოძრავებლისა და ღირებულებათა შემქმნელის ტიპს ჩვენი მგოსნის შემოქმედებაში ვერ ვხედავთ. ეს, რასაკვირველია, პოეტის ნიჭის ბრალი არ არის, ვინაიდან ამ ტიპის მუშა ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული და მისი შემოქმედებაც ნაკლებად ჩანდა ჩვენს სინამდვილეში. არა მარტო

ჩვენში, ასე იყო რუსეთშიც. მოვიგონოთ მაქსიმ გორკის — პირველი რევოლუციის ქარიშხლის მაუწყებლის შემოქმედების ობიექტები: ესენი ცხოვრების ნაძირალები არიან — მაწანწალები და ჩვენს სიმპათიას ისინი პროტესტანტული სულისკვეთებით იპყრობენ.

ეედოშვილის მუშა, მართალია, უსამართლობას გრძნობს, მაგრამ ის ჯერ კიდევ დიდად ვერ დაშორებია იოსებ დავითაშვილის მუშას, რომელიც ასე მიმართავს პოეტს:

„რასაც გვპირდებით, ჩვენცა ვგრძნობთ,
არ დაგვკარგვია იმედი,
არ დაგვიეიწყოთ, გეაღეიძეთ,
რომ არ დაგვატყდეს შაებედი.
რასაც თქვენ გვირჩევთ, იმას ვიქმთ,
ასრულდეს თქვენი ნებაო,
ჩვენც თან მიეყვებით ჩანჩალით,
ვინაც კი წაგვიძღვებაო“.

ეედოშვილის დროც სწორედ ისეთი ხანა იყო, როცა მუშები ძლივს დგებოდნენ საკუთარ ფეხებზე, მათ ჯერ კიდევ ვერ შეეგნოთ, რომ „მუშათა განთავისუფლება თვითონ მუშათა საქმეა“ და, ამიტომაც წინამძღოლ ინტელიგენტებს და მოწინავე მუშებს მიჰყვებოდნენ „ჩანჩალით“. უნდა პირდაპირ ითქვას, რომ ჩვენი მუშები არც მოტყუებულან ამაში და ეედოშვილი მუდამ სწორ და კლასობრივ გზაზე აყენებდა მათ.

„რას შესცქერ, ძმაო, ფანჯარაში მდიდრის ქულაჯას?
არა ჰგავს განა კონკად ქცეულ შენს ძველ ფარაჯას?
შენ გააკეთე, შენ შეაქმენი, ძმანო, ეგ ფარჩა,
მაგრამ რაღაცა მანქანებით შენ კი არ დაგრჩა.
ის სხვამ წაიღო, შენ გარგუნეს ეს კონკის ძველა.
ასე რად ხდება? ჰკითხე შენს თავს მაინც ერთხელა“!

ამ ლექსში მოცემული სურათი მსჯელობით სავსე მთელ ტომზე უფრო მეტ გაელენას ახდენს მკითხველზე და კლასობრივ გათვითცნობიერებასაც დიდად უწყობს ხელს.

ასეთივე მომხიბვლელი კონტრასტებია ლექსში „საღამო ქალაქში“, რომელშიც აღწერილია მშვენიერი საღამო და ამ ბედნიერების წიაღში მყოფნი. აქ პოეტი თავის საყვარელ ხერხს მიმართავს:

„ბედნიერებო, გამოდით გარედ,
მხოლოდ თქვენთვისა ანათებს მთვარე,
შენ კი, საწყალო, ბედს რომ ემდური,
ამ მეჯლისიდან გამოიპარე!
თორემ, გარწმუნებ, მწვავე იარა
გულს აგეშლება და გაგამწარებს,

ეს ტურფა ღამე თვით ოცნებაში
შაესა ნალველსა შემოგაპარებს".

ევდოშვილის პოეზიამ პირველი რევოლუციის ხანაში დიდი სამსახური გაუწია ჩვენს მებრძოლ მშრომელ ხალხს; მისი ქნარი გულწრფელად ადიდებდა თავისუფლებისათვის მებრძოლთ და გამამხნევებელი ჰანგებით ატკბობდა ყველას. სხვა ლექსებს შორის მისი „გურული ნანინა", რომელიც რეაქციის მძვინვარების დროს დაიბეჭდა, პირდაპირ სახალხო ლექსად გადაიქცა.

იავნანა, ეარდონანა,
იავნანინაო!
კარგად ვიცი, ჩემო კარგო,
ვინ შეგაშინაო!
ყაზახების მათრახებმა
ჩვენ დაგვიფრინაო!
ტყეში თოვლზე გირწეე აკვანს...
იავნანინაო!
იავნანა, ეარდონანა...
იავნანინაო!
მამაშენსა მათრახებმა
სისხლი ადინაო.
შემიკრეს და შემიბოჭეს,
იავნანინაო!
ჯაშუშს ვერსად დაემალა,
ბევრიც ირბინაო!..
სად გაგათბო, რა გიშველო,
შენ გენაცვალეო!
ჯერ ტკბილი არ გაგიცვნია,
მწარე დალიეო...
იავნანა, ეარდონანა,
იავნანინაო!
უყურე ჩემსა ცრემლებსა,
თოვლზე დაიბნაო.

ეს ლექსი სამი ამოდენა კიდეე იქნება და ევდოშვილის პოეზიის ნამდვილი მარგალიტია.

ბოლა ლომთათიძე

ეს დღემდე ნაკლებად შემჩნეული მწერალი დიდ მოვლენას წარმოადგენს განახლებულ ქართულ ლიტერატურაში. იგი შესანიშნავია, როგორც ხელოვანი, როგორც ეპოქის მამოძრავებელი იდეების მხატვრულად ამსახველი და, ბოლოს, როგორც მრავალფეროვანი და ფართო ჰორიზონტის მქონე შემოქმედი. მეცხრამეტე საუკუნის კლასიკოსი მწერლების შემდეგ მან უსათუოდ დიდი ორიგინა-

ლობა გამოიჩინა ეროვნული საკითხის ინტერნაციონალურ ნიადაგზე მხატვრულად გაშლით. მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ამ საკითხის შესახებ ჭოლა ლომთათიძეზე ნიჭიერად, მხატვრულად და ორიგინალურად არავის უწერია. ამ საუკუნეშიც ბევრი ლექსი თუ პოემა დაწერილა საქართველოს ბედის შესახებ, მაგრამ ყოველივე ეს გასული საუკუნის პატრიოტული ქნარის გამოძახილია და არაფერ ორიგინალურს არ შეიცავს, ვერსად ახალი დროის შესაფერისი თვალსაზრისით მიდგომას თქვენ ვერ ხედავთ, მხოლოდ ლომთათიძე გამოიყოფა ამ მხრივ თავისი მოთხრობით „უბის წიგნიდან“.

ამ საინტერესო მწერალს ჩვენ აქ შევეხებით იმდენად, რამდენადაც მისი შემოქმედება მასალას გვაძლევს მუშათა მოძრაობის ასასახავად და მისი იდეალების შესაცნობად.

ჭოლა ლომთათიძის შემოქმედება, რომელიც არსებითად უკვე ჩვენს მიერ განხილულ მგოსანთა და მწერალთა შემოქმედების სფეროში იშლება, რაღაც განცალკევებულ და განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ისინიც იმისთვის იბრძვის, რისთვისაც მთელი ჯგუფის მწერლები იბრძვიან, მაინც სხვებს არა ჰგავს და მისი შემოქმედება განსაკუთრებული ორიგინალობის ელფერს ატარებს. მისი სიტყვა გულწრფელი და მომხიბლავია, მისი წერის მანერა უბრალო და მომაჯადოებელია, მისი მიდგომა ორიგინალური და თავისებურია.

ჭოლა უმთავრესად ლირიკოსია. ყოველი მისი მოთხრობა პროზით დაწერილი ლექსია. რომელშიც ანკარა წყალივით ამოჩუხჩუხებს უდიდეს საკაცობრიო იდეალებისათვის თავდადება და მაშვრალთა საქმისათვის თავგანწირვის სიტყვა და საქმე. თავისი მოთხრობების მთავარი მოქმედი პირი თვითონ ავტორია, რომელმაც პირადად განიცადა ქართველ მშრომელთა უსაზღვრო აღფრთოვანების და მერე დამარცხებისა და ბრძოლის ველიდან უკუქცევის ხანა. ერთი წუთითაც კი არ დაშორებია იგი მშრომელთა ლაშქარს ამ ორ უმძაფრეს ხანაში. პირველი რევოლუციის დროს მებრძოლთა პირველ რიგებში იდგა და რეაქციის დროსაც არავისათვის დაუთმია ეს საპატიო როლი. შვიდი წლის განმავლობაში საკატორღო ციხის ბორკილებს ატარებდა და ბოლოს, 1915 წელს, ქალაქ სარატოვში მშობელი ქვეყნის სიყვარულში აღმოხდა ტანჯული სული. მე არ ვიცი მეორე ქართველი მწერალი, რომლის ბედი და პირადი სიცოცხლე აგრე ყოფილიყოს გადანასკვული მისთვის საყვარელ იდეალებსა და მისწრაფებებთან. ერთი წუთითაც კი არ მოშორებია ჭოლა თავის სათაყვანო საგანს— მშრომელების ბედზე ზრუნვას, მათი ბედნიერებითაც დამტკბარა და უბედურებითაც გატახჯულა.

მართალია, მისი პირადი ცხოვრება უმეტესად საშინელებით იყო მოცული, მაგრამ იგი იმით მაინც ბედნიერი იყო, რომ ბუნებამ გა-

მოთქმის იშვიათი ნიჭით დააჯილდოვა და მთელი თავისი სულის წვა და მისწრაფება შესანიშნავი ხელოვნებით აგვისახა, ვინ მოსთვლის, რამდენი თავდადებული ეწამა ჭოლა ლომთათიძესთან ერთად მშრომელთა ინტერესებისათვის, მაგრამ ჭოლასთან შედარებით ისინი ორჯერ უბედურები შეიქმნენ: თავიანთის სულისკვეთება ტანჯვასთან ერთად გადმოუშლელად ჩაიტანეს მიწაში. სამაგიეროდ, ჭოლა შეგვიძლია მივიჩნიოთ მათი სულისკვეთების გამომსახველად. ამ მხრივ იგი უსათუოდ ტიპიური მოვლენაა ჩვენს სინამდვილეში და მისი პირადი განცდებიც ქართველ მებრძოლთა მთელი თაობის დამახასიათებელია. ჭოლას მოთხრობებში, როგორც ვთქვით, უპირველესად თქვენ ხედავთ, მუშათა ინტერესებისათვის მებრძოლ პროლეტარ ინტელიგენტს, რომელიც შაი რეაქციის მძვინვარების დროს ციხის ჯურღმულებშია მომწყვდეული და იქიდან იწვის და იდაგება მშრომელთა უკუქცეული რაზმის დამარცხებით, მაგრამ ეს არ არის უიმედო ტანჯვა და გარემოებათა წინაშე ქედის მოხრა; ეს არ არის ძველი იდეალების უარის ყოფა და ახალი კერპის წინაშე წამოჩოქება. არა, ჭოლა ლომთათიძე გაუტეხელი მებრძოლია და მისი მშვენიერი მოთხრობების ყოველი ბგერიდან სწორედ ეს გამოსჭვივის. წაიკითხეთ მისი „თეთრი ღამე", „გრამაფონი", „საპყრობილეში", „ჩემი დღიური", „სახრჩობელას წინაშე" და თქვენ აშკარად დარწმუნდებით ამაში. ამ მოთხრობებში მოცემულია მთელი თავისი საშინელებით და თანაც უბრალოებით ციხის ეპოპეა. მისი სხვადასხვა ტიპებით, უდიდესი სიმშვიდით გადმოშლილია ამ საშინელი ადგილის ლოდად ქცეული ყოველდღიურობა, მაგრამ ვერსად, ვერც ერთ ადგილას, თქვენ აქ ვერ ნახავთ ციხის გამართლებას, მის წინაშე უძლურებას და მისი მძლეთამძლეობის გარდუვალობას. ჭოლას აზრით ყოველივე ეს წარმავალია და დროებითი, დღეს დამარცხებული მუშათა კლასი კვლავ აღდგება, კვლავ გაშლის წითელ დროშას და ამ საშინელებასაც ბოლო მოეღება.

ჭ. ლომთათიძის შემოქმედებაში ყველგან ბრძოლაა და შეურიგებლობა. შეიძლებოდა ჩვენი აზრების დასამტკიცებლად ლომთათიძის მოთხრობებიდან შესაფერი ადგილები მოგვეყვანა. ანდა მოთხრობების ანალიზი მოგვეხდინა, მაგრამ ჭოლა ისეთი ხელოვანია და მისი მოთხრობები ისეთი ოსტატობით არის შეკერილი, რომ ცალკე ადგილების ამოღებით სრულიად დაიკარგება მათი სურნელება და მკითხველიც ყალბ შთაბეჭდილებას მიიღებდა. ამიტომ ჩვენ ყველას ვურჩევთ მთლიანად წაიკითხონ ჩვენ მიერ დასახელებული მოთხრობები. ეს კითხვა მოჰგვრის მათ უდიდეს ესთეტიკურ და ინტელექტუალურ სიამოვნებას.

ჭოლა ლომთათიძე ახალი საქართველოს ხორცი ხორცთაგანია. მისი შემოქმედება მხოლოდ და მხოლოდ ახალი ცხოვრების პირო-

ბებში წარმოშობილ სახეებს და იდეებს იძლევა. იგი თანამედროვე მოწინავე აზროვნების შუაგულში დგას და აქედან ათვალიერებს მთელ ჩვენს ცხოვრებას. ჭოლას შემოქმედების ამოსავალ წერტილად ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ მისი მოთხრობა „უბის წიგნიდან", რომელშიც იგი მთელი თავისი არსებით ენათესავება ჩვენს წარსულს: „გადამაქვს თვალი სურათიდან სურათზე, მოგონებიდან მოგონებაზე, სტრიქონიდან სტრიქონზე და, მგონია, რომ ჩვენი ისტორიის დასაწყისიდან ცოცხალი ვიყავი მე, რომ ფეხდაფეხ, კვალ და კვალ, მხარ და მხარ, დავდევდი ჩვენს ბედს", — ამბობს იგი იქ და ასე დასასკვნის: „ვდგავარ მაღლობზე მე და თითქოს მივდივარ, მივიკაფავ გზას, თავს ვიცავ და იკარგება საზღვარი, იკარგება განსხვავება და მხვდება წინ სპარსი, ოსმალო, რუსი, ინგლისელი, იაპონელი და მხიარული, აღტაცებული ეაძლევ მათ ხელს და ძმურად, ამხანაგურად ვკოცნი მათ". ამ სტრიქონებიდან აშკარად ჩანს, რომ ჭოლასათვის ძველი საქართველო უკვე განვლილი საფეხურია და დღეს უკვე ახალი ჰორიზონტები ჩნდება მის წინაშე.

ამ მოთხრობით ჭოლას შემოქმედება სულ ახალ, ჩვენი ლიტერატურისათვის უცნობ არეში გაიშალა. ეს გაშლა არ ყოფილა მარტო გარეგნული სახის მატარებელი და მხოლოდ ყოფაცხოვრების ამბავი. არა; ჭოლას ნიჭი ამაზე მარტო არ შეჩერებულა, და, რაც თავი და თავია, მან ამ ახალი ცხოვრების მამოძრავებელი იდეები მოგვცა მხატვრული სახეებით. მწერალი ამავე მოთხრობაში ამბობს: მე წევრი ვარ იმ პარტიის, მუშათა პარტიის, რომელმაც მთელი ქვეყანა უნდა გარდაქმნასო. ქვეყნიერების გარდაქმნაზე მეოცნებეს საამისო ძალაც უნდა შესწევდეს. მისწრაფებაც უნდა ჰქონდეს, მაგრამ ეს მარტო როდი კმარა, უხეშ ფიზიკურ ძალას არაოდეს არ გარდაუქმნია ცხოვრება. ფიზიკურ ძალასთან ერთად ნათელი, ჭეშმარიტი იდეაა და მებრძოლი სულია საჭირო.

მწერლის აზრი მუდამ ახალი, ცხოველი და დროის შესაფერია. „ჩვენ ქუჩაში გვინდა გამოვიდეთ და დროშა ჩვენი გამოვამზეუროთ. გაეშალოთ წითელი დროშა, შემოვეხვიოთ მას და შევსძახოთ ქვეყანას — „დაგამარცხებთ, გავიმარჯვებთ", — ამბობს „პირველი მაისის" პერსონაჟი, რომელსაც სწამს, რომ ჩვენი ცხოვრების განახლება მაშვრალთა კოლექტიური მოქმედებისა და ბრძოლის შედეგი იქნება.

კოლექტივიზმის იდეა მუშათა მოძრაობის დედაბოძია. ამ იდეის ნიშნის ქვეშ ვითარდება მთელი სოციალისტური მოძრაობა, იგი არის მთელი ქვეყნიერების გარდამქნელი და განმაახლებელი. ინტერნაციონალურ გზაზე გამოსულ საქართველოს სინამდვილეშიც უნდა ამოეხეთქა ამ იდეას. ჭოლა ლომთათიძის შემოქმედება აშკარად

ამტკიცებს ამ აზრის სისწორეს. წაიკითხეთ მისი შესანიშნავი მოთხრობა „საღრჩობელას წინაშე“ და აშკარად დარწმუნდებით ამაში. ამ მოთხრობას ჩვენ ქვეეთი შეეხებით უფრო დაწვრილებით, აქ კი დავასკვნით, რომ ჭოლას შემოქმედებით მთელ ანალ ქართულ ლიტერატურას უღრმესი კალაპოტი გაუკეთდა და ჩვენი განახლებაც უტყუარი ფაქტია. ქართველმა მშრომელმა ახალი იდეები არა მარტო თავით მიიღო, არა მარტო გარეგნული ცვლილებების მოხდენაში გვიჩვენა თავის შემოქმედების მძლეთამძლეობა, არამედ გულითაც შეიგრძნო და შეითვისა ახალი ეპოქის სუნთქვა, მხატვრულად მიიღო და ამნაირად ყოველმხრივ დაეუფლა ახალი ცხოვრების სათავეებს.

ძველ დროში ერის ცხოვრებაში ძირითად ცვლილებებს ხალხთა ბადასახლებანი ახდენდა, — მრავალჯერ გაჩანაგდა ძველი საქართველო ამ მოვლენის გამო, — დღეს კი ერის ცხოვრების ძირიანად გარდაქმნას შინაური ეკონომიკური და პოლიტიკური რევოლუციები ახდენენ. საქართველოსაც ეს ბედი ეწია: მის ეკონომიკურ განახლებას პოლიტიკური განახლებაც მოჰყვა და ძველისძველი აზიური ერიც ერთიანად ეზიარა ევროპულ ცხოვრებას, ეს მოვლენა, როგორც ვნახეთ, შესანიშნავად ასახა მშრომელთა წიაღიდან გამოსულმა ახალმა ქართულმა ლიტერატურამ.

ჩვენ გავარჩიეთ მწერალთა მთელი გუნდი, რომლიდანაც პირველობის გვირგვინი უსათუოდ ჭოლა ლომთათიძეს უნდა მიეძღვნას. მისი სახე მაღლიდან გადმოჰყურებს მთელ ჩვენს ცხოვრებას და ყველასათვის აშკარაა, რომ ჩვენმა ახალმა ლიტერატურამ უსათუოდ ჭოლას მიერ აჩქეფებულ ნაკადულში უნდა მიიღოს ნათელი.

ნებას ვაძლევ ჩემს თავს, მოვიხსენიო აქ ჩემი რომანი „შოთა ბროლიძე“, რომელიც ცალკე წიგნად გამოვიდა 1911 წ.[1] ეს ნაწარმოები თავისი შინაარსით ეკუთვნის ამ განყოფილებაში განხილულ მიმართულებას და მიზნად ისახავს ახალი ტიპის — ჩვენი ცხოვრების განმაახლებელი მუშის სახის ჩვენებას. დაწერილებით ამ რომანის შესახებ ლაპარაკი უხერხულად მიმაჩნია სრულიად გასაგები მიზეზის გამო.

ერთი შენიშვნაც: მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურაში ჩვენ გვაქვს ორი ცნობილი ლექსი მუშის შესახებ: ერთი „მუშა ბოქულაძე“ — ეკუთვნის გრიგოლ ორბელიანს, მეორე „მუშა“ — ილია ჭავჭავაძეს.

ორივე ეს ლექსი მრავალმხრივ არის საყურადღებო. ილიას „მუშას“ ასეთი ეპიგრაფი აქვს: «В труде проходит жизнь его и не приносит ничего».

---

[1] ვახსენებ მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ პროგრამებშია შეტანილი. ვ. ხ.

ასეთივე აზრია ამ ლექსში გატარებული:

„მოკვდები და მსწრაფულ ჩაგეედავენ საკაცეშია,
უცრემლოდ, ძმაო, ჩაგიშვებენ სამარეშია!
ეგრეთ უბრალოდ გაფუჭდები, — და ჩვენს ხსოვნასა
არაფერი არ მოაგონებს შენს „აქ" ყოფნასა".

ილიას, როგორც ჰუმანურად განწყობილს, ებრალება მუშა, რომელიც უზომოდ იტანჯება. მუშას მაშინდელი საზოგადოების თვალში არაფერი მნიშვნელობა არ ჰქონდა და არც მისი მუშაობა ფასდებოდა ღირსეულად: ის უბრალო პირუტყვია, რომელიც ტვირთის საზიდავად გაჩენილა და უხმოდ ემორჩილება თავის ბედს. გრ. ორბელიანის მუშამ კი იცის, რომ „კაცთა შორის არ მიჩნეულია" და მტანჯველებს ასე ეუბნება:

„განხრომის ძევ, ნებიერად გაზრდილო,
ეს ქვეყანა შენთვის არის შექმნილი!
ეელთ სიმწვანე, ცის ლაჟვარდი, მის შუქი,
გაზაფხული, სუნნელების ნიავით,
შენ გეტრფიან, გახარებენ, გატკბობენ!
შენთვის ჰბრწყინვენ თვით ლამაზი თვალებიც;
ნაზი წელი რხევით შენსკენ რონინებს;
მიმოჰქრიან შენთვის ზღვაში ხომალდნიც". და სხვ.

დიახ, ასე შეგნებულად და განსწავლულად ალაპარაკებს ორბელიანი ბოქულაძეს. მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგება და მუშამ მედგრად უნდა მოითხოვოს თავისი, პოეტი მას ასე ათქმევინებს:

„ეჰ, ძმაკ, წადი შენ შენს გზაზე სიმღერით...
მე ჩემს ბარგსა როგორმე იქ მოვიხსნი,
სად მე და შენ ვიქნებით თანასწორნი,
საუკუნის განსასვენსა ალაგსა!"..

ერთი სიტყვით, ორბელიანის მუშა ერთობ თვინიერი არსებაა და საიქიოს უპირებს თავის მჩაგვრელს ანგარიშის გასწორებას, საქაოს კი მზად არის უპროტესტოდ იცხოვროს.

ასეთია ის ლიტერატურა, რომელმაც ასახა ჩვენი მუშათა მოძრაობა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ სამრეწველო პროლეტარიატის ყოფა-ცხოვრება და იდეალები ჯერჯერობით ვერ დაუსურათებია სათანადოდ ჩვენს ლიტერატურას. მაგრამ ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა არათუ ჩვენში, რუსეთშიც კი არ არის, მუშათა კლასის შემოქმედება მთელი სიგრძე-სიგანით ჩვენი თანამედროვე ცხოვრების საქმეა და მომავლის ლიტერატურაც უფრო ძლიერ და მხატვრულ სახეებს მოგვცემს, ამ მთელი ქვეყნის ცხოვრების გარდაქმნილი კლასის ცხოვრებიდან.

დასასრულ ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ამ განყოფილებაში განხილული ლიტერატურა ერთიანად ქალაქის გავლენითაა დაწერილი, მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურა კი სავსებით სოფლურ ფონზეა გაშლილი, აშკარაა, რომ ქართველი ერის ცხოვრება უკვე გამოვიდა სასოფლო შუკების და პეიზაჟების გავლენიდან და ევროპის მსგავსად ქალაქური ელფერი მიიღო.

ჭოლა ლომთათიძე მთელ თავის ყურადღებას ადამიანის სულისა და გულის, შინაგანი არსების ამოცნობას ანდომებს. ეს საკითხი მას ისე აწუხებს როგორც ნ. ბარათაშვილს და შიო არაგვისპირელს. ჭოლას აზრით „ძე კაცისა" დიდი ეგოისტური არსებაა და ყველგან და ყველაფერში თავის პირად კმაყოფილებაზე ფიქრობს. მოთხრობა „უსათაუროს" პერსონაჟმა, რომელიც თავდადებული რევოლუციონერია, თავის ცოლს — ხვარამზეს, ნება არ მისცა მტერთან ბრძოლის დროს გმირულად შეჰყროდა სასიკვდილო ხიფათს. „შენცა მხოლოდ შენი ლამაზი ცოლი, შენი საყვარელი ქალი გინდოდა გადაგერჩინა, მხოლოდ შენი ცოლი, — სწერს მას ხვარამზე, — რომელიც უსაყვედურებს, რომ დიადი საქმე დაგავიწყდა იმ წუთს და შენს პირადობაზე ფიქრობდიო. დაუსრულებელი მოთხრობის „ძე კაცისა" გმირი იტანჯება იმის გამო, რომ მისი სატრფო თურმე უმისოდაც კარგად იცხოვრებს; შეუძლია ისე მოეწყოს, რომ მისი დახმარება და სიყვარული სრულებითაც არ დასჭირდეს.

დიახ, ადამიანი ყველაფერს პირადის თვალსაზრისით უდგება და მხოლოდ იგი სწამს და იმას აღიარებს, რაც პირადად მას აამებს და მის ინდივიდუალობას დააკმაყოფილებს.

მაგრამ ჭოლა ლომთათიძე ჩვეულებრივი მეტაფიზიკოსი იქნებოდა, რომ მისი ასეთი განაჩენი საბოლოო და უცვლელი ყოფილიყო ადამიანის შესახებ. მან მშვენივრად იცის სინამდვილის დიალექტიკა და მისი მუდმივი ცვალებადობა. ყველაფერი მოძრაობს, ყველაფერი იცვლება. ადამიანის სამოქმედო გარეშე პირობებიც მუდმივ ცვალებადობაშია, ამიტომ თვითონ ადამიანის ხასიათიც ერთგვარ დაუდგრომლობას განიცდის: ერთ მომენტში ერთნაირია, მეორეში — მეორენაირი. დღეს შეიძლება იგი, მართლაც, უსაზღვრო ეგოისტია, მაგრამ ხვალ, მეორე პირობებში, ის უაღრესად სოციალური არსებაა, და თავგამოდებით იბრძვის საქვეყნო იდეალებისათვის. არ შეიძლება ყოველთვის ერთი საზომით მივუდგეთ მას და ერთნაირად დავაფასოთ მისი არსება.

ჭოლა ლომთათიძის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები „სალრჩობელას წინაშე" უსათუოდ ღრმა და მსოფლიო მნიშვნელობის თემაზეა აგებული. ამ მოთხრობის პერსონაჟს რევოლუციური მოღვაწეობისათვის ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს. იგი საშინელ სულიერ

განცდაშია. მისი ფსიქოლოგია გონების შემარყეველის სინამდვილით და ხელოვნებით არის გადმოცემული. ამ მოთხრობაზე უკეთესი ფსიქოლოგიური ნაწარმოები ქართულ ენაზე არ მოიპოვება, პირველ ხანებში ჩვენს თვალწინ დგას ცხოველური შიშით შეპყრობილი არსება, რომელიც ჩამოხრჩობის შიშით ლამის გაგიჟდეს. ის მთელი სხეულით თრთის, ცახცახებს და მიზანში ამოღებულ ნადირივით საკუთარ უმწეობაში იკრუნჩხება. დადგა მისი აღსასრულის დღე, იღუპება უკვალოდ, უშედეგოდ ქრება, როგორც უბრალო მწერი. „ჩამომაფარებენ სახეზე ტომარას, შემაყენებენ სკამზე და ორ ბოძშუა გადმოკიდულ გასანთლულ ბაწარში გამომაყოფინებენ თავს, ჯალათი გამომაცლის სკამს ფეხქვეშ, დამეკიდება ფეხებზე, რომ თოკი უფრო შემომეხვიოს კისერზე და შემდეგ გამაკონწიალებს... მე შემეკმევა სული, მოვინდომებ კისრისკენ ხელის წაღებას, მაგრამ ხელები მაგრად იქნება გაკრული, დავწვრილდები, დავიღმანშები, მოვინდომებ ყვირილს, კვნესას, მარა ვერ შეეძლებ... ენას ძაღლივით წამოვაგდებ, თვალები გადმომცვივა ბუდიდან, დავიწყებ ტრიალს და რამოდენიმე წუთის შემდეგ გავჩერდები ჰაერში... და ამ სურათის წინაშე გულგრილად იქნებიან გაჩერებულნი პროკურორი, მღვდელი ჯვარით ხელში, ციხის უფროსი, ექიმი, ჯარისკაცები“. ჭეშმარიტად შემარყეველი სურათია, საშინელი თავისი უბრალო ტრაგიკულობით. ასე ლაპარაკობს თავის თავზე ფიზიკურად დამფრთხალი და ათრთოლებული ადამიანი, რომელიც თავის თავს მარტო გრძნობს და გარეშეთაგან გამოთიშულია.

მაგრამ გადის ხანი, პირველი შიში და თავზარდაცემა გაივლის, ნერვები წყნარდება. განწირული არსება უკვე მოსულიერდება და ცხოველური შიშიც გაივლის, საკუთარ განწირულ სიცოცხლისათვის ცახცახი უკვე შენელდა. დასახრჩობად გამზადებულს აგონდება თავისი სიცოცხლის უბედნიერესი წამები და მის არსებასაც სულ სხვა აზრები და განცდა ეუფლება. „აბა, ერთი ის რად ღირს, — ამბობს იგი, — რომ ჩემი საშუალებით ბევრი, ბევრი თავი ამუშავებულა, ბევრი დაფიქრებულა! განა მე არ ვიყავი ბედნიერი, რომლის გატაცებულ სიტყვაზე იმდენს ანთებია თვალები და გულში ბრძოლის ცეცხლი აგზნებია. სისხლი ამუშავებულა, აჩქარებულა! მე ერთი იმ ბედნიერთაგანი გახლავარ, რომელსაც მიმიღია რწმენა, ატოკებული, გატაცებული, შემითვისებია ის და შემდეგ სხვებისთვისაც გადამიცია და ამნაირად მეც გადამიბამს ახალი რგოლი იმ დიდი და მტკიცე ჯაჭვისათვის, რომელსაც მუშათა პარტია ეწოდება, მუშათა მებრძოლი არმია“. ამ სიტყვებიდან აშკარაა, რომ ეს განწირული ადამიანი თავს ისევ სოციალურ არსებად გრძნობს, კოლექტივის ნაწილად წარმოუდგენია და პირად უკვდავებასაც აქ

ხედავს იგი. ამის შემდეგ არც სახრჩობელაა საშიშარი და არც სიკვდილი. იგი ვაჟკაცურად გასწორდება წელში და ზიზღით მიმართავს ძლიერთა ამა ქვეყნისათა: „ჩემს სახრჩობელას მე არ გავცვლი თქვენს კეთილდღეობაზე. თქვენ, რომელთაც ბედნიერება აგიშენებიათ სხვის უბედურებაზე, რომელთაც აატირეთ ქვეყანა, დედას დაუკარგეთ ალერსი მშობლისა და ქმარს წაართვეთ ცოლი, რომელთაც მოპარეთ ლუკმა ნაშრომი მშრომელთ... ეს თქვენი ჭკუაა, ასე რომ აწამა ქვეყნიერება. თქვენმა ჭკუამ შექმნა მშიერთა არმია, თქვენმა ჭკუამ მოწამლა ჰაერი... თქვენი სიყვარულიც მძაგს და სიძულვილიც, თქვენ მიერ შექმნილი ზნეობაც და კანონიცა, მძაგს თქვენი ღმერთი, რომელმაც იქადაგა ყოვლად ბინძური სიტყვა-მოთმინება თქვენი სისაძაგლისა. იუდა ვერ იქნებოდა იუდა, თქვენ რომ არ ყოფილიყავით, თქვენ, რომლებიც ისე აძაგებთ და ანათემას უთვლით მას ახლა, როცა ქრისტე აღარ არის საშიში თქვენთვის, როცა ის თქვენი მომხრეა, ახლა აღარ გჭირიათ იუდა და აძაგებთ მას!... ქურდები ადამიანის ბედნიერებისა, თქვენ სჯით იმას, ვინც ნაქურდალისკენ ხელს გაიწვდის, გამყიდველნი, გამაუპატიურებელნი მეცნიერებისა და ნათელი აზრის, თქვენ კანონს იხმარიებთ მაშინ, როცა პატრონი თავის საქონელს მიაგნებს და თავის უფლების აღდგენას მოითხოვს“.

მრავალმხრივ შესანიშნავია ეს ადგილი: ერთი მხრივ, სასტიკი კრიტიკის ქარცეცხლშია გატარებული ბურჟუაზიული საზოგადოება თავისი ზნეობით და მოქმედებით და, მეორე მხრივ, გაშუქებულია უძნელესი პრობლემა პიროვნებისა და კოლექტივის შესახებ.

ჰოლას აზრით, „პიროვნება მაშინ არის ბედნიერი და უკვდავი, როდესაც იგი თავის არსებას და მოქმედებას კოლექტივის ნაწილად გრძნობს, როდესაც მისი აზრი და გრძნობა გარეშეთა ნაგრძნობ-ნაფიქრს უერთდება. ეს არის უაღრესად ცხოველმყოფელი იდეა, რომელიც ასულდგმულებს ამომავალ რევოლუციურ კლასს. ჩვენს დროში ასეთი კლასი მუშათა კლასია, რომელიც მედგრად ატარებს ცხოვრებაში ყველა ქვეყნის მშრომელთა შეერთების პრინციპს და წითელი დროშით ხელში გაბედულად მიიმართება სოციალიზმის სამეფოსკენ. ჰოლა ლომთათიძის არსების ყოველი წერტილი ამ საკაცობრიო იდეით არის გაჟღენთილი. ამავე იდეით აღტაცებული მისი გმირი სიკვდილის საშინელ საიდუმლოებასაც კი სძლევს: „რა იქენი, სახრჩობელავ, ჯალათო! რად დაჰკარგე შენი საშიშარი სახე, რად მიცქერი აგრე უფერული და უშინაარსო? და შენც, სიკვდილო, ნუთუ ასეთი სუსტი ხარ?..: რატომ ვეღარ მაშინებს შენი გულგრილი სახე. შენი ცივი ქშენა? ვერა, ვეღარ დამძლევ, ბებერო, ვერა! ამა-

ყად, უშიშრად გიყურებ თვალებში, ამაყად, უშიშრად ავაბიჯებ ფეხს სკამზე („სახრჩობელას წინაშე“).

ასეთია იმ პიროვნების სულიერი განცდა, რომელმაც თავისი თავი მთელის ნაწილად იგრძნო.

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება

(კრიტიკული ცდა)

ორი წლის წინათ 1917 წელს, ქუთაისში საჯაროდ გამართული საუბრის დროს ჩვენ შევეცადეთ ზოგადად დაგვეხასიათებინა პირველი რევოლუციის აქეთ ამოძრავებული ჩვენი ლიტერატურა, რომელმაც ცხრაასიანი წლების მიწურულში ჩვენს ძველ მწერლებთან ერთად თითქოს მიიძინა და მიჩუმდა.

ჩვენ ის აზრი გამოვთქვით, რომ გამოცოცხლებული ქართული ლიტერატურა ერთგვარი მოსამზადებელი ხანის ელფერს ატარებს; ზოგ უთუოდ ნიჭიერ მწერალს ვახასიათებდით როგორც ვიწრო ფარგლებში მოქმედ მხატვარს, რომელთა შემოქმედებას აკლია ცხოვრების მრავალმხრიეობის ცოდნა, მხატვრული სრულყოფილობა.

ამასთანავე, ჩვენ ის აზრიც გამოვთქვით, რომ დიდ პოეტად თანამედროვეებიდან შეიძლება გახდნენ სანდრო შანშიაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ალექსანდრე აბაშელი, ნოე ჩხიკვაძე-თქო. არ ვიცი, დანარჩენი სამი როგორ გაამართლებენ ამ აზრს, ხოლო გალაკტიონ ტაბიძემ კი თავისი ლექსების მეორე ტომის გამოცემით კიდევ უფრო გააძლიერა ჩვენი იმედები და დღეს უფრო თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ გ. ტაბიძე დიდი პოეტი იქნება. დიახ, ასეთია ჩვენი განმეორებითი დასკვნა ამ მგოსნის შესახებ, თუმცა, როგორც ქვევით დაინახავთ, ყველაფერი მისაღებად არ გვეჩვენება მის პოეზიაში.

1

ჯერჯერობით გალაკტიონ ტაბიძის ლექსების ორი წიგნია გამოსული, პირველი წიგნი 1914 წ. გამოვიდა, მეორე კი — ამ გაზაფხულზე, ორივე წიგნი ძვირფასი მარგალიტებია ქართული ლიტერატურისათვის. ჩვენს ხელოვნებას უთუოდ დიდი საგანძური შეემატა ამ ტომთა გამოცემით. XX საუკუნის დასაწყისში ახალ კალაპოტსა და ახალ ფორმებში ჩამდგარ ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში უთუოდ ფრიად საპატიო ადგილს დაიჭერს ნიჭიერი

მგოსანი, რომელიც საკმაო პოპულარობით სარგებლობს ჩვენი საზოგადოების ფართო წრეებში და რომელზედაც დიდ იმედს ამყარებს ჩვენი ლიტერატურის კეთილის მსურველნი.

როგორია გ. ტაბიძის პოეზიის სული და გული, ანუ, როგორც ბელინსკი იტყოდა ხოლმე — რა შეადგენს ჩვენი მგოსნის ალმაფრენას, პათოსს?

ამ კითხვაზე გარკვეულ პასუხს მივიღებთ პოეტის ორივე წიგნის ზეზეურად გადათვალიერებითაც კი. ზეზეურად-თქო ვამბობთ იმიტომ, რომ ახალგაზრდა მგოსანი ჯერჯერობით მაინც ერთობ სადა და ადვილად საცნობ სამოსელში გვეელინება, თითქმის ყოველ ლექსში თვალწინ დგას ქართული ლიტერატურისათვის კარგად ნაცნობი ღვთაებრივი სახე „ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი“ ნიკოლოზ ბარათაშვილისა. ხელოვნების სურათის ყოველი ნაკვეთის ჩვენებისას გ. ტაბიძე გულდათუთქული ქაბუკია მისტიურის სახით, რომელიც გოდებს:

„სწუხს ჩემი სული — ვით სამრეკლო
ცის უდაბნოში“.

ამქვეყნიური სიხარული მას არ უხილავს სინამდვილეში, მგოსნისათვის

„ყოველი ნეთი საკუე იყო უმძაფრეს შხამით“.

არსება მისი მოშხამულია და გულამოსკვნით შესტირის ზეცას:

„ბუნებავ, ტრფობის წმინდა ყვავილი
‘რომ დამბარე — ვერსად ვერ ვპოვე,
ბედნიერება ჩემთვის არ არის,
ბედკრული შვილი გამომიგლოვე“.

განაწამები პოეტი სასოწარკვეთით ამბობს:

„ვიცი ბოლო აქვს ქვეყანაზე ყოველგვარ სახეს,
მაგრამ წამებას, ჩემს წამებას კი არ აქვს ბოლო“.

პოეტი გვეუბნება:

„სიმკაცრით შემხედავს საშვენი
თვალები შეკრული კამარის:
ჯვარს ეცვი, თუ გინდა, საშველი,
არ არის, არ არის, არ არის!“

ამიტომ უიმედოდ დასკვნის:

„მე საფლავს ვეძებ, რომ დამიამოს
და დამაეიწყოს გულის ღრმა წყლული“.

რამ დაუდაგა ასეთნაირად მგრძნობიარე გული ახალგაზრდა მგოსანს, ვინ აწამა მისი სული, ვინ ურჩევს ჯვარს ეცვას?

ბარათაშვილი თავის ზრახვებს „მხოლოდ ვარსკვლავთა თანამავალთა“ უმხელდა, ადამიანებისთვის კი ვერ გაებედა წმიდათა-წმიდის გადაშლა. ასე იქცევა გ. ტაბიძეც.

„რა იციან მეგობრებმა, თუ რა ნაღველს იტევს გული,
ან რა არის მის სილრმეში საუკუნოდ შენახული...
მხოლოდ ღამემ, უძილობის დროს სარკმელში მოკამკამემ,
იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თეთრმა ღამემ.
იცის — როგორ დავრჩი ობლად, როგორ ვევნე და ვეწამე,
ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე: მე და ღამე, მე და ღამე.

ღამე ბნელი და წაუკითხავია, მაშინ პოეტის სევდაც ჩვენთვის გამოუცნობი რჩება. აგრე ხელძვირობს ჩვენი მგოსანი, მაგრამ, როგორც ლირიკოსი, თავს ვერ იპერს და მოზღვავებული სევდა მაინც ამოაკვნესებს:

„მე მესიზმრება როგორც წმინდა, შორი ქვეყანა,
საღღაც, ოდესღაც ზმანებული, ერთხელ ნახული“,

სწორედ ამ „ოდესღაც ზმანებულმა, ერთხელ ნახულმა“ ქვეყანამ დაუდაღა ხელოვანს გული:

„და დღე და ღამ იმ ოცნებას კვლავ ატარებს ფიქრი ჩემი,
იდუმალად არა რა მაქვს მწუხარე ეამს ნუგეშ მცემი“.

პოეტს მთელის თავისი არსებით სწამდა სიყვარული და კიდეც სწადდა ამ გზით გაბედნიერება, მაგრამ:

„დღესაც მარტო ვარ, სიყვარულის არ მესმის ნანა,
ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა მთელი ქვეყანა“.

უმიზნოდ და უაზროდ როდი მოვლინებია ამ ქვეყანას მგოსანი, ის გვამცნევს:

„მჭონდა მიზანი... ბრძოლა იყო და მისი მცნების,
. მაგრამ კაცთ გესლით დაუძლურდი და მოვიშხამე“.

მგოსანს ჰყავდა სატრფო ამქვეყნად, მისი სიყვარულით და შეერთებით ის ბედნიერი იქნებოდა, მაგრამ რაღაც გამოუცნობი მიზეზების გამო მერიმ სხვას უძღვნა თავისი გული და ბედის მონა ჩვენი მგოსანიც უიმედოდ უსაყვედურებს თავის თავს — რისთვის. მოეტყუვდი და ვიფიქრე ბედნიერი ვიქნებოდიო:

„ან ცას ღიმილით რად გავიცქერადი,
ან რად ვიპერდი შუქს მოკაშკაშეს?“

ბედნიერების მიუწვდომლობა, სიყვარულის დაღუპვა, უმეგობრობა, ადამიანთა გაუტანლობა — აი, რა სტანჯავს, აი, რა სწამლავს მის არსებას. ამიტომაცაა რომ:

„უსიყვარულოდ, ემნიშვნელოდ
მიქრიან დღენი,
ოჰ, ვის, ვის ძალუძს განიცადოს
ტანჯვა ესდენი?

ასე გოდებს და ასე ტირის ჩვენი მგოსანი. თუ ღრმად ჩაუკვირდებით, ეს გოდება სოციალური ხასიათისაა, პოეტი ცოდვილ დედამიწაზე მცხოვრებ ადამიანთა ცხოვრების უკეთესობას დატირის, ამაზე ჩივის და გულდათუთქულია. პოეტს ამ ქვეყნად ერთი მეგობარიც კი არა ჰყავს, გული ვერავისთვის გადაუშლია.

2

ტაბიძე სოციალური ხასიათის გოდების პოეტია, მისი გოდება, მსგავსად ბაირონისა და ბარათაშვილისა, მსოფლიო გოდებაა. ამ გოდებას არა აქვს მარტო ნაციონალური ხასიათი, ამგვარი სულის ტანჯვა და ასეთნაირი მისწრაფება ყველასათვის ერთნაირია, განურჩევლად ეროვნებისა. დიდი პოეტები ყოველთვის ეძებდნენ ადამიანის არსებობის მიზანს, უძებნიდნენ აზრს ცხოვრებისას და ამით ცდილობდნენ სოციალურ საიდუმლოებათა წიგნის წაკითხვას. ამავე წიგნზე იტეხს თავს გალაკტიონ ტაბიძე, მაგრამ სანუგეშო ვერა უპოვია რა და მისი გულიც დასევდიანებულია, მისი არსება დაცხრილული და ძოწხამულია.

„ფიქრს ვერ ვაკავებ ცრემლად მონაქუხს...
ვწუხვარ... ეეძახი სიცოცხლის მიზანს.
მაგრამ არავინ იძლეა პასუხს". — ამბობს პოეტი.

ბევრი იტანჯა მგოსანმა, ეგონა, რომ ბედნიერებას მისწვდებოდა, მაგრამ მოტყუვდა:

„მე მჯეროდა, რომ შვება სუფევდა
უჩინრად სადმე: ქვეყნად თუ ცაში,
ნამდვილად იგი არსად არ სუფევს,
არც ცის სიერცეში, არც ქვეყანაში".

ამიტომ თავის მტერევაც ზედმეტია, მიზანს ვერ მივაღწევთ:

„ოჰ, ევა, ევა, ედემს დაკარგულს
ოდეს ვიგონებ, თვალნი ცრემლს ღვრიან,
დარდით სამარე მე გამეთხრება,
დავიღუპები ადრე თუ გვიან.
და ვერ გავიგებ სიცოცხლის მიზანს..."

ათასი რომ ეძებოს და შეიძინოს ადამიანმა, ბოლო მაინც მიზნის მიუღწეველობა და სიკვდილია, ამ ხვედრს ვერავინ გაექცევა:

„ადამიანო, ყოფნა შენი
ყუბოდ იცვლება,
მე კი, უბედურს, თვით სიკვდილიც
არ მეღირსება. —

ტირის პოეტი, რომელსაც ამ უმიზნო ცხოვრებაში სიკვდილის სურვილიც კი ვერ ასრულებია თავის დროზე.

კიდეც რომ გაბედნიერდეს ადამიანი და მიაღწიოს თავის მიზანს, შვებას მაინც ვერ ეღირსება, მისი ბედნიერება მიუწვდომელია და მარტო მირაჟია:

„მდუმარების გარეშე და სიცივის თარეშში
სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა,
ცეცხლი არ კრთის თვალებში, წევხარ ცივ სამარეში,
წევხარ ცივ სამარეში და არც სულს უხარია".

საზოგადოდ ქვეყნად სრული გაურკვეველობა და ქაოსია:

„რომელი ცნობს შენს სახეს, ან ვინ იტყვის შენს სახელს?
ვინ გაიგებს შენს ძახილს, ძახილს ვინ დაიჯერებს?
ვერავინ განუგეშებს საოცრების უბეში,
სძინავთ ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქმნილებს".

ადამიანს ირგვლივ გამოუცნობი სახეები და ქმერები ახვევია, ბედნიერებისა და მისი რაობის წიგნი მისთვის „დაბეჭდილია ბეჭდითა შავითა", გარშემო ნისლი და გაურკვეველობაა, რომელსაც მგოსანი თითქოს კიდეც შეხარის და მოწიწებით ამბობს:

„წმინდა არს, წმინდა არს ქაოსი".

ამ შეუცნობელ სამეფოში მოძრაობაც შესაფერი და შეუცნობელია:

„მხოლოდ ნისლის თარეშში, სამუდამო მხარეში,
ზევით თუ სამარეში წყეულით შენაჩვენები,
როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,
ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები".

და რადგან ხსნა არსად არ არის, ბედნიერებისაკენ მიმავალი გზები დახშულია და განაწამებ პოეტს შავი ყორანიც ასე დასძახის:

„ჯვარს ეცვი, თუ გინდა, საშველი
არ არის, არ არის, არ არის!"

პოეტი სასოებით შეღაღადებს მაცხოვარს:

„დაქრიან უდაბნოს ქარები,
მტანჯავენ და ვიცი — გახსოვარ!
სამრეკლოს ანგრევენ ზარები...
წმინდაო, წმინდაო მაცხოვარ!“

იმედმიხდილი პოეტი, სიკვდილისაკენ მიისწრაფის:

„მე გზა არ ვიცი უახლესი:
ერთად ერთი გზა არის სიკვდილი“,

რადგან

„არ არის არსად ბედნიერება,
ფიქრები კვდება ნისლში და ქარში“.

ასეთია გალაკტიონ ტაბიძის, ამ გულდათუთქული რაინდის ტანჯული ხატება, რომელიც შესანიშნავი ხელოვნებით გადმოგვცა. რამდენი ორიგინალობა გამოიჩინა, რამდენი უცნობი სურათი დახატა, რამდენი პოეტური ხერხი იხმარა მან. მაგრამ ამაზე ქვევით ვილაპარაკებთ, ახლა კი ჩვენი ახალი ბარათაშვილის შემოქმედებითი სახის სხვა მხარეს უნდა მივაქციოთ ყურადღება.

3

როგორც ამოწერილ ადგილებიდან ჩანს გ. ტაბიძის შემოქმედება ერთიანად პესიმისტურია, მის წინ ქვეყნიერებას შავი ჩადრი ფარავს, მისთვის ყველგან ბნელია და საშველი არ არის. მაგრამ დიდი შეცდომა და უსამართლობა იქნებოდა, რომ პოეტის შემოქმედების მეორე მხარე — იმედიანობაც — არ აღგვენუსხა და შესაფერისად არ დაგვეფასებინა. ამ შემთხვევაში მგოსნის ჰმუნვარე სახე ცალმხრივი და ერთფეროვანი იქნებოდა: გ. ტაბიძის გულშიც ღვივის იმედის ნაპერწკლები, ის როდია საესებით სასოწარკვეთილი და მოშხამული, მაგრამ თუ ჩვენ მაინც პირველად ყურადღება პოეტის პესიმიზმსა და უსასოებას მივაქციეთ, ეს იმიტომ, რომ იმედიანობის ნაპერწკლები ჩვენი პოეტის ქმნილებებიდან მხოლოდ და მხოლოდ პირველ ტომში გამოსჭვივის. მეორე ტომი კი ნამდვილად სევდის წიგნია, უიმედო, უსასოო, აქ ჩამოსჩხავის მგოსანს შავი ყორანი: „საშველი არ არის, არ არის...“

ლექსთა პირველ კრებულში, რომელიც გამოცემულია 1914 წელს, ავტორი ერთი თვალით რომ შავ სამარისა და ჯურღმულისკენ იხედება, მეორეთი ხანდახან მაინც იმედიანობის ვარსკვლავს გაჰყურებს.

„როცა მიდამო ვარდ-ყვავილებით
ლურჯ ხავერდივით მოიქარგება,
როცა ბულბულის ხმები რაკრაკით
ბუჩქებს ედება და იკარგება,
ვიღაც მეძახის სიცოცხლისაკენ“. —

გვეუბნება პოეტი, რომელიც ასე ანუგეშებს თავის გულს:

„დამშვიდდი, გულო, შეგიყვარდება
ვინმე ამ ქვეყნად... დამშვიდდი, გულო,
წავა დღეები უსიხარულო,
ისევ აღდგება გამჭრალი შვება,
ჩემო ოცნებავ და სიყვარულო“.

მართალია, ამ უჩინარმა ღელვამ პოეტის არსება უღვთოდ დათუთქა,

მაგრამ:

„ოჰ, ნუ იფიქრებ, რომ მოკვდა გული,
რომ სულ დავმარხე ოცნება წრფელი,
განადგურების სევდიან გზაზე
ბევრი რამე მაქვს ხელუხლებელი“.—

ამბობს მგოსანი, რომელსაც პეპელასთან ერთად სჯერა,

„რომ მისი ყოფნა ვარდ-ყვავილებზე
სულ არ ყოფილა ისე ამაო“.

იმედიანობასთან ერთად პოეტს ბრძოლის წყურვილიც აცხოველებს, მას სწადია გმირულად ჩადგეს მოძმეთა შორის და მედგრად შეებრძოლოს შავ ბედს:

„სიმღერავ, უხმე დაღლილთ, დაქანცულთ,
აჩვენე ცეცხლში ნაწრთობი გული,
დაე იცნობდენ ჰანგს დაუცხრომელს,
დაე იცოდენ, რომ ყოფნის მგმობელს
მათღამი კიდევ აქვს სიყვარული“.

დამახასიათებელია ამ ლექსის ბოლოს სიტყვების „ყოფნის მგმობელის“ ხმარება. პოეტი იმდენად არის განაწამები, რომ სიყვარულის ფიცის დროსაც კი ყოფნის გმობა ახსოვს, უწმინდესი გრძნობის გადმოშლაშიც კი შხამს ურევს იგი. ასეთივე იყო ბარათაშვილის სულისკვეთებაც: მიუსაფარი და სულით ტანჯული პოეტი, როდესაც შავი ყორნის ხმაზე უგზო-უკვლოდ მიაქანებდა თავის მერანს, თითქმის სასოწარკვეთით გაჰკიოდა.

„ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება“.

ადრინდელი ტაბიძე — ვიტყვით, პირველი ტომის ავტორი, მართალია, გრძნობს სიკვდილის საშინელებას, მაგრამ წამსვე აქცევს მას ზურგს, არ უჯერის სკეპტიკოს მესაფლავეს და ცხოვრების აუცილებლობასა და მიმდინარეობასთან წუთით შერიგებული ამბობს:

„ასე ხდება ქვეყანაზე, ყველა ცოცხლობს, ყველა კვდება“.

ჩვენს მგოსანზე უკეთ ძეირად თუ ვინმეს უგრძენია ამა ქვეყნის მშვენიერება და მომხიბლაობა.

„მთები! როგორ შვენის მათზე გაზაფხულის ბუჩქ-ფოთოლი,
როგორ შვენის ველზე ნამი გამქვირვალე, როგორც ბროლი,
ცა ისეა მოწმენდილი, ცა ისეა შეუმკრთალი.
რომ ანგელოზს დაინახავს მოდარაჯე კაცის თვალი".

ლაჟვარდი ცის სიყვარულში ტაბიძესავით არც ერთ ჩვენს მგოსანს არ უფიქრია ანგელოზის დანახვა. მან იცის, რომ

„არსად ისე არ მღერიან როგორც აქ, ამ ქვეყანაში,
(გურიაში.—ე. ხ.)
არსად, არსად არ არსებობს ბრძოლის ქინი, ბრძოლის ქარი,
არსად ისე არ გადმოხეთქს უკმარობის ნიაღვარი,
და არსად მთელ ქვეყანაზე არ ქოცნიან ისე ენებით,
ისე ცეცხლით, ისე ქინით და იმგვარი გატაცებით,
ვერსად ისე ვერ ვინ გაგხვევს გამოეცნობ ცეცხლის ტბაში,
როგორც ღერწამ ქალწულები აქ, ამ წარმტაც ქვეყანაში".

ქართულ ლიტერატურაში მე არ წამიკითხავს ამ ლექსზე უფრო მაღალმხატვრული, აზრიანი და მომხიბლავი რამ, ასე სხარტად, ღრმად და მოკრით, არ ვიცი, რომ ვინმეს ეჩვენებიოს ჩვენი ცხოვრების მიმზიდველობა და მომხიბლაობა.

მაშ, ტაბიძეც არ ყოფილა სრული უნუგეშო და უსაზღვრო პესიმისტი, მაგრამ ვიმეორებ, იმედიან ტაბიძეს ჩვენ ვხედავთ მხოლოდ პირველ ტომში, მეორე ტომის ტაბიძე კი სრული უიმედო და სასომიხდილია. იმედიანი ტაბიძე ერთიანად ჩაყლაპა უიმედო გალაკტიონმა. 4-5 წლის უკან თუ იგი ცალი თვალით მაინც გაჰყურებდა იმედის ვარსკვლავს, დღეს ის ორივე თვალით შავს წერტილს უცქერის და მგლოვიარე სერაფიმების ენით ასე მიმართავს თავის თავს:

„იყავ საოცრად მოხიბლული ასეთი ღამით
და უაილდის ყვავილივით დაეცი გზაზე.
ცაცხვები დგანან შენს საფლავთან ვით ენტაურები,
მათ სიბნელეში ნისლიანი და უეცარი,
გამოჩნდებიან პოეზიის თანამგზავრები,
სდგანან მწუხარედ და იტყვიან: აი ეს არი".

ერთი მხრივ, სევდა-ტირილი და, მეორე მხრივ, იმედიანობა, ჩვენი ცხოვრების უმიზნობის და სისაძაგლის გმობა და თან მომავლის რწმენა — ნამდვილი ბარათაშვილისებურია. ბარათაშვილმა იცის ცხოვრების ამაოება, მეგობრის გაუტანლობა, სატრფოს ღალატი, მისი არსება ერთიანადაა დაშხამული ჩვენი ცხოვრების სიდუხჭირით, მაგრამ ბედს მაინც ებრძვის, სიკვდილს არ შეტრფის და ნაღელიანად ამბობს:

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეეაც მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა".

ამნაირად პირველი ტომის ტაბიძე და ბარათაშვილი ერთნაირის თვალთახედვის ისრით არიან შეიარაღებულნი, ხოლო მეორე ტომის ტაბიძე უკვე დაშორდა ბარათაშვილის მთლიან სახეს და მარტოღა შავ აჩრდილად დგას განშორებული.

რაგვარ სოციალურ ნიადაგზე აღმოცენდა ტაბიძის შემოქმედება და სად უნდა ვეძებოთ მისი ჯერ ბარათაშვილისებური იმედიანობის და შემდეგ სრული უიმედობის მიზეზები?

4

გალაკტიონ ტაბიძე პირველი რევოლუციის შემდეგ ჩამოწოლილ რეაქციის დროს გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე. რეაქცია იყო არა მარტო პოლიტიკური, არამედ საზოგადოებრივი. 1905 წლის დამარცხებამ ბევრს შეურყია რწმენა და იმედი. დაიწყო რევიზია და ნაგრძნობ-ნაფიქრის ხელახალი გადასინჯვა და აწონ-დაწონვა. ახალი აზრებისა და გრძნობების მაგიერ დაიწყო „კვლავ ფიქრი უკვე ნაფიქრის", ერთი ადგილის ტკეპნა და სინჯვა. „შემცდარი ხომ არ ყოფილა უწინდელი ჩემი შეხედულება? იმიტომ ხომ არ დავმარცხდით, მიუწვდომელისკენ რომ ვიწევდით?" ჩვეულებრივი იყო ასეთი კითხვების დასმა. საზოგადოების ერთი ნაწილი, ინტელიგენციის ფართო წრეები, რომელიც საკუთარ სოციალურ მდგომარეობის გამო მუდამ რყევაში და ყოველ რევოლუციაში უფრო სტუმრის როლს თამაშობს, ვიდრე მასპინძლობის, ამ კითხვებზე უმეტესად დადებით პასუხს იძლევა: კი, მაშინდელი ჩვენი შეხედულება შემცდარი იყო, მიუღწეველისაკენ მივიწევდით და მიტომაც დავმარცხდითო. და იწყება ახალი იდეალების ძებნა, რენეგატობა, სხვათა ბანაკში გადაბარგება, ასეთი მაგალითები ბლომად მოიპოვება ჩვენში. ძველ რწმენათა რევიზია განსაკუთრებით ძლიერი იყო ჩვენი ეროვნული ინტელიგენციის ფართო წრეებში. ბევრმა 1905 წელს „გასოციალისტებულმა" ხელი აიღო ამ „უნიადაგო" ოცნებაზე და უშიშარ ადგილს მოიკალათა. სოციალიზმის „გადასინჯვაზე" ერთი მიმართულების ლიტერატურაში გვარიან ხმამაღლა იწყეს ლაპარაკი, მიიჩქმალა შორეული მიზანი და წინ წამოდგა პაქტიციზმი, რამაც ჩვენში კლასიკური გამოხატვა ჰპოვა განსვენებულ კიტა აბაშიძის სიტყვებში, ოთხმოცდაათიანი წლების ერთობას მძიმე — ნიშნის გამოუკლებლად მოვითხოვთო.

აი, ამ ხანამ იქონია უდიდესი გავლენა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაზე. გ. ტაბიძე უტყუარი სარკეა ჩვენი ინტელიგენციის ფართო წრეების სულისკვეთებისა. იმ სულისკვეთების, რომელიც

თავის მიზნით და სიწრფელით უთუოდ უაღრესად კეთილშობილური და სპეტაკია, მაგრამ შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში საზოგადოებრივი თვალსაზრისით სრულებითაც არ მივაკუთვნოთ გ. ტაბიძის შემოქმედებას.

პირველ ხანებში — პირველი ტომის ლექსებში — გ. ტაბიძეს ჯერ კიდევ უდგას ფეხი მიწაზე და ამიტომაა, რომ უიმედობასთან ერთად მისი ლირიკული ქნარი იმედიან ჰანგებსაც დამღერის. იმედიანობა და ოპტიმიზმი მუშა ხალხის თანდაყოლილი, მდგომარეობის მიერ შესისხლხორცებული თვისებაა, მიუხედავად იმისა, რომ „ყველა დაწყევლილ კითხვები" დემოკრატიისათვისაც არსებობს. ბრძოლისა და სიცოცხლის ინსტინქტი ისე ძლიერია მასში, რომ ბოლოს და ბოლოს ის მაინც ოპტიმისტია და ფილოსოფიურის სიდინჯით უყურებს სიკვდილსა და სიცოცხლეს, სიცილსა და ტირილს, ცხოვრებაზე ასეთ შეხედულებას, ანუ შერიგებას ასე გამოთქვამს ვაჟა-ფშაველა:

„ბუნება მბრძანებელია,
იგივ მონაა თავისა...
ერთფერად მტვირთველი არის
საქმის თეთრის და შავისა;
საცა პირიმზეს ახარებს,
იქეე მთხრელია ზვავისა,...
მაინც კი ღამაზი არის,
მაინც სიტურფით ჰყვავისა".

იმავე მგოსნის სიტყვით ბუნებაში ერთგვარი აზრიანობა და მიზანშეწონილება არსებობს:

„ხეები მთას ამონებს, მთა-ხეესა,
წყალნი-ტყეს, ტყენი — მდინარეთ,
ყვავილნი — მიწას და მიწა —
თავის აღზრდილთა მცენარეთ,
და მე ხომ ყველას მონა ვარ
პირზე ოფლ-გადამდინარეთ".

. აი ცხოვრების პროცესის ფილოსოფიური განჭვრეტა, მასთან შერიგების ნიმუში, რაც ასე ახასიათებს მშრომელთა კლასს, სოციალური ოპტიმიზმის ბუნებრივად მატარებელს. სწორედ ეს ოპტიმიზმია, პირველ ტომში გ. ტაბიძეს იმედიანობის სამოსელში რომ გვაჩვენებს, სიცოცხლისკენ მაყურებელს გვიხატავს. მაგრამ გადის დრო, საზოგადოებრივი რეაქცია თანდათან ძლიერდება, დგება ომიანობის შავი ხანა — 1914, 1915, 1916 წლები — ინტელიგენცია თითქმის ერთიანად შორდება დაბალ ხალხს... აი ამ ხანაში ტაბიძის განმარტოვებული მუზა, რომელიც უკვე დაეაკაცებული და მომწიფებულია, ძალუმად მიექანება ლოგიკური დასკვნისაკენ და

კიდეც იწერება წიგნი, რომელსაც ეწოდება გ. ტაბიძის ლექსთა მეორე ტომი — სევდითა და უიმედობით აღსავსე.

იქონია თუ არა მეორე რევოლუციამ შესაფერი გავლენა ჩვენი პოეტის მუზაზე? ამ დიდებულ მოვლენას გ. ტაბიძე აღტაცებით შეხვდა. ქუთათურ „სოციალდემოკრატში" მან დაბეჭდა მშვენიერი ლექსი — „დროშები, დროშები, დროშები, ჩქარა"...

მაგრამ მაინც ვერ სძლია ინდივიდუალიზმს.

„თეთრი ტყვეების მიმყვება გუნდი
და კვლავ მარტო ვარ მე ჩემს წინაშე".—

მოთქვამს უიმედო მგოსანი მეორე ტომში.

ამნაირად, ჩვენს წინაშე დგას გულდათუთქული რაინდი, რომელსაც მხოლოდ ყმაწვილურ გატაცებისას ეწვევა იმედი, ესიზმრება ზღაპრული ქვეყანა, ხოლო მას შემდეგ თავჩაქინდრულია, უიმედოდ კენესის.

„შორეული ქალის ეშხი
მოვა... მაგრამ როდის?
სიყვარული სასახლეში
მხოლოდ ერთხელ მოდის".

გ. ტაბიძის მუზას მართლაც განმარტოებული სასახლე აქვს აგებული.

„და ვიყო ერთი — ყველგან, მუდამ მსურს, ვიყო ერთი". დღეს მართლაც განმარტოებულია, სურვილი აუსრულდა.

ტაბიძის შემოქმედების მეორე ხანის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებად სიმბოლიზმის საკმაოდ დიდი გავლენაც უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ამაზე ცოტა ქვევით გვექნება საუბარი.

5

ამნაირად, ჩვენ შეძლებისდაგვარად ავხსენით ტაბიძის შემოქმედების სული და გული, მთავარი დამახასიათებელი გზა. ჩვენ შევეცადეთ გადმოგვეშალა მგოსნის აზროვნება და მსოფლმხედველობა. შევეცადეთ აგრეთვე გვეჩვენებინა ამ მსოფლმხედველობის გამომწვევი საზოგადოებრივი პირობები. ახლა კი ‘ეეხებით გ. ტაბიძეს როგორც მხატვარს, როგორც ხელოვანს.

გ. ტაბიძე, როგორც ხელოვანი, თავიდანვე თითქმის უნაკლო იყო და ზედმიწევნით აკმაყოფილებდა ესთეტიკის მოთხოვნილებებს, დღეს კი თვით უსასტიკეს დაფასებასაც თამამად გაუძლებს, სწორეთ ამიტომ იყო, რომ ესთეტიკურად განუვითარებელი ჩვენი საზოგადოება და რამდენიმედ თვით მწერლებიც კი ტაბიძის შემოქმედებას კარგა ხანს ჯეროვანად ვერ აფასებდა. საზოგადოება ისე

იყო გატაცებული მორახუნე ლექსებით, რომ ტაბიძის ნაზი ქნარი მას ვერ ხიბლავდა. მაგრამ ხელოვნებამ მაინც თავისი ქნა და ტაბიძეც დააფასეს.

ტაბიძე ძლიერი და შეუდარებელია, როგორც ნაგრძნობ-ნაფიქრის ღრმა აღბეჭდვაში და მკვეთრად გადმოცემაში, ისე იმ ხელოვნურ ხერხებში, რომელსაც ის ხმარობს. ხელოვანის ალღო იმდენად ძლიერია მასში, რომ თითქმის ყოველი ლექსი დასრულებული და უტენდენციო ხელოვნური ქმნილებაა. ვერსად ვერ გრძნობთ აღებული აზრის ან გრძნობის ნაძალადევ გადმოცემას. ყველგან ბუნებრივობა და მომხიბლავი უბრალოებაა, რაც უდიდესი განძია ყველა შემოქმედისათვის, მშვენიერი და ორიგინალური შედარება, ნარნარი და ქალწულებრივი, წრფელი გრძნობა — პირდაპირ ატყვევებს ადამიანს. ტაბიძე ყოველთვის და ყველგან გულწრფელია, მანქვა და ნაძალადევი ექსტაზი მისთვის არ არსებობს, მხატვრული გადაჭარბება და თავშეუკავებლობა მან არ იცის. მართალია, ხანდისხან ის ბარათაშვილს ბაძავს (ოთბლი, ტ. I, გ 27), ხან—ტიუტჩევს (იქვე. 46), მაგრამ საერთოდ ის მაინც ორიგინალური სურათებით მოაზროვნე მგოსანია და მისი პოეზიის საღებავიც ათასფეროვანია. თითქმის ყველა ლექსის თემა ერთნაირია, მაგრამ გადმოცემა ისე ხელოვნურია და იმგვარი საღებავებითაა შემკული, რომ პირდაპირ იხიბლებით და სრულებითაც ვერ გრძნობთ პოეტის ერთფეროვნებას.

ტაბიძის პოეტური ნიჭი იმდენად ძლიერი და მომჯადოებელია, რომ ყველას იმორჩილებს; თქვენ შეგიძლიათ არ გაიხაწილოთ ტაბიძის მსოფლმხედველობა, მაგრამ იმას კი ვერ უარყოფთ, რომ მისი ლექსების კითხვის დროს სწორედ იმ გრძნობას განიცდით, რასაც თვითონ პოეტი განიცდიდა, სწორეთ ისე უყურებთ მაშინ ამქვეყნიურ ცხოვრებას, როგორც მგოსანი. პირადად მე არ ვიზიარებ ტაბიძის მსოფლმხედველობას, მაგრამ პირდაპირ ჟრუანტელს მგვრის ამ სტრიქონების წაკითხვა:

„სიმკაცრის შემხედავს საშვენი
თვალები შეკრული კამარის:
ჯვარს ეცვი თუ გინდა! საშველი
არ არის, არ არის, არ არის!
დაქრიან უდაბნოს ქარები,
მტანჯავენ და ვიცი: გახსოვარ!
სამრეკლოს ანგრევენ ზარები...
წმინდაო, წმინდაო მაცხოვარ!".

მუსიკისა და რითმის მხრივ ტაბიძის პოეზია უმაღლეს წერტილზე ასულად უნდა ჩაითვალოს; ასეთი სადა, მომხიბლავი და ძალდა-

უტანებელი რითმა გრიშაშვილსაც კი არ მოეპოვება, ამ მხრივ ტაბიძე პირდაპირ აკაკია ჩვენი ახალგაზრდა ლიტერატურისათვის.

აი ყოველივე ამის გათვალისწინების შემდეგ — აზრის სიღრმე, ძლიერი ხელოვნური ალღო და საშემოქმედო ტილოს სიფართოვე — გვგონია, რომ ტაბიძე ისევ პირველი ტომის ხაზს დაუბრუნდება და, ადრე იქნება თუ გვიან, თავს დააღწევს იმ მისტიურ ნისლს, რომელშიაც ის გახვეულია, ამას მოამოქმედებიხებს პოეტს მისი მხატვრული ალღო და არა სხვა რაიმე.

მეორე ტომს აშკარად აზის სიმბოლიზმის ბეჭედი: მისტიკა, ღვთისმშობელი, წმინდა ჩასახვის მონასტერი, მცხოვარი, ჯვარის წერა, სამრეკლო, ზარები... და სხვა საეკლესიო ატრიბუტები ხშირია ამ ტომში. გაუგებრობას და სტილის ბუნდოვანობასაც, — რაც ასე ახასიათებს სიმბოლიზმს, დიდი ადგილი აქვს დათმობილი. ზოგი ლექსის კითხვის დროს ლექსიკონის ხმარებაც კი არის საჭირო. აღსანიშნავია და ხაზგასმული ის გარემოება, რომ შინაარსის ბუნდოვანებას თვითონ ლექსის ფორმის — გარეგანი მხრის ბუნდოვანებაც თან მისდევს. ფორმა და შინაარსი — ორივე ძნელად გასაგები — მშვენივრად შეუთანხმებია ტაბიძის ძლიერ ნიჭს. წაიკითხეთ მეორე ტომი და აშკარად დარწმუნდებით ამაში.

სიმბოლიზმის დახასიათება ჩვენ სხვა ადგილას მოვახდინეთ „სიმბოლიზმი ქართულ ლიტერატურაში", „ერთობაში") და დაინტერესებულ მკითხველს ადვილად შეუძლია ამ მიმართულების აწონ-დაწონვა. ეს ლიტერატურული მიმართულება საზოგადოებრივი რყევის, ქანაობის და ამ ქვეყნის უარისყოფაზეა აგებული. სრულიად ბუნებრივია, რომ ტაბიძის აფორიაქებულმა ინტელიგენტურმა სულმაც აქ იპოვა ნავსაყუდარი. მაგრამ ეს მიმართულება ავადმყოფურიც არის და ხშირად მომხდარა, რომ აქ მიმართულებისაგან განკურნებული მწერლები ისევ ჩვენს ცოდვილ დედამიწას დაბრუნებიან. ასე განიკურნა. მაგალითად, რუსეთის ბევრი სიმბოლისტი, დასავლეთ ევროპაშიც ხშირია ამის მაგალითები. აი, რას წერს ევროპის საუკეთესო სიმბოლისტი, მორის მეტერლინკი: „მე დავწერე რამდენიმე პატარა დრამა, რომლებშიაც გამოიხატა მისტიკურად განწყობილი აზრის წუხილი. ეს წუხილი შეიძლება მისაღებია სახეში, მაგრამ ყოველ შემთხვევაში კეთილი გავლენა არა აქვს და არც უნდა მიეჩვიოთ ხოლმე მას. ამ დრამების წარმომშობი მთავარი მიზეზი ცხოვრების გაურკვევლობის წინაშე თრთოლვა და შიში იყო. მე მაშინ მრწამდა, რომ ქვეყნად არსებობს შეუცნობელი, აუცილებელი და ფატალური ძალა. რომლის გაგება ადამიანისათვის შეუძლებელია და რომელიც ჩვენი მტერია... აქ არეული იყო ქრისტიანული ღვთაებისა და ანტიკური ფატუმის იდეა, რომელიც ბუნების სიბნელეშია მოთავსებული და შეუბრალებლად არღვევს ყველა

ჩვენს მისწრაფებას და ანადგურებს ადამიანის ბედნიერებას. „მეტერლინკის აზრით შეიძლება, რომ პოეტი გაიტაცოს ამ პასიურმა მსოფლმხედველობამ. „მაგრამ, — დასძენს იგი, — არ შეიძლება, რომ კაცი ერთ წერტილზე გაიყინოს, არ იმოძრაოს. ადამიანური გრძნობა პოეტობაზე უფრო ღრმა და ძლიერია და წინაც დიდი მიზნები უძევს". ძლიერ კაცს, მეტერლიხკის აზრით, მშვენიერად ესმის, რომ უნდა შეისწავლოს და იცოდეს მისი ბედნიერების მომსპობი ძალები, ამ ნიადაგზე მას ბრძოლაც მოელის და სხვ.

აი ასე მსჯელობს დიდი სიმბოლისტი და დიდი ხელოვანი მეტერლინკი, რომელიც სიმბოლიზმით გატაცების შემდეგ ისევ ქვეყანას დაუბრუნდა. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ტაბიძესაც მალე მოაბრუნებს ამ ქვეყნისაკენ მისი ადამიანური გრძნობა და მხატვრული ალღო. მისი გოდება და ტირილი გამოწვეულია სახელითა სიცოცხლისათა, სახელითა ამქვეყნიურ ბედნიერებისათა და დიდი ნიჭი კიდეც მიაღწევს მიზანს. ტაბიძემ თქვა, რისი თქმაც კი შეეძლო მისტიციზმის გზაზე, აქ დარჩენა მას დღეიდან სიკვდილს უმზადებს: მასში ძლიერი და უსაზღვროა ცხოვრების ინსტინქტი — ამისთვისაა მისი ტირილიც აგრე გულშემზარაეი — ამიტომ, ჩვენი აზრით ტაბიძე ისევ ცხოვრებას მიხედავს, დაუბრუნდება პირველ ტომს, კვლავ აღინთებს ამქვეყნიურ სიდუხჭირესთან საბრძოლველ ცეცხლს და ერთხელ კიდევ იტყვის საყვარელი გურიის შესახებ:

„არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში-...

დავასრულეთ ჩვენი კრიტიკული ცდა. ღმერთმა გვაშოროს მსაჯულის როლი ამ შემთხვევაში, ჩვენ მხოლოდ ვცდილობდით ჩვენი სუსტი ძალ-ღონით აგვეხსნა და განგვემარტა მგოსნის შემოქმედება და მისი მომავალი გზები. არ ვიცი, რამდენად დამაკმაყოფილებელია ჩვენი ცდა, მაგრამ ერთ ღირსებას კი მაინც ვერავინ წაართმევს ჩვენს ნაშრომს: ეს არის კეთილსინდისიერი დამოკიდებულება ავტორის წმიდათაწმიდასთან — მის პოეზიასთან. გვწამს, რომ უამისობა არ მიეტევება პატიოსან ადამიანს და ამ შემთხვევაში აშკარა შეცდომებიც კი ეპატიება მას.

თქვენ გთხოვთ საკურთხეველიდან აღსავლის კარებში ბარძიმით ხელში მორწმუნეთა საზიარებლად გამოსული მღვდელი, რომელიც მოწიწებით ამბობს: „შიშითა ღვთისათა და სარწმუნოებით მოვედით". ასეთნაირად მეხატება მე თავის ნაწერებში მგოსანი, რომელიც ღაღადებს: კრძალვითა ხელოვნებისათა და სიყვარულით მოვედიო. და ვაი იმას, ვინც ბინძური გულით მიეგებება მას, ვინც შეურაცხყოფს პოეტის წმიდათაწმიდას.

შიო არაგვისპირელი

(გარდაიცვალა 1926 წ. 2 იანვარს)

ქართულმა ლიტერატურამ დაკარგა სიტყვის დიდი ოსტატი. შიო პირველი ფრაზიდანვე გაგრძნობინებდათ მომხიბლავ გრაციულობას და პირველი სურათითვე დაგატყვევებდათ

არ შეიძლება მისი ეტიუდი ბოლომდის არ ჩაგეკითხათ. ყოველი გამოთქმა, ყოველი წერტილიც კი რაღაც ემოციას აგიფართქალებდათ. სადა ენა, მოკვეთილი სურათი, უკიდურესობამდე დახვეწილი ფრაზა: მოკლე, მკაფიო, მჭრელი. არც ერთი ზედმეტი ბგერა, სიტყვის უდიდესი ეკონომია.

სურათი ცოცხალი და მწველი. ყოველ ნაკვეთს ფიზიკურად გრძნობ. შიოს აწერილი ნამი უსათუოდ ლოყაზე მოგეპკურება, მისი ჭია-მაია ხელზე დაგ..ცოცავს, წვიმის წვეთები სხეულს გისველებენ.

ყველგან მიმზიდველი ქანდაკება, ყოველ სურათში მარმარილოს სადა ნაკვეთი, ორიგინალური პროფილი, არსად შაბლონი. სიტყვა ახალ ელფერში, აზრი ახალ სამოსელში...

ასე არ წერდნენ იმ დროს, როდესაც შიო არაგვისპირელმა მოჰკიდა კალამს ხელი. სტილის მხრივ შიომ უსათუოდ ახალი სიტყვა თქვა ჩვენს ლიტერატურაში.

სალიტერატურო ასპარეზზე იგი გამოდის 1890-იან წლებში. ჩვენი პროზა ამ დროისათვის თითქმის ჩამოყალიბებული იყო. ილია ჭავჭავაძემ სიტყვის უაღრესი ეკონომიით გამოაქანდაკა თავისი „ოთარაანთ ქვრივი"; ა. ყაზბეგმა თავისი მოზღვავებული გრძნობების გამოსახატავად თავისებური მეტყველების სტილი შექმნა, რასაც არ შეიძლება არ გაეტაცა შიო არაგვისპირელი. მაგრამ შიო, როგორც ორიგინალური შემოქმედი, თავისი აზრისა და გრძნობის გამოსახატავად სრულიად ახალ ენობრივ ქსოვილს ქმნის.

საჭიროა თვითონ ამ სტილის გაცნობა. შიოს სტილის თავისებურებას მაშინ იგრძნობთ, როდესაც წაიკითხავთ, მის საუკეთესო მოთხრობებს, ესკიზ-ეტიუდებს: „მიწაა", „ჩემი პირველი სიყვარული", „მხრები-ღა ავიჩეჩე", „არ გვინდა, არა" და მრავალი სხვა — აი მისი სტილის დამახასიათებელი ნაწარმოებნი.

პირველი ჩვენი მწერალი, რომელმაც ქალაქური ნერვიულობა და თრთოლა გამოხატა, შ. არაგვისპირელი იყო. -აქამდე ჩვენი ლიტერატურა სოფლის იდეალებში და ლანდშაფტებშია ჩაფლული. ნელა მოძრაობს, არ ეჩქარება, პატრიარქალურის სიდინჯით შლის სახეს სახეზე. გრძელი სიტყვა, კრიმანჭულები, ქარაგმები...

შიო კი ქალაქური დინამიური ცხოვრების მხატვარია და მისი სიტყვაც ამ მდგომარეობის შესაფერისია.

მთელი თავისი შემოქმედებაც შიომ ამ ფონზე გაშალა; ფსიქოლოგიური ეტიუდები — აი, მისი საყვარელი ლიტერატურული ფორმა. ამ გზით შეძლო მან ადამიანის შესწავლა და მისი არსის წვდომა.

მართალია, მას აქვს ისეთი მოთხრობებიც. სადაც ის ჩვენს ყოფა-ცხოვრებასაც ეხება, გვიხატავს გლეხის ჭირ-ვარამს („ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო", „მერე რიღათი იცხოვროს", „ესაა ჩვენი ცხოერება", ჩემო შვინდავ" და სხვა...) და მთავრობის თავგასულობას, მაგრამ ეს მოთხრობები იდეურად არ არის ორიგინალური, „ტეტიათა მოტრფიალეებისა" და ე. ნინოშვილის შემოქმედებითს ხაზს აგრძელებს. გლეხის სიღარიბე, უვიცობა, უუფლებობა, ჩარჩების თარეში, — ყოველივეს ეს დაკვირვებით აგვიწერეს ს. მგალობლიშვილმა, რ. ერისთავმა, ნ. ლომოურმა და სხვ... და რომ არაგვისპირელი ბოლომდის ამ გზას გაჰყოლოდა, შეიძლება დიდი ორიგინალობა ვერ გამოეჩინა. ყოველ შემთხვევაში, აშკარაა, რომ ეს გზა არ იყო მისი სტიქია. ის აქ მხოლოდ დროებითი სტუმარი იყო და მან ძალიან მალეც იპოვნა თავისი გზა.

რას შეიცავს ადამიანის არსება და რას წარმოადგენს იგი, როგორც ასეთი? — ეს საკითხები არ მოშორებია შიო არაგვისპირელის მუზას სიკვდილის ჟარამდე. 1892 წელს დაწერილ მოთხრობაში — „ადამიანი" — ეკითხულობთ: —ადამიანი!.. ადამიანი!.. ადამიანი!.. ძალას ატანდა თავის თავს თედო, მაგრამ აზრი აზრს არ ეკარებოდა, თითქმის იმის თავში მარტო ერთი წარმოდგენის მეტი აღარა მოიპოვებოდა რა და სიტყვა „ადამიანი" ისევ სიტყვად დარჩა და შინაარსი ვერა მოუპოვა რა".

ასეთ მდგომარეობაშია მოთხრობის პერსონაჟი, მან არ იცის, რა არის ადამიანი, რას შეიცავს იგი და რა არის მისი დანიშნულება. ადამიანი მისთვის გამოუცნობელი სფინსქია. მაგრამ გადის ხანი და შიო არაგვისპირელიც ცდილობს განმარტოს ეს შეუცნობელი არსება, რომელსაც ძალიან ხშირად დიდი პრეტენზიები აქვს და ბუნების მეფეთაც კი მოაქვს თავისი თავი. ის არ ცხრება ბუნების წინაშე, ჯიუტად ებრძვის მას და გადაწყვეტილი აქვს მისი დამორჩილება. „როგორც ადამიანს სურს, — ეკითხულობთ „ბუნების მეფენში", — ისე დაატრიალებს ბუნების ჩარხს: უნაყოფო ნიადაგს გაანაყოფიერებს და სადაც ქვისა და რიყის მეტი არა იყო რა, იქ მშვენიერად შემკულ მცენარეულობას მოიყვანს, მოაშენებს ცხოველთ"... „სადაც სიმშვენიერეა, სადაც გული სიამით გაიშლება, იქ ადამიანს შეუძლია სიკვდილი დაბადოს, იგი გაანადგუროს და გააოხრონ, თუკი მისი გონება მოითხოვს. მაშ გაუმარჯოს ადამიანს — ბუნების მეფეს".

დიახ, ადამიანი ერთი შეხედვით თითქოს, მართლაც ასეთია,

მაგრამ საკმარისია სულ ცოტა გაუჯიუტდეს ბუნება — მხოლოდ ერთხელ დაიგრგვინოს ზეცაში და კოკისპირულად გაწვიმდეს, რომ ამ ტრაბახა არსებამ მაშინვე კუდი ამოიძუოს, უძლურად მოიხაროს ქედი და თავისი პიროვნების გადასარჩენად სოროში შეძვრეს.

გარდა ამისა, რომ ადამიანი სუსტი და უღონო არსებაა, იგი იმავე დროს დაუნდობელი ეგოისტია, რომლის გამარმალებული ეშვები არავის არ იბრალებს. ყოველივე წმინდა და იდეალური გაჰქელა მან: სიყვარული, მეგობრობა, თავდადება მოყვასისათვის, პატიოსანი სიტყვა, ყველაფერი ეს უშინაარსო სიტყვებია მისთვის.

წმინდა სიყვარული ადამიანმა ანგარებიან გრძნობად აქცია, ორპირობს მის გარშემო, თვალთმაქცობს. ამ თემას არაგვისპირელი რამდენჯერმე უბრუნდება და ყოველთვის ადამიანის სისაძაგლეს გადმოგვიშლის. ეტიუდები: „ქარი კი ზუოდა, კვნესოდა და გმინავდა“, „მხრები-ღა ავიჩეჩე“, „ბალღი ყოფილხარ“ — ამ თემებზეა აგებული.

ადამიანის ორპირული ცვალებადობა და ეგოიზმი ყოველთვის იმას ცდილობს, რომ თავისი ქვენა გრძნობები თეორიულად გაამართლოს. „წერილის ნაგლეჯში“ — ვკითხულობთ: „მაგრამ მხოლოდ მაშინ ხარ ჩემი ყველაი, როდესაც გხედავ, ან მაგონდები. როდესაც კი შენს მაგივრად სხვასა ვხედავ ან მაგონდება სხვა ქალი, რომლის წინაალმდეგ არა მაქვს რა, მაშინ... მაპატიე ჩემო კარგო, შენდამი სიყვარული აღარ არსებობს, შენ აღარა ხარ ჩემი ყველაი. ჩემი ყველაი ის... ის არის, რომელ მშვენიერსაც ვხედავ და რომელი მშვენიერიც ჩემს წინ დგას იმ ჟამად. ის მიყვარს იმ ჟამად, გაგიჟებით მიყვარს და ეს გრძნობა ისეთივე გულწრფელია, როგორც შენდამი“.

მეგობრობა რომ სისულელეა, ამას არაგვისპირელი „ბალღი ყოფილხარში“ გვიჩვენებს. უნდა ფიქრობდე მხოლოდ შენს პირად სიამოვნებაზე და, სულერთია, სადაც დატკბები და ვისთანაც ინეტარებ. მეგობრის წინაშე ერთგულების ფიცი და ამავე დროს მის ცოლთან მრუშობა სრულიად კანონიერი და დასაშვები მოვლენაა. ამ რწმენისაა ამ ეტიუდის გმირი.

* *
*

არაგვისპირელი რომ მარტო ამ თვალსაზრისით უდგებოდეს ადამიანს, იგი წმინდა წყლის მეტაფიზიკოსი იქნებოდა და, როგორც ასეთი, ვერასოდეს სათანადოდ ვერ შეიცნობდა ადამიანის ბუნების რაობას. მართალია, ადამიანი ხშირად ეგოისტი და დაუნდობელია, მაგრამ როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ნაწილი, ისიც

გარდუვლად ემორჩილება სინამდვილის დიალექტიკას. ამიტომ სწორი არ არის, როცა მას დროისა და სივრცის გარეშე უდგებიან და განყენებულად ცდილობენ მისი ხასიათის შეცნობას. ხშირად არაგვისპირელი ერთობ ნაძალადევ ექსპერიმენტს ახდენს ადამიანის სულსა და გულზე. მისი ფსიქოლოგიური ეტიუდები მხოლოდ ერთ მომენტში იხილავენ ადამიანს, სახელდობრ ავადმყოფურ — ნერეიულ მდგომარეობაში და რა გასაკვირია, რომ ამ დროს ერთგვარ ცალმხრივობაში ჩავვარდეთ. ამ ავადმყოფური მომენტის განზოგადებაც შეცდომა იქნებოდა.

ამას უსათუოდ გრძნობს შ. არაგვისპირელი და რამდენადმე ახერხებს ერთხელ შემუშავებული ა'ზრის თავიდან მოშორებას, ადამიანის ბუნებას სხვა თვალსაზრისითაც ახასიათებს: შავი საღებაეებით შეზავებული სურათების გვერდით, ხანდახან ფერად ფერებსაც გვაჩვენებს.

ნისი ეტიუდის ერთი პერსონაჟი მუცელზე ხელის დაკვრით ამბობს: აი ჩვენი პირველი და უკანასკნელი მიზანი. ცოტა გაფართოებით, ამ მცნებას ხელს მოაწერდა შიოს თითქმის ყველა გმირი, მაგრამ მან გვიჩვენა ისეთებიც, რომელთა გულშიც მაგრად ღვივის იდეალური სიყვარულის ცეცხლი: ისინი ღრმად გრძნობენ უხეში სინამდვილის წიაღში ყოველივე მაღალის და უმწიკვლოს შეურაცხყოფას და მათი არსებაც თავგამოდებით ებრძვის ყოველგვარ სიბინძურეს. ამ შემთხვევაში არაგვისპირელი უსათუოდ სწორად უდგება ადამიანის სულსა და გულს.

შიო არაგვისპირელი საზოგადოდ ისეა განწყობილი, რომ ცხოვრებაში სიცუდის მეტს ვერას ხედავს: ამ ნიადაგზე ხანდახან უკიდურესობაშიაც კი ვარდება, მაგრამ შიგა და შიგ მისი შემოქმედება ჯანსაღ ელემენტებსაც შეიცავს. ვიმეორებ, მხოლოდ ამ შემთხვევაში მიწვდა იგი ცხოვრების დიალექტიკას და ცალმხრივობასაც თავი დააღწია. მისი გული თითქოს სამუდამოდ არის გაბზარული ადამიანის საშინელების გამო, მაგრამ არის მომენტებიც, როცა გაბზარული გულიც მრთელდება.

* *
*

აქ მინდა გაკვრით შევეხო არაგვისპირელის, შედარებით დიდ ნაწარმოებს — „გაბზარულ გულს", რომელიც „ცისარტყელაში" დაიბეჭდა. ეს მოთხრობა — არაკი მწერლის შემოქმედებას არც იდეისა და არც სტილის მხრივ არ ახასიათებს. მოთხრობის სიუჟეტი ერთობ ნელა ეითარდება, ხან წარმტაცად გეჩვენებათ, ხანაც მომხიბლაობას ჰკარგავს. არაკში მრავალი წარმტაცი სურათია, მაგრამ

იდეურად არ არის გამართული, და დასრულებისას გაურკვეველობასა და უკმაყოფილებას გრძნობთ.

მეოცნებე ოქრომჭედელი მახარე მოხიბლულია კაცია-ბატონის ქალის — ეთერის წარმტაცი ხმით და ცდილობს ისეთი ზარი გამოსჭედოს, რომელიც ეთერის ხმასავით წკრიალა იქნება. დიდი ხნის შემოქმედებითი მუშაობის შემდეგ ამ მიზანს მიაღწევს და კოშკში მომღერალ ეთერს ბანს აძლევს თავის საოქრომჭედლოდან. ეთერს თავზარს სცემს ეს. და რაღაც ჯადოქრობა ჰგონია. როდესაც გაიგებს რაშიცაა საქმე, გადასწყვეტს ეს ზარი შეიძინოს. ამ დროს ის ამჩნევს, რომ მახარეს უანგაროდ შეჰყვარებია იგი. ანგარებიან საქმროებით თავმობეზრებული ეთერი მახარეს სამაგიეროს მიუძღვნის და სიყვარულის აკრძალულ ნაყოფსაც იგემებენ, ამასთან ერთად ეთერი იმ ზარსაც დაეპატრონება. ამის შემდეგ ეთერს მოტყუებით შეირთავს მეფისწული; მახარე დარდით გადაიკარგება. მახარეს მოტრფიალე ეთერი მეფისწულს ცოლობას არ უწევს და ზარის ხმით აპირებს გართობას, მაგრამ ზარი შემთხვევით იბზარება და ეთერის დაქორწინების შემდეგ დანჯღრეულად რეკავს. ვერავინ ვერ გაამრთელა ვერც ზარის და ვერც ეთერის გული. ეთერი მამის სახლში ბრუნდება. აქ მახარესაგან ვაჟი შეეძინება, მახარეც მოდის. ამ დროს მეფე და მეფისწული ომს იწყებენ. საომრად მიდის მახარეც. ირკვევა, რომ მეფეს ხალხისათვის უღალატნია, ხალხი მას ჩაქოლავს, მახარე შეეცადა, დაეცვა იგი, მაგრამ მეგობარმა ირემამ ლამის ისიც ჩააქოლვინა ხალხს. მახარე ტირის — ხალხის მტრად დამსახა ირემამო. ასე თავდება ეს გაჟიანურებული და საკმაოდ დაბნეულ სიუჟეტზე აგებული არაკი, რომელმაც ერთ დროს დიდი აღტაცება და მოლოდინი გამოიწვია.

შიო არაგვისპირელის სახელი და არაკის პირველი ნაწილი, მართლაც დიდ იმედს უღვიძებდა მკითხველებს, მაგრამ მოლოდინი ვერ არის გამართლებული. როგორც ეტყობა, ავტორს მარადიული ძიება და ამის შესაფერი შემოქმედებითი მუშაობა უნდა ეჩვენებინა, მაგრამ აშკარაა, რომ მიზანს ვერ მიაღწია: ვერც იდეა წამოაყენა გარკვეულად და ვერც ტექნიკურად დასძლია იგი.

შიო არაგვისპირელმა პირველი რევოლუციის ზოგიერთი მომენტის ასახვაც სცადა ნაწარმოებში „საშინელებაა" (გრდემლი" № 1), მაგრამ აქაც დამარცხება განიცადა. ის არ იყო მებრძოლი ბუნებით, მისი სული სულ სხვა ყალიბის იყო და უჩვეულო გზაზე სიარული არ ეხერხებოდა.

ასეთი არის არაგვისპირელის შემოქმედება, როგორც ფაქტი, რომელიც წარმოიშვა განსაზღვრულ ისტორიულ — საზოგადოებრივ პირობებში. თუ ეს პირობები უგულებელყოფით, მაშინ ამ ფაქტის წარმოშობის მიზეზები ჩვენთვის გაუგებარი იქნება; ჩვენი

მსჯელობა განყენებული იქნება და ისეთ ცალმხრივობაში ჩავარდებით, როგორშიც განსვენებული მწერალი ხშირად ვარდებოდა, როდესაც ადამიანის რაობას ერთობ ხელოვნური ექსპერიმენტით იკვლევდა.

არაგვისპირელის სამწერლო ასპარეზზე გამოსელისა და მისი ნიჭის გაფურჩქვნის ხანა (1890—1900 წ.) როგორც რუსეთში, ისე ჩვენში, მუშათა კლასის და საზოგადოდ დემოკრატიული ფენების ამოძრავების ხანაა. რუსეთის დიდი შიმშილობა და მასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ძალების ამუშავება, მრეწველობის აყვავება და პროლეტარიატის ორგანიზაციულად დარაზმვა, — აი რას ვხედავთ რუსეთში და მერე ჩვენში. 80-იანი წლების მომშხამველი რეაქცია იფანტება, ყინული გალხვა.

ეს გამოცოცხლება ლიტერატურასაც ეტყობა. ამ დროს წარმოიშვა რუსეთის უდიდესი იმედიანი და აღფრთოვანებით აღსავსე მწერალი მ. გორკი. იგი თავისი „ქარიშხლის წინამორბედით", რომელიც ჩეხოვის წარბებდაშეებული და სევდის მეონავი შემოქმედების გვერდით ფეირვერკივით ავარდა ზეცაში. ინტელიგენციის ნაწილი აღფრთოვანებით მიეგება გორკის რევოლუციონურ რომანტიკას, ნაწილი კი ისევ თავჩაქინდრული იყო, არა სწამდა საზოგადოებრივი ძალების გამოცოცხლება და თავის „გაშიშვლებულ სულს" ჩაჰყურებდა.

ჩვენში, თითქმის ამგვარსავე მოელენას ჰქონდა ადგილი, თუმცა მიზეზები სხვა იყო. გაბატონებული ინტელიგენციის დიდი უმრავლესობა, რომელიც თავადაზნაურული წრეებიდან იყო გამოსული, და რომლის მოღვაწეობა 60-80-იან წლებიდან იწყებოდა, საკმაოდ უიმედო სულისკვეთებას ატარებდა. ამის მიზეზი ქართული ნაციონალიზმის უნუგეშო მდგომარეობა იყო. ერის მხსნელად თავადაზნაურობა იყო მიჩნეული. ეს წოდება, კი უკვე აშკარად ჩანდა, რომ ბატონყმობის შემდეგ პირქვე დაექანა. ბევრი რეცეპტი დაიწერა იმის შესახებ თუ „რა უშველიდა თავადაზნაურობას".

ეს ინტელიგენტური უიმედობა ლიტერატურაშიაც გადავიდა: ილია და აკაკი ზოგჯერ უიმედოდ უცქერიან საქართველოს ბედს. ილია თავის „აჩრდილში" გულდათუთქული ამბობს ძველი საქართველოს ეროვნული ემბლემის — მცხეთის შესახებ „აწ სამკიტნო დაბად გამხდარა". თუმცა აკაკი სიხარულით მღერის: „არა, აყვავდეს იმედი, გულს ვერ გამიტეხს ჭალარა", მაგრამ ეს სიტყვებიც მას ეკუთვნის: „ჩემო თავო, ბედი არ გიწერია".

ჩვენში გაბატონებულ აზროვნებას არ სწამდა, რომ საქართველოს ბედი ერის მშრომელი ნაწილის ამოძრავებასთან იყო დაკავშირებული და უიმედობას გამოთქვამდა. მესამედასელების წარმოშო-

ბა და მუშათა კლასის ჩანასახების ამოძრავება უკანონო და შემთხვევით მოვლენად იყო მიჩნეული.

შიო არაგვისპირელიც ამ უიმედოდ განწყობილ ფენებში მოჰყვა და მამათაგან ნაანდერძევი სკეპტიციზმი უფრო გააღრმავა და გაამშვენიერა. ის ყოველმხრივ უიმედობას ხედავდა: განწირული გლეხობა, ეროვნული იდეის სიკვდილი („ჩემი სამშობლო ჩემი გულია") და მისი პასიური ბუნებაც „გაშიშვლებული სულის" ანალიზს შეუდგა. რასაკვირველია, აქ არ არის დოსტოევსკისებური 35 ათასი ვერსის შემოვლა თავისივე სულის გარშემო, ვერ ვხედავთ კარამაზოვ — რასკოლნიკოვების შემარყეველ სულში ჩაძირვას, მაგრამ შიოს ნიჭი მაინც საკმაო სიძლიერით გაგრძნობინებთ ადამიანის ტრაგედიას.

უდროობის და უიმედობის ხანა ხელს უწყობს განყენებულ აზროვნებას და სინამდვილის ზურგის შექცევას. ბარათაშვილსაც ასეთმა ურდოობამ ათქმევინა: რა არის ჩვენი ყოფა-წუთისოფელიო, მაგრამ მგოსნის მჩქეფარე ტემპერამენტმა გამოსავალიც იპოვა: არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოსო და სხვა... არც არაგვისპირელია სრულიად უსასოო, მასაც სწამს ციცინათელას ბრძოლა, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ მისი შემოქმედება უმეტეს შემთხვევაში სწორედ უსასოობით არის გაჟღენთილი. თავისმა ეპოქამ უსათუოდ ღრმა ბეჭედი დაასვა მის ნაზ სულს, რომელიც არასოდეს არ შერიგებია მის გარშემო გამეფებულ სიმახინჯეს: ებრძოდა ადამიანის ეგოიზმს და დაცემულობას, გულს უწამლავდა თავისი დროის სოციალური და ეროვნული უბედურობანი. მისი არსება არასოდეს არ შერიგებია გარეშე ცხოვრებაში არსებულ უსამართლობას, შიოს გაბზარულ გულს არასდროს ყალბი კვნესა არ ალმოხდენია.

ვლადიმერ მესხიშვილი როგორც მოქალაქე

(მოგონება)

ვლადიმერ მესხიშვილს ყველანი ვიცნობთ, როგორც დიდ ხელოვანს, დიდებულ არტისტს. მისმა ნიჭმა უმაღლეს საფეხურზე აიყვანა ქართული დრამატული ხელოვნება. ქართული თეატრი რომ ხალხის კუთვნილებად გადაიქცა, ამაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ამ ადამიანის მოღვაწეობას. მესხიშვილი მთელი ეპოქაა ქართული თეატრის დემოკრატიზაციის საქმეში.

მაგრამ თანამედროვე თაობა მას არ იცნობს, როგორც მოქალაქეს, როგორც ხალხის პოლიტიკური ცხოვრების თანამოზიარეს.

მე მინდა მოვიგონო დიდი არტისტის ცხოვრებიდან ერთი მო-

მენტი, რომელიც სამუდამო ბრწყინვალებით ჩარჩენილა ჩემს მეხსიერებაში. ეს წუთები ადამიანის კეთილშობილურ გრძნობათა უდიდეს დემონსტრაციად წარმოგეიდგება. ამ დაუვიწყარმა ფაქტმა ასჯერ უფრო ძლიერი კვალი დააჩნია ჩემზე, ვიდრე წიგნთა მრავალმა ტომმა.

და განა მარტო ჩემზე? დარწმუნებული ვარ, ისინიც ჩემსავით თბილი გრძნობითა და განუზომელი სიხაზით იგონებენ ვლ. მესხიშვილის ცხოვრებიდან ამ ვაჟკაცურ სულიერ სიდიადეს, ვისაც წილად ხვდა ბედნიერება ენახათ ესოდენ დიდებით მოსილი მესხიშვილი.

ეს მოხდა პირველი რევოლუციის ბობოქრობის დროს, 11 აპრილს, ქუთაისის თეატრის სცენაზე. მთელი საქართველო რუსეთთან ერთად რევოლუციურ ქარტეხილს შეეპყრო, ჩვენს სამშობლოში უჩვეულო გრიგალი ტრიალებდა, ამგვარი მოძრაობა ქართველი ერის ისტორიაში ჯერ უნახავი და განუცდელი იყო. ისტორიის ეკლიან გზაზე მთელი ერის უდიდესი ნაწილის გამაერთიანებელი გრძნობები პირველად ფეთქაედნენ, ქართველობის სხვადასხვა ნაწილი ბევრჯერ აღუფრთოვანებია ძველ დროში აღტაცების გრძნობას. მტერთა შემუსერა და „ჰკა მაგას" ყიჟინით მუდამ გაყრუებული იყო ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალი.

ქართველო, ხელი ხმალს იკარ,
დრო მოდის გამარჯვებისა.

ერთნაირად ნაცნობი ჰიმნი იყო ქართლელისა და იმერლისთვისაც, კახელისა და მეგრელისთვისაც... ეროვნული შინდისფერი დროშა ხევსურსაც ისეთი ვაჟკაცობით ეპყრა, როგორც ჯავახელს. გურულსაც ისე აკავშირებდა იგი, როგორც ფშაველს...

მაგრამ წითელი ფერის ალმის ფრიალი საქართველოს მიწა-წყლის თითოეულ ნაწილში და ისიც ერთსა და იმავე დღეს, ერთსა და იმავე წამში, ჯერ არავის ენახა...

ფეოდალური დაქსაქსულობა აფერხებს ქართველი ხალხის კონსოლიდაციას.

დღეს კი ჭეშმარიტად განსაცვიფრებელი გაერთიანება დამყარდა. წითელმა დროშამ მთელი მშრომელი საქართველო შეაკავშირა და ერთ ეროვნულ შეგნებაში გააერთიანა. „ქართლის ჭირი" სრულიად საქართველოს ჭირად გადაიქცა. გურიის გასანადგურებლად გაგზავნილი ალიხანოვის ჯარები, თბილისის გარეუბნისა და კახეთის გლეხთა მოთხოვნებით დამფრთხალმა მეფის მთავრობამ, უკანვე გამოიწვია.

— გურულები ჩვენი ძმები არიან, მათი სისხლის დაღვრა, ჩვენ-

თეის ყელის გამოჭრას ნიშნავსო, — განუცხადეს აღმოსავლეთ საქართველოს მშრომელებმა მეფის ჯალათებს...

მე მაშინ ჯერ კიდევ უწვერ-ულვაშო მასწავლებელი ვიყავი... 23 მარტიდან მთელმა მასწავლებლობამ მეფის რეჟიმს გაფიცვა გამოუცხადა... სკოლებში შესვლას მანამდე არ ვაპირებდით, სანამ დამფუძნებელი კრება არ იქნებოდა მოწვეული... არც მეტი, არც ნაკლები... საზოგადოება აღელვებულია სვანეთში შამშე გელოვანის თავად გარდაფხაძეების მიერ მოკვლის ამბით... ხალხი აღელვებულია, ხიდები აყარეს, სვანეთის გზები შეიკრა. გარდაფხაძეები კოშკებში ჩაიკეტნენ.

სკოლიდან გამოქცეული ქუთაისში ჩამოვედი. თეატრში თავადაზნაურობის კრებაა. მაშინვე აქეთკენ გავექანე. შავ ხალხთან ერთად მეც ქანდარაზე ავიპარე... აბა პარტერში ვინ შემადგმევინებდა ფეხს... აქ იყვნენ ჩოხოსნები, ხანჯლოსნები, სერთუკიანები... ეხედავდი თათქარიძეებს, სოლომონ მორბელაძეებს, ტარიელ მკლავაძეებს, ჭაეჭავაძის არჩილებს, კესოებს... თავადი დავით ნიკარაძე „თოფითა და ჯინჯილით“ ბუმბერაზულად გამოიყურებოდა, ტელმაკ გურიელი თავისი გაჩეჩილი თმით, ფაფანაკით, მოკლე ჩოხით, გადაგდებული ყაბალახით და მესტეხიანი პატარა ფეხებით კოდალას ჰგავდა, ლეჩხუმელი ოქროპირი — იასონ გელოვანი პათეტურად შლიდა თეთრი ჩოხის სახელოებს, ხიკოკია თაყაიშვილი უშნოდ აწოწვილიყო და... ენამახვილობდა...

მე კი ქანდარიდან გადმომეყო თავი და გაკვირვებული ეუცქეროდი ამ განსაცვიფრებელ ადამიანთა გროვას. ამდენი თავადი, ამდენი აზნაური ჩემს სიცოცხლეში არ მენახა..

ისმის ხმაური, ყვირილი, დავა... გუბერნიის მარშალი, სვიმონ წერეთელი, რევაზ ბაკურაძე — ძლივს აწყნარებენ კრებას.

მესმის ვიღაც მოხუცი ლაპარაკობს, მერე გავიგე, რომ ჯაფარიძე იყო; „75 წლისა ვარ და ასეთ ამბებს არ მოესწრებივარ, არ ვიცი, სიზმარში ვარ თუ ცხადში. ახლანდელ მდგომარეობაში დამნაშავენი ახალგაზრდები არიან, მათ ააღელვეს გლეხობა, მათვე უნდა დააწყნარონ სოფელი, ამ 40 წლის წინათ ჩამოჭრეს ზარი და გაათავისუფლეს გლეხობა; დღეს მეორედ ჩამოჭრეს ზარი და იძახიან: გლეხებო, თქვენია ყოფა-ცხოვრებაო, ვინ იცის, ხვალ ეგება მესამედაც ჩამოჭრან და ცოლები, ან ქალიშვილებიც ჩამოგვართვან“... („ივერია“, № 55, 1905).

გაათავა მოხუცმა და შორაპნელი თავადი დ. იაშვილი — გამოწკეპილი ტარიელ მკლავაძე თავზარდაცემული გაჰკივის ტრიბუნიდან:

„ოჯახები მიგვიტოვებია, არ ვიცით, შინ ცოცხალი ჩავალთ თუ არა“.

მომაგონდა, გაზეთ „ივერიაში“ (ამ დროს ფილიპე გოგიჩაიშვილი იყო მისი რედაქტორი) დაბეჭდილი ერთი თავადის მიერ თბილისში, კრებაზე ნათქვამი სიტყვები:„ბატონებო, გლეხები ჩვენზე ძალას ხმარობენ, ჩვენც ძალით უნდა შეეგებნეთ, ისინი ამბობენ, — ჩვენ არავითარი ძალის არ გვეშინია, ძალა ვერ გაგვაჩერებსო. მაგრამ უნდა დავუმტკიცოთ, რომ ჩვენც შეგვიძლია, ჩავაქროთ ეს მოძრაობა; ჩვენ უნდა მივიღოთ სასტიკი ზომები, მთავრობას უნდა მოვთხოვოთ, რომ ჯარი მოგვცეს ამ სტიქიური ძალის მოსასპობად“ („ივერია“, № 20, 1905).

— ომი უნდა გამოეუცხადოთ, — გაჰკივის იქვე თავადი დ. ჩოლოყაშვილი.

— გლეხების საწინააღმდეგოდ თავადებს ქუთაისსა და თბილისშიც ერთი ენა აქვთ, — ვფიქრობ მე... ამ დროს ისევ იაშვილი გამოდის სცენაზე და ასე მეტყველებს:

— პირადად მე ხალხის ამაღელვებლებს არ ვიცნობ, — ეს კი ვიცი, რომ მისი წამქეზებლები ისევ სერთუკოსნები არიან. ხალხთან ყოველთვის ერთობა გვქონდა (ალბათ, ექსპლოატაციის ნიადაგზე. ვ. ხ. (—ამ ორი წლის წინათ ერთი მსახიობი შეიქნა ავადყველა დაეხმარა. ზოგმა თუმანი გაიღო, ზოგმა 5, ზოგმა 3 მანეთი, ზოგმა უკანასკნელი მანეთიც კი შესწირა და რა გამოვიდა ამით? მორჩა თუ არა, აი, აქ, ამ სცენაზე ისეთი წარმოდგენების მართვა დაიწყო, რომ სულ სამარეს გვითხრიდა თავადაზნაურობას“.

ეს მსახიობი იყო ვლადიმერ მესხიშვილი, რომელიც იქვე იჯდა ლოჟაში და თავისი აპოლონ ბელვედერის მშვენიერებით ზიზღით გაჰყურებდა ულვაშებაპრეხილ ჩოხოსანს, რომელსაც ქანდარა უსტვენდა, პარტერი ტაშს უკრავდა, ხოლო „სერთუკოსნები“ იგივე თავადები, მაგრამ ლიბერალურად განწყობილი ინტელიგენტები, — ვექილები, ექიმები და სხვ. — დარცხვენილი და გაწითლებული უსმენდნენ, ზოგი მათგანი სიბრაზით კბილებს აკრაჭუნებდა, „მამათა სიშიშვლის“ გამო.

როგორ შეგვარცხვინეს ჩვენმა მამებმა!.. ჩვენ ქვეყნისათვის ავტონომია გვინდა მოვითხოვოთ და ესენი საქვეყნოდ თავს გვკრიანო, — გაისმოდა მათ შორის.

„მამათა და შვილთა“ ნამდვილი ომი იყო, — „ქარიშხალი ჭიქა წყალში“, თანაც მესხიშვილის, ამ ეროვნული დიდების წინაშე,— ბოდიშს იხდიდნენ.

— ნუ გეწყინებათ, აპატიეთ, ჩვენი მამები ძველი ხალხიაო.

სიტყვების ლამაზი ლეჩაქით ფარავდნენ მამათა სიშიშვლეს პატრიარქ ნოეს ორი შვილის მსგავსად.

მესხიშვილი კი საპასუხო სიტყვას მოითხოვს. მაგრამ ნებას არ აძლევენ, არც თავადი ხარ და არც აზნაურიო. არტისტი ცხარობს,

წყრება, ნამდვილი ზეესია, თვალთაგან ცეცხლს აფრქვევს და თითქმის ძალით იპერს ტრიბუნას...

რა სანახაობაა... გაცეცხლებული აპოლონი: თეთრი ზამბახებით შემკული თავი, გაშლილი შუბლი, წარბებად ისრები, თვალთაგან ცეცხლი...

ქანდარა ოვაციებს უმართავს „შეილები" — სერთუკოსნები — ლირიკულად სცემენ ტაშს, მაძები ბუზღუნებენ, თაეძ ჯდომარეძ არ იცის, რითი იმართლოს თავი... „გუბერნატორმა თუ გაიგო", — ჩურჩულებენ ნიკარაძეები, წერეთლები, გელოვანები, გურიელები...

...და აი ალაპარაკდა მშვენიერება, ამეტყველდნენ მესხიშვილის ბაგენი... უცებ სამარისებური სიჩუმე მყარდება.

— ბატონი იაშვილი მაყვედრის, — ლაპარაკობს მესხიშვილი,— რომ ჩვენ ფული შევუკრიბეთ ჩვენს არტისტს, მოვარჩინეთ და ის კი ისეთ წარმოდგენებს მართავს, რომ თავადაზნაურობას სამარეს გვითხრისო, მოგახსენებთ, ბატონო იაშვილო რომ მე აზნაურობას არ ვეკუთვნი! მე ვეკუთვნი მთელ ერს! ფულს კი არ ვემსახურები, არამედ სცენას, ჩემს რწმენას და ვერავითარი სასყიდლით ვერავინ ვერ მიყიდის და ვერ მათქმევინებს იმას, რაც ჩემს რწმენას ეწინააღმდეგება. ალბათ, იაშვილს „კაი გრაკხი" აქვს მხედველობაში. მერე რა ვთქვი მე ამ პიესაში? დავანახვე თავადაზნაურობას მისი ნაკლოვანებანი, მისი გონებრივი და ზნეობრივი სილატაკე? მისი არარაობა დღევანდელ ცხოვრებაში... (ყვირილი, არ ალაპარაკებენ, რამდენიმე ხნის შემდეგ მესხიშვილი ლაპარაკობს)—აი, თქვენ შეკრებილხართ საერთო საკითხის გადასაჭრელად. აქ ბევრი წინააღმდეგია დღევანდელი ბიუროკრატიული წესწყობილებისა და კიდევ გამოსთქვამს თავის აზრს, მე წინააღმდეგი ვარ, მაგრამ მე აქ ლაპარაკის ნება არა მაქვს, საპასუხო სიტყვასაც კი არ მანებებენ; მე კი, რა შემიძლია გითხრათ თამამად: თავადაზნაურობამ დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა, იგი თავისი საქციელით ხშირად წინააღმდეგია დღევანდელი მოძრაობისა, იგონებს რაღაც უმნიშვნელოს და ეიწრო საშუალებებს და ფიქრობს ამით განმათავისუფლებელი წინსელა შეაჩეროს... თქვენ თუ კავშირი და მოქმედება გინდათ, შეუერთდით ხალხს საერთო მტრის წინააღმდეგ გასალაშქრებლად, — აი ნამდვილი და უებარი წამალი. სამი დღე კრებები იმართება და ყვირილის და არეულობის მეტი არაფერი გაგიკეთებიათ, ეს თქვენი თხოვნები და პეტიციები ერთ გროშადაც არა ღირს, ყველაფერი ფუჭია. აი, ამას გეუბნებით მე დღეს აქ, ამას გეტყვით მე ყოველთვის იქ, სადაც ჩემი ნამდვილი ასპარეზია, სადაც წმინდა მოვალეობა მიმიწევს, — აი, ამ სცენაზე... ახლა ხომ ხედავთ. რა ძლიერი ყოფილა აქედან წარმოთქმული სიტყვა, როგორ დაუწვავს გული ზოგიერთისათვის. დიაღ, ეს სიტყვა ყოველთვის ძლიერი ყოფილა და იქნება, ვიდრე თქვენი

უსუსური ლაპარაკი, მესხიშვილი კიდევ შეგაკრებინებთ ფულს, როცა მართალი სიტყვის გაგონება მოგინდებათ სცენიდან"[1]...

... და მესხიშვილის აბობოქრებული ზევსური სახეც მოსწყდა ტრიბუნას, შეწყდა აპოლონის მეტყველება...

რომ იცოდეთ, რამდენი სიძლიერე და სილამაზე იყო ამ მართლაც სილამაზის მატარებელ ადამიანში. ასე მგონია, ახლაც მესმის მისი ხავერდოვანი ხმა, რომელმაც ასეთი სიძლიერით იცოდა უსაზღვრო გულისწყრომის აღმოთხევა... არა მგონია, რომ ქართველ თავადაზნაურობას ამაზე საშინელი სიტყვა მოესმინოს თავისი ისტორიის სამარცხვინო გზაზე.

ათასჯერ მოვყოლილვარ ამ ამბავს და ყოველთვის ასე დამისრულებია:

— ახ, ნეტავი თქვენი თვალით გენახათ ამ დროს მესხიშვილი!

ახლაც ამ სიტყვებით მივმართავ ამ სტრიქონების მკითხველს...

მხატვრული ლიტერატურა 1905 წელს

1905 წლის რევოლუციასთან დაკავშირებული ლიტერატურა სამ ნაწილად უნდა გაიყოს. პირველ ნაწილში შევა რევოლუციის წინა წლები, მეორეში — თავად რევოლუციური ხანა და მესამეში— რევოლუციური ეპოქის მომდევნო წლები.

ეს იქნება აღებული პერიოდის ლიტერატურის ქრონოლოგიურად განხილვა. მაგრამ ამ თვალსაზრისის გვერდით აუცილებელი იქნება მეორენაირი მიდგომაც, რომლის მიხედვით მთელი ხანა ვერტიკალურ განკვეთილობაში უნდა წარმოვიდგინოთ. ქრონოლოგიური თვალსაზრისის მიხედვით ჩვენ იძულებულნი ვიქნებით თანდათანობით აღვნიშნოთ ის ლიტერატურული მოვლენები, რომელთაც ადგილი ჰქონდა განსაზღვრულ ხანაში, ხოლო ამავე ხანის ვერტიკალურად განკვეთა ასეთნაირად გვესმის: როგორ ასახეს რევოლუციური ეპოქა ძველმა, უკვე დასრულებულმა და ცნობილმა მწერლებმა და, მეორე მხრივ, რევოლუციის პროცესში რაგვარ ახალ ძალთა გამოსვლას ჰქონდა ადგილი: ვინ და რომელი წრის ადამიანებმა მოჰკიდეს სამხატვრო კალამს ხელი და რა ლიტერატურული ღირებულება შექმნეს მათ?

* *

მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურა 1905 წლის რევოლუციის წინ საბოლოოდ ჩამოყალიბებული იყო.

---

[1] ეკრ. „მოგზაური", № 15, 1905; აგრეთვე, გაზ. „იმერია", № 55, 1905.

ჩვენი მწერლები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით მშრომელი ხალხის ინტერესების სადარაჯოზე იდგნენ და მხატვრული თხზულებებითა და პუბლიცისტური წერილებით ამხელდნენ ცხოვრების მანკიერ მხარეებს, რითაც რაზმავდნენ მშრომელ ხალხს უსამართლობის წინააღმდეგ.

1905 წლის რევოლუციის წინა პერიოდში რევოლუციურ მოწოდებად გაისმა დიდი აკაკის ჰანგები. იგი აღტაცებით მიეგება დიად სახალხო მოძრაობას და მხატვრული სიტყვით ეხმარებოდა მშრომელ ხალხს.

გარდა ეროვნული საკითხისა მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურა სოციალურ საკითხებსაც გვიშლიდა თვალწინ. როდესაც მეოცე საუკუნის მიჯნაზე ვდგებით და ერთგვარ შეჯამებას ვახდენთ, უთუოდ უნდა ვაღიაროთ, რომ ქართულმა ლიტერატურამ ამ დარგშიაც უდიდესი მუშაობა გასწია და მისი საზოგადოებრივი ფუნქციაც პირნათლად შეასრულა.

ჩვენმა ლიტერატურამ თავის დროზე მხატვრულად ასახა ახალი ეკონომიკური ვითარება, სოციალური დიფერენციაცია, ადამიანთა სხვადასხვა სახეები. გ. ერისთავის კომედიებში (50 წლები) მძლავრად გაისმის ახლად ფრთებგაშლილი ბურჟუაზიული კლასის ახმაურება.

დაწყებული მუშაობა განაგრძეს ანტონოვმა, არდაზიანმა და ჭონქაძემ. ეს გზა სამოციანი წლების აქეთაც მიმდინარეობს გ. წერეთლისა და ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებაში. 70--80-იან წლებში რუსული ლიტერატურისათვის მთავარ საგანს ახლად განთავისუფლებული გლეხი შეადგენდა. ეს მომენტი ჩვენმა ლიტერატურამაც წარმოგვიდგინა ხალხისანთა სახით. ანტონ ფურცელაძის, რაფიელ ერისთავის, სოფრომ მგალობლიშვილისა და ნიკო ლომოურის შემოქმედება ფრიად მნიშვნელოვანი ღირებულების შემცველ მომენტებს წარმოადგენს ქართული ლიტერატურის ისტორიის გზაზე. ამ ჯგუფის მწერალთა ზეგავლენით იწყებენ მხატვრულ შემოქმედებას ი. დავითაშვილი, ნაწილობრივად ალ. ყაბეგი, ვაჟა-ფშაველა, ეკ. გაბაშვილი, შ. არაგვისპირელი, დ. მეგრელი და სხვები.

თავადაზნაურული წოდების სრული გაღარიბების ცოცხალი სურათი მოგვცეს დავ. კლდიაშვილმა, მელანიამ და სხვ.

იოსებ დავითაშვილის შემოქმედება იმ მხრივ არის აღსანიშნავი, რომ მან სისწორით გადმოგვცა ახლად ფეხადგმული მუშათა კლასის სულიერი მისწრაფებანი და მით იგი პროლეტარული მწერლობის ნაადრევ მერცხლად უნდა ჩაითვალოს.

1905 წლის რევოლუციის მოახლოვება ქართულმა მწერლობამ ადრე იგრძნო, პირველ მერცხლებად უნდა ჩავთვალოთ �ოდიონ ევდოშვილი და ია ეკალაძე. ევდოშვილის ლექსები რევოლუციონურ

ცეცხლს აჩაღებდა სახალხო განმათავისუფლებელი მოძრაობის გარიჟრაჟზე. მუშათა წრეებში, ოჯახებში სკოლებში, სცენაზე და რევოლუციონური ინტელიგენციის რიგებში აღტაცებით კითხულობდნენ მის ლექსებს. ია ეკალაძის მოთხრობებიც დიდ გავლენას ახდენდა ამავე წრეებზე; 1904 წელს მისი მოთხრობების პირველი კრებულის გამოსვლამ აღტაცება გამოიწვია რადიკალურად მოაზროვნეთა შორის.

მოკლედ რომ აღვნიშნოთ, განელილი საუკუნის ჩვენმა ლიტერატურამ თავისი ძალ-ღონის მიხედვით უსათუოდ პასუხი გასცა ხალხისათვის საჭირბოროტო საკითხებს და ამით პირნათლად შეასრულა თავისი ფუნქციონალური დანიშნულება.

არც ერთი, ასე თუ ისე მნიშვნელოვანი საკითხი არ გამოპარვია მათ ყურადღებას: თავადაზნაურობის გადაგვარება — გაღარიბება და ბურჟუაზიული ურთიერთობის მოვლინება, დიფერენციაცია გლეხთა წოდებაში, მუშათა კლასის აწოძრავება და სხვ. საკითხები თავის დროზე იქნა მხატვრულად ასახული. ასე რომ, დაკვირვებული მკვლევარი პირველი რევოლუციის წინადროინდელ ჩვენს ლიტერატურაში საკმაო მასალას იპოვის, ყველა იმ მტკივნეულ საკითხს, რომელიც განელილმა საუკუნემ წამოაყენა და გადასაჭრელად უანდერძა მომავალს. როდესაც თქვენ კითხულობთ რაფიელ ერისთავის ლექსს

„— ე შაე მიწა მაინც რომ
სასყიდლად არა მქონდა,
შაე სამარემდინ — რა ე

—
მე რაღა დამაღონებდა“, —

აუცილებლად მოგაგონდებათ ის გლეხი, რომელსაც ბატონყმობის გაუქმებამ ვერაფერი შესძინა და რომ რ. ერისთავის გლეხების გვერდით ეგ. ნინოშვილის კაცია მუნჯაძეები და გოგია უიშვილებიც იყვნენ თავიანთი უუფლებობისა და უმწეობის მოსასპობად გამოსულნი. ხოლო ყველა ამათ წინ უსწრებდა ი. დავითაშვილის მუშა-პროლეტარის ცხოვრების ამსახველი სურათები.

ჩვენ მიერ მიღებული გეგმის თანახმად ჯერ შევჩერდებით იმ ლიტერატურულ პროდუქციაზე, რომელიც ძველი მწერლობის ზოგიერთმა წარმომადგენელმა შექმნა რევოლუციის პროცესში, შერე კი შევეხებით ახლად აზვირთებულ ცხოვრების ტალღებში წარმოშობილ მწერლებსა და მგოსნებს.

• •
•

როგორც ქრონოლოგიურად, ისე პროდუქციის ღირებულების მხრივ ყურადღებას იქცევს აკაკი წერეთლის პოეზია. აკაკი თავიდან-

ვე დემოკრატიულად განწყობილი მწერალი იყო: მეფის თვითმპყრობელურ რეჟიმს სალიტერატურო ასპარეზზე გამოსელიდანვე კიცხავდა: ასეთი განწყობილება ოთხმოციან წლებში უმაღლეს ხარისხამდე ავიდა, ამ წლებში დაწერა მან თავისი ცნობილი „ხანჯალი“, რომელსაც დაბეჭდვა მხოლოდ პირველი რევოლუციის ხანაში ეღირსა. გარდა ამისა მას ეჯავრებოდა ის წოდებაც, რომელიც ცარიზმის დასაყრდენი იყო. მე ვლაპარაკობ მგოსნის წოდებაზე, ე. ი. თავადაზნაურობაზე. ამ წოდების როლი აკაკის უკვე გათამაშებულად მიაჩნდა და მომავალში მისგან არაფერს გამოელოდა. ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ 1902 წელს აკაკი ასე ამღერდა:

„მაგრამ ვხედავ მომავალში
გამოსულა მუშად ერი,
ერთმანეთთან შეთანხმებით
ძლიერი და ბედნიერი.

გზა გაკაკავს და ხიდსაც აგებს
სისხლითა და ოფლით რწყულსა,
და მომავლის მოიმედე,
ალარ იმჩნევს წყლულად წყლულსა..
გამარჯვება ნამდვილ მუშებს,
ეაშა, ეაშა მომავალსა..
ის ასწორებს დღეანდლობის
გამრუდებულ გზა და კვალსა“.

აკაკიმ ინსტინქტურად იგრძნო ახალი დროის მოახლოვება და ალტაცებით თქვა:

„ნეტ: ცისარტყელად მესახვის
ოქროდი მომავლისა:
ნუსარი, შვიდფერი, შვიდძალი,
ტკბილად ამხელი თვალისა.

იქ ვხედავთ მეთაურებსა
კარგამოცელილად სუფველას,
როგორც ყოფილსა მყრალ ჭიად
აბრეშუმისა პეპელას..

ალარ არიან მათ შორის
კიკოლიკ-ტეტიველები,
რომ მოძმეთ გასაცარცვავად
ააფათურონ ხელები.
მათ ნაცვლად სხვები ჩაბმულან
მეთაურ მოწინაეედო... და სხვ.

რევოლუციის წინა წლებში მგოსანი თავის თავს ცეცხლით მქშინავ მთაზე გრძნობდა, მისი მხატვრული ალღო ამჩნევდა, რომ

საქართველოში ახალი განწყობილება ,ჩამოყალიბდა და ახლოა ის დრო, როდესაც სოციალური ,მიწისძვრა უნდა მოხდეს. და აი, გაისმა თუ არა პირველი გუგუნი, აკაკიმ 1905 წლის 6 მარტს ამოიმღერა:

„ამ დღეს ეელოდი, მოვესწარ!..
ვიცინი, ალარ ვსტირი მე!
ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ
გამოდით, თქვენი ჭირიმე!..
ბევრი რამ მითქვამს... რომ მეთქვა,
დავიმახინჯე პირი მე!..
ახლა არ გეგლეჯენ ენასა, —
სთქვით რამე, თქვენი ჭირიმე!
„ასჯერ გაზომეთ და ერთჯერ
გამოსჭერთ", ახლაც ვაკვირი მე,
ნუ აჩქარდებით! ნურც შიშობთ,
განმტკიცდით, თქვენი ჭირიმე!
ბევრი ვეცადე, ძირმწარეს
ვერ გავუთხარე ძირი მე,
ახლა კი თქვენი ყერია,
დაჭმარეთ, თქვენი ჭირიმე!
კუბოს კარამდე მისული
რაღა ვარ, განაწირი მე?
მაგრამ თან თქვენი იმედი
მიმყვება, თქვენი ჭირიმე!
ნუ გამიმტყუნებთ იმედსა,
ხომ ხედავთ, ალარ ვსტირი მე!
დრო მოდის — ერთად ეიცინოთ!
ეიცინოთ თქვენი ჭირიმე!

იმავე წლის ნოემბერში აკაკი ამბობს:

ასრულდა თითქმის, რასაც ენატრობდით
ჩვენ ამ ნახევარ საუკუნეში
და. როგორც სიმონ მოხეცებულსა,
შეც მომეფინა, მოხეცს ნუგეში.

მადლობა უფალს. მოვიდა წარღვნა,
რომ წაილეკოს უსამართლობა
და დაემკვიდროს ამიერიდან
შვება, თანხმობა, ძმობა, ერთობა.

ჩვენ არ შეგვიძლია მოვიყვანოთ ყველა ის ლექსი, რომელიც მგოსანმა დაწერა დასახელებულ ხანაში, მოვიყვანთ მხოლოდ ზოგიერთიდან თითო-ოროლა კუპლეტს. 1905 წლის დეკემბერში აკაკი წერს:

„ძირს, მთავრობავ უსამართლო!
ეელარ ვიტან გასაჭირსო",—

ყოველი მხრით გეძახიან:
„ძირს, მთავრობავ! აწ კი ძირსო!"
ხალხი იბრძვის!.. ხალხი ჰღელავს.
ვეღარ ასდებ აწ აღვირსო!..
ყოველის მხრით შეგძახიან:
„ძირს, მთავრობავ, ძირს და ძირსო!"

1906 წლის პირველ იანვარს მგოსანი ასეთი შინაარსის ლექსს აქვეყნებს „ინტერნაციონალის" სათაურით:

„აღსდეგ, ყოველი მხრის მუშავ!
გაიღვიძე, პროლეტარო!
ჩვენვე უნდა მოვეპოვოთ
ჩვენს თავს აწ დრო სანეტარო!
უნდა მტერი დავამარცხოთ,
ძალმომრევი, უსამართლო!
რა გვაქვს მასთან ჩვენ საერთო
საპირადო ან სამდალო?
ეს იქნება საბოლოო
შეტაკება მწარე ომი!..
და, თუ ვსძლიეთ, ჩვენთან ერთად
გაიხარებს ყველა ტომი.

. . ..

მოცლილ ხალხის მექთახორას,
ამ ქვეყნად რომ დაწანწალებს,
ნამუშევარს სტაცებს ღარიბს
და უკიდებს გულში ალებს,
უნდა დავსცეთ თავზე მეხი,
გაურჯელად ვინც ნეტარებს!..
გაუმარჯოს მხოლოდ შრომას,
მუშებსა და პროლეტარებს!..
ყოველი მხრის მუშა-ხალხი,
დროა, შეეკრბეთ, ნუ გაქვთ შიში!
უნდა მედგრად მივიტანოთ
იმ ჩვენს მტერზე იერიში!"

კლასთა ბრძოლის არსი, მოძრაობის სოციალური მოტივები და მჩაგვრელისაგან განთავისუფლების გზები აკაკის არ ჰქონდა ზუსტად რევოლუციური თვალსაზრისით აღქმული. მისი მთავარი მიზანი იყო. მეფის რეჟიმის დამხობა, ამ გზით საქართველოს განთავისუფლება. „მშრომელი ერი", აკაკის აზრით, ის ძალაა, რომელიც სამშობლოს დაიხსნის და „კავკასიონზე მიჯაჭვულ ამირანს" გაათავისუფლებს.

„სიმად ავიღე კალამი,
ჩანგით მივმართე წერასა
და შეეუერთე ჩემი სვეტ
გლეხისა ბედისწერასა", —

ამბობს აკაკი „მოხუცის ნატვრაში" და თან ეიმედება, რომ ქართვე-

ლი გლეხი, მართალია, ჯერ კლასთა ბრძოლას აწარმოებს, მაგრამ

„ქართველი გლეხიც ასეა:
სიმნელით გაბრუებული,
ჯერ შინაურებს ეხლება,
რომ მოიფხანოს იქ გული.
მერე შეუტევს გარეშეს,
შინვე რომ დაიგეშება
და მაშინ იხსნის თავს მხოლოდ,
მაშინ კი ენუგეშება.

მაგრამ, ფაქტია, რომ პოეტმა პირველი რევოლუცია დიდი აღტაცებით მიიღო.

მეორე დიდი პოეტი, რომელიც სიხარულით მიეგება რევოლუციას, ვაჟა-ფშაველა იყო.

ვაჟა ხალხისანთა მკვიდრი შვილია: მშრომელი ხალხი და მისი ინტერესები მისთვისაც საყვარელი იდეალი იყო:

„გულს ნე გამიტეხ ტანჯვაში,
მამყოფე შეედრეკლადა,
ვფიქრობდე, მუდამ მზად ვიყო
დაჩაგრულების მცველადა“.

ეს სიტყვები და მრავალი სხვა, ვაჟა-ფშაველას ეკუთვნის. რევოლუცია ჩაგრულთა ამოძრავების პროცესია და, როცა ვაჟამ ეს ამოძრავებული ელემენტები დაინახა, აღტაცებაში მოვიდა:

„ხმალს ლესავს ბერიკაული,
დაფიქრებული ძალზედა,
ჭლესავს დიდრონი სალესით,
თან ცერთ გადესობს ფხაზედა,
დიდხანს ეკიდა კაჩხაზე,
არ გატანილა კარზედა,
შემკვარტლილი აქვს ქარქაში
მტვერი სდებია ტარზედა“.

ბერიკაური ვაჟას წარმოდგენით რევოლუციისათვის ამოძრავებული ადამიანია. ასეთივე პერსონაჟი დახატა მან პოემაში „მოლოდინი“. ბესო ქალაქში იყო სამუშაოდ, ღარიბი ცოლ-შვილი მოუთმენლად მოელის მას, მაგრამ მის მაგივრ წერილი მოსდით ერთობაში მონაწილეობისათვის ციხეში ვზივართო. თავისი დამოკიდებულება რევოლუციისადმი ვაჟა-ფშაველამ ასე გამოთქვა:

„მათრია წუთისოფელმა
და მომათრია დღემდისა,
ნასვამი შხამი, ნაღველი
დღეს, ვხედავ, ტკბება ჩემთვისა.
ფრთები შეისხა ოცნებამ,
მტკივანი წელი მირჩება,

თითო წელს ათასად ჩაეთელი,
რაც წარსულს გადამირჩება.
ამიერიდან ჭაღარაც
შავფერად გარდაქმნება,
მირჩება გულის წყლულები,
რჩება სნეული ოცნება.

პირველი რევოლუციის დროს სრულიად ჯანსაღად იყო და შემოქმედებაც შეეძლო უკანასკნელ ხალხოსანს ს. მგალობლიშვილს, რომელიც იმავე დროს თავის ჯგუფის მწერლებიდან ყველაზე უფრო ორთოდოქსალური ხალხოსანი იყო. ს. მგალობლიშვილი ყოველგვარ სახალხო მოძრაობას მშრომელ გლეხთა ინტერესების თვალსაზრისით უდგებოდა. ასე განჭვრიტა მან 1905 წლის რევოლუციაც. პროლეტარიატი და მისი ხელმძღვანელობითი როლი მისთვის ისე მიუღებელი იყო, როგორც რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერებისთვის. 1905 წლის რევოლუცია ს. მგალობლიშვილმა ასახა მოთხრობაში „ჯორ-ზაქარა". ჯორ-ზაქარა ავტორის საყვარელი ტიპია, რომელიც ბატონყმობიდან მოყოლებული დაუღალავად იბრძვის მშრომელი გლეხობის დამჩაგვრელთა წინააღმდეგ. ის ხან მარტო იბრძვის და ხანაც ამხანაგებს შემოიკრებს, კლავს სოფლის ამაოხრებელ მოურავს, აკავშირებს გლეხებს და სხვ. მისი რწმენით „სოფელს ბევრი რამ შეუძლია, აბა სოფელი დაირხეს. შეინძრეს, ხმა ამოიღოს, სიმართლე მოითხოვოს, თუ ყველა ეს შეწუხება არ მოსპოს, — ამბობს ჯორ-ზაქარა. უნდა ერთი პირობით შევიკრათ,— განაგრძობს იგი, — უნდა გაერთიანდეთ მთელი სოფელი, როგორც ერთი კაცი. შეგვაწუხებენ — შევაწუხოთ. დაგვეკრენ — დავკრათ". რევოლუციონერ ჯორ-ზაქარას მხარში უდგანან სოფლის ღარიბებიც. პუბლიცისტურად განწყობილ ავტორს ბევრი შავი საღებავი აქვს ნახმარი მეფის მთავრობის და მისი აგენტების დასახასიათებლად, ქება-დიდებას უძღვნის თავისუფლებას, შრომას, ძმობას, ერთობას... მაგრამ, როგორც ვთქვით, მგალობლიშვილი გლეხობის მეტს ამ ბრძოლაში ვერავის ხედავს, თანაც არც ისე ძლიერი მხატვარია, რომ ძლიერი შთაბეჭდილება დატოვოს.

ია ეკალაძის ზრდა პირველი რევოლუციის წინა წლებში დასრულდა, სხვა მწერლებზე მეტი ამ ხანაში მას უნდა მოეცა. თუმცა ეს ასე არ მოხდა, მაგრამ, რაც მან მოგვცა, მისი შემოქმედებიდან ჩანს, რომ ხალხის მთავრობისადმი სიძულვილი მან კიდევ უფრო გააღრმავა და გააალმასა. აღსანიშნავი რევოლუციონური აღტყინების დროს ეკალაძის მიერ დაწერილი „შვილი მუშა ბოქულაძისა". გრ. ორბელიანის „მუშა ბოქულაძე", როგორც ვიცით, მშვიდობიანად განწყობილი მუშაა, სოციალურ უკეთესობას, მართალია ხედავს, მაგრამ ამ შებრძოლებას აქ არ უპირებს და საიქიოს მოგთხოვ პა-

სუხსო — ეუბნება თავის შემავიწროვებელს. სულ სხვაა ეკალაძის შვილი მუშა ბოქულაძისა, რომელიც რევოლუციის ქარიშხალს რევოლუციონურად გარდაუქმნია და ბრძოლის ველზე გამოსული ასეთ ყიჟინას სცემს:

„ნუ მიყურებ ეგრე გაკვირვებითა,
გაეცანი ჩემი თავი აწი მე.
შრომის ოფლით გაწმენდილს და გაბანილს,
მანუგეშებს მომავალის სიმე,
ნუ ირჯები, შებრალებას არცა გთხოვ“ და სხვ.

თავის მამასავით სოციალური უსამართლობის გადაჭრა მას ზეცაში არ გადააქვს, იგი თავიდან ფეხებამდე მიწიერი არსებაა და საკითხსაც რეალურად აყენებს. ია ეკალაძემ ამ მუშის სახით უსათუოდ ეპოქის შესაფერი ტიპი მოგვცა.

დუტუ მეგრელიც, რომელსაც საკმაო ღვაწლი მიუძღვის ქართული დემოკრატიული ლიტერატურის წინაშე, ასე ეხმაურება ეპოქას:

„სისხლის ღვრა,.. ისევ სისხლის ღვრა,
ტანჯვა, ვაება, ტირილი,
შეორეთ მოსელის დღესა ჰგავს,
ქვეყნად ბატონობს სიკვდილი.
და ჩვენც ვნუგეშობთ, რომ დიდხანს
ვერ გასტანს ეს ბ[illegible]ო შავბნელი.
რომ შესცელის მალე დღე-ღამეს,
გამობრწყინდება ნათელი“.

თედო რაზიკაშვილი, — ვაჟას ძმა, — რომელიც თავიდანვე დემოკრატიულად იყო განწყობილი, ასე მიეგება რევოლუციას:

„რაღა დროს ტკბილი ხმებია,
და ან მყეფარე ბულბული,
ყოფნა-არყოფნის საკითხსა
უპყრია ჩვენ[illegible] სულ-ველი“ და სხვ.

აი, თვალსაჩინო ადგილები იმ შემოქმედებიდან, რომელიც მოგვცეს რევოლუციის წინა დროს მწერლებმა. ვერ ვიტყვით იმას, რომ ახალი დროის ტიპები და რევოლუციის მამოძრავებელი ძალები კონკრეტულ სახეებშია მათ მიერ დახატული. მაგრამ ის კი აშკარაა, რომ ისინიც გატაცებული იყვნენ მშრომელი ხალხის ამოძრავებით და თავიანთ გატაცებას ლირიკის სახით გვამცნეედნენ.

* *
*

ვნახოთ რანაირად მიმდინარეობდა უახლესი ქართული მწერლობის წარმოშობის პროცესი პირველი რევოლუციის წიაღში.

როდესაც ცხრაას ხუთი წლის ქართულ ჟურნალ-გაზეთებს ათვალიერებთ, თქვენ ხედებით აუარებელ მელექსეთა სახელსა და გვარს, თითქმის ყოველ ნომერში ათავსებენ ლექსებს, თუ პატარა მოთხრობებს. სად წავიდა ამდენი პოეტი, რატომ ვერ შერჩნენ ლიტერატურას? თითქმის ყველა მათგანი თითო-ოროლა ლექსს წერს და მერე ქრება? ამის მიზეზი, ჩემი აზრით, ისევ იმავე რევოლუციის ორომტრიალს უნდა მივაწეროთ. რევოლუციური ქარიშხალი მებრძოლს აფორიაქებს და ათრთოლებს, ზოგი ბარიკადებისკენ გარბის, ზოგი ხმალს ლესავს, ზოგი კიდევ ყველაფერს ერთად აკეთებს: ბარიკადებზედაც იბრძვის, აგიტატორიცაა, ლექსებსაც წერს, თოფსაც იმარჯვებს და ვინ იცის, კიდევ რა... მოზღვავებული გრძნობა ათასნაირად იჩენს თავს. აზვირთებული ენერგია კლდე-ღრეს ედება, ამოძრავებული აზრი ათი ათას ნაკადებად იღვრება...

დამჯდარი ფიქრებისთვის არავის სცალია: რომ მოიცალო კიდეც, სინამდვილე არ მოგაცლევინებს. ყოველგვარ გეგმას ჩაგიშლის, შენს ოცნებას სხვადასხვაგვარად ცვლის, ერთი საათის უკან დაწყებული საქმე უკვე მიგიგდია და სხვას ეპოტინები, გუშინდელ აღმა ნახნავს, დღეს დაღმა ფარცხავ...

ასეთ მდგომარეობაში არის ყველა ის პოეტი, რომელიც ამ დროს მოქმედებდა ქართულ პრესაში. მათი დიდი უმეტესობა ახლად გამოჩეკილია და სასელოიუპოვებელი, პეპლებივით დაბორიალობენ. ხან ერთ ყვავილს ამოსწუწნიან და ხან — მეორეს, დიახ, ასეთია მათი ბედი, თუმცა... ეპოქას მაინც ახასიათებენ და მოვლენის მთლიან სახეს მაინც იძლევიან. მაგრამ არა თითოეული მათგანი, არამედ ყველანი ერთად, კოლექტიურად აღებულნი, ერთი ერთს მომენტს იძლევა, მეორე — მეორეს, მესამე — მესამეს, ანდა ერთმანეთს ბაძავენ და იმეორებენ, მაგრამ, ვიმეორებ, საერთო ჯამში მაინც რევოლუციას ახასიათებენ. გავიცნოთ მოკლედ ის კოლექტიური სურათი, რომელიც მათმა შემოქმედებამ მოგვცა რეოლუციის ქარტეხილში, გავიცნოთ ამ ზღვაში გადაკარდნილი კენჭის ბედის მქონე პოეტების სახელი და გვარები, თუ ფსევდონიმები. — მუშა სარქისა სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ „ლამპარში"— წერს:

„შეირყა მუხა ძველ დროის,
ველარ იკიდებს ფესვებსა,
ფუჭცელი ცვივა ნელ-ნელა,
ჩქარა დაუშვებს ტოტებსა;
ძირი ეხმება, ვერ გასძლებს,
რაც გინდ დაუსხან წყალია,
ქვეშ მყოფებს ძლიერ სჩაგრავდა,
არც არის შესაბრალია"... და სხვ.

ლადო დარჩია იმავე მიმართულების „ელვა“-ში ასეთ სტრიქონებს უძღვნის გარდაცვალებულს მებრძოლს:

„როს სისხლის ნვიმა წალეკავს ქვეყნად,
საცა კი არის მტარვალთა ბინა,
ის ეშაფოტი მათვე დაუგიმის,
ვინც სამუდამოდ შენ დაგაძინა.
როს აყვავდება ჩაგრულთ სამყარო,
როს გაისარებს ქვეყნად ყოველი,
წითელ ასოთი ჩაიწერება
ისტორიაში შენი სახელი.

გაზეთ „ივერიის“ ფურცელზე ილია ამბობს:

„ბნელ ქვეყანას, გაქვავებულს
მზემ მაღლიდან სხივი სტყორცნა
და მშობლურის სიყვარულით
ჩაეხვია, გარეულცნა...

იქიდანვე გაისმის ბ. პელაშვილის მოძახილი:

„ტანჯულ ხალხის დროშა მაღლა
აფრიალდა, გაიშალა,
მტანჯველთ ენა დაანახის
ტანჯულმა ოდეს თავის ძალა“. და სხვ.

„ლამპრის“ ფურცელზე გი-გი იმედოვნებს, რომ:

„არ გამქრალა, არც გაქრება
ღელეში ღვივის ნაკვერცხალი,
ახლო არის ის მომენტი,
რომ ავარდეს ცაში ალი.
მტერო, კვნესით რომ დამჩხავი,
დაგისხია ცეცხლზე წყალი,
დანთხეულმა შენგან სისხლმა
თვით აღაგზნო ნაპერწკალი“.

დ. ნინოწმინდელი სოციალისტ-ფედერალისტების გაზეთ „ცნობის ფურცელში“ წერს:

„ახმაურდება ქვეყანა,
ხმას გასცემს კიდე-კიდესა,
აღსდექით, შრომის შვილებო,
სიბნელე იხდის რიდესა.
სინათლე მოგცემთ იმასა,
რასაც ისურვებთ გონებით
და გაიხარებთ, დასტკბებით
თქვენი ნაშრომით, ქონებით“.

ლადო ახობაძე ასეთ სურათს ხატავს:

„ქარიშხალია... ძრწის ქვეყანა, ჰკენესის მთა-ბარი,
ცა იმეხება, ზოგა გრიალით ასკდება ნაპირს,

მწარე ნანინას დაღრიალებს ქარბუქი ეელად
და კენესით მოსთქვამს ხალხის ტანჯვას, ხალხის გასაჭირს.
როგორც ძე ვეფხვი, მრისხანებით სავსე გრიგალი
თავს დასტრიალებს ამაყად მდგომ ბუმბერაზ მთასა,
ქვეყნის პირიდან აღგვას უქადს ქედმოუდრეკელს
და საბრძოლველად ორკეცებს თვის გულის თქმასა".

ქუთათურ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთში „შიკრიკი", ‚ან-დონის ასეთი ლექსია მოთავსებული:

„წინ, წინ გასწი მხნედ და მედგრად.
არ უხარო მტარვალთ ქედი,
დე, გესროლონ მათ ისრები,
გაგიგმირონ თუნდ გულმკერდი!

თუ კი გესმის ჩაგრულ ხალხის
იდუმალი გულის ძგერა,
ან თუ შეგწევს ძალა ბრძოლის,
გსურს სიმართლის დროშის ჭერა,

წინ, წინ გასწი წინსელაშია
მებრძოლისა მხოლოდ ძალა.
ვაშა, ვაშა მას, ვინც თავი
მთლად განთიადს ანაცვალა!"

გადასახლებაში მყოფი იზიძე ასე ესალმება „ლამპრიდან" ამ-ხანაგებს:

„შორს მყოფი, თქვენი რაზმელი,
გულით მოგიძღვნი სალამსა,
გამარჯვებულსაც ეხედავდე
თქვენს დროშას, თქვენსა ძალასა". და სხვა.

გარდა აქ მოყვანილი მელექსეებისა, ლექსებს თუ ესკიზებს ათავსებდნენ 1905 წელს შემდეგი ავტორები: ა. განჯისკარელი, დ. კორდელი, ზაზანაშვილი, ა. ჭელიძე, დ. ჭოლეველი, ესმაშვილი, გ. უბედური, ქიტერა კეთებაშვილი, იყალთოელი, დონ-ღანი, კირვალიძე, გ. ჯაბაური, გ. ლადოშვილი, ფონ-ტეფო (ნოზაძე), არტო და სხვ.

ახლა გადავიდეთ ისეთ პოეტებზე და მწერლებზე, რომელთაც დაახლოებით ამ ხანებში დაიწყეს წერა და დღემდის შერჩნენ ქართულ ლიტერატურას და ჩვენს მწერლობაშიაც დიდი თუ პატარა ადგილი მოიპოვეს, ზოგი მათგანის სახელი ლიტერატურას შერჩა, თუ შერჩება, ზოგი კი ლიტერატურის ისტორიის მასალად გადაქცეულა. ვეცდებით დავიცვათ დაბეჭდვის ქრონოლოგიურობა, მოგვყავს მათი ლექსებიდან ზოგიერთი დამახასიათებელი ადგილები.

კოტე მაყაშვილი გაზეთ „ივერიაში" ბეჭდავს ასეთ ლექსს:

„შეინძრა მკედარი ქვეყანა,
სულთქმა აღმოფხვრა შეებისა,
და ზღვიდან ზღვამდე გაისმა
ხმა ტაბლი სასოებისა.
ბარად მოვიდა ამბავი;
შეთქმულან ყველა მთანიო,
და დაუხსნია ტყვე-ქმნული
ძლიერი ამირანიო.
ინგრევა ტახტი მაგარი
წყვდიადის დროშის მჭერისო.
ამირან მოდის, ამირან,
მოდის და მოიმღერისო;
წინ ბრძოლის ველზე, ეაუკაცნო!
ბევრი რამ მოგვითმენია,
მაგრამ მოგვხედა ბედმა და
აწ გამარჯვება ჩვენია!“

დ. თომაშვილი სიხარულით ამბობს:

„მოდით, ძმებო, მეგობრებო,
ერთმანეთი გადაეკოცნოთ
და ერთობის ძლიერი ხმა
ხმელეთს მოედოთ, მთას შევრტყორცნოთ“.

იალონი (იასამანი) სოციალ-დემოკრატიული „მოგზაურიდან“:

„ჩაგრულთ დროშა სულ წინ მოაქვთ
შესახვედრად განთიადის,
მებრძოლთ გრგვინვა, მძლეთამძლე ხმა
ქაჯრსა ძრავს, ცამდე ადის“.

იმავ ორგანოდან კ. გოგოლაძე — რევოლუციის ასეთ სურათს ხატავს:

„ზღვა კი ქუხს, გრგვინავს, გრიალებს
ცას სწვდება ზვირთთა ქუხილი,
შავ ძალებს კლდეზე ახეთქებს,
ისმის ბრძოლა და დუღილი“.

ფ. რუშაველი (ფ. მგელაძე) პატიმარ მუშის ანდერძს ასე გადმოგვცემს:

„მაშინ ჩემო გულის სატრფოვ,
მომიგონე მეგობარი,
მოირბინე ჩემს საფლავზე
მხიარული, გულით მტკბარი,
მქუხარე ხმით ჩამომძახე:
მედგრად დაესცეთ მტერს თავზარი
და ბორკილი დავამტვრიეთ,
დღეს მონობა აღარ არის“.

ვარლამ რუხაძე გაზეთ „ელვაში“ წერს:

„მტარვალი შემოგვესია
მთლად ბოროტებად ქცეული.
აგვიკლო, აგვაწიოკა,
არავის გვინდობს წყეული.
სახლკარი გადაგვიბუგა,
თუ რამ გვებადა, წაგვართვა,
მშიერ-ტიტველნი დაგვყარა,
გვაწამა, ტყავი გაგვართვა.
მაგრამ ამაოდ... ჩვენ ვიდრე
ძალი და ღონე გვექნება,
სულ ვებრძოლებით ბოროტ სულს,
გული არ შეგვიშფოთდება“.

ნ. ზომლეთელი (ნ. ქურიძე) „ლამპრიდან“:

„მტვერში და სისხლში მოსერილი
და გაჩეხილი შუაზე,
გულში სიცოცხლით აღსავსე დღეს პირქვე
გდია ქუჩაზე.
რა მოხდა? უსამართლობის და გარყვნილების მცველები
გმირს თავს დაესხნენ და გულზე დაკრეფინეს ხელები.
სიმართლის მღაღადებელსა მოაკუმშვინეს პირია.
მაგრამ იცოდეთ, მტარვალნო, ქვეყნად კელავ ბევრი გმირია“.

პოეტი ქალი, განდეგილი „ცნობის ფურცელში“ ათავსებს „ინტერნაციონალის“ თარგმანს თუ გადმონაკეთებს:

„აღზდექ, ბედისგან განაწირალო,
მთელო სამყაროვ მშიერთ და მონათ...
პირქვე დაევმხობთ ძალმომრეობას,
იმის საფუძველს ვაქცევთ ნაცარმტვრად,
ახალ ცხოვრებას შეექმნით და იმას,
ვინც არრა იყო, ვაქცევთ ყველაფრად“.

იასამანი — იმედით ამბობს:

„დე, ჩავიდეს დღის მნათობი,
მეღამურად მთვარე გვრჩება,
თანვე ახლავს პირფარეში
და ურიცხვი ვარსკვლავთ კრება.
„დღეს გმირები საკმაოა,
ერთს ამწყვდევენ — ასი რჩება,
ეგ ბუნების წესი არი,
მტკიცე კანონმდებელება“.

ბეგლარ ახოსპირელი — „ცნობის ფურცელში“:

„მაგრამ გრიგალო, გრიგალო,
სხივი ჩანს გაზაფხულისა,

დაიკეკ-დაიგრიალე,
მოგვიკალ წყლელი გელისა.
ცავ, სისხლის წვიმა დაუშვი,
ავსულ-ქაჯთ სტყორცნე გენია!
აღზდეკი, ქრისტეე, და შენთან
აღსდგეს, რაც აღსადგენია!"

სოლომონ გოშაძე „ცნობის ფურცლის" დამატებაში:

„დაჩაგრულნო, ყველა ერთად
მო, შემოკრბით მოედანზე,
შეეაჩვენოთ, ეინც კი ჩვენგან
შორს დადგება, ველის განზე.
აქ საქვეყნოდ სიმართლის ხმა
ვ-ვინეით ეამცნოთ კიდით კიდეს,
რომ მტრის ქვაგულს შორიდანვე
შენის ზარს და თრთოლეას ჰგრიდეს".

ეროდიონ ეედოშვილი, რომელიც ამ ხანებში თითქმის ყველა პოეტზე ნაყოფიერი იყო, იმავე გაზეთის დამატებაში ამბობს:

„ყალყზე შემდგარა ცისკარი,
ღიმილით გასცქერს განთიადს,
შეეცერა ზეწარს აფარებს
მჭეხარე ღამის ხვაშიადს.
იფეთქა აღმოსავლეთმაც,
ნითელი დროშა გაშალა
და თავისუფალს ამირანს
სხეები გადააყარა".

1906 წლის 9 იანვარს, ერთი წლის უკან პეტერბურგის ქუჩებში მომხდარი ტრაგედიის მოსაგონად დ. თომაშვილი (დ. ოყრეშიძე) ასეთი შინაარსის ლექსს ათავსებს „ცნობის ფურცელში":

„სალამი თქვენს სულს. თქვენს წმინდა აჩრდილს,
სისხლდანთხეულნო ბრძოლისა ველზე
და ზეარაკ მსხვერპლად შეწირულებო
თავისუფლების საკურთხეველზე!"

მეტეხში მჯდომი დ. მეჩონგური (დათიკო ქარცივაძე) ბოლშევიკურ გაზეთ „დროშაში" ატირებული დედის სახეს იძლევა:

„ისევ სტირის... ცხარე ცრემლი
მშობლის თვალებს არ შორდება.
წყველას უთვლის თავის მტერსა
და ხელები უთრთოლდება.
აღარა ყავს თავის პირმშო
იმედი და სასოება;
გამოსტაცა მტარველის ხელმა,
ჩაუმწარდა მას ცხოვრება".

კატო მიქელაძე „ცნობის ფურცლის“ დამატებაში წერს:

„ზღვა ღელავს, მზისა სხივებმა
გაპფანტა ბნელი, წყვდიადი,
გადააფარა მიდამოს
ოქროს ზეწარი დიადი.
კლდე იძერის, მისი ფესვები
ქანაობს, ძირში ირყევა,
ზღვა ღელავს, ბინა სვავების
საცაა ჩამოინგრევა.
ცა პირმცინარე ელვარებს,
გაუდის ბზინვა, კრიალი,
ზეცაში ზარის რეკვაა,
ჩიტებმა იწყეს ფრთხიალი“.

ასეთია ის მოზაიკური სურათი, რომელიც დაგეხატებათ, როცა გაეცნობით 1905 წლისა და ნაწილობრივ 1906 წლის ქართულ პერიოდულ გამოცემებში მოთავსებულ ლექსებს, როგორც სახელის და გვარების გამოცნობიდან დავინახეთ, ზოგი აქ მოხსენიებული პოეტი მხოლოდ ერთხელ თუ ორხელ გამოჩნდა გაზაფხულის პეპელასავით და მერე სადღაც გაქრა, ზოგი კი დღესაც მაგრად დგას ჩვენს მწერლობაში.

ეს, როგორც უკვე გვქონდა ნათქვამი, ეპოქის თრთოლვით აიხსნება. ამ გარემოებითვე აიხსნება აგრეთვე ის უდავო ფაქტიც, რომ ეს პოეტი (თუ მელექსენი) ისე გვანან ერთმანეთს, როგორც ორი წვეთი წყალი: თითქმის ყველა ერთ ხმაზე მღერის, ყველას ერთი ენა და სტილი აქვს, ყველა აგიტატორია, ლოზუნგებს ეძიებს მასების საორგანიზაციოდ და თვითმპყრობელობის შაად დასასურათებლად. ბევრ მათგანს პოეზიის ნიშანწყალიც კი არ სცხია, მაგრამ მიუხედავად ამისა, თითოეული ზევით მოყვანილი სტრიქონი თავის დროზე უდიდეს სოციალურ მოვალეობას ასრულებდა: ხელს უწყობდა მშრომელთა შეკავშირებას, აძლიერებდა ცეცხლის ალს და შაე ძალასთან ბრძოლის წყურვილს; მარტო ამ თვისებისათვის ეს პოეტები ღირსია იმისი, რომ მათი სახელი, თუნდაც თითო-ოროლა სტრიქონი იცოდეს დღეანდელმა ჩვენმა თაობამ.

მაგრამ სურათი არ იქნებოდა მთლიანი, თუ პროზაიკოსებსაც არ მოვიხსენიებდით. ამავე ეპოქაში ნიჭიერ მწერლად იყო მიჩნეული რევოლუციის წინა წლებში სალიტერატურო ასპარეზზე გამოსული მწერალი ქალი ნატ. აზიანი (დონდაროვა), რომელმაც რევოლუციის პერიოდში „მოგზაურში“, „დროში“ და სხვა სოციალდემოკრატიულ გაზეთებში მოათავსა შხამიანი ენით დაწერილი სტატიები. ყურადღებას იპყრობდა ნინო ნაკაშიძე, რომლემაც ამ ხანებში დაწერა დროის შესაფერი მოთხრობები: „სალდათი“, „მოვალეობა“ და სხვ. ნაყოფიერად მუშაობდა აგრეთვე პ. ირეთელი (პ. კალანდა-

ძე), რომელმაც დაწერა: „დედა", „ოცნება", „საზიზღარნი", „შავი მიხა", „მარო კი ელოდა", „უკუღმართი ღამე" და სხვა მრავალი.

რევოლუციას ემსახურებოდა ნარკანი (ნიკო კურდღელაშვილი), რომელმაც ამ ხანებში დაწერა შემდეგი ბრძოლის ცეცხლით სავსე ესკიზები: „ამაყი სული", „ნეტავ მოეკლათ", „თავისუფლება", „ლაჩარი" და სხვ.

მოსწრებული კალმის პატრონი იყო ს. ყიფიანი, რომელმაც „ივერიის" ფურცლებზე მრავალი ესკიზი მოათავსა. ეს ესკიზები შემდეგ ცალკე წიგნადაც გამოვიდა „წერილი მოთხრობანის" სათაურით.

მოთხრობებს თუ ესკიზებს წერდა მარიამ გარიყული, არტისტი ვალერიან შალიკაშვილი, ს. პართენაშვილი, იონა თლუღელი (იონა ბელიაშვილი), განდეგილი, ელეფთერიძე, ელპიტიშვილი, ნ. ყიფიანისა, ს. ციმაკურიძე და სხვები. დროის შესაფერ მოთხრობებს თარგმნიდენ: ი. ხირსელი, ნატ, გიგაური, თედო სახოკია, ალექსანდრე ლომთათიძე, კოწია ჯაფარიძე, ზ. ედილი, დათიკო ჩადუნელი, მიხ. კინწურაშვილი, გიუნაშვილი და სხვ. მელექსეებიდან აღსანიშნავი არიან: რ. ბებიაშვილი, დარია ხუნდაძე, მელიტონ გობეჩია, სპირ. ჭელიძე, ჩხერმელისპირელი (ილია ფერაძე) და სხვ. ამავე ხანაში იწყეს წერა დღევანდელმა პროლეტარულმა მწერლებმა გ. ხეჩუაშვილმა და შ. ნავთლუღელმა. გ. ხეჩუაშვილს, რომელმაც ცხრაასიან წლებში დაიწყო „ივერიაში" მწერლობა, ამ დროს რამდენიმე წიგნაკიც კი ჰქონდა გამოცემული.

გარდა 1905-6 წლის ჟურნალ-გაზეთებისა, ეპოქის დასახასიათებელ მასალებს ჩვენ ვეძებთ აგრეთვე თვითმპყრობელობის ცენზურის ნაშთებში, რომელიც ცენტრალურ არქივში ინახება. მეფის მიერ დაყენებული აზრის ჯალათების ნასაქმევში მრავალი მასალა მოიპოვება მაშინდელი პრესის დევნისა და შეეიწროვების შესახებ; როგორც მასალებიდან ჩანს, განსაკუთრებით იდევნებოდა რევოლუციური მოძრაობის ქრონიკულად გადმომცემი ცნობები და პუბლიცისტური წერილები. მთავრობა დევნიდა აგრეთვე მხატვრული შინაარსის მასალებსაც: ლექსებს, სურათებსა და სხვ. ერთ საქმეში ინახება ირ. ევდოშვილის ლექსი „ვაი ჩვენს თავს":

„ეშმაკები ლოცულობენ,
გულს ჰკიდიან ავგაროზი,
ვაი, ჩვენს თავს, ვაი, ჩვენს თავს,
ავად არის ტარტაროზი.
სიცხე მისცა ორშაბათსა
და სამშაბათს მოუმატა,
არ ეშველა, თუმც შესწირეს
ოთხშაბათზე შაი კატა.

იმის შემდეგ ხელმეორედ
მოიწვიეს ქალთა დასი,
ზოგს უკირავს სველი ტილო,
ზოგსაც მოაქვს ოქროს თასი.
ზოგი მაჯას, ზოგი შუბლსა,
ზოგი გულზე ადებს ხელებს,
ყველას გარედ ისტუმრებენ,
ვინც ხმამაღლა ჩაახველებს.
[illegible] რაც დღე-ღამე მოდის,
[illegible] ბა ავადმყოფი,
[illegible] ბა
[illegible] სამყოფი.
ემმაკები ზარს ამბობენ.
გულს ჰკიდიათ ავგაროზი,
ვაი, ჩვენს თავს, ვაი, ჩვენს თავს,
კვდება, კვდება ტარტაროზი"...

აკრძალულია და საქმეებში ინახება პოეტი ქალის განდეგილის ლექსი პროზად: „ამოეიკენესე", ცენზურას შეუჩერებია აგრეთვე საბავშვო ჟურნალის „ნაკადულის" ნომერში მოთავსებული ლექსი „პატიმარი", რომლის ავტორი ვიღაც „ნ-ური"-ა. აი ეს „ქვეყნის დამაქცევარი" ლექსიც:

„სათ იყავი, ჩიტო ლამაზო,
და სად რა ნახე გასახარელი?
მითხარი ჩქარა, ჩემო მალხაზო,
შემომწოლია გულზე ნაღველი.
მარტოდმარტო ვარ... მხოლოდ კედლები
ხედავენ ჩემს დარდს, ჩემს მწუხარებას,
და ვგრძნობ მათ შუა ისე მოვკვდები,
რომ ვეღარ ენახავ თავისუფლებას"...

ვასო გადილიას აუკრძალეს ლიბკნეხტის „ობობა და ბუზიდან" გადმოკეთებული „ორი არსება". მასვე აეკრძალა გამოეცა პლეხანოვის, ლასალის, სპირიდონოვას ქალისა და სხვების სურათები. მთავრობას აუკრძალავს აგრეთვე ბრადიაგას (ერაძე) „ვირი და მუშა კაპიტალისტურ წესწყობილებაში" გამოცემა, ვანო მოხევეს, ნიკოლოზ (იგივე გილა) ღუდუშაურის ლექსთა კრებულსაც „ამონაკვნესი" შავი ბედი სწვევია: მუშათა კლასის კაპიტალისტების წინააღმდეგ წამქეზებელად უცვნიათ და დაუჭერიათ ღუდუშაური. როგორც სტამბა „გუტენბერგის" პატრონის იოსებ ფურცელაძის განცხადებიდან ჩანს, ღუდუშაური ყაზბეგიდან ყოფილა და 1909 წლის იანვარში მოუკლავთ. ასეთივე ბედი სწვევია ფოთში გამოცემულ კონსტანტინე ჭანტურიას ლექსთა კრებულს.

აკრძალულია აგრეთვე იალონის „ჯარისკაცის სიმღერა", ხოლო მგოსანი აკაკი, ლექს „ინტერნაციონალისათვის", რომელიც „პატარა გაზეთში" იყო მოთავსებული, სამართალში მიცემული.

ცენზურას აუკრძალავს აგრეთვე ეგვანი დვალის ლექსები.

დასასრულ ერთ მომენტზე აუცილებლივ უნდა შეჩერდეთ: ესაა კლასობრივი ელემენტის ცხადყოფა ჩვენს მწერლობაში. რევოლუცია კლასობრივი ბრძოლის უაღრესად გამწვაევების ხანაა. კლასები იბრძვიან, როგორც იარაღით ხელში, ისე იდეოლოგიურად. გამოსახა თუ არა ჩვენმა ლიტერატურამ მოცემულ ხანაში თავისი კლასობრიობა? იყო თუ არა, დღევანდელი ენით რომ ვთქვათ, მემარჯვენე და მემარცხენე ფრონტი? ჰქონდა თუ არა რევოლუციის მიღება — არმიღებას ადგილი?

რასაკვირველია, თავადაზნაურობა საკმაოზე მეტიც გვყავდა. ბურჟუაზიაც მოგვეპოვებოდა, მაგრამ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბება არ მომხდარა. მართალია, ზუბიკო აბდუშელიშვილი თავისი შავი რაზმით მედგრად ებრძოდა თავადობის წინააღმდეგ ამხედრებულ ქართლის გლეხობას, გიორგი ამილახვარიც შეიარაღებულ ჩაჩნებით ცდილობდა თავის ფეოდალურ ციხე-კოშკების და ხოდაბუნების დაცვას; ისიც მართალია, რომ ჩვენი ქვეყნის ბურჟუებიც კადეტებისებური პარტიის შექმნაზე ოცნებობდნენ (სოსიკო მერკვილაძე 1907 წელში „საკაჭრო გაზეთსაც" კი სცემდა მათ შესაკავშირებლად), მაგრამ ყოველივე ეს სრულიად უმნიშვნელო შავი წერტილები იყო აბობოქრებული პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის წინააღმდეგ. ეს რევოლუციის მამოძრავებელი ძალები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული რუსეთის მუშებსა და გლეხებთან.

ამასთანავე ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ თვითმპყრობელობის ჩამოგდებას სიხარულით ეგებებოდა აგრეთვე წერილბურჟუაზიული და ნაწილობრივ გალატაკებულ თავად-აზნაურობიდან გამოსული რადიკალური ინტელიგენცია: ვექილების, ექიმების, მასწავლებლობის და სხვა ჯგუფების სახით.

მთელი რევოლუციის სიგრძეზე საქართველოში რამდენიმე პოლიტიკური პარტია მოქმედებდა, ეს პარტიები თავის შესაფერ სოციალურ ფენებთან იყვნენ დაკავშირებულნი და, მაშასადამე, რევოლუციას სხვადასხვანაირად აფასებდნენ: ზოგი მისი გულწრფელი მომხრე იყო, ზოგი ფარისევლური, ზოგი საბოლოოდ ღებულობდა მას, ზოგიც სანახევროდ. ამ ნიადაგზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იყო მათ შორის მაშინდელი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, დაუნდობელი ბრძოლა, რომელიც ხანდახან მახინჯ ფორმებსაც კი ღებულობდა... მაგრამ, მეორე მხრივ, გაკვირვებთ შემდეგი უტყუარი ფაქტი. კითხულობთ ამა თუ იმ მიმართულების გაზეთებში მოთავსებულ ლექსებსა თუ მოთხრობებს და გაოცებთ ერთი გარემოება: ეს ნაწარმოებები ორი წვეთი წყალივით გვანან ერთმანეთს და გარჩევას მათ შორის ვერ პოულობთ, თითქმის ყველა ერთი ენით

ლაპარაკობს: მთავრობას წყევლის და კრულავს. შაე ძალებს აძაგებს, მუშათა კლასს, საზოგადოდ მშრომელებს და ჩაგრულებს თავგამოდებით ექომაგება, — „მალე მზე გამობრწყინდებაო" — ყველა ერთად გაიძახის...

მაგრამ გაიარა თუ არა რევოლუციის დღესასწაულმა და აღფრთოვანებამ, წამოყო თუ არა რეაქციამ თავი, მაშინვე გამოჩნდა ლიტერატურაში კლასობრივი ფიზიონომია, გამოირკვა, ვის რა უნდოდა და ვინ რას გამოელოდა ამ მოძრაობიდან.

საქართველოს სინამდვილეში რევოლუციური მოძრაობის ჰეგემონი პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა იყო სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით. დანარჩენი პარტიები და მათი დასაყრდენი საზოგადოებრივი ფენები, რომელნიც სრულებითაც არ იზიარებდნენ მუშათა კლასის სოციალურ და პოლიტიკურ პროგრამას, კბილის ღრჭენით ურიგდებოდნენ საერთო ქარტეხილის დროს მის ბატონობას, მაგრამ დამარცხდა თუ არა რევოლუცია, მაშინვე თავი წამოყვეს პროლეტარიატის კუდში იძულებით მომყოლმა პარტიებმა და რევოლუციის დამარცხება სოციალ-დემოკრატიულ პარტიას გადააბრალეს. თქვენმა სექტანტობამ და საერთო სამოქმედო პლატფორმაზე ხელის აღებამ, გვაგემებინა დამარცხება: თქვენ ჩვენი რჩევა რომ დაგეჯერებინათ, კლასთა ბრძოლის მაგიერ თანხმობა გექადაგნათ, ამ გზით თვითმპყრობელობას შეებრძოლებოდით, გამარჯვება უსათუოდ ჩვენი იქნებოდა, ავტონომიას მოიპოვებდა საქართველო და რეაქციაც ფეხს ვერ მოიკიდებდაო, — ასე ღაღადებდა საქართველოს ზოგი მამულიშვილი.

სად უნდა ვეძებოთ ამ გალაშქრების მთავარი მიზეზი? რასაკვირველია, კლასობრივ ურთიერთობაში. პროლეტარიატი და მისი პარტია, უპირველეს ყოვლისა, მჩაგვრელთა კლასობრივი მტერი იყო. ჩვენს მიზანს არ შეადგენს რეაქციის დასაწყისიდანვე სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ეტაპების გადმოცემა, იმ ბრძოლის, რომლის დროს პროლეტარიატს ორ მხრივ უტევდნენ: ერთი მხრივ, საზოგადოების ზედა ფენები თავის წვრილბურჟუაზიული და თავადაზნაურული ინტელიგენციით და, მეორე მხრივ, ფეხმომაგრებული თვითმპყრობელი მთავრობა. ჩვენი მიზანია, ვაჩვენოთ მკითხველს, თუ რა სახით გამოისახა ეს ბრძოლა მხატვრულ ლიტერატურაში. მუშათა კლასის იდეალების წინააღმდეგ აშკარა გალაშქრება ჩვენს მხატვრული ლიტერატურაში არ მომხდარა, მაგრამ პარტიზანული ხასიათის ბრძოლებს უსათუოდ ეხვდებით.

1905 წლის რევოლუციის იდეების მხატვრული ასახვა მოძრაობის დასრულების შემდეგ

1906—7 წლებში დაწყებული პოლიტიკური და ნაწილობრივ საზოგადოებრივი რეაქცია საქართველოს პირობებში განსაკუთრებული სიძლიერით მიმდინარეობდა. მუშათა და გლეხთა მასები ურყევად იდგნენ რევოლუციის იდეების სადარაჯოზე. რეაქციის ბორკილებში ჩაქედილი ქართველი მუშა და გლეხი დადუმებული იყო და აშკარად ვერ მიემართა ბრძოლის იმ ფორმებისათვის, რომელსაც ისინი ხმარობდნენ რევოლუციის დროს. სამაგიეროდ, ამ ერთ ადგილზე დგომის დროსაც ამ ფენების წიაღში წარმოებდა რევოლუციის შედეგების მკაცრი ანალიზი: დამარცხების მიზეზების შესწავლა, რევოლუციის მამოძრავებელი იდეების ყოველმხრივ აწონ-დაწონვა, არსებულ ვითარებაში გარკვევა და სხვ. ამავე დროს ეს კლასი უდიდეს საზრდოს აძლევდა მისი წიაღიდან გამოსულ ახალი დროის მწერლებს.

რევოლუციის დამარცხების შემდეგ საქართველოში ფრიად ცხოველ ლიტერატურულ მოძრაობასთან გვაქვს საქმე; შეიძლება ვადაჭრით ითქვას, რომ რეაქციის ხანაში, ვიდრე თებერვლის რევოლუცია მოხდებოდა, მთელი ქართული ლიტერატურა 1905 წლის იდეების ზედგაელენით მიმდინარეობდა.

რეაქციის ხანაში გულისწყრომით აღსავსე ლირიკა ბასრი იარაღი იყო და ჩვენი პოეტებიც შეუჩერებლად აღვივებდნენ „ქეთილშობილურ გულის რისხვას“ მტარვალთადმი, მაგრამ ახალი ცხოვრების ეპიკურად გადმოცემაში უსათუოდ მოიკოჭლებდნენ: ი. ევდოშვილის, ვ. რუხაძისა და სხვების რევოლუციონური რომანტიკა ჩამოყალიბებულ პლასტიკურ პერსონაჟებს ნაკლებად იძლეოდა, მათი ლექსები ხშირად რევოლუციონურ რიტორიკას წარმოადგენდა მუშისა და გლეხის შესახებ, თითონ მუშა და გლეხი კი ან მკრთალად გამოჩანდა, ანდა მის მაგიერ თითონ პოეტი გველაპარაკებოდა.

ეს ნაკლი ბელეტრისტიკამ შეავსო. ი. გედევანიშვილის „მსხვერპლში“ და „გამცემში“ ასახულია ახალი ტიპები — გლეხური და ინტელიგენტური, რომელნიც ახალ ვითარებაში და ყოფაცხოვრებაში არიან წარმოშობილნი. ლეო ქიაჩელმა რომან „ტარიელ გოლუაში“ 1905 წელი საკმაო სიფართოვით მოგვცა. იგივე ავტორი თავის რომანში „სისხლი“ ისევ უბრუნდება ქართველი ხალხის დიდი ამოძრავების ხანას და ცოცხალ ტიპთა მთელ რიგს იძლევა. ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებასაც რამდენიმედ მაინც რევოლუციის იდეები ასაზრდოებდა. ამის თავდებია „გზაშარაზე“. ბოლოს, ნებას მივცემ ჩემს თავს ქრონიკის წესით მოვიყვანოთ ერ-

ოი. კალმოსნის ნაწერთა სია. ეს ავტორი ჩემი ორეულია — ვ. მალაქიაშვილი, რომელმაც რევოლუციის წინ, 1904 წელს, ჟურნალ „მოამბეში" მოათავსა ახალი დროის სუნთქვით გაჟღენთილი მოძრაობა „ლუკმა პურისთვის", რევოლუციის დროს დაბეჭდა რამდენიმე ესკიზი და რეაქციის ხანაში გამოაქვეყნა რომანი „შოთა ბროლიძე", შემდეგ „სამნი" და მოთხრობათა მთელი რიგი. აქვს აგრეთვე დროის შესაფერი ლირიკული ლექსები და რამდენიმე პოემა. ხაზგასმით აღსანიშნავია შალვა დადიანის მწერლობა რევოლუციის დროს და მომდევნო წლებში. ამ მწერლის კალამს ეკუთვნის რამდენიმე პიესა: „მღვიმეში", „როს ნადიმობდნენ", „გუშინდელნი" და სხვ. ამ პიესებში მოცემულია ახალი დროის დამახასიათებელი ტიპები. დრამატურგიაში მუშაობდა საკმაო ნიჭითა და წარმატებით აგრეთვე ტრიფონ რამიშვილი, რომელსაც ეკუთვნის „მეზობლები", „საბედისწერო დამბაჩა" და სხვა პიესები. ამავე დარგში მუშაობდნენ სიო ჭანტურიშვილი, პ. ირეთელი, ნ. შიუკაშვილი და სხვები. ამ ბოლო ხანებში პირველი რევოლუციის დროიდან რომანი დაწერა ს. თალაკვაძემ (1905 წ.), პ. საყვარელიძემ „დაფანტული ფურცლები".

განელილ ეპოქაში ძლიერ ბელეტრისტად უსათუოდ ჭოლა ლომთათიძე უნდა ჩაითვალოს. ეს მწერალი ჯერ არ არის სათანადოდ შესწავლილი და გავრცელებული. მისი მოთხრობები „სახრჩობელის წინაშე", „პირველი მაისი" და სხვ. თამამად შეგვიძლია დავაყენოთ გამოჩენილი ეპოქის მწერალთა ნაწერების გვერდით.

ლიტერატურა არის არა მარტო ფაქტი, არამედ ფაქტორიც. იგი არა მარტო არსებულ პირობებში თამაშობს საზოგადოებრივი ფუნქციის როლს, არამედ მომავლის ცხოვრებაზედაც ახდენს გავლენას და ძლავრი ორგანიზატორის სახით გამოდის. იგი უდიდესი საზოგადოებრივი სკოლაა, რომელიც მიმართულებას აძლევს ადამიანთა აზრსა და გრძნობას.

ეს როლი პირნათლად შეასრულა ახალმა ქართულმა ლიტერატურამ, რევოლუციის ხანაში იგი გვერდით ედგა მშრომელთათვის თავდადებულთა გუნდებს და ბრძოლისაკენ მოუწოდებდა მათ. შავბნელი რეაქციის ბძეინვარების დროს კი მომავალ ბრძოლებისათვის წრთვნიდა მშრომელთ, უნერგავდა მაღალ აზრებს და უღვიძებდა სოციალურ გრძნობებს.

• •
•

ლიტერატურასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ქართული თეატრის მუშაობაც. ჩვენი სცენა იდეოლოგიურად ქართული ლიტერატურის მთავარ ნაკადთან იყო დაკავშირებული; რევოლუციამ-

დე თეატრი და მწერლობა ერთის გზით მიდიოდნენ. ეს გზა ეროვნული გოდების გზა იყო, გზა ნაციონალური რომანტიკისა. თუ ლიტერატურა „ბედი ქართლისას", „ბაში-აჩუკებს", „თორნიკე ერისთავებს", „მეფე დიმიტრი თავდადებულებს", „ხევისბერ გოჩებს" და სხვა ამ ჟანრის თხზულებებს ,,ძლეოდა ძლიერი პატრიოტული ლირიკის თანაბრად, ქართულ სცენაზე ბაგრად ჰქონდა ფეხი მომაგრებული ისეთ დრამატულ თხზულებებს, როგორიც არის დ. ერისთავის „სამშობლო", ე. გუნიას „და-ძმა", ა. ცაგარლის „ქართველი დედა", ყაზბეგის „კონსტანტინე ბატონიშვილი", სუმბათაშვილის „ღალატი", აკაკის „პატარა კახი", „თამარ ცბიერი" და სხვ. ამავე დროს ქართულ სცენას ძალიან მცირე ასპარეზი ჰქონდა და მისი გავლენაც ერთობ განსაზღვრული იყო. მუდმივი დასი მხოლოდ ტფილისსა და ქუთაისში იყო. ისიც აკადემიური ხასიათის. მაგრამ დაბერა თუ არა რევოლუციის ქარიშხალმა, ჩვენი თეატრიც მაშინვე შეირხა და მყისვე იწყო როგორც იდეურად გადახალისება, ისე ხალხის ფართო მასებთან დაკავშირება-დაახლოვება. რევოლუციის პროცესში კი სცენა ნამდვილ პოლიტიკურ ტრიბუნას მოგვაგონებდა. ეს ტრიბუნა რევოლუციურმა ხალხმა ერთი ხელის დაკვრით დაიახლოვა და ცენტრების გარდა წარმოდგენებს ვხედავთ საქართველოს მიყრუებულ დაბა-სოფლებშიაც კი; გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ პირველი რევოლუციის ეპოქაში ჩვენს ქვეყანაში არ დარჩენილა არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი დაბა თუ სოფელი, რომ წარმოდგენა არ გამართულიყო და დროის შესაფერი ლექსები არ წარმოთქმულიყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს მუშათა მოძრაობის ცენტრები: ჭიათურა, ტყიბული, ფოთი, ბათუმი, არას ვამბობ თბილისსა და ქუთაისზე. ყველა ამ ადგილებში პროლეტარული ელემენტების ინიციატივით ფეხს იკიდებს დემოკრატიული ხასიათის თეატრი, რომელიც თავგამოდებით ემსახურება უმეტესად ხალხის პოლიტიკურ გათვითცნობიერებას.

ვინ მუშაობს ამ ხანაში ქართულ სცენაზე? ძირითად მუშაკებად, რასაკვირველია, ძველ, დამსახურებულ ქართველ არტისტებს ვხედავთ. ესენია ე. მესხიშვილი, ვ. გუნია, კ. მესხი, ვ. აბაშიძე, შ. დადიანი, დ. ჩარკვიანი, ნ. ჩხეიძე, გაბუნიას ქალი, ვ. შალიკაშვილი, ნ. გვარაძე და სხვები. მაგრამ ამათ გვერდით არაკვალიფიციური ძალებიც ამოძრავდნენ, რევოლუციურმა ტალღამ უხვად გამოიყვანა სცენაზე მუშები, მოწაფეები, სტუდენტები, მასწავლებლები და სხვა პროფესიის ინტელიგენტი. ყველა ესენი, სადაც კი ხელი მიუწვდებათ მართავენ წარმოდგენებს, სალამოებს დიეერტისმენტით, ლიტერატურულ დილებს და სხვა. წარმოდგენები იმარ-

თება უცებ შეხანხლულ სცენებზე, სკოლებში, დარბაზებში და ხშირად ღია ცის ქვეშაც კი.

თეატრის დემოკრატიზაციამ და რევოლუციის გზაზე დადგომამ ერთნაირად გადაახალისა რეპერტუარიც: რევოლუციის ხანაში ქართულ სცენაზე ბატონობს: „ექიმი შტოკმანი", „ჟან და მადლენა", „ფეიქრები", „კაი გრაკხი", „ერნანი", „ქოხში", „წამხდარი სისხლი", „მეზობლები" — ტრ.რამიშვილისა, „მღვიმეში", შალვა დადიანისა, „ძალა აღმართს ხნავს" — ვ. გუნიასი და სხვ. პიესებში პირველ ადგილას მასების სოციალურ ზრდასა და ამოძრავებას ეხედავთ, დაგმობილია ძველი პარაზიტული წოდებები და კრიტიკის ცეცხლში ტარდება მათი დამცველი ბიუროკრატიული მთავრობები.

წერილები ლიტერატურის შესახებ

ზოგს ჰგონია, რომ პოეზია, ბელეტრისტიკა უსაქმურთა თავშესაქცევია, რეაქციის დროს გასართობი რამ არის, რევოლუციის დროს კი უნდა მეფობდეს მხოლოდ მიტინგი და ორატორი, აგიტაცია და აგიტატორი.

და ის კი დავიწყებიათ, რომ პოეზია და საზოგადოდ ხელოვნება უდიდესი აგიტატორია, ამაზე ძლიერ გულის განმგმირავ და მთელი სულიერი ცხოვრების ამაფორიაქებელ სიტყვას ვერც ერთი ტრიბუნიდან ვერ გაიგონებთ. ხელოვნება უდიდესი ოწინარია ადამიანთა ცხოვრების წინ გასაქანებლად, ხელოვნება უდიდესი რევოლუციონერია.

„დიდი ხნის შეგუბებულს გრძნობას ეს-ღა აკლდა, რომ წამალსავით აფეთქებულიყო და მთიულის არსება მთლად აღეგზნო, თავდავიწყებამდის მიეყვანა.

— რას სჩადი-მეთქი? — გაბრაზებით განუმეორა ქალმა და ხელი გულთან მიაბჯინა. — რას სჩადი?

— იმას რო დავილიე. უშენოდ სიცოცხლე გამწარდა და ჩემი უნდა იქნა! — მათიამ ისევ მოზიდა ქალსა, რომელიც განთავისუფლებასა ცდილობდა. ცეცხლში ჩაგდებული ჩირაღი ერთბაშად აენთო, იქაურობა გაანათა და მათიამ დაინახა შეშინებული სახე მზაღოსი, რომელსაც თავი უკან გადაედო, თმა გასწეწოდა და თვალები გაბრწყინებოდა: შეხედა და გაშმაგებამ უმატა.

— ჩემი უნდა იქნა, ჩემი! — ხმის კანკალით წამოიძახა იმან და ისე მოსწია, რომ ქალის ძვლებმა ჭახჭახი დაიწყო. მზაღომ დაიწივლა, მოქნილს სახრესავით მოიზნიქა და კაცი ჩააკრა და იმის სიცოცხლით სავსე ტუჩებს.

— უსირცხვილოვ!... ნამუს დაკარგულო! ფუი შენს კაცობას,—

ხმამაღლა წამოიძახა ქალმა და დაუმატა: — მაშ, შენთვის აღარც ნათესაობაა, აღარც ძმადნაფიცი!..“

იცით, ვის წინაშე აღმართა ამ სიტყვებით გამარმალებული ხმალი მათიამ? ის ეკვეთა ძველ დამყაყებულ ზნეჩვეულებებს და ტრადიციებს, პიროვნების დამაბრკოლებელ ზღუდეებს. აუჯანყდა ალ. ყაზბეგის იდეალს და კერპს — თემს, დაგმო კანონები ძმადნაფიცობის შესახებ, ეძგერა „ნათესაობის მომგონთ“ და თვით ღვთის არსებობაშიც კი შეიტანა ეჭვი.

კითხულობთ ამ სტრიქონებს, თვალწინ გიდგას მათიას პოეტური და გულის წარმტაცი სიყვარული მზაღოსადმი და შენც წყევა-კრულვით იხსენიებ თემს და უარყოფ ღმერთს. ხელოვნებამ გაგიტაცა, მოგაჯადოვა, მთელი შენი არსება გარდაქმნა.

და კიდევ იტყვის ვინმე — ხელოვნება არ არეკლავს ადამიანსო? ხელოვნება არ არის უძლიერესი აგიტატორი?

ხელოვნება არა მარტო სინამდვილის სარკეა, არამედ უდიდესი იარაღია ცხოვრების უკეთესობისთვის საბრძოლველად, ცხოვრების უარყოფითი მხარეების დახატვა და იმავე დროს, აქვე, განახლების ნაპერწკლების აღმოჩენა. ზიზღი — ბნელეთს, სალამი — განთიადს, წყევა და კრულვა მას, ვინც იდეალს შეურაცხყოფს; თავდადებით ბრძოლა იდეალური ქვეყნის გასამეფებლად!—აი უდიდესი საგანი და დანიშნულება ხელოვნებისა.

ჰიუგო ლაპარაკობს: „ხელოვნების მეოხებით ჩვენ ვიზიარებთ არა მარტო იმ რეალურ არსებათა ტანჯვა-სიხარულს, რომელნიც ჩვენს გარშემო ცხოვრობენ, არამედ იმათ ხვედრსაც ვინაწილებთ, რომელნიც ჩვენს შემდეგ იარსებებენ. ჩვენი მგრძნობელობა ფართოვდება და გულში იხუტებს პოეზიის მიერ შექმნილ დაუსრულებელ ქვეყნიერებას“. ამიტომ, — დასძენს შესანიშნავი მწერალი, — ხელოვნება უაღრესად უწყობს ხელს ცხოვრების პროგრესსო.

პოლიტიკა და ხელოვნება, ბევრ რამეში ერთდებიან. ისე ხელოვნება ცდილობს, რაც შეიძლება, ღრმად შეარჩიოს და აამოქმედოს ადამიანი, როგორც პოლიტიკა, ისე ხელოვნება უნდა ცდილობდეს, რომ რამდენადაც შეიძლება ბოლომდის ამოსწურონ ადამიანის სული და გული და შეიცნოს მისი არსება. პოლიტიკასა და ხელოვნებას სხვადასხვანაირად შეუძლიათ გაანოყიერონ ერთიმეორე: პოლიტიკას შეუძლია მისცეს ხელოვანს უაღრესად კეთილშობილური მასალები, აამოძრაოს თავდამავიწყებელი იმპულსები, ხელოვნებასაც თავის მხრივ შეუძლია ერთიანთასად გააძლიეროს მებრძოლის ნებისყოფა, გაამდიდროს მისი სულიერი სამყარო, განუმტკიცოს რწმენა და ა. შ.

თანამედროვე კაცობრიობა უდიდესი ცვლილებების წინაშე დგას. საერთაშორისო ომმა ყველასათვის აშკარა ჰყო ბურჟუაზიუ-

ლი ურთიერთობის მოძველება და მთელი ქვეყნის ახალ საფუძველზე აგების აუცილებლობა. ამჟამად მთელი თავისი სიგრძე-სიგანით დღესავით ნათელია, რომ ამ საშინელი ომის შემდეგ იქნება არა მარტო პოლიტიკური ცვლილებანი, არამედ არსებული სოციალური ურთიერთობის შერყევა და შეცვლა. შეიძლება ჯერჯერობით სამუდამოდ ვერ დამარცხდეს ბურჟუაზიული საძირკველი, მაგრამ სასიკვდილო ლახვარი რომ ჩაეცემა, უეჭველია, — შემდეგი მისი არსებობა სასიკვდილოდ გამზადებულის აგონია იქნება.

მაშასადამე, ადამიანთა დასაყრდნობი ნიადაგიც მუდამ რყევაში იქნება, წინანდელ მყუდრო ცხოვრებას ბოლო მოეღება და მთელი კაცობრიობის მდგომარეობაც ისეთი იქნება, როგორიც იმ მგზავრებისა, რომელთაც შორეულ მგზავრობის დროს სრულიად მშვიდი ზღვა მოულოდნელად აუღელდათ და ერთ დროს მათი თითქოს მძლავრი გემი, ახლა უმწეოდ მიჰყვება-მოჰყვება აღშფოთებულ ტალღებს, ნაფოტივით ათამაშებს და როდის დაიღუპება არავინ იცის.

როგორ გამოიხატება ყოველივე ეს მომავლის ხელოვნებაში, რაგვარად აღბეჭდავს ადამის ძეთა გემის ასეთ საფრთხეში ჩაგდებას პოეზია, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით?

აი საინტერესო კითხვები, რომლებსაც მხოლოდ მაშინ გაეცემთ პასუხს, თუ ნათელი წარმოდგენა გვექნება წარსული დროის ლიტერატურაზე და საზოგადოდ ხელოვნებაზე. ისტორია უდიდესი მასწავლებელია აწმყოსა და მომავლის გასაგებ-შესასწავლად და ჩვენც ამ შემთხვევაში მას მივმართავთ.

თანამედროვე ევროპის საერთო განათლების განთიადზე ჩვენ ვხედავთ პეტრარკას, ბოკაჩიოს, დანტეს. ეს იყო საშუალო საუკუნეების ბიწურულში და ახალი ისტორიის დასაწყისში. ამ ხანას აღორძინების ხანა, ანუ რენესანსი ჰქვია (XIII—XIV სს.). ამ ხანაში პირველად აღიმაღლა ხმა საერთო განათლებამ სასულიერო მოძღვრების — თეოლოგიის — წინააღმდეგ, უარყო გრძნობისა და აზრის შემბოჭავი სქოლასტიკა და სასტიკი ომი გამოუცხადა ეკლესიის ავტორიტეტს, რომელიც გარდაუვალ ლოდად აწვა მთელ მაშინდელ კაცობრიობას; სამღვთო წერილის გარეშე აზროვნება არ შეიძლებოდა, ყველა უნდა ცდილიყო, რომ აქ მოენახა საჭირბოროტო კითხვების პასუხი და გარეშე სახარებისა ყოველივე ეშმაკეულისა იყო.

მას აქეთ ბევრი ბუმბერაზი მოაზროვნე წარმოშვა კაცობრიობამ, მრავალ მწვერვალსა ვხედავთ ხელოვნებისა და ფილოსოფიის სამეფოში. ამ მწვერვალებიდან ჩვენ მხოლოდ ორზე გვექნება ლაპარაკი: ერთია გოეთე — „ფაუსტის" ავტორი და მეორე—მუდამ მჭექარე და მოუსვენარი ბაირონი.

ჯერ ვილაპარაკოთ გოეთეზე.

მუდამ წყნარი, მუდამ მშვიდი და მასთან მუდამ პარნასზე შარავანდედით მდგომი გოეთე ბოლოს და ბოლოს მაინც ცოდეილი დედამიწის შვილად დარჩა, აგრე მხატვრულად და ხელოვნურად გამოთქმული მისი აზრები მაინც ცხოვრების ანარეკლი შეიქმნა, ვერც საბერძნეთის კლასიციზმით გატაცებამ უშველა დიდებულ მგოსანს და ვერც პარნასზე განსვენებამ. დიახ, გოეთესაც თავის ბეჭედი დასვა ცხოვრებამ, მაგრამ არა საერთო ცხოვრებამ — დაყენებულმა გარეშე ისტორიისა, არამედ განსაზღვრულმა დრომ, სახელდობრ მეთვრამეტე საუკუნის მიწურულმა და მეცხრამეტინ დასაწყისმა.

ილია „მგზავრის წერილებში" გოეთეს მყინვარს ადარებდა და ამბობდა: „ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავ-კარგი მის მაღალს შუბლზედ ერთ ძარღვსაც არ აატოკებს. ძირი თუმცა დედამიწაზედ უდგა, თავი კი ცას მიუბჯენია, განზედ გამდგარა, მიუკარებელიაო" და სხვ. ასეთი თვალით უყურებდა გოეთეს, იმ გოეთეს, რომელმაც გარეგნულად, მართლაც წყნარად და არა შილერივით თრთოლვით და ბაირონივით გრგვინვით გამოხატა განსაზღვრული დროის მისწრაფებანი. ძველი, ფეოდალური ქვეყნის ნიადაგი მეჩვიდმეტე საუკუნეში შეირყა. ეს იყო ინგლისში, სადაც ამ დროს დატრიალდა უდიდესი რევოლუცია: მოვიგონოთ შეფე კარლოსის თავის მოკვეთა, პურიტანული დემოკრატიის დიქტატურა, კრომველის პროტექტორატი, მოვიგონოთ ამ დროს იდეოლოგიის წარმომადგენელნი — მწერლები და ფილოსოფოსები — ჯონ მილტონი... ჰობსი... და ჯონდოკი. პირველი კრომველის მაღმერთებელია, მეორე რეაქციის წარმომადგენელია, მესამე რევოლუციას ამართლებს. ყველა კლასს ჰყავს თავისი იდეოლოგი.

ინგლისის ცხოვრების შერყევა დასაწყისი შეიქნა უდიდესი კატასტროფების. სოციალური მიწისძვრა ინგლისის შემდეგ საფრანგეთში გახშირდა. ეს იყო მეთვრამეტე საუკუნეში. ამ ძირითადი რყევის მახარობელი მერცხლებიც ბლომად მოევლინენ მაშინდელ საფრანგეთს: მონტესკიე, რუსო, ვოლტერი და ენციკლოპედისტთა ბრწყინვალე კრებული. ფეხქვეშ ნიადაგშერყეული ადამიანი ტოკავს და თრთის, ღელავს და საბრძოლველად მიიწევს.

ამ ეპოქას რაციონალიზმის — გონების ბატონობის — ხანას უწოდებენ. საშუალო საუკუნეებში და რამდენიმედ რეფორმაციის დროსაც, გრძნობა ბატონობდა, ყველაფერი რწმენით უნდა მიგველო ხუცებისაგან, გონება უკანა კარებში იყო, ახლა კი, როცა პაპის ბატონობა შეირყა, სარწმუნოების არტახებიც დაჯდა და წინ გონება წამოდგა, უკან კარებში გრძნობა მიბრძანდა. ღღეს გონება მეფობს ყველგან, ადამიანი უძლეველ არსებადაა აღიარებული, ღვთის მაგიერ გონება გაღმერთდა, მხოლოდ და მხოლოდ იმას

უჯერიან, რასაც გონება დაამოწმებს, „მე ვაზროვნებ, მაშასადამე, მე ვარსებობ“ — ამბობს დეკარტე (1596—1650 წწ.).

შეირყა გერმანიის ცხოვრებაც, ჰქუხს შილერი, ქველმოქმედებს გოეთე, რომლის გენიალურ არსებაში თავეს იყრის მთელი მაშინდელი აზროვნების მთავარი ნაკადულები.

გოეთეს „ფაუსტი“ ფოკუსია, რომელშიც თავი მოიყარა მაშინდელი აზროვნების სხვადასხვა მიმდინარეობამ და ამ წერტილიდან იგი იქცა უდიდეს მდინარედ, თვით ზღვადაც კი.

რაკი პიროვნებამ შესძლო წელში გამართვა და თავისი თავი ყოვლის შემძლედ აღიარა, მისი მხრივ სრულიად ბუნებრივი და აუცილებელი იყო ექმ ფაუსტის პირით, შემდეგ მისწრაფებათა აღიარება: „ადამიანი უნდა მისწვდეს სამყაროს ყოველ საიდუმლოებას, გაიგოს მისი შინაგანი შენობის აზრი და მიზანი, უნდა იცოდეს ბუნების ცელილებათა რაობა, უნდა შეიგნოს ქვეყნიერების მამოძრავებელი ყოველივე ძალა, დაიტიოს თავის არსებაში მთელი დაუსრულებელი სამყარო, შეიცნოს სიცოცხლის სათავე, ქმნილებათა დასაწყისი, მსოფლიოს ოწინარი, ცა და ქვეყანა“.

აი ამ მისწრაფებებით არის გამსჭვალული ფაუსტი, რომელიც თავის დროის მოაზროვნეთა შორის მიუცილებლივ ტიპიური არსებაა. „ის ეძებს აბსოლუტურს, გარდუვალს, უსაზღვროს, მაგრამ მისი ამაო ძებნა ვერ დააკმაყოფილა ვერც მეცნიერებამ და ვერც მაგიამ, ტყვილა მიჰყიდა ეშმაკს სული, და ეს იმიტომ, რომ ფაუსტი მეტაფიზიკოსია, მეცნიერებას არამეცნიერულ მოთხოვნილებას უყენებს. აი რას ამბობს გოეთეს შემოქმედების კარგი მცოდნე ა. შახოვი: არსებობს სამგვარი მსოფლმხედველობა: პირველყოფილი, ეპიური, გულუბრყვილო სარწმუნოებრივი, რომელიც ერთიანად ეყრდნობა სარწმუნოებას და უარყოფს მეცნიერებას, მეორეგვარი შეხედულებაა მეტაფიზიკური, შუაში მდგომი, რომელიც ცდილობს შეარიგოს სარწმუნოება და მეცნიერება, რწმენა და ცოდნა, ურევს სარწმუნოებრივ და მეცნიერულ კითხვებს. დასასრულ არის მესამე შეხედულება, რომელიც ერთიანად უარყოფს სარწმუნოებას და ემყარება მეცნიერებას (გვ. 163).

ფაუსტი შუათანა აზროვნების წარმომადგენელია, ის ცდილობს, შეარიგოს მეცნიერება და სარწმუნოება. ფაუსტი თავისი დროის კაცია, რომელსაც ერთი მხრივ, შეუგნია ახალი ფაქტორის — გონების ძალა, მაგრამ, მეორე მხრივ, მასში ჯერ კიდევ ძლიერია საშუალო საუკუნეების თეოლოგიური გავლენა. ამიტომაც ის გაეხვევა საშინელ ქსელში და მის არსებას მოიცავს უსაზღვრო უიმედობა, პესიმიზმი, გონება როდი მიაჩნია მას ახლა ყოვლის შემძლედ, ეჭვი შეეპარა მის ძლიერებაში, გული ვაუტყდა მასზე. ამავე დროს ის

ხედავს საფრანგეთის რევოლუციის თავჩაღმართში დახრას და ეს გარემოება კიდევ უფრო აძლიერებს მის უიმედობას.

გოეთე მსოფლიო გოდების მგოსანია, მისი ვერტერი და ფაუსტი ამ მსოფლშეგრძნების საუკეთესო წარმომადგენელნი არიან.

ასეთივე გოდების უდიდესი წარმომადგენელია ბაირონიც, ის არსებითად იმავე თვალთახედვის ისარზე დგას, რომელზედაც გოეთე იდგა. ბაირონის პოეზიაც იმ ნიადაგით იკვებებოდა, რომელზედაც ფრთები გაშალა გოეთეს ფილოსოფიურმა შემოქმედებამ. „მეტაფიზიკურ გოდებას, რომელიც ვერტერისა და ფაუსტის სახით გადმოგვიშალა გოეთემ, ბაირონის პესიმიზმთან ერთად საერთო ნიადაგი აქვს თანამედროვე ცხოვრებაში. როგორც პირველი, ისე მეორე იყო შედეგი იმ გაორებული მსოფლშეგრძნებისა, რომელიც სუფევდა მე-18 საუკუნის გასულს და მე-19 საუკუნის დასაწყისს", ამბობს შახოვი ზემოთ დასახელებულ წიგნში (191 გვ.).

მაგრამ გოეთესა და ბაირონს შორის დიდი განსხვავებაა. მათ ერთი მეორეს ვერაფერითარ შემთხვევაში ვერ მივუთანასწორებთ, ერთია გოეთეს გოდება. მეორეა ბაირონის.

გოეთე სამყაროს შენობას დასტრიალებს თავს, უნდა გაიგოს მისი შინაარსი, წაიკითხოს ქმნილებათა წიგნი, გამოიცნოს საიდუმლოებანი. ფილოსოფოსი გოეთე კოსმოსს მისჩერებია და მისი პესიმიზმიც ამ ნიადაგზეა აღმოცენებული. ის ზეცაში დაფრინავს, შორდება საწუთროებას, მისი ფაუსტი ჩვენი ნ. ბარათაშვილივით შეღაღადებს ზეცას: „გულის თქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურს, ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამაოება".

ბაირონი კი, მწუხარე ბაირონი, ამ ცოდვილ დედამიწაზეა ერთიანად მიჯაჭვული და მისი ტანჯვით ეწვის სული. ის ათასში ერთხელ თუ აიხედავს „ზენაარ სამეფოსკენ" და ისიც წყევა-კრულვას თუ მიუძღვნის მას, ხსნას კი მისგან არ გამოელის, არც აინტერესებს მისი რაობა.

ბაირონი მიწის შვილია და არც ერთი წუთითაც არ ივიწყებს მის ინტერესებს: ადამიანი და მის მიერ შექმნილი ურთიერთობა, — აი მთავარი საგანი ბაირონის პოეზიისა. აქ ტრიალებს იგი, აქ ჭექს და ჰქუხს მისი არსება.

ბაირონს გოეთესავით სწამს გონების ყოვლისშემძლეობა, ისიც რაციონალიზმის პირმშოა, ისიც გონებიდან გამოელის ხსნას. მაგრამ გაირჩევა იმით, რომ გოეთემ თავისი გონება კოსმოსისაკენ მიაპყრო, ხოლო ბაირონმა — მიწისკენ, პირველს უნდა სამყაროს შეცნობა და საკუთარი სურვილების მიხედვით დამორჩილება, მეორეს — საზოგადოებრივი ცხოვრების გაგება და შესაფერად გარდაქმნა.

დამარცხდა გოეთე, ამაო შეიქნა მისი ძებნა და მის არსებასაც საშინელი გოდება მოიცავს, წამოიჩოქეს ბაირონი და ისიც გულის გამგმირავად აკვნესდება. ამნაირად, ადამიანის გონება ორივე გზაზე მარცხდება, ვერც ზეცას მიწვდა და ვერც ამ ცოდვილ წუთისოფელს.

წინა წერილიდან ვიცით, თუ რისთვის დამარცხდა გოეთე, ახ-ახლა კი ჩავუკვირდეთ, თუ რისთვის გოდებს ბაირონის ქნარი.

მთელი მეთვრამეტე საუკუნის აზროვნება არსებული პოლიტიკური წყობილების უსასტიკეს კრიტიკას წარმოადგენდა, კრიტიკის ქარცეცხლში გატარდა ყოველივე პოლიტიკური წყობილება და დაწესებულება. ამ დროს გადაიგრგვინა საშინელმა პოლიტიკურ-სოციალურმა ქარტეხილმა — საფრანგეთის რეოლუციამ. დაიმსხვრა ის, რაც ასე სასტიკად დაგმეს. ძველი დაინგრა, ახალი უნდა აშენდეს, მაგრამ სწორედ აქ იწყება კრიზისი. „ძმობა, ერთობა, თავისუფლება და თანასწორობა" არც ისე ადვილი დასამყარებელი შეიქნა ქვეყნად, ვერ გააერთიანა ამ ლოზუნგმა ყოველი ადამიანი, ყველამ საკუთარი შინაარსი ჩადო შიგ და რეოლუციამაც საშინელი ხასიათი მიიღო, ბოლოს და ბოლოს საზოგადოების ერთი ნაწილი დაერია მეორეს და ხან ერთი პარტიის ლიდერი ადის გილიოტინაზე და ხან — მეორესი.

მაშ, აქაც მარცხდება გონება, მარცხდება მისი აბსოლუტური ძლევამოსილება, მან ვერ გაამართლა მეთვრამეტე საუკუნის იმედები. მირაბოს და მარატის სიტყვები ნაპოლეონის ზარბაზნების გრგვინვამ შესცვალა, თავისუფლების საოცნებო ქალწულის მაგიერ პირქუში მეტერნიხი მოეელინა ევროპას.

ბაირონი მოდა-ოჯუ ლორდით შეჰყურებს ყოველივე ამას ტემზის ნაპირებიდან და პირველი დამარცხებისთანავე გააფთრებული წამოიკრება უკეთესმართობასთან საბრძოლველად.

როცა ევროპის სახელმწიფოებმა დაამარცხეს ნაპოლეონი და გამარჯვებული მოკავშირენი პარიზში შევიდნენ, ბაირონმა ცეცხლის ფრქვევით წამოიძახა: „პარიზში ქურდები შევიდნენო". მასში ზიზღი გამოიწვია ლონდონის მიერ ლიუდოვიკო მე-18 პატივსაცემად გამართულმა დღესასწაულმა და, „მსგავსად იაკობინელისა", კატეგორიული უარი განაცხადა დასწრებოდა მეჯლისს. ის გულმოწამლული გაიძახოდა: „მაშ დაიღუპა ყოველივე იმედი საფრანგეთში რესპუბლიკის შემოღების შესახებ". ხოლო, როცა ბურბონები ისევ დაბრუნდნენ და მოხდა რესტავრაცია, ბაირონმა გულისწყრომით შეაჩერა თავისი დღიური და მოხია დაუწერელი ფურცლები. აი რა ეწერა უკანასკნელად ამ დღიურში (1814 წ. 19 აპრ.): „ბურბონთა მეფობა ისევ აღდგა!!! ჯალათებო, ჩამოანერეთ ფილოსოფია!.. პირდაპირ ვაღიარებ, რომ დიდხანს მძულდა როგორც

ჩემი თავი, ისე ადამიანები, მაგრამ არასოდეს არ ყოფილა, რო
მე მოყვასისთვის სახეში ჩამეფურთხებინოს! ოო, საშინელებავ, მ
ჭკუიდან შეეიშლები"[1].

ბაირონი საშინელი მტერია ყოველგვარი დესპოტიზმის დ
უგულწრფელესი რესპუბლიკანელია. ის ცხარე ცრემლებით მის
ტირის კრომველის ხანას და ცეცხლს აფრქვევს ყოველგვარი უსა
მართლობის გამო. ის, როგორც ლორდი, ზედა პალატის წევრი იყო
პირველად პარლამენტში შესვლისას ზიზღით დაუხვდნენ მას ლორ-
დები, ხოლო მეორედ კი მთელი პალატა დაგმო და მიწასთან გასა-
წორა აჯანყებული მუშების დასჯისთვის. ნოტინგენის ოლქში ახა-
ლი მანქანების შემოღებით აუარებელი მუშა ფეიქარი დარჩა ქუ-
ჩაში, მშიერნი ქარხნებს მიესვენ დასალეწად. მთავრობამ ძალას
მიმართა მათ დასამორჩილებლად, ხოლო ეს აქტი პარლამენტს უნ-
და დაეკანონებია. და აი ბაირონი საშინელი პროტესტით გამოდის,
მუშებს იცავს. სხვაფრივ მოპყრობას მოითხოვს და ბევრ მწარე
ეშმარიტებას მიახლის ცხვირში ლორდებს. პალატამ მაინც თავისი
კანონი მიიღო. მაგრამ ბაირონი განაგრძობდა ბრძოლას და მიღე-
ბულ კანონს სამარცხვინოდ თვლიდა, თავის თავს კი ფეიქრების
მომხრედ აცხადებდა (დასახელ. შრომა, გვ. 66).

ევროპის რეაქციით გულმოკლული და საკუთარი სამშობლოს
მიერ ფარისეველთა და დამყაყებულ კონსერვატორთა სამფლო-
ბელოსაგან ათვალწუნებული ბაირონი თავის ჩაილდ ჰაროლდიეთ
წყველის გულზეიად ინგლისს და უკეთესი ქვეყნების საძებრად
მიდის აღმოსავლეთისაკენ. ეგონა. ესპანეთში დატკბებოდა, სერენა-
დების და ტორეადორების ქვეყანაში განისვენებდა. მაგრამ რა ნახა
იქაური მონობა და სასტიკი პოლიტიკური რეჟიმი, თავისებურად
დასძახა: „აღსდექით, ესპანელებო!" გული მოუკლა მშვენიერი
ელადის ნახვამ. თურქთა ბატონობის შედეგებმა და აქაც ყიჟინებს:
„ხელი ხმალს, ბერძნებო!" როგორც ვიცით, ამ უკანასკნელთა აჯან-
ყებაში მან დიდი მონაწილეობა მიიღო და მოწინავე კაცობრიობის
სიმპათიაც დაიმსახურა.

ასეთი იყო ბარიონი. ყოველი მისი ლექსი, ყოველი მისი პო-
ემა ამქვეყნიური უკეთმართობის შესაბუსრადაა მიმართული, ყო-
ველი აკორდი მისი ქნარისა საზოგადოებრივ უკეთმართობას გმობს
და სწყველის. ის როდია გოეთესავით მშვიდი და ობიექტური შე-
მოქმედი, ის ლირიკოსია, მკაცრად დაუპირისპირებია თავისი თავი
საზოგადოებრივისათვის და ყოველგვარ მის მოქმედებას გმობს
და უარყოფს.

მისი გმირები სულ სხვა ქვეყნის შვილები არიან, თანამედროვე

---

[1] ბაირონი, ა. ვესელოვსკისა, 1902 წ., გვ. 86.

საზოგადოებაში მათ ადგილი არა აქვთ; ისინი ან აღმოსავლეთის ზღაპრული სისხლისმსმელნი არიან და ან დაუნდობელი ყაჩაღები და ბნელი წარსულის მქონენი.

ბაირონს ვერ აკმაყოფილებს ვერც მისი დროის ჩვეულებრივი ადამიანი და ვერც მის მიერ შექმნილი საზოგადოებრივი ურთიერთობა, მას უსაზღვრო მსოფლიო გოდება მოიცავს ამ ნიადაგზე და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე სასტიკად მოთქვამს შავ აწმყოზე და ბრწყინვალე მომავალზე.

მაშ, ასე, ჩვენ, ერთი მხრივ, გაეცანით სამყაროზე მკვნესარ გოეთეს და, მეორე მხრივ, მოვიგონეთ საზოგადოებრივი უკეღმართობის გამო გულდათუთქული ბაირონი.

რა კავშირი ექნება ამ ორ მწერალს ახლო მომავლის ხელოვნებასთან? ნუთუ მათ მოტივებს კვლავ გაიმეორებს ლიტერატურა?

გოეთესა და ბაირონის მიერ წამოყენებული კითხვები დღესაც გადაუჭრელია, ორივე ეს კითხვა ჯერ კიდევ წინ უდგას მოაზროვნე კაცობრიობის გრძნობასა და გონებას.

არსებითად ყველა დიდი მწერალი ამ ორ მთავარ კითხვათა გარშემო ტრიალებდა და ახლაც მათ ევლება თავს. ბაირონის ქნარის მთავარი საგანი ადამიანთა ცხოვრების მოწესრიგებაა. იგი თანამედროვე აზროვნებისა და ხელოვნების უდიდესი პრობლემაა.

როგორც უკვე ვთქვით, ჩვენ უდიდეს გადატრიალებათა და კატასტროფების ხანაში ვცხოვრობთ, ჩვენს წინაშე იშლება და ვითარდება კაცობრიობის მოწინავე იდეები, კვლავ გამოჩნდა ცხოვრების კაბადონზე მოკიაფე ვარსკვლავი ბედნიერი ცხოვრებისა, იგრძნო კაცობრიობის უდიდესმა ნაწილმა, მუშათა კლასმა თავისი თავი ყოვლის შემძლებლად და ამირანის ძალ-ღონით აღჭურვილი თავგანწირულად ეკვეთა მტარვალთა სამეფოს.

ადამის ძეთა დასაყრდნობი ნიადაგის დღევანდელისებურად შერყევა უცნობი და უჩვეულოა მთელი ისტორიისათვის: ასე ღრმად და აგრე ყოვლის მხრივ ძვირად თუ ამოძრავდება დედამიწა.

ამიტომ აზროვნებაც ასეთნაირად ამოძრავდება და მრავალფეროვანი იქნება.

დღევანდელი მიწისძვრა მოულოდნელი რიდი იყო, ამ კატასტროფის მოახლოვებას კარგა ხანია გრძნობდა კაცობრიობა, რომლის ორი სხვადასხვა ნაწილი — ბურჟუაზია და პროლეტარიატი — სულ სხვადასხვანაირად შესტრფის და ეგებება მას. იმ დროს, როდესაც ბურჟუაზია დამფრთხალია და უგზო-უკვლოდ ეხეთქება აქეთ-იქით, როდესაც აღსასრულის მოახლოების ჟამს მისი აზროვნება და შეგრძნება ძველ მეტაფიზიკურ გზაზე დგება, ამ დროს მისი მოწინააღმდეგე კლასი დროშაგაშლილი მიისწრაფვის წინ, მისი მო-

მავალი ბრწყინვალეა, თავისი წილი ცის კამარა უღრუბლოა და ბედნიერების ვარსკვლავები ციმციმებენ ზედ.

ცნობილია: სიმბოლისტური მიმართულება განა გოეთეს ფაუსტივით მეტაფიზიკური მსოფლმხედველობის გამომსახველი არ არის? რეალური ქვეყნის საშუალებით არარეალურის შეცნობა, ბუნების საიდუმლოებათა გაგება და ამოკითხვა, სამყაროს შინაგანი არსების შეგნება, მეცნიერებისა და მისტიკური ბოდვის შეერთება-შეუღლების ცდა, — აი ის გზა, რომლითაც მიდიოდა ფაუსტი.

„სიმბოლისტს, უკიოკლს ყოვლისა, სწამს, — აძბობს ბ. კოგანი, — მარადიული აბსოლუტური ქვეყნის შეცნობის შესაძლებლობა. ეს ქვეყანა, მისი აზრით, არსებობს ჩვეულებრივი ხილული ქვეყნის გარშემო. პოზიტივიზმი თავისი კვლევის საგახს ჩვეულებრივი მოვლენებით, ფენომენებით საზღვრავს, სიმბოლიზმი კი ხელახლა ცდილობს ნუმენების ქვეყნის გაგებას, უნდა ამოიკითხოს სამყაროს საიდუმლოება. ის ხელახლა ცდილობს, გაიდოს რეალური ქვეყნისა და ტრანსცენდენტალურის შუა ის ხიდი, რომელიც თითქოს ჩაამხო მთელი საუკუნის მეცნიერულმა მუშაობამ“.

დააკვირდით კარგად, განა ეს ძიება ფაუსტისებურია? იმ ფაუსტის, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინათ მისჩერებოდა ზეცას თავის გენიოს შემქმნელთან — გოეთესთან ერთად. ცხადია, რომ ერთი და იგივე მოტივი განმეორდა სწორედ მაშინ, როდესაც დაიწყო ისეთი საზოგადოებრივი კატასტროფები და შერყევანი, რომელნიც მოხდა გოეთეს დროს.

სიმბოლიზმი საკმაოდ ძლიერი მიმდინარეობა იყო დღემდის დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში, ეს მიმართულება, რომლის საუკეთესო წარმომადგენელნი თავიდანვე გრძნობდნენ ბურჟუაზიული ქვეყნის აღსასრულის მოახლოვებას, დღევანდელ კატასტროფათა მეოხებით უეჭველია, რომ ერთიასად გაძლიერდება და გალრმავდება. ჯერ საერთაშორისო ომის საშინელებანი და შემდეგ ზედმომყოლი რევოლუციები კიდევ უფრო დააფრთხობენ კაცობრიობის ერთი ნაწილის აზროვნებას და ფაუსტივით აამეტყველებენ მას.

ყველამ იცოდა, რომ ომი უსაშინელესი რამ არის, უნდოდათ, რომ ეს ომი არ დატრიალებულიყო, მაგრამ ბურჟუაზიული კონკურენციის სიძლიერე იმდენად დიდი გამოდგა, რომ ეს გრიგალი მონაწილეთა უმეტესობის სურვილის წინააღმდეგ ამოძრავდა, დიახ, ისტორიის ულმობელმა კანონებმა თავის სურვილისამებრ დაატრიალა საშინელი ისტორიული ბორბალი, რომელმაც თან მოსპო და გაანადგურა უთვალავ ადამიანთა სიცოცხლე.

რა არის ეგ ისტორიული აუცილებლობა? ადამიანის გარეშეა ეს ძალა, თუ მის არსებაში იმალება? შეიძლება მისი შეცნობა?

ეგებ აქ ის ბედისწერა დაგვტრიალებს, რომლის წინაშე ქედს იხრიდა ძველი საბერძნეთის აზროვნება?

აი კითხვები, რომლებიც არა ერთხელ დაუსვამს მკვდრეთით აღმდგარ მეტაფიზიკას სიმბოლისტების პირით და უეჭველია, რომ დღესაც უფრო ღრმად და მკაფიოდ დაისმება ამგვარი კითხვები. ისტორიიდან ვიცით, რომ ასეთ ამოცანათა გასაგებად ხშირად ზეცისკენ მიუმართავთ და უეჭველია ასეთივე მოვლენის მოწმე ვიქნებით, როცა კვლავ მოგვეელინება რომელიმე გოეთე დროის შესაფერად მორთული და მოკაზმული. ეჭვს გარეშეა, რომ მისი თანამგზავრი იქნება ახალი ბაირონიც, რომლის მსოფლიო გოდება კოსმოსური ხასიათის კი არ იქნება, მსგავსად გოეთესი, არამედ — სოციალური.

დღევანდელი ვითარებიდან საერთაშორისო მუშათა კლასი ბევრ რაიმეს გამოელის; მისი დიდი ნაწილი სოციალიზმის განხორციელებაზე ოცნებობს. პოლეტარიატს სწამს, რომ უთუოდ ჩაუყრის საძირკველს ახალ ცხოვრებას, შექმნის ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობას და მხატვრული აზროვნებაც ამ მიმართულებით განვითარდება და ღირსეულად შეასრულებს თავის ფუნქციას.

გაკვრით ჩვენს ლიტერატურაზე

მახსოვს, ამ რამდენიმე წლის წინათ იერემიას გოდება იყო ქართულ პერიოდულ გამოცემათა ფურცლებზე: დიდი თუ პატარა, მეცნიერი თუ უმეცარი ერთხმად მოსთქვამდა:

— დავიღუპეთ, ქართული ლიტერატურა მოკვდა! არ გვიჩნდებიან ახალგაზრდა პოეტები, ბელეტრისტები, დრამატურგები; სანამდის შევყუროთ ილიას, აკაკის, ყაზბეგს, ბარათაშვილს, ვაჟას, ნინოშვილს?

რასაკვირველია, მოვლენის მიზეზსაც ეძებდნენ. ზოგის აზრით, ქართული ლიტერატურის დაჩაჩანაკების მიზეზი კრიტიკოსების არყოლა იყო; ამათი აზრით, კრიტიკოსი მწერლის წინამძღოლი, ხელმძღვანელი და მასწავლებელია. ხოლო თუ მასწავლებელი არ არის, ეჭვი არაა, რომ შეგირდიც ან სულ არ მოიძებნება და ან მუდამ შეგირდად დარჩება ანბანით ხელში. მეორეთა აზრით, ქართული მწერლობის დაცემის მიზეზი თითონ ქართული ცხოვრება იყო, რომელიც ისე განიავდა და დაიცარა, რომ ვინც უნდა ეძებოს, მის განსაკუთრებულ სახეს მაინც ვერ აღადგენს, ვერ დახატავს. ამიტომ, — ასკვნიდნენ ისინი, — ჩვენში ბევრს შესწევს წერის უნარი და ნიჭი, მაგრამ ფუქსავატი ჩვენი ცხოვრება საამისო მასალას არ იძლევაო და სხვა ასეთები.

ეს გოდება არც კი იყო დასრულებული, რომ ქართულ ლიტერატურას რაღაც გამოცოცხლება დაეტყო: ნელ-ნელა გამოჩნდნენ ახალგაზრდა მწერლები და ჩვენი ლიტერატურის გამოღვიძებაც ფაქტი შეიქნა. იბეჭდება აუარებელი ლექსი, იბეჭდება დრამები, მოთხრობები. კიდევ ცოტა ხანი და კრიტიკოსთა რაზმიც გამოდის სალიტერატურო ასპარეზზე, კვირა ისე არ გაიელის, რომ ამა თუ იმ ორგანოში სიტყვაკაზმული ნაწარმოების გვერდით ვეებერთელა კრიტიკული ფელეტონები არ ნახოთ გამობეჭდილი. ერთი სიტყვით, ქართული ლიტერატურა აღდგა მკვდრეთით, მესაფლავეთ არ გაუმართლდათ მოთქმა, მიწაში ჩასადებად გამზადებულ მიცვალებულს სიცოცხლის ნიშნები აღმოაჩნდა; მაშ როგორ შეიძლება მისი დამარხვა! მოშორდით, მოშორდით, მას კიდევ სიცოცხლე სურს!

რომ ეს ასე იქნებოდა, ყველა დაკვირვებულ ადამიანს უნდა სცოდნოდა. ქართველმა ერმა გაიღვიძა, შეკავშირდა, მთელი ქვეყნის ყურადღება მიიპყრო და განა მოსალოდნელი იყო, რომ ასეთი ერის მხატვრული ლიტერატურა დაღუპულიყო? ხელოვნება ერის სული და გული, აზრი და გრძნობაა, ეს ამა თუ იმ ხალხის კოლექტიური ფილოსოფიაა და განა შეიძლებოდა, რომ სიცოცხლით მჩქეფარე ქართველ ერს სული და გული გამოფიტოდა, თავის სულიერი ცხოვრების უზენაესი გამოხატულება დაღუპოდა?

როცა იმ გოდების დროს ასეთ მოსაზრებას მოიყვანდა ეინმე, ჩვენი ნაფიცი იერემიები, რომელნიც მხოლოდ თავის თავს აძლევენ ნებას ქართველ ერზე გულმტკივნეულად ილაპარაკონ და სხვისი ნათქვამი კი ნიანგის ცრემლების ღვრად მიიჩნიონ, აი ეს იერემიები მაშინ ზიზღით ამბობდნენ ხოლმე: — ვიცით, რისთვისაც ლაპარაკობთ მაგვებს, მაგრამ შეცდომაში ვერავის შეიყვანთ! განვლილი მოძრაობა ფუჭი იყო თავისი შინაარსით. ხელოვნური მიზნების განსახორციელებლად იყო გამოწვეული და შედეგებიც ფუჭი შეიქნა. საქართველოს განმაახლებელი კი არა, დამღუპველი იყო ეს მოძრაობა და, რასაკვირველია, ყალბ გზაზე შემდგარ ერს, სამარის პირად მისულ ხალხს, ლიტერატურაც უნდა დაღუპოდაო და სხვ.

მაგრამ, როგორც ხედავთ, ეს ასე არ მოხდა და განვლილმა სახალხო მოძრაობამ ძალუმად გადაგვიშალა ქართველი ერის სული და გული; ამას ამტკიცებს ჩვენი ლიტერატურის დღეანდელი მდგომარეობა: წარმოიშვენ ნიჭიერი პოეტები, დრამატურგები, ბელეტრისტები. მეშაობს ქართული აზრი, ფეთქს ქართული გრძნობა.

ნიჭიერი პოეტების მთელმა რიგმა, რომელთა გუნდი ვარსკვლავებივით კაშკაშებს საქართველოს სულიერი ცხოვრების ცის კაბადონზე, აშკარად დაგვანახვა ჩვენი პოეზიის ცხოველმყოფელობა, გამოვლინდა მისი სიძლიერე, სიღრმე, ტემპერამენტი. თანაც, რაც თავიდათავია, ისიც დაგვანახა, რომ იგი მიჯაჭვული არ არის მარტო

ქართულ ცხოვრებაზე, არა ჰგავს განუვითარებელ ხალხთა, ასე ვსთქვათ, საშინაო პოეზიას და საკაცობრიო კითხვებსაც სწვდება, ცდილობს გვერდით ამოუდგეს მოწინავე ერთა ლიტერატურას. ეს ცდა ბევრ შემთხვევაში მარტო ცდა არ არის, მას რეალური ნაყოფიც მოჰყვა.

ამავე დროს დღევანდელ ქართულ პოეზიას ერთგვარი ელფერი და მიმართულება როდი აქვს, როგორც ეს იყო განვლილ საუკუნეში ცოტას გამოკლებით. მაშინ ჩვენი პოეტები საქართველოს ბედს დასტიროდნენ, მასზე ფიქრობდნენ. მასზე ოცნებობდნენ, დღეს კი, გარდა ამისა, ჩვენი პოეზია სხვა პრობლემებსაც დასტრიალებს. ამ მხრივ იგი შეიძლება ორ მძლავრ ნაკადად დავყოთ. ერთი ნაკადი ისევ ძველ კალაპოტს გაბაგრძობს, ისევ მიჯაჭვულ ამირანს მისტირის, მეორე კი მთელი თავისი გატაცებით და ახალგაზრდული თავდავიწყებით იკაფავს ახალ გზას. ქმნის ახალ მიმართულებას. მას ალარ აკმაყოფილებს ვიწრო ნაციონალური ჩარჩოები და დიდი ძალით გვიხატავს საკაცობრიო იდეებსაც.

გარდა ამისა, სხვა ნიშნობრივ თვისებათა მიხედვითაც დაიყოფება ჩვენი დღევანდელი პოეზია; მას მარტო ორი ფერი არ ამკობს, ის მრავალსახიანია, მრავალფეროვანია, რაც, უპირველეს ყოვლისა, იმას ამტკიცებს, რომ იგი განვითარებულია, წინ მიდის და მომავალიც ბრწყინვალე აქვს.

ერთობ ფრთხილად და ბევრის გამოკლებით ასევე ითქმის დრამატული ხელოვნების შესახებაც. აქაც ვხედავთ ახალ ნაკადულებს, ახალ ნაბიჯებს, და ახალ მიღწევებსაც კი. ის ჯერჯერობით სუსტობს, ვაკაცურად ვერ დამდგარა საკუთარ ფეხზე, მაგრამ მარტო ის, რომ ხელოვნების ეს დარგი ჩვენში ერთ წერტილზე არ გაიყინა და სიცოცხლის უნარს შესაფერად იჩენს, მარტო ეს, ვიმეორებ, იმის მომასწავებელია, რომ დღეს თუ ხვალ ქართული ხელოვნება აქაც ფეხს მოიმაგრებს და ეცდება გვერდით ამოუდგეს მოწინავე ერთა სულიერ მისწრაფებას. დღევანდელი მისი სისუსტე, უპირველეს ყოვლისა, იმით უნდა აიხსნას, რომ დრამატულ ხელოვნებას, შედარებით ჩვენს პოეზიასთან, ნაკლები ტრადიცია აქვს, ნაკლებად იყო ჩვენს წარსულში განვითარებული და შესაფერი ფორმებიც არა აქვს წარსულისაგან გადმოცემული. ჩვენი პოეზია კი ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში იდგა მიუწვდომელ სიმაღლეზე. ჯერ კიდევ მაშინ ჰქონდა მას შემუშავებული დღევანდელ დღისათვისაც კი სათაყვანო და საიდეალო ფორმები; და რა გასაკვირია, რომ ხელოვნების ეს დარგი დღეს გაცილებით ძლიერი იყოს, ვინემ დრამატული ხელოვნება.

ბელეტრისტიკის შესახებ უფრო გაბედულად შეგვიძლია ვილაპარაკოთ. მართალია, ის პოეზიასავით განვითარებული არ არის, მაგ-

რამ მხარს რომ ღირსეულად უმშვენებს, ეს უცილობელი ფაქტია. ჩვენი ახალი ბელეტრისტიკა დღეს ფრთებს ისწორებს, გზებს ეძებს და ლამობს შესაფერი ადგილი დაიჭიროს. დაკვირვებული თვალი მაშინვე შეამჩნევს, რომ ახალმა მოთხრობამ ჩვენში უკვე დაკარგა ან თანდათან კარგავს ეთნოგრაფიულ, კუთხურ ხასიათს და საერთო ეროვნულ სახეს იღებს. დღევანდელ მოთხრობათა გმირებად ვხედავთ არა მარტო გურულს, მეგრელს, ან მთიულს, ან ტეტიას, არამედ საერთოდ ქართველს, რომელშიაც გადადულებულია ქართლელიც, კახელიც, გურულიც, მეგრელიც, იმერელიც... პერსონაჟები ლაპარაკობენ არა მხოლოდ რომელიმე კილოთი, არამედ ყველას ნიერ მიღებული ქართული ენით. ეს, რასაკვირველია, დიდი ნაბიჯია წინ, განვითარების გზაზე გადადგმული, და ვინც ამას ვერ ხედავს, ის ან ბრმაა და ან ერთობ შეუპყრია და აზრის დაკარგვამდე მიუყვანია იერემიულ გოდებას. მართალია, ჯერ ვერ ვხედავთ ქართველის ტემპერამენტით და ნების ღონით აღჭურვილ გმირებს. რომელნიც თავის შესაფერად ატარებენ ცხოვრებაში საქვეყნო იდეებს. მართალია ქართულმა ბელეტრისტიკამ ჯერ ვერ დაგვანახა, თუ როგორ გამოინერგა ჩვენს ნიადაგზე საერთაშორისო პრობლემები და რა სახით ცდილობს ქართველი ამ პრობლემათა განხორციელებას. დიახ, ჩვენ არა გვყვანან მაქსიმ გორკები, ჯეკ ლონდონები, უაილდები, მაგრამ ყველაფერი ეს დროის საქმეა: დღევანდელი მდგომარეობა იმის თავდებია, რომ ჩვენშიც ფრთას გაშლის ისეთი ნიჭი, რომელიც თამამად ამოუდგება გვერდით ევროპის მწერლებს. შეიძლება დიდად ახალი აზრი და მიმართულება ვერ შეიტანონ ქართველმა მწერლებმა საქვეყნო ხელოვნების სალაროში, მაგრამ საკუთარი სახით და ფორმით რომ შესაფერ ადგილს დაიჭერს ერთა პანთეონში, ეს უეჭველია...

მაგრამ... მე დღევანდელი ქართული ლიტერატურის მარტო საქებად და სადიდებლად როდი ამიღია ხელში კალამი. მარტო მისი ხოტბით როდი მინდა დავასრულო წერილი. არა, ეგ ძალიან ადვილი ხელობაა საზოგადოდ და განსაკუთრებით ჩვენში, სადაც ბევრ შემთხვევაში ამა თუ იმ სალიტერატურო კითხვის გადასაწყვეტად მარტო ორი სიტყვაღა არსებობს: კარგია, ცუდია.ან მთლად უარყოფენ რომელიმე ნაწარმოებს, ან სრულიად უცვლელად მიიღებენ, შუათანა რამ, ანალიზზე დამყარებული მათემატიკურად გამოანგარიშებული დასკვნა კი სანთლით საძებარია: ეს არც გასაკვირია, ვინაიდან ამას შრომა უნდა, საქმისადმი სიყვარული და ცოდნა, ამ თვისებების საჭიროებას, მართალი უნდა ვთქვათ, ბევრი ზედმეტ ბარვად თელის და თუ შემთხვევით შეძენილი ორიოდე აზრი გამოამზეურა რომელიმე ორგანოს ფურცლებზე — ერთი პოეტი ცამდის აიყვანა, მეორე კი დაასამარა — ყველაფერი გათავებულია და ულ-

მობელი კრიტიკოს-მსაჯულის ადგილიც უკვე მიჩნეული აქვს. მაგრამ ამაზე ქვევით გვექნება ლაპარაკი.

აიღეთ რომელიც გნებავთ დღევანდელი ქართველი პოეტი, შეისწავლეთ მისი ნაწერები, გაიეცნეთ მისი გრძნობით და აზრით, მისი პათოსით და თქვენ ნათლად დაინახავთ, რომ თქვენდა შეუმჩნეველად მოთავსებულხართ ცხოვრების ერთ-ერთ კუნჭულში, ჩაუედილხართ პატარა კალაპოტში და სხვაგან არც კი გინდათ გადაიხედოთ. თქვენი აზრი, თქვენი მისწრაფება, თქვენი სიხარული და სევდა, მთელი თქვენი ცხოვრების დასაწყისი თუ დასასრული, აქ. ამ პატარა ნაჭუჭში მოთავსებულა და თანაც დარწმუნებული ხარ — რაც ყველაზე უარესია — რომ მთელი ცხოვრება შენს გარშემო ტრიალებს, შენ ხარ სამყაროს ღერძი, ქვეყნის გამამშვენიერებელი და ბატონ-პატრონი.

ვთქვათ, თქვენ კითხულობთ პეტრეს ნაწარმოებს, იგი ნიჭიერი პოეტიცაა, ამიტომ მის ნაწერებს გულდასმით, სიყვარულით კითხულობთ. მაგრამ რა? პირველი ლექსიც იმ გრძნობას გიღვიძებს, რა გრძნობასაც — უკანასკნელი, ხან ამ მხრივ უდგება პოეტი თავის საგანს, ხან იმ მხრივ, ე. ი. ერთსა და იმავე საგანს დასტრიალებს, სხვა კითხვები მისთვის არ არსებობს, მისი თვალთახედვის ისარი ერთობ შემოფარგლულია. არსებითად ასეთივე სიტყვებით დახასიათდება პოეტი ივანეც, რომლის პოეზია პრიმიტიული სათვალეებით მისჩერებით მშრომელს, იბრალებს მას, ცრემლებს ღვრის მის მდგომარეობაზე, მაგრამ, ვინაიდან პოეტის მსოფლმხედველობა ერთობ შეზღუდულია, მას არ ძალუძს, კითხვა ფართოდ დასვას, მშრომელთა ბედი გაითვალისწინოს სხვადასხვა სოციალური კლასების შეხლა-შემოხლაში, მათთან დამოკიდებულებაში. კი, ყველაფერი ის, რაც მგოსანს შეუქმნია, კარგია, მაგრამ ამავე დროს ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია და მარტო ამაზე შეჩერება არ შეიძლება, საჭიროა მეტი სიმაღლე, მეტი თვალსაწიერი, მეტი მრავალფეროვნება: ცხოვრება ურთულესი მოვლენაა, პიროვნება და საზოგადოებრივი ჯგუფი. იგი ყოველი ფეხის გადადგმაზე აუარებელ საჭირბოროტო საკითხს უყენებს პოეტს; ისიც იძულებულია, გასცეს ესა თუ ის პასუხი რომელიმეს. მაშასადამე, პოეტი მრავალმხრივ განათლებული უნდა იყოს, რათა არც ერთი კითხვა უპასუხოდ არ დატოვოს, არც ერთ პრობლემას გვერდი არ აუაროს, ყველა საკითხი საკუთარი მსოფლმხედველობით გააშუქოს. ჩვენი პოეტების საგრძნობი ნაწილის მსოფლმხედველობა ერთობ მარტივია, ხშირად შაბლონურიც. კი: მათ შორის ძვირია ისეთი ნიჭი, რომელიც თავის არსებაში იტევდეს ცხოვრების მრავალფეროვნების ცოდნას და იმავე დროს ხელოვნებით გადმოგვცემდეს მას. მათში ვერ ნახავთ ფართო, უნივერსალური ფანტაზიის მქონეთ, მრავალფეროვანი სინამდვილის მრავალფეროვანადვე აღმბეჭდავს.

ნიჭი განმაზოგადებელი, ცხოვრების ათასგვარ კითხვათა ერთ წერტილში თავის მომყრელი, ნიჭი მძლავრი და ფართო ფანტაზიისა, რომელსაც „ძალუძს სრულქმნა სიტყვათა", — აი ვის ელის დღევანდელი ქართული პოეზია, რომლის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ანალიტიკური ელემენტები ესათუოდ შეერთდება ერთგვარ სინთეზში. ასეთი სინთეზის მომხდენი ნიჭი ყოველგვარ კითხვას შეეხება, ცხოვრების მრავალფეროვნებას უტყუარად და უშიშრად გადაგვიშლის თვალწინ, აი სწორედ მაშინ ვიხილავთ იმ ჭეშმარიტად შემოქმედს, ვისზედაც ითქმის: დაწერა წიგნი, მსმენელთა გულისა გასაგმირალიო.

თითქმის ასევე ითქმის დრამატურგისა და ბელეტრისტის შესახებ, აქაც ცარიელია დიდი მწერლის ადგილი, აქაც უნდა მოვიდეს ნიჭი სრული, ნიჭი მრავალფეროვანი, რწმენით აღსავსე. მან ნელნელა უნდა ალივლივოს ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ზღვა, ძალუმად დაატრიალოს მასში შემოქმედების ხომალდი და დროშაგაშლილმა გასწიოს უცნობ ნაპირისაკენ...

როგორც მკითხველი დაინახავდა, ჩვენს სიტყვაკაზმულ მწერლობას, დადებით მხარეებთან ერთად, ნაკლიც აქვს, კარგთან ავიც ახლავს. ბევრი რამ მასში გამოსარჩევია, გამოსახილავი, ბევრი უარსაყოფია, ბევრი მისაღები, რიგი სასარგებლო, რიგიც გამოუსადეგარი. მერე ვისი საქმეა, ვინ უნდა ეწეოდეს ამას? რასაკვირველია, ლიტერატურული კრიტიკა. ეს მისი წმინდა დანიშნულებაა და ვერც ვერავინ შეეცილება მას. ამ შემთხვევაში, ასე ვთქვათ, კომპასის, თუ ერთგვარი ხელმძღვანელის როლი უთუოდ ეკუთვნის ლიტერატურულ კრიტიკას. მერე როგორ ასრულებს ის თავის ფუნქციას?

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი დღევანდელი ლიტერატურული კრიტიკა უბადრუკ მდგომარეობაშია და ვერ ემსახურება თავის მიზანს.

პირველ ყოვლისა, აქ ვერ ნახავთ ისეთ კრიტიკოსს, რომელიც თვალს ადევნებდეს ქართული ლიტერატურის ყოველგვარ მოძრაობას, მის სულთათქმას, ხელში ეჭიროს მწერლობის მაჯა და გულმტკივნეულად აღნიშნავდეს ყოველგვარ მის ცვლილებას. არა, აქ ხშირად გაზეთის საშუალებითაც კი აცხადებენ: ჩვენ მოცლა არა გვაქვს თვალყური ვადევნოთ იმას, რაც ქართულ გაზეთებში იბეჭდება და ამიტომ, ვისაც სურს, მიუდგომლად გავარჩიოთ მისი ნაწერები, შეკრიბოს თავისი თხზულებანი და მომაწოდოსო. დიდი საქმის ამაზე მეტად აბუჩად აგდება არ შეიძლება!

მოვიგონოთ ბ. ბელინსკი, ეს უმწიკვლო და შეუბღალავი რაინდი რუსეთის კრიტიკული ლიტერატურისა. რა კატაცებით უყვარდა მას მშობლიური ლიტერატურა, რა თავდავიწყებით და ენერგიით ემსახურებოდა მას. დღე და ღამე, ყოველ წამს მასზე ფიქ-

რობდა, მასზე ოცნებობდა, მისი გრძნობა და აზრი პირდაპირ მიჯაჭ-ული იყო მშობლიურ ხელოვნებაზე, განა რომელიმე თავდავიწყებულ ახალგაზრდას ისე შეუძლია უყვარდეს თავისი სატრფო, როგორც ბ. ბელინსკის უყვარდა რუსული ლიტერატურა? ამ მხურვალე სიყვარულის შედეგი იყო, რომ ბელინსკიმ ზოგი შეუსაბამო რამ თქვა რუსეთის ლიტერატურაზე (გრიბოედოვის პიესის პირველი დაფასება და სხვ), მაგრამ ამავე სიყვარულმა სასწაულიც მოახდინა და ვიღაც „რაზნოჩინელი", უნივერსიტეტიდან — უნიჭოებისათვის გამოძევებული სტუდენტი, ლიტერატურაში პირველ გამოსვლისთანავე ყველას მიერ თვალყურმისაპყრობი შეიქნა, მისი „სალიტერატურო ოცნებანი" ის ქვა იყო, რომლის გადასროლამ უცებ შეარყია მაშინდელ კრიტიკოსთა დაობებული ტბა.

ვხედავთ ჩვენში რაიმე ამის მაგვარ მოვლენას? არა, აქ კრიტიკულ წერილებს განცხრომის დროს წერენ, ისე, სხვათა შორის, უსიცოცხლოდ, უსიყვარულოდ. მოეწონება ვინმეს რომელიმე ნაწარმოები. შეაქებს, არა და, გვერდზე გადაისვრის, რა საჭიროა, რაც არ მოგწონს, იმაზე წერი.

ბ. ბელინსკი სანთლით და საკმეველით ეძებდა ნიჭს, ყოველ მწერალს სიყვარულით აღსავსე გულით უახლოვდებოდა; გულდასმით სწავლობდა ყოველ სტრიქონს, ყოველ გვერდს და შემდეგ გამოჰქონდა ესა თუ ის მსჯავრი. მართალია, ის საშინლად მკაცრი იყო (შეუბრალებელ ბესარიონს უწოდებდნენ), მაგრამ. ამავე დროს ის უაღრესად მოსიყვარულე პიროვნება იყო: თაყვანს სცემდა დიდსა თუ მცირეს.

ჩვენი კრიტიკოსები კი. გვაპატიე, ბესარიონ ბელინსკის შარავანდედით მოცულო სახელო, შენს გვერდით რომ მათ ვაყენებთ, სულ სხვა ინტერესებს, ცოდნასა და სიყვარულს აელენენ: ახალ ნაწარმოებს სიყვარულით კი არ კიდებენ ხელს, არამედ — დასჯის მიზნით. მოწინააღმდეგე მიმართულებისა თუ არის, არც კი შეხედავენ: ვთქვათ, ჩაიკითხა ნაწარმოები, მაგრამ არ მოსწონს; ამ არმოწონებას მხოლოდ ორიოდე სიტყვით ეტყვის მკითხველს, ისიც კარგიაო.

რატომ არ ვარგა? როგორი უნდა ყოფილიყო ნაწარმოები? და სხვა ამგვარი კითხვებით ტყუილად თუ მიმართავთ მას, ის ოლიმპის მთაზე განისვენებს, თქვენთან სალაპარაკოდ როდი სცალია?

შეიძლება ნაწარმოები სუსტია, როგორც ძთელი, მაგრამ კარგი აქვს ნაწილები, იქნება მთავარი პერსონაჟი ვერ არის კარგად დახატული, მაგრამ, სამაგიეროდ, მეორეხარისხოვანი ტიპები კარგადაა დასურათებული? ამგვარ კითხვებზე პასუხს ჩვენს კრიტიკოსებს ნუ მოსთხოვთ.

ყოველი მწერალი, რომელსაც ერთი პიროვნების მაინც ცო-

ცხალ ადამიანად ჩვენება შესძლებია, რომელსაც მისდა შეუმჩნეველად გაცოცხლებია ხელში ადამიანის აბსტრაქცია; ვიმეორებ, ასეთი მწერალი უკვე საინტერესოა და კრიტიკოსის მოვალეობაა — უურადღებით მოეპყრას მას. მწერალი, რომელიც სურათს მაინც თუ ცოცხლად ხატავს სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლისას აუცილებლივ ყურადღებამისაქცევია. თუ კრიტიკოსი ნიჭიერია და მას მინიჭებული აქვს მხატვრული ალღო, ის იმწამსვე იცნობს ჭეშმარიტ მხატვრულ ნიჭს, ერთი კალმის მოსმით შეატყობს მას და, თუ ძალა შესწევს, შესაფერ ხელმძღვანელობასაც გაუწევს.

გარდა ლიტერატურისადმი სიყვარულისა, საჭიროა, რასაკვირველია, რაიმე იდეა, რომლის განსახორციელებლად კრიტიკოსი იღებს კალამს ხელში და არჩევს ამა თუ იმ ნაწარმოებს; ლექსია თუ ზოთხრობა, დრამაა თუ კომედია მარტო იმისათვის ხომ არ იწერება, რომ რამდენიმე ტონა ქაღალდი დაიხარჯოს, ყველაფერ ამას თავის განსაზღვრული მიზანი და მიმართულება აქვს დასახული. ყოველგვარი ნაწარმოების ავტორს თავისებურად ესმის ცხოვრება და თავისებურად ცდილობს მის გარდაქმნას, თუ გაუმჯობესებას: აი აქ კრიტიკოსის იდეალიც უნდა გამოჩნდეს, მისი ფილოსოფიაც ნათელი უნდა იყოს.

დღევანდელი ჩვენი კრიტიკოსების ერთი ნაწილი კი კალამს მარტო იმიტომ იღებს ხელში, რომ, რაც შეიძლება ბუნდოვანი ფრაზებით აგვიხსნას კოცნის მნიშვნელობა. ამაზე მეტი უიდეობა შეიძლება?

არა, ბატონებო, ჩვენთვის დღეს საჭიროა არა ისეთი კრიტიკოსი-სიმბოლისტი, რომელიც თბილ საკარძელში ზის და ხაერდოვანი სათვალეებით ათვალიერებს ცხოვრებას, არა ისეთნი, რომელთა „ხელმძღვანელობამ“ უდიდესი გრძნობა, სიყვარული ერთიანად გაძარცვა, ამოაცალა მას ყოველივე იდეალური, შორს ჩვენგან! ჩვენ გვინდა ისეთი კრიტიკოსი, რომელიც იქნება საქმის მცოდნე, კაცთმოყვარე, ჭეშმარიტი მამულიშვილი, ნაწარმოების მხატვრული თავისებურებისა და მისი ღირებულების მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით გარჩევის უნარის მქონე.

მუოგლიური ენის სწავლების ზოგი საკითხი

მხატვრული ნაწარმოების შესწავლის დროს ერთ-ერთ საყურადღებო მომენტს შეადგენს მწერლის ენაზე დაკვირვება. ამ სახის მუშაობის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ შეგირდმა შეითვისოს მშობლიური ერის სალიტერატურო ენა და სწორმეტყველების ნიმუშები. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ მიზანში ბევრი რამ არის გასარკვევი და ნათელსაყოფი. თუ მასწავლებელი სათანადოდ არ არის ამ საკითხებში გარკვეული, მისი მუშაობაც ვერ იქნება სათა-

ნადო გზით მიმართული და ვერც საჭირო ნაყოფიერებას მოიტახს.

ენა და მისი ფორმები არ არის ერთ წერტილზე გაყინული ფაქტი, იგი ერთიანად ემორჩილება ევოლუციის რკინის კანონს და ბუდამ ყამს დუღილში და ცვალებადობაშია. ენას აქვს თავისი როგორც აწმყო, ისე წარსული, აქვს აგრეთვე მომავალიც. არსებული ცოცხალი ენა შედეგია წარსული ისტორიული განვითარების და თანაც საფუძვლად ედება მომავალ ენობრივ ევოლუციას.

ბუნებრივად ისმება ასეთი საკითხი: რომელი ენა უნდა ისწავლებოდეს სკოლაში — ისტორიული, თუ აწმყო სალაპარაკო, ან კიდევ მომავლის ენა?

მაგრამ საკითხი არც ამა თუ იმ პასუხის გაცემით ამოიწურება. საქმე ისაა, რომ ენა, მართალია, უაღრესად თავისებური სოციალური მოვლენაა, მაგრამ ინდივიდუალური მოვლენაცაა და არასოდეს არ შეიძლება მისი გარდუვალ კანონებში ჩასმა, ყველასათვის ერთნაირად მისაღებ ფორმებში ჩამოყალიბება.

ენა ადამიანთა ინდივიდების კოლექტიური შემოქმედების ნაყოფია და იმდენად მრავალფეროვანია იგი, რამდენი შემოქმედიც მონაწილეობას ღებულობს მის გამდიდრებასა და განვითარებაში. ენის წინსვლა მუდმივად არის დაკავშირებული სოციალური ცხოვრების უღრმეს მოვლენებთან და ამაზე დაყრდნობილი ადამიანის სულიერ-გონებრივ შემოქმედებასთან. ყოველი ახალი მოვლენა ერის ეკონომიკურ-პოლიტიკურ-კულტურულ სფეროში გადადის ხალხის ენობრივ სალაროში.

საერთო ეროვნული ენის გამდიდრებაში და ფორმების გამოშუშავებაში მონაწილეობას ღებულობს როგორც ყოველი ცალკე პირი, ისე რომელიმე კუთხე, სოფელი და ტომი. მიუხედავად იმისა, რომ ქართველ ხალხს აქვს ერთი სალიტერატურო ენა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეს მაინც განსაკუთრებული ელფერის სალაპარაკო ენა, ანუ კილოკავი ახასიათებს. ქართლში სხვა იერით ლაპარაკობენ, ვიდრე იმერეთში. გურია თავისებურ სურნელებას აძლევს საერთო დედა ქართულს, ასეა რაჭა, აჭარა, კახეთი, ჯავახეთი, ლეჩხუმი... ცალკე პიროვნების შემოქმედების თავისებურების საუკეთესო მაგალითი ცალ-ცალკე მწერლების შემოქმედებაა. თუ მწერალი ოდნავად ნიჭიერია, მას უსათუოდ ახასიათებს ენის თავისებურება: სიტყვათა მარაგი, წინადადების კონსტრუქცია, გამოთქმის სურათიანობა და სხვ. აკაკი წერეთელს თავისი ენა აქვს, ილია ჭავჭავაძე თავისებურად გამოთქვამს აზრებს, ასევე ვაჟა-ფშაველაც, ყაზბეგიც და სხვ.

ვისი ენა ვასწავლოთ მომავალ თაობას — აკაკის, ვაჟასი, ილიასი თუ რომელიმე პროვინციის ან კიდევ საერთო ეროვნული ენა? როგორ მოვექცეთ თვითონ შეგირდის შემოქმედებას ენის სფერო-

ში, პატივი ვსცეთ მის ინდივიდუალობას თუ სხვათა ეხობრივ სიმდიდრეს ვაზიაროთ იგი? უეჭველია, რომ ყოველივე ეს საკმაოდ ართულებს ენის სწავლების საქმეს.

სკოლაში ენის გარშემო მუშაობა არსებულ და ხმარებაში მყოფი ენობრივი ფაქტებიდან იწყება, ვიხაიდან სასკოლო სახელმძღვანელოები ამ ენით არის შედგენილი. მაგრამ გზადაგზა ვერც ენის ისტორიას აუხვევთ გვერდს. მაგ., ხშირად ძველ, დღეს ხმარებიდან გამოსულ ფორმებსაც შევხვდებით და მათი ახსნაც აუცილებელი გახდება. მაშასადამე, ენის აწმყო და მისი ისტორია აუცილებელი რამ არის სასკოლო მუშაობაში და საკითხიც იმის შესახებ, თუ რომელი ენა ისწავლებოდეს — აწმყოსი თუ წარსულის, თავისთავად წყდება. რაც შეეხება მომავლის ენას, აქ მხოლოდ კერძო ინდივიდის მხრივ ხალხის ენის ბუნებასთან შეთანხმებულ ცალკე ფორმების შექმნასთან გვაქვს საქმე და ამიტომ რაიმე ფართო მიზნების დასახვა შეუძლებელი იქნებოდა. ესპერანტოზე მუშაობა ჩვენი საქმე არ არის.

რაც შეეხება იმას, თუ ვისი ენა უნდა ისწავლებოდეს აწმყოდან — მწერლის, პროვინციის, თუ საერთო ეროვნული — ეს უფრო რთული საქმეა, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებასაც, რომ ბავშვის პირად შემოქმედებასაც ანგარიში უნდა გაეწიოს ამ მუშაობის პროცესში.

თანამედროვე ენა ასეთნაირადაც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ: ლიტერატურული ენა, ხალხის ენა და ცალკე პიროვნების ენა:

ლიტერატურული ენა ის ენაა, რომლის საშუალებით გამოითქმის ხალხის უკეთეს და ნიჭიერ შვილთა მიერ ნაგრძნობი და ნაფიქრი სათუთ და უაღრესად დახვეწილ ფორმებში. ამ ენაზეა დაწერილი სულიერი კულტურის უძვირფასესი საგანძურები—სხვადასხვა შინაარსის წიგნები, ამ ენით ლაპარაკობენ პოლიტიკური მჭევრმეტყველნი და პროფესორ-მასწავლებლები, ამ ენაზე იცემა მრავალტირაჟიანი ჟურნალ-გაზეთები, ამ ენაზე ლაპარაკობს სცენა, სკოლა. ლიტერატურულ ენას ახასიათებს უაღრესი დახვეწილობა და სიზუსტე, ფორმათა ერთნაირობა და სხვ. ენის ევოლუციის საერთო კანონებს, რასაკვირველია, ლიტერატურული ენაც ემორჩილება, აეტორის ინდივიდუალობასთან აქაც გვაქვს საქმე, მაგრამ საერთო ნორმების არსებობა მაინც უტყუარი ფაქტია და ყოველი თავისებურობა არსებული ნორმების საფუძველზე ხდება, გამოსავალი წერტილი უმეტესობის მიერ დაკანონებული ფორმებია.

ლიტერატურული ენა, როგორც სანიმუშო რამ, საფუძვლად უნდა ედოს მთელ სასკოლო მუშაობას, ეს ენა უნდა იყოს მისაბაძი ნიმუში, რომელიც თავის მხრივ იწვევს მოწაფეში პირადი ენობრივი შემოქმედების გაღვივებას. დააკვირდით ჩვენი დიდი მწერლების

გაელენას შედარებთ პატარა ნიჭის მწერლებზე. მაგალითისათვის ავიღოთ აკაკი წერეთელი, რომლის მსუბუქმა ენამ და მომხიბლავმა ფორმებმა მგოსანთა მთელი რიგი შექმნა და საერთოდ მეტად გააადვილა აზრისა და გრძნობის გამოთქმის საშუალებანი. აკაკის ენა სამაგალითო და მისაბაძი შეიქმნა ყველასათვის, აკაკის ცქრიალა ლექსების შემდეგ შეუძლებელი შეიქმნა თუნდაც ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანისა და სხვათა ენით წერა.

მოსწავლე ახალგაზრდობაც ასეთ მიმართულებაში უნდა გეყავდეს სალიტერატურო ენის მიმართ. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ხალხური ენა უგულებელვყოთ და შესწავლისა და მიბაძვის საგნად არ გადავაქციოთ. ლიტერატურულ ენას იმდენად უფრო მეტი ღირსება აქვს, რამდენად იგი ხალხის სალაპარაკო ენას უახლოედება და მისგან სესხულობს გამოთქმის საშუალებებს. ხალხური ენა ის ანკარა წყაროა, რომლის წვეთების სხურება ერთიანად აცოცხლებს და აცხოველებს ლიტერატურულ ენას. უკანასკნელს ყოველ წუთს მოელის ერთგვარი გამოფიტვა და შაბლონურ ფორმებში ჩაფლვა, კანცელარიულ ენად გადაქცევა, თუ მას ღრმად არ უდგას ფესვები ერის საფუძველში — მშრომელ მასაში.

ხალხური ენა უაღრესად მოკვეთილია, სურათოვანი და სადა, რისკენაც ყოველ წუთს უნდა მიისწრაფოდეს ლიტერატურული ენაც.

ამიტომ ხალხური ენაც აუცილებლივ უნდა შეადგენდეს შესწავლის საგანს და სკოლის კედლებში ლიტერატურული ენის გვერდით მაშვრალთა ენაც უდიდესი ყურადღებით უნდა სარგებლობდეს.

როგორც ლიტერატურული, ისე ხალხური ენა, რასაკვირველია, ისწავლება ყოველი მოწაფის ინდივიდუალური შემოქმედების მიდგომით და ელფერით. ამიტომ ეს მომენტიც შესაფერ ადგილზე უნდა იყოს დაყენებული და არამც და არამც არ უნდა დაიჩრდილოს. არ შეიძლება მოწაფეს მოეთხოვოს წეროს ისე, როგორც წერდა ეაკა-ფშაველა, ილია, აკაკი. არც ისე შეიძლება მოეთხოვოს, რომ სახალხო ზღაპრებისა და თუნდაც ლექსებისებურად წეროს. რასაკვირველია, ყოველივე ეს მისაბაძი და სამაგალითოა, როგორც სიტყვათა მარაგის, ისე ლამაზი გამოთქმების მხრივ, მაგრამ უნდა გატარებულ იქნეს შეგირდის საკუთარი შემოქმედების ბრძმედში და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება ნაყოფიერი ყოველგვარი მიბაძვა.

ენის საშუალებით ადამიანი სხვაზე გადასაცემად გამოთქვამს (ზეპირად თუ წერით) თავის აზრსა და გრძნობას, რათა ძირითადი მიზანი — სხვაზე გადაცემა — უკეთ განხორციელდეს, საჭიროა, აზრი იყოს ნათლად და გასაგებად გამოთქმული. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ადამიანი თავის აზრს გამოთქვამს მოკლედ და სხარტად, ზედმეტი სიტყვების დაურთველად. „გრძელი სიტყვა

მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგიო", — უთქვამს სტილის გენიალურ ოსტატს შოთა რუსთაველს. რუსები ამბობენ: ლაპარაკში სიტყვებს უნდა ეეიწროებოდეს და აზრს ეფართოებოდესო. სიტყვის მინიმუმი და აზრის მაქსიმუმი, — აი რა მოეთხოვება ენის კარგ მცოდნეს. ფრაზაში არ უნდა იხმარებოდეს არც ერთი ზედმეტი სიტყვა, რაც აზრის გამოთქმას აბუნდოვანებს, თანაც თითოეული ახალი წინადადება უმეტეს შემთხვევაში რაიმე ახალს უნდა უმატებდეს უკვე ნათქვამსა და ამნაირად ფრაზათა შორის შეურყეველი ლოგიკური კავშირი უნდა არსებობდეს.

გარდა ამისა, სხვისი აზრის უკეთ შესაგნებად ენა უნდა იყოს სურათოვანი, ცოცხალი შედარებებით სავსე და მუსიკალური.

სურათოვნება უაღრესად ალამაზებს და თანაც ადიდებს ენის მოქმედების ძალას. ეპითეტი, ტროპი და ფიგურალობა ერთიანად იტაცებს სულსა და გულს და მონასმენის შეგნების პროცესიც ერთიანად ძლიერი ხდება.

ამიტომ ამ გარემოებასაც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სასკოლო მუშაობის დროს. მოწაფეები უნდა იხსომებდნენ მწერალთა და ხალხურ ნაწარმოებთა სურათოვან გამოთქმებს. თითონაც უნდა ქმნიდნენ მათი მიბაძვით და ყოველივე ეს საჭიროების მიხედვით გადაჰქონდეთ თავის ზეპირსა თუ წერითს მეტყველებაში.

მოკლედ, გასაგებად, სურათოვნად და ორიგინალურად თავისი აზრის გამოთქმა, — აი რა უნდა იყოს ჩვენი სასკოლო მუშაობის მიზანი მშობლიური ენის შესწავლის დროს.

„ვეფხისტყაოსანი" სკოლაში

ძველი ქართული ლიტერატურა საშუალო სკოლის მე-8 კლასში ისწავლება. „ვეფხისტყაოსნის" შესწავლას წინ უსწრებს რამდენიმე აგიოგრაფიული სალიტერატურო ძეგლი და კარის პოეზიის ნიმუშები.

თითოეული ეს მასალა განიხილება განსაზღვრულ საზოგადოებრივ-ისტორიულ გარემოში: მოწაფეები ზოგადად ეცნობიან საქართველოს ეკონომიკურ სტრუქტურას, წოდებებსა და წოდებრივ ურთიერთობას, პოლიტიკურ წესწყობილებას, მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობას. საერთო კულტურული განვითარების დონეს და ლიტერატურულ მოვლენებს.

„ვეფხისტყაოსნის" შესწავლის დაწყებამდე მე-8 კლასის მოწაფეებს საკმაოდ გარკვეული წარმოდგენა უნდა ექნეთ საქართველოს ისტორიული გზების შესახებ. მთლიანი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ მე-9 საუკუნიდან ისახება, მანამდე ქართველი ტომები ცალკე საერისთაოებად იყ-

ვნენ დაქსაქსულნი და არც დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრება ჰქონდათ. მე-7 საუკუნემდე სპარსელებისა და ბიზანტიელების ხელში იყვნენ, მერე აღმოსავლეთ საქართველოში არაბები ბატონობდნენ, დასავლეთში კი ბიზანტიის გავლენა იყო. მე-9 საუკუნიდან დაწყებული ქვეყნის გაერთიანების პროცესი დასავლეთ საქართველოდან წამოვიდა. ბიზანტიის გავლენა მოჩვენებითი იყო. სინამდვილეში კი ქართველი ფეოდალური მეფეები თავისუფლად მოქმედებდნენ თავიანთ ქვეყანაში და განვითარებული ბიზანტიის ზეგავლენასაც თავის სასარგებლოდ იყენებდნენ. ამიტომაც საქართველოს ეს ნაწილი წინ უსწრებს აღმოსავლეთს სახელმწიფოებრივი მშენებლობის მხრით. დიდი ნაბიჯი წადგა წინ სამხრეთ საქართველომაც — ტაო-კლარჯეთმა, საიდანაც გამოვიდა ქართველ მეფეთა დინასტია — ბაგრატიონები.

პირველი მონარქი, რომელმაც გააერთიანა აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო, იყო ბაგრატ III (980—1014), მას მოჰყვნენ გიორგი I (1014—1027), ბარგატ IV (1028—1072), გიორგი II (1072—1089), დავით აღმაშენებელი (1089—1125), დიმიტრი I (1125—1156), გიორგი III (1156—1184) და თამარ მეფე (1184—1212). ეს არის ეპოქა, რომელმაც წარმოშვა მძლავრი ქართული აბსოლუტური მონარქია, რომლის ეკონომიკურ ბაზას შეადგენდა საუკუნეთა მანძილზე მტკიცედ ჩამოყალიბებული ფეოდალური მიწათმფლობელობა. მთელი სახელმწიფოს მიწა-წყალი ეკუთვნოდა მეფეებს და ფეოდალებს, ხოლო მიწას ამუშავებდა გლეხობა — მიწის მუშაკნი — ყმებისა და მონების სახით, როგორც სახელმწიფო ორგანიზაციის ჩამოყალიბება, ისე ფეოდალური მიწათმფლობელობის დამკვიდრება ცხარე ომებისა და კლასობრივი ბრძოლის საშუალებით სწარმოებდა მთელი ამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

კულტურული განვითარების მხრით მაშინდელი საქართველო ბევრად არ ჩამოუვარდებოდა თავის მეზობლებს — სპარსეთსა და ბიზანტიას.

ისტორიული მოვლენების დაწვრილებით შესწავლა ქართული ლიტერატურის მასწავლებელს არ ეკალება, მისი საქმეა საერთო მიმოხილვა, რაც შეეხება ლიტერატურულ ფაქტებს, აქ კი დაზუსტებული მუშაობაა საჭირო.

შოთას ქმნილებამდე ქართულ ლიტერატურაში მიმდინარეობს ორი მძლავრი ნაკადი: საეკლესიო — აგიოგრაფიული და საერო; ეს ორი მიმართულება მრავალ წერტილში ხვდება ერთმანეთს, მათი სოციალური ფუნქცია თითქოს სხვადასხვაგვარი უნდა იყოს, მაგრამ საბოლოო ჯამში, როგორც სასულიერო, ისე საერო მწერლობა ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივად ჩამოყალიბებას ემსახურე-

ბა. „შუშანიკის წამება“, როგორც რელიგიური საპროპაგანდო ძეგლი. ამავე დროს ეროვნულ დამოუკიდებლობის იდეასაც ემსახურება, ამავე საქმეს აკეთებდა არაბთა ბატონობის დროს „აბო ტფილელის წამება“ და ზოგიერთი სხვა ძეგლი. ქარის პოეზიის ნიმუშებიდან თითქმის ყველა ისახავს განსაზღვრულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მიზნებს. სპარსულიდან გადმოკეთებული „ამირან-დარეჯანიანი“ გმირობისა და ვაჟკაცობის სულით არის გაჟღენთილი, მთელ ნაწარმოებში რაინდული ბრძოლები იშლება და ხმლების ჩახაჩუხი გაისმის. ბრძოლებისა და სისხლის ღვრით საესე საქართველოს გაერთიანების პროცესი სწორედ მათი მოვლენებით ხასიათდებოდა. მოსე ხონელის საშრომიც შესახიშნავად ამჟღავნებდა ეპოქის იდეოლოგიას. იმ ხანას, როდესაც ქართული ეიკინეები თავიანთივე ფეოდალური სამფოლებიების გაფართოების საქმეს მუშტითა და ხმლით ასრულებდნენ, სწორედ მეფის სადიდებლად და ვაჟკაცთა სიმამაცის საქებრად შეთხზული ნაწარმოები უნდა მოეცა. „ამირან-დარეჯანიანი“ მშვენივრად ასრულებდა ამ ფუნქციას. ამავე მიზნებს ემსახურებოდა შავთელის „აბდულმესია“ და ჩახრუხაძის „თამარიანი“. ხალხის გამაერთიანებელი ძალის — მეფის ქება-დიდება და ღვთის წარმომადგენლად გამოცხადება, სარწმუნოებრივი გრძნობის, სახელმწიფოებრივი გრძნობის, სახელმწიფოებრივი მიზნებისათვის გამოყენება, — საიქიოს დიდებით საკაო საქმეების მოგვარება, — აი, რა ახასიათებს შოთას წინადროის ქართულ ლიტერატურას. როგორც აგიოგრაფიული, ისე საერთო ხასიათის შინაარსის ნიმუშების საბრძოლო დედაზრი ეპოქის მოწინავე იდეებს წარმოადგენდა.

ყოველივე ამაზე მოწაფეებს სრულიად გარკვეული წარმოდგენა უნდა ექნეთ, რათა სათანადოდ შეძლონ „ვეფხისტყაოსნის“ იდეური რაობის შეგნება, რომ უკვდავ პოემას, რომელიც „ოქრის ხანის“ ლიტერატურის ლოგიკურ განვითარებას წარმოადგენს და რომელიც იდეოლოგიურად მტკიცედ არის დაკავშირებული წინა დროის ქართულ ლიტერატურასთან, წინ უძღოდა სალიტერატურო ფორმებისა და ენის ჩამოყალიბება. პროზაული თხზულების ნიმუშებს წმინდანთა წამებანი და „ამირან-დარეჯანიანი“ წარმოადგენს, ლექსის ფორმით შეთხზულია „აბდულმესია“ და „თამარიანი“. თანაც ლექსთა თხზვის კულტურა — რიტმი, რითმა, მარცვალთა განსაზღვრული რაოდენობის დაცვა — მაღალ დონეზეა ასული. შავთელის „აბდულმესია“ ათმარცვლოვანი ლექსით არის დაწერილი, ჩახრუხაძის „თამარიანი“ — რვამარცვლოვანი შაირით. რაც შეეხება სალიტერატურო ენას, ისიც შესანიშნავად არის განვითარებული, განსაკუთრებით სრულიად გადმოკეთებულ-გადმოქართულებული რომანის „ვისრამიანის“ ენა.

ყოველივე ზემონათქვამი „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის წინ უნდა გამეორებულ და შეჯამებულ იქნას. უნდა მოიხაზოს თამარის ეპოქა, როგორც წინა პერიოდის განვითარების მომდევნო საფეხური. ამის შემდეგ იწყება „ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობა.

პირველად მოწაფეებს გადაეცემა ცნობები რუსთაველის, როგორც პიროვნების შესახებ. ამის შემდეგ პირდაპირ უნდა იქნეს დაწყებული პოემის კითხვა იმ ადგილიდან, საიდანაც ფაბულა იწყება: „იყო არაბეთს როსტევან“ და სხვ. ნაწარმოების შესავალი, როგორც ერთგვარი თეორიული ნაწილი, შესწავლილ უნდა იქნას მას შემდეგ, რაც საკუთრად პოემა გარჩეული და შეთვისებული იქნება. მხოლოდ ამ მუშაობის შემდეგ შოთას პოეტიკის თეორიული მოსაზრებანი ადვილად დასაბუთდება პოემიდან შესაფერი ადგილების მოყვანით.

მოწაფეებს ძალიან აინტერესებთ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ორიგინალობისა და კვლევის საკითხები. ეჭვი არ არის, რომ საშუალო სკოლასაც უნდა ჰქონდეს ამ მომენტებზე გარკვეული წარმოდგენა. ამიტომ მასწავლებელმა უსათუოდ უნდა მისცეს მოწაფეებს ზოგადი ცნობები ამ საკითხებზე ინფორმაციის სახით: უნდა მოკლედ გააცნოს ტექსტის ისტორია.

ამ საუბარსაც მასწავლებელი ჩაატარებს პოემის გარჩევის შემდეგ: საგნისადმი დამოკიდებულება და ინტერესი ამ დროს გაცილებით უფრო შეგნებული და ძლიერი იქნება, ვინემ პოემის დამუშავების წინ. მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობაში მოწაფეები მხოლოდ მის შემდეგ დარწმუნდებიან, როცა დოკუმენტალურად გაეცნობიან პოემის იდეების და მხატვრული სახეების ნათესაობას ქართულ სინამდვილესთან: ლიტერატურასა, იდეოლოგიასა, ეკონომიკურ ფორმაციასა და სახელმწიფოებრივ წყობილებასთან. მასწავლებლის ცოდნაზე და პედაგოგიურ უნარზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ნაყოფიერად გამოიყენებს იგი ყველა იმ მასალას, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ კვლევის პროცესში დაგროვილა.

„ვეფხისტყაოსნის“ წაკითხვის ორგანიზაცია

ენობრივ სიძნელეთა გამო, მოწაფეთა დიდ ნაწილს უძნელდება „ვეფხისტყაოსნის“ წაკითხვა და გაგება. ამიტომ პოემის კითხვის სიმძიმე კლასში პირველ ხანებში მაინც მასწავლებელზე გადადის. მისი გარკვეული და სანიმუშო კითხვა თანდათან შეიყვანს მოწაფეებს რუსთაველის შემოქმედების მოხიბლელ სფეროში და სიტყვათაგან აწყობილ მუსიკაში. მოქმედების დრამატიზმი და სწრაფი განვითარება, მომხიბლავი პოეტური სურათების კინემატოგრაფიული

სისწრაფით ცვლა და მომჯადოებელი მუსიკალობა პირველი ტაეპი-ბიდანვე იმორჩილებს მოწაფეთა წარმოსახვის უნარს. ძლიერი სურათები და მაღალი პოეტური მეტყველება თავიდანვე უდიდეს ინტერესს აღვიძებს და მოწაფეებიც გულისფანცქალით უგდებენ ყურს მასწავლებლის კითხვას. ამავე დროს საკუთარ წიგნებშიც ჩუმად კითხულობენ და მხადამსარ მიჰყვებიან მასწავლებელს. კითხვისას მასწავლებელი დროდადრო, მთლიანი ნაწილის წაკითხვის შემდეგ, 2-3 წუთით ჩერდება და რამდენიმე სიტყვით განმარტავს წაკითხულ ნაწილს. მაგ., პირველი თავის კითხვის დროს შეჩერდება მე-8 ტაეპის დასასრულთან, ამ სიტყვების წინ: „ავთანდილ იყო სპასპეტი" და სხვ. უკვე წაკითხულის შინაარსს ასე გადასცემს: არაბეთის მეფე როსტევანი, რომელსაც სიბერე მოუახლოვდა, გადაწყვეტს, თავის სიცოცხლეშივე ტახტზე აიყვანოს თავისი ერთადერთი ასული — თინათინი. ამ გადაწყვეტილებას მეფე ვეზირებს აცნობებს. ვეზირები ეთანხმობას გამოთქვამენ: მართალია, ქალია, მაგრამ მეფობა მასაც ძეუძლიაო — მოახსენებენ:

„თუცა ქალია, ხელმწიფედ, მართ ღმრთისა დანაბადია;
არ გათნევთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კელა დია...
ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია".

ამის შემდეგ მასწავლებელი წაიკითხავს და მოკლედვე განმარტავს სან მომდევნო ტაეპს, რომლებიც გვაცნობს ავთანდილის ვინაობას და თინათინისადმი სიყვარულს. შემდეგ—თინათინის გამეფების და მის გამო გამართულ ნადიმს, ამას მოჰყვება ავთანდილისა და სოგრატის გასაუბრება როსტევანთან მერე სანადიროდ გასვლა, ნადირობა და ა. შ.

გაკვეთილი ისე უნდა იქნეს მოფიქრებული, რომ პირველი თავი ერთ გაკვეთილზე იქნეს წაკითხული მასწავლებლის მიერ. კითხვის პროცესში მასწავლებელი განსაკუთრებით აღნიშნავს აფორისტულ გამოთქმებს და ძლიერ პოეტურ სურათებს. საშინაო დავალებად ამ გაკვეთილის დასასრულ მიცემული იქნება მოწაფეების მიერ ამავე თავის წაკითხვა და აგებგმვა, საშინაო დავალების სახით უნდა წაიკითხონ აგრეთვე მეორე თავიც („ნახეს, უცხო მოყმე ვინმე").

მეორე გაკვეთილზე მასწავლებელი მოითხოვს პირველი თავის შეკუმშულად გადმოცემას აფორიზმებისა და პოეტური სურათების შესაფერ ადგილებზე ციტირებით (უმთავრესად წიგნიდან, ნაწილობრივ ზეპირადაც), შემდეგ გადადის მეორე თავის კითხვაზე. თუ მოწაფეებმა ეს თავი დავალების თანახმად გულდასმით წაიკითხეს, მასწავლებლის კითხვა მეორე გაკვეთილზე გაცილებით უფრო გასავები იქნება, ვინემ ამას პირველ გაკვეთილზე ჰქონდა ადგილი. თუნდაც წაკითხული არ ჰქონდეთ, მეორე თავს პირველთან შედარებით მაინც

უკეთ გაიგებენ: უკვე აღძრული ინტერესი, მარტივი და ძლიერი სახეები და ეხრობის წარმტაცი სილამაზე უდიდეს შთაბეჭდილებას აიდენს ბავშვის განცდაზე, ენობრივი სიძნელე სრულიად შეუმჩნეველად ქრება, პოემის მომხიბლავი შინაარსი გაუგებარ სიტყვებს მთლიანად წაკითხული ფრაზის საშუალებით ნათელს და გასაგებს ხდის. მესამე-მეოთხე თაეებიდან თითქმის ყოველგვარი სიძნელე ქრება: მოწაფეები მშვენივრად ითვისებენ პოემის შინაარსს და თანდათან ხდებიან აქტიურ მკითხველებად.

თითქმის ყოველი გაკვეთილი ისე უნდა დასრულდეს, როგორც პირველი გაკვეთილის შესახებ იყო ნათქვამი: საშინაოდ უნდა მიეცეს დღეს წაკითხული ნაწილი ადგილების გადმოცემით (წიგნზე ფართოდ დაყრდნობით), მოკლე გეგმით და შემდეგი გაკვეთილის შინ წაკითხვით. რამდენჯერმე იქნება აგრეთვე წაკითხულის მთლიანი შინაარსის გადმოცემა პირველი თაეიდან. ამ დროსაც მოწაფეები ფართოდ იყენებენ წიგნს — ახდენენ ზუსტ ციტირებას, იყენებენ შოთას სიტყვათა მარაგს და გამოთქმებს. ზოგიერთი ადგილი მოკყაეთ ზეპირადაც. პოეტის ციტირებას, მის სიტყვათა მარაგის გამოყენებას და აფორიზმების ზეპირად თქმას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. მოწაფის ეხრობის მწერლის მაღალ მეტყველებამდე აყვანა და არა პირიქით — მწერლის ენის ბავშვამდე ჩამოყვანა, — აი, რა პრინციპით უნდა ხელმძღვანელობდეს ყოველთვის სკოლა.

მასწაელებლის მიერ რამდენიმე თაეის სანიმუშოდ წაკითხვის შემდეგ მოწაფეები ისე გააქტიურდებიან, რომ უკვე შესაძლებელი იქნება ძლიერ მოწაფეთა კითხვაში ჩაბმა მასწაელებლის შესანაცვლებლად. შესაძლებელი გახდება აგრეთვე ზოგიერთი თაეის შინ წასაკითხად მიცემა, ხოლო საკლასოდ შინაარსის გადმოცემით დაკმაყოფილება. ამ ხერხს განსაკუთრებულ პირობებში უნდა მიემართოთ.

წაკითხული უნდა იქნეს პოემის მთელი ტექსტი და არა მისი შემოკლება, როგორც ეს არის წარმოდგენილი მე-8 კლასის სახელმძღვანელოში. ყოველმა სკოლამ მიზნად უნდა დაისახოს, რომ „ვეფხისტყაოსანის“ ეგზემპლარი თითოეულ მოწაფეს ჰქონდეს შეძენილი, გენიალური პოემა მისი ბიბლიოთეკის კუთვნილება უნდა იყოს.

რამდენი საათი უნდა მოვანდომოთ პოემის წაკითხვას? დაგეკმაყოფილებს თუ არა პროგრამით განკუთვნილი საათები? თბილისის სკოლები „ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობენ მთელი მესამე მეოთხედის განმავლობაში, ექვსდღიურში ლიტერატურას მე-8 კლასში ეთმობა 3 საათი, მეოთხედში გამოდის 30 საათი. ამ საათებით დაკმაყოფილება არაეითარ შემთხეევაში არ შეიძლება, ამიტომ აუცილებელი იქნება კლასგარეშე კითხეისა და ლიტერატურული წრეების ფართოდ

გამოყენება. პოემას დაახლოებით სულ 40 საათი დასჭირდება. წაკითხვისათვის საჭირო იქნება 12—15 საათი მაინც. თუ მუშაობა ისე წარიმართება, როგორც ზევით იყო ნაჩვენები, აფორიზმებისა და მეტაფორების დიდი ნაწილი ამ პროცესში შეისწავლება, შინაარსიც ისე კარგად ეცოდინებათ, რომ პოემის კითხვის დამთავრების შემდეგ ძალიან ადვილად შეძლებენ მის გადმოცემას.

აქვე უნდა შევჩერდეთ ერთს გარემოებაზე—ეს არის გაუგებარი სიტყვების ახსნა. ნათქვამი იყო, რომ ბევრი სიტყვა, პოემაში გამოყენებული, გასაგები ხდება, მაგრამ მთლიანად მაინც ამით ვერ დავკმაყოფილდებით: საჭირო იქნება სპეციალური ახსნა-განმარტებაც. როგორც მოწაფეს, ისე მასწავლებელს ფართო დახმარებას გაუწევს ამ მსრივ არსებული ლექსიკონები, ზოგ სიტყვას მასწავლებელი ხსნის, ზოგსაც მოწაფეები ეძებენ ლექსიკონში. თანაც ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ფართო ფილოლოგიურ მუშაობას საშუალო სკოლაში ვერ ვაწარმოებთ, — ეს უნივერსიტეტისა და სპეციალისტების საქმეა. ამიტომ შესაძლებელია, ზოგი სიტყვა ყოველმხრივ არ იქნეს ახსნილი, ზოგიც შეიძლება აუხსნელი დარჩეს, — ამ გარემოებამ არ უნდა შეგვაშინოს, თუკი, რასაკვირველია, ეს სიტყვა პოემის შინაარსის გაგებას არ უშლის ხელს.

შინაარსის მთლიანი გადმოცემა

პოემის წაკითხვის შემდეგ შინაარსი მთლიანად უნდა იქნეს გადმოცემული და აგებული. ნაწარმოებში არსებითად ორი სამეფოს — არაბეთისა და ინდოეთის ფარგლებში დატრიალებული ამბებია მოთხრობილი. არაბეთიდან მოქმედებენ: როსტევანი, თინათინი, ავთანდილი და შერმადინი, ინდოეთიდან კი: ტარიელი, ნესტან-დარეჯანი და ასმათი. პოემაში მოცემულია აგრეთვე ნურადინ ფრიდონისა და მელიქ სურხავის სამეფოები. უკანასკნელი წარმოადგენს ქალაქ-სახელმწიფოს — სახელად, გულანშაროს. პოემის შინაარსიც შეიძლება ამ ოთხი ნაწილის მიხედვით დაიყოს: ჯერ გადმოცემული იქნება არაბეთის სახელმწიფოსთან დაკავშირებული პერსონაჟების ამბავი, მერე ინდოეთის და ა. შ.

შეიძლება შინაარსის გადმოცემის დროს ავტორს მივუვეთ კვალდაკვალ და მისი გეგმით ვიხელმძღვანელოთ. მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს გადმოცემის მესამე გზა: პოემის კონსპერატივად გაშლა ისე, როგორც ეს მოცემულია პოემაში. ვინაიდან შინაარსის სათანადოდ ათვისების საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს „ეფეხისტყაოსნის“ შესწავლის დროს, ჩემი აზრით, სამივე ეს საშუალება უნდა იქნას გამოყენებული ან მთლიანად პოემისთვის, ანდა კომბინირებულად. სამივე შემთხვევაში ფართო ადგილი

უნდა დაეთმოს წიგნის გამოყენებას: შესანიშნავი ადგილების ციტირებას. თანდათან უნდა გაძლიერდეს აგრეთვე ზეპირად ამა თუ იმ ადგილის მოყვანა.

შინაარსის გადმოცემის პროცესში გამომუშავდება ფაბულის გეგმა, სწარმოებს აგრეთვე ტექსტის კომენტირება. გეგმა პოემის კითხვის დროსაც დგებოდა, მაგრამ ეს იყო თითოეული თავის ამომწურავი, ეხლა კი უფრო ზოგადი გეგმა უნდა იქნას გამომუშავებული. მაგალითად? 1) თინათინის გამეფება და ავთანდილ-როსტევანის გასვლა სანადიროდ, 2) უცხო ყმის ნახვა და მიმალვა, 3) თინათინის დავალება ავთანდილის მიმართ, 4) ავთანდილის წერილი ყმების მიმართ. 5) ავთანდილი მიდის ტარიელის საძებრად. 6) ავთანდილი ნახავს ტარიელს, 7) ტარიელი ჰყვება თავის ბავშვობისა და გამიჯნურების ამბავს, 8) ტარიელი ასრულებს სატრფოს დავალებას ხატაელთა შესახებ, 9) ნესტან-დარეჯანის დაკარგვა, 10) ტარიელი ეძებს ნესტანს, 11) ფრიდონთან შეხვედრა, 12) ტარიელი და ასმათი, 13) ავთანდილის დაბრუნება არაბეთს და ტარიელთან ხელახალი წასვლის გადაწყვეტილება, 14) ანდერძი ავთანდილისა როსტევანისადმი, 15) ავთანდილი კვლავ მიდის ტარიელთან, 16) ფრიდონის სამეფოში ავთანდილის წასვლა და მისი განცდანი, 17) ავთანდილი გულანშაროში და ფატმან ხათუნთან შეხვედრა, 18) ავთანდილი მიაგნებს ნესტანის კვალს, 19) წასული ნესტან-დარეჯანისა საყვარლისადმი, 20) ავთანდილი ბრუნდება ფრიდონთან და ტარიელთან, 21) სამი რაინდის თათბირი ქაჯეთის ციხის ასაღებად, 22) ნესტან-დარეჯანის განთავისუფლება, 23) ტარიელისა და ავთანდილის გამარჯვებით დაბრუნება და მათი ქორწილები, 24) სამი სამეფოს ბედნიერი ცხოვრება.

მხატვრული ანალიზი

პოეტური ნაწარმოების მხატვრული შეგრძნობა კითხვის პროცესში ხდება, ფორმა განუშორებელია შინაარსისაგან. მაგრამ სასკოლო მუშაობის პროცესში მაინც აუცილებელი ხდება მხატვრული ანალიზის გამოცალკევება, — ეს იმ მიზნით, რომ მოსწავლის ყურადღება გამახვილდეს ნაწარმოების ფორმაზე და აზრის გამოთქმის საშუალებებზე.

ფორმის მხრივ „ვეფხისტყაოსანი" ეპიკური პოემაა. ეპიკური პოემა ეწოდება ისეთი ჟანრის (გვარის, ფორმის) ნაწარმოებს, რომელიც ლექსად გადმოსცემს რაიმე ფაბულაზე (ამბავზე) აგებულ მოთხრობას. პოემად იწოდება აგრეთვე ბარათაშვილის „ბედი ქართლისა", ი. ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღი" და „განდეგილი", აკაკის „თორნიკე ერისთავი", „ნათელა" და მრავალი სხვა.

აირჩია რა რუსთაველმა თავისი იდეების გამოსათქმელად ეპიკური პოემის ფორმა, თანაც თავისი მიზნების მიხედვით შეარჩია მოქმედი პირები: ბრძოლის უნარი და წყურვილი, მაღალი იდეალებისათვის თაედადება, ჩაგრულთა გაბედნიერებაზე ფიქრი მან დაინახა იმ რაინდთა შორის, რომელნიც გარს ეხვევნენ სამეფო ტახტს, აძლიერებდნენ მას და იბრძოდნენ მის განსადიდებლად. ამიტომაც თავისი პოემის მოქმედი პირები მას ამ წრიდან უნდა აერჩია. მაგრამ არ შეიძლებოდა მარტო ამ წრით დაკმაყოფილება, ეს იქნებოდა მხატვრულად გაუმართლებელი არჩევანი: რაინდები არ ცხოვრობდნენ სხვა ფენებიდან იზოლირებულად, სინამდვილეში ისინი ხედებოდნენ სხვა ფენების ადამიანებსაც: ყმებს, ვაჭრებს, მონებს, ამიტომ რუსთაველი თავისი იდეის უკეთ გამოსახატავად ამ წრეებიდანაც ირჩევს შესაფერ პერსონაჟებს: შერმადინს, ასმათს, ფატმანს და სხვ.

ამის შემდეგ იგი ითხოვს ერთგვარ ფაბულას, ამბავს, ასაკს განსაზღვრული გეგმის მიხედვით: ჯერ გვაჩვენებს თინათინის გამეფებას და ნადირობას, მერე უცხო ყმას, შემდეგ მის საძებნად წასულ ავთანდილს და ა. შ. ფაბულის გაშლის პროცესში მგოსანი აგვიწერს პერსონაჟების გარეგნობას და მოქმედებას, გვაცნობს მათს აზრებს, მათს სამოქმედო არეს, სხვა პირებთან დამოკიდებულებას და სხვ.

შოთა რუსთაველი გენიალური ოსტატობით შლის თავისი პოემის არაკს, ფაბულას. მისი თხრობა მკითხველს იტაცებს და აჯადოებს. უპირველეს ყოვლისა მკითხველის ფანტაზიას აცხოველებს მძლავრი მხატვრული სურათების მოკვეთილად და სწრაფად ჩვენება: ჯერ ერთი სანახაობის სიმშვენიერის ცქერით ვერ დამტკბარხარ და მეორეს გაჩვენებს. ერთი პოეტური სახე მეორის გვერდით აელვარდება. მეორეს მესამე მოსდევს, კიდევ უფრო ძლიერი, კიდევ უფრო გამკვირვებელი. დავაკვირდეთ პოემის პირველ თავს: პირველ ტაეპში მოკვეთილად არის: ძოხაზული როსტევანის პორტრეტი, მეორე ტაეპში და მესამის პირველ ორ სტრიქონში თინათინის პროფილს ვხედავთ, მეოთხე და მეხუთე ტაეპებში როსტევანი ვეზირებს ეთათბირება, მომდევნო სამ ტაეპში ჩვენ წინ დგანან ამეტყველებული ვეზირები, მე-9-11 ტაეპებში ავთანდილს გვაცნობს, მერე კი უცებ მოდის ზვიადი მეტყველება:

„არაბეთს გასცა ბრძანება დიდებან არაბთა მპყრობელმან"...

გაკვირვებული მიჰყვება გონების თვალი ამ ბრძანებას და კიდევ მოულოდნელად ასეთი სანახაობა გაიელვებს:

„მოვიდეს სრელნი არაბნი, ჯარი განმრავლდა ხასისა,
ავთანდილ პირ-მზე, სპასპეტი ლაშქრისა ბევრ-ათასისა"...

იქვე კიდევ უფრო წარმტაცი სურათია:

> თინათინ მიჰყავს მამასა პირითა მით ნათელითა,
> დასცა და თავსა გვირგვინი დასდგა თავისა ხელითა...

მოვიგონოთ, როგორი სისწრაფით ვითარდება ნადირობის სურათი, როგორ მოულოდნელად „ნახეს, უცხო მოყმე ვინმე", რამდენი სისწრაფეა მის ბრძოლაში და ნაირნაირ პოეტურ სურათთა ჩვენება... შოთას კალამი ერთგვარი ჯადოქრული ნიჭით არის დაჯილდოებული, მისი წვერის ყოველი განახაზი სულ ახალ-ახალ სახეებს იძლევა, უჩვეულო და დრამატულ მდგომარეობებს ქმნის... და სწორედ თხრობის ასეთი უნარია, რომ იტაცებს და ატყვევებს მკითხველის წარმოსახვის ნიჭს, თვალისმომჭრელი სურათები ერთიანად აფორიაქებენ მკითხველის ემოციურ სფეროს. ამავე დროს შოთას მიერ მოკვეთილად დახატული სურათი ყოველთვის დეტალების მოცემით არის გაცოცხლებული და არსად სქემატიზმსა და სიმშრალეს ადგილი არა აქვს. ავიღოთ მაგალითები:

> „ადგეს სოგრატ და ავთანდილ ტანითა მით ჯენარითა,
> თვითო აიღეს ჭიქები, მივლენ ქცევითა წყნარითა,
> წინა მიესხდეს მუხლ-მოყრით, პირითა მოცინარითა,
> ვაზირი ლაღობს ენითა, წყლიანად მოუბნარითა".

პირველ სტრიქონებში შეიძლებოდა მარტო სოგრატის და ავთანდილის ადგომაზე ყოფილიყო ნათქვამი, მაგრამ პოეტმა ამას თან დაუმატა „ტანითა მით ჯენარითა", ე. ი. შნოიანითა; მეორე სტრიქონს აცოცხლებს ეს სიტყვები: „მივლენ ქცევითა წყნარითა"; მესამე სტრიქონის მოძრაობას აძლევს ეს ნათქვამი: „მუხლმოყრით, პირითა მოცინარითა"? უკანასკნელ სტრიქონში ამ როლს ასრულებს სიტყვები: „ლაღობს" და „წყლიანად".

ეს გამაცოცხლებელი სიტყვები მხოლოდ დეტალებს იძლევა, მაგრამ ისეთ დეტალებს, რომლებიც სურათს ამოძრავებს და მიმზიდველს იდის.

შოთა უხვი და დაუშრეტელია სიტყვათა მარაგის მხრით, მაგრამ ძუნწია ფრაზაში სიტყვათა გამოყენების საქმეში, ამავე დროს მისი სიტყვა ათასჯერ შერჩეულია და აწონილ-დაწონილი. სიტყვათა და პოეტურ გამოთქმათა შერჩევა მიუღწეველ სიმაღლეზე აიყვანა მან, მისი გენიალობა აზრის ოსტატურად გამოთქმაში აქ აღწევს მრავალ მიუწვდენელ მწვერვალამდე: მისი შედარებები და მეტაფორები თვალს გვეჭრის, მისი რითმები მუსიკით გვიმონებენ.

ლექსად აზრის გამოთქმა განსაკუთრებულ ნიჭს მოითხოვს. რუსთაველი ამ მხრივ განუზომლად იყო ბუნებისაგან დაჯილდოებული: ის იმდენად დაუფლებია ქართველი ხალხის დაუშრეტელი სიტყვების მარაგს, იმდენად დაუმორჩილებია თითოეული სიტყვა,

რომ პროზით ლაპარაკი, ალბათ არც ეხერხებოდა. შოთას ლექსიკონის თითოეული სიტყვა თავისთავად იწვევს რითმებს, მისკენ მიისწრაფის.

შოთას ლექსის ფორმა 16-მარცვლოვანი შაირია, რომელიც ძირითადად ახასიათებს ქართულ ხალხურ შემოქმედებას: ჩვენი ხალხური ლექსების უდიდესი ნაწილი ამ ფორმით არის შეთხზული. რუსთაველის გენიოსობის ერთ მხარეს ისიც გვიმტკიცებს, რომ იგი ასეთი სიღრმით მისწვდა მშრომელი ხალხის აზრთა გამოთქმის ფორმებს და თავისი ნიჭის წყალობით უმაღლეს ხარისხამდე აიყვანა ეს ფორმა.

შოთა წერს მაღალი და დაბალი შაირით:

> იყო არაბეთს (როსტევან), მეფე ღმერთისაგან სვიანი.
> მაღალი, უხვი, (მდაბალი), ლაშქარ-მრავალი ყმიანი,
> მოსამართლე და (მოწყალე) მორწმული, კაეკებიანი,
> თვით მეომარი (უებრო), კვლა მოუბარი წყლიანი,

თითოეულ ამ სტრიქონში 16-16 მარცვალია და ოთხ-ოთხი მუხლი, მასთან პირველ მუხლში არის ხუთი მარცვალი, მეორეში— 3, მესამეში — 5 და მეოთხეში — 3. ციფრებით რომ დავწეროთ, ასეთ სურათს მივიღებთ 5 3 5 3=16.

მუხლებში მარცვალთა ასეთ დალაგებას ეწოდება დაბალი შაირი, ანუ რუსთაველური.

შეიძლება სალექსო სტრიქონი ისევ 16-მარცვლოვანი იყოს, მაგრამ მარცვალთა რაოდენობა თითოეულ მუხლში სხვაგვარი იყოს. მაგ:

> ნახეს, უცხო /მოყმე ვინმე/ ჯდა მტირალი წყლისა პირსა,
> შავი ცხენი /სადაევთა/ ჰყვა ლომსა და/ ვითა გმირსა,
> ხშირად ესხა /მარგალიტი/ ლაგამ-აბჯარ-ენაგირსა,
> ცრემლსა ვარდი /დაეთრთეილა/, გულსა მდუღრად/ ანატირსაᲜ.

თითოეულ ამ სტრიქონში არის 16-16 მარცვალი, ოთხ-ოთხი მუხლი, ხოლო თითოეულ მუხლში ოთხ-ოთხი მარცვალი.

პოეტურ შემოქმედებას თავისი ლექსიკა (სიტყვები, გამოთქმანი) უნდა ჰქონდეს. პოეტური ლექსიკის სიმდიდრეს და სიძლიერეს დიდი მნიშვნელობა აქვს. შოთა რუსთაველი ამ მხრითაც მიუწვდომელი მწვერვალია ქართულ პოეზიაში. მის მიერ აზრის გამოთქმის დროს ხმარებული პოეტური შედარებანი, ეპითეტები, მეტაფორები, ალეგორიები და სხვ. საშუალებანი პირდაპირ წარმტაცია და გამაოცებელი.

მოვიყვანოთ ზოგიერთი შედარება I და II თავებიდან:

„მათ გაანათლნეს ყოველი. ვით მზემან მანათობელმან“,
„ლარსა ქხეეტდიან ლაშქარნი. მართ ვითა ეიკობრენია“,
„ორმე ჰგანდა სიუხვითა ბუქსა. ზეცით ნაბუქალსა“.
„სპათა სპასპეტი. ჩაუქი, ვითა ვეფხი და ლომია“,
„ავთანდილის შემხედველთა: „ჰგავსო ალვას, ედემის ხეს“,
„ხელთა ნაკვეი მათრახი ჰქონდა უსხოსი მკლავისა“.
„ცრემლსა სისხლი ერეოდა, გასდის ვითა ნაგუბარი“,
„თვალი მზეებრ გამორეტდეს“

და სხვ.

ეპითეტები I და II თავებიდან:

პირველ ტაეპში როსტევანის დასახასიათებლად ნათქვამი სიტყვები — სვიანი, მაღალი, უხვი და სხვა — სულ ეპითეტებია: „ავთანდილ პირმზე, სპასპეტი ლაშქრისა ბევრ ათასისა, — „პირმზე“ ეპითეტია. „მოიხმო მისი გამზრდელი, ერთგული, ნაერთგულევი“. აქ ორი უკანასკნელი სიტყვა ეპითეტია. „ქურციკი მაღლა მხტომელი“, ორი ბოლო სიტყვა — ეპითეტია და სხვ.

შოთას ლექსიკა განსაკუთრებით მდიდარია მეტაფორებით. მეტაფორა არსებითად შედარებაა, მაგრამ შესადარებელი საგანი აქ არ ჩანს და პირდაპირ ერთი საგნის ნაცელად მეორე იხმარება დიდი მსგავსების გამო. ფრაზაში:„არცა გახლიჩა ბაგეთათ თავი ვარდისა კონამან“, სიტყვები „ვარდის კონამან“ ნახმარია უცხო ყმის — ტარიელის ნაცელად. „მელნისა ტბათა მიართეით, ჰბურავს გიშრისა ჭერითა“, ამ წინადადებაში „მელნის ტბა“ შავი თვალების ნაცვლად არის ნახმარი, გიშერი — წამწამების.

აი კიდევ რამდენიმე მეტაფორული თქმა:

„ტაიკი მიუქს მერანსა, მოეფინების მზე ველად“.
„ამარტის ფერად შესცვალა ბროლი ცრემლისა ბანამან“,
„გაღიმის, ძოწი გააპის, კბილთაგან ელვა კრთებოდა“,
„ავთანდილ მკერდსა დაასხა მან — ლომსა სისხლი ლომისა“.

და სხვ.

ეპითეტებს, ცნობილ აფორიზმებს და პოემის ზოგიერთ ადგილს (პირველი თავი, ავთანდილის ანდერძი, მისი ლოცვა მიზგითას, „მიმავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა“ ბოლომდე, წერილი ნესტან დარეჯანისა და სხვ.) მოწაფეები ახსნისა და განმარტების შემდეგ ზეპირად შეისწავლიან.

„ვეფხისტყაოსნის“ შესწავლამ ისე უნდა დააინტერესოს და ჩაითრიოს მოწაფეები, რომ მისი ყოველმხრივი დამუშავების შემდეგ ხელახლა წაიკითხონ პოემა. ახსნა-განმარტებებისა და კომენტარიების შემდეგ წაკითხვა ერთიანად განამტკიცებს პოემის შინაარსს და მხატვრულ სიძლიერეს მოწაფეთა შეგნებაში. მოწაფეებს უნდა ეურჩიოთ, რომ პოემა ყოველთვის ხმამაღლა იკითხონ:

ენაც გაიწაფება და ყურიც შეეჩვევა რუსთაველის ლექსთა მუსიკას.

პოემის შესწავლის დასრულების შემდეგ უნდა მოხდეს მისი შედარება „ნიბელუნგებთან“, „დონ კიხოტთან“ და „ტრისტანისა და იზოლდას“ წიგნთან. იმ შემთხვევაში, თუ ეს თხზულებები მოწაფეებს წაკითხული აქვთ, „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის პროცესშიც შეიძლება პარალელების გატარება შესაფერი კომენტარების ჩატარებით.

„ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობა იწარმოებს ორი თვის მანძილზე. ამ ხნის განმავლობაში პოემის გარშემო უნდა შესრულდეს რამდენიმე წერითი სამუშაო, ზოგი საკლასო, ზოგი საშინაო. კლასში უნდა შესრულდეს 3-4 ნამუშევარი, შინ — 4-5.

საწერი თემები შეიძლება ასეთი იყოს:

1. პირველი თავის შინაარსი.

2. თითოეული მოქმედი პირის მოკლე თავგადასავალი (ცალ-ცალკე სამუშაოდ.).

3. ტარიელის, აეთანდილის, ნესტან-დარეჯანის, ასმათის და შერმადინის დახასიათება, ცალ-ცალკე ნამუშევრები.

4. შოთა რუსთაველის სოციალური იდეალი.

5. მსჯელობითი ხასიათის თემები: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“, „ზოგან თქმა სჯობს არათქმასა, ზოგან თქმითაც დაშავდების“, „ვეფხისტყაოსნის“ სოციალური ფუნქცია (ე. ი. ეპოქის რა მოთხოვნილებას ემსახურებოდა იგი), რუსთაველის მნიშვნელობა ქართულ ლიტერატურაში, რუსთაველი და ჩვენი ეპოქა, რუსთაველის იდეური ნათესაობა მის წინა ეპოქის მწერლობასთან და სხვ.

მხატვრული ნაწარმოების ანალიზის საბოლოო მიზანს შეადგენს მხატვრული სახეების საშუალებით გამოთქმული დედააზრის ნათელყოფა, ე. ი. მწერლის მიზანდასახულობის გამორკვევა. ამ მიზნის მისაღწევად უნდა შესწავლილ იქნეს ნაწარმოებში მოცემული მხატვრული სახეები: მთავარი და მეორეხარისხოვანი პერსონაჟები. მათი სათანადოდ შესწავლა მხოლოდ მაშინ მოხდება, როდესაც გავითვალისწინებთ იმ სოციალურ-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ გარემოებას, რომელშიც ისინი წარმოიშვნენ, განვითარდნენ, მოქმედებდნენ. სასკოლო მუშაობა უნდა დაწყებულ იქნეს სოციალურ-პოლიტიკური მომენტის გათვალისწინებით. ეს საკითხი უნდა გადაიჭრას ნაწარმოების ტექსტზე დაყრდნობით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა წყაროებიც, მაგრამ მთავარი წყარო მაინც ნაწარმოები უნდა იყოს.

შოთა რუსთაველი თავისი დროის მოწინავე მოაზროვნე იყო.

იგი ვერ თავსდება ეპოქის ფარგლებში, გმობს კლასობრივი საზოგადოების უსამართლობას და უკეთესი მერმისისაკენ მიისწრაფის.

შოთას „ვეფხისტყაოსანი" მომხიბლავი და წარმტაცი ნაწარმოებია, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ხალხის ცხოვრების გზაზე ბრწყინვალე ვარსკვლავად ანათებს. ამ ნაწარმოების გმირთა ვაჟკაცური ბრძოლა აფრთოვანებდა მას და აქეზებდა უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

შოთას იდეებს და მისწრაფებას ჩვენი დროის თაობაზე უკეთ ვერავინ ვერ დააფასებს: ჩვენს სინამდვილეში ხორცს ისხამს ის მისწრაფება, რომელიც შოთას აფრთოვანებდა, მისი ზღაპარი სინამდვილედ იქცევა, რასაკვირველია, სხვა გზით და სხვადასხვა საშუალებით, ვინემ შოთას ჰქონდა წარმოდგენილი.

„ვეფხისტყაოსნის" შესწავლას უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობისათვის, იგი აღვივებს უსაზღვრო აქტიობას, სოციალურ გრძნობებს, ძიების სურვილს და თავდადების გრძნობებს, ამიტომ შესაფერად უნდა იქნეს იგი გამოყენებული, როგორც საალმზრდელო საშუალება.

აქვე უნდა განიმარტოს ისიც, თუ რა როლი ეკუთვნის ამ მუშაობაში, ე. ი. პოემის იდეურ ანალიზში მოწაფეს და როგორი უნდა იყოს მასწავლებლის ხელმძღვანელობა?

მასწავლებლის ხელმძღვანელი და წამყვანი როლი, რასაკვირველია, თავიდანვე აუცილებელია, მაგრამ პერსონაჟების დახასიათების პროცესში მოწაფეებს გაცილებით უფრო დიდი როლი უნდა დაეთმოს, ვინემ მომდევნო მუშაობაში. ხასიათის თვისებების გამორკვევის დროს მასწავლებლის მიერ შესაფერი კითხვების დასმით ირკვევა ტიპების სამოქმედო გარემო, რათა ხასიათის თვისებათა წარმოქმნის მიზეზი აშკარა და გასაგები იყოს. მოწაფეები ამ დროს ასახელებენ პერსონაჟის ნამოქმედევს და ნაფიქრს, აზრის დასამტკიცებლად ახდენენ ტექსტებიდან შესაფერი ადგილების ციტირებას.

რაც შეეხება დედააზრის გამოყვანას, ამასაც ადვილად შეძლებენ ისინი, თუ მასწავლებელი შესაფერად წარმართავს მუშაობას. საკაცობრიო აფორიზმებსაც დასძლევენ მოწაფეები, მაგარამ, ეჭვს გარეშეა, რომ მასწავლებლის კომენტარები, საკითხის დასმა და საერთოდ მუშაობაში ჩარევა ფართო განმარტებებით აუცილებელი იქნება. შეიძლება გაკვეთილის დიდი ნაწილი ლექციური მეთოდითაც კი ჩატარდეს. თავისთავად იგულისხმება, რომ თვითონ მასწავლებელი სათანადოდ უნდა იყოს გარკვეული „ვეფხისტყაოსნის" საკითხებში, რათა მუშაობას მიეცეს მაღალი ხარისხი და ღრმა მნიშვნელობა.

ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედების შესწავლა სკოლაში

(საშუალო სკოლის მე-9 კლასი)

მე-19 საუკუნის ლიტერატურის შესწავლა იწყება ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედების განხილვით. ამ მუშაობას წინ უნდა უძღოდეს ეპოქის მიმოხილვა: ქართლ-კახეთის სამეფოს კრიტიკული ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობა მე-18 საუკუნის მიწურულში... ახალი მმართველობის პირველი წლები: ქართული სამეფო გვარეულობის წევრთა რუსეთში გადასახლება, სამეფო ტახტთან დაახლოებული ფენების მიერ მაღალი თავადაზნაურობა და სამღვდელოება, პოლიტიკური უფლებების დაკარგვა, უკმაყოფილება ყოფილ მმართველ წრეებსა და ხალხში. საოკუპაციო ჯარების განუწყვეტელი გზავნა ა/კავკასიაში საქართველოს სამხედრო გზით, მოსახლეობის აწიოკება, აჯანყების სამზადისი მთიულეთში (1802 წლიდან), გლეხთა აჯანყება მთიულეთში (აღწერილია ალ. ყაზბეგის „ელგუჯაში") და უკმაყოფილო თავადაზნაურობის ნაწილის მიმხრობა, ბატონიშვილი ფარნაოზის მეთაურობა, აჯანყების სისხლში ჩახრჩობა. ასეთივე ხასიათის აჯანყებანი კახეთში (1812 წ.), გურიაში, იმერეთში, რაჭაში (1820 წწ.). 1829 წლის შეთქმულება გურიაში, 1841 წლის ჯანყი იქვე, თავადაზნაურული ინტელიგენციის შეთქმულება 1832 წ.

საქართველოს დაპყრობასთან დაკავშირებით წარმოშობილი ახალი სოციალური მოვლენები: ვაჭრობის გაძლიერება, ადგილობრივი ვაჭრული ფენების ფულის ტრიალის ზრდა, ნატურალური მეურნეობის შერყევა, ახალი საყოფაცხოვრებო მოვლენები (ახლებური ჩაცმა-დახურვა და საცხოვრებელი პირობები), „ევროპული კულტურის" გარეგნულად გადმოღება: სტუმრიანობა, დროსტარება, გასართობი და სხვ. ფლანგვა და ხელგაშლილობა გაბატონებულ სოციალურ ფენებში, ყმა-გლეხობის ცხოვრების გაუარესება. საერთო უკმაყოფილება არსებული ვითარებით, გამოსავლის ძიება, ოცნება ძველ, დაკარგულ, დამოუკიდებელ ეროვნულ ცხოვრებაზე...

მიმოხილვისათვის მასწავლებელს გამოადგება: 1) ამხ. ფილ. მახარაძის წერილი: „საქართველო მე-19 საუკუნეში", 2) ალ. ფრონელი — „მთიულეთი 1804 წ".

ეპოქის მიმოხილვას (დაახლოებით მე-19 ს. პირველი ნახევარი) მოუნდება ერთი საათი. მეორე საათის პირველ ნახევარში მოხდება ამის გამოკითხვა და ალ. ჭავჭავაძის მოკლე ბიოგრაფიის გაშლა მოხაზულ ფონზე. ამ დროს განსაკუთრებით ხაზი გაესმება საზოგადოებრივ სულიერ განწყობილებას, პოეტის აზრთა მიმდინარეობას, რაც ძირითადად ხაზებში საერთო სულისკვეთებას ემთ-

ხეევა: არსებულით უკმაყოფილება და ოცნება დაკარგულ წარსულ ცხოვრებაზე, რომელიც, თანადროულობის სიმწვავეებთან შედარებით, სანატრელად გამოიყურებოდა.

ამის შემდეგ დამუშავებული იქნება ალ. ჭავჭავაძის ლექსი: „ეაჰ, დრონი, დრონი!“ დამუშავება მოხდება ძირითადი მეთოდური დებულებების საფუძველზე: ლექსის მთლიანად წაკითხვა და მისი ნაწილებად შესწავლა სიტყვათა ახსნით, შინაარსის კომენტარებით და დედააზრის გამოყვანით.

ალ. ჭავჭავაძე ამ ლექსით ჰქმნის გარკვეულ სულიერ განწყობილებას და აზროვნებას. კითხვის დროს ჩვენს თვალწინ წარმოისახება არსებული ვითარებით უკმაყოფილო პოეტი, რომელიც გულისტკივილით იგონებს „სიზმრებრივ ჩქარად“ გამქრალ, მტკბარად ნაგემებ დროს:

„ეაჰ, დრონი, დრონი, ნაგემნი მტკბარად,
წარილტვნენ, განჰქრნენ სიზმრებრივ ჩქარად.

პოეტი მოშორებულია მოყვასს, საყვარელ გარემოს და თავისიანებს, რის გამოც ის მოწყვეტილია „ძალას ცხოვრებისას“, სიცოცხლის დედაძარღვი გადაჭრილი აქვს:

„არ გიკვირსთ, მხედავთ კვლავცა სულმდგარად?“.

მან „ერთმან ერთგზის ერთს“ უძღვნა თავი და მასვე ემონება „მტკიცედ და მყარად“, — მაგრამ „გლახბედისაგან ესრეთ“ დასჯილს „იგიცა“ ელტვის, გაურბის. გაწამებული პოეტი ამბობს:

„უსასოდ ყოფას სჯობს ყოფა მკედარად...“

აქ სასოწარკვეთის უმაღლესი წერტილია, მაგრამ ეს არის აზრისა და განწყობილების ერთი ნაკადი; მას პარალელურად საკონტრასტოდ მიჰყვება მეორე აკორდი, რომელსაც ტონს აძლევს ასეთი თქმა:

„გლახ, ბედისაგან ესრეთ დასჯილი
იმედოვნებას ვუწოდებ ფარად“.

პოეტი არ უხრის ქედს გარემოებას და ბოლომდის არ მიჰყვება აზრთა უიმედო დინებას; კლდესავით დგას მოზღვავებულ უბედურებათა წინაშე: „არ ესდევ ჟამთა ცელსა“-ო, გვეუბნება და, „ერთგზის“ ერთისადმი თავის მიმძღვნელი, მედგრად ამბობს:

„მე იგივე ვარ მარად და მარად“.

სატრფიალო საგნისადმი მას შეუცვლელად „უცავს სიმტკიცე“, — „საცა გინდ ვიყო, მასთან ვარ მარად“ — დასკვნის. აშ-

კარაა, რომ პოეტის ტრფობის საგანი არის „დრონი, ნაგემნი მტკბარად“, ე. ი. საქართველოს ეროვნული თავისუფლების დრო.

ამ ლირიკული ლექსის მიღმა ჩვენს თვალწინ წარმოისახება ასეთი პოეტური სურათი: უბედობათა შორის გაკაჟებული მგოსანი გმირულად დგას ყამთა ცელის გზაზე და უდიდესი განცდით გადმოგვცემს თავის გრძნობებს და აზრებს.

ამნაირად, მხატერული სახე და პოეტის სულიერი განწყობილება მთლიანად დაემთხვა ეპოქის წამყვან სულიერ განწყობილებას.

მუშაობის პროცესში ხაზი უნდა გაესვას ორ მომენტს: ა) პოეტი უკმაყოფილოა აწმყოთი, ბედისაგან დასჯილია და, ცოცხალი რომ არის, ისიც უკვირს. ბ) გულის მოსაოხებლად იგონებს მტკბარად ნაგემებ წარსულ დროს.

ამ ლექსის შემდეგ უნდა შესწავლილ იქნეს „გოგჩა“[1]. მასალის ტექსტის შესწავლა უნდა მოხდეს ისე, როგორც ნაჩვენებია: „ვაჰ, დრონი, დრონის“ შესახებ. ლექსში „გოგჩა“ ასეთი კონტრასტებიანი მხატერული სახეა მოცემული:

თვალწინ გვეშლება „გოგჩა, ტბა ვრცელი, ხმოვანებით ზღვისა მბაძავი“, რომლის ნაპირზე მოჩანან „ნაქცევნი მისთა კიდეთ, ძაძით მმოსველნი“, „პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი“, „კამარა ძლივ საცნობო ყოფილ ტაძარად“, სადაც ერთ დროს „მეფენი მოწიწებით იდრეკდნენ მუხლთა და ცისა მიმართ გრგვინვიდიან ხმანი ფსალმუნთა“; ახლა კი სულ სხვა სურათია: „დღეს ეს ნაქცევი... ჰხედავს თვის ქვეშე დამჩოქველად ოდენ პირუტყვთა“. ლექსი თავიდან ბოლომდე ასეთ კონტრასტებს იძლევა: რა იყო და რა არის, დღეს რას ვხედავთ, წარსულში კი რა იყო? ოდესღაც, ძველი დიდების დროს, აქ მცხოვრებთა „შორის ხშირ ყოფილან ქურურთა მქონე“, ვერცხლით და ნდობით აღჭურვილი მოვაჭრენი, „ხელოვანნი მომგებლობისა“, დღეს კი მტვრად აღგვილან ძალი და იგი ღონე“.

„ვრცელსა ვაკეს, ქვა-ყრილსა ბნელად“, ერთ დროს საასპარეზო მოედანზე, „ჰქონიათ ტაიჭთა სრბოლა, ჩოგნით ტაცება, შუბთა ტრიალი, ჯირითთ ტყორცნა და ისართ სროლა“. დღეს „დახავსილნი“ „ქვანი შავნი“, იმ ნეტარ დროში „ურთიერთთან კავშირობით ამაღლებულან“ და მაშინდელი ადამიანებიც „ბედნიერნი და კმაყოფილნი“ ყოფილან: „განცხრომილან, განშვებულან“... მათ გულებშიც ენთო სიყვარულის ცეცხლი, ლამაზი ბანოვანნი „ახლად — მშლილობანი“ „ჰავლის სიწმინდეს“ „მიუზიდავს ნაპირს

---

[1] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მე-9 კლასის სახელმძღვანელოში მოცემული ლექსთა დალაგება არ მიმაჩნია მართებულად.

ამ ტბისას"; „რამდენ გზის მთვარეს" ჩაუხედავს ტბის წყლის სარკეში ტურფა ასულებთან და ვარდ-ყვავილებთან ერთად!..

„მაგრამ რა?!. დროსა მსვრელის ცელით, ყოვლთა წარწყმედით, ციურთა მჯობი მშვენებლობაც სხვათებრ მოსთვლილა"... შეუბრალებელ დროთა სელას ძველი დიდება მოუსპია. თვით ჩვენი, თანამედროვეების დასასრულიც, პოეტის აზრით, ასეთი იქნება.

პოეტი ცდილობს შავ აწმყოს თვალი აარიდოს და წარსულის მოგონებით დატკბეს, მაგრაგმ საბოლოო ნუგეშს იქაც ვერ ხედავს; მან მშვენივრად იცის, რომ ჩვენაც ერთ დროს „ნგრეული ნაშთნი ვიქნებით" და ის, რასაც გოგჩის ტბის ნაპირებზე ახლა ვხედავთ, არის „ხვედრი უცილო", „ჩვენისა მომავლისაცა ნამდვილი ხატი".

ყველაფერი ეს „თვალთა და გულსა ყაცისასა სევდით ავსებენ"; ირგვლივ მეფობს: „უდაბურება, მჩუმარება, არარაობა".

ეს ლექსი თავიდან ბოლომდე უიმედო სულიერ განწყობილებას ჰქმნის და პირველად გარჩეულ ლექსს დედააზრით პრინციპულად ეწინააღმდეგება: იქ აქტივობა და ბრძოლის სულია მოცემული, აქ კი პასიობა, გლოვა და უსასოებაა. მაგრამ ამ ლექსებს შორის საერთო დებულებებიც არის, დებულებები არსებითი და დამახასიათებელი: ა) აწმყო ცხოვრებას პოეტი ორივე ლექსში შავი ფერებით ხატავს, თანადროულობა მისთვის მიუღებელი და უარსაყოფია; ბ) წარსული ცხოვრება კი ორივე ლექსის მიხედვით წარმტაცი და დიდებული იყო, იმ ნეტარ დროში „ჰყვავებულან დიდებულად ქალაქნი ერცელნი" და სხვ.

რომელმა მოვლენამ გადააქცია ჯოჯოხეთად პოეტისათვის აწმყო ცხოვრება? მეფის რუსეთის ბატონობამ. ალ. ჭავჭავაძე ვერ ურიგდება იმ ვითარებას, რომელიც შეიქმნა ამ ნიადაგზე, მთელი მისი სიმპათია წარსულს ეკუთვნის: იგი შესტრფის საქართველოს დამოუკიდებელ ცხოვრებას, ებრძვის ეროვნულ ჩაგვრას და პროტესტს უცხადებს ცარიზმის კოლონიალურ პოლიტიკას... ამის წინააღმდეგ მან დასწერა ლექსი „მუსტაზადი", რომელიც ასე იწყება: „ისმინეთ მსმენნო, ჭირთა მთმენნო". ეს ლექსი, საშინელი გულისწყრომით არის სავსე. მეფის მთავრობა და მის მიერ წელში გაწყვეტილი რუსის ხალხი, უკიდურესობამდე მისულ პოეტს გაერთიგივებული ჰყავს და ასეთის სიტყვებით ამკობს მათ: „ცხოვრება ცუდნი, გულით მრუდნი, პირბნელნი, სათნი", „ქაჯთ ყოფაქცევა აქვთ", ისინი არიან „კაცთა მკილავნი, ლიზღნი, ავნი, ეშმაკ სადგურნი" და სხვ.

მეოთხედ უნდა შესწავლილი და გაანალიზებულ იქნეს ლექსი:

„ვაჰ, სოფელსა ამას". უკვე განხილულ ლექსში ჭავჭავაძე, ამ ლექსის თემასთან შედარებით, ცალკეულ მოვლენებს ეხება, ასე ვთქვათ ემპირიულ სფეროში რჩება. „ვაჰ, სოფელსა ამას" კი

სხვაგვარი ხასიათის ნაწარმოებია, აქ საკითხი ზოგადად არის დასმული და პრინციპული მსჯელობაა მოცემული არსებული უსამართლობის შესახებ.

პირველ სამ ლექსში მგოსანს საქართველო ჰყავს სახეში. ამ ლექსში კი საერთოდ მთელ მსოფლიოში არსებულ უსამართლობას და დაუნდობლობას ჰგმობს: ჭავჭავაძე ამ ლექსით ზოგადკაცობრიული საკითხის შესახებ გვაცნობს თავის აზრსა და შეხედულებას. მგოსანი ვერსად ვერ ხედავს სამართლიანობას: ეს სოფელი ბოროტების და სიცრუის ჭურია, აქ გამეფებულია მდაბალთ ჩაგვრა, მტაცებლობა, ხვეჭა, ძარცვა, ცალკე პიროვნებათა სიმდიდრე შეგროვილია „მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით". სამეფონიც „ზეცებრ კაცთა მხეცლობენ", ერთმანეთს იპყრობენ და ანგრევენ, სამართალი ფეხქვეშ ითელება. ბატონობს ფიზიკური სიძლიერე „ძალი დაეალს ღიმით ნაქცევთა ზედა" მაგრამ დღეს გამარჯვებულს ხვალ ახლადგაძლიერებული ვინმე დაამხობს და „თვისგან ქმნილი თვისდავე მიექცევის". ასეთი დღე მოელით დღეს უძლეველ მეფეებს, მათ მოხელეებს და ყველა იმათ, ვინც ამწარმოებს „ღარიბთ ცხოვრებას" ვინც მათგან მოითხოვს „ურცხვად, ესამართლოდ მონებას". პოეტი ასე ემუქრება მდაბალთა მჩაგვრელთ: „მოელოდეთ მათთან თანასწორებას. არ მარადის იშვათ მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭითო".

თუ ჩავუკვირდებით, დაგინახავთ, რომ ამ ლექსის შინაარსი საქართველოს უბედურების შეგნებით არის გამოწვეული: სამეფოთა და მეფეების ბედის ცვალებადობა უპირველესად საქართველოს გულისხმობს, ლექსში დაგმობილი სხვა უსამართლობანიც ჩვენი ქვეყნის ცოცხალი სურათია: ცარიზმი იმონებდა ყველას, ქართველი ხალხი მზაკვრულად და დაუნდობლად დაიპყრო, ქვეყანა სისხლით მორწყო, გაამეფა შიში, ძრწოლა; ირგვლივ ჩანს „პალატათა დიდებულთა ნგრეული ნაშთი" და ტაძართა ნაქცევნი, „უბედურება, მჩუმარება, არარაობა"... ყველაფერ ამაზე „ძალი დაეალს ღიმით ნაქცევთა ზედა". ეს ძალა არის თვითმპყრობელი რუსეთის ხმალი, რომელმაც ყველი გამოსტაცა ქართველი ხალხის ეროვნულ თავისუფლებას. ამხაირად, კერძო მოვლენები პოეტმა პრინციპულ სიმაღლემდე აიყვანა და თავისი სამშობლოს ტანჯული ბედი მთელ მსოფლიოში გაბატონებულ უსამართლობას დაუკავშირა. ეს ჩაგვრა, პოეტის აზრით, ორგვარია: ეროვნული („სამეფონი ურთიერთსა მცველობენ") და კლასობრივი („რომელნიც ამწარებთ ღარიბთ ცხოვრებას").

ალექსანდრე ჭავჭავაძის ამ ლექსზე დაყრდნობით, ილია ჭავჭავაძე ამბობს: „პოეტი უჩივის ამ ყოფას და უქადის, რომ დრო მოვა და სხვა იქნებაო და ამბობს — გაფრთხილდით:

„რომელნიც ამწარებთ ღარიბთ ცხოვრებას
და ჰსთხოვთ ურცხვად, უსამართლოდ მონებას!
მოელოდეთ მათთან თანასწორებას“.

ილიას აზრით, მის წინამორბედ თანამოგვარეს „საყოველთაო უნუგეშო ყოფამ მაშინდელის დროისამ წარმოათქმევინა“ ეს აზრი, რომელშიც, იმავე ილიას სიტყვით, გამოისმის „ნუგეშისმცემელი ინდი“ (ი. ჭ-ძე, ტ. 4. გვ. 228-9).

ცარიზმის საპროტესტო აზრებია გატარებული ა. ჭავჭავაძის ამ ლექსებშიც: „ჰო, ვით გვემტყუნა“, „უწყალო სენმან“, „ჰკენესს გული“, „ჰეა, ჩემო ოცნებავ“, „უმგვანთა ტრფობა“ და სხვ.

ეს ლექსები სახელმძღვანელოში არ არის მოცემული, მაგრამ ერთიანად ამართლებს ზევით განხილული ოთხი ლექსის შინაარსს — ა. ჭავჭავაძის შემოქმედების ძირითად ხაზს, რომელიც განსაზღვრულია ეპოქის მამოძრავებელი საჭირბოროტო საკითხით და პოეტის ბიოგრაფიით, განსაზღვრულია, რასაკვირველია, — აგრეთვე კლასობრივადაც.

შემდეგ გარჩეულ უნდა იქნეს სახელმძღვანელოში მოთავსებული დანარჩენი ოთხი ლექსი: „სხვადასხვა დროის კაცი“, „სიყვარულო, ძალსა შენსა“, „მუხამბაზი ლათაიური“ და „სახე შენი მესახება“. ამ ლექსების თემა სიყვარული და ქეიფის მოტივია.

აღნიშნული მასალების ტექსტუალურად და შინაარსობრივად შესწავლას განუყრელად თან უნდა ახლდეს მხატვრული მომენტების განხილვაც. ალ. ჭავჭავაძის ლექსი შინაგანი მთლიანობისა და აღნაგობის მხრივ სრულ მხატვრულ შთაბეჭდილებას სტოვებს, რითმაც უნაკლოა.

ამიტომაც სთქვა ილია ჭავჭავაძემ:

„მისი ლექსი შეებით, ლხენით
ხან მეჯლისში მოპფრინდება,
გულს ჩაგეკვრის, ალაღობს, ჰხარობს,
გამღერებს და ამღერდება“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მგოსნის ყველა ლექსს როდი ახასიათებს ეს სიმსუბუქე: ხშირად მის ლექსებს არქაული ელფერი გადაჰკრავს და წიგნური ხასიათი აქვს: ეტყობა, რომ ა. ჭავჭავაძე ძლიერად განიცდიდა ანტონ კათალიკოსის ტრადიციას და ხალხური ენობრივი სისადავე, გურამიშვილის მსგავსად, ყოველთვის არ ემორჩილებოდა.

მთელი შემოქმედების შემაჯამებელ დახასიათებამდე, მოწაფეებს ცნობები უნდა მიეცეს იმის შესახებ, რომ ა. ჭავჭავაძე მთარგმნელიც იყო. მან გადმოიღო რუსულით პუშკინის რამდენიმე ლექსი, თარგმნიდა აგრეთვე ფრანგულიდან ლაფონტენს, ვოლტერს და რა-

სინს. იგი იყო ფართო მსოფლმხედველობის ადამიანი, ირანისა და ევროპის ლიტერატურის მცოდნე, კარგად ერკვეოდა მაშინდელ პოლიტიკაში, მეგობარი იყო ზოგიერთი დეკაბრისტისა და საერთოდ რადიკალურად იყო განწყობილი. მისი შემოქმედების ძირითადი ხაზებია: უარყოფითი დამოკიდებულება ცარიზმის დამპყრობელ პოლიტიკისადმი და მეფის რეჟიმის წინააღმდეგ ოპოზიციური განწყობილება. ამ სულისკვეთების სათავე კლასობრივი მომენტით იწყება, საერთოდ კი პოეტი ბანს აძლევს იმ ფსიქოლოგიას და აზრთა მიმდინარეობას, რომელნიც ქართველი ხალხის უმეტესობას ახასიათებდა. ალ. ჭავჭავაძის ქნარი თითქმის ყოველთვის ჩაგრულებს უგალობდა და ხალხის ფართო მასებში მეფის მთავრობისადმი უკმაყოფილო გრძნობებს აღვივებდა.

ერთადერთი ლექსი, რომელიც ეწინააღმდეგება ამ დასკვნას, არის „კავკასია“. ამ ლექსში, კავკასიის ბუნების აღწერის შემდეგ, ორი ასეთი ადგილია:

გარნა რომელს (მთას) ბოლოსღა, როსსთ მხედართ აღზრდილი,
მიებჯინა უდრეკად მამაცი ციციშვილი. ეს ციციშვილი, ციციანოვია,
რომელიც 1803 წლ. გააფთრებით იბრძოდა ჩვენს ქვეყანაში მეფის
პოლიტიკის სადიდებლად და მოკლულ იქნა ბაქოში 1806 წ.

ლექსი ასე თავდება:

> განიხსნა გზა, ეშვათ ოვერიელთ სასოება,
> რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება.

ამ სიტყვებიდან გამოდის, რომ ალ. ჭავჭავაძეს მეფის რუსეთი განათლების შემომტან ძალად უცვნია. მაგრამ მთელ მის შემოქმედებიდან ეს ლექსი არის ერთადერთი, სადაც პოეტი თითქოს ურიგდება ცარიზმს, დანარჩენ შემთხვევებში კი იგი... ტანჯული ხალხის მხარეზეა.

პოეტის შემოქმედების მთლიანობისთვის მისი შემოქმედების შეჯამების დროს ხაზი უნდა გაესვას აგრეთვე სიყვარულისა და ქეიფის მოტივებს. ა. ჭავჭავაძეს ახასიათებს თემატური შინაარსიანობა და სინამდვილის მრავალმხრივი ცოდნა. იგი მრავალმხრივი შემომქმედია.

ალ. ჭავჭავაძეს შესწავლის დროს არ შეიძლება მარტო ზემოთქმულით დაკმაყოფილება. იგი არის ჩვენში რომანტიკული სკოლის ფუძემდებელი, ამიტომ ამ სკოლის ძირითად პრინციპზე აუცილებლივ აქვე უნდა შევჩერდეთ.

რომანტიკული ლიტერატურული სკოლის ძირითადი საფუძვლები არის: უარისყოფა იმისა, რაც არსებობს და სასურველის ძიება, კონფლიქტი აწმყოსთან და მისწრაფება შორეულისაკენ, რომელიც შეიძლება წარსულშიც იყოს და მომავალშიც. სასურველ იდეალს

წარსულში ეძებს რეაქციული კლასების თვალსაზრისის გამომხატველი რომანტიზმი, ხოლო მომავლის რომანტიკა — ეს აღმავალი კლასის სულისკვეთების დამახასიათებელია. ორთავე თვალსაზრისი აწმყოს უარყოფს, ხოლო სასურველს პირველი ეძიებს წარსულში, მეორე — მომავალში.

გრიგოლ ორბელიანის შემოქმედების გარჩევა საშუალო სკოლის IX კლასში

გრ. ორბელიანი ერთი იმ პიროვნებათაგანი იყო, რომელიც თავისი საზოგადოებრივი და სამსახურებრივი მდგომარეობით თითქმის ყოველთვის ახლოს იდგა მთავრობის წარმომადგენლებთან; ამავე დროს იგი თავისი დროის ქართველი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელიც იყო.

ეს ორი ბანაკი თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე პირისპირ უდგას ერთმანეთს: მეფის რუსეთის აგენტები, რომელნიც მტრულ გარემოცვაში იყვნენ და ეულკანზე გრძნობდნენ თავს, ქართველ ხალხს და ქართველ ინტელიგენციას შიშითა და უნდობლობით უცქერდნენ. მათ საამისო საბუთებიც ბლომად ჰქონდათ, საბუთები სარწმუნო, დამაჯერებელი: მთიულეთისა (1803—1804 წ.) და კახეთის (1812 წ.) აჯანყება. ამბოხებულ ხალხს თან გაჰყვა თავადაზნაურული წოდებისა და ინტელიგენციის საგრძნობი ნაწილი, ხოლო 1832 წლის შეთქმულება მთლიანად ამ ინტელიგენციამ მოაწყო. გრ. ორბელიანი შეთქმულების ერთი იდეოლოგთაგანი იყო. თანაც შეთქმულებთან ორგანიზაციულად იყო დაკავშირებული.

მართალია, ამ დიდი ისტორიული ფაქტის შემდეგ ორბელიანი ფრონტს იცვლის და მეფის მთავრობის პოლიტიკას ემსახურება, მაგრამ ქართველი ინტელიგენციის ნდობა მას მაინც არ დაუკარგავს: როგორც სამოციან, ისე 80-იან წლებში, იგი თავისიანებში თვალსაჩინო როლს თამაშობს და მისი პოეტური ღვაწლი ყველას მიერ არის აღიარებული. 70--იან წლებში გრიგოლ ორბელიანმა დიდი საყვედური დაიმსახურა თერგდალეულებისაგან. მოვიგონოთ ი. ჭავჭავაძის გამოცანები, პამფლეტები, მაგრამ ძველი თაობის ინტელიგენციის თვალში, იმ ინტელიგენციის, რომელიც ხსენებული აჯანყების პერიოდში ენთო და კიდეც „მოქკვიანდა“, პოეტი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მისი პოეტური მოღვაწეობა თერგდალეულთათვისაც დიდ ღირებულებას შეიცავდა. ასე რომ, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ გრ. ორბელიანმა თავისი თავი და პოეტური შემოქმედება ანთებულ ჩირაღდანად გამოატარა და 80-იან წლებში მუშა ბოქულაძის სახეც თანაგრძნობით ასახა:

„მკერდი ღია, ოფლით გასერილ, მტვრიანი,
ფერით რკინა, კისერჩაფანგებული“.

მეფის მთავრობის პოლიტიკას ქართველი ხალხი ხმლით ებრძოდა. ამ ტრაგედიის უკანასკნელი აქტი იყო გურიის ამბები 1841 წელს. უთანასწორო ბრძოლაში სისხლით დაცლილი პატარა ერი თავჩაქინდრული დგას. ყირიმის ომმა (1853—1856 წწ.) თითქმის ერთხელ კიდევ აღადგინა დამსხვრეული იმედები, მაგრამ კავკასიის ომების ლიკვიდირებამ და 1859 წელს მთის არწივის — შამილის დატყვევებამ ეს იმედებიც კარგახნით ჩააქრო.

გრ. ორბელიანი ამ გარდატეხის წლებში ისტორიის მნიშვნელოვან მწვერვალებზე დგას: 1832 წლის შეთქმული, 1841 წელს უკვე გურიის აჯანყებას აქრობს, შამილის საწინააღმდეგო ომებშიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობს. შესამჩნევი როლი შეასრულა მან 70-იან წლებშიც, — ბატონყმობის გადავარდნის საკითხში: ამ დროს პოეტი უდიდესი ნდობით იყო აღჭურვილი მეფის მთავრობის მიერ — მეფის ნაცვლის მოვალეობას ასრულებდა.

იგი წინააღმდეგი იყო ბატონყმობის მოსპობისა და ერთხანს კიდეც შეაჩერა ამ საქმის სინამდვილეში გატარება. ბოლო ათეულ წლებში გრიგოლ ორბელიანი უკვე სამსახურში აღარ არის და ქართველი ინტელიგენციის რიგებში ჩამდგარი, საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა.

ეპოქის მიმოხილვა, რომელიც წინ უნდა უძღოდეს მწერლის შემოქმედების განხილვას, ნახევრად უკვე შესრულებულია ალექსანდრე ჭავჭავაძის შესწავლასთან დაკავშირებით. გრ. ორბელიანზე მუშაობის დროს ეს მომენტი უფრო ღრმავდება და უფრო დაწვრილებით იქნება გაშლილი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა 1832 წლის შეთქმულებას, მის ორგანიზაციასა და მიზეზებს. ამ მომენტის სათანადო გაშუქებაში მასწავლებელს დიდ დახმარებას გაუწევს 1935 წელს გამოცემული გ. გოზალიშვილის „1832 წლის შეთქმულება“. ხაზგასმით დახასიათდება აგრეთვე 40—50-იანი წწ., როდესაც საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში მკვეთრი გარდატეხა მოხდა და სავაჭრო კაპიტალმა თავისი საქმიანობა გამოაჩინა. ამავე დროს ეს მომენტი ნიშნავს ახალი საზოგადოებრივი ფენის - - ვაჭრული წრეების — გაძლიერებას და ნატურალური მეურნეობის შერყევას. მოახლოებულია 1860-იანი წლების სოციალური მიწისძვრა — ბატონყმობის თავისებურ ფორმებში ლიკვიდირება.

ამ ფონზე მოცემული იქნება გრ. ორბელიანის ბიოგრაფია დაახლოებით ისე, როგორც ეს არის მოცემული ამ კლასის სახელმძღვანელოში. ბიოგრაფიის გადაცემის დროს განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს მწერლის ცხოვრებიდან ის მომენტები, რომლებიც შეიცავს საზოგადოებრივ და სააღმზრდელო მომენტებს: მასწავლებე-

ლი ხაზს უსვამს შემოქმედების გარემოსაგან განსაზღვრას, მწერლის ცხოვრებას საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე ფაქტებს, მის სულიერ და იდეურ სიმაღლეს, უანგარობას, საზოგადოებრივ გრძნობებს, ჩაგრულთადმი თანაგრძნობას, ხალხისადმი სიმპათიას, მეფის მთავრობისადმი დამოკიდებულებას და სხვ.

ამის შემდეგ განიხილება გრ. ორბელიანის შემოქმედებითი პროდუქცია.

გრ. ორბელიანის პირველი ლექსები დაიწერა და გამოქვეყნდა 1827 წელს. როგორც ვიცით, 1832 წლის შეთქმულების ნიადაგი დეკაბრისტების აჯანყების დროიდან მზადდება. პირველი შეთქმულნი 1825 წლიდან აბამენ კავშირს ბატონიშვილებთან, რომელნიც საქართველოდან განდევნილნი იყვნენ. შეთქმულთა მუშაობა განსაკუთრებით გაძლიერდა 1826—1827 წწ., ვითარდებოდა აგრეთვე მომდევნო წლების მანძილზე. ფარული საზოგადოების მეთაურნი (ფილადელფოს კიკნაძე, ს. დოდაშვილი, ალ. ორბელიანი და სხვ.) გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს საერთაშორისო მდგომარეობას, აკვირდებოდნენ საშინაო ცხოვრებას და ამას უფარდებდნენ თავიანთ ტაქტიკას.

გრ. ორბელიანიც შეთქმულთა წრეში იყო და სულითა და გულით თანაუგრძნობდა მათ. სამშობლოს დამხობა და დამოუკიდებლობის დაკარგვა პოეტსაც სხვებივით უკლავდა გულს და ისიც ვაჟკაცურად ემზადებოდა იმ მომენტისათვის, „როცა მტერი მამულის“ მიეცემოდა „მახვილსა ლესულსა“.

ლექსში „ჰე, ივერიავ“ (1832 წ.) პოეტი ამბობს:

„შორით მოსული ჩემს მამულში მყვედრის ცხოვრებას,
მოყვრულადა გვმტრობს, გვტაცებს ყოველს, გვიქმს ალერსობას...
ესე ნაყოფი აქვს მარადის ცუდსა მონებას.
ბედო! ნუ გძინავს, განიღვიძე, ისშენდ ვაებას“.

პოეტს მშვენივრად ჰქონდა შეგნებული ცარიზმის ბუნება, რომელიც მცირე ერების დამონებაში გამოიხატებოდა. იგი ვერ ურიგდება სამშობლოს დამონებას და ასე მოუწოდებს:

„ჰე, ივერიავ, ვიდრე იყო ქედმოდრეკილი,..
... რად არა გახსოვს ძეთა შენთა ხმალთა კრიალი,
ძლევათა მათგან, როს დიდებით იყავ მოსილი.
წინაპართ სისხლი აწ ჩვენს შორის არღა მდინარებს,
თავისუფლება განქრა ჩვენთვის, რაღა გვახარებს...“

მეორე ლექსში, რომელიც იმავე წელშია დაწერილი, პოეტი რისხვით ამბობს:

„მისი საჭელი კიცხვითა
მარადის იხსენებოდეს,

ვინცა საღმრთოსა სიყვარულს
მამულისადმი არ ჰგრძნობდეს.
და ვინცა მისსა ტყვეობას
გულებ გულითა ჰხედავდეს...
მტერის ხანჯალზედ აგებულს
ვინცა სიამით არ ჰკვრეტდეს".

და სხვ.

გრ. ორბელიანი ხედავდა, რომ საქართველო ფიზიკური ძალის უპირატესობით დაჯაბნეს ეს აზრი ასე გამოთქვა პოეტმა:

„ვა მას მხარეს, სადც მხოლოდ
ძალა რა მსაჯულოვნობდეს...
სად სსჯულზე მჯდომი ხანჯალი
კანონთა აღასრულებდეს".

მესამე ლექსში გრ. ორბელიანი წერს:

„მე თავისუფლებისათვის სული
მარადის მიკვნესის,
და ეს ოცნება დღედაღამ, ეითა
აჩრდილი თან მდევნის...
... ხმა საიდუმლო მარად ეამს
მეჩურჩულების მე ყურსა,
ეამი არს მტერი მამულის მისცეთ
მახვილსა ლესულსა"...

პოეტი განაგრძობს, რომ „ჯერ არ სიკვდილსა იგი ელოდეს, ვინც ერის მაწუხებელსა პირველად წინა აღუდგეს", მაგრამ, — დაასკვნის მგოსანი, — თავისუფლება არსად არავის უსისხლოდ არ მოუპოვებია, ანიტომ:

„წარესწყმდები, მამულისათვის,
ვიცი, ვგრძნობ და აღვიარებ:
და მისთვის ესრედ ჩემს სიკვდილს
ადრევ სიამით ვაკურთხებ!".

ასეთი გაბედული და მებრძოლი სულით გაჟღენთილი აზრი არც ერთ ჩვენს კლასიკოსს არ გამოუთქვამს მე-19 ს. მანძილზე... მებრძოლი სულით არის გაჟღენთილი აგრეთვე რუსულიდან გადმოკეთებული ლექსი „აღსარება", რომელიც დაწერილია 1831 წ.

ეს ლექსები პირდაპირ პროკლამაციურ როლს ასრულებდა შეთქმულთა იდეების გასავრცელებლად[1].

ალ. ჭავჭავაძის განხილვის დროს დადგენილი იყო რომანტიკული სკოლის ძირითადი ნიშნები. ამ ნიშნების მიხედვით უნდა მივუდ-

---

1 განსაბჭოების პროგრამაში ეს ლექსები შეტანილი არ არის, რაც კლასიკური მემკვიდრეობის შეუფასებლობაა ე. ხ.

ვეთ გრ. ორბელიანს. მასწავლებელი ხსენებული ლექსების განხილვის შემდეგ მოუწოდებს მოწაფეებს, გაიგონ, თუ ამართლებს ორბელიანის ლექსები რომანტიზმის პრინციპებს. კვლევა მოგვცემს ასეთ შედეგს: ორბელიანი „უკმაყოფილოა აწმყოთი და პროტესტანტულად არის განწყობილი ცარიზმის რეჟიმის მიმართ, გარემოსა და პოეტს შორის კავშირი დარღვეულია, პოეტი კონფლიქტშია თანადროულობასთან. სათანადო ადგილებს მოწაფეები ადვილად მონახავენ. ამნაირად, რომანტიზმის ორი ძირითადი ნიშანი უკვე ნაპოვნია და გრ. ორბელიანიც ამ სკოლას მიეკუთვნება. დასკვნა თვითონ მოწაფეებს გამოპყავთ. ეს ლექსები საბუთს იძლევა მესამე დასკვნისათვისაც: ეს არის იმედი და მებრძოლი სული. მაშასადამე, ამ ლექსების მიხედვით, გრ. ორბელიანი მებრძოლ რომანტიკოსად წარმოგვიდგება, ამ შემთხვევაში იგი ენათესაება ბაირონს, რომელიც სინამდვილეს მუდამ უარყოფდა და მუდამ იბრძოდა უკეთესი მერმისისათვის.

პირველი დასკვნის შემდეგ გადავიდეთ „სადღეგრძელოზე".

ეს თავისებური პოემა ავტორს ძირითადად დაწერილი აქვს 1826 თუ 1827 წელს, მისი უკანასკნელი რედაქცია კი 70-იან წლებში გაუკეთებია. საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ ნაწარმოები გამოხატავს აზრთა განწყობილებას 30-იან წლებში, ე. ი. შეთქმულების პერიოდში. ჩვენ უკვე გავეცანით ამ პერიოდის ლექსებს, რომლებიც გაჟღენთილია პატრიოტული სულით. „სადღეგრძელოში" კი იმ სახით, რა სახითაც იგი დღესაა წარმოდგენილი, პოეტი დიდ იმედებს ამყარებს რუსეთის მეფე ნიკოლოზ I-ზე. რითი აეხსნათ ეს აშკარა წინააღმდეგობა? ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ნიკოლოზ I-სადმი მიძღვნილი „ხელმწიფეკ ჩვენო" და სხვ. შემდეგ წლებშია ჩამატებული. ვფიქრობ, ეს აზრი სიმართლეს შეიცავს: უეჭველია, რომ 30-იან წლებში დაწერილ ნაწარმოებში პოეტმა მომდევნო წლებში რაღაც ჩაუმატა, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუგებარია თითქმის 40 წლის მანძილზე პოემის რედაქტირების გაგრძელება. ამოვიღოთ ჯერჯერობით ეს ადგილი და ისე გავაანალიზოთ პოემის შინაარსი. ვნახოთ, თუ დაემთხვევა ამ შემთხვევაში პოემის შინაარსი უკვე განხილულ სამ ლექსს.

„სადღეგრძელო" წარმოადგენს საქართველოს ისტორიის ერთგვარ მხატვრულ ილუსტრირებას: პორტრეტებად არიან მოცემული ჩვენი ისტორიის გამოჩენილი გმირები და მოღვაწეები, რომელთა ბრწყინვალე სახელებთან დაკავშირებულია ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივად ჩამოქნის პროცესი, შეუჩერებელი ბრძოლა ეროვნული თავდაცვისათვის, დიადი კულტურული მწვერვალების

დაპყრობის წლები და სხვ. ეს გმირები აღტაცებას ჰგვრიან გრ. ორ-ბელიანს, რომელიც ასე მიმართავს მათ:

„გმირნო, მამულის მადიდნო,
თქვენა ხართ ჩვენი დიდება!
თქვენთა სახელთა ამაყად
წარმოსთქვამს შთამომაელობა!
თქვენთა საქმეთა მოთხრობით
მოხუცს ცრემლ-მოედინება,
მხნეობით აღტაცებული
ჭაბუკი ხმალსა მიესწვდება!“

ეს შესანიშნავი სიტყვები, რომელნიც ნამდვილი მოაზროვნე და ჭეშმარიტი პოეტის მიერ არის წარმოთქმული, ერთიანად ეგუება იმ ზვიად სანახაობას, რომელიც პოეტმა გვიჩვენა პოემის პირველ ნაწილში; ჩვენს თვალწინ გამოჩნდება დღეს ლეგენდარულად მიჩნეული ფარნაოზ მეფე, რომელმაც, პოეტის თქმით, დაუმკვიდრა „ერსა ერთობა და ერთობისა წესი და ძალი“, შემდეგ „მეფე მირიან ბრწყინავს გვირგვინით...“ ჩვენს წინ გაიელვებენ აგრეთვე ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე... ამას მოჰყვება შესანიშნავი სურათი:

„თამარის დროშა გაშალეს,
შეკრბა დიდებეს ღაშქარი,
კახი ფარ-შუბით, თუში ხმლით,
ფშავ-ხევსურს ჴშვენის აბჯარი“...

პოეტი გვაჩვენებს აგრეთვე ქეთევან წამებულს — ქართველი დედის სასახელო და საამაყო წინაპარს; აქვე არიან „კახეთის მხსნელი გმირები: შალვა, ელიზბარ, ბიძინა“, ვახტანგ მეექვსე, ერეკლე მეფე, „გუნდნი და გუნდნი ვაჟკაცთა...“

პოეტი აღტაცებულია ამ სანახაობითა და მისი მძლავრი მეტყველება მკითხველსაც ერთიანად იტაცებს. ზევით მოყვანილი პათოსური თქმა: „გმირნო, მამულის მადიდნო“, უდავოდ შეეფერება ამ დიად სანახაობას.

პოეტის სულიერი განწყობილება ამ დროს ერთიანად იმედიანი და ოპტიმისტურია; იგი აქტიურად არის განწყობილი და ამიტომაც ამბობს:

მხნეობით აღტაცებული
ჭაბუკი ხმალსა მიესწვდებაო.

აშკარაა, რომ „სადღეგრძელოს“ საერთო ტონი და განწყობილება ძირითადში სრულიად ემთხვევა უკვე გარჩეულ სამ ლექსს.

ნაწარმოების ფორმალური ნიშნებიც ამას მოწმობენ: იქაც

ძლიერი რომანტიკაა და აქაც, ენობრივ-სტილობრივი ერთიანობაც სრულიად ნათელია.

ამ პოემაში ჩანს აგრეთვე რომანტიზმის სხვა ნიშნებიც: ინდივიდუალიზმი და ბუნების სიყვარული. აქ არ მეფობს ფსევდოკლასიციზმის ობიექტურობა და პოეტის პიროვნების მიჩქმალვა, პირიქით, მგოსანი ყველაფერს საკუთარი ლირიკული განწყობილებით იძლევა, ყველაფერს თავისი პიროვნების ბეჭედს ასვამს.

ახლა უნდა დაისვას ასეთი კითხვა: რამდენად ეთანხმება გაკეთებულ დასკვნას პოემის ის ადგილი, რომელიც შეეხება იმპერატორ ნიკოლოზ I-ს? სრულიად აშკარაა, რომ ეს პანეგირიკული ადგილი შემდეგშია ჩამატებული, როცა ორბელიანი უკვე ცნობილი მწერალი იყო და მთავრობისაგანაც ესოდენ დაფასებული. ამ დროს უკვე უხერხული იყო დიდი გენერლისათვის 30-იანი წლების ჭაბუკური სილაღე და მეფის ტახტის აბუჩად აგდება, „სხვა იყო ის დრო", „სხვა არის ახლა", „სხვა ზღვა, სხვა გემი, სხვა ნიავქარი". უკვე მოხუცებულ პოეტს თავაზიანობა შეეფერებოდა და... აქიტომაც პოემაში ჩაურთო მან ეს საერთო ტონის დამრღვევი ლექსი, რომლის შინაარსი მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს ანტიქართულად და ანტიეროვნულად. ცარიზმის პოლიტიკა ქართველი ერის მოსასპობად იყო მომართული: პოლიტიკურად მოსპობის შემდეგ, სპობდნენ ეკონომიკურად და კულტურულად, ჩვენი ხალხი უნდა გათქვეფილიყო „მპყრობელი ერის" სიმრავლეში. გრ. ორბელიანი კი ასეთი პროგრამის შესრულებას გამოელის ნიკოლოზ „დაუვიწყარისაგან":

„ძველი ივერი, შენი ივერი... შენგან მოელის, რომ ლამპარს ჰსწავლის კვალად აღუნთებ ძველად გამქრალსა... განახლებული, განათებული, ფენიქსებრ იწყებს აღმაფრენასა... თამარის დღენი, შენ მოუვლინე შენსა ივერსაო".

რა გამოდის აქედან? ცარიზმის პოლიტიკის სრულიად საწინააღმდეგო სურვილები: საქართველოს განახლება, განათლება, მისი ეროვნული სახის დაცვა და განდიდება... დიდმა პატრიოტმა პოეტმა წრეს გადასული ხოტბის დროსაც კი მშვენივრად იცის, რა უნდა თქვას და როგორ უნდა თქვას. თან ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ასეთ აზრს მე-19 საუკუნის 40-იანი წლებიდან ქართველ ინტელიგენციაში დიდი გასავალი ჰქონდა: ორბელიანის ფორმულა არც თერგდალეულებს უარუყვიათ; პირიქით, ცარიზმის მიმართ ისინიც ამ აზრს ადგნენ, ილიას „ჩვენი თავის ჩვენადვე გვაყუდნეს" — მაშინდელი გაგებით სრულიად ეთანხმება ორბელიანის შეხედულებას.

პოემა მთავრდება ეპილოგით, რომელშიც ასეთი აფორიზმია: „ან ეს რაცა ვსთქვი, რადა ვსთქვი, თუ რაც მინდოდა ვერა ვსთქვი". ეს მინაძღვენიც უსათუოდ შემდეგ არის მიმატებული, მისი ტონი ერთობ უიმედო და ელეგიურია და უნდა მიეკუთვნოს პოეტის შე-

მოქმედების იმ პერიოდს, როდესაც მისი შეგნება 30-იანი წლების ალმაფრენის ნაცვლად, უიმედობას მოუცავს. ეს აფორიზმიც ბევრს ლაპარაკობს პოეტის სასარგებლოდ: მას ვერ უთქვამს, რის თქმაც უნდოდა. ყოველგვარ ეპეს გარეშეა, რომ სათქმელი იქნებოდა ცარიზმის საწინააღმდეგო და ამიტომაც პოეტს ვერ გამოუთქვამს იგი.

1832 წლის შეთქმულეების ალმოჩენამ და შეთქმულთა დასჯამ თავზარი დასცა მთელ მაშინდელ ქართველ საზოგადოებას და, უპირველეს ყოვლისა, თვითონ შეთქმულებს, მათ შორის გრ. ორბელიანსაც. ეს იყო ცუდ იმედთა სასტიკად გაცრუების წელიწადი. აშკარა გახდა, რომ პატარა საქართველოს იმხანად ქედი უნდა მოეხარა დიდი იმპერიის მძიმე უღლის ქვეშ, ცარიზმი დამკვიდრდა „დიდის ხნითა და სერიოზულად“.

გრ. ორბელიანის შემოქმედებაში ამ წლიდან ძლიერი უიმედობა იკიდებს ფეხს. ამას ამტკიცებს ლექსი „იარალის“, რომელიც დაწერილია 1834 წელს. პოეტი ამ ნაწარმოებშიც უპირველესად ჭეშმარიტი პატრიოტია, რომელიც რომანტიკული სკოლის მეთოდით ამღაენებს თავის ძლიერ გრძნობებს. აწმყოთი განაწამები მისი მხურვალე ოცნება ელფეროვანი ენით იგონებს წარსულის თვალისმომჭრელ სურათებს:

„თუ ვით იყვნენ, ლომგელნი გმირნი,
ბრძოდნენ, ცხოვრობდნენ დროსა წარსულსა“.

როგორ შეგროვდებოდნენ „მტერთ... დაცემად“... „ჰაბუკნი მხნეობით აღტაცებულნი“, „ვით ალვა რგულნი, ცხენზედ უძრავად ესრედ მოჰკრიან, ვითა ნიავი“... პოეტს ცხადად ესმის მათი „ცხენთა გრიალი, შუბთა ტრიალი, ჯირითთ სრიალი „და სხვ., იქვე ეჩვენება ერეკლე მეფე, რომელიც ამ წარმტაც სანახაობას „სიამით მარად უმზერდა შორით“... მაგრამ ყველაფერი ეს იყო ძველად, „როს ერთგულება, სარწმუნოება ივერთ თვისებას შეადგინებდნენ, ოდესაც ბრძოლა და მამაცობა მათსა სახელსა განადიდებდნენ“... დღეს კი პოეტი „უცხო ცის ქვეშ“ არის ოხვრით და ცრემლით ჭვრეტს „ზოგის წმინდა სამარეს“.

„წარსულთა დროთა, დიდების დროთა,
ყოველი კეთილი თანა წარიღეს“.

უიმედო მგოსანი ოცნებობს იმ გმირზე, რომლის ძლიერი ხმა დაძინებულ ბედს აღადგენდეს, „რომელ მარჯვენით, ერთისა დაკვრით უსულოდ ვეშაპს ძირსა დასცემდეს“. მაგრამ ვეშაპის — ცარიზმის — დამძლეელი გმირი, რომელსაც შემდგომში აკაკის დაფი და ნალარა უყიოდა, ჯერ არსად ჩანდა და ორბელიანიც ნაღელიანად ამბობდა:

„გულს ეწუხების, რა აგონდების
ღელნ წარსულნი ნეტარებისა“.

მაგრამ სიმძიმის ცენტრი აქ უიმედობაში კი არ არის, არამედ იმ ძლიერ პატრიოტულ განწყობილებაში და ცარიზმის საწინააღმდეგო პროტესტებში, რითაც ეს ლექსია გაჟღენთილი. სწორედ ამ თვისების გამო არის გრ. ორბელიანის პოეზია ჩვენთვის ძვირფასი მემკვიდრეობა. წარსულშიც ამიტომ ეწოდებოდა მას დიდი მგოსანი; „გი აღვიძებდა ეროვნულ თვითშეგნებას, უკმაყოფილებას და ზიზღს — „მპყრობელთა ზედამდგომელთა“ მიმართ.

ახალ ვითარებაში პოეტის პირადი ცხოვრებაც უკეღმა წარიმართა; მან ვერსად ვერ ჰპოვა სულის თავშესაფარი და მარადიული სიწყნარე: ვერც სიყვარულსა და ვერც დროსტარებაში. ამას მოწმობს ძლიერი ლირიკული გრძნობით გაჟღენთილი ორი ლექსი: „ჩემს დას ეფემიას“ და „სალამო გამოსალმებისა“, რომლებიც აღგზნებული ჰიმნია სიყვარულის ამამაღლებელი, რუსთაველისებური გაგებისა, კავკასიის ბუნების სიდიადისა. ქართული პოეზიის ხელიხელ საგოგმანებელი მარგალიტია ასეთი თქმა სიყვარულის შესახებ:

„რაცა გვიშვენებს სიცოცხლეს ზეციურ[illegible] [illegible]ხოვ[illegible]ია,
და აღგვამაღლებს ამ სოფლით სოფლისა[illegible] აღმაფრენითა“.

ბუნების შეუდარებელი სურათები:

„ბუმბერაზ მთანი მდუმარედ ცათამდის აყუდებულნი.
ჰსხედან, ვით დევნი, სპეტაკის
ყინულ გვირგვინით შემკულნი“...
... „წყალნი, მთით დაქანებულნი,
ალმასებრ უფსკრულს ჰსცვივიან.

თერგი ჰრბის, თერგი ღრიალებს,
კლდენი ბანს ეუბნებიან“. და სხვ.

40-50-60-იან წლებში გრ. ორბელიანის შემოქმედებაში გულში ჩაკლული მამულიშვილური გრძნობისა და სევდიანობის გვერდით პირადული ლირიკა ძლიერდება: ქეიფი, დროსტარება, სიყვარული. ამავე წლებში ორბელიანი სწრაფად ადის სამხედრო კარიერის ახალ საფეხურებზე და მთავრობის თვალში უდიდეს ნდობას მოიპოვებს: ებრძვის შამილს, ჰაჯი-მურატს, აღტაცებულია ჩინ-მედლებით (როგორც ერთ დროს პუშკინს აღფრთოვანებას გვრიდა ნიკოლოზ I-ის სასახლესთან დაახლოვება) და წელიწადში თითო-ოროლა ლექსს თუ ღაწერს.

60-იან წლებში ორბელიანი უკვე დიდი ფიგურაა, ისე დიდი, რომ ბატონყმობის გადავარდნის შეჩერებასაც კი ლამობს: პოეტს ახალი ცხოვრების ყლორტების წამოზრდა გამოეპარა: პირადი ზვიადობით დაბრმავებულს, თერგდალეულები ვერ შეუმჩნევია. ამ

ეპოქაში ერთიანად გამომჟღავნდა ორბელიანის კლასობრივი ბუნება: იგი ვერ გასცილებია წარმომშობ წოდებას, მძაფრად ამჟღავნებს სამხედრო ინსტინქტებს და მამაპაპურ მბრძანებლურ ქედმაღლობას, თანაც აღმერთებს ბახუსს. მაგრამ „ყველაფერი იცვლება, ყოველივე მდინარებს“: ბატონყმობა ორბელიანის დაუკითხავად გადაგდო შეშინებულმა ალექსანდრე II-მ. თავადაზნაურობა პოეტის თვალწინ კვდება და ირიყება, ცხოვრებას ეუფლებიან ახალი ფენები, პოეტიც მოხუცდა, მწველრეალებიდან დაბლობში ჩამოდის და შინაურებს ეკვეთება: ლექსში „პასუხი შვილთა“ (1874) გრიგოლ ორბელიანმა „თერგდალეულები“ განაქიქა — უმადურნი ხართ, უვიცები, სამშობლოს ღუპავთ, ენას ვერ იცავთ, მამებს ვერ აფასებთ, როგორც საჭიროა, სამშობლოს ვერ დაიცავთო და სხვ.

კიდევ რამდენიმე წელიწადი და გრ. ორბელიანი ბეთანიის ეკლესიაში აღმოანთხევს გულში ჩამარხულ პროტესტს და სამშობლოსადმი უდიდესი სიყვარულის გრძნობას. „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ (1877) შესანიშნავი რომანტიკული ლექსია. ორბელიანი ხედავს ცარიზმის საქმიანობას, იბრძვის კიდეც მისი რეჟიმის განსამტკიცებლად, მაგრამ არ იქნა და საბოლოოდ მაინც ვერ შეიყვარა იგი, მაინც ზიზღით არის მისდამი აღვსილი; ცარიზმი მიაჩნია ისეთ ძალად, რომელმაც გააუბედურა საქართველო და პირადად პოეტიც: მგოსანს თავისი თავი მიაჩნია გულშემუსვრილად, დამცირებულად და ბედდაკარგულ ივერიის ძედ. საქართველო შავ დროშია, აღარ ბრწყინავს, აღარ ჰშვენის, დაცემულია სულით, წაწყმედის გზაზე დგას... ლექსის ამ ადგილებში ღაღადებს უდიდესი პროტესტანტული გრძნობა და ზიზღი აწმყოსადმი.

პოეტი წუთიერად ოცნებობს, რომ საქართველოს დაუდგეს თამარის დროის მსგავსი დღენი, „ივერი აღსდგეს ძლიერი და დადგეს ერად სხვა ერთა შორის“, „სწავლისა შუქით განათლებული“, კულტურულ ქვეყნად გადაქცეული, ერთი სიტყვით, დროის მიხედვით გარდაქმნილი და განახლებული (და არა ძველი ფეოდალური სახით, როგორც ეს ვაიკრიტიკოსებს ჰგონიათ). ბოლოს, პოეტის ქნარი უიმედოდ ჩაწყვეტილი სიმის ხმას გამოსცემს, თავდება ისე, როგორც ლექსში — „იარალის“, მაგრამ როგორც ზემოთ ვთქვით, აქ მთავარია პროტესტი და მამულისადმი სიყვარული და არა უიმედობა.

გრ. ორბელიანი, რომელმაც ბოლოს შეიგნო, რომ ცხოვრება „ცრუ სოფელია და დაუნდობელი“, მასში „კეთილი სად არს ფერუცველ“, ღრმა სიბერის ჟამს „მუშა ბოქულაძეს“ მიაპყრობს თვალებს. 1827 წელს „სადღეგრძელოში“ მეფეებს ადიდებს, ნახევარი საუკუნის შემდეგ კი ბოქულაძის კურტანს ამკობს, სასახლეებიდან ქოხებამდე ჩამოვიდა, ეპოქის მძლავრმა მუჯლუგუნმა ჰეშმარიტი

პოეტი მისდაშეუმჩნეველად გამოგლიჯა საკუთარ კლასობრივ განსაზღვრულობას და სახალხო ჭირვარამზე აამღერა.

ბოქულაძე არ არის სამრეწველო პროლეტარიატის წარმომადგენელი, იგი, ილია ჭავჭავაძის მუშის მსგავსად, ძველი დროის კურტნის მუშაა. მას სიცოცხლე „ტანჯვად გადაჰქცევია შოენისათვის მხოლოდ ლუკმა პურისა, ის „კისერჩაჟანგებულია, სიყრმიდანვე დევნილი“, „სოფლის გარე უწყალოდ განდევნილი“, ის მუშაობს, „სხვანი კი იმღერიან“, ყველასაგან აბუჩად არის აგდებული, „კაცთა შორის კაცად არმიჩნეული“. მან იცის, რომ მისი მჩაგვრელია განცხრომის ძე, ეს მშვენიერი ქვეყანა ამ მჩაგვრელისთვის არსებობს, ყოველგვარი სიმდიდრე მისია. ბოქულაძე ასე მიმართავს მას:

„თ�ეთ მეც, მუშა, ჩემის ღონით, ოფლითა,
შენთვისა ვარ დაბადებით მსახურად...
შენ ხარ მეფე... მე ძაღლადაც არ მაგდებ!“ და სხვ.

მუშის მდგომარეობა და განცხრომის ძის სახე აქ მკვეთრ ტიპიურ ხაზებშია მოცემული, მათი დაპირისპირებაც სრულ მხატვრულ შთაბეჭდილებას სტოვებს, პოეტის თანაგრძნობა მთლიანად მუშის მხარეზეა. შეიძლება სიყალბედ და პოეტის კლასობრივი თვალსაზრისის გამოვლინებად ჩაითვალოს ბრძოლაზე უარის თქმა და ზეცაზე მითითება (დაახლოებით იმ ხანებში მუშა პოეტი იოსებ დავითაშვილიც თითქმის ასეთნაირად სჭრიდა ამ საკითხს: ასეა ყოველთვის მუშათა მოძრაობის დასაწყისში), მაგრამ ორბელიანის მიერ საკითხი მხატვრული სიძლიერით არის დასმული, ამისი უარყოფა არავის შეუძლია.

ვის შეუძლია უარყოს ის, რომ პოეტმა მხატვრული სიძლიერით არ წამოაყენა კლასობრივი ურთიერთობის საკითხი და მუშისა და მდიდრის დაპირისპირებით მძაფრად არ გვაჩვენა ბურჟუაზიული საზოგადოების ძირითადი წინააღმდეგობა? მართალია, ჩვენი თვალსაზრისით, საკითხის გადაჭრა არ არის სწორი, მაგრამ პოეტმა ჩვენ მოგვცა ის, რაც მას, უპირველეს ყოელისა, მოეთხოვებოდა, როგორც მხატვარს: სინამდვილის მკვეთრი ანალიზი და ბურჟუაზიული ცხოვრებისადმი კრიტიკული აზრის გაღვიძება. გრ. ორბელიანის მემკვიდრეობის ღირებულება ისაა, რომ პოეტი კრიტიკულად არის განწყობილი იმ დროისადმი, სადაც ეროვნული ჩაგვრა ხდება, იგი კლასობრივი ურთიერთობის საკითხსაც მკვეთრად აყენებს „მუშა ბოქულაძეში“, სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ 1905 წლის რევოლუციის პერიოდში ეს ლექსი გატაცებით იკითხებოდა სცენიდან რევოლუციური ხალხის აღსაფრთოვანებლად. მართალია, ორბელიანის შემოქმედებაში არის ჩვენთვის მიუღებელი ადგილები, მაგ., რელიგიის აღიარება, მეფის წინაშე თავისებურად ქედის მოხ-

რა („სადღეგრძელო"), ახალი თაობის წინააღმდეგ გალაშქრება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს შემოქმედება წარმოადგენს ჩვენთვის ძვირფას ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

გრ. ორბელიანი სიტყვის დიდი ოსტატია: დახვეწილი ენა, აფორისტული თქმა, ტიპიური სახეები... პოეტური ხერხები — ჰიპერბოლა, შედარება, მეტაფორა და სხვ — აი, გრ. ორბელიანის პოეზიის მომხიბველი, პათოსი და საბოსელი.

ორი სტილი

ზურაბ ნაზარის ძე ანტონოვი (1820—1864). ამ ნიჭიერ დრამატურგს, რომელიც ერთგულ ძმასავით ამოუდგა გვერდით გ. ერისთაველს, ზოგჯერ ჩვენი კრიტიკოსები გვერდს უვლიან, ანდა რალაც ცალყბად იხსენიებენ. მე მგონია, რომ ეს უსამართლობაა: ყოველი გულწრფელი და ნიჭიერი შემოქმედი ღირსია იმისა, რომ შესაფერი ადგილი დაიჭიროს ისტორიის ფურცლებზე. ვაი, თუ სიტყვამ „შესაფერი" ეჭვი გამოიწვიოს მკითხველში! მე შევეცდები, შეძლებისდაგვარად, გავაცნო მკითხველს ეს მწერალი და დასკვნა თვითონ გამოიტანოს, მაშინ გავიგებთ, ღირსია თუ არა ანტონოვი იმ ყურადღებისა, რომელსაც ჩვენ ვაპყრობთ მას.

ანტონოვს დაწერილი აქვს სულ შვიდი დრამატული ნაწარმოები. აქედან ოთხი ქალაქურ და წვრილ-ბურჟუაზიულ ფონზეა მოცემული; ამავე დროს ეს პიესები — განსაკუთრებით სამი („მე მინდა კნეინა გავხდე", „განა ბიძიამ ცოლი შეირთო? და „მზის დაბნელება საქართველოში") ყველაზე საუკეთესოა თემატიკისა და მხატვრული თვალსაზრისით, ამ პიესებში თავიდან ბოლომდე მაშინდელი ქალაქური ცხოვრების ყოფაა მოცემული. აბა რა უნდა ყოფილიყო მაშინდელი ჩვენი ქალაქები, როცა მათი მოსახლეობა ძალზე განსაზღვრული იყო! მაგრამ ანტონოვის ნიჭიერმა თვალმა უსათუოდ ტიპობრივად გადმოგვცა ამ პრიმიტიული საკაჭრო და გონებრივი ცენტრების სახე.

ანტონოვის პიესების არა მარტო ტიპაჟი, არამედ უმეტესად ქალაქური სურნელება იმით აიხსნება, რომ იგი დაბადებით და აღზრდით ქალაქს ეკუთვნოდა: მამა მისი გორელი ვაჭარი იყო, ტომით სომეხი და თავისი შვილი ვაჭრულ ატმოსფეროში აღზარდა. სოფელი და მისი მიდამოები ანტონოვისათვის მხოლოდ შემთხვევითი გარემოება იყო, მისი აკვანი ქალაქში დაირწა და, როგორც ბავშვობის, ისე უმაწვილობისა და ვაჟკაცობის (რომ არ დასცალდა! სულ 34 წლისა გარდაიცვალა ცოფიანი ძაღლის კბენისაგან) საუკეთესო

შთაბეჭდილებანი აქ ჰქონდა შეთვისებული. გ. ერისთავის მიერ ქალაქის მიღება უფრო მონაფიქრები იყო, ვინემ ნაგრძნობი, უფრო თავისმიერი, ვინემ გულისმიერი. ანტონოვის შესახებ კი პირიქით ითქმის.

ანტონოვის ქალაქი მოფუსფუსე და მრავალფეროვანი ადგილია, აქ განუწყვეტლივ ხვდებიან ერთმანეთს სხვადასხვა ჯურის ადამიანები; ეს შეხვედრა მოკლე და წუთიერია, ერთ მომენტში ერთნაირი სურათი იშლება, მეორეში — სულ სხვაგვარი. გამახვილებულია მხედველობა, სმენა, მოძრაობა, ნაირნაირი ინტერესების დაჯახება, მოულოდნელი შეხვედრანი, სხვადასხვა ხასიათების შეჯიბრი, ძველი, ახალი, დიდი, პატარა, ქალი, კაცი, მოსაქმე და უსაქმური, სხვადასხვა ერის შვილები, პატიოსანი მშრომელი და გაიძვერა, ნაძირალა... ყველა ერთმანეთში არეულა და მუდმივ ფუსფუსშია. სხვადასხვა ტიპები, სხვადასხვა მდგომარეობის ხალხი ჩუმად იხრაკება ძველი ფეოდალური ეკონომიკის რღვევისა და ახალი ვითარებით შექმნილ ტაფაში, აქ ატყუებენ ერთმანეთს, შარლატანობენ, გაიძვერობენ, ვალიანდებიან და კოტრდებიან... მაგრამ ჩვენმა ავტორმა კიდევ უფრო მეტ სააშკარაოზე გამოიყვანა ისინი: ეკონომიკურად დაქვეითებულთ ახლა მზის დაბნელებით დასცა თავზარი და მათი ნერვიულობა კიდევ უფრო გააძლიერა, მათი თავდაცვის ინსტინქტები კიდევ უფრო აამოძრავა, არსებობისათვის ბრძოლა კიდევ უფრო გაამწვავა. და რა ვნახეთ? სოფლებიდან ფულის სასესხებლად ჩამოცვენილი ძველი თავადები, გზადაბნეული ქართველი და რუსი გლეხები, მსუნაგი შარლატანები, და ყველა ისინი, ვისაც აგრე ემარჯვება მღვრიე წყალში თევზის ჭერა და წუმპლაობა.

გ. ერისთავის ტიპებივით ანტონოვის თავადებიც მარჯვნივ და მარცხნივ ფულებს სესხულობენ, ახლაც კარს მოადგნენ გეურქას ოქროებიან ქისას. თქვენ ფულების მგლები ხართო, — ეუბნებიან მათ გეურქა, რომლის თვალში არც ერთი თავადი უკვე ჩირადაც არ ღირს: ქონება მათ არა აქვთ და კაცური ღირსება. ეს უკანასკნელი კიდეც რომ ქონდეთ, კაპიტალის დაწყებითი დაგროვების უკულტურო გმირის გეურქას თვალში მაინც რა მნიშვნელობა უნდა ექნეს!

გეურქების ქისას, თავადებს გარდა, სხვაც ბევრი გაუმსუნაგებია: ნაძირალები, აფერისტები, მოხელე და უსაქმური. ყველა ფერხულს უელის „ოქროს კერპს" და ყველა მოწადინებულია, რომ მზის დაბნელების წინ — მათი აზრით, ეს ქვეყნის დაქცევაც იქნება — ცოტაოდენი სიტკბოება წაიღოს ამ ცოდვილი წუთისოფლიდან.

კომედიაში აქა-იქ ჩართულია ახალი ყოფის, „გაევროპიელების" შემოსელის მომენტები: ძველებური სუფრის მაგიერ მაგიდების შემოღება, ჯიხვის რქის მაგიერ — ჭიქები, დანა-ჩანგალი, საჭმე-

ლების თეფშებით ჩამოტარება, ჩაის სმა, პაპიროსის მოწევა და სხვ. თათქარიძის ღორმუცელა წინაპრებს განსაკუთრებით არ მოსწონთ ის, რომ სუფრაზე თხლად დაჭრილი პური მოაქვთ.

— მთელი პური დასდონ, რასაც შევჭამ, შეეჭამ, რასაც არა და იქვე დარჩებათ, — ამბობს ერთი მათგანი.

— ზოგს ნიკაპზე გამოუშვია პატარა წვერი თხასავით, ზოგს ყბებზე გაბანჯგლული დათვივითა, ზოგს სადა და ზოგს სადა... ამ თმებზედაც რაღაცას იგლესენ, ფერი კი ღორის ქონისა აქვს და არ ვიცი, თუ რა არისო,—ჩივის ზაალი, რომელიც ვერასგზით ვერ შეგუებია „ამდენ სიახლეს".

მეორე პიესაც — „მე მინდა კნეინა გავხდე" — ქალაქის არემარეშია გაშლილი. მოქმედ პირთა ცენტრში დგას ბებრუხანა, კბილებჩაცვენილი ბარბარე, რომელსაც გარდაცელილი ქმრის ქონება ყელში ამოსდის. ახალი დროის კერპმა — ოქრომ, ამასაც გონება აურია, თავისი თავი ახალგაზრდად წამოუდგენია და დაქვრივების უმალვე მეორე ქმარს ეძებს. კნეინაც უნდა გახდეს, ახალი ცხოვრების დაწყებას აპირებს, აფასებს, ვისაც უთქვამს: „თავსა ახლად ვერვინ იშობსო". განა თუკი ფულები აქვს, ამას ვერ შესძლებს!

ვაჭარმა შაჰყულოვმა ღირსეული საქმროც მალე გამოუნახა: ეს პატივცემული გვამი გახლავთ გაღარიბებული ქართველი თავადი შერმანიძე, რომელსაც ძველი დიდებიდან მარტო თავადის სახელი და ზოგიერთი რაინდული თვისება შერჩენია, — ეკონომიური უპირატესობა კი კარგა ხანია გამოცლია ხელიდან. ოღონდ კი ისევ დაიბრუნოს ეს უპირატესობა და მზადაა უკბილო ბებრუცუნა შეირთოს, მზადაა ხელი აიღოს ფეოდალურ რაინდობაზე — გულის სატრფოდ ბაჯ-ბაჯა დედაბერს ისვამს. დიდი ამბით ეუბნადება ღირსეული ნეფე-დედოფალი საქორწილოდ, მაგრამ სრულიად მოულოდნელად ირკვევა, რომ ჩვენი საპატარძლო გვარიანი გაიძვერა და ხელცივი ყოფილა: მაზლის ქონება მიუთვისებია და მაზლის შვილი — კეკელა, მშრალზე დაუტოვებია. ბარბარე ქონებასაც კარგავს და საქმროსაც. კეკელა კი ბედნიერდება — ფულსაც იშოვის და ლამაზ სატრფოსაც შეირთავს. ბოროტება ისჯება. დევნილი სიკეთე იმარჯვებს... სწორედ .ისე, როგორც ეს ხდება ევროპის ბურჟუაზიულ ნიადაგზე შექმნილ „ბურჟუაზიულ ან ცრემლიან" კომედიაში.

ერთსა და იმავე საზოგადოებრივ კლასს — თუნდაც სხვადასხვა ქვეყნებისას — ერთნაირი აზროვნება და ლიტერატურული მიზნები ახასიათებს. საგულისხმო გარემოება: ჰგავს, რომ ჩვენმა ანტონოვმა კარგად იცოდა. ვისთვის უნდა მიებაძა!

„განა ბიძიამ ცოლი შეირთო"? მშვენიერი კომედიაა, რომელშიც გამოყვანილია მეტი სიმდიდრით წონასწორობიდან გამოყვანილი ვაჭარი — გალუსტ თანდოევი. ბებრუცუნა ქერიეის — ბარბა-

რეს მსგავსად სიბერის ეამს ამასაც დავთრები აებნა, ლამაზ საცოლეს ეძებს: იცის, რომ სიმდიდრეს მიწაში არ ჩააყოლებენ და მოწადინებულია თავისი ქონება ან თითონ შეეამოს, ანდა საკუთარ შვილს — სიბერის დროს რომ ლამაზ ცოლთან შეეძინება — იმას დაუტოვოს. გალუსტის ჰყავს ერთადერთი მემკვიდრე — მანუჩარი, რომელიც დღე-დღეზე მოელოდა ბიძიას უძეოდ სიკვდილს. მანუჩარი ბორჯომში დაუახლოვდება ერთ ლამაზ ქალს, რომელიც თურმე მის ბიძას — გალუსტას უნდა შეირთოს და სააგარაკოდ გაუგზავნია. მდგომარეობა ფრიად კომიკურია, როგორც მოხუცი ბიძის, ისე მანუჩარისა და ქალისათვის. მაგრამ საქმე კეთილად ბოლოვდება ორთავეთათვის: მანუჩარი თავის სიყვარულს უცებ სხვაზე გადაიტანს.

აქაც ბედნიერად დასრულებული კოლიზია — „ცრემლიანი კომედიის" ნიშანდობლივი თვისება. ჩვენი ჩარჩიც ისე ეტრფის ტკბილ ცხოვრებას და მყუდროებას, როგორც ევროპის ბურჟუა. სატრაგედიოდ არც ერთი არ გამოდგება, ბრძოლა და ხიფათი არც ერთს არ უნდა, თავიანთ ძვირფას სიცოცხლეს სარისკოდ არც ერთი არ იმეტებს, ისინი მხოლოდ საკომედიო მასალას წარმოადგენენ.

გაიძვერა ჩარჩის სახეა მოცემული აგრეთვე კომედიაში „ქორწილი ხევსურთა": კაკოლა ფინაჩოვი წურბელივით შეძრომია მიყრუებულ მთიულეთს და, ვისაც კი წაეწევა, ყველას ტყავს აძრობს. ამ კომედიაში მოცემულია ეთნოგრაფიული-მასალა ხევსურთა სახეებით და მათი ლაპარაკის კილოს დაცვით, ნინიკო ფანტელაური, ბესო ქვაყორაული, ქალთამზე ლუმსაური, ხოსრო ხეთაგური, ხინჩლა ლეკია, ძაღლია და სხვები ხევსურთა კილოთი ლაპარაკობდნენ და ადგილობრიობის სურნელებას მშვენივრად იცავენ.

— ბესოო, ბესოო! თუ გიყვარვარ ჩემ და სალოცავები, დამეხსენ, შენი კვნესამე, მე არა მცალს ცხორთა საპატრონოდა, ჭმუნვა რაიმე მეწვიეს ჩემდა ტანჯვად, — ამბობს ნინიკა ფანტელაური.

— სატანა რაიმ შემოგდებიაო, თუ რაიაო, ქრისტიან ხარ, განაი თათარო ახსენე აი ჩვენდა სალოცავებიო და მათ გარიდონი შენდა მოდებული მაცთურაიო.

ასეთნაირადაა მთელ პიესაში გადმოცემული ხევსურთა ლაპარაკის კილო.

ცნობილია, რომ მთიულებს პირველად ილია ჭავჭავაძე შეეხო „მგზავრის წერილებში". ზ. ანტონოვს, როგორც ჩანს, ათი წლით ადრე უცდია მათი ცხოვრების სურათების დახატვა.

ორმოქმედებიან კომედიაში, რომელსაც ანტონოვი ნამდვილს უწოდებს, და, რომლის სათაურია „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა", აღწერილია ინტელიგენტთა საქმიანობა — წვრილბურ-

ეუაზიული წრე, რომელიც არაფრით არ ჰგავს ფეოდალური ცხოვრების ანარეკლს, ეს ლიტერატურული ფაქტიც დამახასიათებელია.

გ. ერისთავის მსგავსად, ზ. ანტონოვი თითქმის ყოველ პიესაში გვიხატავს იმერელი ბიჭების გიორგას, პეტრიკას, სიმონიკას სახეებს.

ასეთია ანტონოვის მიერ ასახული პორტრეტების ხეიანი, რომელშიაც მოუსვენრად დაფუსფუსებენ ეს ახალი დროისა და ახალი ტიპის ადამიანები: მთლიანობას მოკლებულნი, გაბზარულნი, გატეხილნი და გამრუდებულნი, რომელთაც არც წარსული გააჩნიათ და არც ხვალინდელი დღე აინტერესებთ. მათი ინტერესი მარტო მიმდინარე ყოველდღიურობაზეა მიბმული, მათ არ იციან, რა არის მაღალი ინტერესი, აღმაფრენა და ადამიანური აღტაცება. მთელი თავის სიცოცხლით დახურდავებულნი არიან და მარტო კომედიის მეორეხარისხოვან გმირებად თუ გამოდგებიან.

მოულოდნელ ნიაღვარივით მოვარდნილმა ახალმა ეკონომიურმა ტალღამ ძირფესვიანად შეარყია მათი დასაყრდნობი ნიადაგი, ლუკმაპურის პირიდან გავარდნის შიშმა ერთიანად დაცხრილა მათი სული და გული, ქალაქი და მისი ქურები ბათთვის ეშაფოტად გადაიქცა.

ანტონოვის პერსონაჟების ენაც ისეთია, როგორიც მათ მდგომარეობას შეეფერება: უბრალო, სადა, მარტივი, ცოცხალი და სურათოვანი. არსად თავადური პოზა, არც ერთ ადგილას არა ჩანს სამღვთო წერილის უბრალო გაელენაც კი. ავტორს მშვენიერად ესმის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი სურნელების გადმოსაცემად ენის თავისებურობას. ეს გარემოება განსაკუთრებით ჩანს „ხევსურთა ქორწილში“ და „ქმარი ხუთი ცოლისაში“.

ამნაირად ზ. ანტონოვი ნიჭიერი განმამტკიცებელია გიორგი ერისთავის მიერ ჩვენს ლიტერატურაში დაკავებულ პოზიციებისა და თავისი შემოქმედების ძირითადი მოტივებით — შინაარსით და ფორმით, ანუ საერთოდ რომ ვთქვათ — სტილით, ერთიანად განირჩევა ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანისა და სხვებისაგან. ანტონოვის შემოქმედება წარმოშობილია ქალაქური ცხოვრების მიდამოებში, თავადური ხოდაბუნები მისთვის შორეული წალკოტებია, იქაურობის პოეზია მას არ ხიბლავს.

ანტონოვი იყო ნიჭიერი არტისტიც, გრ. ერისთავის მარჯვენა ხელი და, რომ უდროოდ არ დალუპულიყო, კიდევ უფრო დიდ ამაგს დასდებდა ქართულ ლიტერატურას, საზოგადოდ კულტურას. მისი პიესები დიდხანს აცოცხლებდა ჩვენს სცენას. „მზის დაბნელება“ ახლაც იდგმება. თითქმის ყველა მისი კომედია მის დროს ცალკე წიგნებად იბეჭდებოდა, უკანასკნელად კი პიესათა კრებული ცალკე წიგნად 1876 წელს დაიბეჭდა.

* *
*

გრიგოლ რჩეულიშვილი (1820—1877). რჩეულიშვილი პირველი სტრიქონიდანვე იწვევს მკითხველის ყურადღებას. არ შეგიძლიათ მისი მოთხრობა დაუსრულებელი მიატოვოთ. ეს დიდი ბედნიერებაა მწერლისათვის. თუ არ ვცდები, ჩვენი კრიტიკოსები მარტო იმისათვის აფასებენ მას, რომ თავისი დროის მკითხველს საინტერესო საკითხავ მასალას აწვდიდა და მით კითხვას აჩვევდაო. მე კი მგონია, რომ რჩეულიშვილის მნიშვნელობა უფრო ღრმა არის და თანაც მისი შემოქმედება საინტერესო საზოგადოებრივ მოვლენას წარმოადგენს. ვეცდები ნათელყოფ ჩემი აზრი.

ეს მწერალი რაღაც განცალკევებულად დგას სამოციანი წლების დასაწყისის ლიტერატურაში; ერთი შეხედვით თითქოს ისე ჩანს, რომ მის შემოქმედებას ძალიან ცოტა სცხია ქართული ელფერის; მეორე მხრივ, კი არც იმის უარისყოფა შეიძლება, რომ რჩეულიშვილიც სხვებივით გულდამწვარი ქართველია და მთელი მისი გულისყური და ცეცხლოვანი ტემპერამენტი იქითაა მიმართული, რომ მშობლიური ლიტერატურა გაამდიდროს და რაც შეიძლება მალე გააცნოს ყველას თავისი სანუკვარი გრძნობები და აზრები.

მისი დროის მწერლობა მაინცდამაინც დიდად არ აფასებდა მას, არც შემდეგ თაობას შეუცვლია აზრი მასზე. მას მარტო „თამარ ბატონიშვილის“ და ზოგჯერ „ანუკა ბატონიშვილის“ ავტორად თუ იხსენიებენ. ამ ბოლო წლებში კიდევ „ქვრივის ლიმონების“ გამოცემით მოიგონეს. ეს მოთხრობები ეროვნული რომანტიკის სამსხვერპლოზე მიტანილი ხარკია. მე კი ვფიქრობ, რომ რჩეულიშვილის შემოქმედების პათოსი ამ მოთხრობებში არაა ჩამარხული. ვნახოთ, რას გვეტყვიან ლიტერატურული ფაქტები.

რჩეულიშვილი დიდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ გამომრთელების გზაზე შემდგარ ადამიანს მაგონებს. ასეთი ადამიანის დამშეული სხეული უამრავ საჭმელს მოითხოვს და ისიც გამგელებული ჭამს. ხან ერთ საჭმელს მივარდება, ხან მეორეს, როცა ერთს ჭამს, მეორეს ხელით მიითრევს და მესამეს კიდევ ანერწყვებული თვალებით მისჩერებია.

რჩეულიშვილი დიდ უბედურებაგადახდილი საქართველოს შვილია, იმ ქვეყნის, რომელმაც დიდი სისხლის ღვრისა და აფორიაქებათა შემდეგ, როგორც იყო ცოტათი მოისვენა და ქონებრივად შედარებით მოღონიერებასთან ერთად, ფიზიკურადაც წელში გასწორდა... მიიხედ-მოიხედა და, რა დაინახა ირგვლივ?

დაწინაურებული ქვეყნები, კულტურული ერები, უჩვეულო

ცხოვრება, რუსეთის გზით მოხეთქილი ახალი ნიაღვარი... ხოლო შინაობაში კი საშინელი სიღარიბე, უკულტურობა, ჩამორჩენილობა, გაუნათლებლობა. მაგრამ... მაგრამ, იმავე დროს, დიდი სურვილები, დიდი შესაძლებლობანი!.. იმიტომ, რომ საქართველო კულტურული ერი იყო, დიდი წარსული ჰქონდა... დიდი როლი უთამაშნია მცირე აზიაში: გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარი, სააკაძე, ერეკლე... შოთა რუსთაველი, ჩახრუხაძე, მოსე ხონელი, საბასულხან ორბელიანი, გურამიშვილი, ბესიკი, ანტონ კათალიკოსი...

ეს აჩრდილები არ ასვენებდნენ რჩეულიშვილის დროის საქართველოს, არ ასვენებდნენ თვითონ რჩეულიშვილსაც... იგი ხარბად ეწაფება ყველაფერ იმას, რაც მის ქვეყანას აკლია... ქონებრივად და ფიზიკურად სულმოთქმულ ქვეყანას სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაც მოუნდა, მისი საუკეთესო შვილები წოწადინებული არიან, რომ ეს სულიერი შიმშილი დაიკმაყოფილონ. რჩეულიშვილი ერთი ამათგანია.

ევროპაში ამ დროს უდიდესი ლიტერატურული მოძრაობა იყო. ბურჟუაზია დავაკაცებული კლასი იყო, უკვე რევოლუციათა მთელი რიგი ჰქონდა გადახდილი და გამარჯვების გვირგვინით მიაბიჯებდა წინ. გონებრივი შემოქმედების თითქმის ყველა პოზიცია მის ხელთ იყო და მის წიაღში შექმნილი ლიტერატურაც მთელ მსოფლიოს რწყავდა. საქართველომდეც აღწევდა ამ დიდი მდინარის ტალღათა ტლაშანი... გამალებით ეწაფება ამ ზვირთებს გრიგოლ რჩეულიშვილიც... იგი ხან თარგმნის, ხან მოთხრობებს გადმოაკეთებს, ხანაც ორიგინალურ მოთხრობებს წერს წაკითხულის მიბაძვით... თხზავს ლექსებს, პატარ-პატარა ამბავ-ანეკდოტებს. კერესელიძის „ცისკრის“ თანაშრომლებიდან იგი ყველაზე ნაყოფიერი, ცოცხალი და ენერგიული მწერალია. ნიჭითაც საკმაოდ არის დაჯილდოებული.

როგორც ვთქვით, რჩეულიშვილის მისაბაძი საგანი ბურჟუაზიული ლიტერატურა იყო. უნდა ითქვას, რომ ამ ადამიანის ტემპერამენტი სავსებით შეეგუა ამ ლიტერატურის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას — ფსიქოლოგიზმს — ნივთთა მოძრაობით გამოწვეულ ნერვიულობას და მოძრაობას. ვერცხლის წყალივით თრთოლვა და მუდმივი ცახცახი რჩეულიშვილის მოთხრობების დამახასიათებელ მომენტს შეადგენს. მისი ტიპები აჩქარებულად მოქმედებენ და აზროვნებენ. რჩეულიშვილის მოთხრობების შინაარსი კინემატოგრაფიული სისწრაფით ვითარდება.

ეტყობა, რომ რჩეულიშვილი აღტაცებული იყო საქართველოში ბურჟუაზიული ურთიერთობის შემოჭრით. ერთი მისი საკმაოდ ლამაზი, ორგინალური მოთხრობა — „შეშლილი“, ასეთხაირად იწყება:

„საზოგადოდ საქართველო და საკუთრად ტფილისი ბევრით არიან დაეალებულნი განსვენებულის ფელდმარშლის, თავადის ვორონცოვისაგან. 1845 წელსა გადმოვიდა ვორონცოვი საქართველოში ნამესტნიკად და მაშინვე შეუდგა ის განხილვასა მისს საჭიროებისასა, ჰპოვა საქართველო ძირს დამხობილი მრავლის წყლულებისაგან. მხოლოდ იმის შემძლებელ მარჯვენას შეეძლო იმჟამად საქართველოს აღდგინება და იმის დიდკაცურმა სიუხვემ არა დაზოგა რა ამ წყლულების განსაკურნებლად. მან დააწინაურა ვაჭრობა, გლეხთ გაუჩინა მუშაკობა, ობოლთ და ოხერთ შეაფარებინა თავი სასწავლებლებში. კეთილშობილთ დაანახვა კეთილშობილური გზა ხელმწიფის სამსახურისა; აგრეთვე არა დაიშურა რა საზოგადოს სიამოვნებისათვის; ამის გამო მან დააფუძნა ქართული თეატრი. კეთილი საქმე თავადის ვორონცოვისა არ დარჩა უნაყოფოდ: მრავალთა მისის ჩვენებით იწარმართეს და ჰპოვეს წარმატება, ევროპიული ცხოვრება შემოვიდა ჩვენში, ახალი აზრები დაგვებადნენ; ერთის სიტყვით, გაიღვიძა რა ხალხმა ძილიდამ, სრულიად უსწავლელნი თითქმის განვითარდნენ; უცებ. მოულოდნელად დაიბადნენ წარჩინებულნი კომიკურნი მწერალნი, რომელთა შორის ბრწყინავს თავ. გიორგი ერისთავი, ეგრეთვე აკტიორნი, რომელთაც გააძვირვეს ევროპიელნი.

ამ აკტიორებსა და აკტრისებს შორის იყვნენ იმ დროს ორნი საყვარელნი საზოგადოებისა: აკტიორი გიორგი და აკტრისა კეკე"...

ასეთი პუბლიცისტური შესავლის შემდეგ იწყება გიორგისა და კეკეს სიყვარულის ამბავი, რომელიც სხარტულ დიალოგებში ვითარდება. კეკეს ეცილება მეორე არტისტი ქალი — ანა, რომელიც ამბობს, რომ მას „უნთია გულში შემჭმელი ცეცხლი გიგოსადმი". ეგ „შემჭმელი ცეცხლი" თავისას შვება და საბედნიეროდ გამზადებულ ახალგაზრდებს სამუდამოდ გააუბედურებს.

მე არ შევუდგები მოთხრობის შინაარსის გადმოცემას, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ნაწარმოები იძლევა წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის ყოფაცხოვრებას და ფსიქოლოგიურ განცდებს. თავდება სენტიმენტალურ-ლიტერატურული მიმდინარეობის მოთხრობების მსგავსად გულჩვილობით და სასაფლაოს ქვებ შორის „ნაზის ნაბიჯით" სიარულით. მოთხრობა დაბეჭდილია 1862 წლის „ცისკრის" № 4-ში. წერილბურჟუაზიული წრე და განცდებია მოცემული აგრეთვე მეორე მოთხრობაში — „ლუნატიკი" („ცისკარი", 1860, № 9), რომელიც ეხლაც დიდი ინტერესით იკითხება.

„ეს იყო თებერვლის თოთხმეტსა, 1855 წელსა უკანასკნელს დღეს ყველიერისასა, როდესაც, დღისით სადილს უკან, არდგენდენ იტალიანურს ოპერაში, ტფილისში, საძლო ლუნატიკსა"...

„ასე იწყება ეს მოთხრობაც, რომელშიაც აწერილია ერთი ინტე-

ლიგენტის, თავ. ბაგრატის, უბედური სიყვარულის ამბავი. მომაკვდავი ულამაზო ცოლი შინ ეგულება და იგი თეატრში სიყვარულის ალში გაეხვეია, ლამაზმა ქვრივმა დავთრები აუბნია. შინ როცა მოდის და მომაკვდავ ცოლს დააშტერდება, გულში მისი სიკვდილის სურვილი გაურბენს, ტკივილების დასაწყნარებლად მომარაგებულ ბანგს თვალს აშორებს. „ეშმაკს შეაფურთხებს" და თავის ლოგინში წვება, ბაგრატის აზრი და გრძნობა ცოლისა და სატრფოს გარშემო_ტრიალებს. ბოლოს მან „დაიძინა ღრმის და მძიმეს ძილით".

„რა მეორე დილას გაიღვიძა, მან იგრძნო, რომ თავი მძიმეთაა ქვს და თითქოს სრული სხეულიც დაეკარგა. ლოგინის აქოთების კვალად მან იფიქრა, რომ ღამე გაუტარებია მძიმედ და მოუსვენრად. მაგრამ რა სახით, გაოცდა იგი, როდესაც მან ნახა სტოლზედ, თავის კრავატთან, მინა ბანგითა, ის მინა, რომელიც გუშინ ღამ იმას ენახა თავის ცოლის ოთახში"...

ბაგრატი გაოცებული შედის ცოლის ოთახში და... ჰოი, საშინელებავ! ცოლი გარდაცვლილი დახვდება... თავისით მოკვდა, თუ ბაგრატმა მოწამლა? ბაგრატს არ ახსოვს, რომ თითონ მოეწამლოს და ამნაირად გზა გაეკაფოს სატრფოსთან საბედნიეროდ. მაშ რა მოხდა: საიდან გაჩნდა ბაგრატის მაგიდაზე საწამლავი? უცხო ვინმე არ ყოფილა ოთახში... აშკარაა, რომ ბაგრატმა რაღაც საშინელება მოიმოქმედა მისი ნებისყოფის გარეშე...

ეს მომენტი, რომლის გადმოცემაზე ჩვენ განგებ შევჩერდით, ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებათაგანია ევროპის ბურჟუაზიული კლასის ფსიქოლოგიისა, რომელსაც დეკადენტური მიმართულების მწერლები ხატავენ. განა სწორეთ აგრე არ იქცევიან ევროპიული მოდერნიზმის დამამშვენებლის — კნუტ ჰამსუნის ნერვებად გადაქცეული გმირები! მოვიგონოთ მისი „მისტერიების" გმირი ნაჰელი, რომელსაც ერთიანად გაწყალებია გონება — ნებისყოფა და გრძნობებს აყოლილი სრულიად შეუგნებლად მოქმედებს. იგი ხშირად ვარდება ბაგრატისებურ მდგომარეობაში.

მე სრულებით არ მინდა იგივეობის ნიშანი დავსვა რჩეულიშვილსა და ჰამსუნს შორის, მაგრამ ჩემი აზრის ნათელსაყოფად არ შემეძლო არ მომეყვანა ეს საინტერესო მსგავსება. რჩეულიშვილი შორსაა მოდერნიზმისაგან, მაგრამ არ მგონია, რომ მის „ლუნატიკს" ხელი არ მოაწეროს თუნდაც პირველად მოხვედრილმა კუდაპრესილმა დეკადენტმა მწერალმა...

რჩეულიშვილის მესამე მოთხრობაშიც — „მოტყუებული ბრილიანჩიკი", ახალ ეკონომიურ პირობებში წარმოშობილი აფერისტების სახეებია მოცემული. კვაჭი კვაჭანტირაძის შორეული ნა-

თესავები, რომელთა პროფილები ანტონოვის პიესებშიც ჩანან, ჩვენს კვაპიზე არა ნაკლები მოხერხებით წუმპლაობენ ქალაქის პირობების ამღვრეული წყლის ტალღებში. ბურჟუაზიული ქალაქი არაა ფეოდალური კარმიდამო, სადაც ადამიანები დაბადებიდანვე პირადად იცნობენ ერთმანეთს და სადაც უცხო ვინმე ფეხსაც კი არ დაადგამს. აქ, ქალაქში, მილეთის ხალხი ირევა, ეინ გიცნობს, ვინ იცის შენი ავკარგი, საით მოხველ, სად მიხვალ!... ამიტომ მოტყუებაც იოლი საქმეა, ათასნაირი ნიღაბით შეგიძლია იარო: აქ პატიოსან კაცად დაისახები, იქ იგაიძვერებ... ეინ შეგატყობს, ვის სცალია ყოველი შენი ნაბიჯის და მოქმედების ერთი მეორეზე გადასაბმელად. აქ ხომ სოფელი არაა, სადაც სულ ერთი ქუჩაა ორღობეებში გაწოლილი და ბუზის გაფრენაც კი არავის გამოეპარება...

„მოტყუებული ბრილიანჩიკის“ გმირებმა კარგად იციან ყოველივე ეს და მოხერხებულათაც აღწევენ მიზანს.

რჩეულიშვილს აქვს აგრეთვე ნათარგმნი თუ გადმოკეთებული მოთხრობები: „მასკარადში შეცდომილება“ და „ცოლის სიყვარული“. ორივე ამ მოთხრობაში მკითხველის თვალწინ იშლება ბურჟუაზიული წრეების ავან-ჩავანი და სულისკვეთება. რჩეულიშვილის ფსიქოლოგიური განწყობილების შესაცნობად დამახასიათებელია ის გარემოებაც, რომ იგი სწორედ ასეთი შინაარსის მოთხრობებს თარგმნის.

გ. ერისთავის განხილვის დროს ჩვენ ვილაპარაკეთ იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენდა რჩეულიშვილის წრის მწერლებზე თავადაზნაურული შემოქმედება. ეს გავლენა განსაკუთრებით თვალსაჩინოა გრ. რჩეულიშვილზე, რომელიც სხვებზე ნაკლებად არ გრძნობდა საქართველოს ეროვნულ ტრაგედიას. მის ცეცხლოვან ტემპერამენტს მოსვენებას არ აძლევდა მისი ქვეყნის როგორც აწმყო, ისე წარსული. ეროვნული რომანტიკის ცეცხლი განსაკუთრებულის სიძლიერით გიზგიზებდა მის არსებაში. ამ თემაზე მას დაწერილი აქვს სამი მოთხრობა: „თამარ ბატონიშვილი“, „ანუკა ბატონიშვილი“ და „ქერივის ლიმონები“.

ეს უკანასკნელი მოთხრობა ერეკლე მეორეს შეეხება და უნდა ითქვას, რომ ძალზე სუსტია და ნაკლებად ახასიათებს რჩეულიშვილის ნიჭს. მოთხრობა ვერ იძლევა სინამდვილის ილუზიას: დაუჯერებელია, რომ ღვაწლით მოსილი მოხუცი ერეკლე მეფე ასეთ მდაბიურ დარბაზობებს ეწეოდა და თავისი თავისადმი პატივისცემა ისე უმნიშვნელოდ ჰქონდა სულსა და გულში გამჯდარი, რომ რაღაც ბავშვური კომედიის გათამაშებას თითონვე აკისრებდა თავის თავს. ეს მოთხრობა ამას წინეთ გამოსცა გამომცემლობა „შრომამ“, ვფიქრობ, რომ არჩევანი არ ყოფილა მართებული.

„თამარ ბატონიშვილი“ და „ანუკა ბატონიშვილი“ ისტორული

მოთხრობებია, თუმცა ისტორიულ ყოფა-ცხოვრებას და კოლორიტს იქ ძალიან ნაკლებად ნახავთ. ხშირად ისტორიული ფაქტიც კი დამახინჯებულადაა გადმოცემული. ეს საყვედური სიცოცხლეშიც ხშირად ესმოდა რჩეულიშვილს. მე მგონია, რომ ეს აზრი მხოლოდ იმდენად იყო საფუძვლიანი, რამდენადაც რჩეულიშვილი თავის მოთხრობებს ისტორიულს არქმევდა. ხოლო თუ ამ ნაწარმოებთა მთავარ ტენდენციას დავაკვირდებით, ამ საყვედურის დოზას უსათუოდ უნდა დავუკლოთ.

ორივე ამ მოთხრობას, განსაკუთრებით „თამარ ბატონიშვილს", ახასიათებს ფსიქოლოგიზმი და კინომატოგრაფიული მოძრაობა. მოთხრობა განსაკუთრებული სისწრაფით ვითარდება და მთავარი პერსონაჟი — შალვა — ისე ნერვიულობს და თრთის, როგორც რჩეულიშვილის „შეშლილისა" და „ლუნატიკის" გმირები. აჩქარებული მოქმედება, აჩქარებული აზრი და გრძნობა, მოულოდნელი შეხვედრანი, სხარტული ლაპარაკი. ყოველივე ეს ნაკლებად შეეფერება იმ ზლაზნვით მიმავალ ცხოვრებას, რომელშიც ეს მოთხრობა ვითარდება. მე-12 საუკუნეში ფეოდალური ვითარება მეფობდა: უგზოობა, უმოძრაობა, მშვიდი და წყნარი ცხოვრება... ნერვების მაგივრ მავთულები, შინაგან განცდებზე კუნთების მოძრაობის ბატონობა. მაშინდელი ადამიანი უშუალოდაა დაკავშირებული ბუნებასთან და მისი თანდაყოლილი თუ შენაძენი ინსტინქტები შეუფერხებლად აშკარავდებიან; შინაგანი სულიერი მოთმინებითი წვა და განცდა მაშინდელ ადამიანს არ ეხერხება. ეს მიდრეკილებანი ბურჟუაზიული ეპოქის ადამიანის ნიშანდობლივი თვისებებია, ფსიქოლოგიზმი და ნერვიულობა მისი დამახასიათებელი ნიშნებია, „თავმდაბალთა საუნჯის" ფილოსოფია მორის მეტერლინკმა ბურჟუაზიული ბელგიის პირობებში შექმნა.

რჩეულიშვილს კი ეს თვისებები ფეოდალური ურთიერთობის ადამიანებზე გადააქვს და ეს იმიტომ, რომ თვითონ რჩეულიშვილს ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი ახალი ბურჟუაზიული ეპოქის სუნთქვა და მაჯისცემა. ასე რომ, მისი ისტორიული მოთხრობების სურნელება და სული და გული წმინდა ბურჟუაზიულია, გარეშე ქარგა კი ისტორიული. „თამარ ბატონიშვილის" და „ანუკა ბატონიშვილის" გმირები, ჩემი აზრით, ღვიძლი ძმებია „ლუნატიკისა" და „შეშლილის" პერსონაჟების, სულ ტყუილად დააშორა ავტორმა ისინი ერთმანეთს რამდენიმე საუკუნით.

ზევით ვთქვით, რომ რჩეულიშვილს სანტიმენტალიზმის ელემენტებიც მოეპოვება-თქო. ეს სიტყვა მე შემთხვევით არ წამომცდენია: სანტიმენტალიზმის გავლენა საკმაოდ ძლიერია ამ მწერალზე, მისი ცნობილი ლექსი:

ახ, მთვარეე. მთვარეე. დამწვართ იმედო,
მსურს ჩემი ტანჯვა შენ გაგიბედო...

თავიდან ბოლომდე სანტიმენტალურია. ცრემლები — ხშირად ხელოვნურიც კი. ნაზი მთვარე, სასაფლაო, მწუხრი და სხვა ასეთები ამ სკოლის მწერალთა გულის ამაჩუყებელი საშუალებებია, ევროპიელი მწერლებისაგან ნასესხები. ეს თვისებები რჩეულიშვილის კალამსაც ახასიათებს.

რჩეულიშვილის ენა თუმცა ვერაა საბოლოოდ დახვეწილი და ხშირად განიცდის იგი საეკლესიო ენის გაელენას, მაგრამ საერთოდ — ბოლო ხანების მაინც, ერთობ სადაა და მხატვრული. მას ახასიათებს სხარტული გამოთქმანი, მოქმედების შესაფერი მოკვეთილობა და დიალოგის შესანიშნავად დაწურვა... ასე რომ, ხშირად მისი მოთხრობები პიესასაც კი მოგაგონებენ. ყოველივე ეს ხშირად მშვენივრადაა შეხამებული მისი მოთხრობების საერთო მიმართულებასთან.

მაქსიმ გორკი

ფ ი რ ს ი. (მიდის კარებთან, სცდილობს გააღოს) დაკეტილია... წასულან (ჯდება). მე კი ალარავის მოვაგონდი... მე, ადამიანი... წავიდა სიცოცხლე, თითქო არც კი მიცხოვრია ჩემო თავო, ალარაფერი დაგრჩენია, ალარაფერი.

ჩეხოვი — „ალუბლის ბაღი".

ს ა ტ ი ნ ი. ადამიანი — ეს სიმართლე და პეშმარიტება! ვინ არის ადამიანი? შენ, მე, ისინი, მოხუცი, ნაპოლეონი, მაჰმადი, ყველა ერთად! (თითით მოხაზავს ადამიანს) გესმის? ეს დიდებულია! ამაშია დასაწყისიც და დასასრულიც! ყველაფერი ადამიანშია! ყველაფერი ადამიანისათვის არის... არსებობს მხოლოდ ადამიანი და სხვა არაფერი. ადამიანი! ყველაზე უმაღლესია! ეს სიტყვა ყველგან ამაყად გაისმის. ადამიანი!.. თაყვანი ეცეთ ადამიანს!..

გორკი — „ფსკერზე".

სტიროდნენ და გოდებდნენ ჩეხოვის პერსონაჟები, ცრემლად იღვენთებოდა თითოეული მათგანი. ნისლიანი ზეცა, შეშმუხვნილი შუბლი, დაყრილი წარბები, მოკუმული ტუჩები. და ქვითინებდა სამი და მოსკოვზე ოცნებაში, ბედგადაწურულნი, ყრუ ქალაქში ჩაკარგულნი... დასტიროდა თავის აწმყოს ბიძია ვანო: „მე ვიყავ ოდესლაც ბრწყინვალე პიროვნება, მაგრამ არავის კი არ ეუნათებდი"... იღუპებოდენ ფირსები, არავის არ ახსოვდა მათი პიროვნება... პროფესორი და მეკარე, გენერალი და უბრალო ჯარისკაცი, ბატონი და

მისი მოსამსახურე... ყველა, ყველა უპიროვნო იყო... უკეალოდ ქრებოდნენ, უმოქმედონი, ხელებ დაკრეფილნი, თავებჩაქინდრულნი... ირგვლივ ოხვრა, გოდება, გულის გამგმირავი ამოკვნესანი...

ასე გმინავდა მთელი იმპერია, ვეებერთელა იმპერია, ბალტიის ზღვიდან დიდ ოკეანემდე გადაჭიმული, პოლონეთიდან სახალინამდე ფეხმოდგმული, არარატიდან თეთრ ზღვამდე განფენილი... მრავალმილიონიანი რუსეთი, ბიბლიური ბაბილონის განმეორება, ეგვიპტისებურ შრომაში ჩამხრჩვალი, მეფეთა პირამიდების მაშენებელი, რომელსაც თავს ადგა ალექსანდრე მესამის უტლანქესად მოზვავებული იმპერატორული ალნაგობა...

და კულტურული კაცობრიობის წინაშე აღიმართა მეორე ჩინეთი, რომლის უდიდესი შვილი მედიდურად ქადგებდა: არა აღუდგე ბოროტებას! ტოლსტოის გენია დაცარა და დაარბია ახალი ბაბილონის გამანადგურებლმა წნეევამ, ჩეხოვის გმირები მიწაზე განართხა. „ჩვენს თხზულებებს რაღაც აკლიაო", — ამბობდა 1892 წელს ჩეხოვი. არიან მწერლები, რომლებიც „საითკენღაც მიდიან და თქვენც აქეთკენ გიტაცებენ; თქვენ გრძნობთ არა მარტო გონებით, არამედ მთელის თქვენის არსებით, რომ მათ დასახული აქვთ რაღაც მიზანი. ჩვენ კი არა გვაქვს არც ახლობელი და არც შორეული მიზნები, ჩვენი _სული ერთიანად დაცალიერებულია. პოლიტიკა ჩვენთვის არ არსებობს და რევოლუცია ჩვენ არ გვწამსო", — დასძენდა მგრძნობიარე მწერალი.

ტოლსტოი უმაღლესი ინტელიგენციის ფენებიდან იყო გამოსული, ჩეხოვი კი ტიპიური რაზნოჩინელი იყო. საზოგადოების დაბალ ფენებს არც ერთი მათგანი არ იცნობდა. თავადთა სახლ-კარი, ბურჟუაზიის მიერ ალუბლის ბაღების გაკაფვა და ვერშიდონების კვნესა, — მხოლოდ ამ ქვეყნას იცნობდნენ ისინი.

ალექსანდრე მეორის მოკვლის შემდეგ კი იატაკქვეშ შერეკილი გმირული რწმენა და პატიოსანი აზრი ამ დროს ახალ გზებს ეძიებდა. 1889 წელს სამშობლოს ბნელეთიდან გაქცეულმა პლეხანოვმა პარიზში სოციალისტების კონგრესზე განაცხადა: რუსეთში რევოლუცია მხოლოდ მუშათა კლასის ბრძოლით გაიმარჯვებსო... ხალხისანთა დამარცხების შემდეგ ეს ახალი საბრძოლველი პოზიციის მონახვა იყო. ძნელი იყო მაშინდელ პირობებში იმის დაჯერება, რომ ეს პოზიცია სანდო და საიმედო იყო. მაგრამ ეს სიძნელე იყო ზედაფენებისათვის, იმათთვის, ვისი თვალებიც ძველი რუსეთის ბრწყინვალების ცქერას შეეჩვია. ხოლო იმათთვის კი, ვინც პლეხანოვების ქვეყანას იცნობდა, ეს თვალსაზრისი სრულიად ბუნებრივი იყო...

ალექსანდრე მესამის მათრახებითა და პობედონოსცევის ფილოსოფიით შესალტულ რუსეთს კრიზისი დაუდგა. 90-იან წლებში და-

ომში მრავალი მილიონი მცხოვრები და ვეებერთელა იმპერიის მექანიზმიც საშიშრად აკრიტინდა. გაიბზარა ბაბილონის სიძლიერე, დაირღვა იდილია...

და მაქსიმ გორკის შეკარდენმაც ფრთები დაიბერტყა... ქარიშხლის მახარობელმაც ზღვის მკერდზე შეინავარდა.

„გზა, რომელიც ჩვენ უნდა გადავიაროთ, ჩემთვის უცნობია, მაგრამ მე მწამს, რომ სულ წინ უნდა ვიაროთ... იქით — ბედნიერებისაკენ, იქით, — საიდანაც ეს ბრწყინვალე — წინ „მოისმის“—ამბობს გორკის მეოცნებე ჰიკვავი

ახლად გაღვიძებული საზოგადოებრივი ძალები მთვრალებივით გაიწევდნენ სულ წინ, შეუჩერებლივ მიბარბაცებდნენ ბედნიერებისაკენ და გარინდებულნი გაჰკიოდნენ: — მძლავრად, მძლავრად ამოსკდი, გრიგალო!

მაქსიმ გორკის დაკვირვებულმა თვალმა და ფხიზელმა გონებამ იმთავითვე მოსძებნა ძველი რუსეთის ბნელეთში ჩაკარგული პიროვნება, რომლის გულის სიღრმიდან უნდა აღმოხეთქილიყო ქვეყნის დასახსნელი ამოძახილი გრიგალისადმი.

„სულის მოდუნების ჟამს, — როდესაც მეხსიერება თვალწინ მიყენებს სულის გამყინავ წარსულის აჩრდილებს, — როდესაც აზრი, ვით შემოდგომის ვნებადაშრეტილი მზე, მკრთალად მინათებს გარშემო ჰოსს და შავბედითად ტრიალებს ერთ ადგილას — ვერც ზევით დაძრულა, ვერც წინ წაწეულა. — სულის მოქანცვის ამ უმძიმეს წამებში, ოცნების მეოხებით მე ვიწვევ თვალწინ ადამიანის შარავანდედით მოცულ ხატებას! ადამიანი! თითქო მზე იმალება ჩემს სულსა და გულში დ მის ბრწყინვალე სხივებში, ნელა და მედიდურად მიბრძანდება — წინ! და სულ მაღლა! მიუწვდომელივით სამყარო — ტრაგიკულად მშვენიერი ადამიანი...“

ასე აღტაცებით ლაპარაკობდა დიდი მწერალი რუსეთის მუშათა მოძრაობის გარიჟრაჟზე.

ლამაზი იყო ეს სიმღერა, წარმტაცი იყო მასში ჩაქსოვილი აზრი. და ამიტომაც მთელი რუსეთი უსმენდა მას. გორკი პირველ მოთხრობიდანვე (1892 წ.) საყვარელ მწერლად იქცა. ერთხელ ტოლსტოიმ სთქვა: არ შემიძლია, რომ გორკის გულახდილად მოვეკიდო, არ ვიცი რა მიზეზია, მაგრამ არ შემიძლია კი... გორკი ბოროტი ადამიანია. ის ჰგავს იმ სემინარიელს, რომელიც ძალით აკურთხეს ბერად და ამის გამო ყველა და ყველაფერი შეაძულეს. მას მოყურიადეს სული აქვს, ის საიდგანღაც მოვიდა მისთვის უცნობ ქანაანის ქვეყანაში, ყველაფერს ყურს უგდებს, ყველაფერს აკვირდება, იხსომებს და ყოველგვარ ცნობებს აწვდის თავის ღმერთს. ხოლო მისი ღმერთი კი მახინჯი რაღაც არსებაა.

ჰეშმარიტად, სხვა ქვეყნიდან მოსული იყო მაქსიმ გორკი, თა-

ვადაზნაურული კულტურის გენიალური შვილის გენიალურმა თვალ-მა მაშინვე იცნო იგი. სხვა რამეში დიდი ტოლსტოი გორკის შესახებ დიდად შეცდა, მაგრამ გორკის მომავლინებელი ქვეყანა კი მაშინვე იცნო.

რას წარმოადგენდა ეს ქვეყანა?

რისი თქმა უნდოდა ამ ქვეყანას?

იშვიათია მეორე მწერალი, რომელიც გორკივით გარკვეული სახით და კადნიერული ნაბიჯებით შემოჭრილიყოს ლიტერატურაში და თანაც ერთის შეტევით დაეპყროს არა თუ ეროვნული, მსოფ-ლიო მნიშვნელობის პოზიციებიც კი. მის საყვირს სრულებითაც არ დასჭირებია იერიქონისათვის შვიდჯერ შემოვლა, პირველ კამარის-თანავე დაემხო ციხე-ქალაქი.

— ჩვენც ადამიანები ვართ! ჩვენც სიცოცხლე გვიყვარს! ჩვენც ვიბრძოლებთ ბედნიერ სიცოცხლისათვის! გაგვიღეთ კარები! — გაჰკიოდენ გორკის ტიპები პირველ გამოჩენისთანავე.

გაჰკიოდნენ ლამაზად, მომხიბლავად, ვაჟკაცურად...

ეს იყო რუსეთის პროლეტარიატის პირველი ამოძრავება. და როგორც ასეთი უსისტემო, შემთხვევითი ინდივიდუალური, ანარ-ქიული, უორგანიზაციო... მაგრამ სამაგიეროდ ლამაზი, წარმტაცი, სისხლის ამჩქეფი.

გორკი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე ცხოვრების ერთგვარ ფილოსოფოსად მოგვევლინა. ის საზოგადოებრივი ფენა, საიდანაც იგი გამოვიდა, ყველაზე უუფლებო, მიწასთან გასწორე-ბული და გაცამტვერებული იყო. ახალი ბაბილონის საშინელმა წნე-ვამ ის იყო გასრისა პიროვნება და გორკის შემოქმედებამაც გულის გამგმირავად ამოიკვნესა.

პირველი მოთხრობიდან უკანასკნელამდე გორკი თავისებური რომანტიკოსია. არც ერთი მისი პერსონაჟი არსებული სინამდვილით კმაყოფილი არ არის. გარეშე წრე და ყოველდღიური ფაქტების გროვა სულს უხუთავს თითოეულ მათგანს, ისინი ვერ თავსდებიან მოცემული სინამდვილის ფარგლებში და მძლავრად მიისწრაფიან წინ, სულ წინ! ზევით, სულ ზევით!

უმეტესი მათგანი ყოფილი ადამიანებია, სიცოცხლის საუკეთე-სო ხანას მათთვის უკვე გაუვლია, შედეგად მხოლოდ უიმედობა დარჩენიათ და თანაც ფილოსოფიით გატენილი თავები აქვთ, ყველა მათგანი ცხოვრების სიბრძნით არის დაყურსული.

მაშინდელი რუსეთის საშინელება საკუთარ თავზე გამოსცადა გორკიმ, ოცდახუთ წლამდე მასაც კისერზე ედგა თავისი ქვეყნის მშრომელთა მძიმე უღელი და ისიც ცხოვრებისაგან უარყოფილთა შორის შოულობდა ლუკმა პურს. ჯერ უბრალო ხელოსანი-მღებავი იყო, მერე ფეხსაცმელების მაღაზიაში უბრალო შეგირდადაა, ცო-

ტა ხნის შემდეგ გემზე ამოყოფს თავს მზარეულად, მუშაობდა საშაქარლამოში, იყო მხერხავი, მეკურტნე, მეფურნე, ეაქრობდა ფრინველებით, ვაშლებით, გალობდა საეკლესიო ქოროში, ბოლოს ვიღაც ვექილთან დადგა მწერლად, ერთხანს რკინიგზის დარაჯად იყო, რამდენიმე ხანს ტფილისის რკინიგზის სახელოსნოებშიც მუშაობდა. მოიარა მთელი რუსეთი, არ დაუტოვებია არც ერთი მნიშვნელოვანი ადგილი... და ყველგან ცხოვრების უმდაბლეს საფეხურზე იდგა, სინამდვილეს მუდამ ქვედა სართულიდან ათვალიერებდა... არსად, არც ერთ ადგილას მისი პიროვნება არავის დაუფასებია, მისი პირადი ღირსება არავის უცვნია, ყველგან დამცირებული, ყველგან დამდაბლებული... ამავე მდგომარეობაში ხედავდა იგი ყველა თავისიანს, ათასებს, ასიათასებს, მილიონებს...

გორკის აქვს მოთხრობა: „ოცდაექვსი და ერთი". ოცდაექვსი მუშა თავაუღებლად მუშაობს ერთ საშინელ ფურნეში. უსუფთაობა, გარყვნილება, გახრწნილება. იღუპებიან ამ საშინელ ჭაობში ადამიანები, იღუპებიან სულით, ხორცით... და უცებ გამოჩნდა ერთი მშვენიერი არსება, რომელმაც თავისი სილამაზით, სულით აამაღლა ეს დაცემული არსებანი, ოცნების ფრთები შეასხა მათ დაცხრილულ სულსა და გულს და სანატრელი მერმისისაკენ გააქანა ეს სულიან-ხორციანად დაობებული ადამიანები...

ამ ძირითად აზრზეა გორკის ყველა მოთხრობა აგებული: ყოველდღიურ წუმპეში დასაღუაავად ჩაყურყუმელავებული სულის „ზეცისკენ" ლტოლვა, — ასეთია გორკის რომანტიკა.

ტოლმაჩიანთ ქვრივს („ტოლმაჩიანთ უბანი") გლახაკი შვილი ჰყავს, მახინჯი, საზარელი. მისმა მოელამ დედაც დააგლახაკა და მიწასთან გაასწორა. ტოლმაჩიანთ ქვრივი იტანჯება და გამოსავლს ეძებს, უნდა სულით ამაღლდეს და რაიმენაირად თავი დააღწიოს მისი პიროვნების გამანადგურებელ პირობებს... დიდი ძიების შემდეგ ასეთი ხერხი მოიგონა: გლახაკი შვილი წმინდანად გამოაცხადა და მისი ოჯახიც მთელი უბნის თვალში იდუმალის შარავანდედით შეიმოსა: ყველას თვალში ამაღლდა, იცვნეს, დააფასეს, ყველაზე მეტად აღიარეს და მის წინაშე ქედიც მოიხარეს. ქვრივი ბედნიერია: სხვაზე ამაღლდა და სიმდიდრეც უხვად შემოდის, — მორწმუნე ხალხმა საჩუქრებით აავსო მთელი მისი ოჯახი.

ცხოვრების გერები გორკის მუზამ კანონიერ შვილებად დააგვირგვინა, ყველა უარყოფილი მან შეიფარა და ბრძოლის ცეცხლით აღჭურვა; ცხოვრებისაგან გარიყულნი სინამდვილის ფარეატერში მოაქცია... გორკის გამოსვლამდეც ყოფილა ასეთი ცხოვრება აღწერილი, მაგრამ გორკისებურად არავის მოუფუთვნია ეს მოძულებული არსებები. „შეიბრალეთ და გაიკითხეთ ეს საწყლები"-ო, — ამბობდნენ გორკის წინა დროის მწერლები... „რას მიქვია თქვენი

შებრალება?! ზიზღი თქვენც, და თქვენს ფილანტროპიასაც!“ — გაჰკიოდენ გამოჩენისთანავე გორკის პერსონაჟები, რომელთა კბილების ღრჭენა ინდივიდუალიზმის ცეცხლს ანთებდა. ყველა ეს ჩელკაშები, ბარონები, იცეკვეფეხოები და მაკარ ჩუდრები ნიცშეს პირ-ბადეს იკეთებენ და მთელ ბურჟუაზიულ ცხოვრებას ზიზღით გადმოჰყურებენ... მათთვის უცნობია ბრძოლის კოლექტიური ფორმები, ესენი უდისციპლინო ხალხია, ინდივიდუალისტები, გაშიშვლებული ეგოისტები, არსებულის უარის მყოფელნი, მოხუც ლუკასავთ ბედნიერების ქვეყნის ხეტიალში მაძიებელნი...

ერთი ხაზით მოდიოდა გორკის მაწანწალების საპროტესტოდ მოღერილი მუშტი, მეორე მხრიდანაც იკუმშებოდა რუსეთის პროლეტარიატის მძლავრი ხელი... თუმცა სხვა და სხვა მხრიდან, მაგრამ ერთ ადგილს დასარტყამად კი ეპირებოდა ორივე ეს მუშტი... და ამიტომაც იყო, რომ გორკის მუზა მთელი რუსეთისთვის სათაყვანო შეიქნა. არა მარტო რუსეთისთვის — მთელი ევროპაც აღტაცებული იყო გორკის დამიზნებით...

მაგრამ დატრიალდა პირველი რევოლუცია და გორკის საყვარელი ტიპები ებრაელების დარბევაში ჩაერიენ, ბარიკადის იქეთა მხარეს მოექცნენ და სრულიად გამოუდეგარნი შეიქნენ ახალი ცხოვრებისათვის. მათი ძლიერი ნებისყოფა და ფილოსოფიით საესე თავები ერთის დაკვრით ჩაყლაპა მათმავე ინდივიდუალიზმსა და კოლექტიური ფორმები მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა, საწარმოო პროლეტარიატის იდეალები რომის ტიპის ლუმპენპროლეტარებისთვის სრულიად მიუღებელი შეიქნა...

მაქსიმ გორკი დაიღუპა, მის შემოქმედებას აღსასრული დაუდგა, მისი ნიჭი სამუდამოდ მოკვდა, დღეიდან იგი ვერას შექმნისო, — ასტეხეს მისმა მტრებმა განგაში. რევოლუციის მესაფლავენი დღესასწაულში იყვნენ, მისტიკოსი მერეჟკოვსკი დავლურს უვლიდა, არციბაშევის „ს ა ნ ი ნ ი“ დაუცხრომლად ნადირობდა ლამაზ სხეულზე, ბერდიაევები მიტროპოლიტ ანტონისთან მივიდნენ კანონსაში, ანდრეევმა „ჩემი ჩანაწერების“ ფილოსოფია შექმნა, კუზმინები და სოლოგუბი საროსკიპოებში წავიდნენ... ყველანი ერთად კი რევოლუციას ასაფლაეებდნენ და ბურჟუაზიას უგალობდნენ.

მხოლოდ მუშათა კლასი იდგა უცვლელად ისევ იმ პოზიციებზე, სადაც მან უმანკო სისხლი დააქცია და სადაც არა ერთი სამარე გაუთხარა საყვარელ მებრძოლებს... იდგა და ფიქრობდა, იდგა და ელოდა... ძალ-ღონეს იკრეფდა ახალი ბრძოლებისათვის, ახალ პოზიციებს ეძებდა, ახალ იარაღს ილესავდა...

მასთან იდგა მაქსიმ გორკიც, რომელიც მითიურ ანთეოსივით დედა მშობელთან შეხებით ახალ ძალებს იკრებდა... და სწორედ აქ ჰპოვა დიდი მწერლის დიდმა ნიჭმა ის ცხოველმყოფელი ძალა, რო-

მელმაც უკვდავების სული შთაბერა მას და ხელახლა გააახალგაზრდავა მისი ღრმა ნიჭი და ბრძნული აზროვნება.

ჯერ კიდევ რევოლუციის წინა წლებში ჩადგა გორკი მებრძოლი პროლეტარიატის რიგებში და სავსებით იწამა მისი პარტიის მემარცხენე ფრთის (ბოლშევიკური ფრაქციის) ტაქტიკა. მხურვალე მონაწილეობას იღებდა იგი ამ პარტიის ბრძოლაში და არ ყოფილა წამი, რომ პოლიტიკის გარეშე დაეყენებინოს თავისი თავი. ციხე და სამშობლოდან გაძევება მრავალჯერ ყოფილა მისი ხვედრი.

სწორედ იმ დროს, როდესაც მისი ბურჟუაზიული მტრები სულთანანას უგლობდნენ მას, მაქსიმ გორკიმ გამოაქვეყნა თავისი ახალი პიესა „მ ტ რ ე ბ ი", დიდი რომანი მუშათა ცხოვრებიდან „დ ე დ ა" და რუსეთის დაუსრულებელ ველ-მინდვრებიდან თაიგულად შეკრული „აღსარება"... და დაიწყო გორკის შემოქმედებაში სულ ახალი თავი, რომელიც მრავალგზის დაკავშირებულია მოღვაწეობის პირველ თავთან. გამოირკვა, რომ ხალხის გულის სიღრმიდან გამოსულ მწერალს, რომელიც თავისი არსების ყოველ წერტილში დიდი რუსეთის ხალხის გულისცემას გრძნობდა, ძველი იარაღები ახლად გადაედულებია და ისევ ახალგაზრდული ენერგიით იწყებდა ახალ პოზიციებზე სასახელოდ დაწყებული ბრძოლის გაგრძელებას.

მეორე პერიოდის გორკისათვის უკვე აშკარა იყო სამი მთავარი დებულება: პირველი — სამრეწველო პროლეტარიატის კოლექტიური ბრძოლის აუცილებლობა არსებული წესწყობილების დასამხობად და სოციალიზმის დასამყარებლად. მეორე — მუშათა კლასის საქმე — ეს ეროვნული მნიშვნელობის საქმეა. და მესამე — ისტორიის შემომქმედი ძალა თითონ მასაა, რომელიც დევ-გმირის ძალას სძენს ცალკე პიროვნებებს და სასწაულსაც კი მოახდენს. კოლექტივი ახალი ღმერთია — ყველაფრის შემძლე, ყველაფრის დამძლევი.

პროლეტარიატის ბრძოლების მიზნების და მეთოდების შესანიშნავი ასახვა მოგვცა გორკიმ პიესაში „მტრები". აქ დაგმობილია ბრძოლის ინდივიდუალური ფორმები — ტერორი და პირველ ადგილზე დგას შეკავშირებული კოლექტივის მოძრაობა. „დედა"-ში ჩვენს თვალწინ დგანან მთელი ხალხის მეთაურ ძალად გადაქცეული მუშები" „აღსარება" — ეს კოლექტივის სასწაულთმოქმედებაა კერძო პიროვნებებზე. ძნელია მაქსიმ გორკის მრავალმხრივ მდიდარი მოთხრობების ასე სქემატურად მოცემა, ბევრი რამ ხელოვნურიც არის ასეთ გადმოცემაში, მაგრამ ამჟამად ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს.

თავისი განვითარების მეორე ხანაში გორკიმ შექმნა შესანიშნავ ნაწარმოებთა მთელი რიგი: „ზ ა ფ ხ უ ლ ი" (1909 წ.), „ქალაქ—ოკუროვის ქრონიკა" (1909—11 წ. წ.), „მათე კოჟემიაკინი" და მრა-

ეალი სხვა. დაუღალავი შემომქმედი ამჟამად ბეჭდავს ახალ ეპოპეიას „ცხოვრება კლიმ სამგინისა“.

თითოეული ეს ნაწარმოები უფართოეს მხატვრულ ტილოს შლის ჩვენს თვალწინ; რომელი წრის და სოციალური მდგომარეობის ადამიანებს არ შეხვდებით აქ, რუსეთის რომელი კუთხის პეიზაჟი არ გეშლებათ თვალწინ! მუშები, ხელოსნები, ვაჭრები, მემამულეები, მღვდლები, ბერები, გლეხები, ბავშვები, მოხუცები, მეზღვაურები, პროსტიტუტკები, მაწანწალები... ამაზე რთულ და წარმტაც პანორამას ძვირად შეხვდება ადამიანი. გორკის მდიდარმა ბუნებამ და მხატვრული ასახვის ნიჭმა უხვად ისარგებლა იმ დაუშრეტელი სიმდიდრით, რომელიც ძვირფას ფენებად ეწყობოდა შის არსებაში ახალგაზრდობის ხანაში რუსეთის სხვადასხვა კუთხეებში ხეტიალის დროს. დონის ლერწმები, ვოლგის ზლაზნვა, დუნაის დუდუნი, კავკასიის მწვერვალები, შაეი ზღვის აზურმუხტებული ნაპირები, კასპიის ამომშრალი ფერდობები, ხიტროვის ბაზარი და ზამოსკვორეჩიე, ვოლგის ნაოსნობანი, პროვინციალური ოკუროვის ერთფეროვანი ღოღვა... ვინ მოსთვლის გორკის სამხატვრო მოზაიკური ტილოების წარმტაც ფერადებს.

არც ერთ თემას გორკი არ გაურბის, არც ერთი სოციალური წრის ასახვისა მას არ ეშინია. მისთვის არ არსებობს მისაღები და არ მისაღები თემა, შესაყვარებელი და უარსაყოფი წრე... და ეს იმიტომ, რომ გორკის ყოველ ფეხის ნაბიჯზე აქვს თავისი თავის იმედი, მისი იდეოლოგია წელში გასწორებულია, თავისი მიდგომა და თვალსაზრისი არასოდეს არ ავიწყდება... იგი მოსისხლე მტერია ყოველგვარი უკულტურობის, უაზრობის, ორპირობის, უმოძრაობის, დამყაყების, კმაყოფილების, მოდუნების, უსიცოცხლობის, გაიძვერობის, ძველის, დრომოჭმულის და ობმოდებულის... მაქსიმ გორკის სული მუდამ ეძიებს, მუდამ ღვიძილშია, მუდამ მოძრაობს, მუდამ დინამიურ მდგომარეობაშია. მან არ იცის კმაყოფილება, სიმაძღრე, მოსვენება, ის გამოუსწორებელი რომანტიკოსია, რომელიც მუდამ წინ მიისწრაფის და აღტაცების ფრთებით დანავარდობს.

გორკი მთელი თავისი მდიდარი შემოქმედების გზაზე მუდამ ნაპრალებზე დადის, ოღროჩოღროებში დანავარდობს, მას არ ეხერხება სწორ მინდორზე სწორად სიარული. ის ყოველთვის იქ არის, სადაც რღვევა და დისჰარმონიაა, სადაც უკმაყოფილება და გაბზარულ გულთა წუხილია. დამსხვრეული ცხოვრება, დამახინჯებული არსებობა, აი რა იზიდავს მის შემოქმედებას... და ყოველივე ამას სჩადის სახელითა ჰარმონიისათა, სახელითა ზთლიანი და ლამაზი ცხოვრებისათა. სიცოცხლის რეალურ პირობებიდან მძლავრად ამოკვეთილ ამ დიდ რეალისტს ულამაზესი იდეალიზმის ფრთები ასხია და დაუღალავად მიისწრაფის მუდამ ახლისკენ. მისი

დაკვირვებული თვალი სინამდვილეს ჩასცქერის და ერთის ხელით რომ ფაქტებს აგროვებს და ანალიზის ქარცეცხლში ატარებს, მეორეთი მომავალი ბედნიერების კოშკს აშენებს, კოშკს წარმტაცს და შვების მომგვრელს, სადაც გამეფდება ჭეშმარიტება და სიმართლე, შრომა და პოეზია.

მაქსიმ გორკის ფიქრი ნიადაგ იქით იყო მიმართული, რომ მის შემოქმედებას ნაციონალური ელფერი არ დაჰკარგოდა. მას სწამდა ერთგვარი რუსული მესიანიზმი, რომელსაც მთელი მსოფლიო უნდა განეახლებინა. თავის ცნობილ წერილში „პიროვნების დარღვევა“ (1909 წ.) ის წერდა ამაზე და საზოგადოდ „სლავიანური სულის“ დიდ შესაძლებლობაზე. გორკი აქ საკმაოდ ასცდა დიალექტიკურ მატერიალიზმს, მაგრამ მისი სულიერი განწყობილება მაინც დამახასიათებელია. ეროვნული სულით გაჟღენთა და მისი თავისებურობის შეცნობა მან შემოქმედების ქვაკუთხედად დაისახა, უდიდესი ინტერნაციონალისტი იმავე დროს უაღრესად ნაციონალური იყო. გორკის არ შეეძლო სხვაფრივ მოქცეულიყო, ვინაიდან რუსული სინამდვილე ღრმად იყო ჩაჭრილი მის არსებაში, რუსული მდინარეების ზლაზნვას თავის ძარღვებში გრძნობდა იგი. რუსულ ველებში შავარდენივით დასრიალობდა მისი სული, რუსული სიმღერა ატკბობდა მის სმენას და, რაც ყველაზე უძვირფასესია, რუსული სიტყვა ჩხრიალებდა მის თვალწინ ათასფეროვან მარგალიტებად... ამიტომ არის, რომ გორკი წერს და არ იშრიტება, ლაპარაკობს და გაცვეთილ სიტყვებს არ ხმარობს... ერთ სურათს მეორედ არ დახატავს, ერთხელ ნაგრძნობს, მეორედ არ იგრძნობს, ერთხელ ნათქვამს მეორედ არ იტყვის...

გაზეთები წერენ: გორკის გადაწყვეტილი აქვს ყველა იმ ადგილების ჩამოვლა სსრკ-ში, სადაც მას ოდესღაც უცხოვრიაო. როგორ-ჰგავს გორკის ბუნებას ეს ულამაზესი გადაწყვეტილება! დიდი ჭკუის პატრონმა მწერალმა იცის, რომ მას ხელახლა განაახლებს ზღაპრულ ანთეოსივით „მშობლიური მიწის“ შეხება, ხელახლა შთაებერება შემოქმედების ცეცხლი, იგრძნობს დავიწყებული აკვნის ხელახლა წარწევას, აზრთა და გრძნობათა ხელახალ აშლას და ამიტომაც მიეშურება თავის განახლებულ სამშობლოში, სადაც მუშათა კლასი აშენებს იმ სამეფოს, რომელსაც ასე შეტრფოდა ახალგაზრდობიდანვე მშრომელთა დიდი მწერალი.

მომხიბლავია გორკი როგორც პიროვნებაც: უზადო, უანგარო, საზოგადოებრივის გრძნობებით გაჟღენთილი, მოწამებრივის შარავანდედით შემკული. სრულებით არ ჰგავს იგი უპრინციპო კალმოსნებს, კალმით მოვაჭრეებს, სინიდისით მოთამაშეებს, ნაყიდს და გაყიდულ სულებს, ბურჟუაზიული ტიპის ღობემძერალებს. ტოლსტოის რუსეთის სინდისს ეძახდა მთელი ევროპა. ეს ეპითეტი ერ-

თხანს ვ. კოროლენკოს მიმართაც იხმარებოდა. შემდეგ კი ამ საპატიო სახელის ღირსეული მატარებელი ერთადერთი მაქსიმ გორკი შეიქმნა, რუსეთის მშრომელთა სინიდისის ემბლემა—მაქსიმ გორკი!

ჰენრიხ იბსენი

(დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო)

როგორც მოაზროვნეს, იბსენს შტირნერისა და ნიცშეს გვერდით იხსენიებენ და როგორც ხელოვან დრამატურგს — შექსპირს ადარებენ. ათეული წლების განმავლობაში მისი პიესები არ მოშორებია ევროპის ხალხთა სცენებს, მხატვრული კრიტიკა მის გარშემო ტრიალებდა და ლიტერატურული საზოგადოებანი მის შესახებ მსჯელობდნენ.

დიდი გატაცება იყო იბსენით რუსეთში პირველი რევოლუციის ხანაში და რეაქციის დროსაც.

იბსენის პიესების მოქმედნი პირნი ექიმი შტოკმანი, ნორა და სხვ. დიდ თანაგრძნობას იწვევდნენ რევოლუციურ ახალგაზრდობასა და მუშებშიაც.

პლეხანოვი ამბობს, რომ იბსენს აღტაცებით უკრავდნენ ტაშს მთელი ევროპის რევოლუციონერები და გახსაკუთრებით ანარქისტებიო. როგორც ეტყობა, თითონ პლეხანოვსაც არა ერთხელ დაუკრავს მისთვის ტაში, თუმცა მარქსიზმის თეორეტიკოსი ანარქისტებისაგან ისე შორს იდგა, როგორც ზეცა დედამიწისაგან.

მაგრამ ეს იყო მსოფლიო ომის წინა დროინდელ ხანაში. დღეს კი რევოლუციების დროს, ასეთნაირად არ გვიტაცებს იბსენი და მისი სახელი საკმაოდ დაიჩრდილა თანამედროვეების გამო. რითი აიხსნება ეს გარემოება?

ამ საკითხზე პასუხს მაშინ მივიღებთ, როდესაც დაახლოებით მაინც გავეცნობით ამ შესანიშნავი ადამიანის შემოქმედების ძირითად ხაზებს.

ჰენრიხ იბსენი დრამატურგია, მას აქვს დაწერილი ოცდაშვიდი პიესა, ეს პიესები თარგმნილია ევროპისა და აზიის თითქმის ყველა ენაზე. რამდენიმე მათგანი თარგმნილია ქართულ ენაზედაც, დაბეჭდილია უმთავრესად ჟურნალ „მოამბეში".

იბსენის პიესები თავიდან ბოლომდე იდეურობითაა გაჟღენთილი და უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს კითხვის დროს. პიესის პირველი აქტიდანვე მკითხველი ავტორის მონა ხდება და სულის მოუთქმელად მიისწრაფვის უკანასკნელი მოქმედებისაკენ, პირველი ნაბიჯიდანვე ავტორი თვალწინ გიყენებთ ძლიერ პიროვნებას, რომელიც ოსტატურად არის გახლართული საზოგადოებრივი ცხოვ-

რების ქსელში და რომელიც გმირულის სიმტკიცით და თავდადებით ებრძვის მოშხამულ საზოგადოებრივ ატმოსფეროს. რევოლუციონური სიტყვები, გაბედული მოქმედება, იდეისათვის თავდადება, — აი იბსენის საყვარელი გმირების სულიერი თვისებები.

იბსენს „ადამიანის აჯანყებული სულის" პოეტს უწოდებენ და მართლაც, მთელი მისი შემოქმედება — ეს მებრძოლი პიროვნების ყიჟინაა და იერიშები ჭაობად ქცეულ ბურჟუაზიული საზოგადოების წინააღმდეგ. იბსენის ტიპები ებრძვიან ბურჟუაზიულ ზნედაცემულობას, ორპირობას, უხასიათობას, ოპორტუნიზმს, ეგოიზმს... იბსენი მართლაც „აჯანყებული სულის" პოეტია.

მაგრამ მარქსისტული თვალსაზრისით ამ ეპითეტის იბსენისათვის მითვისება ერთგვარი მეტაფიზიკოსობა იქნებოდა. საქმეც ისაა, რომ მარქსიზმს არ სწამს ადამიანი და მისი „სული" კონკრეტული პირობების გარეშე. ქვეყანაზე არ არსებობს საზოგადოდ ადამიანი — განყენებული არსება, არა. ამ მოძღვრების მიხედვით ყოველი ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, კლასობრივი არსებაა და აქედან უნდა იქნეს შესწავლილი მისი „სულის აჯანყებაც" და სიმშვიდეც. სქემებსა და აბსტრაქციებს იძლევა ის მწერალიც, რომელიც ადამიანის მოცემას დროისა და სივრცის გარეშე შეეცდება.

აჯანყების უფლება და მიზეზი ყოველგვარი წრის ადამიანს აქვს. ამ თვალსაზრისით, სრულიად კანონიერია იბსენის ტიპების ბრძოლაც, მაგრამ საქმე კიდევ კონკრეტულ პირობებზეა და ჩვენს წინაშე ხელახლა ისმება ასეთი საკითხი: რა მიზეზია, რომ იბსენის პერსონაჟები დღეს ჩვენ არ გვაინტერესებს?

მწერალი სტილით გამოიცნობაო — ამბობენ. ეს აზრი შესანიშნავადაა დამტკიცებული გოგოლისა და დოსტოევსკის სტილის შედარებითი განხილვით დღევანდელ კრიტიკაში. საზოგადოების რომელი წრიდან ასახულ პერსონაჟებს გვიჩვენებს ავტორი და რა სიტყვებით გვიხატავს მათ — თანაუგრძნობს თუ ჰკიცხავს? ამ საკითხის ნათელყოფა პირდაპირ გვაგებინებს მწერლის საყვარელ ტიპებსა და იდეებს.

იბსენის პიესების მოქმედი პირნი არიან: ექიმები, მოხელეები, გლეხები, ბანკის დირექტორები, სტუდენტები, პასტორები, ვაჭრები, ხელოსნები, მეფეები, მდაბიო მოქალაქეები და სხვა ასეთები. ეს ელემენტები ეკუთვნიან ბურჟუაზიულ და წვრილ ბურჟუაზიულ ფენებს, მათი სასიცოცხლო ინტერესები მჭიდროდაა გადანასკვული ამ კლასის საარსებო ინტერესებთან.

ექიმი შტოკმანი თავისი მდგომარეობით ბურჟუაზიულ წრეებზე დამოკიდებული ინტელიგენტია, ნორა ბურჟუაზიული წრის ქალია, ბრანდი პასტორია, ბორკმანი ბანკის დირექტორია, რუბეკი მოქანდაკეა და ა. შ.

ეს პიროვნებები გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებენ მათ გარშემო არსებული პირობების წინააღმდეგ და გაალმასებულნი ეკვეთებიან მათი პიროვნების შემბოჭველ ატმოსფეროს.

„სიყვარულის კომედიაში“ ჩვენ ვხედავთ უწმინდესი გრძნობის — სიყვარულის — საკაკრო საგნად გადაქცევას ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. პოეტი ფალკი უარყოფილია მისი სატრფოს მიერ მდიდარი კომერსანტის გაულდსტატის გამო, რომლებმაც პოეტის იდეალიზმს და სიყვარულის პოეზიას ყოველ მხრივ უზრუნველყოფილი ოჯახური ცხოვრების იდილია დაუპირისპირა.

„საზოგადოების ბურჯნი“ გვისურათხატებს იმ ორპირობას, ეგოიზმს, გამყიდველობას და გაუტანლობას, რომელიც მეფობს უმაღლეს საზოგადოების წრეებში. მდიდარი კონსულის ბერნიკის სახით იბსენმა მოგვცა ბურჟუაზიული პოლიტიკური მოღვაწის სიცრუეზე აგებული კარიერა.

„ჰაბუკთა კავშირში“ ვექილი სტენსგორი ასე ახასიათებს წვრილ ბურჟუაზიას: „ოჯახში გათახსირება და ზნეობრივი არარაობა. სკოლაში ვითომ ფრთას შლის აღმაფრენა, მაგრამ ჭკუა, ხასიათი, ნებისყოფა, ნიჭი — ყოველივე ეს ცალ-ცალკე მიიწევს. და რა გამოდის აქედან? პიროვნების გახლეჩა, გაპობა და ბოლოს დაცემა“.

შეუბრალებლად იღუპებიან ადამიანთა პიროვნებანი წვრილი ბურჟუაზიის მიერ შექმნილ „ტიკინათა სახლებში“. ვექილმა ჰელმერმა წარმტაცი იდილია შექმნა თავის ოჯახში, არაფერი არ აკლია მის მეუღლეს ნორას, ჩიტის რძეც რომ მოინატროს, იმასაც კი მოგვრის მასზე მზრუნველი ქმრის დაუღალავი ხელი. ამავე დროს ნორა გაგიჟებით უყვარს ჰელმერს... მაგრამ სინამდვილეში ყოველივე ეს სპობს და ანადგურებს ნორას პიროვნებას, ნორას „მე“-ს, რომელიც ერთიანად გაითქვიფა ოჯახურ ჭაობში და ლამის არის სამუდამოდ დაკარგოს ადამიანური აღმაფრენის უნარი. ბურჟუაზიულმა ოჯახურმა იდილიამ ნორა ტიკინად გადააქცია: ყოველივე იმის სამაგიეროდ, რაც მას მოსიყვარულე ქმარმა მიუძღვნა, ნორა ვალდებულია თავისი პიროვნება შეზღუდოს და ქმარი გასართობად გამოიყენოს, ხოლო თავისი თავი სხვის საბედნიეროდ მოაქციოს.

„როდესაც უკან მოვიხედავ და ჩემს განელილ ცხოვრებას გადავავლებ თვალს, მე ვხედავ, რომ აქ გამიტარებია ჩემი სიცოცხლის სავალალო დღენი, — ეუბნება ნორა პიესის ბოლოში ქმარს,— მე მშვენიერად მასმევდნენ, მაჭმევდნენ, მაცმევდნენ და მახურავდნენ, ჩემი საქმე იყო შენი გართობა და თავის შექცევა. აი რა პირობებში გაიარა ჩემმა სიცოცხლემ. შენ მოაწყვე ეს აგრე, ტორვალდ! შენ და მამაჩემი ბევრ რამეში ხართ დამნაშავე ჩემს წინაშე. თქვენი ბრალია, რომ ჩემგან არაფერი გამოვიდა“.

ცოლ-ქმართა ურთიერთობის თემას ამუშავებს იბსენი პიესაში „მოჩვენებანი“. ბურჟუაზიული ქორწინება საშინელი ბორკილია ადამიანთათვის, ქალს ერთი საზომით განიხილავენ და მამაკაცს მეორეთი. აქ არ არსებობს სიყვარულის უანგარობა, ორი არსება სრულიად შემთხვევით უახლოვდება ერთმანეთს და თუ ქორწინების უღელში შეებნენ, მერე მათი დაშორება უდიდეს დანაშაულად ითვლება ფართო საზოგადოების თვალში: გარყვნილ და გათახსირებულ ქმარს უფლება აქვს უკანასკნელი სისხლის წვეთამდე სტანჯოს ცოლის პიროვნება.

არსად, არც ერთ პიესაში იბსენი არ ღებულობს ბურჟუაზიულ საზოგადოებას, მის ყოფა-ცხოვრებასა და ზნეობრივ კოდექსებს. ყოველ ფეხის გადადგმაზე ებრძვის იგი ამ საშინელ ჭაობს, სადაც ერთგვარი თვითმეტყველების ფილოსოფიაც კი არის შექმნილი. „გარეული იხვი“ ამის მწატვრული განსახიერებაა. მდიდარი კომერსანტი და მექარხნე ვერლე, რომელიც თავიდან ფეხებამდე გაიხლართა ცხოვრების ბადეში, სიცრუის ფილოსოფიას ქმნის. დეე, სიყალბეზე იყოს აგებული ადამიანის ბედნიერება, დეე, სიცრუე მეფობდეს მის გარშემო! საქმე ის არის, რომ მან არ იცოდეს ყოველივე ეს, ვერ გრძნობდეს ამ სიყალბეს და თავისი თავი ბედნიერად მიაჩნდეს. არავის არა აქვს უფლება აუხილოს მას თვალები, აჩვენოს ჭეშმარიტება და მით სიცოცხლე მოუწამლოს მას. ასეთია ამ დრამის ფილოსოფია.

მაგრამ ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ ერთიანად ვერ ჩაახრჩო უდიდესი მისწრაფებანი ადამიანის არსებაში და ყოველ ფეხის გადადგმაზე ჩვენ ვხედავთ მებრძოლ ძლიერ პიროვნებებს, რომელნიც თავდავიწყებით ეკვეთებიან მომშხამველი სინამდვილის ზღუდეებს. იბსენის ყველა პიესაში ჩანან ასეთი მებრძოლი პიროვნებები, შეუბრალებლად იხრაკებიან საზოგადოებრივი სიყალბის, ეგოიზმისა და გაუტანლობის ტაფაში. მათი არსება ვერ შეთვისებია არსებულ სისაძაგლეს, რომელიც მოსპობას უპირებს ყოველგვარ ადამიანურს და დაუზოგველ ომს უცხადებენ მას. ჩვენ აქ შევჩერდებით ორ შესანიშნავ პერსონაჟზე — ბრანდზე და ექიმ შტოკმანზე. ეს ორი პიროვნება და მათი ფილოსოფია იბსენის შემოქმედების მწვერვალებია, მათი ბაგეებით და მოქმედებით გვისურათხატებს დრამატურგი თავის უსაყვარლეს იდეებს.

ბრანდი არის „აჯანყებული სულის“ პატრონი, რომელიც გმირულად მიაბიჯებს ცხოვრების მოედანზე და ყოველ ფეხის გადადგმაზე იბრძვის. მოვალეობა მოყვასის წინაშე, — აი მისი დევიზი, თავისი თავი მას სხვებისათვის დაუნაცვლებია. არაფრის წინაშე იგი არ დრკება: თავისი მრეველის კეთილდღეობისათვის იგი ერთადერთ შვილსაც გასწირავს და საყვარელ მეუღლესაც გაიმეტებს.

მან არ იცის კომპრომისები: „ან ყველაფერი, ან არაფერი“, ასეთია მისი პრინციპი.

„ახალგაზრდულის ცეცხლით გულანთებულნო, მომყევით მე! დეე, აღგავოს თქვენმა სულისთქმამ დამყაყებული ცხოვრების მტვერი. მე თქვენ წაგიყვანთ გამარჯვებისაკენ. ადრე თუ გვიან უნდა გაიღვიძოთ, უნდა განიწმინდოთ და გაკეთილშობილდეთ, კომპრომისების ჯაჭვები უნდა დალეწოთ. „იჩქარეთ გაექცეთ სულმოკლეობას და გაორების ჭაობს, იერიშები მტერზე, ეკვეთეთ მთელი ძალ-ღონით, ან სიკვდილი, ან სიცოცხლე!“ ასე ენერგიულად მოუწოდებს ბრანდი წვრილ ბურჟუაზიულ ბრბოს, რომლის კეთილდღეობას ყველაფერი შესწირა მან, მაგრამ მაინც მარტო დარჩა და მაინც ვერ ამოიყენა გვერდით ვერც ერთი თანამებრძოლი წვრილ ბურჟუაზიულ ბრბოდან. ბრანდი განმარტოებული იღუპება მთის ნაპრალებში. ის უძლიერესი პიროვნებაა, რომლისათვის სრულებით არ არის საშიში სიკვდილი, ოღონდ კი თავის ცხოვრების დანიშნულებას მიაღწიოს და ადამიანთა საკეთილდღეოდ მიმართულმა მისმა ბრძოლამ ნაყოფი გამოიღოს. ბრანდი უსარგებლოდ დაიღუბა, თუმცა თავის იდეალებს თავგახწირვით ემსახურა.

სწორი იყო თუ არა მისი ბრძოლის მეთოდები?

ჯერ შევეხოთ ექიმ შტოკმანს და მერე დავუბრუნდეთ ამ საკითხს.

შტოკმანიც ძლიერი პიროვნებაა, მისი სიძლიერე დაფუძნებულია მეცნიერულ საფუძვლებზე, მისი გული ისე მტკიცეა, როგორც მის მიერ აღმოჩენილი მეცნიერული დასკვნა: ის აგარაკი, რომელიც სარჩო-საბადებელს აძლევს მრავალრიცხოვან მის მფლობელთ, მოწამლული წყლების ექსპლოატაციით არის მდიდარი. დაუყოვნებლივ უნდა დაინგრეს ყველა შენობა და, თუ არ გვინდა სამკურნალოდ მომავალ დასნეულებულთა ამოხოცვა, ახლავე უნდა შევუდგეთ საქმეს. ეს ისეთი ნათელი ჭეშმარიტებაა, რომ აბა, ვინ სულელი იქნება, წინ აღუდგეს და ექიმი შტოკმანიც მზადაა გამარჯვება იდღესასწაულოს, მაგრამ მწარედ მოტყუვდება: აგარაკების დანგრევა და ხელახლა აშენება აუარებელ თანხას მოითხოვს და სახლების მეპატრონენი როდი აპირებენ ხარჯის გაწევას. დეე, მოწამლული იყოს წყლები, დეე, მორჩენის მაგიერ საიქიოს წავიდნენ ავადმყოფები, რა ენაღვლება წვრილ ბურჟუას, მის გაზეთებს და მისი ქალაქის თავს! ოღონდ ფული კი აიღონ და სხვას რას დაგიდევენ. იწყება საშინელი ბრძოლა ძლიერ ადამიანს — შტოკმანსა — და შეკავშირებულ უმეტესობას შორის. გამარჯვებული, რასაკვირველია, უმეტესობა გამოდის, შტოკმანი კი ბრანდივით განმარტოებული რჩება და სრულებითაც არ იხრის ქედს ბრბოს წინაშე.

იგი მზადაა ხელახლა მიიღოს გადამწყვეტი ბრძოლა და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვას „ჭეშმარიტება“.

ეს არის პიესის საერთო ხაზები; გავეცნოთ უფრო ახლო შტოკმანს. აი რას ამბობს იგი პიესაში: „ყველაზე უფრო საშიში მტერი ჭეშმარიტებისა და თავისუფლებისათვის არის შეკავშირებული უმრავლესობა. უმრავლესობა არასოდეს არ არის მართალი, დიახ, არასოდეს! ეს არის საზოგადოდ მიღებული აზრი, რომლის გარშემო უნდა ილაშქრებდეს ყოველი თავისუფალი და გონიერი ადამიანი. ვინ შეადგენს უმეტესობას თითოეულ ქვეყანაში? განათლებული ადამიანები თუ უვიცები? რასაკვირველია, უვიცები და ჩერჩეტები, ასე არის მთელი დედამიწის ზურგზე, და განა სამართლიანია, რომ უვიცები განაგებდნენ განათლებულთა ცხოვრებას?“

შტოკმანს უსასტიკეს ბრძოლას უცხადებენ მის მიერ ასეთნაირად უარყოფილი თანამემამულენი და ისიც სრულიად გარიყული რჩება. „ყველაზე ძლიერი პიროვნება მთელ ქვეყანაზე ის არის, ვინც განმარტოებულად დარჩენას შესძლებსო“, ამბობს ამ დროს შტოკმანი, რომელიც თავიდანვე ქადაგებდა რჩეული ადამიანების ერთგვარ თეორიას.

შტოკმანის პირით იბსენმა შექმნა დოსტოევსკისა და ნიცშეს ზეკაცის თეორია, იმ ზეკაცისა, რომელსაც ყველაფრის ჩადენის უფლება აქვს. დოსტოევსკის რასკოლნიკოვივით — ადამიანის მოკვლაც კი ეპატიება.

ჩვენ აქ მივადექით იბსენის ფილოსოფიაში შესასვლელ მთავარ კარებს. რჩეული ადამიანები, ზეკაცები, აი მისი საყვარელი სახეები. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ეს თეორია იბსენის საკუთრებას არ შეადგენს: ამ იდეის სათავე დოსტოევსკის რასკოლნიკოვით („დანაშაული და სასჯელი“) იწყება და გერმანელი ფილოსოფოსის ნიცშეს მოძღვრებით გვირგვინდება. ინდივიდუალიზმი და ზეკაცი — ეს არის ორი დიდი მოაზროვნის შტირნერის და ნიცშეს საყვარელი იდეები. იბსენი კი ამ აზრების პოეტურად გაშომსახველია, შტირნერი და ნიცშე იმას ამბობენ ფილოსოფიაში, რასაც იბსენი მხატვრულად გვიშლის თვალწინ თავის საქვეყნოდ ცნობილ დრამატულ თხზულებებში.

დავუგდოთ ყური რას ლაპარაკობს ექიმი შტოკმანი: „ბუნებისმეტყველების საშუალებით მე თქვენ დაგიმტკიცებთ, როგორც ორჯერ ორი ოთხია, რომ „სახალხო მოამბე“ უსინდისოდ სტყუის, როცა თქვენ გეუბნებათ, რომ ბრბო, მასა, ხალხი — ეს მთელი ერის ნამდვილი და ჯანსაღი საძირკველია. ეს არის საგაზეთო სიცრუე და მეტი არაფერი. ბრბო—ეს ის ნედლი მასალაა, რომლისაგანაც ხალხმა უნდა შექმნას ნამდვილი ადამიანები. და განა ამასვე არ ვხედავთ მთელ ცხოველთა სამეფოში? შეადარეთ, თუ რა განსხ-

ვავებაა პირველყოფილ პირუტყვთა ჯიშებსა და ბუნებრივის შერჩევის გზით გაუმჯობესებულ და გაკულტურებულ იმავე სახის ცხოველთა შორის. მაგალითისათვის მოიგონეთ ჩვეულებრივი სოფლის ქათამი. რა მდარე ღირსების ხორცს იძლევა ეს საბრალო ქათამი! ერთი ისიც ნახეთ, როგორ კვერცხებს დებს ეს უმწეო არსება! ასეთივე სიდიდის კვეცხებს დებს ყოველი წესიერი და თავისი თავის პატივისმცემელი ყვავიც კი! აიღეთ და ახლა შეადარეთ ამ საცოდავ ქათამს ესპანეთის, ან კოხინხინის უმაღლესი ჯიშის ქათამი, ან კიდევ ჯიშიანი ხოხობი, ან ინდაური და აშკარად დაინახავთ განსხვავებას. ან თუ გნებავთ, ავიღოთ ძაღლები, რომლებთანაც ჩვენ ადამიანებს, ამდენი ნათესაობა გვაქვს. წარმოიდგინეთ ჯერ უბრალო ძაღლი, ე. ი. მუნით შეპმული გლეხის ნაგაზი, რომელიც ქუჩა-ქუჩა დაწანწალებს და კედლებს ბილწავს. და აი ეს ნაგაზი დაუყენეთ გვერდით ჯიშიან ფინიას, რომლის წინაპრები არისტოკრატულ სახლებში იზრდებოდნენ, სადაც ისინი შერჩეულ საპმელებს ჭამდნენ, ჰარმონიულ ხმებსა და მუსიკას ისმენდნენ. ამ ჯიშიან ფინიებს, ხომ ცირკში წრთვნიან და ათასნაირ ფოკუსებს აკეთებინებენ. უბრალო ძაღლი კი ვერაფერ ამის მაგვარს ვერ შეითვისებს, ამაში დარწმუნებულნი იყავით".

ამ სიტყვების აზრი აშკარაა: იბსენის მიერ შექმნილი ძლიერი პიროვნებები ერთიანად ეწინააღმდეგებიან ადამიანთა თანასწორობის იდეას, უარყოფენ თანამედროვე დემოკრატიულ აზრებს და ქადაგებენ გონებრივ და ფიზიკურ არისტოკრატიზმს. ამიტომაა, რომ ბრანდი, შტოკმანი და სხვა მისი პერსონაჟები ცალკე პიროვნულ ბრძოლას აწარმოებენ და არასოდეს ისე არ იმდაბლებენ თავს, რომ „ბრბოს" ამოუდგნენ გვერდით. ხალხი, ბრბო მათ ხელში უბრალო მასალაა უმაღლესი ტიპის ადამიანის ძიების გზაზე.

იბსენის და მისი პროტოტიპის — ექიმ შტოკმანის აზრთა სიყალბე აქ აშკარაზე აშკარაა. აზრთა მტკიცების მეთოდი, რომელსაც ისინი მიმართავენ უდიდეს შეუსაბამობაზეა აგებული: დარვინის ევოლუციონური თეორია, რომელიც ცხოველთა სამეფოს წარმოშობა-განვითარებას შეეხება, აქ ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების მოსაგვარებლად არის გამოყენებული და ლოგიკური აბსურდიც აშკარაა. ბუნებისმეტყველების კანონები და ადამიანთა სოციალური ცხოვრება სულ სხვადასხვა ტიპის მოვლენებია და მათ შორის იგივეობის ნიშნის დასმა არ შეიძლება.

ასე რატომ იბნევა ეს დიდი მწერალი და შეუსაბამო აზრებს გამოთქვამს? იბსენი „აჯანყებული სულის" მგოსანიაო, ვთქვით. დავაკვირდეთ, რომელი წრის, ანუ კლასის, ადამიანთა სულის აჯანყებას გულისხმობს იგი? პასუხი აშკარაა: ყველა ეს ბრანდები, შტოკმანები და ნორები წვრილი ბურჟუაზიის შვილებია და თავგან-

წირვით იბრძვიან თავისივე კლასის მიერ შექმნილი წესებისა და ზნეობრივი კოდექსების წინააღმდეგ. ეს უსათუოდ საყურადღებო მოვლენაა: საზოგადოებრივ კლასს აღმოაჩნდა ისეთი პატიოსანი შვილები, რომელნიც ერთიანად ამაღლდნენ ამავე კლასის ეგოიზმზე, დაჰგმეს პირადი ინტერესები და უკეთესი მომავლისათვის იბრძვიან. თავისივე კლასის გარეწარი ეს სიმპათიური მოვლენაა და ამიტომაცაა, რომ იბსენის ტიპები ხშირად გვიტაცებენ. მაგრამ ეს აღტაცება მაშინვე ნელდება, როდესაც ამ პერსონაჟების მეთოდებს და აზრთა შემდგომ განვითარებას ვეცნობით: ინდივიდუალიზმი და ზეკაცის იდეა მიუღებელია, ადამიანთა საზოგადოება ამ პრინციპით ვერ იხელმძღვანელებს. წვრილ ბურჟუაზიას ბრძოლის მეთოდებიც წვრილბურჟუაზიულ-ანარქსისტული აქვს.

რა მიზეზია, რომ ასე თავგანოდებით იბრძვიან იბსენის ტიპები? რისთვის ვერ ეტევიან ისინი თავისივე კლასის ფარგლებში, რისთვის ეხუთება მათ სული?

ბურჟუაზია, შედარებით რომ ვთქვათ, ახალგაზრდა კლასია, ევროპის კონტინენტზე მისი ბატონობა საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ იწყება. მაგრამ ტექნიკის ზღაპრულმა განვითარებამ საშინელი სისწრაფით განავითარა იგი და თანაც მისსავე წიაღში წარმოშვა ახალი საზოგადოებრივი კლასი — პროლეტარიატი, — რომელიც თავიდანვე დაუპირისპირდა კაპიტალიზმს, მიწი მესაფლავეობა იკისრა. გარდა ამისა, პროლეტარიატის განვითარება თავზარს სცემს ბურჟუაზიულ წარმოებას და მასზე დაყრდნობილ მთელ გაბატონებულ კლასს... და ეს შედარებით ახალგაზრდა კლასი სულ რაღაც ერთი საუკუნის განმავლობაში საშინელ ეკონომიკურ და იდეურ წინააღმდეგობათა ქსელში გაიხლართა, მან არ იცის, რითი დააღწიოს კრიზისებს თავი და რითი იხსნას თავისი წესწყობილება პროლეტარიატის იერიშებისაგან. ამ ნიადაგზე იქმნება ურთულესი და უმძაფრესი გონებრივი მოძრაობა, შეიქმნა მთელი ფილოსოფიური და სოციალური სისტემები, წარმოიშვა ძლიერი ლიტერატურული მიმდინარეობანი.

ბურჟუაზიულ წარმოებას, უპირველეს ყოვლისა, კონკურენცია და დაუნდობელი ბრძოლა ახასიათებს, აქ მეფობს ეშეებგალესილი ეგოიზმი. ადამიანი აქ მგელია ადამიანისათვის.

ამ დაუნდობლობის ატმოსფეროში წარმოიშვა შტირნერის ინდივიდუალისტური ფილოსოფია, რომელსაც სწამს მხოლოდ პიროვნება და მისი ინტერესები. ნიცშეს ზეკაციც ამ ატმოსფეროს ნაყოფია. აქვე აღიზარდნენ იბსენის შტოკმანები და ბრანდები.

ბურჟუაზიული ურთიერთობის ტექნიკური განვითარება ამავე დროს სპობს ადამიანის პიროვნებას და არარაობად აქცევს მას. ამ კლასმა ყოველგვარი ღირსება დაუკარგა ადამიანის პიროვნებას.

ბურჟუა ყველაფრით ვაჭრობს. ფული და ფული, სხვა იდეალი მან არ იცის, მაგრამ ასეთ ატმოსფეროს უძლებენ მარტო საშუალო ადამიანები, ხოლო მაღალ საფეხურზე მდგომთათვის ყოველივე ეს მომწამვლელია და გამანადგურებელი. ამიტომ არის, რომ ამ წრის ზოგი „კეთილშობილი შვილი“ ებრძვის თავისავე „მშობელს“, ამისათვის არის, რომ ჩვენ განსაზღვრულად თანავუგრძნობთ შტოკმანს და ბრანდს.

ეს პირები, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ იბრძვიან, რომ შეინარჩუნონ თავიანთი პიროვნება, მათი იდეალი მთლიანი და თავის თავთან შეთანხმებული პიროვნებაა, რომელმაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა უღალატოს თავისთავს, მუდამ გაუტეხელი უნდა იყოს, უკვირდებოდეს არსებულ ბოროტებას.

ასეთი რეცეპტით უპირებდა ომის წინადროინდელი ბურჟუაზია თავის თავს მკურნალობას. მისი იდეოლოგები და მოწიფაღმდეგენიც ამ კლასს მთელ კაცობრიობად ასაღებდნენ, ამიტომ მათი აზრით ნიცშეს ფილოსოფიას მთელი კაცობრიობა უნდა დაეხსნა. იბსენის პერსონაჟებიც „საკაცობრიო იდეებს“ ქადაგებდნენ.

მაგრამ კაცობრიობას ბურჟუაზია არ წარმოადგენდა, იყო მეორე საზოგადოებრივი კლასი — მშრომელთა კლასი, რომელიც ერთა უმრავლესობას შეადგენდა.

კ. მარქსმა და ფრ. ენგელსმა გამოაქვეყნეს „კომუნისტური მანიფესტი“, რომლის მთავარი აზრი ისაა, რომ არსებული ბურჟუაზიული წარმოება უნდა მოისპოს და მის ადგილას გაბატონდეს სოციალისტური წარმოება. ბურჟუაზიულ ეკონომიკას მოსპობს არა „გმირების“ ბრძოლა, არამედ კოლექტიურად შეკავშირებული მუშათა კლასი, რომელიც ისტორიის მიერ მოწოდებულია მთელი კაცობრიობის გარდასაქმნელად, ახალი აზროვნებისა და მორალის განსამტკიცებლად. შეკავშირებული მუშათა კლასი ის ძალაა, რომელმაც უნდა გარდაქმნას მთელი ჩვენი ცხოვრება, შექმნას ახალი საზოგადოებრივი ფორმები და გადაასხვაფეროს მთელი მსოფლიო. ასეთია პროლეტარიატის იდეოლოგია.

კოლექტივი და მასთან ერთად ბრძოლა არ სწამს არც ნიცშესა და არც იბსენს, ისინი ერთიანად ეწინააღმდეგებიან იმ სოციალურ ფორმულას, რომელსაც აღიარებს პროლეტარიატი. მიზანი თითქმის ერთი და იგივეა: ორივე მიმდინარეობა ბურჟუაზიულ წესწყობილებას „ებრძვის“, მაგრამ ბრძოლის საშუალებანი ისე სხვადასხვაა, რომ ბოლოს და ბოლოს მიზანიც სხვადასხვა გამოდის. ბურჟუაზიასთან ბრძოლა ზეკაცების საშუალებით ზეკაცთა ტიპების შესაქმნელად, — ასეთია იბსენის ფორმულა. ბურჟუაზიასთან ბრძოლა მუშათა კლასის დარაზმვის საშუალებით იმავე მუშათა

კლასის გასათავისუფლებლად — აი მეორე ფორმულა. ამიტომ იყო, რომ პროლეტარული იდეის მატარებელნი კარგა ხანს უკრავდნენ იბსენს ტაშს, მაგრამ ბოლომდის როდი გრძელდებოდა ეს ტაში.

გ. პლეხანოვი ამბობს: ანარქისტები კი თითქმის თავისად თვლიდნენ იბსენს და ყველა ჯურის რევოლუციონერებთან შედარებით ისინი უფრო ხანგრძლივი ტაშით აჯილდოვებდნენ მასო. მაგრამ იბსენმა ანარქისტებიც ბევრჯერ ჩააფიქრა. იგი ამბობდა: მე მწამს ერთადერთი რევოლუცია — ეს მსოფლიო წარღვნა არისო. უნდა მოისპოს მთელი ამ ქვეყნიური სისაძაგლე და ისე უნდა აშენდეს ახალი ცხოვრებაო, — ამბობდა იბსენი და ანარქისტებიც აღტაცებაში მოდიოდნენ. მაგრამ როდესაც იბსენმა განაცხადა, რომ მისთვის მთავარი მნიშვნელობა აქვს ადამიანის სულის აფეთქებას და არა პოლიტიკურ ფორმას, მაშინ კი მდგომარეობა შეიცვალა. მისი აზრით, ჩვენთვის სავალდებულოა ადამიანად გადაქცევა, ხოლო მოქალაქედ გახდომა სრულებით არ გვევალება. ყველაზე უფრო კარგი სახელმწიფოებრივი ფორმა რუსეთის თვითმპყრობელობაა, ვინაიდან იგი ადამიანში ბრძოლის ცეცხლს აღვივებსო, — მისწერა იბსენმა გამოჩენილ კრიტიკოს ბრანდესს და ანარქისტებსაც ცივი წყალი გადაასხა.

ასეთი არის საერთო ხაზებში ის დიდი მწერალი, რომელიც ერთ დროს მთელ ევროპაში უდიდეს აზრთა გამძაფრებას უწყობდა ხელს. დღეს ჩვენ სხვა პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში ვცხოვრობთ და სხვაგვარი იდეალებისაკენ მივისწრაფით. ამიტომაც არის, იბსენის მხოლოდ მოგონებით ვკმაყოფილდებით.

გამოჩენილი პედაგოგი-მეთოდისტი

ეარლამ ხუროძე მალაქიაშვილის ფსევდონიმით აქვეყნებდა თავის მხატვრულ თხზულებებს და ჩვენი საუკუნის 10-იანი წლებიდან პოპულარული მწერალი იყო. ამის პარალელურად, იგი წერდა კრიტიკულ წერილებს ქართველ, რუს და უცხოელ მწერალთა შემოქმედებაზე, აგრეთვე პუბლიცისტურ წერილებს ქართული ხელოვნებისა და კულტურის საკითხებზე, რომელთა ერთმა ნაწილმა წინამდებარე კრებულში მოიყარა თავი.

ეს კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები თავისი დროის აზროვნების დონეზე იდგა და მაშინდელი თვალთახედვით იხილავდა მხატვრულ მოვლენებს. ამიტომ საგანგებო ცვლილებების შეტანას მათში მოვერიდეთ და მომეტებულად პირვანდელი სახით ქვეყნდება ალექსანდრე სიგუას შერჩევით, დალაგებით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით.

გარდა კრიტიკული წერილებისა, ვ. ხუროძეს მდიდარი მემკვიდრეობა დარჩა ბელეტრისტიკაში, პედაგოგიკასა და სწავლების მეთოდიკაშიც. იგი იყო გამოჩენილი პედაგოგი, მეთოდისტი, უანგარო საზოგადო მოღვაწე, ქართული კულტურის ერთგული მსახური, მრავალმხრივ განათლებული, მგზნებარე პატრიოტი და ინტერნაციონალისტი, ფუტკარივით მშრომელი, მეტისმეტად თავმდაბალი, უხმაურო, მაღალზნეობრივი, სრულფასოვანი ინტელიგენტი — ყველა მაღალადამიანური მოქალაქეობრივი თვისებით დაჯილდოებული პიროვნება, რომელთანაც შეხვედრა, ურთიერთობა ყოველთვის დიდ სიამოვნებას აგვრიდა ადამიანს.

ამის თაობაზე და მის პედაგოგიკურ-მეთოდიკურ შრომებზე ზოგი რამ 1984 წელსაც აღინიშნა პრესაში დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით, მაგრამ ეს საკმაო არაა; საჭიროა მომავალში, როცა გამოიცემა ეარლამ ხუროძის ლიტერატურული და მეცნიერულ-პედაგოგიკური რჩეული ნაწერების რამდენადმე სრული კრებულები, საჭიროა დაიწეროს და გამოიცეს მისი ავტორის შესახებ ვრცელი მონოგრაფია, სადაც მოთავსდება ვ. ხუროძის შრომების სრული სია და სათანადოდ შეფასდება ამ უანგარო მოღვაწის წვლილი ქართული კულტურის განვითარების ისტორიაში.

აქ, ეარლამ ხუროძის კრიტიკული წერილების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, დავკმაყოფილდებით მხოლოდ მისი მეთოდიკური მუშაობის ზოგიერთი ცნობის. წარმოდგენით მისი მოღვაწეობის ბიოგრაფიის შესავსებად, ეინადან ვ. ხუროძესთან ჩვენ გვქონდა როგორც პირადი ნაცნობობა, ისე სამსახურებრივი დამოკიდებულება. იმ დროს ვიყავი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, დირექტორი და მეთოდისტიც.

ეარლამ ხუროძე 20-იან—30-იან წლებში მუშაობდა ქ. თბილისის განათლების განყოფილების ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგიური კაბინეტის მეთოდისტის თანამდებობაზე და ამ საპატიო და კეთილშობილურ საქმეს იგი დიდი გულმოდგინებით და კეალიფიციურად ასრულებდა. კვირაში გამოყოფილი იყო ერთი დღე თბილისის სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა შესაკრებად და სამეცადინოდ. ქალაქის განათლების განყოფილების პედაგოგიკის კაბინეტში შედიოდა სხვადასხვა სასწავლო საგნის მეთოდური კაბინეტები. ეს კაბინეტები მოთავსებული იყო მაშინდელ მე-14 საშუალო სკოლის შენობაში (ფ. მახარაძის ქუჩაზე). მასწავლებელთა შეკრება და მეცადინეობა

ტარდებოდა საღამოს საათებში, როცა სკოლაში სწავლა აღარ იყო. დედაქალაქის სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლების საქმეს სათავეში ედგა ვარლამ ხუროძე, რომელიც ამავე დროს თავადაც ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას ქ. თბილისის სხვადასხვა სკოლაში.

ეს იყო საბჭოთა სკოლის მუშაობის ახალი ფორმებისა და სწავლა-აღზრდის ახალი მეთოდების ძიების წლები. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ რევოლუციამდელი სკოლის მასწავლებელთა კადრები განაგრძობდნენ მუშაობას. ამიტომ მასწავლებელთა ახლებურად გადამზადება ხდებოდა როგორც პერიოდულად — ზაფხულობით — გადასამზადებელ კურსებზე, ისე სისტემატურად პედაგოგიკის კაბინეტებში მეცადინეობით.

ზაფხულობით მასწავლებელთა გადასამზადებელ კურსებზე (რომლებიც სხვადასხვა აგარაკზე ეწყობოდა), მომეტებულად გაჰქონდათ განსახილველად და დასამუშავებლად ახალი პროგრამების პროექტები და იკითხებოდა ლექციები პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელ მუშაკთა, განათლების ხელმძღვანელ მუშაკთა და მეცნიერთა მიერ სწავლა-აღზრდის ახლებურად დაყენების თაობაზე. ამ კურსებზე მასწავლებელთა გამოცდილების ურთიერთგაზიარებასაც დიდი ადგილი ეთმობოდა.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ იმ დროსაც დედაქალაქის სკოლებში ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი ასწავლიდა. ქართულ ენასა და ლიტერატურას; ამათგან ზოგიერთი მაშინაც იყო ცნობილი მეცნიერი, ლიტერატორი, პედაგოგი, სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკური შრომების ავტორი და ა. შ. მხოლოდ ზოგიერთს თუ დავასახელებთ: მიხეილ ზანდუკელი, კონსტანტინე კაპანელი, ვარლამ თოფურია, ვარლამ ხუროძე, გიორგი ჯაკობია, ილია სიხარულიძე, ფილიპე რურუა, შალვა თამბუკაშვილი, მარიამ ბურჭულაძე, პარმენ ჭანიშვილი, შალვა დოლაქიძე, ივანე გიგინეიშვილი, გრიგოლ ბარამიძე, ვლადიმერ ზამბახიძე, ელადიმერ ცომაია, ავთანდილ კვასხვაძე, ბაბო წულუკიძე, იულიტა ქარცივაძე, ვალერიან მუშკუდიანი, დიომიდე ცქვიტინიძე, ბართლომე პატარაია, გრიგოლ გაბედავა, კარპეზ დონაძე, სოფიო ფხალაძე, გრიგოლ შენგელია, ბაბო მშვიდლიძე, ვარა ვარდიაშვილი, ივანე ბახტაძე, ეკატერინე ბერიძე, ქეთევან ხარაძე, თამარ აბაშმაძე და სხვ.

ვარლამ ხუროძე ერთდროულად ეწეოდა მრავალმხრივ მოღვაწეობას: ასწავლიდა სკოლაში, წერდა კრიტიკულსა და მეთოდიკურ წერილებს, ქმნიდა მხატვრულ ლიტერატურას. ამ სამუშაოებთან ერთად საგანგებო ყურადღებას აქცევდა დედაქალაქის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების პროცესის ახალი სკოლის ამოცანების შესაბამისად გარდაქმნას. დასახულ ამოცანას ის ღრმად გაანალიზებული გეგმით ახორციელებდა: მასწავლებელთა თეორიული, მეთოდოლოგიური დონის ამაღლებითა და მათდამი ადგილზე სწავლების პროცესის გაუმჯობესებაში პრაქტიკული დახმარებით, აგრეთვე გამოელენილი მოწინავე გამოცდილების განზოგადებით.

ამ რთული ამოცანების ერთდროულად გადასაწყვეტად ვარლამ ხუროძე ყველაფერს აკეთებდა და მასწავლებლებიც კარგად გრძნობდნენ, რომ მათ წინამძღოლად ჰყავდათ პეშმარიტად ღრმად ერუდირებული, გამოცდილი მეცნიერი პედაგოგი.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, იმ დროს სკოლაში სწავლა-აღზრდის ახალი გზების ძიება ხდებოდა და ადვილი არ იყო სიტყვიერების მასწავლებლობა. ენათმეცნიერებასა და ლიტერატურისმცოდნეობაში, პედაგოგიკასა და მეთოდიკაში ეჯახებოდნენ ერთმანეთს ახალი და ძველი მიმართულებანი; ერთიმეორეს უპირისპირდებოდნენ ლაგოცენტრი და ფორმალისტური გრამატიკის პრინციპები,

კიდევ უფრო მწვავედ იდგა ლიტერატურისმცოდნეობაში მწერლის შემოქმედების კრიტიკული ანალიზის პრობლემა: სოციოლოგიზმი, ესთეტიზმი თუ მწერლის შემოქმედების ფორმისა და შინაარსის მთლიანობაში განხილვა... პედაგოგიკასა და სწავლების მეთოდიკაში შემოკრული იყო „სკოლის კედლის“ ანტილენინური მიმართულება, რომლის არსი ის იყო, რომ სწავლება აგებულიყო პროექტორულ კომპლექსურსა და პროექტთა მეთოდებზე და მეცნიერების საფუძვლების სისტემატიზებულ სწავლებას დასაყრდენი გამოსცლოდა; ამას მთელი ძალით დაუპირისპირდა მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილება და კლასიკური პროგრესული პედაგოგიკური შეხედულებანი, პარტიამ და მთავრობამ მიიღეს არაერთი სახელმძღვანელო დადგენილებანი სკოლის ცხოვრების გაჯანსაღებისა და მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის სწორ გზაზე დასაყენებლად.

მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების პროცესის მარქსისტულ-ლენინურ თეალსაზრისსა და მეცნიერულ დონეზე დასაყენებლად დედაქალაქის განათლების განყოფილების ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდურმა კაბინეტმა ვარლამ ხუროძის ხელმძღვანელობით დიდი შეშაობა გასწია. ვარლამ ხუროძე მეტად რთულ სიტუაციაში თავისი გამჭრიახი გონებისა და ფართო განათლების მეოხებით ყოველთვის სწორ პოზიციაზე იდგა და ადვილად ახერხებდა მასწავლებელთა მასის თავის პოზიციაზე გადმოყვანას, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში რუტინისა და გადახრების დაძლევას და სიახლეთა დანერგვას.

ვარლამ ხუროძე მასწავლებელთა გადასამზადებლად მეთოდურ კაბინეტში ლექციების წასაკითხად იწვევდა ისტორიის, ქართული ენის, ქართული ლიტერატურის გამოჩენილ მკვლევარებს, რომლებიც მეცნიერების ახალ მიღწევებს დაწერილებით აცნობდნენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს; ესენი იყვნენ: სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი, სიმონ ხუნდაძე, გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, სიმონ უაუხჩიშვილი, ალექსანდრე ბარამიძე, მიხეილ ზანდუკელი, ვახტანგ კოტეტიშვილი და სხვ. ზოგიერთი მათგანი მეცნიერებაში ახალი მიმართულებების შესახებ ლექციების მთელ ციკლს კითხულობდა. ენათმეცნიერებაში კვლევის ახალ შედეგებზე ლექციების ასეთი ციკლი წაიკითხეს არნოლდ ჩიქობავამ და ვარლამ თოფურიამ.

მეცნიერთა ლექციებში ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ, სრულიად ახალ ინფორმაციებს ეცნობოდნენ მასწავლებლები, იწერდნენ მათ და იყენებდნენ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში. ასეთი ლექციები დიდად იზიდავდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს, ამიტომ მეცადინეობას არავინ აცდენდა და გაერკვეოდა საკითხებზე, გადაუჭრელ პრობლემებზე ხშირად ცხარე კამათიც იმართებოდა.

მეცნიერთა და მასწავლებელთა შორის ასეთი კონტაქტი ძალიან სასარგებლო, ნაყოფიერი აღმოჩნდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მეცნიერული და პედაგოგიური კვალიფიკაციის ასამაღლებლად, რაც, რასაკვირველია, ე. ხუროძის ინიციატივას მიეწერება.

ვარლამ ხუროძე მთელი სასწავლო წლის მანძილზე ორჯერ მაინც ამოწმებდა დედაქალაქის სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობას. ფიზიკურად ამის გაკეთება ერთ კაცს არ შეეძლო მასწავლებელთა სიმრავლის გამო. ამიტომ მეთოდურ კაბინეტთან მან შექმნა ქართული ენისა და ლიტერატურის მოწინავე მასწავლებლებისაგან შტატგარეშე მეთოდისტთა დამხმარე ჯგუფი, რომელიც ეხმარებოდა მას მასწავლებელთადმი ადგილებზე დასახმარებლად. მეთოდური დახმარების ამ ფორმამაც დადებითი შედეგი გამოიღო.

3. ხუროძეს მასწავლებელთა მუშაობის შესწავლა-გაცნობისა და დახმარების თავისი მეთოდი ჰქონდა: იგი მასწავლებლის მუშაობას შედეგებით აფასებდა. ამიტომ ხშირად მიმართავდა კითხვებით მოსწავლეებს განვლილი მასალის ცოდნის გამოსავლენად და შესამოწმებლად, შემდეგ გულდასმით ამოწმებდა მოსწავლეთა ნაწერებს და მათი გასწორებისა და შეფასების ნიშნებს. ამით კარგად არკვევდა არა მხოლოდ მოსწავლეთა მომზადების დონეს, არამედ მასწავლებელთა საგნის ცოდნისა და წიგნიერების დონესაც. ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილს დიდი სიფრთხილით იკვლევდა: მასწავლებელს თავისი კეთილშობილური, თბილი დამოკიდებულებით უქმნიდა ბუნებრივ სიტუაციას — აუღელვებლად წარემართა სწავლების პროცესი. გაკვეთილის მსვლელობისას ერიდებოდა შთაბეჭდილების ჩაწერას, რათა მასწავლებელზე უარყოფითად არ ემოქმედნა. გაკვეთილის დამთავრების შემდეგ დაჯდებოდა მყუდრო ადგილას · და თავის შეხედულებას დაწერდა. აუცილებელზე აუცილებელ შენიშვნას იქვე მოახსენებდა პირადად მას, დანარჩენს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე განაცხადებდა და იმას თავის წერილობით დასკვნაშიაც შეიტანდა.

ვარლამ ხუროძე დიდ მნიშვნელობას აძლევდა მოწინავე გამოცდილების განზოგადებას და საქალაქო მეცადინეობაზე ხშირად პირადად გამოჰქონდა ასეთი გამოცდილება განსახილველად. ყოველმხრივი შემოწმების, მასწავლებელთა განსჯისა და მოწონების შემდეგ იძლეოდა სანქციას დადებითი გამოცდილება სხვა მასწავლებლებსაც გამოეყენებინათ მუშაობაში. ამ შემთხვევაში იგი, როგორც გამოცდილი მეთოდისტი, დიდ დაკვირვებასა და ზომიერებას იჩენდა.

3. ხუროძე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს სთხოვდა არა მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის მეცნიერულ ცოდნას, არამედ მონათესავე სასწავლო საგნების ცოდნასაც — საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის, პედაგოგიური ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის ცოდნას, ვინაიდან სწამდა, რომ, თუ მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი განათლებულია და მაღალი კულტურის მქონე, სკოლაში ცოდნის კულტი შეიქმნება, ყველა საგნის მასწავლებელი მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის კვალს გაყვება და მომავალი თაობის აღზრდის საქმე სწორად წარიმართებაო. ამიტომ ხშირად მოუწოდებდა სიტყვიერების მასწავლებლებს — დასწრებოდნენ მწერალთა კავშირში გამართულ დისკუსიებს ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე, ეთანამშრომლათ ეურნალ-გაზეთებში, ეელოთ მუზეუმებსა და არქივებში კულტურის ძეგლების გასაცნობად და ა. შ. ხშირად იტყოდა მეცადინეობაზე: ზოგჯერ უშეალოდ ნანახი და განცდილი მეტს აძლევს ადამიანს, ვიდრე სხვისი გადმოცემული ან წიგნებში წაკითხული.

ერთხელ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა წარმომადგენლების დიდი ჯგუფი შეკრა და ალექსანდრე ყაზბეგის სახლ-მუზეუმის გახსნაზე ყაზბეგში წაგვიყვანა. მას თან ახლდა თავისი ვაჟი ადოლფი, რომელიც მაშინ მოსწავლე იყო.

ჩვენ ერთად ავტობუსით ვიმგზავრეთ და ყოველ ისტორიულ ადგილზე ეჩერდებოდით, სადაც ვარლამ ხუროძე ისტორიულ ძეგლებსა და საქართველოს წარსულზე გვესაუბრებოდა. ღრმა განცდების კაცი იყო და მიმზიდველი საუბარი იცოდა. ამაყობდა იმით, რომ ქართველ ერს დიდი კულტურული წარსული აქვს, რომ ჩვენმა მთებმა ისეთი დიდი მწერლები მოგვცეს, როგორიც ვაჟა და ალექსანდრე ყაზბეგია — მგზნებარე პატრიოტები, სიტყვის განუმეორებელი ოსტატები.

როცა ყაზბეგში ჩავედით, უკვე შუადღე იყო. იმ დროს, რაც თბილისში მსუბუქი მანქანა და ავტობუსი იყო, თითქმის ყველა იქ იდგა. მთელმა ქართველმა ინტელიგენციამ მოიყარა თავი ერის სათაყვანებელი მწერლის სახლ-მუზეუმის

გახსნაზე. აი, საზეიმო მიტინგი იწყება, ალექსანდრე ყაზბეგის სახლ-მუზეუმის კარებთან გაკრული ლენტს ჭრის ტიციან ტაბიძე. გაისმის მქუხარე ტაში. დარიანი დღეა, ჯაუჯგუფად დგანან ალექსანდრე ყაზბეგის გმირთა პროტოტიპები — შაღო, ელგუჯა, მთია, ხევისბერი გოჩა, ელისო, ვაჟია, ონისე თავიანთ კუთხურ ტანსაცმელში, აქ არიან მოხევეები, ინგუშები, ჩეჩნები თავიანთი ქამარ-ხანჯლითა და საკრავი იარაღებით. ისინი ერთიმეორეს ცვლიან სიმღერაში, ცეკვაში... ერთი ეთნოგრაფიული სურათი ცვლის მეორეს და ზეიმის მონაწილენი შეუმჩნეველად შოპყენენ ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედების სამყაროს ტყეობაში... ამ სანატარო წუთებში გაისმა შალვა ნუცუბიძის ერუანტელის მომგვრელი ხმა. სწორუპოვარი ორატორი განუმეორებელი სურათით აღგზნებული დიდი ოსტატობით ხატავს ამ საოცარ პანორამას და ხოტბას ასხამს დიდი მწერლის მხატვრულ შემოქმედებას...

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა რაც აქ უშუალო შთაბეჭდილებით მიიღეს, რასაკვირველია, მას სხვა არხით ვერ მიიღებდნენ.

ვ. ხუროძის მოღვაწეობის პერიოდში იშვიათი იყო შემთხვევა, რომ ლიტერატურისმცოდნეს, კრიტიკოსს, ლიტერატურის სწავლების საკითხებიც ეკვლია. ასეთი მეცნიერი იმ დროს მხოლოდ მიხეილ ზანდუკელი იყო, რომელმაც ახალ ლიტერატურის ისტორიის კურსთან ერთად საშუალო სკოლაში ლიტერატურის სწავლების მეთოდიკაც შექმნა. ეს იმით შეძლო, რომ ლიტერატურას თავად ასწავლიდა თბილისის I სანიმუშო სკოლაში (სადაც ის დირექტორად მუშაობდა) და თავის მეთოდურ დებულებებს ექსპერიმენტულადაც ამოწმებდა.

ვ. ხუროძე, მსგავსად მ. ზანდუკელისა, იკვლევდა რა მხატვრული ლიტერატურის საკითხებს, იმავე დროს ასწავლიდა კიდეც ქართულ ლიტერატურას სკოლაში და დაკვირვების ობიექტად იყენებდა თბილისის მოწინავე მასწავლებელთა მუშაობის პრაქტიკას. სხვაგვარად, სახელმძღვანელო მეთოდიკური რეკომენდაციების შექმნა შეუძლებელი იყო და არის.

ვარლამ ხუროძე, თუ რა სიღრმითა და სტრუქტურით განიხილავს მხატვრული ნაწარმოების სწავლების მეთოდიკის საკითხებს, ნიმუშისათვის ორიოდე სიტყვით შეეხოთ მის მხოლოდ ერთ ნარკვევს, რომელიც „ეეფხისტყაოსნის“ სწავლებას ეძღვნება („ეეფხისტყაოსნის“ სწავლება სკოლაში“ („მეთოდური წერილი“), ეურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, № 11, 12, 1937). ეს ნარკვევი გამოქვეყნებულია მისი აეტორის სიცოცხლის ტრაგიკულ დასასრულამდე ერთი წლით ადრე.

ვ. ხუროძეს, როგორც კრიტიკოსს, სხვა მხატვრულ ნაწარმოებთან ერთად, ლიტერატურისმცოდნეობის თვალსაზრისით განხილული აქვს შ. რუსთაველის „ეეფხისტყაოსანიც“, რომელიც ამ კრებულში ქვეყნდება.

ვ. ხუროძე მხატვრული ნაწარმოების სწავლების საკითხთა კვლევისას ნაწარმოების თავისებურებიდან ამოდიოდა და ფართოდ ითვალისწინებდა მოსწავლეთა ასაკსა და შესაძლებლობას. ამიტომ მისი მეთოდიკური ნარკვევები ლიტერატურის სწავლების საკითხებზე დღესაც ინარჩუნებს თავის თეორიულსა და პრაქტიკულ ღირებულებას, დღესაც აქტიურად დაეხმარება მასწავლებლებს ლიტერატურის სწავლების ხარისხის ამაღლებაში.

ზემოაღნიშნულ წერილში აეტორი „ეეფხისტყაოსნის“ სწავლების საკითხებს ორიგინალურად, თავისებურად განიხილავს.

უპირველესად ხდება იმ ცოდნის აღდგენა-განმეორება და სისტემაში მოყვანა, რომელიც „ეეფხისტყაოსნის“ შესწავლამდე მიიღეს მოსწავლეებმა ქართული ლიტერატურული ძეგლების შესახებ. ავტორი შესავალ ნაწილში აღნიშნავს, რომ „თითოეული ეს მასალა განიხილება განსაზღვრულ საზოგადოებრივ-ისტორიულ ჭარემოში: მოწაფეები ზოგადად ეცნობიან ყაქართველოს ეკონომიურ სტრუქ-

ტურას, წოდებებსა და წოდებრივ ურთიერთობას, საერთო კულტურული განვითარების დონესა და ლიტერატურულ მოვლენებს". მისი აზრით, „ვეფხისტყაოსნის" შესწავლის დაწყებამდე მე-8 კლასის მოწაფეებს საკმაო გარკვეული წარმოდგენა უნდა ექნეთ საქართველოს ისტორიული გზების შესახებ. მთლიანი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია საქართველოს ტერიტორიაზე მე-9 საუკუნიდან ისახება" და ა. შ.

ამით მეთოდიკური ნარკვევის ავტორი ქმნის სოციალურ-ისტორიულ ფონს, საიმედო წანამძღვრებს, რასაც უნდა დაეფუძნოს ამ გენიალური მხატვრული ქმნილების ახსნა-გაგება.

ავტორი აფრთხილებს მასწავლებლებს, რომ „ისტორიული მოვლენების დაწერილებით შესწავლა ქართული ლიტერატურის მასწავლებელს არ ევალება, მისი საქმეა საერთო მიმოხილვა". განვლილი მასალის განმეორებაშიც უნდა დავიცვათ ზომიერება. მაშასადამე, ისტორიული ფონი და ისტორიული მიდგომა ლიტერატურული მოვლენების ახსნისას საჭიროა, მაგრამ ისტორიული და სოციალური საკითხებით გატაცება საჭირო არ არის. ასეთ საკითხებზე ხანგრძლივად შეჩერებამ შეიძლება შეანელოს მოსწავლეთა ყურადღება ნაწარმოების მხატვრული ანალიზზე.

წინასწარ უნდა მიეწოდოს მოსწავლეებს აგრეთვე ის ცნობები, რომლებიც გვაქვს შოთა რუსთაველის პიროვნების შესახებ და ამის შემდეგ იწყება ტექსტის კითხვა „იმ ადგილიდან, საიდანაც ფაბელა იწყება: „იყო არაბეთს როსტევან" და სხვ. ნაწარმოების შესავალი, როგორც ერთგვარი თეორიული ნაწილი შესწავლილ უნდა იქნეს მას შემდეგ, რაც საკუთრივ პოემა გარჩეული და შეთვისებული იქნება. მხოლოდ ამ მუშაობის შემდეგ შოთას პოეტიკის თეორიული მოსაზრებანი ადვილად დასაბუთდება პოემიდან შესაფერი ადგილების მოყვანით".

ვ. ხუროძეს სკოლის გამოცდილება უკარნახებს, რომ მოსწავლეები დაინტერესებული არიან ტექსტის ორიგინალობისა და ისტორიის საკითხებით. ამიტომ ზოგიერთი აუცილებელი ცნობა ამ საკითხებზე უთუოდ უნდა მიაწოდოს მასწავლებელმა საშუალო სკოლის მოსწავლეებსო. ასეთ საკითხებზე საუბარი ჩაუტარდეს ტექსტის გარჩევის შემდეგ. ამას იმით ასაბუთებს, რომ მოსწავლეებს ამ დროს „საგნისადმი დამოკიდებულება და ინტერესი გაცილებით უფრო შეგნებული და ძლიერი ექნება, ვინემ პოემის დამუშავების წინ. მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის" ორიგინალობაში მოწაფეები მხოლოდ მის შემდეგ დარწმუნდებიან, როცა დოკუმენტალურად გაეცნობიან პოემის იდეებისა და მხატვრული სახეების ნათესაობას ქართულ სინამდვილესთან: ლიტერატურასა, იდეოლოგიასა, ეკონომიურ ფორმაციასა და სახელმწიფოებრივ წყობილებას".

ვ. ხუროძე მასწავლებლის პირად უნარს, ცოდნას, გამოცდილებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს: მთავარი ისაა, თუ მასწავლებელი როგორ გამოიყენებს მის ხელთ არსებულ მასალას „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის საფუძვლიანად დამუშავებისათვის.

ვ. ხუროძე ერცლად ჩერდება „ვეფხისტყაოსნის" წაკითხვის ორგანიზაციისა და მეთოდიკის საკითხებზე. იგი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ტექსტის შეგნებულად წაკითხვას აფერხებს ენობრივი სიძნელე — მე-8 კლასის მოსწავლეს უჭირს ენობრივი ბარიერის დაძლევა. ეს პრობლემა ამჟამადაც ძალაშია და მასწავლებელთა ერთი ნაწილი მოითხოვს „ვეფხისტყაოსნის" სწავლების უფროს კლასებში გადატანას.

გამოსავალს ვ. ხუროძე ჯერჯერობით იმაში ხედავს, რომ კითხვის სიმძიმის აწევა, პირველ ხანებში მაინც, მასწავლებელმა იკისროს. ამას იმით ასაბუთებს, რომ მასწავლებლის „გარკვეული და სანიმუშო კითხვა თანდათან შეიყვანს მოს-

წავლენებს რუსთაველის შემოქმედების მომხიბვლელ სფეროში და სიტყვათაგან აწყობილ მუსიკაში. მოქმედების დრამატიზმი და სწრაფი განვითარება, მომხიბლავი პოეტური სურათების კინემატოგრაფიის სისწრაფით ცვლა და მომაჯადოებელი მუსიკალობა პირველი ტაპებიდანვე იმორჩილებს მოწაფეთა წარმოსახვის უნარს. ძლიერი სურათები და მაღალი პოეტური მეტყველება თავიდანვე უდიდეს ინტერესს აღვიძებს და მოწაფეებიც გულისფანცქალით უგდებენ ყურს მასწავლებლის კითხვას". მასწავლებლის კითხვაში წერილის ავტორი, რასაკვირველია, გულისხმობს გამომეტყველებით კითხვას, როცა ბევრი უცნობი, გაუგებარი სიტყვა-გამოთქმის, მხატვრული გამოთქმების მნიშვნელობას საგანგებო ახსნის გარეშეც სწავლობს.

3. ხუროძე მოითხოვს, რომ „ეეფხისტყაოსნის" ცალკეული შინაარსობრივად დასრულებული ნაწილის წაკითხვის შემდეგ რამდენიმე წუთით შეჩერდეს კითხვა და აიხსნას წაკითხული ნაწილის გაუგებარი ადგილები. მაგალითად, მასწავლებელი „პირველი თავის კითხვის დროს ჩერდება მე-8 ტაპის დასასრულთან, ამ სიტყვების წინ: „ავთანდილ იყო სპასპეტი" და სხვ. უკვე წაკითხულის შინაარსს ასე გადასცემს: არაბეთის მეფე როსტევანი, რომელსაც სიბერე მიუახლოვდა, გადასწყვეტს, თავის სიცოცხლეშივე ტახტზე აიყვანოს თავისი ერთადერთი ასული — თინათინი. ამ გადაწყვეტილებას მეფე ვეზირებს აცნობებს. ვეზირები თანხმობას გამოთქვამენ: მართალია, ქალია, მაგრამ მეფობა მასაც შეუძლიაო — მოახსენებენ.

„თუცა ქალია, ხელმწიფედ
მართ ღმრთისა დანაბადია;
არ გათნეთ, იცის მეფობა,
უთქვენოდ გვითქვამს კვლა დია;
ლეკვი ლომისა სწორია,
ძუ იყოს, თუნდა ხვადია".

ამგვარადვე გაგრძელდება პირველი თავის ბოლომდე კითხვა და ახსნა ერთ გაკვეთილზე. „კითხვის პროცესში საგანგებო ყურადღება ექცევა აფორისტულ გამოთქმებს და ძლიერ პოეტურ სურათებს". როცა ამგვარად წაიკითხავს მასწავლებელი ამ თავს, მოსწავლეებს სამინაო დავალებად მიეცემათ მასწავლებლის წაკითხული თავის დამოუკიდებლად წაკითხვა, მისი აგებგმა, აგრეთვე მომდევნო თავის („ნახეს უცხო მოუმე ვინმე"...) წაკითხვაც. მეორე გაკვეთილზე მასწავლებელი მოითხოვს პირველი თავის შეკუმშულად გადმოცემას აფორიზმებისა და პოეტური სურათების შესაფერი ადგილების ციტირებით (უმთავრესად წიგნიდან, ნაწილობრივ ზეპირადაც), შემდეგ გადადის მეორე თავის კითხვაზე".

3. ხუროძე გვარწმუნებს, რომ, თუ მოსწავლეებმა ეს თავი დამოუკიდებლად წაიკითხეს, მასწავლებლის წაკითხულს მეორე გაკვეთილზე გაცილებით უკეთ გაიგებენ, „ვინემ ამას პირველ გაკვეთილზე ჰქონდა ადგილი". თანაც დასძენს: „თუნდაც წაკითხული არ ჰქონდეთ, მეორე თავს პირველთან შედარებით მაინც უკეთ გაიგებენ: უკვე აღძრული ინტერესი, მარტივი და ძლიერი სახეები და თხრობის წარმტაცი სიღრმეზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს ბავშვის განცდაზე, ენობრივი სიძნელე სრულიად შეუმჩნეველად ქრება, პოემის მომხიბლავი შინაარსი გაუგებარ სიტყვებს მთლიანად წაკითხული ფრაზის საშუალებით ნათლად და გასაგებად ხდის. მესამე და მეოთხე თავებიდან თითქმის ყოველგვარი სიძნელე ქრება: მოწაფეები მშვენივრად ითვისებენ პოემის შინაარსსა და თანდათან ხდებიან აქტიური მკითხველებად".

3. ხუროძის ეს ფსიქოლოგიური დასკვნები სარწმუნოა და უთუოდ გასაზია-

რებელი, ეინაიდან „ევეფხისტყაოსნის“ სწავლების პრაქტიკაც ამასვე ადასტურებს. „ევეფხისტყაოსნის“ კითხვა-დამუშავება ასე გაგრძელდება ბოლომდე. მოსწავლეები თანდათან დაეუფლებიან ამ გენიალური პოემის მხატვრულ ლექსიკა-ფრაზეოლოგიას, გამდიდრებენ მეტყველებას მათი მნიშვნელობის გაგებით, დაიზეპირებენ და გამოიყენებენ შოთასეულ აფორიზმებს თხრობაში.

ვ. ხუროძე დასაშვებად თვლის, რომ, როცა მასწავლებელი რამდენიმე თავს სანიმუშოდ წაიკითხავს, შემდეგ შეიძლება კითხვაში ძლიერმა მოსწავლეებმა წაიკითხონ მომდევნო თავები. ისიც შეიძლება, რომ ზოგიერთი თავი შინაც წაიკითხონ და მათი შინაარსი სათანადო ადგილების ციტირებით კლასში გადმოსცენ.

ვ. ხუროძე წინააღმდეგია „ევეფხისტყაოსნის“ შემოკლებული ტექსტის სწავლებისა. მოითხოვს, რომ ამ დიდი საუნჯის შესასწავლად გამოიყოს 40 საათი. ფართოდ იქნეს გამოყენებული უცნობი სიტყვა-გამოთქმებისა და ტექსტის შესასწავლად მოსწავლეთა დამოუკიდებელი ძალები, ვასწაოლოთ მოსწავლეებს სათანადო ლექსიკონების გამოყენება, გამოვიყენოთ კლასგარეშე და საწრეო მუშაობა „ევეფხისტყაოსნის“ საფუძვლიანი შესწავლისათვის.

ვ. ხუროძე „ევეფხისტყაოსნის“ მთლიანი შინაარსის გადმოცემის რამდენიმე ფორმას გვთავაზობს, მაგრამ ყველა ფორმაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ტექსტის ფაქტობრივი მასალის საფუძველიან ცოდნას, ტექსტიდან ადგილების ზეპირად ციტირებას.

მართალია, თითოეული თავის კითხვის დასრულების შემდეგ ხდებოდა შინაარსის გადმოსაცემი გეგმის შედგენა, მაგრამ, როცა ასეთი გზით ყველა თავი დამუშავდება, შემდეგ საჭიროა ტექსტის მთლიანი შინაარსის გეგმის შედგენა. წერილის ავტორი ამ გეგმის ნიმუშსაც იძლევა: „1. თინათინის გამეფება და ავთანდილ-როსტევანის გასვლა სანადიროდ, 2. უცხო ყმის ნახვა და მიშველა, 3. თინათინის დავალება ავთანდილის მიმართ, 4. ავთანდილის წერილი ყმების მიმართ, 5. ავთანდილი მიდის ტარიელის საძებრად, 6. ავთანდილი ნახავს ტარიელს, 7. ტარიელი უყვება თავისი ბავშვობისა და გამიჯნურების ამბავს, 8. ტარიელი ასრულებს სატრფოს დავალებას ხატაელთა შესახებ, 9. ნესტან-დარეჯანის დაკარგვა, 10. ტარიელი ეძებს ნესტანს, 11. ფრიდონთან შეხვედრა, 12. ტარიელი და ასმათი, 13. ავთანდილის დაბრუნება არაბეთს და ტარიელთან ხელახალი წასვლის გადაწყვეტილება, 14. ანდერძი ავთანდილისა როსტევანისადმი, 15. ავთანდილი კვლავ მიდის ტარიელთან. 16. ფრიდონის სამეფოში ავთანდილის წასვლა და მისი განცდანი, 17. ავთანდილი გულანშაროში და ფატმან ხათუნთან შეხვედრა, 18. ავთანდილი მიაგნებს ნესტანის კვალს, 19. წერილი ნესტან-დარეჯანისა საყვარლისადმი, 20. ავთანდილი ბრუნდება ფრიდონსა და ტარიელთან, 21. სამი რაინდის თათბირი ქაჯეთის ციხის ასაღებად, 22. ნესტან-დარეჯანის განთავისუფლება, 23. ტარიელისა და ავთანდილის გამარჯვებით დაბრუნება და მათი ქორწილები, 24. სამი სამეფოს ბედნიერი ცხოვრება“.

შინაარსის ამგვარი დამუშავების შემდეგ ვ. ხუროძე იძლევა ტექსტის მხატვრული მხარის ღრმა ანალიზს. იგი აღნიშნავს, რომ „პოეტური ნაწარმოების მხატვრულად შეგრძნება კითხვის პროცესში ხდება, ფორმა განუშორებელია შინაარსისაგან, მაგრამ სასკოლო მუშაობის პირობებში მაინც აუცილებელი ხდება მხატვრული ანალიზის გამოცალკევება, — ეს იმ მიზნით, რომ მოსწავლის ყურადღება გამახვილდეს ნაწარმოების ფორმასა და აზრის გამოთქმის საშუალებებზე“. აქედან ნათელია, რომ „ევეფხისტყაოსნის“ სწავლებისას ავტორი არ აცილებს ერთიმეორეს ფორმასა და შინაარსს, მაგრამ ნაწარმოების მხატვრული ღირებულების გამოელენისა და აღქმისათვის აუცილებელი ხდება პოემის მხატვრული კომპონენტების საფუძვლიანი ანალიზი.

ავტორი, უწინარესად მოითხოვს, ავუხსნათ მოსწავლეებს, რა ეანრის ნაწარმოებია „ვეფხისტყაოსანი", რა არის პოემის ფაბულა, როგორია პერსონაჟთა პორტრეტები, მათი გარეგნობა, ხასიათი, მოქმედებები, ურთიერთობა, მაღალი იდეალებისათვის ბრძოლის სურათები. „შოთა რუსთაველი გენიალური ოსტატობით შლის თავისი პოემის არაკს, ფაბულას... მისი თხრობა მკითხველს იტაცებს, აჯადოებს... მკითხველის ფანტაზიას აცხოველებს და აჯადოებს მძლავრი სურათების მოკვეთილად და სწრაფად ჩვენება: ჯერ ერთი, სანახაობის სიმშვენიერის ცქერით ვერ დამტკბარხარ და მეორეს გაჩვენებს, ერთი პოეტური სახის გვერდით მეორე აელვარდება, მეორეს მესამე მოსდევს კიდევ უფრო ძლიერი"... და შემდეგ ავტორი კონკრეტულად მიგვითითებს სათანადო დეტალებზე პოემაში, რათა მოსწავლეები უშუალოდ გაეცნონ გენიოსი პოეტის პოეტური გამოსახვის ხერხებს, ღრმად შეიცნონ მისი მხატვრული მეტყველების საიდუმლოება. „სიტყვათა და პოეტურ გამოთქმათა შერჩევა მიუღწეველ სიმაღლეზე აიყვანა მან, მისი გენიალობა აზრის ოსტატურად გამოთქმაში აქ აღწევს მრავალ მიუღწეველ მწვერვალამდე: მისი შედარებები და მეტაფორები თვალს გვჭრის, მისი რითმები მუსიკით გვიმონებენ". შემდეგ ,ავტორი ეხება ხალხურ შემოქმედებასთან რუსთაველის შემოქმედების კავშირს, ლექსის ფორმასა და ზომას და აღნიშნავს: „შოთას ლექსის ფორმა 16-მარცვლიანი შაირია, რომელიც ძირითადად ახასიათებს ქართულ ხალხურ შემოქმედებას: ჩვენი ხალხური ლექსების უდიდესი ნაწილი ამ ფორმით არის შეთხზული. რუსთაველის გენიოსობის ერთ მხარეს ისიც გვიმტკიცებს, რომ იგი ასეთის სიღრმით მისწვდა... ხალხის აზრთა გამოთქმის ფორმებს და თავისი ნიჭის წყალობით უმაღლეს ხარისხამდე აიყვანა ეს ფორმა. შოთა წერს მაღალი და დაბალი შაირით".

ავტორი შემდეგ ასე მაგალითების ანალიზის საფუძველზე არკვევს რუსთაველის ლექსის სხვა თავისებურებებს, ანალიზებს „ვეფხისტყაოსნის" პოეტური გამოსახვის საშუალებებს: შედარებებს, ეპითეტებს, მეტაფორებსა და სხვ., მიუთითებს იმაზე, თუ პერსონაჟების დახასიათებისას მოსწავლეებმა დამოუკიდებლად როგორ ამოკრიბონ პოემიდან საჭირო მასალა, როგორ გამოიტანონ დედააზრი და გაარკვიონ მწერლის დამოკიდებულება პოემაში გატარებული აზრების მიმართ, რა თემების შერჩევა შეიძლება საწერად, რა აღმზრდელობითი, სოციალური და ესთეტიკური ღირებულება აქვს ახალგაზრდობისათვის ამ გენიალური ნაწარმოების საფუძვლიანად შესწავლას.

ვ. ხუროძის ამ შრომაში „ვეფხისტყაოსნის" ყველა ძირეული საკითხი დიდი დაკვირვებითაა განხილული. ასე ღრმად და მაღალ დონეზე აქვს ე. ხუროძეს დამუშავებული ალექსანდრე ჭავჭავაძის, ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე ყაზბეგისა და სხვათა მხატვრული თხზულებების სწავლების საკითხებიც, რომელთა გაცნობა-შესწავლა დაეხმარება მასწავლებლებს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების დონის ამაღლებაში.

პროფ. ვ. რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი

30. IV.1985.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

ვარლამ ხუროძე (მალაქიაშვილი) წერდა რომანებს, მოთხრობებს, ესკიზებს, ნოველებს, ეტიუდებს, მინიატურებს, ლექსებსა და კრიტიკულ წერილებს. მწერლის რომანები „შოთა ბროლიძე" და „სამნი" რამდენჯერმე დაისტამბა, მაგრამ კრიტიკული წერილების კრებული ავტორს ცალკე წიგნად არ გამოუცია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში „ქართული ლიტერატურის თემატიკურად განხილვას", რომელიც 1927 წელს გამოვიდა. წიგნი სახალხო განათლების მიერ ნებადართული იყო, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო შრომის სკოლებისათვის.

ვარლამ ხუროძის — „ქართული ლიტერატურის თემატიკურად განხილვა" სცილდება სკოლის დამხმარე სახელმძღვანელოს ფარგლებს და ამიტომ აღნიშნული წიგნიდან ჩვენ გადმოვბეჭდეთ და კრებულში შევიტანეთ ზოგიერთი მწერლის შემოქმედების განხილვა. შენიშვნებში კი მითითებული გვაქვს წიგნის გვერდები. ავტორი წიგნის ხასიათისა და დანიშნულების გამო შეზღუდული იყო, რადგან თავისი კრიტიკული წერილები, რომლებიც სისტემატურად იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, შეეტანა სკოლისათვის გათვალისწინებულ დამხმარე ხელმძღვანელოში. ამიტომ ჩვენ შეეცადეთ მკითხველისათვის მიგვეწოდებინა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში დაბეჭდილი კრიტიკოსის რჩეული კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილებისა და ესეების კრებული.

წერილები კრებულში დალაგებულია ქრონოლოგიურად — ამა თუ იმ მწერლის ცხოვრების დროის მიხედვით და არა დაწერა-გამოქვეყნების თარიღის მიხედვით.

ეფიქრობ, ინტერესს მოკლებული არ იქნება, მკითხველს გავაცნოთ, თუ სად და რომელ წელს დაიბეჭდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ვარლამ ხუროძის კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები.

„ვეფხისტყაოსანი", როგორც მებრძოლი წიგნი, დაიბეჭდა გაზ. „კომუნისტში" 1937 წელს (№ 299).

„ვეფხისტყაოსნის" ეთიკა და სოციალური იდეალები, დაიბეჭდა გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში" 1938 წელს.

ნიკოლოზ ბარათაშვილი, ორ წერილად დაიბეჭდა ვარლამ ხუროძის „ქართული ლიტერატურის თემატიკურად განხილვაში". პირველ წერილში ავტორი არჩევს ნ. ბარათაშვილის ეროვნულ შეხედულებას, მეორეში კი — პოეტის ზოგადსაკაცობრიო საკითხს. ორივე წერილი გავაერთიანეთ და ერთმანეთისაგან გამოვყავით სამი ვარსკვლავით.

ლავრენტი არდაზიანი, გადმოვბეჭდეთ 1927 წელს ცალკე გამოცემული წიგნიდან.

იოსებ დავითაშვილი, დაიბეჭდა ჟურნ. „მნათობში" 1927 წ. (№ 4).

ილია ჭავჭავაძე, სამ წერილად დაიბეჭდა „ქართული ლიტერატურის თემატიკურად განხილვაში". პირველ წერილში გაშუქებულია ეროვნული საკითხის ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში, მეორეში ილიას შეხედულება ბატონყმობის შესახებ, მესამე წერილში კი განხილულია ილიას ზოგადსაკაცობრიო საკითხები; სამივე წერილი გავაერთიანეთ და გამოვყავით სამი ვარსკვლავით.

ილია ჭავჭავაძე როგორც ლიტერატურული კრიტიკოსი, დაიბეჭდა ჟურ. „მნათობში" 1937 წელს (№ 5).

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ზოგიერთ მხარეთა გაგებისათვის, დაიბეჭდა „ლიტერატურულ საქართველოში“, 1937 წელს.

აკაკი წერეთელი, „გადმოებეჭდეთ ქართული ლიტერატურის თემატიურად :განხილეიდან“.

ვაჟა-ფშაველა, გადმოებეჭდეთ „ქართული ლიტერატურის თემატიურად განხილეიდან“.

ალექსანდრე ყაზბეგი, გადმოებეჭდეთ „ქართული ლიტერატურის თემატი:ურად განხილეიდან“.

ეგნატე ნინოშვილი დაიბეჭდა ეურ. „მნათობში“ 1929 წელს (№№ 11—12).

იროდიონ ევდოშვილი, გადმოებეჭდეთ „ქართული ლიტერატურის თემატიურად განხილეიდან“.

ჰოლა ლომთათიძე, გადმოებეჭდეთ „ქართული ლიტერატურის თემატიურად განხილეიდან“.

შოთა არაგვისპირელი, დაიბეჭდა ეურ. „მნათობში“ 1925 წელს (№ 5).

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება, დაიბეჭდა ეურნ. „ცისარტყელაში“ 1920 წელს (№ 2).

ელადიმერ მესხიშვილი როგორც მოქალაქე, დაიბეჭდა ეურ. „საბჭოთა ხელოვნებაში“, 1938 წელს (№ 2).

მხატვრული ლიტერატურა 1905 წელს, დაიბეჭდა „რევოლუციის მატიანეში“, 1930 წელს № 1, (23).

წერილები ლიტერატურის შესახებ, დაიბეჭდა გაზ. „ერთობაში“, 1919 წელს (№№ 91—93).

გაკვრით ჩვენს ლიტერატურაზე, დაიბეჭდა გაზეთ „თანამედროვე აზრში“, 1916 წელს (№№ 248—249).

მშობლიური ენის სწავლების ზოგიერთი საკითხი, დაიბეჭდა ეურ. „განათლების მუშაკში“, 1928 წ. (№ 8).

„ვეფხისტყაოსანი“ სკოლაში, დაიბეჭდა ეურ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1937 წელს (№№ 11—12).

ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედების შესწავლა სკოლაში, დაიბეჭდა ეურ. „კომუნისტური აღზრდისათვის“ 1938 წელს (№ 3).

გრიგოლ ორბელიანის შემოქმედების გარჩევა საშუალო სკოლის მე-9 კლასში, დაიბეჭდა ეურ., „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1938 წელს, (№ 6).

„ორი ხტილი“, დაიბეჭდა ეურნალ „მნათობში“, 1929 წელს (№№ 8—9).

მაქსიმ გორკი, დაიბეჭდა ეურ. „მნათობში“ 1928 წელს (№ 4).

ჰენრიხ იბსენი, დაიბეჭდა ეურ. „მნათობში“ 1928 წელს (№ 3).

გარდა ამისა, ეარლამ ხუროძე აეტორია მრავალი საინტერესო კრიტიკული წერილისა და რეცენზიისა, რომლებიც ამ კრებულში არ შესულა.

კრებულში ზოგიერთი წერილი იბეჭდება მცირე შემოკლებით.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა . 3
„ვეფხისტყაოსანი“, როგორც მებრძოლი წიგნი. 11
„ვეფხისტყაოსნის“ ეთიკა და სოციალური იდეალები. 16
ნიკოლოზ ბარათაშვილი 21
ლავრენტი არდაზიანი 34
იოსებ დავითაშვილი 49
ილია ჭავჭავაძე 69
ილია ჭავჭავაძე როგორც ლიტერატურული კრიტიკოსი 89
ი. ჭავჭავაძის შემოქმედების ზოგიერთ მხარეთა გაგებისათვის 101
აკაკი წერეთელი 106
ვაჟა-ფშაველა 122
ალექსანდრე ყაზბეგი 132
ეგნატე ნინოშვილი 136
იროდიონ ევდოშვილი 144
პოლა ლომთათიძე 151
გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება 160
შიო არაგვისპირელი . . 174
ვლადიმერ მესხიშვილი როგორც მოქალაქე 180
მხატვრული ლიტერატურა 1905 წელს 185
წერილები ლიტერატურის შესახებ 208
გაკვრით ჩვენს ლიტერატურაზე . . 218
მშობლიური ენის სწავლების ზოგი საკითხი 225
„ვეფხისტყაოსანი“ სკოლაში . . 229
ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედების შესწავლა სკოლაში 243
გრიგოლ ორბელიანის შემოქმედების გარჩევა საშუალო სკოლის მე-9 კლასში 250
ორი სტილი 261
მაქსიმ გორკი 272
ჰენრიხ იბსენი . 281
გამოჩენილი პედაგოგი-მეთოდისტი 282
შენიშვნები 283

გამომც. რედაქტორი ო. შალამბერიძე
მხატვრული რედაქტორი გ. ზაკალაშვილი
ტექრედაქტორი ზ. მახარაშვილი
უფ. კორექტორი ე. ბაბალაშვილი
კორექტორი მ. გონაშვილი
გამომშვები ქ. ნიკოლაშვილი

ИБ № 3295

გადაეცა ასაწყობად 23.10.85. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.02.86 ქაღალდის ზომა 60×90 1/16. საბეჭდი ქაღალდი № 2. გარნიტურა ვენა. ბეჭდვის ხერხი მაღალი. ნაბეჭდი თაბახი 19. პირ. საღებავგატარება 19. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 16,36. ეე 10712. ტირაჟი 3 000. შეკვეთა № 1033.
ფასი 1 მან. 80 კაპ.

გამომცემლობა „განათლება", თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50
1986

380060, ქ. თბილისი, ვ. ფშაველას პრ. მედქალაქი
II სასწ. კორპ., საქ. სსრ. გამსახლობის № 4 სტამბა.
380060, г. Тбилиси, пр. Важа-Пшавела, Медгородок,
II учеб. корп., Типография № 4 Госкомиздата Груз. ССР.